

1373  
2004 /2  
Nо.11

11  
2007



# საქართველოს სიმპოზიუმი

## Georgian Antiquities





2007 წელს 100 წელი უსრულდება შესანიშნავ ქართველ ხელოვნების ისტორიკოსს, ქართველი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთ დამფუძნებელს თინათინ ვირსალაძეს

*In 2007, 100th anniversary of the Tinatin Virsaladze, a prominent Georgian art historian, one of the founders of the Institute of History of Georgian art will be celebrated.*

၁၂၅

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიულ  
საზოგადოების კამპუნი

# საქართველოს სიკვეთი

σωματο

თაყაიშვილის ხელავთორიგით

ଟ୍ୱେଲିଙ୍କୋ 1909.

Издание Грузинского Общества Истории и Этнографии

## ГРУЗИНСКІЯ ДРЕВНОСТИ

ТѢМЪ II.

Подъ редакцію Е. ТАКАЙШВИЛИ

Edition de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

## LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES

TOME II

Sous la rédaction de M.-E. T a k a ī ch vili

TIFLIS 1909.

აღმერი წევრის განვითარების გარეუაზი ხელისხმების  
მართვისა და კულტურული კურატორის ეროვნული ცენტრი

# საქართველოს სიმამართები

Georgian Antiquities

11

თბილისი  
Tbilisi  
2007

## რედაქტორ-გამომცემლები

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი  
იუზა ხუსკივაძე

## სარედაქციო კოლეგია

მიურეთ აილანდი (კალიფორნია აშშ)  
დევი ბერძენიშვილი  
ენტონი ბრაიერი (ბირმინგემი)  
ბერნარდ ბრენკი (ბაზელი)  
გიორგი გაგოშიძე  
იოჰანეს დეკერსი (მიუნიჰინი)  
ანელი ვოლხევაია  
ვერნერ ზაიბტი (ვენა)  
სამსონ ლეჟავა  
თამილა მგალობლიშვილი  
თემურ საყვარელიძე  
ენტონი ქათლერი (პენსილვანია)  
რუსულან უენია  
გიორგი ჭერიძე  
ლეილა ხუსკივაძე  
ქრისტეფორ პაასი (ვალანცოვა აშშ)

## სარეცენზიო საბჭო

ნოდარ ბახტაძე  
ლიმიტრი თუმანიშვილი  
ინგა ლორთქიფანიძე  
მზია სურგულაძე  
ირინა ღამბაშიძე

## Publishers

Nikoloz Vacheishvili  
Iuza Khuskivadze

## Editorial board

Devi Berdzenishvili, Tbilisi, Georgia  
Beat Brenk, Bazel, Zwitserland  
Anthony Bryer, Birmingham, United Kingdom  
Anthony Cutler, Pensilvania, USA  
Johaness Deckers, Muenchen, Germany  
Murray Lee Eiland, California USA  
Giorgi Gagoshidze, Tbilisi, Georgia  
Christopher Haas, Villanova, USA  
Rusudan Kenia, Tbilisi, Georgia  
Leila Khuskivadze, Tbilisi, Georgia  
Samson Lezhava, Tbilisi, Georgia  
Tamila Mgaloblishvili, Tbilisi, Georgia  
Temur Sakvarelidze, Tbilisi, Georgia  
Werner Seibt, Vienna, Austria  
George Tcheishvili, Tbilisi, Georgia  
Aneli Volskaia, Tbilisi, Georgia

## Rewievers

Nodar Bakhtadze  
Irina Gambashidze  
Inga Lortkipanidze  
Mzia Surguladze  
Dimitri Tumanishvili

**შურნალი “საქართველოს სიძველენი” გამოდის  
გიორგი ლეჟავას შემწეობით**

**this Journal is published by the financial  
support of Giorgi Lezhava**

შურნალის გარეკანზე ვარძია. ჯვრის ამაღლება, ფრაგმენტი  
ფოტო დრორ მააიანის

On the cover Vardsia. Ascention of the Cross, fragment

Photo by Dror Maayan

© 2007 გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და  
ძეგლთა დაცვის ეროვნული კავევის ცენტრი

© G.Chubinashvili National Centre of Georgian Art History and Monuments Protection

© 2007 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრი

© The Georgian Cultural Heritage Information Centre

ინტერნეტ მისამართი: [www.heritage.ge](http://www.heritage.ge)

**სარჩევი**

მანანა ხიდაშვილი	
ფერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებსა და ქართულ ხალხურ კულტურაში . . . . .	11
ანელი ვოლსკაია	
გარეჯის ფერწერული სკოლის ისტორიისათვის . . . . .	29
მარინე ყენია	
ადრეულ ქართულ მოხატულობათა პროგრამების თავისებურების გამო . . . . .	45
ნინო ქავთარია	
გულათის თოხთავი . . . . .	59
მარიამ დიდებულიძე	
ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის XIII ს-ის დამდეგის მოხატულობის ფერადოვნება . . . . .	78
ეკატერინე გედევანიშვილი	
არგოხის ყველაწმინდის ეკლესიის მოხატულობა . . . . .	105
ნანა ბურჯულაძე	
მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართუების საკითხისათვის შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში . . . .	122
დარეჯან კლიდიაშვილი	
უცნობი სააღაპე წარწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან . . . . .	146
ირინე მამაიაშვილი	
საქტიტორო პორტრეტი გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭის მოხატულობიდან . . . . .	153
გულნაზ ბარათაშვილი	
დედოფალ ანა-ხანუმის დაფარნები . . . . .	161
ეკატერინე კვაჭაბაძე	
გვიანი შუა საუკუნეების საფასადო სკულპტურის პროგრამათა ინტერპრეტაციისთვის . . . . .	178
დარეჯან გოგაშვილი	
ქართულ ხელნაწერ წიგნში გამოყენებული ოქრო (დამზადების წესი, ტერმინოლოგია) . . . . .	196

მარინე გაჩეჩილაძე	
XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ერთი უცნობი მხატვრის შესახებ . . . . .	205
პირველი პუბლიკაცია	
ეთერ ედიშერაშვილი, ნინო ციცოშვილი	
უბისის ეკლესიის მომხატველი ოსტატების შესახებ . . . . .	219
ინგა ლორთქიფანიძე	
მოგონებები ახლო წარსულზე	
(თინაონ ვირსალაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) . . . . .	232
მანანა ხიდაშელი	
თინა, როგორიც მახსოვს . . . . .	248
მარინე გაჩნაძე	
როგორი დარჩა ქალბატონი თინა ვირსალაძე	
ჩემს მეხსიერებაში . . . . .	252
არქივიდან	
თინაონ ვირსალაძე	
შერგილ დადიანის დროინდელი XIII საუკუნის	
კედლის მხატვრობა ხობში . . . . .	266

## Contents

### **Manana Khidasheli**

Colour Symbolism in the Early-Farming Cultures  
of the Near East and Georgian Folk Culture . . . . . 11

### **Aneli Volskaya**

To the History of the Gareji School of Painting . . . . . 29

### **Marine Kenia**

On the Peculiarities of Programmes in Early Georgian Murals . . . . . 45

### **Nino Kavtarria**

Gelati Gospel . . . . . 59

### **Mariam Didebulidze**

Colour Arrangement of the Early 13<sup>th</sup> C. Murals  
of the Kintsvisi Church of St. Nicholas . . . . . 78

### **Catherine Gedevenishvili**

Murals of Argokhi Church of All Holy Virgin . . . . . 105

### **Nana Burchuladze**

To the Interrelation of the Monumental and Easel Painting  
in the Medieval Georgian Ecclesiastical Art . . . . . 122

### **Darejan Kldiashvili**

Unknown Commemorative Inscription  
from the Monastery of Holy Cross in Jerusalem . . . . . 146

### **Irine Mamaiaashvili**

Donor Portrait in the Murals of North Porch of the Gelati *Katholikon* . . . . . 153

### **Gulnaz Baratashvili**

Liturgical Covers of Queen Ana-Khanum . . . . . 161

### **Catherine Kvachatadze**

To the Interpretation of the Late Medieval Facade Sculpture Programmes . . . . . 178

### **Darejan Gogashvili**

Gold Used in the Georgian Manuscripts (Production, Technology, Terminology) . . . 196

### **Mariam Gachechiladze**

About One Unknown Painter Active in Early 20<sup>th</sup> Century . . . . . 205

<b>Eter Edisherashvili, Nino Tsitsishvili</b>	
On the Painters Working in Ubisi Church . . . . .	219
<b>Inga Lordkipanidze</b>	
Recollections of Near Past (Tinatin Virsaladze) . . . . .	232
<b>Manana Khidasheli</b>	
Tina, as I Remember Her . . . . .	248
<b>Marina Vachnadze</b>	
Recollecting Tinatin Virsaladze . . . . .	252
<b>Tinatin Virsaladze (1907-1985)</b>	
13th C. Murals in Khobi Church . . . . .	2766



მანანა ხიდაშელი  
ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## ფერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო პულტურებსა და ქართულ ხალხურ პულტურაში

ადრესამიწათმოქმედო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კულტურა ყალიბდება, როგორც აზრობრივად დატვირთული, აუცილებელი ნორმების, ტრადიციებისა და გარკვეული ღირებულებების მქონე ერთიანი სისტემა. სოციუმი მას იყენებს ქცევათა რეგულაციის, ცოდნის დაგროვებისა და მისი შემდგომი თაობებისათვის გადაცემისათვის. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მენტალური ველი აშკარად გამოხატულ სიმბოლურ ხასიათს აგარებს, რომელშიც გასულდგმულებული და პერსონიფიცირებული სამყარო მთლიანად იყო ჩართული, სადაც მისი მნიშვნელობა მრავალრიცხოვანი სიმბოლოების მიღმა იყო დამალული. ეს ის ხატები იყო, რომელნიც ქმნიდნენ და განსაზღვრავდნენ არქაული კულტურის სიმბოლურ ბირთვს.

არქაული ადამიანის თავისებური, გრძნობებზე დამყარებული, სინკრეტული აზროვნება აერთიანებდა არსებული რეალობის ყველა დონეს და მთლიანობაში მოიცავდა, როგორც ბუნებრივ, ისე ზემოქნებრივ წესრიგს. ამიტომ, ადამიანისათვის მთელი სამყარო წარმოადგენდა სიმბოლოს, ისეთ მაჩვენებელს, რომლის გააზრებით ადამიანი მეტაფიზიკური მოვლენების თავისებურ გაცნობიერებასაც ახერხებდა<sup>1</sup>.

არქაული ადამიანისათვის მთელი სამყარო გარკვეული ხატების საშუალებით იყო გააზრებული. სიმბოლოთა საშუალებით ადამიანის შინაგანი განცდები, გრძნობები, სამყაროზე შეხედულებები, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს უკავშირდებოდნენ და რეალურ, ხელშესახებ სახეს იძენდნენ. ამიტომ სიმბოლო, ისევე როგორც რიტუალი, სამყაროსთან ადამიანის თანაზიარების უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო<sup>2</sup>.

სიმბოლური დატვირთვა პქონდა მიცემული ფერსაც. ფერი, ისევე როგორც ორნამენტი, არა მხოლოდ ალამაზებდა გარემოს, ან გარკვეულ საგანს, არამედ სოციუმის რეალური ცხოვრებისა და მისი რიტუალურ-მაგიური ქმედების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

სიმბოლო მრავალმხრივი ინფორმაციას შეიცავდა. როგორც აღნიშვნას რბარტი, სიმბოლო ან ნიშანი შეიძლება იყოს გარკვეული ცოდნის შესწავლის ობიექტი. ამავე დროს, იგი განხილული უნდა იყოს, როგორც ხედვის ობიექტი, საჭიროა გამოაქვარებულ იქნას, თუ როგორ მოძრაობს ნიშანი მნიშვნელობათა ველში, უნდა შემოიხაზოს მისი მოძრაობის კონფიგურაცია და განხილულ იქნას როგორც იდეა, ბუნებასთან ადამიანის თანაზიარების აფექტური საშუალება<sup>3</sup>.

1 Р.Генон, Символы священной науки, М., 2002, გვ. 8.

2 ბ.ხოდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. მემატიანე, თბ., 2005, გვ. 127-128

3 Р.Барт, Избранные работы, Семиотика, Психология, М., 1989, გვ. 25.

საინტერესოა ფერის, როგორც არქაული სიმბოლოს ამ თვალსაზრისშით შესწავლა. ფერის გააზრებაში უოველოვის იყო ჩადებული ადამიანის ცოდნა მის გარშემო არსებული რეალობის შესახებ. ამავე დროს, ფერი უოველოვის გულისხმობდა გარდევულ აზრს, მოძრაობდა კულტურისათვის დამახასიაჟენდ მენტალურ ველში და განიცდებოდა, როგორც სამყაროსთან ადამიანის სრული თანაზიარების საშუალება.

როგორც ცნობილია, უძველეს არქეტიპულ სიმბოლოებს წითელი, თეთრი და შავი ფერები წარმოადგენდნენ. ისინი ფლობდნენ იმ უძლიერეს ენერგიას, რომელიც საშუალებას იძლევა სრულად შეიგრძნო არქაული სიმბოლოს სიძლიერე და ხიბლი<sup>4</sup>.

წითელი, სიცოცხლის ფერი იყო და სიცოცხლეს უკავშირდებოდა. წითელი სისხლის ფერიც იყო, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო ცხოვრება. ამასთან სისხლი სიკვდილთანაც იყო დაკავშირებული, რის გამოც, ეს ფერი აქტიურად გამოიყენებოდა დაკრძალვის რიტუალებში<sup>5</sup>.

თეთრი, როგორც არქეტიპული ფერი აბსოლუტან იყო ასოცირებული. იგი სიწმინდის უნივერსალური ნიშანი იყო. თეთრი სულის ცენტრს უკავშირდებოდა, ამავე დროს სიკვდილის ნიშნადაც გაიაზრებოდა. გარდა ამისა, თეთრი აღნიშნავდა ადამიანის დროებით მიუწვდომლობას, მის ღიაობას და მზადყოფნას საკრალურთან შეხებისათვის<sup>6</sup>. თეთრი მთვარესათან, ქალურ საწყისთანაც იყო დაკავშირებული და შესაქმის პასიურ მხარეს აღნიშნავდა<sup>7</sup>.

შავი, თეთრი ფერისადააბსოლუტის სიმბოლურ ანალოგს წარმოადგენდა. შავს შეეძლო გამოეხატა როგორც აბსოლუტური სისავსე, ასევე სიცარიელე. შავი აღნიშნავდა ქაოსს, სიკვდილს. ის ქვესკნელთან და მის ძალებთან იყო ასოცირებული. ამავე დროს ამ სიმბოლოსაც ამბივალენტური ბუნება პქონდა - იგი აღნიშნავდა წყვდიადს და წყვდიადში ახლის ჩასახვისა და აღმოცენების შესაძლებლობას<sup>8</sup>.

წითელი, თეთრი და შავი ფერები არქაული სიმბოლოს ყველა ნიშანს ატარებდნენ. ფერი განიცდებოდა როგორც ნიშანი, რომლის მნიშვნელობა სხვა ობიექტის ანალოგს წარმოადგენდა. ფერი იძლეოდა არა რეაქციას ამ ობიექტზე, არამედ გულისხმობდა მის განზოგადებულ მნიშვნელობას, ან მნიშვნელობათა საკეტრს, რომელიც ობიექტთან სხვადასხვა ხარისხით იყო დაკავშირებული.

ფერი, როგორც სიმბოლო ამბივალენტურ ხასიათს ატარებდა. მისი მნიშვნელობა პოლისემანტიკური იყო და შეეძლო გადმოეცა მოვლენის სხვადასხვა მხარე. ფერები განსაზღვრავდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს, მაგრამ უოველოვის ერთ სისტემაში იყვნენ გაერთიანებულნი. ამ სისტემის მთავარ დანიშნულებას წინააღმდეგობათა მოხსნა, უოველი მოვლენის გენეზისამდე დაყვანა და კოსმოგონიის არსის ჩვენება იყო. ფერის, ისევე როგორც უოველი სიმბოლის საშუალებით მატერიალური, ხელშესახები

4 К.Г.Юнг, О природе Психе, М., 2003, გვ. 57-68.

5 რ.ბარტი აღნიშნავდა, რომ უმველესი დროიდან წითელი დვინო სისხლის იპოტეასს წარმოადგენდა, სისხლი კი სიცოცხლის განსახიერება იყო, Р.Барт, Мифология, М., 2004, გვ. 117.

6 Р.Генон, Очерки о традиции метафизике, М., გვ. 103.

7 Иллюстрированная энциклопедия символов, М., 2003, გვ. 103.

8 იქვე, გვ. 642.

სახე ეძღვოდა იმას, რაც უხილავი, ილაუზორული იყო, რის შედეგად გეგურაციის სამყარო რეალურად არსებულის სახეს იღებდა.

მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების არეალში, ყველაზე ძლიერი დატვირთვა წითელ ფერს ჰქონდა მინიჭებული. ის ინტენსიურად გამოიყენებოდა როგორც ადამიანის პროფანულ ცხოვრებაში, ისე რიტუალებში.

საცხოვრებლის ინტერიერში წითელი ფერის გამოყენება პირველად იერიქო I ნამოსახლარზე იქნა დადასტურებული. ჰელი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულით დათარიღებულ სამოსახლოზე, ერთ-ერთ საცხოვრებელში კედელი წითლად იყო შეღებილი, ხოლო იატაკე მცენარის წითელი ტოტი იყო დახატული<sup>9</sup>.

იერიქო I წითელი და თეთრი ფერები ინტენსიურად გამოიყენებოდა რიტუალებშიც. ამ რიტუალებში დიდ როლს მიცვალებულთა თავის ქალები ასრულებდნენ. მათი სახე სპეციალურად იყო აღდგენილი და მოდელირებული – გამოძერწილი იყო ცხვირი, ყურები, ყელი და ნიკაპი. ყოველ მათგანს შუბლზე დატანილი ჰქონდა წითელი ლაქა. პ.კენიონს მიაჩნია, რომ ამგვარად მოდელირებული თავის ქალები მიცვალებულთა პორტრეტულ გამოსახულებებს წარმოადგენდნენ<sup>10</sup>.

ტელ-რამადში, ამგვარი თავის ქალები იატაკის ქვეშ, ორმოში იყო ჩალაგებული. მათ გვერდით აღმოჩენილი იყო ადამიანის თიხის ქანდაკებებიც. ორ მათგანს მუცელზე თეთრი ლაქა ჰქონდა დასმული. ერთი ფიგურის მუცელზე გამოხატული იყო წითელი ფერის ვერტიკალური ხაზი, ხოლო მეორეზე - წითელი შევრონი. ნ.კონტენისონის ვარაუდით, ეს ფიგურები ქალისა და მამაკაცის გამოსახულებებს წარმოადგენდნენ<sup>11</sup>.

როგორც ჩანს, ტელ-რამადში დიდი მნიშვნელობის მქონე რიტუალი სრულდებოდა. მიცვალებულები, თიხის ქანდაკებები, როგორც გარკვეულ მოვლენათა მფარველები და ცოცხალი ადამიანები, ერთად იღებდნენ მონაწილეობას მათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ქმედებაში. აშკარად იყო გამოხატული რწმენა იმისა, რომ ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის არ წყდება ურთიერთობა, რომ არსებობს მუდმივი კავშირი ცოცხლებსა და წასულებს შორის<sup>12</sup>.

უფრო გვიანდელ ხანას (იერიქო II) ეკუთვნის თითქმის ნატურალური ზომებით შესრულებული, თიხისაგან გამოძერწილი ადამიანთა ფიგურების ფრაგმენტები, რომელზეც წითელი და ღია კრემისფერი ზოლები იყო დატანილი. ამავე კულტურას განეკუთვნება აგრეთვე ლერწმისაგან დაწნულ კარკასზე მდგარი ადამიანთა ორი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში წითლად შედებილი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ფიგურები იყო წარმოადგენილი.

გარკვეული სიმბოლური დატვირთვა შავსა და წითელ ფერებს მტკვარარაქსის კულტურაშიც ჰქონდა მინიჭებული. ქვაცხელას ნამოსახლარზე, ის დარბაზი, სადაც ირმის რიტუალური სიკვდილის შემთხვევა იქნა დადასტურებული, სხვადასხვა სიმბოლური სახეებით იყო გადატვირთული. კედელთან იყო შემაღლება, სადაც ჭურჭელი საგანგებოთ იყო დალაგებული.

9 Древнейшие цивилизации, под редакцией Г.М.Бонгардт-Левина, М., 1889, гл. 55.

10 K.Kenyon, Digging up Jericho, London, 1957, гл. 34.

11 H.Contenson, 3<sup>o</sup> Compugne à Tell Ramad 1966. Anatolian Studies I, 1967, гл. 137-141.

12 მ.ხილავა, დასახ.ნაშრომი, გვ. 66-70.

აქვე, თანაბარი დაცილებით ნაცარგროვები იყო განლაგებული. ჰაცარგროვები წითლად იყო შედებილი. მათ ვიწროყელიანი ჭურჭლის ფორმა პქონდათ. ზემოდ ედგათ საგანგებოდ გატეხილი ჭურჭლის ზედა ნაწილი, რომელიც სავსე იყო ეპიფან ამოღებული ნაცრით, რომელიც შეწირულობის შემდეგ რჩებოდა. კერის მარცხენა მხარეს დასვენებული იყო ახალგაზრდა ირმის ჩონჩხი. მენჯის ძვალთან ირემს მიღებული პქონდა სპილენძის ისრის წვერი. ირმის ფეხებს შორის იდგა შავლება ცალყურა ბადია. იქვე მიწვენილი იყო სამყურა ვიწროყელიანი ქილა, რომლის ყელი წითლად იყო შედებილი. ჭურჭლის მუცელზე ირმის გამოსახულება იყო ამოკაწრული. ირმის ხერხემალთან შავი ჭურჭლის ერთი გვერდი იდო<sup>13</sup>.

ასეთივე წითლად შედებილი ნაცარგროვები ხიზანაანთ გორაზეც იქნა დაფიქსირებული<sup>14</sup>.

არქაულ კულტურაში, ფერის, როგორც სიმბოლოს ხასიათის დასადგენად უმნიშვნელოვანების მასალა ჩათალ-პუიუკშია გამოვლენილი. ჩათალ-პუიუკი კონიის ველზე მდებარეობდა. ის აღრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთი უდიდესი დასახლება იყო. ძეგლი ძვ.წელთაცხრიცვის VII-VI ათასწლეულით არის დათარიღებული. ჩათალ-პუიუკში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საცხოვრებელი შენობები. განსაკუთრებით ცნობილია მოხატული დარბაზები, რომლებსაც ჯ.მელაარტი სამლოცველოებს უწოდებს. ე.ანგონოვას აზრით, ეს მოხატული დარბაზებიც საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ, რომლებმიც, ამავე დროს, კულტის ცერემონიალიც სრულდებოდა<sup>15</sup>. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დარბაზებს, რომლებიც პოლიქრომული, დეკორატიული კედლის მხატვრობით იყო შემკული.

ჩათალ-პუიუკის კედლის მხატვრობაში გადმოცემული იყო დღესასწაულების, რიტუალური თამაშების, ნადირობის, ბრძოლის, ცეკვის, მიცვალებულთა დატირების, მათი დაკრძალვის, მშობიარობის სცენები. აქ ცოცხლებთან ერთად მიცვალებულებიც მოქმედებდნენ. ეს გასამართლო სიცხადით დანახული საკრალური სამყარო იყო, რომელიც მითიდან გამომდინარეობდა და მითს ასახავდა. აქ სრული სახით იყო წარმოდგენილი ყველა ის ნიშანი, რომელიც, ერთი მხრივ, ადამიანის ცოცხალ ყოფას ახასიათებდა, ხოლო, მეორე მხრივ, რიტუალებში იყო სრულად გამოვლენილი. იგი უშუალოდ და ხელშესახებად წარმოსახავდა ადამიანთა ცხოვრების განმსაზღვრელ საკრალურ სამყაროს, ამტკიცებდა მის უტყუარობასა და ჭეშმარიტებას<sup>16</sup>.

ჩათალ-პუიუკის კედლის მხატვრობაში ინტენსიურად იყო გამოყენებული ფერი, რომელიც მინერალური საღებავებით იყო შესრულებული. ყველაზე ძლიერი დატვირთვა წითელ ფერს პქონდა მინიჭებული. იმ ოთახებში, რომელიც არ იყო მოხატული, კედლები წითლად იყო შედებილი. წითელი ფერისა იყო აგრეთვე ოთახში გაკეთებული ნიშები და ბაქნები, რომელთა ქვეშ მიცვალებულები იყვნენ დაკრძალული. კედლის მხატვრობაში წითელი ყველაზე ხშირად შავ და თეთრ ფერებთან იყო დაწყვილებული. იშვიათად

13 ლ.დლონტი, ალ.ჯავახიშვილი, ურბნისი, I, თბ., 1965, გვ. 52.

14 ი.კიკიძე, ხიზანაანთგორის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამთსახლარი, თბ., 1972, გვ. 25.

15 Е.В.Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М., 1984, გვ. 202.

16 მხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო... გვ. 66-70.

გამოიყენებოდა მწვანე და ცისფერი საღებავებიც.

ჩათალ-ჰუიუკის კედლის მხატვრობა უაღრესად მრავალფეროვანია. ერთ-ერთ დარბაზში (IV-I) პანოზე გამოსახული იყო თეთრებში ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც ადამიანის თავის ქალები გჭირა ხელში, მის გვერდით ლეოპარდის ტყავში შემოსილი ქალი იდგა. იქვე იყო გამოსახული ნადირობის სცენა. აქვე წითელი და თეთრი ფერებით შესრულებული ფრონტონიანი შენობა იდგა. ნაგებობის წინ სამარხი იყო გათხოვილი.

საინტერესოა დარბაზი (VII-2) რომლის კედელი გეომეტრიული ორნამენტით იყო დაფარული. წითელად იყო შეღებილი ნიშა და ბაქნები. ნიშის თავზე მრავალფიგურიანი კრმპოზიცია იყო წარმოდგენილი, რომელზეც დახატული იყო წითელად შეღებილი დიდი ირემი, რომელიც ჩვიდმეტი მამაკაცის ექსპრესიული ფიგურით იყო გარშემორტყმული. მამაკაცები მოვარდისფრო წითელი ფერით იყვნენ შეღებილი, სახეზე ეტყობოდათ შავი წვერი. ისინი შემოსილნი იყვნენ ლეოპარდის ან ცხოველის შავი ტყავით. ჯ.მელაარტის ვარაუდით, ეს სცენა გამოხატავდა არა ნადირობას, არამედ რიტუალურ თამაშს.

ამავე კედელზე ირმის კიდევ ორი ფიგურა იყო დახატული, მათ ქვევით კი - ტახი. უფრო ქვევით ქალის ორი ფრონტალური ფიგურა იყო გამოსახული. გვერდით, ხელებით, ისრებითა და ბადით აღჭურვილი ფიგურა იდგა. უფრო ქვევით მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების რიტუალური სვლა იყო განსახიერებული. ე.წ. ლეოპარდის საკუროხეველში წარმოდგენილი იყო ლეოპარდის შავი ფიგურები. მათი სახე წითელად იყო შეღებილი, ხოლო სხეულზე მუქი კრემისფერი ლაქები პქონდათ დატანილი.

ჩათალ-ჰუიუკის კედლის მხატვრობაში საინტერესოდარის წარმოდგენილი წითელსა და თეთრ ფერებს შორის არსებული სემანტიკური კავშირი. აშკარად არის ნაჩვენები წითელის, როგორც სიცოცხლის ფერის მნიშვნელობა, რომელიც აქ ხშირად თეთრთან, როგორც სიწმინდის, საკრალურთან უშუალოდ შეხების ნიშანთან არის დაწყვილებული. ხაზგასმულია თეთრი ფერის კავშირი ქალურ საწყისთან და შესაქმის პასიურ პრინციპთან.

ყურადღებას იმსახურებს ე.წ. „მონადირის ოთახი“. მის ერთ-ერთ კედელზე ხარის დიდი წითელი ფიგურა იყო დახატული. ხარის რქებს შორის ადამიანი იწვა. მისი სხეულის მარცხენა ნაწილი თეთრად იყო შეღებილი, ხოლო მარჯვენა - წითელად. ამავე კედელზე მოცეკვავეთა სცენა იყო გამოსახული. მოცეკვავეთა შორის გამოირჩევა როგორც წითელი, ისე თეთრი ფიგურები. ზოგიერთი მათგანის სხეულის მარცხენა ნაწილი თეთრად იყო შეღებილი, ხოლო მარჯვენა წითელად. ყოველ მათგანს ლეოპარდის ტყავი პქონდა შემოხვეული. ჯ.მელაარტის ვარაუდით, ეს ფიგურები მიცვალებულებს გამოხატავდნენ<sup>17</sup>. ე.ანტონოვას აზრით, ორფრად შეღებილი პერსონაჟები გარდაცვლილთა სამყაროს უკავშირდებოდნენ და სოციუმის უკე მითოლოგიზირებულ პირველ წინაპრებს განასახიერებდნენ<sup>18</sup>.

ამ პერსონაჟების ორი ფერით გამოხატვა, ალბათ, იმაზე უნდა მიუთითოვებდეს, რომ ისინი მართლაც სოციუმის მითოლოგიზირებული წინაპრები იყვნენ. ისინი უკე ნაზიარები იყვნენ საკრალურ სიწმინდეს, რაც თეთრი ფერის ჩვენებაში იყო ნაგულისხმევი. ამასთან ერთად,

17 J.Mellaart, Gatal-Hüyük, a Neolithic Town of Anatolia, L.N.Y., 1967, გვ. 170.

18 Е.В.Антонова, დასახ. ნაშრ., გვ. 64-65.

ინარჩუნებდნენ ადორძინების, ახალი სიცოცხლის დაწყების უნარს, როგორც სიცოცხლის ფერში იყო გამოხატული.

საინტერესოა, რომ ალქიმიური სიმბოლიკის თანახმად, არსებობს გარეგეული თანაფარდობა საქმიანობას „წითელსა“ და „თეთრს“ შორის. წითელი ყოველთვის უფრო მაღალ დონეზე აღადგენს თეთრს. ერთი და იგივე სიმბოლიკა სხვადასხვა დონეზე გამოიყენება იმ შესაბამისობის გამო, როგორიც მათ შორის არსებობს. გარკვეულ შემთხვევაში, ერთი და იგივე სიმბოლო შეიძლება განეცემობრივი ერთ მდგომარეობას, ამავე დროს კი, უნივერსალური გამოვლენის ერთიან და მთლიან ანსამბლს<sup>19</sup>.

ჩათალ-პუიუკის IV ოთახში, რომლის მოხატულობა ცუდად იყო შენახული, აშკარად გამოიჩევა თეთრ სამოსში ჩაცმული ადამიანის წითელი ტორსი. ამავე ფერებშია შემოსილი მის გვერდით მდგარი პერსონაჟები. აქვეა ლეოპარდის ტყავში გახვეული ქალი, რომელიც წითელი სამკაულებით იყო მორთული.

საინტერესოა აგრეთვე ორსული ქალის თეთრი ფიგურა, რომელიც წითელ ფონზეა დახატული (ოთახი VIII-30).

VI ოთახში, ერთ-ერთი კედლის ნახევარი წითლად იყო შედებილი. ზევით ადამიანის წითელი ხელები იყო დახატული. იქვე ეხატა ორი წრე, მარცხენა წრეში თეთრი ხელი იყო გამოსახული, ხოლო მარჯვენაში - წითელი. როგორც ცნობილია, არქაულ ხელოვნებაში, მითისთვის დამახასიათებელ წყვილად დაპირისპირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ქალისა და მამაკაცის ოპოზიციას ეკუთვნოდა. მარცხენა ნაწილში, სიმბოლურად, ქალური საწყისი გადმოიცემოდა, ხოლო მარჯვენა მამაკაცს უკავშირდებოდა<sup>20</sup>. საინტერესოა, რომ ჩათალ-პუიუკში, ეს მნიშვნელოვანი ოპოზიცია, ქალურ, პასიურ საწყისთან დაკავშირებული თეთრი და მამაკაცური, აქტიური წითელი ფერების საშუალებით, სიმბოლურად იყო ნაჩვენები.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ საკრალურ სამყაროში, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით იყო ნაჩვენები ჩათალ-პუიუკის კედლის მხატვრობაში, მნიშვნელოვან როლს ინიციაციები ასრულებდნენ. ისინი ადამიანის საკრალურთან ზიარებასა და შერწყმას ემსახურებოდნენ. ამ უმნიშვნელოვანებს რიტუალებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ნეოფიტის აუცილებელი სიკვდილის ინსცენირებას ემსახურებოდა. ინიციაციების დროს, ადამიანის რიტუალური სიკვდილის შედეგად, მისი განახლებული სახით თავიდან დაბადება, ნიშანი იყო იმისა, რომ ადამიანი ნაზიარები იყო თავის საკრალურ წარსულს და წინაპართა დირებულებებს<sup>21</sup>. ადამიანის დროებითი სიკვდილი და მასთან დაკავშირებული კოსმოგონია, ახლის შექმნის, ახლის აუცილებელი დაბადების იდეას გულისხმობდა. ინიციაციების გავლის შედეგად ადამიანი ახალ ცხოვრებას იწყებდა და აუდგრუის სამყაროში შედიოდა.

რ.გენონი აღნიშნავდა, რომ ინიციაცია ადამიანს სრული რეალიზაციის შესაძლებლობას უქმნიდა, ვინაიდან „ახალი დაბადების“ დროს, ინიციაციის ფაზებს უნდა აღედგინათ კოსმოგონიური პროცესები, რაც მიკროკოსმსა

19 Р.Генон, Очерки о традиции и метафизике, გვ. 240-245.

20 Вяч.Вс.Иванов. Нечет и чет. Избранные труды по семиотике и истории культуры, М., 1959, გვ. 505-507.

21 М.Элиаде, Тайные общества, инициации и посвящения, М., 1999, გვ. 14, 20-21.

და მაგროვოსმს შორის სრულ შესაბამისობას ამყარებდა. ო.გვირჩევის იმასაც აღნიშნავს, რომ ალქიმიურ მისტერიებში უმაღლეს მდგომარეობაში გადასვლა ე.წ. „ხერწნადობის კანონს“ ექვემდებარებოდა, რომელსაც შავი ფერით გამოხატავდნენ<sup>22</sup>.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი უურადღება მიიქცია გრიფების იმ მრავალრიცხვობამა გამოსახულებებმა, რომლებიც ჩათალ-ჰუიუკის კედლის მხატვრობაშია წარმოდგენილი. წითლად შედებილი კედლის ზეპიონ ხშირად თითქმის ერთი და იგივე კომპოზიცია მეორდებოდა. ორი გრიფი თავით ერთმანეთისაკენ იყო მიმართული. მათ შორის თავწაკვეთილი ფიგურა იწვა. გრიფები და თავწაკვეთილი ფიგურა შავი ფერით იყო წარმოდგენილი. გრიფებს ადამიანის წითლად შედებილი ტერფები ჰქონდათ.

ჯ.მელაბარტის აზრით, ადამიანის თავის გარეშე გამოხატვა ის პირობითი ხერხი იყო, რომლის საშუალებითაც მიცვალებულებს გამოსახავდნენ. მისი აზრით, გრიფების სახით, წარმოდგენილი იყვნენ საგანგებოდ ჩაცმული ადამიანები, რომლებიც დაკრძალვის რიტუალში იღებდნენ მონაწილეობას<sup>23</sup>.

შესაძლებელია დავუშვათ, რომ ზეპიონ განხილული სცენები ინიციაციის სიმბოლური გამოსახულება იყო. როგორც უკვე აღვნიშნე, შავი, წყვდიადის, სიკვდილის ფერი იყო, მაგრამ ამასთან ერთად ახალი სიცოცხლის ჩასახვისა და აღმოცენების შესაძლებლობასაც გულისხმობდა. თავწაკვეთილი ფიგურა, რომელიც შესაძლებელია ნეოფიტს გამოხატავდა და გრიფებიც შავი ფერით იყო შესრულებული. ახალი სიცოცხლე აქ შავად შედებილი გრიფების ადამიანის წითელი ტერფებით იყო ნაჩვენები. აქაც, ინიციაციების სიმბოლურად ჩვენების დროს, ძირითადი დატვირთვა ფერს ჰქონდა მინიჭებული.

ფერის, როგორც სიმბოლოს დუალისტური გააზრება სრულად იყო გამოვლენილი ჩათალ-ჰუიუკში გაგრცელებული დაკრძალვის რიტუალებში. აქ ათასი წლის მანილზე დაკრძალვის ერთი წესი მოქმედებდა. მიცვალებულები საცხოვრებელ ოთახებში, წითლად შედებილი ბაქნების ქვეშ იკრძალებოდნენ. გარდაცვლილებს აცლიდნენ რბილ ნაწილს. ჩონჩხი წითელი ან მწვანე ფერით იყო შედებილი, ხოლო ყალი და შუბლი - წითელი ან ლურჯი საღებავით.

ჩონჩხის შესაღებად გამოიყენებოდა ოხრა, ანუ ქანგმიწა და სინგური. ეს საღებავი მიიღებოდა ვერცხლისწყლისა და გოგირდის ცეცხლზე შეზავებით. როგორც სულხან-საბა თრბელიანთან არის განმარტებული, ამ გზით „მიიღებდნენ სახატავსა წითელსა“. მწვანე საღებავი მაღაქიტისაგან მზადდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ოხრა და სინგური უფრო ხშირად ბაგშვებისა და ქალების სამარხებშია აღმოჩენილი. მამაკაცების ჩონჩხი კი ძირითადად მწვანედ იყო შედებილი.

ე.წ. „წითელ თახეზი“, რომელშიც ძირითადად წითელი ფიგური რენებით გამოხატული იყო გოგონას სამარხი. სინგურის საღებავით შედებილი ჩონჩხი კალათაში იყო ჩასვენებული. იქვე იდო ყელსაბამი, რომელიც მარგალიტის ნიუარებისაგან გამოჭრილი დისკოებით,

22 Р.Генон, დასახ. ნაშრ., გვ. 230-232.

23 J.Mellaart, Çatal-Hüyük, გვ.166-167.

ირმის კბილებით, თეთრი, მწვანე და შავი ფერის პატარა ქვებისაგან გადატანილი შედგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნე, წითელი სიცოცხლის, ცხოვრებისეული ენერგიის ფერი იყო, ჩონჩხები დატანებული წითელი საღებავი, სიმბოლურად განასახიერებდა სისხლს, რომელიც სიცოცხლის ახალი აღორძინებისათვის იყო აუცილებელი. წითელი ფერის დაკრძალულის საფლავში გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ იგი სიკვდილთანაც იყო მტკიცედ დაკავშირებული.

ასეთსავე სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა მწვანეც. იგი გაზაფხულის, ბუნების განახლების, ახალი სიმწიფის ფერი იყო. იგი ნაყოფიერებასა და ბუნების აღორძინებასთან იყო ასოცირებული. ამავე დროს, მასში გარკვეული ოპოზიციაც იყო ნაგულისხმევი. მწვანესთან იყო დაკავშირებული მცენარეთა ხრწნადობა, ბუნების დროებით „სიკვდილი“, რაც გაზაფხულზე, მისი აუცილებელი აღორძინებით მთავრდებოდა. საინტერესოა, რომ უფრო გვიან, მოკვდავი და აღორძინებადი ლვთაებები მწვანე ფერით იყვნენ გამოხატული.

არქაულკულტურაში გამოყენებული ფერები, არქეტიპულ, ამბივალენტურ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. ისინი ყოველთვის გამოხატავდნენ მოვლენის არსეს. ამავე დროს, ფერი, ისევე როგორც ყოველი სიმბოლო ორ საწყისს შეიცავდა - სიცოცხლესა და სიკვდილს, ნათელსა და ბელს, სიკეთესა და ბოროტებას. მაგრამ ფერის სიმბოლოები ყოველთვის ერთ სისტემაში იყვნენ გაერთიანებული. ფერი, მისთვის დამახასიათებელი ვარიაციებით, იმ ძირითადი იდეის მატარებელი იყო, რომელიც განსაზღვრავდა კოსმოგონიის ძალასა და მნიშვნელობას. რიტუალის შესრულებითა და საკრალური სამყაროს სიმბოლური გამოსახვით, არქაული ადამიანი ახერხებდა წინააღმდეგობათა მოხსნასა და მათ განეიტრალებას, უზრუნველყოფდა სამყაროს მარადიულ განახლებასა და თვითონაც უშუალოდ ეზიარებოდა იმ ძალას, რომელსაც საკრალური სამყარო ფლობდა.

ვივანოვი წერდა, რომ მსოფლიოში გავრცელებულ ენათა უმრავლესობას ფერთა აღნიშნვის საერთო სისტემა და ფერთა სიმბოლიზმის საერთო ნიშნები ახასიათებს. თუ კი ენაში არსებობს წითელი ფერის აღმნიშვნელი, მასში აუცილებლად დასტურდება თეთრის (ლი ფერისა) და შავის (მუქის) არსებობაც. სწორედ ეს ფერები შედიან ფერთა სიტყვიერი დასახელების ზოგადსაკაცობრით სამკუთხედში, რომელიც სრულად არის გამოვლენილი სხვადასხვა ხალხის რიტუალებსა და მითებში<sup>24</sup>.

საინტერესოა, რომ ქართულ ხალხურ კულტურაში, ძირითადად სწორედ ეს ფერებია გამოყენებული.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში მოქმედი ფერების სიმბოლიკის საკითხებს პირველად თ.ოქროშიძე შეეხო. მისი აზრით, წითელი, თეთრი და შავი ფერების გამა ქართულ ზღაპრებსა და ამირანის ეპოხში საოცარი სიღრმითა და სიმბოლურობით არის აღმნიშვნელი. თეთრი ზესკნელის ფერი იყო და მზის, ან დღის ნათელს განასახიერებდა, ამავე დროს სიხარულისა და ბარაქის მონიშებელ ძალასაც წარმოგვიდგენდა. შუა სკნელს წითელი განასახიერებდა. ის სიცოცხლის, ძლიერების და ბუნების აღორძინების ფერი იყო. შავი ქვესკნელს უკავშირდებოდა, მარადიულ დამეს განასახიერებდა. ამავე დროს, შავი იყო ფერი ქვესკნელისა, სადაც თესლი ლვივდება და

24 ვ. ივლის დასახ. ნაშრ., გვ. 473.

მიცვალებული განისვენებენ. ამ ფერების კავშირი ერთმანეთთან დროშაზე მიღებული იყო<sup>25</sup>.

რჩოლოფაშვილის აზრით, ეს სამი სამყარო ზღაპრებში სამ მთადაც გაიაზრებოდა, ზღაპრებში ხშირად ფიგურირებს წითელი, თეთრი და შავი მთა, ამავე ფერების, დევები, გველეშაპები და წყალი. ჯადოსნური ზღაპრის გმირი, წითელი, თეთრი და შავი რაშის მფლობელია. ამ რაშებს მისთვის შესაბამისი ფერების ტანისამოსი და აკაზმულობა მოაქვთ. ამ სამოსის ჩაცმითა რაშებზე ამხედრებით ახერხებდა გმირი სამყაროს სხვადასხვა სფეროში გადასვლას. ეს სამი ფერი ზღაპრებში იმ სამ განზომილებას განასახიერებდა, რომელიც მთლიანობაში მთელი სამყაროს მომცველი იყო<sup>26</sup>.

რჩოლოფაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ისეთ ფოლკლორულ ძეგლებში, რომლებიც სათავესარქაულ საზოგადოებაში იღებენ, ამ ფერთა მნიშვნელობა მკვეთრად იყო განსაზღვრული. თეთრი დაბადების, სისარულის სიმბოლო იყო, იქ სადაც შავი ფერი იყო ნახსენები, უბედურება გარდუვალი ხდებოდა. წითელი ფერი სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენდა, ამავე დროს ქორწინებასა და ძეობას უკავშირდებოდა. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საქართველოში წითლად ჩამავალ მზეს, მიცვალებულთა მზეს უწოდებენ<sup>27</sup>.

თოქროშიძის აზრით, წითელი სიკვდილის, ანუ შავი ფერის მუდმივი თანამგზავრი იყო, ამიტომ მას განსაკუთრებით ძლიერად ახასიათებდა სხვადასხვაგვარი და ურთიერთსაწინააღმდეგო გაგება. ქართული ზღაპრის მთავარი გმირის ანდერმძი ხშირად იყო ნათქვამი: სანამ წყალი ამ ჯამში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგულეთ, გაწითლდება და მკვდარი ვარო<sup>28</sup>.

„ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა“... საინტერესოა, რომ ამ უძველესი მითოლოგიური თქმულების თანახმად ხევსურეთს ეწვივნენ „ჟამნი“, სამი ვირით - თეთრით, წითელითა და შავით. ვირები ისრებით იყვნენ დატვირთული. თეთრი ვირიდან გასროლილი ისრით ადამიანი მსუბუქად იჭრებოდა, წითლიდან - მძიმედ, ხოლო შავი ისარი მომაკვდინებელი იყო<sup>29</sup>.

წითელი, თეთრი და შავი ფერები ინტენსიურად გამოიყენება ბაგშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებულ - მითოლოგიურ-რიტუალურ კომპლექსში. ამ დაავადებებს საქართველოში სახადს, ბატონებს ან ბატონ-ანგელოზებს უწოდებენ და ღვთაება ბარბოლ-ბარბარის სახელს უკავშირებენ<sup>30\*</sup>.

25 თოქროშიძე, ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. ცისკარი, 1973, 1, გვ. 119.

26 რჩოლოფაშვილი, უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოქში, თბ., 2004, გვ. 102.

27 რჩოლოფაშვილი, დასახ.ნაშრომი. გვ. 99.

28 თოქროშიძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 124.

29 ელ.ვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომბეჭ, ტ.XVI, 1, თბ., 1955, გვ. 165.

30\* ვ-ბარდაველიძე პირველმა შეისწავლა ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება ბარბოლ-ბარბარის ბუნება. მან დაადგინა, ამ ღვთაების უძველესი ხასიათი, გამოავლინა მასში არსებული საქონლის, ნაყოფიერების, მზის ღვთაებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ინფექციურ დაავადებათა ბატონ-გამგებლის ზოგიერთი თვისება გამოავლინა. იხ.ვ-ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარი) თბ. 1941. მისივე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, თბ., 1954, გვ. 17. „იავნანას“ ტექსტების ანალ-

როგორც აღნიშნავს ელვირსალაძე, ბარბარე ქართულ ზოგჯერ „ბატონების“ დედად იყო მიჩნეული. ზოგჯერ ის „დიდი ბატონის“ სახელადაც იყო მოხსენიებული. მისი აზრით, საქართველოში ბატონების სადიდებელი ჰიმნი ორგვარი სახით არსებობდა. ერთი იყო ტრადიციული იავნანა, რომელიც ბატონების დედ-მამის და შვიდი დამა ბატონიშვილის ქების, მათი მოსვლისა და დახვედრის რიტუალს აგვიწერდა, ხოლო მეორე - ბარბარესადმი მიძღვნილ უშუალო ლოცვა-ვადრებას წარმოადგენდა<sup>31</sup>.

საინტერესოა, რომ ქართულ ფოლკლორში, იავნანას ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, ბატონების დედა ზეციდან ჩამოდის, მისი გამოჩენა მზის ამოსვლასაც უკავშირდება. მას თეთრი კაბა აცვია და ის თეთრ ალვის ან თეთრ თუთის ხეზე ცხოვრობდა. მას შვიდი წითელჩოხიანი ვაჟი და შვიდი მზე ქალიშვილი პყავდა. მათი გამოჩენის შედეგად, სოფელში ცრემლი მარგალიტის შვიდი თევზით იბნეოდა. თრაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ოქმულების თანახმად, ერთი კაცი თევზმა ზღვაში გაიტაცა. ერთი სახლიდან თეთრი ბოლი ამოდიოდა, მეორედან წითელი, ხოლო მესამედან შავი. ამ სახლებში სხვადასხვა ავადმყოფობის გამომწვევი ბატონები სახლობდნენ.

ე.ვირსალაძეს გამოქვეყნებული აქვს ბატონების წინააღმდეგ მიმართული შელოცვის უაღრესად საინტერესო ტექსტი. შელოცვაში ნათლად არის მითოებული ბატონების ადგილსამყოფელი - ელვა, წყალი, ვარსკვლავი, ჰაერი, ყოველი მხრიდან შეიძლება მოელოდე მათ შემოტევას. გარდა ამისა, ამ შელოცვაში ბატონების გარეგნობაც არის აღწერილი:

„გასკდა თეთრი კლდე, გამოვიდა თეთრი კაცი, თეთრსა ცხენსა იჯდა.

თეთრი ჩოხა ეცვა, თეთრი მათრახი ეჭირა,

გასკდა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი, წითელსა ცხენსა იჯდა,

წითელი ჩოხა ეცვა,

გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, შავსა ცხენსა იჯდა, შავი ჩოხა ეცვა,

შავი მათრახი ეჭირა<sup>32</sup>.

როგორც ზევით განხილულმა მასალამ დაგვარწმუნა, წითელი, თეთრი და შავი ფერები, ბატონების ფერები იყო. ისინი საგრალურ სამყაროს ეკუთვნოდნენ. მათი დახმარებით, ბატონებს ადამიანისათვის ან უბედურების მოტანა, ან ავადმყოფობის კეთილად დასრულება შეეძლოთ. ამიტომ, არ უნდა იყოს შემოხვევითი, რომ, ქართველი ხალხის ცოცხალ ყოფაში დაცულ, ბატონებისადმი მიმართულ რიტუალებში, ადამიანი, თავდაცვის მიზნით სწორედ ამ ფერებს იყენებდა.

როგორც აღნიშნავს ნ.მინდაძე, ბატონებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა კომპლექსი გულისხმობდა ბატონების შეხვედრას, თუ ბატონები

იზის საფუძველზე და ვბარდაველიძის ნაშრომებზე დაყრდნობით, ივ.ჯავახიშვილმა მიიჩნია, რომ „ბატონებად“ წოდებული ავი სულები, რომელთაც ხალხი ავადმყოფობის გამოწვევის მიზეზად მიიჩნევდა, წმინდა ბარბალეს დაუკავშირა და „იავნანა“ ამ ღვთაების საგალობლად მიიჩნია. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, თბ., 1950, გვ. 190. 31 ელვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში, გვ. 163.

32 იქვე, გვ. 166-168.

განაწყენდებოდნენ, მათ „მობოდიშებას“ და ბატონების გასტუმრებას შემდეგით განვითარება

ავადმყოფის ოთახი ლამაზად უნდა ყოფილიყო მორთული. წითელას დროს, ფანჯრებზე წითელ ფარდებს ჩამოჰკიდებდნენ, საწოლზე წითელს გადააფარებდნენ, ავადმყოფს წითელ პერანგს ჩაცმევდნენ, იატაკზე ჭრელ ფარდაგს დააფენდნენ და ბატონებს სიმღერით მიეგებებოდნენ. ყოველ სადამოს ავადმყოფის საწოლთან თავს იყრიდნენ ოჯახის წევრები, ქალები თეთრი სამოსით, თავზე წითელი და თეთრი თავსაფრებით.

ბატონების განაწყენების შემთხვევაში, ბატონების გულის მოგების მიზნით მობოდიშების რიტუალს ატარებდნენ. ოჯახის წევრი ქალები ფეხშიშველი შემოუვლიდნენ ავადმყოფს. შემოავლებდნენ წითელ მამალს, წითლად შედებილ მტრედს, წითელბაფთიან ბატკანს, ცხვარს, ძროხას, რომელთაც რქებზე ანთებული ბაზები პქონდათ დამაგრებული. თავშემოვლა ცეკვითაც სრულდებოდა. ზოგჯერ დედა ან ბებია, მკერდს გაიშიშვლებდა, „ძუძუებს მიწაზე გაათრევდა“ და ფორთხვით სამჯერ შემოუვლიდა ავადმყოფის საწოლს, სიტყებით: „დედამიწავ, გვაპატიე, შვილი კარგად მიყოფეო“. ბატონების კულტში ეს რიტუალი ერთ-ერთ არქაულ ელემენტად არის მიჩნეული<sup>34</sup>.

უაღრესად არქაული ელემენტების შემცველია აგრეთვე ბატონების გადალოცვის რიტუალიც, რომელიც ხესთან ან გზაჯვარედინზე სრულდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხეს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ბატონებთან დაკავშირებულ სამყაროში. როგორც ნ.მინდაძე აღნიშნავს, რაჭა-ლეჩხუმში თითქმის ყველა ეზოში იდგა ბატონებისათვის განკუთვნილი კაბალი, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული. ხის კავშირი ბარბარესთან ქართულ ფოლკლორშიც არის გამოვლენილი.

„აქ ბატონები მობრძანდნენ, მობრძანდნენ და გაგვახარეს, შვიდი ბატონი და-ძმანი, შვიდ სოფელს მოეფინენო, შვიდი წითელზონანი,

შვიდი დანი, შვიდი მზენი, შვიდი თეფში მარგალიტი, შვიდ სოფელს გადავშალეთო.

შვითგანვე მოვილხინეთო, იაგუნდის მარანშია ლვინო სდგას და ლალი სტევივის, შიგ ალვის ხე ამოსულა, ტოტები აქვს ნარგიზისი, ზედ ბულბული

შემომჯდარა, შევარდენი ფრთასა შლისო, ია ვკრიფე, ვარდი ვშალე,

წინ ბატონებს დავუყარე“<sup>35</sup>.

ელ-ვირსალაძის აზრით, ხე, რომელზეც ბარბარე უნდა ასულიყო, იგულისხმებოდა მურყვაობის დროს, თოვლის კოშკში ხის დატანების ჩვეულებაში, რომელიც ბარბარობას სრულდებოდა და წლის შემობრუნების სიმბოლოდ გაიაზრებოდა<sup>36</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ხე მთლიანი სამყაროს აღმნიშვნელ ერთ-ერთ უძველეს სიმბოლოს წარმოადგენდა. ხის აღმართვა ნიშნავდა, რომ შეწყვეტილია ქაოსი და სამყაროს ნაწილებს შორის ყველა შესაძლებელი

33 ნ.მინდაძე, რელიგიური სინქრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში. ქართველური მემკვიდრეობა, V, ქეთაისი, 2001, გვ. 156.

34 იქვე, 160-161.

35 ელ-ვირსალაძე, დასახ.ნაშრ. 9-10.

36 იქვე.

კავშირია დამყარებული<sup>37</sup>.

ასევე ჯვარიც, უძველეს კულტურებში მთლიანი სამყაროს მეტად პოპულარულ ნიშნად გაიაზრებოდა. ჯვრის მნიშვნელობა სრულად იყო გამოვლენილი გზაჯვარედინთან დაკავშირებულ რიტუალებში. ისევე როგორც ჯვარში, გზაჯვარედინზე აქტუალიზებული იყო შუა გულისა და ოთხი კარდინალური მიმართულების იდეა. გზათა გადაკვეთის ცენტრში თავს იყრიდა და იხსნებოდა ყველა გზა, შესაძლებელი ხდებოდა ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა<sup>38</sup>.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიკარაულოთ, რომ ბატონების გადალოცვის რიტუალი, სიმბოლურად უაღრესად იყო დატვირთული. რიტუალის ხესთან შესრულება, იმის ნიშნად უნდა გავიაზროთ, რომ შეწყვეტილია ქაოსი, ანუ ავადმყოფობა უკვე დაძლებულია და ოჯახში, ან სოფელში წესრიგია დამყარებული. რიტუალის გზაჯვარედინზე შესრულება კი იმ აზრს გამოხატავდა, რომ ბატონების წასაბრძანებლად გზა ოთხივე მიმართულებით იყო გახსნილი.

როგორც ვ.ბარდაველიძე აღნიშნავს, ქართველთა რწმენით, ყვავილის გამომწვევი ბატონები, შავ თმიან, შავ სამოსში ჩაცმულ ბოროტ არსებებს წარმოადგენდნენ, რის გამოც ამ ავადმყოფობას შავ ყვავილსაც უწოდებდნენ<sup>39</sup>. ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში ყვავილით გარდაცვლილთა გლოვას ნიშნად შავების ტარება აკრძალული იყო, არ შეიძლებოდა მათი დატირებაც. ხალხის რწმენით, ბატონები ადამიანს კი არ კლავდნენ, არამედ თავის სამეფოში მოყავდათ, როგორც ყმა ან მონა. ამიტომ მეგრელები მათ ცოცხლებად მიიჩნევდნენ, კუბოს გარეშე კრძალავდნენ, საკაცეზე დაასვენებდნენ და შიშვლად მიაბარებდნენ მიწას. სხვა მიზეზით გარდაცვლილი ადამიანის სუდარა კი თეთრი უნდა ყოფილიყო<sup>40</sup>.

საქართველოში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად მენაკრავი ადგილი დვთაებრივი ძალისა და მისი ნების გამოვლენად იყო მიჩნეული. მეხის დარტყმით დვთაება აფრთხილებდა დამნაშავეს, ან თავის მონად ირჩევდა. ამის აღსანიშნავად, რჩეულს თეთრი სამოსი უნდა ეტარებინა. მეხის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპულის ჭირისუფალი, გლოვის ნიშნად შავ სამოსს არ ატარებდა<sup>41</sup>.

საინტერესოა ხევსურეთში გავრცელებული დაკრძალვის რიტუალი. მიცვალებულს დაბანდნენ, გაპოხავდნენ და გვერდით შელოცვილ ჩვრებს დაუწყობდნენ. სუდარა სამი უნდა ყოფილიყო - თეთრი შიგ ჩასაცმელი, მეორე - წითელი, ხოლო მესამე მუქი ლურჯი, რომელიც ჩოხის მსგავსი იყო და მაუდისაგან იყო შეკერილი. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, ჭირისუფალი ამოირჩევდა წყაროს, მასზე კოშკს ააშენებდა და კოშკის თავზე

37 В.Н.Топоров, К происхождению некоторых поэтических символов. Ранние формы искусства, I, М., 1972, გვ. 93-96.

38 ქალაქერდაშვილი, გზაჯვარედინთან დაკავშირებული სიმბოლიკა ქართულ რწმენა-წარმოდგენებში. ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 116-122.

39 В.В.Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

40 თ.სახოვა, მიცვალებულთა კულტი სამეგრელოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის, III, 1940, გვ. 178, 180, 168.

41 Н.Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991, გვ. 21.

თეთრ ბროლებს დააყენებდა. აქ ხალხი ამოდიოდა, საკვებს ამზადებდნენ იმის და მიცვალებულს დალოცავდნენ<sup>42</sup>.

სამეგრელოში, ადამიანის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს „ზედ დაკვლის“ რიტუალს ატარებდნენ. მიცვალებულის სახელზე სუფრას გაშლიდნენ და სუფრაზე თეთრ მტრედს დასვამდნენ. მტრედი მიცვალებულის სულს განასახიერებდა. სადილის დაწყებამდე ის ჯერ კიდევ სააქაო იყო, და მხოლოდ „ზედ დაკვლის“ შემდეგ გაფრინდებოდა სახლიდან ზეცაში, სულეთში გასამგზავრებლად. დამსწრენი ნაკვერჩხალზე დააგდებდნენ თითო მარცვალ საკმეველს, მიცვალებულს ცხონებას შეუთვლიდნენ და სუფრას მიუსხედებოდნენ<sup>43</sup>.

ადსანიშნავია, ქართველი ხალხის ყოფაში დადასტურებული ერთი ტრადიცია. ცოლის ან ქმრის გარდაცვალების დღეს, ქმარს ან ცოლს თეთრი სამოსი უნდა ჩაეცვა<sup>44</sup>. ამასვე ადასტურებს ხევსურეთში გავრცელებული წესი - თუ ქალს ქმარი გარდაეცვლებოდა, იგი საქორწილო თეთრ სამოსში გამოწყობილი მიცვალებულს სასაფლაომდე მიჰყვებოდა<sup>45</sup>.

უაღრესად არქაული იერი აქვს შენარჩუნებული თეთრსა და შავ ფერებს ქართულ სამონადირეო ეპოხში, სადაც სრულად არის გამოვლენილი ამ ფერების კაგშირი სიკვდილთან და საკრალურ სამყაროსთან. საქართველოს ყველა კუთხეშია დაცული რწმენა ნადირობის ქალდღვთაების შესახებ. იგი ოქროსთმიანი ლამაზი ქალი იყო, რომელსაც ჰქონდა უნარი თავისი ქავშევრდომი ცხოველის სახე მიედო, მონადირესთან გამოცხადებულიყო, მასთან სასიყვარულო ურთიერთობა დაემყარებინა, რასაც მონადირისთვის კეთილდღეობა მოჰქონდა. მონადირისა და ქალდღვთაების სიყვარულს ყოველთვის უკავშირდებოდა მკაცრი ტაბუ - ამ ურთიერთობის საიდუმლოს გაცემა, რაც მონადირის დაღუპვით მთავრდებოდა<sup>46</sup>.

ქართული სამონადირეო ეპოხის ერთ-ერთ უძველეს პერსონაჟს შავი ძაღლი, ყურშა წარმოადგენს. იგი ნადირთპატრონის ერთ-ერთ სახეცვლილებას წარმოადგენს. იგი ეჩვენებოდა მონადირეს, რაც ყოველთვის მისი სიკვდილით მთავრდებოდა. ყურშა ზღაპრული ფასკუნჯის შვილია. ეს ფრთოსანი ძაღლი ხანდახან გამოჩნდებოდა ფასკუნჯის ბუდეში. ფასკუნჯი ამ ლეკვს მიწაზე გადააგდებდა. ამ ფრთოსან ლეკვს იპოვიდა მონადირე, რის შედეგად მისი ნადავლი ნადირობაში ძალიან იზრდებოდა. ძაღლის დაკარგვასთან ერთად მონადირის ნადავლი ქრებოდა. მონადირე იგლოვდა ფრთოსან ლეკვს, მაგრამ მის ძებნაში აუცილებლად იღუპებოდა<sup>47</sup>.

ყურშას ნახტომი, ნახტომი, შავო, ქვეუნის ოდენი, ოდენი, შავო,

ყურშაო შავო, ყურშაო შავო...

საინტერესოა, რომ ქართულ ფოლკლორში მოქმედებს აგრეთვე თეთრი ძაღლიტაპიე. მისი მონადირითად ნიშანს ცეცხლად ანთებული ყურები წარმოადგენს. ისევე როგორც ყურშა, ტაბიე ამინდთანაც არის დაკავშირებული - ჭექა-

42 მიცვალებულთა კულტი ხევსურეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის ,III, 1940, გვ.10-20.

43 თ.სახოცია, დასახნაშრომი, გვ.183.

44 ხ.ქბილცეცხლაშვილი, ფერის მნიშვნელობა ძველ საქართველოში. ქართული წყაროთმცოდნება, თბ.X, 2004, გვ.180-181.

45 დგომრგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987, გვ.10-12.

46 ევირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოხი, თბ., 1964, გვ.53-55.

47 იქვე.

ქუხილი მისი ყეფაა, ხოლო დიდი წვიმა - მისი ტირილი<sup>48</sup>.

ნადირობის ქალღვთაების უმთავრეს ზოომორფულ ინგარნაციას ირემი ან ჯიხვი წარმოადგენდა. მათ ყოველთვის განასხვავებდა რაიმე ნიშანი, თეთრი ფერი, თეთრი ნიშანი შუბლზე, ან ოქროს რქები<sup>49</sup>.

ქართულ ფოლკლორში შემორჩენილია მონადირისა და ქალღვთაების ტრადიცული ურთიერთობის ამსახველი უაღრესად არქაული ვარიანტი. ეს არის სვანეთში ფართოდ გავრცელებული დალისა და ბეთქილის „სიმღერა“, რომელიც სრულდებოდა ფერხულის დროს, გაზაფხულისა და ნაყოფიერების დღესასწაულზე.

განოქმული მონადირე ბეთქილი დალის სიყვარულს უდალატებს. განრისებული დალი მას თეთრი ირმის ან თეთრი არჩვის სახით მოევლინება, ფეხებები გაურბენს, კლდეზე აიყვანს, კვლავ დალის სახეს მიიღებს, შურს იძიებს მონადირეზე და კლდეზე გადაჩეხავს.

ბეთქილის ციკლში, სიკვდილის მომასწავებელ ფერად, თეთრთან ერთად, შავიც გაიაზრება.

ბეთქილ, საბრალო ბეთქილ, საცოდავო...

... გადმომხმარება თეთრი შუნი, ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

გაურბენს ბეთქილს ლაჯვებში.

... უკან მოხედე მის ნავალს, მისი ნავალი აღარ ჩანს,

ეგ ბეთქის წერა იქნება,

შესულა შავსა კლდეში, დიოფალ დალის სამყოფში,

„პაი დღე დიოფალ დალს!“

როგორი კაი დღე გექნება, ამას მე გასწავლი!

... ბეთქილ კლდეზე გადმოვარდება, ძირს ტოლები აიღებენ<sup>50</sup>.

საინტერესო მასალას იძლევა სვანეთში გავრცელებული სიმღერა „დალი“. დალი თეთრ კლდეში მშობიარობს. მას შეილი კლდიდან გადმოუვარდება, რომელსაც მგელი იპოვის და თან წაიყვანს. გზაში მას მონადირე შეხვდება, ბავშვს მგელს დააგდებინებს და თეთრი შუნის დახმარებით დალს უკან მიუყვანს. დალი მონადირის დასაჩუქრებას გადაწყვეტს და სამ არჩევანს აძლევს. დალს შეუძლია მონადირეს ყოველ დღე ერთი ჯიხვი მოაპვლევინოს, ცხრა ჯიხვით დააჯილდოვოს ან თავისი სიყვარული შესთავაზოს. მონადირე დალების სიყვარულს უარყოფს და ცხრა ჯიხვის აირჩევს. დალმა ცხრა ჯიხვი გამოიყვანა, რომელთა შორის ერთი ოქროს რქიანი იყო. მონადირემ სწორედ მას დაუმიზნა თოფი, მაგრამ ჯიხვმა ტყვია არ მიიკარა, მონადირეს შუბლში შეუბრუნა და დაღუპა<sup>51</sup>.

ქალღმერთი დალის შეილია ამირანიც. დალი ამირანის მამას თეთრი ირმის სახით მოევლინება, გამოქვაბულში შეიყვანს, სადაც ოქროს თმიან, ლამაზ ქალად გადაიქცევა, მონადირისა და ქალღვთაების სიყვარულის შედეგად იბადება ამირანი. ბეთქილის ციკლში ამ სიყვარულის შედეგად იღუპება არა ღვთაება, არამედ ადამიანი, რომელსაც დალი შეიწირავს, როგორც თავის საგაზაფხულო მსხვერპლს. ამირანის ეპოსში იღუპება არა ადამიანი, არამედ ღვთაება, ხოლო მისი მემკვიდრე ხალხის

48 Е.Б.Вирсаладзе, Грузинский охотничий миф и поэзия, М. 1976, გვ. 87-88.

49 ელვირსალაძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 53-55.

50 იქვე, გვ. 205-206.

51 ელვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 209-210.

კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირად არის გააზრებული, რომლიც დამატებული მეტყველებს მზისა და მთვარის გამოსახულებანი მის მხრებზე.

ამირანის ეპოშში აქტიურად ფიგურირებს ბადრის თეთრი ცხენი, თეთრონი, რომელიც ზეციდან იყო ჩამოსული და თავისუფლად გადაადგილდებოდა როგორც ზღვაში, ასევე ხელეოზე. მზიური ყამარის მოსაყვანად ამირანის სწორედ ეს მზიური ცხენი სჭირდებოდა. „ბადრი, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე დელვითა, ყამარ ქალ გამოვიყვანო, ქალია თეთრი, მზე ვითა“<sup>52</sup>.

ამირანი აქტიურად ებრძვის წითელ, თეთრ და შავ გველეშაპს. გ.შარაშიძე განიხილავს ეპოშის ერთ-ერთ ვარიანტს, რომელის თანახმად, ამირანი შეებრძოლება შავ გველეშაპს, რომელიც ქვესკნელში მყოფი, ყოველ სადამოს შთანთქავდა ზეცაზე გადახსრილ მზეს. ერთხელ ის ამირანის გადაყლაპავს და მიწის სიღრმეში ბრუნდება. ამირანი მას ფერდს გაუპობს, გარეთ გამოვა და გველეშაპის ფერდს ფიცრით დახურავს. ამის გამო, შავი გველეშაპის მიერ ყოველ სადამოს შთანთქმული მზე, დილით ზეცაზე ამოდის, რის გამოც სამყაროში დღისა და დამის მონაცელეობა უზრუნველყოფილი ხდება<sup>53</sup>.

ამირანის ამ ეპიზოდში სრულად არის გამოვლენილი შავი ფერის ამბივალენტური ბუნება. ის ქვესკნელის, ბოროტების ფერია, მაგრამ, ამასთან ერთად, ახლის შობის ფუნქციასაც ინარჩუნებს. ისევე, როგორც თესლი დვივდება შავ მიწაში, ასევე მზეც, შთანთქმული ქვესკნელში მყოფი შავი გველეშაპის მიერ, ყოველდღე თავიდან „იბადება“ და ზეცაში ადის.

საინტერესოა აგრეთვე „ზდაპარი ტიტველი მგლისა“. ამ ზდაპარის თანახმად, შავი წკეპლა უელგამოჭრილი კაცის გამოლიანების შემძლეა, თეთრი - სულის ჩადგმის, ხოლო წითელი კი ადამიანის გაცოცხლების სიმბოლოა<sup>54</sup>.

რჩოლოფაშვილის აზრით, შავი ფერის, როგორც სიმბოლოს სათავეს, ფერფლი, ნაცარი და ნახშირი წარმოადგენდა. ყოველი ორგანიზმი დაწვის შედეგად იღუპებოდა, მაგრამ უკვალოდ არ ქრებოდა, რადგან დაწვის შედეგად ნახშირი რჩებოდა. პირველყოფილი ადამიანი ფერფლს მოწიწებით ეპყრობოდა და ნაცარში ხედავდა ნაყოფიერების (და აღორძინების მ.ხ.) იმ ძალას, რომელიც სისხლსა და რძესაც ჰქონდა<sup>55</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ არქაული ხანის რიტუალებში მიცვალებულის კრემაციას, ნაცარსა და ნახშირს, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. განსაკუთრებული სიცხადით ეს მოვლენა ჩრდილო მესოპოტამიაში, ძველი წელთაღრიცხვით V ათასწლეულში გავრცელებული ჰალაფის კულტურაშია გამოვლენილი.

იარიმ-თეფე II სამოსახლოებში შესრულებულ რიტუალებში გამოკვეთილად მოქმედებდა ორი ფერი - წითელი და შავი. მაგრამ ეს ფერები საღებავებით კი არ იყო მიღებული, არამედ რიტუალის მსვლელობისას, ცეცხლის მეშვეობით, ბუნებრივად იქმნებოდა.

52 თ.ოქროშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

53 გ.შარაშიძე, პრომეთე და ამირანი ბერძნულ და ქართულ მითოლოგიაში. კავკასიონი, X, პარიზი, 1981, გვ. 106.

54 თ.ოქროშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

55 რჩოლოფაშვილი, დასახ. ნაშრ.. გვ. 105-106.

იარიმ-თეფე II ზოგიერთი რიტუალის თოლოსის საძირკველის ჩაჭრის ცერემონიალს უკავშირდებოდა. მონაწილეები წინასწარ ამტკრევდნენ შესაწირავ ნივთებს, ნატეხებს კოცონში წვავდნენ, შემდეგ ერთად შეაგროვებდნენ და იატაკის ქვეშ, ოვალურ ღრმულში „ჩასვენებდნენ“. ყველაფერი დაფარული იყო ხანძრის ნარჩენი, ნახშირისა და ნაცრის სქელი ფენით.

იარიმ-თეფე II რიტუალები თოლოსების წინ მდებარე ორმოებშიც სრულდებოდა. აქაც ამტკრევდნენ შესაწირავ ნივთებს, წვავდნენ და ნახშირის სქელი ფენით ფარავდნენ. ყურადღებას იმსახურებს სამარხი 50. მიცვალებულის კრემაციის შემდეგ, ძვლები ოვალურ ორმოში იყო ჩასვენებული, იქვე ჩაყრილი იყო საგანგებოდ დამტკრევული ჭურჭლის ნატეხები, დარჩენილი სივრცე შავი ნახშირით და ფერფლით იყო ამოვსებული.

მსგავსი რიტუალები მტკვარ-არაქსის კულტურაშიც არის დადასტურებული. ამირანის გორაზე, მთის მწვერვალზე განლაგებულ სამლოცველოში, დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ცეცხლში დამწვარი ჭურჭლის ნატეხები და ცხოველთა ძვლები, რომელიც ნახშირის სქელი ფენით იყო დაფარული. თეთრწყაროში, სწორკუთხა შენობის იატაკზე, ცენტრში, დიდი რაოდენობით ეყარა ხის ნახშირი, ნაცარი და ჭურჭლის ნატეხები<sup>56</sup>.

ცეცხლი ამ რიტუალებში წითელს, სიცოცხლის ფერს განასახიერებდა. ამავე დროს, ნახშირის - შავი ფერის შემქმნელადაც გვევლინებოდა. მ.ელიადე წერს, რომ ცეცხლის ანთება და მისი რიტუალური ჩაქრობა უკვე არსებულის განადგურებას გულისხმობდა. ამ ქმედების მიზანი იყო იმ ახალი ფორმებისათვის ადგილის გამონთავისუფლება, რომლებიც შესაქმები იდებდნენ დასაბამს. რიტუალის სტრუქტურა ყოველთვის გულისხმობდა „სიკდილს“, „აღორძინებას“, „ახალ დაბადებას“ და „ახალ ადამიანს“. ამის გამო, ამ რიტუალებში მიცვალებულთა თანამონაწილეობაც იგულისხმებოდა<sup>57</sup>.

როგორც განხილულმა მასალამ დაგვარწმუნა, ქართულ ხალხურ კულტურაში გამოყენებული წითელი, თეთრი და შავი ფერები არქაული სიმბოლოს ყველა ნიშანს ატარებდნენ. აქაც ისინი ერთ სისტემაში იყვნენ გაერთიანებული და მათი ფუნქცია მკვეთრად იყო გამოკვეთილი. წითელი სიცოცხლის ფერი იყო, და ამასთან ერთად, სიკვდილთანაც იყო მტკაცედ დაკავშირებული. შავი ქვესპნელს, სიკვდილს უკავშირდებოდა, მაგრამ აღორძინების უნარსაც ინარჩუნებდა. თეთრი, სიკვდილის ნიშანს წარმოადგენდა, აშკარად გამოკვეთილ საკრალურ ხასიათს ატარებდა და ადამიანის საკრალურ სამყაროსთან ურთიერთობას განაპირობებდა.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში გამოყენებული ფერთა სიმბოლიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართულ ხალხურ კულტურაში თითქმის შეუზღუდვავად მოქმედებდა აზროვნების ერთიანი, ხატოვანი სისტემა. მითებსა თუ ზღაპრებში, პოეზიაში, ცოცხალ ყოფაში შესრულებულ რიტუალებში, ყოველთვის იქმნებოდა უძველესი არქეტიპების აღმოცენებისა და მოქმედებისათვის საჭირო გარემო. სიმბოლოებად ჩამოყალიბებულ

56 მხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, გვ. 91-96.

57 მ.ელიადე, მითი და სიმბოლი, გვ. 65-67.

ამ არქეტიპებს, აუცილებელი ფორმულების სახე ჰქონდათ მიღებული და მათი შესრულება სავალდებულოდ იყო მიჩნეული. ეს სიმბოლოები წარმოადგენდნენ გარკვეული აზრის გამომხატველ ნიშნებს, ხოლო მათი ერთობლიობა ქმნიდა ერთიან, კანონიზებულ, სიმბოლურ სისტემას, რომელშიც სრულად იყო გამოვლენილი მეტაფორული აზროვნების ნიშნები და სამყაროს გააზრების ტრადიციული სახე იყო შენარჩუნებული. ამ კულტურის შემქმნელები და შემსრულებლები მკაცრად იცავდნენ საუკუნეებით განმტკიცებულ აზროვნების ხატოვან სისტემას, იმ ტრადიციულობას, რომელშიც შენარჩუნებული იყო ადამიანის, ბუნების და მთელი სამყაროს ერთიანობის განცდა<sup>58</sup>.

### **Manana Khidasheli**

#### **Colour Symbolism in the Early-Farming Cultures of the Near East and Georgian Folk Culture**

For the archaic man, entire world, both visible and metaphysical, was a unity, which was revealed in its mental field through its meanings, images and symbols forming the core of culture. Colour was neither only decorative and embellishing, but had its own symbolism; it participated in the life and ritual-magic actions of the socium. Similar to symbols, colour also reflects certain knowledge of reality, is a bearer of certain concept and a means of contact with the world.

Archetype colours are: red (= blood, accordingly, life and death); white (= absolute, purity, soul – respectively, it is also the death sign – human inaccessibility, openness, approach to the sacral; Moon is female, a passive party of the reality); black (absolute fullness and completeness, chaos-death and origin of new within the darkness). Colours implied generalised meaning of objects and were ambivalent-polysemantic. They participated in the system, revealed cosmogonic essence of events. In the Near East, the strongest was red – both in secular life and rituals – as well as white (Jericho I, 8<sup>th</sup> Mill. B.C.; Tell-Ramad Jericho II). In Mtkvar-Arax culture symbolically loaded is black and red (Kvatskhela settlement-site, ash-hips painted red, used during the ritual slaughter of the stag, black and red vessels, etc.). In Anatolia, Chatal-Huyuk (7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cc. B.C.) great significance is given to the polychromic mythological painting in the cult structures or residential chambers used for the cult purposes; here main is the red colour (even on the surfaces without images), which is combined with the white and black, rarely with green and light blue. In this case, red is definitely the colour of life, while white – denotes sacral, female, passive. Noteworthy are half red-half white figures – the deceased, who have the ability to revive (white – red) (by the way, in the alchemy,

58 მ.ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ. 116-134.  
მისივე, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, გვ. 168-169.

red is the same white, but on a higher level). Noteworthy are friezes of red-legged black gryphons with the beheaded humans – according to J. Melaart, this is the image of death, it might also be the initiation (black – ritual death, red – revival). According to I. Okroshidze, in “Amiran Epos” red – white – black are leading colours (white – light of Dali; red – middle sphere, life, nature; black – world under earth, eternal night and the place, where the seed grows). The same is the function of these colours in fairy tales (R. Cholokashvili).

Red seems to be most contradictory – “companion” to black (death, sunset) and, at the same time, indicating marriage and son-birth. This is the colour of “*batonebi*” (spirits bringing diseases) (H. Virsaladze), while *batoni* bringing smallpox is black (V. Bardavelidze). White is to a certain extent associated with the soul (white dove, white garments of the widowed); black and white colours are seen in the hunter epos (black dog – kura, white – tapie, whiteness or white spot of Dali’s incarnation, deer or ibex, etc.). According to R. Cholokashvili, symbolism of black is rooted in the ash and coal (cf. 5<sup>th</sup> Mill. B.C. Jarim-Thephe II – red and white received from the fire and similar in Mtkvar-Arax culture). Respectively, red – the colour of life – is also linked with the death, white – is the sign of death, but also the inter-mediator with the sacred world.

ანგლი კოლეჯი

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა  
და ძეგლთა დაცვის პკლევის ეროვნული ცენტრი

გარეჯის ფერწერული სკოლის ისტორიისათვის

სუთი საუკუნის განმავლობაში, IX-დან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის ჩათვლით, გარეჯის მონასტრებში სხვადასხვა დანიშნულების მომცრო ეპლესიების ინტერიერებიც მოიხატა, დიდი და დიდებული ტაძრებიც, სატრაპეზოებიცა და სამარტინიულებიც. ამ მოხატულობათა შორის არაერთი მაღალი მხატვრული ღირსებისაა, შემოქმედებითი გადაწყვეტის თავისებურებებით აღმნიშვნილი. გარეჯის კლდეში ნაკაფი მონასტრების მხატვრობის შემქმნელი ოსტატები ვერწერის ადგილობრივ სკოლას ეკუთვნოდნენ – შეა საუკუნეების საქართველოს ერთ ყველაზე დიდსაც, მოწინავესაც და საკუთარი თავისებურებების მქონესაც.

ეს სკოლა, როგორც ფიქრობენ, ადგილობრივი, საგანგებოდ განსწავლული ბერების ძალისხმევით IX საუკუნეში ჩამოყალიბდა, რაც მრავალმთის ისტორიაში ახალ ეტაპს უკავშირდება. დასაწყისშივე, IX-X საუკუნეებში გამოიკვეთა ამ სკოლის მახასიათებელი ნიშნები – ერთიანი ოემატიკა, კოლორიტი, საქტიტორო “პორტრეტის” განვითარება, წიგნის მხატვრობის მხატვრული ხერხების მოშველიება.

“დოდორქის”, “ნათლისმცემლის”, “წამებულის”, “საბერეების”, “ვერანგარეჯის” სავანეებში სწორედ მაშინ მოიხატა იმ დროისათვის ნიშნეული მომცრო დარბაზული და გუმბათიანი ეკლესიები. მხატვრობით აქ მხოლოდ ინტერიერის ფუნქციურად ძირითადი ნაწილები – საკურთხევლის აფსიდი, გუმბათი, ჩრდილოეთი კედელი, – მოინიშნება, სხვა ყველაფერი კი შეღესილია და სითეორემდე ბაცი ნაცრისფრით შეფეხილი.

გამოსახულებათა ცხოვნების იდეასთან დაკავშირებული თემატიკა ქრისტიანობის ძირითად დოგმატს გამოხატავს. განკაცებასა და ქრისტეს, ადამიანისა და ღმრთის, კაცოა მოდგმის სახსნელად ზვარაკად აღსრულებას. საკურთხევლის აფსიდებში “თეოფანია” – ღვთის მოვლინება, “ქრისტეს ამაღლება” თუ “ვედრება” (რაც მის მეორედ მოსვლასა და განკიოთხვის დღესაც აღნიშნავს) გამოიხატება, ჩრდილოეთ პედელზე – “ჯვარცმა”, გუმბათში – ჯვარი; ეგვტერების მომცრო აფსიდებში წვილედ ღმრთისმშობელს ვხედავთ, აღმოსავლეთქრისტიანული (სირია-პალესტინა, ეგვიპტე, კაპადოკია) იკონოგრაფიის მიღებნებით წარმოდგენილს.

იმ ეპლესიათა მოხატულობებში, სადაც ადგილობრივი ღვთისმსახურები განისვენებენ (“საბერეების” №5 და №6) აღრექრისტიანული სამარტვილეების თემატიკა და VII-VIII საუკუნეების ნიმუშების მოშველიებაც აისახება. დაკრძალვის ადგილებთან მათ მცველებად მოტანილი წმ. მხედართა, გიორგისა და ოვენტრეს პერალდიკური გამოსახულებები თავსდება. X საუკუნეში ეს თემატიკა, უკვე ტრადიციად ქცეული, “საბერეების” №8 ეკლესიის მხატვრობაშიც გაიმუორეს, სადაც წრდილოეთ კედელში, ისევე როგორც №5 ეკლესიაში, სამვალეა გამოყვეთილი, თან, ქტიოტრის სიცოცხლეშივე (ამას მიგანიშნებს აქვთ, სამხრეთ ეგვიპტში მისი

“პორტრეტის” სწორკუთხა შარავანდი).

IX-X საუკუნეების მოხატულობებში გამოსახული სხვა ქტიტორებიც ისტორიული პირები არიან, მათ შორის სასულიერო მოდვაწენიც, რომელიც, როგორც ჩანს, ცნობილიც იყვნენ და სახელოვანნიც, თუმცა მათი გვარ-სახელები, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა. ეს გამოსახულებები არა მხოლოდ გარეჯში პორტრეტის აღრეულ საფეხურს გვიჩვენებს, არამედ შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში მისი უადრესი ნიმუშიცა.

გარეჯის ფერწერული სკოლის განვითარების საწყის საფეხურზე ერთი მოხატულობა მხატვარ-მონუმენტალისტთა კი არა, წიგნის მომხატველთა მიერ არის შესრულებული. “საბერეების” №7 და №8 ეკლესიების X საუკუნის მხატვრობათა ოსტატებმა წარწერებში თავი “მწერლებად” მოიხსენიეს, რაც სწორედ ხელნაწერი წიგნისთვის დამახასიათებელი ტერმინია (ის, მაგ., 940 წლის ჯრუჭის ე.წ. პირველ ოთხთავში იძებნება). ეს იმასაც ნიშნავს, რომ გარეჯში ერთ-ერთი სამონასტრო სკრიპტორიუმი, ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებისა და დედაქნის დაცვა-სრულყოფის კერაც ყოფილა.

ეკლესიების მომცრო ინტერიერებში ქრისტეს, დმრთისმშობლის, წმინდანთა გამომსახველი განცალკევებული, დიდრონი, ხატისებრი კომპოზიციები მაყურებელთან ახლოს იყო მოტანილი და მასზე მონუმენტურობითა და სიდიადით მოქმედებდა, მას თაყვანისცემად და ცხოვნებისათვის სალოცავად აღმრავდა. ხელს უწყობდა ამას მხატვრული თვისებებიც – კომპოზიციათა სიბრტყითობა და სიმეტრიული აგება, მნახველისკენ მიქცეულ ფიგურათა ფრონტალურობა, ექსპრესიული ხაზოვან-გრაფიკული ნახატი და განზოგადებული ფერადოვანი ლაქები, რაც მხატვრული სახეების სპირიტუალობას განსაზღვრავს.

ეს მხატვრობა, დრმა, სპექტაკი რწმენით აღსავსე, უტყუარად სამონასტრო ხელოვნებაა, თუმცა მას ასკეტურს ვერ ვუწოდებთ. გამოსახულებათა აღქმისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ხალისიან, გარემომცველი ბუნების ფერების მონათესავე კოლორიტს (ლურჯი, ცისფერი, ბაცი მწვანე, ფირუზისფერი, თეთრი, სხვადასხვა ელფერის ოქრა, – მას აქვე, გარეჯის სერების ფერდობებზე მოიპოვებდნენ).

თუმცა აქ მრავლად არის ერთი ტიპის გამოსახულებები, გამეორებას ვერ გნახავთ და ეს გარეჯელი მხატვრების შემოქმედებითი ენერგიის დადასტურებაა. განსხვავებული იკონოგრაფიული სქემების მოშველიებით, ფერთა ნაირგვარი შეხამებით და მათი სიმბოლიკის ფართო გამოყენებით ისინი გამოსახულებათა მხატვრული სახოვნების სხვადასხვაობასა და განუმეორებლობას აღწევდნენ.

ზემოქმედების დიდი ძალის ქონე მონუმენტურ მხატვრობას დიდი მნიშვნელობა პქონდა დავითგარეჯის უზარმაზარ საეკლესიო სივრცეში ერთიანი სულიერი ატმოსფეროს დასამყარებლადაც. ამასთან კი, შემზადა მონუმენტური მხატვრობის განვითარების მომდევნო საფეხურზე ორგანული გადასვლაც.

ამ ხანის გარეჯულ მოხატულობებს უნდა მივათვალოთ სოფ. აკურას მახლობლად წმ. ილარიონ ქართველის მიერ 855 წელს დაარსებული მონასტრის (ის დავითგარეჯის მეტოქი იყო) ბაზილიკის აღმოსავლეთი ფასადის მხატვრობაც. აღმოსავლეთი ფასადის კეში, პირით ამომავალი

მზისაკენ, გამოხატულია მკერდზეითი ქრისტე-ჰელიოთი (მზე), მისგანიმოთება გამომავალი სხივებითურთ; მის ოთხ მხარეს ქალთა მკერდზეითი ფიგურებია, რომელიც, ტიპით განსხვავებული ქვეყნიერების ოთხ მხარის (იქნებ, ოთხი სტიქიონის) სიმბოლოა. შინაარსის შესაბამისად, ყოველივე გრაფიკულად, წითელი (მზის ფერია) ნახატითაგამოყვანილი; წითელიქრისტესაღდგომისა და მისი – “აღმოსავლითგან”– მეორედ მოსვლის მანიშნებელიცაა. ნახატი მტკიცეა, გამომსახველი, გამოყენებულმა ადრექრისტიანულმა ნიმუშებმა გარეჯელი მხატვრის ხელში ახლებური სიცხოვლე შეიძინა. ბაზილიკის გარე მოხატულობა (შიგნით ის შეუმკობელი იყო), ასევე, თითქოსდა გამოხატავდა მონასტრის დავითგარეჯის კლდეში ნაკაფ სავანეებთან სულიერ კავშირსა და თანაზიარებას.

XI-XIII საუკუნეები – გარეჯული მონასტრების აყვავების ხანა, – აქაური ფერწერული სკოლის გამალებული შემოქმედებითი მოღვაწეობის დროც არის. ამ დროს დამუშავებულა სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო საღვანების მოხატულობის პროგრამები, ამასთან კი მხატვრები ყველა ცალკეულ შემთხვევაში ძირითადი საღვთისმეტყველო იდეის გამოსახატავად გარკვეული თემების შერჩევა-შეკავშირებით, საგანგებო პროგრამებსაც ადგენდნენ, რაც გარეჯულ მოხატულობებს განუმეორებელ “ინდივიდუალობასაც” სხენს. მხატვრების მაღალი ტექნიკური და მხატვრული ოსტატობა მრავალფეროვნებისადმი, ფერწერის სახეობრივ-ემოციური მხარის გაფართოება-გამდიდრებისკენ მისწრაფებასაც ეხამება. საწყის პერიოდში დასახული ადგილობრივი ნიშნები ახლა უკვე ტრადიციული და განსახლებაზე გარეჯის ფერწერული სკოლის თავისებურებებსაც და, რასაკირველია, მოხატულობებში აქაური წმინდანის – დავით გარეჯელის გამოსახვასაც.

სწორედ ამ ხანის, XI-XIII საუკუნეების მონუმენტური მხატვრობა შემოინახა “უდაბნოს” ნამონასტრალმა და, ამდენად, გარეჯული სკოლის განსაკუთრებულ თვისებებსაც საკმაო სისრულით წარმოგვიდგენს. ამასთან, აქ თვით “უდაბნოს” განსხვავებული თვისებებიც ჩანს, რადგან გარეჯის მრავალმთაში ყოველ მონასტერს მისთვის ნიშნებული გეგმარებაც აქვს და მხატვრული შემკულობაც.

“უდაბნოს” სავანე მაღალ მთაზე, წმ. დავითის “ლავრის” ქედგადმაა განლაგებული. დიდი სამონასტრო კომპლექსის ზედა ნაწილში, ერთი მეორისგან მცირე მანძილზე გამოკვეთილია მთავარი ტაძარი სატრაპეზოთურთ და “მოწამეთას” პატარა ეკლესია. “მოწამეთას” ეკლესია “ლავრიდან” გზად, ამრიგმი პირველი შემოგხვდებათ და, როგორც ფიქრობენ, იმ ადგილზეა აგებული, სადაც შედგა წმ. დავითისა და რუსთავის ერისთავის, ბუბაქარის ისტორიული შეხვედრა. ეკლესიის ინტერიერის მოხატულობაში ეს წმ. დავითის ცხოვრების ამბავთა გამოსახვით გამოიხატა. სავანის მთავარ ეკლესიაში წმ. დავითის ცხოვრების ვრცელი ციდლია წარმოდგენილი, სატრაპეზოში კი – მისი “პორტრეტული” გამოსახულებაა.

ამ მოხატულობებში წმ. დავითგარეჯელის დამუშავებული კონოგრაფიულ ტიპის ვხედავთ – დარბაისლური სახე აქვს, თავზე მსუბუქ ნახევარწერედ შემომდგარი თმა და გრძელი, ბოლოწაწვეტებული წვერი. “ცხოვრების” სცენებში წმინდანის თმა-წვერი წაბლისფერია (ანუ აქ წმ. დავითი თავისი დროის კონკრეტულ პიროვნებად წარმოგვიდგება, თუმცა მისი შარავანდმოსილება წმინდანის საკულტო ხასიათთანაა დაკავშირებული),

სატრაპეზოს მხატვრობაში კი ისინი თეთრია, რაც მის სიწმიდემოსილებას, უქამობას, მარადიულობას გამოკვეთს და, ამდენად, სათაყვანო ხატებად წარმოგვიჩენს. წმ. დავითი ტაძარში ქტიტორებთან ერთადაც წარმოგვიდგება და აქ მის წმინდანობას მის თავსზევით გვირგვინის მპყრობელი უფლის მარჯვენა გვანიშნებს. ამდენად, “უდაბნოს” სამ მოხატულობაში პროგრამულად და მასშტაბურად არის წარმოდგენილი წმ. დავით გარეჯელის კულტი, რაც იმდროინდელ მონუმენტურ მხატვრობაში უმაგალითოა – ეს გახლავთ “უდაბნოს” ძირითადი განმასხვავებელი ნიშანიც.

წმ. დავით გარეჯელის თაყვანისცემის დადგინება სწორედ “უდაბნოში” და არა, როგორც ჩვეულებრივ ხდება, მის საფლავთან “ლავრაში”, პირველ ყოვლისა, იმითა განპირობებული, რომ ე.წ. “ათსამმეტ ასურელ მამათა” (წმ. დავითი კი ერთი ამათგანია) დასაკრძალავი ეკლესიები ტრადიციულად არ იხსეტებოდა და ასკეტურ იერს ინარჩუნებდა (ზედაზენი, შიომღვიმე, წილკანი). გათვალისწინებული იქნებოდა წმინდანის “ლავრაში” განსასვენებლის სიახლოვე და, ალბათ, ისიც, რომ მონასტრის დიდი ტერიტორია საშუალებას აძლევდა გარეჯს მოსულ დიდალ მორწმუნეს გამოევლინათ გარეჯულ სავანეთა დამაარსებლის მიმართ პატივისცემა და მოწიწება.

XI საუკუნის პირველ ათწლეულებში ხელი მოპყიდეს გარეჯული მონასტრების მთავარი, ვრცელი ტაძრების ფერწერით შემკობას (“დოდორქი”, “ნათლისმცემელი”, “უდაბნო”). მაგრამ მხოლოდ “უდაბნოში” შემოგვრჩა – ისიც ნაწილობრივ, – იმდროინდელი მხატვრობა.

ამ მოხატულობის ვრცელი პროგრამა ბიზანტიაში შემუშავებულ, ქრისტიანობის ძირითადი დოგმატის – განკაცებისადამასთან დაკავშირებულ ცხოვნების, – გამომხატველ სქემას მიყვება. იგი არა მხოლოდ ცალკეული წმინდანების გამოსახულებებს მოიცავდა, არამედ, რაც მთავარია, – ლიტურგიულ, ღვთისმსახურებასთან დაკავშირებულ რიგზე დალაგებულ სახარების სცენათა ციკლებსაც.

დღესაც კი, ეკლესიის ნანგრევები (წამოქცეულია კამარა, აფსიდა, სამხრეთი კედელი, ეგვიპტი), რომლებშიც მხატვრობაც გამოსხანს მასშტაბითაცაა შთამბეჭდავი და კოლორიტის სილამაზითაც. მოსახატად გათვალისწინებულ გლუვ კედლებზე გამოსახულებები სამრეგისტრად, იერარქიულად რიგზეა განთავსებული. აფსიდის უზარმაზარ კონქში აღრე აღსაყდრებული ჩვილები ღმრთისმშობლის დიდებული გამოხატულება იყო მისი მოთავება ანგელოზებითურთ. (სიმეტრიულად, აქეთ-იქით თითოები). კამარის შემორჩენილ, ჩრდილოეთ ფერდზე გამოსახულია – “სული წმიდის მოფენა”, “ამაღლება” და “ლაზარეს აღდგინება”. დასავლეთი კედლის დიდი ზედაპირი თითქმის მთლიანად ”განკითხვის დღის” გრანდიოზულ, მრავალნაწილიან კომპოზიციას უჭირავს. ზევით მჯდომარე მოციქულების, მათ უკან კი ანგელოზების ფიგურები განირჩევა, ამას გარდა ცოდვილთა საზარელი ტანჯვის ეპიზოდები და უზარმაზარი, დაკლაკნილი ცეცხლოვანი მდინარე. მაგრამ ასე შემზარავად წარმოდგენილი, მთლიანობაში კაცობრიობისა თუ კოველი ცალკე ადამიანის საბოლოო განსჯისა და განკითხვის დღე, მორწმუნეთ ცხოვნების იმედსაც უდვივებდა – აქვე იყო (აწ დაგარგული) “ვედრების”, ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის კაცოა სსინისთვის მეოხების გამომხატველი კომპოზიციაც. ჩრდილოეთი კედლის შეარეგისტრებულ წმ. დავითის ცხოვრების ციკლის სცენებია; ისინი, როგორც ივარაუდება, სამხრეთ კედელზეც გადმოდიოდა. ეხატა ისინი – (ახლა მათ

XIII საუკუნის მხატვრობა ფარავს) სადიაგვნეშიც, რომლის შესასვლელთან ერთად მათ და მესვეტეა (შპ. სვიმეონ საბგირველმოქმედი, “ათსამეტ ასურელ მამათ” სულიერი მამა), სარგმლის წირთხლებზე კი, კიდევ – წმინდანი კოზმან და დამიანე (ცნობილია, რომ ისინი ადამიანებს მკურნალობდნენ და ცხოველებს კი გველებისგან იფარავდნენ; აქ მათ, ალბათ, მონასტერს უნდა მოაცილონ გველები, რომლებიც ახლაც ბევრია გარეჯის მრავალმთაში).

ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრზე, “ცხორების” სცენების ქვეშ ისტორიულ პირთა მთელი გალერეა გამოსახული; ეს ფეოდალები, პოლიტიკური ხელისუფლების მქონენი როგორც ფიქრობენ, კახეთის სამთავროს უმაღლესი ფეხის წარმომადგენლები არიან; ქმიტორი ეკლესიით ხელში – უშარავანდოა, ასე რომ, ის სიცოცხლეში გამოუსახავთ; გამოსახულთა რომელიმე ისტორიულ პირებთან გაიგივება ჯერჯერობით ჭირს.

მოხატულობა მკაცრად მონუმენტური და ტექტონური აგებულებით გამოირჩევა, რასაც რეგისტრებისა და სცენების გამყოფი სადა, მოწითალო-ყავისფერი ზოლების ხასიათიც უსვამს ხაზს. მოხატულობაში წარმმართველი მონუმენტური, სტატუარული ფიგურებია – ისინი ნათლად გამოიკვეთება ზეციურ, ლია-ცისფერ ფონზე, მათი მოცისფრო-ლურჯი, მოწითალო-ყავისფერი და მოოქროსფრო სამოსის დიდორნი ფერადოვანი ლაქების რიტმული განლაგება კი მათ ერთიან ფერწერულ ანსამბლად კრავს.

დამახასიათებელია მოხატულობის ზოგადი აღნაგობაც – კამარაზე სახარების ციკლის სცენები აფსიდისკენ, აღმოსავლეთით არის მიმართული, “ცხორების” ციკლის სცენები კი, პირიქით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყითხება და, ამგვარად, გარკვეულად გამოიყოფა კიდეც მოხატულობის საერთო პროგრამაში. მხატვრების დამოუკიდებელი მუშაობა თავს განსაკუთრებით ჩრდილოეთ კედლებზე შემორჩენილ “ცხორების” სცენებში იჩენს. წერილობით წყაროდ მათ წმ. დავით გარეჯელის “ცხორების” X საუკუნის არქეტიპი ჰქონდათ (XII საუკუნეში მისი პირველი მეტაფრასიც დაიწერა). ამოკრებილია და რიგითობითაა დალაგებული ძირითადი ეპიზოდები; შინაარსს ასომთავრული ზედწერილებიც განმარტავს – ეს გამოსახულებისა და ტექსტის ურთიერთკავშირის ხელნაწერი წიგნის დასურათებისთვის ჩვეული პრინციპია.

სცენები – მათ არცოუ განიერი მოწითალო-ყავისფერი ზოლი შემოსდევს, – ერთმანეთს მისდევს, რაც იმ ფერწერული ხატების სტრუქტურას მოგვაგონებს, რომელთაც “ცხორების” სცენები აქვს შემოყოლებული. ხელოვნების სხვადასხვა დარგის თავისებურებათა მომარჯვებისა და მათი “გამონუმენტალობისას”, ყოველი სცენა მხატვრულად დასრულებულია, რითაც მხატვრებმა შეძლეს მოხატულობის საერთო სისტემაში ორგანულად ჩაერთოთ ისინი. მხატვრებმა, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ხელოვნებაში ცნობილი სხვადასხვა წმინდანთა ცხოვრების კომპოზიციათა სქემები მოიშველიეს, მაგრამ ისე გადმოსცეს ისინი, რომ მათ სხვაგვარი მხატვრული გამომსახველობა შეიძინა.

ყოველი სცენის შინაარსი ლაპონურად, ხატოვნად, ემოციურად არის ასახული; ცხადიდაგასაგებია არა მხოლოდ გამოსახულების “მოთხოვნილი” ამბავი, არამედ უფრო მთავარიც – ღრმა საღვთისმეტყველო საზრისი.

დალზე “ცხოვრებისეულია” წმ. დავითის მოწაფის, წმ. ლუკიანეს მიერ

ფურიორმების მოწვევის სცენა – ლუკიანე, რომელიც ფურს წველის ბუნებრივად ზის, მშვიდად დგას მის გვერდით ირმების ჯგუფი; მათი ოდნავ გაშლილი ფეხები სახოვნად გადმოგვცემს “ცხორებაში” ნათქვამს – ისინი მეუღაბნოებთან მოვიდნენ და შეჩერდნენ. დენადი ხაზით მოვლებული მათი ლამაზი მოწითალო-ყავისფერი სილუეტები ცხადლივ ისახება ბაც-ცისფერ ზეცასა და ბაც-მწვანე “ნიადაგზე”. ეს ყოველივე კი ადამიანის, ბუნებისა და მისი მობინადრე დვთის ქმნილებების ჰარმონიის შეგრძნებას ბადებს. სწორედ ეს სცენა, თავისი სულიერებით გარეჯელი ბერებისათვის ახლობელი, სხვა გარეჯულ მოხატულობებშიც იქნება წარმოდგენილი (“ბერთუბნის” სატრაპეზო, XIII საუკუნის დამდეგი; “ლავრის” წმ. იოანე დვთისმეტყველის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეები).

მომდევნო სცენა – ირმები წმ. დავითთან საჩივლელად მოსულან, გველეშაპი ჩვენს პატარებს სჭამსო, – ყველაფერი ირმების მდელვარების გადმოსაცემადა გამიზნული. მათი დაგრძელებული კისრებისა და დაცვატილი ყურების კონტურული ნახატი ხაზთა უფრო დაბაბულ რიტმს ქმნის, რაც ცხოველების შეშფოთებას შეესაბამება; ამასვე უსვამს ხაზს უკან მიბრუნებული, დედას აკრული პატარა ნუკრიც; მოუსვენარია გორაკის დატეხილი ფუნჯის სწრაფი მოძრაობით მოვლებული მონახაზი – ის ქვემოთპენ, ირმებისკენ მიისწრაფვის და მათი მოძრაობის ექსპრესიას ეპასუხება (ესეც სატრერის ნიშნური ენაა!). “ცხორების” ამ მონაკვეთის დამაბოლოვებელ სცენაში – გველეშაპის დასჯა, – შინაარსის დიდაქტიკური არსი განსაკუთრებითაა ხაზგასმული: ქვევით გველეშაპის უზარმაზარი, დაკლაკნილი, ძალზე ექსპრესიული (რასაც მისი მოწითალო-ყავისფერი შეფერილობა და ყვითელ-წითელი ალის ენებიც ამკვეთრებს) სხეულის, მის ასწვრივ კი, ზეცად, მისი შემმუსვრელი მიქელ მთავარანგელოზის – ჰეშმარიტი დამცველის და დვთის მბრძოლის, სატანას უკუმქცევის დიდი ფიგურა. “ცხორების” ციკლის სცენების შესრულებისას მხატვრებმა მაღალი ოსტატობა გამოავლინეს და მხატვრული თვალსაზრისით ორიგინალური, განუმეორებელი სულიერებით აღსავსე ნაწარმოებები შექმნეს – ეს მათ მიერ თანაგანცდილის შედეგია.

საერთო იკონოგრაფიულ პროგრამაში წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლის შემოტანამ მოხატულობას ადგილობრივ-ეროვნული ხასიათიც მისცა. ციკლს დიდი დიდაქტიკური მნიშვნელობა ექნებოდა – არათუ მხოლოდ მონასტრის ერებულისთვის, არამედგარეჯისსახელგანთქმული მონასტრების მოსახანულებლად მოსულ მრავალრიცხოვან მოწმუნეთათვისაც.

ეკლესიასთან ერთიან ანსამბლადაა მოცემული (წმინდანთა გამოსახულებებისა და ფერადოვნების მხრივ) სატრაპეზოს ინტერიერის მორთულობაც.

ეკლესიაში წირვის დასრულების შემდეგ ბერთა კრებული იქვე განლაგებულ სატრაპეზოს მიაშურებდა. დარბაზის თაღოვან შესასვლელთან მათ ეგებებოდა წმ. მესვეტეთა – წმ. სვიმეონ ალეპოველისა და წმ. სვიმეონ საკვირველოქმედის, – გამოსახულებანი; მაღალ სვეტებზე მდგომარენი, ისინი ორგანულად თავსდებოდა გასასვლელის აქეთ-იქით; ცალი ხელით ისინი აკურთხებენ, მეორეთი წიგნი უპყრიათ, კითხვისა თუ ქადაგების ნიშნად. შესასვლელის თაღის შიგნით მონუმენტური, ფრონტალური ფიგურებია ადრექტისტიანული ხანის სამონასტრო მოძრაობის მოდვაწეებისა – წმ. ეფთვიმის (Vს., პალესტინა) და წმ. დავით გარეჯელის (VIIს., საქართველო).

ასეთი შეწყვილება იმასაც გამოკვეთდა, რომ წმ. დავითი “მეუღლებნიშვნების მოძღვის”, წმ. ეფთვიმი დიდის მიმღევარია.

სატრაპეზოს ბრტყელჭერიანი დარბაზი არც დიდია და არც მაღალი, ოღონდ ხალვათია – აქ ორ ქვის მაგიდასთან 60-მდე ბერი განთავსდებოდა; რადგან კედლები თეთრია, დაუფარავი, ის საკმაოდ ნათელიც არის.

გეგმარება თრ სულიერ ცენტრს გამოყოფს – აღმოსავლეთით აფსიდია, უძრავი ქვის ტრაპეზითურთ (ეს შუა საუკუნეების საქართველოს სატრაპეზოთა ნიშანია), ჩრდილოეთ კედლებზე კი წინამდგრის დასაჯდომი ნიშა. ორივეგან სალოცეველი ხასიათის კომპოზიცია, “ვედრებაა” დახატული, სხვადასხვა იკონოგრაფიული ნაირსახეობით მოტანილი; წინამდგრის ნიშის თავზე დამატებით ჯერ “ხარება” (ე.ი. განკაცება-ხსნა) იყო გამოსახული XIII საუკუნეში კი მას ჩაენაცვლა გამოსახულება მანდილისა ქრისტეს ხელთუქმნელი ხატითურთ.

აფსიდსა და წინამდგრის ნიშას, სატრაპეზოს დანიშნულებიდან გამომდინარე, განსაზღვრული რიტუალური მნიშვნელობა პქონდა. ცნობილია, რომ აფსიდში, პურობის დროს, მდვდელი რომელიმე პატერიკს კითხულობდა, რასაც ბერების ფიქრი ჯეროვანი მიმართულებით უნდა წარემართა.

ეკლესიის მოხატულობისგან განსხვავებით, სატრაპეზოში ლამაზი ორნამენტული სახეებიც გვაქვს – ლარნაკიდან ამოზრდილი მცენარის ყლორტი, “არქიტექტურული”, ხელნაწერი წიგნიდან მოსესხებული მოტივი (დარბაზის მეორე კარის შიდა პირი, ჩრდილოეთი კედლელი). მას სიმბოლური საზრისიც აქვს, მაგრამ აქ ისინი უფრო დეკორატიულ-მამკობად აღიქმება და დარბაზს ერთგვარ საზეიმო იერს ანიჭებს – ეს იმ, ასე ვთქვათ “მსოფლიურობის” ერთი გამოვლინებაა, რაც ახასიათებს განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას.

სადგომის დანიშნულების შესატყვისად საღვთო ტრაპეზის, ევქარისტიის, თემა ორი კომპოზიციითაა წარმოდგენილი: ჩრდილოეთი კედლის ნიშაში ძველი აღთქმის ამბავია – “სტუმრობა აბრამთან” (იგივე “ძველი აღთქმის სამება”), ზიარების წინასახე, აღმოსავლეთ კედლებზე კი ახალი აღთქმის, სახარების სცენა – “უფლის სერობა”, სადაც მაცხოვარმა ქრისტიანული ღვთისმსახურების უმთავრესი ქმედება – ზიარების საიდუმლო დააწესა. კომპოზიციათა თეთრი, სამოთხისმანიშნებელი ფონები მათ სამარადისო, უჟამო ხასიათს სძენს.

სატრაპეზოს დარბაზში, ნიშებში განთავსებული ხატისებრი გამოსახულებების გვერდით, განსაკუთრებით გამოიკვეთება “უფლის სერობის” მრავალფიგურიანი, აღმოსავლეთი კედლის დიდ სიბრტყეზე გამოსახული კომპოზიცია. შინაარსი ხატოვნად და ემოციურადად გადმოცემული. ქრისტე და მოციქულები სუფრასთან საზეიმოდ მიმსხდარან, მაგრამ მხატვარმა შეძლო ეჩვენებინა დრამატულობაც ქრისტეს სიტყვებისა: “ერთ-ერთი ოქვენგანი გამცემსო”, და მოციქულთა აღელვებული რეაქციაც – უკანასკნელთა სხვადასხვა პოზითა და ხელების ერთმანეთის მონაცვლე მოძრაობით (ის ფიგურების მონასაზს შიგნით რჩება), რაც მათ ჯგუფად აერთიანებს კიდევ. ხელების ტალღისებური მოძრაობა, ამასთან, დინამიკურ ნახატსაც წარმოქმნის და დეკორატიულობასაც უწყობს ხელს.

მაგიდის ორთავ ბოლოში ზეიმურად მსხდომნი, მაცხოვარი და წმ. მოციქული პეტრე წინგაწვდილი ხელის ერთნაირი მოძრაობით მიუთითებენ

სუფრაზე ევქარისტიული ნივთებითურთ, ამით კი თხრობის ისტორიულ  
“კილოს” სიმბოლურ-დოგმატური ენაცვლება.

“უფლის სერობის” გამოსახულების ეს უმთავრესი საზრისი საგულისხმო ოსტატისმიერი ხერხითაც არის ხაზგასმული – სიბრტყეზე განრთხმული მაგიდის ფიცარი (ეს იმ დროის სტილის ნიშანიცაა), მასზე ევქარისტიული მნიშვნელობის მქონე მრავალი ნივთითურთ (პური, თევზი, თასები) საგანგებოდაა გაზრდილი და წინ გამოტანილი, შესაბამისად, ის გააზრებულია როგორც “ევქარისტიული ტრაპეზი”; წითელი სუფრა – მსხვერპლზე მითითებაა.

“უფლის სერობა” მისი მუშაობის მსგლელობასაც დაგვანახებს – ალაგ-ალაგ ფერის ჩამოცვენამ გამოაჩინა მოციქულთა ფიგურების გამოსახვის პირველი საფეხური და აშგარა ხევება, რანაირად შესწორდა საბოლოოდ მათი დაყენება თუ ესტები. ეს თავის მხრივ, გულმოღინე მუშაობის და შესრულებისადმი შემოქმედებითი მიღგომის მოწმობაა.

ეკლესიისგან განსხვავებით, სატრაპეზოში გამოსახულებები თავისუფლად, განცალკევებულ კომპოზიციებადაა განლაგებული, მაგრამ ძირითად შთაბეჭდილებას აპირობებს ერთმანეთს შეხმიანებული ფერადოვანი ლაქების რიტმული გამეორება, რაც მათ ერთიან, მწყობრ ანსამბლად აერთიანებს. აქაც, ისევე როგორც ეკლესიაში, თავს იჩენს XI საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის მკაცრად მონუმენტური, ტექტონური სტილის მხატვრული მიღგომა.

თამარ მეფის ხანაში გარეჯის მონასტრებში მაღალი სასულიერო ღირსებისდვითისმსახურთასაცხოვრებლებშიმათიცუთვნილი, კერძო, მომცრო ეკლესიების მოხატვაც დაიწყეს. მათი დანიშნულებიდან გამომდინარე, შემუშავდა გაფორმების ერთიანი პრინციპიც – ისატებოდა აღმოსავლეთი აფსიდი (აქ სალოცავი ხასიათის გამოსახულებები თავსდებოდა; აქვე უძრავი, ქვის ტრაპეზი არის ხოლმე) და ჩრდილოეთი კედელი (მასზე გამოხატულ მდგომარე წმ. მეომრებს გამოკვეთილად დამცველობითი ფუნქცია აქვს); დანარჩენ ინტერიერს წინანდებურად გალესავდნენ და თეთრად შედებავდნენ ხოლმე. ეგზომ ლაკონური პროგრამის ფარგლებშიც მხატვრები გამოსახულებათა სხვადასხვანაირ გამომსახველობასაც აღწევდნენ და თავისებურებასაც. დამახასიათებელია, რომ თვით სენაკები მხატვრობით მორთული არ ყოფილა და ძველებურად მკაცრი, ასკეტური იერისა იყო.

“უდაბნოს”, ქვედის ქვედა წელზე მომცრო საცხოვრებელი კომპლექსია ეკლესიითურთ. ბრტყელ აღმოსავლეთ კედელზე (მას ტრაპეზია მიღგმული) წარმოდგენილია საღლესასწაულო კომპოზიცია – აღსაყდრებული ჩვილები ღმრთისმშობელი თითო ანგელოზით აქეთ-იქით; მას მოწითალო-ყავისფერი ხაზი ევლება და ის ვეებერთელა ხატად აღიქმება. ჩრდილოეთ კედელზე სამი წმ. მეომარია, მაგრამ ქართან მდგომის ვითარცა მცველის ფუნქცია საგანგებოდ არის ხაზგასმული – დანარჩენი ორისგან განსხვავებით მას ლახვარი კი არა, არამედ მახვილი და ფარი უპყრია – ორისხანედ ზეამართული.

წმ. გიორგის ეკლესიაში (თანმდევი სენაკი დაზიანებულია) ტრაპეზთან აღმოსავლეთ აფსიდში სამფიგურიანი “ვედრებაა” – აღსაყდრებული ქრისტე და აქეთ-იქიდან მავედრებელნი ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემები. ჩრდილოეთი კედლის ნიშაში წმ. გიორგი და წმ. თევდორე

– მათი ერთნაირად აწეული და სწორ კუთხედ ერთნაირად მოხსელდის ხელები ხატოვნად გვიჩვენებს მცველთა, დამცველთა ვალის საზეიმოდ აღსრულებას.

განსაკუთრებით “უდაბნოს” ქვედა ნაწილში განკვეთილი ერთ-ერთი საცხოვრებელი კომპლექსი გამოირჩევა. ის ერთმანეთის გვერდით მოთავსებული ორი სენაკისა და აღმოსავლეთისკენ განლაგებული ეკლესიისგან შედგება, მათ წინ კი დიდრონი ბჭეა. სენაკისა და ეკლესიის თაღოვან კარს შეა მორჩენილ მონაკვეთზე შესულის ხედვის არეში მაშინვე ხვდება წმ. დავით გარეჯელის უზარმაზარი, მონუმენტური ფიგურა; მას სამყურა თაღი ეკლება, თხელ სვეტებზე გადაყვანილი, რომელთა სვეტისთავები ლამაზი ორნამენტითაა მორთული. იგი ხელაპყრობილია – სიმბოლურ სახებად დვთის მიმართ ხენისათვის მავედრებელი წმინდანისა (რა თქმა უნდა, არა მარტო ამ საცხოვრისის მფლობელის, არამედ, რაც მთავარია, გარეჯის მონასტერთა ხენის გამო, რომელთაც არაქრისტიანები ესხმოდნენ ხოლმეთავს). წმ. დავითისამგვარიგამოსახულება შემორჩენილია “ბერთუბნისა” თუ “უდაბნოს” სატრაპეზოთა XIII საუკუნის მოხატულობებშიც და მათ საერთო – მონასტრული ხასიათი ჰქონია.

ეკლესიაში (ის წინამორბედებთან შედარებით ზომითაც დიდია, ხალვათიცა და მაღალიც) კამარაზე ჯვრიანი მედალიონია (გამოყენებულია გუმბათური ტაძრის მორთულობის სქემა). ბრტყელ აღმოსავლეთ კედებზე, ფერწერით ოსტატურად ამოყვანილ აფსიდში “ვედრებაა” გამოხატული – აღსაყდრებული ქრისტე, ვედრებად მდგომარენი ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი; აფსიდის გვერდებზე – მთავარანგელოზნი მიქელი და გაბრიელია; ქრისტეს თავს ზემოთ ჯვრიანი მედალიონია, რომელიც კამარის ჯვართან ერთადაც აღიქმება, რადგან უკანასკნელი აფსიდისკენაა დაძრული; ჯვრის ასეთი ხაზგასმა ქრისტესთან ურთიერთგავშირში სიმბოლურად მიგვანიშნებს მაცხოვრის ტრიუმფსა და კაცთა მოდგმის დასახსნელად მის მაცხოვნებელ აღსრულებას.

ჩრდილოეთ კედებში თაღებში ჩახატულად გამოხახულია არიან – ზედ აფსიდთან წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედი და წმ. იოანე ოქროპირი (ის მუხლსზე ითანა – მის ქვეშ მომცრო, ფუნქციური ნიშაა უამისწირვის სამსახურებელ ნივთთა შესანახად) ურველდღიურად აღსრულებული უამისწირვის შემმუშავებელი. წმინდანებს ომოფორები მოსავთ, ცალ ხელში სახარება უპყრიათ, მეორეთი აკურთხებენ, რაც თითქოს ღმრთისმსახურების სიმბოლური ნიშანიათ. მათ მოსდევთ წმ. მეომრები გიორგი და თევდორე. კველა გამოხახულება (ბჟეშიცა და ეკლესიაშიც) ოსტატმა თაღების რიტმით გააერთიანა, რითაც მთლიანობის შთაბეჭდილება შექმნა; ამასვე უწყობს ხელს ფერადოვანი მახვილების განაწილებაც, რომელთა შორის მოწითალო-ყავისფერი და მოოქროსფრო ოქრა ჭარბობს. შესრულების მხრივ მხატვრობა ნათლად გამოხატავს XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დამდეგის ქართულ მოხატულობათათვის ჩვეულ ხაზობრივ-დინამიკურ, დეკორატიულ სტილს. ეს ფიგურების შესრულებასაც ემჩნევა – ძარღვიანი, მოქნილი ხაზი კი მისდევს სხეულის სიმრგვალეებს, რაც ერთგვარი რელიეფურობის შთაბეჭდილებას გვიქმნის, მაგრამ ტანისამოსის ნაკეცების ან წვრილი, გრძელი, პარალელური ან სხივისებრ გაშლადი მოკლე ხაზებით დამუშავება ნათელყოფს დეკორატიულობისაკენ მიღეკილებას.

დათარიღებას გვიზუსტებს 1188 წლის ქართული ხელნაწერი კრებული

A-65 (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). აქედან უნდა მყოფი გადმოხატული ლამაზი ორნამენტული სახე: ყლორტი, რომელშიც იხვისა და ლომის თავებია ჩართული – იმგვარადვე გრაფიკულად, რუხი საღებავით შესრულებული, ის ეკლესიის შესასვლელის წირთხლებს ამკობს. ამგვარად, მოხატულობა “თამარის ხანისა” ყოფილა.

მოხატულობის მომეტებული დეკორატიულობა (მთავარანგელოზთა სამოსისა და საყდრის “მკირფასი თვლებითა” და “მარგალიტით” ჭარბად შემკობა, ორნამენტული მოტივები) მხატვრობის პროგრამას საზეიმო იერს ანიჭებს და ოსტატის მიერ სანიმუშოდ დიდი ეკლესიების მოხატულობების მოხმობას მოწმობს.

ეს ყოველივე გვავარაუდებინებს, რომ ეს კომპლექსი “უდაბნოს” მონასტრის წინამდგრისა იქნებოდა. მოხატულობა, მისი შედარებით მოზრდილი ზომები მოწმობს, რომ აქ დვოისმსახურება ტარდებოდა და იგი სასულიერო პირთა გარკვეული წრისთვის იყო განკუთვნილი.

კომპლექსის ზოგიერთი არქიტექტურული თავისებურება წინამდგვრის ცხოვრების “პირადულ” მხარესაც კი დაგვანახებს. მეორე, ბეჭედ, ეკლესიის მომიჯნავე სენაკში პატარა სარტყელია გამოჭრილი; მასში “ვედრების” ქრისტე მოჩანს, რომელსაც, ეტყობა წმ. იოანე ოქროპირის გამოსახულების ჩამოსწვრივ მოწყობილ ნიშაში დანოებული სანთლები გაანათებდა. სწორედ აქ უნდა მდგარიყო მთელი დამეები, ლოცვა-ვეძრებით მონასტრის წინამდგვარი.

XIII საუგუნის შუა ხანაშია მოხატული ამაღლების მომცრო ეკლესია, რომლისგანაც მხოლოდ საკურთხევლის აფსიდი და კამარის ჩრდილოეთი ფერდის ერთი მონაკვეთი გადარჩა (უკანასკნელზე დახატულ თაღში მოქცეული “სარების” ნაშთია). მხატვრობა დიდად გაწაფული მხატვარ-მონუმენტალისტის შესრულებული ჩანს, რომლის შემოქმედების თავისებურებანი უთვალნათლივებად აფსიდის საკონქო კომპოზიციაში, “ქრისტეს ამაღლებაში” გამოჩნდა.

აქ ამ მოვლენის სულ ბოლოა გამოხატული (ამასვე აღნიშნავს დღეს ფრაგმენტულად შემორჩენილი ასომთავრული წარწერა – “საქმე მოციქულთას” ამონარიდი ((1,10-11)) – “კაცნო გალილეველნო, რას დამდგარხართ და შეჰყურებო ზეცას? ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად ამავალი იხილეთ იგი”). მოციქულთა მღელვარე რეაქციას მხატვარი ხატოვნად ფიგურების განსხვავებული დაყენებით, მათი ექსპრესიული მოძრაობით, ხელების ქესტიკულაციით (ისინი ხშირად სცდება ფიგურის მონახაზე), სამოსის ნაოჭნაკეცების ცუთხოვანის, ტალღოვანის, წამახულის და ა.შ.) მოძრავი აღნაგობით გადმოსცემს. ფიგურების რიტმულად განთავსება, მათ შორის მომცრო ინტერვალები ყოველი ფიგურის სილუეტის გამომსახველობასაც ავლენს.

ზემო, მოციქულთა ასწვრივ, ბაცი ცისფერი ზეცაა რიტმულად განლაგებული დიდი, ლურჯი, წრიულად ოქროსფრად მანათობელი ვარსკვლავებით მოჭედილი; მის ფონზე ნუშისებრ დიდებაში (ე.წ. მანდორლა) ქრისტეს ოთხი ანგელოზი აამაღლებს, რაც მათი ურთიერთსაპირისპირო მოძრაობების მომეტებული ექსპრესიოთა გამოხატული: თუკი ზედა ფიგურები, მათი ფართოდ გაშლილი ფრთები, თითქმის შერწყმიან მანდორლას მოხაზულობას ქრისტეს საზეომოდ ზევითგან ეზიდებიან,

ქვედა ანგელოზების სწრაფი მოძრაობა ქვემოთკენ, მოციქულების შექნაირით მიმართული და ქრისტეს “დაბრუნებას” – მის მეორედ მოსვლას აუწყებენ მათ; ამასვე ემოწმება ქვევით, მოციქულთა შორის მდგომი ორანტია – ხელებზეაცყრობილი ღმრთისმშობელიც. ქრისტეს ხელები დაშვებული და ნებებით მაყურებლისკენ მოტრიალებული აქვს; ის წარმოგვიღგვა ვითარცა ღმერთი, “რომელიც გამოეცხადა ცოცხლად ტანჯვის შემდეგ, მრავალი სარწმუნო ნიშნით” (საქმე მოციქულთა I, 3), ნიშნად მაცხოვნებელი ჯვარცმისა და ხსნისა.

სცენის საზრისისმიერი მნიშვნელობა ხაზგასმულია კომპოზიციის შეა ღვთისკენ აღმავალი ვერტიკალითაც – ის აფსიდის შეეულ ღერძსაც ემთხვევა, – ქვევით ღმრთისმშობელია, ზევით ქრისტე და თანაც დედა ღვთისას მაფორიუმისა და მაცხოვრის კვართის ქლერადი მოწითალო-ყავისფერითაცაა მონიშნული.

ამგვარად, მთელი კომპოზიცია მოცულია ფიგურებისათუ ვარსკვლავების მოძრაობით, რაც ქრისტეს ამაღლების დიდებულ სანახაობას ქმნის. კოსმოსის სივრცე ქვევით მდგომი მოციქულების ფიგურებსაც დაიტევს, რაც ამბავს უქამობასა და მარადისობას სხენს.

“ამაღლების” კომპოზიციას აფსიდის წინა თაღზე მედალიონში მოქცეული ქრისტე-ევგმანუელის, განკაცებული ღმერთ სიტყვის გამოსახულება ასრულებს – ისიც კოსმიურ, ვარსკვლავურ სივრცეში გვევლინება: თაღის წირთხლებზე დიდრონი მდგომარე ფიგურებია – მარჯვივ ქველი აღოქმის წინასწარმეტყველი ესაია, ქრისტე-ევგმანუელის წინასწარმაუწყებელი, მარცხნივ – ახალი აღოქმის წინასწარმეტყველი ზაქარია (მამა წმ. იოანე ნათლისმცემლისა), რომელსაც ეუწყა ღვთის სიტყვა და ვინც იქადაგა იგი; თრთავეს გრძელი (ახლა – ზედწერილ წაშლილი) გრაგნილები უპყრია.

“ქრისტეს ამაღლების” გარეჯის მრავალმთისათვის დამახასიათებელმა თემამ აქ ახლებური მხატვრულ-სახეობრივი ჟღერადობა მიიღო. ეს კომპოზიცია ფერთა შეთავსებების ფაქიზი შეხამებითაც გამოირჩევა – მოწითალო-ყავისფერი მოოქროსფროს ეფარდება, ბაცი ცისფერი ლურჯს, ბაცსა და მუქ მწვანეს. ასე, რომ, მხატვარს ფერის ღირებულების ესთეტიკური მნიშვნელობაც ღრმად აქვს გააზრებული.

იგივე თემა წარმოგვიღგება ქოლაგირის მონასტრის ეკლესიის კამარაზეც, თუმცა კი მხატვრული ინტერეტაცია იქ სხვაა. ღროის მხრივ ეს კომპოზიციები ერთ პერიოდს განეკუთვნება. მოხატულია ქოლაგირში სატრაპეზოც. სცენების შერჩევის თვალსაზრისით აქ გარეჯული მოხატულობების ტრადიცია გრძელდება: დასავლეთ კედელზე – “უფლის სერობა” და “წმ. სამება – აბრაამის სტუმართმოყვარეობა”; სამხრეთზე – “ქორწილიკანას გადილებისას”. კოლორიტი ისეთივე ნათელი და ხალისიანია, როგორც “უდაბნოში”, მაგრამ ფერთა შორის ხასხასა ფირუზისფერიც ჩნდება, რაც ადრეულ გარეჯულ მოხატულობებს მოგვაგონებს (“საბერებები”).

გარეჯის მრავალმთის მონასტერთა სისტემაში ეს ერთი იმ მოხატულობათაგანია, რომელნიც თითქოს აბოლოვებენო გარეჯის ფერწერული სკოლის შემოქმედებით ღწვას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> წერილში გამოყენებულია შემდეგი ნაშრომები: გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972; ზ. სხირტლაძე, საბერებების ფრესკული წარწერები, თბ., 1985; T. Вирсаладзе, К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удавно в Давид-Гареджа. №36, 1968; A. Вольская, Росписи средневековых трапезных

Aneli Volskaya

## To the History of the Gareji School of Painting

One of the largest, progressive and peculiar schools of painting in the medieval Georgia was active in David Gareji desert monasteries in the 9<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc. Establishment of the school is most likely to be linked with the activity of St. Hilarion the Iberian in Gareji, under whom strict ascetic ideals going back to the times of foundation of the desert (6<sup>th</sup> c.) were to a certain extent became less austere, rock-cut monasteries were architecturally improved and adorned with the murals. In the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cc. incomplete decoration system was practiced here ("Dodorka", "Natlismtsemeli", "Tsamebuli", "Sabereebi", "Veran-Gareja") – Theophany in the chancel (the Virgin and the Child in the chancels of the annexes), Crucifixion on the north wall, Cross in the dome (when the church imitates domed structures); Warrior Saints are depicted by the tombs, as if guarding them; donor portraits – as a rule, those of the clergy – are also found. It is noteworthy that the hand of miniature painters is discernible in the murals, although large, icon-like compositions, on the whole, impress by their monumentality and grandeur. Mural decoration of the east facade of Akura "Mama-Daviti" church (presumably, 885) should also be ascribed to the "Gareji school".

11<sup>th</sup>-early 13<sup>th</sup> cc. witnessed flourishing of the "Gareji school", when not only churches and chapels of diverse size, but refectories were also adorned with murals. The so called "Udabno" monastic-site gives quite a full picture of the painting at that time. Three emphases are discernible within the complex, variously featuring the founder of the Gareji desert, St. David Garejeli – "Motsameta" church at the head, the meeting place of St. David and Bubakar *eristavi* (local ruler) and the miracle connected with it; church of the Virgin (*katholikon* of the monastery), where the life cycle of St. David is represented (together with the Virgin in Majesty, feast cycle scenes and the Last Judgement; life cycle of St. David was also depicted in the diaconicon, with the Deesis in the apse and the Cross on the vault); the refectory, where icon-like image of St. David is included in the mural decoration together with the images of St. Euthymius the Great, the Stylites, scenes linked with the Eucharist (Hospitality of Abraham, Mystic Supper) and Deesis. Murals of both, the *katholikon* and the refectory, represent differing, but well arranged and well thought off system in terms of the general concept and artistic rendering. It is noteworthy that life cycle of St. David, was elaborated by the local painters, reflecting general mood of narration of his Vita in the applied artistic modes (linear rhythm, etc.). In the "epoch of King Tamar", larger and richer mural decorations were made in other monasteries of Gareji desert ("Natlismtsemeli", "Bertubani"), while in "Udabno" small chapels were painted (the Virgin or Deesis in the chancel, Warrior Saints, sometimes, other Saints as well, e.g. St. Nicholas); one of such chapels, with the image of St. David as orans at the entrance, should have been the cell of abbot.

Last stage of the "Gareji school" is represented by the 13<sup>th</sup> murals in the "Ascension" church, where old scheme of Ascension (similar to the case of "Natlismtsemeli") is transformed into a dynamic, cosmic composition; and the so called "Annunciation" (it seems most likely that initially it was dedicated to St. Theodore) church, 1280-1290s, where miniature-like feast cycle scenes co-exist with the monumental portraits of newly martyred St. King Demetre II and the donor, bishop John.

---


Грузии, Тб., 1974; Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948; Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983; J. Lafontaine-Dosogne, Avec collaboration Bernarole orgels, Itineraire archeologiques dans la region d'Antioche sur le monastereet sur l' iconographie de S. Simeon Stylite de Jeune, Bruxelles, 1967.



სურ. 1. უდაბნო. დმრთისმშობლის ტაძარი



სურ. 2. უდაბნო. დმრთისმშობლის ტაძარი, ირმების წველა



სურ. 3. უდაბნო. სატრაპეზო,  
წმ. დავით გარეჯელი



სურ. 4. უდაბნო. სატრაპეზო




სურ. 5. უდაბნო. სატრაპეზო, საიდუმლო სერობა



სურ. 6. უდაბნო. მოწამეთა, ბერების მოწყვედნა



სურ. 7. უდაბნო. ამაღლების ეკლესია



სურ. 8. უდაბნო. წინამძღვრის სამლოცველოს მოხატულობა

## **ადრეულ ქართულ მოხატულობათა პროგრამების თავისებურების გამო**

ადრეული შეა საუკუნეების ქართულ მოხატულობათა ანალიზისას იკვეთება მათი საერთო იდეური გადაწყვეტის ერთი ტენდენცია, რომელიც საგანგებო ჩაკვირვებისა და გააზრების მოთხოვნილებას ბადებს. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ დაკვირვებები და მათზე დაფუძნებული დასკვნები, რომელიც ამ ნარკვევშია მოწოდებული, უკვე დასრულებული კვლევის შედეგებს არ წარმოადგენს. ეს უფრო წინასწარული მოხაზრებებია, ასე ვთქვათ, პრობლემის დასმის მცდელობა, სამომავლო სიღრმისეული გამოწვლილვა-შესწავლის ძირითადი მიმართულების მიმანიშნებელი. ამიტომ მე თავს ვიკავებ განსახილველი, საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიური ფარგლებით მოხაზღვრულ მრავალრიცხოვან მოხატულობათა პროგრამების დეტალური ანალიზისგან; შევჩერდები მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე, რომელიც ყველაზე უკეთ ათვალსახინოებს ჩემს სათქმელს.

როგორც ცნობილია, ადრეული ხანის (VIII ს.-XI ს-ის დასაწყისი) საკმაო რაოდენობით შემოჩენილ ანსამბლებში, რომელიც, უმნიშვნელო გამონაკლისით, მცირერიცხოვან სცენათა ერთობლიობით იქმნება, ხდება წმინდა ხატებათა მიზან-მიმართული შერჩევა-გამოლიანება უმთავრესი თეოლოგიური იდეის წარმოსახენად. მოხატულობათა პროგრამებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ორიოდე შემთხვევის გამოკლებით, ეს არის ზოგადი თეოფანიური იდეა, რომელიც ამოიკითხება როგორც სრული, ისე არასრული დეკორის ნიშუშებში, სხვადასხვა იკონოგრაფიულ ვარიაციებზე დაფუძნებულ პროგრამებში, რომელთა მრავალფეროვნება მართლაც უსაზღვრო შემოქმედებითი თავისუფლების უტყუარი დასტურია. ამასთან, ამ სახიარო იდეის ფარგლებში, საგვებით მკაფიოდ ამოიცნობა საგანგებო იდეური მახვილები, რომელიც შექმნის დროით, მხატვრული მიღრეკილება-თავისებურებებითა თუ დირსებებით ურთიერთისგან საკმაოდ მსხვაობარ ამ ანსამბლებში, თოთქმის უცვლელად, ერთი და იმავე უმთავრესი აზრის – დვთის სიტყვის ხორციელ-ქმნის, უფლის განკაცების, მის მიერ ხრულად კაცებრივი ბუნების მიღების – აქცენტირებას ემსახურება.

ამ დებულების საიდეუსტრაციოდ მეტად საინტერესო მასალას იძლევა არასრულ მოხატულობებზე დაკვირვება, რომელიც, პირობითად, ორ უმთავრეს ტიპოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს – 1. ე.წ. საწყისი ტიპი, როდესაც იმკობა მხოლოდ საკურთხეველი (დარბაზულ ეკლესიებში) და საკურთხეველი და გუმბათი (გუმბათურ ეკლესიებში); 2. ე.წ. გარდამავალი ტიპი, როდესაც საკურთხევლისა და საკურთხეველ-გუმბათის მოხატულობას ემატება ეკლესის ინტერიურის რომელიმე სხვა ნაწილის (კედელი, მკლავი, ბურჯი და ა.შ.) მოხატებაც.

ჩვენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ საწყისი ტიპის მოხატულობებში, ზოგ შემთხვევაში, არც მთლად ტრადიციული იკონოგრაფიული სქემის გამოყენება აშკარად მიუთითებს აფსიდალური კომპოზიციის შიგნით საგანგებო იდეური მახვილის გაჩენაზე. ასე, მაგალითად, თელოვანის ჯვარპატიონსნის ეკლესიის მოხატულობაში (I ფენა, VIII ს.) საკურთხეველი ე.წ. ისტორიული თეოფანიის ორ რეგისტრად განაწილებულ კომპოზიციას ეთმობა – კონქში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხვარი, შეკრდომით მდგომი თითო ანგელოზით მის ორსავ მხარეს, ხოლო აფსიდის კედლის

რეგისტრში, ტრადიციისამებრ, მოციქულთა ფიგურები და, გარდა ამისა, გოლგოთის ჯვრებია განთავრესებული. მნიშვნელოვანია, რომ მოციქულთა რიგის ცენტრში, იქ, სადაც ჩვეულებრივ, ღმრთისმშობლის ფიგურაა წარმოდგენილი, სარგმლის თავზე მედალიონია, მასში ჩაწერილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით, რომელსაც საგანგებო განმარტებითი წარწერაც ახლავს – “შმიდა პირი ღმრთისავ”; შესაბამისად, ღმრთისმშობლის ფიგურა იცვლება (და ესეც ნიშანდობლივია) წარწერითაც საგანგებოდ “სახელდებული” უფლის განკაცების ხატებით, ანუ ისახება აშკარა იდეური მახვილი, რომლის მკაფიო წინწამოწევისთვის მოხმობილია ყველა შესაძლებელი ფორმისმიერი ხერხი – კომპოზიციის ცენტრალურ ღერძზე (ზუსტად კონჭი გამოსახული მაცხოვრის ქვეშ) მისი მოთავსება, მედალიონით მოფარგვდა, წარწერით გამოყოფა, კომპოზიციის ერთიანად განმსჭვალავი “შეფარული მოძრაობის” მისკენ მიმართვა<sup>1</sup> და ა.შ. აქედან გამომდინარე, მხატვრობის პროგრამის საერთო იდეური გადაწყვეტის კონტექსტში, “უმთავრეს იდეად გამოიკვეთება “შინიშნება მაცხოვრის, როგორც ზესთასოფლის მეუფის დიდებით გამოჩინებაზე” და “ამასოფლად მის ხორციელ მოვლინებაზე”,<sup>2</sup> ანუ ხაზგასმულად მახვილდება მაცხოვრის სრულად დვთაებრივი და სრულად კაცებრივი ბუნების შეურევნელი ერთობა, რაც პირდაპირაა გაცხადებული არსებითად ერთი კომპოზიციის ფარგლებში მაცხოვრის ორი ხატების – ანგელოზებით გარემოცული პანტოკრატორისა და “პირი დვთისას” გაერთიანებით.

აღსანიშნავია, რომ არსებითად იგივე აქცენტუაცია შეინიშნება ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობაში (I ფენა, IX-X სს.), სადაც ასევე, საკურთხევებელში ეწ. ისტორიული თეოფანიის ორ-რეგისტრიანი კომპოზიციაა გაშლილი – კონჭი, აღსაყდრებული მაცხოვარი მთავარანგელოზებით მის ორსავ მხარეს, ხოლო კედლის რეგისტრში, ღმრთისმშობლისა და მოციქულთა ტრადიციული ფიგურები<sup>3</sup>; ოდონდ, აქაც, რეგისტრის ცენტრალური გამოსახულება მედალიონშია ჩაწერილი და ეს უკვე ოდიგიტრიის ტიპის ჩვილედი ღმრთისმშობლის ხახვარფიგურაა, ანუ, ისევ და ისევ, უფლის განკაცების ერთ-ერთი ვიზუალური გან-სახიერება. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაშიც კომპოზიციის ცენტრალური, უმთავრესი იდეური მახვილის მტვირთველი ხატების საგანგებო გამოყოფა იმგვარადვე ხდება, როგორც თელოვანში (ცენტრალურ ღერძზე მოთავსებით, უხვად “მომარგალიტებული” მედალიონით მოფარგლით, რეგისტრის დანარჩენ გამოსახულებათა მისკენ მიმართვით). შესაბამისად, აქაც უმთავრესი “უწყება” იგივეა, უძრალოდ ოდნავ “სხვა სიტყვებით” გადმოცემული<sup>4</sup>.

თუკი თელოვანისა და ხეზგუნის მოხატულობანი მცირე ნეუანსებით ვარი-რებულ ერთ სქემას წარმოგვიდგენს, გარეჯის მრავალმთის “თეთრი უდაბნოს” მოხატულობა (არა უგიანეს VIII ს.-ა<sup>5</sup>) სრულიად გამორჩეული, განსაკუთრებული

1 შეად. ზ. სხირტლაძე, VIII-IX სს. ქართული მონუმენტური ფერწერის ძირითადი საკითხები. თელოვანის ჯვარპატიოსანი და გარდამაგალი ხანის მხატვრული ტენდენციები, ხელოვნებათ-მცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო სარისხის მოსაპოვებლად წარდგნილი დისერტაციის ავტორებერაბი (ხელნაწერის უფლებით), თბ., 2003, გვ. 39.

2 იქვე, გვ. 9.

3 ამას ემატება სატრიუმფო თადის შიდა პირზე განთავსებული ურთიერთ-გადაჯაჭვულ მედალიონთა რიგი, რომელთაგან ცენტრალურ ჯვარია ჩაწერილი, ხოლო დანარჩენებში – წინასწარმეტყველთა ფრონტალური ხახვარფიგურები.

4 მოხატულობის პროგრამის უფრო დეტალური ანალიზისთვის, იხ. მ. ყენია, ანსამბლის საერთო გადაწყვეტის ზოგი თავისებურება სვანეთის აღრეულ მოხატულობებში. ლიტერატურა და ხელოვნება, 1997, 1-2, გვ. 143-145.

5 ზ. სხირტლაძის მიერ 2001 გამოქვეყნებულ ნაშრომში გარეჯში ახლად აღმოჩენილ ადრეული ხანის მოხატულობათა შესახებ, ეს მხატვრობა VII-VIII სს-ითაა დათარიდგებული, იხ. Z. Skhirtladze, Newly Discovered Early Paintings in the Gareja Desert. Eastern Approaches to Byzantium, ed. A. Eastmond, Al-

შემთხვევაა. აქ კონქში გამოსახულია ვარსკვლავიერ ცაზე, შვიდფერ მანდორლაში მოქცეული, ძვირფასი თვლებით მორჭვილი, გასხივოსნებული ჯვარი სამოთხის წიაღში, ტოტებგაშლილი პალმებით გარემოცული. მნიშვნელოვანია, რომ ეს გოლგოთის ჯვარია, რაც საგანგებოდა მინიშნებული ჯვრის ზედა მკლავზე მიმაგრებულ ფირფიტაზე დატანილი წარწერით: “იქსუ ნაზარეველი მუუფე ჰურიათად”. აფსიდის კედელზე, ზუსტად ჯვრის ქვემოთ, მირქმაა – სვიმეონი ყრმა მაცხოვრით ხელში და ღმრთისხმობელი. ცხადია, ამ მოხატულობის თეოლოგიური საზრისის ინტერპრეტირებისას ძნელია არ დაეთანხმო ზ. სხირტლაძის მიერ გამოოქმულ საგსებით მართებულ მოსაზრებას, რომ უმთავრესი აქ ძლევის-მომტანი ჯვრის საუკუნო კოსმიური ტრიუმფის ხაზგასმაა<sup>6</sup>. მაგრამ აქვე იბაღება სრულიად ბუნებრივი სურვილიც იმის დამატებისა, რომ სწორედ ზოგად-ტრიუმფალურ ასპექტში, “თეთრი უდაბნოს” მხატვრობაში, თავის აშკარად იხილვება განკაცებული, ჯვარზე ვნებული, უფლის მაცხოვნებელი მსხვერპლის ხიდიადის გამახვილება და, ნიშანდობლივია, რომ საამისოდ ოსტატი მიმართავს უადრესად ლაკონიურ, “სიმბოლოდ” “დაწნებილ” “ფორმულებს” – გოლგოთის ჯვარს კონქში და განკაცების “ნიშან-დასმულ” მირქმის “ხატს” აფსიდის კედელზე<sup>7</sup>. საყურადღებოა, რომ ოქლოვანშიც, განკაცებული მაცხოვრის თეოფანიური დიდება, ტაძრის სკულპტურული და ფერწერული შემკულობის შინაარსობრივი ერთობიდან გამომდინარე, ძლევით-შემოსილი, ცხოველმყოფელი ჯვრის სამარადისო დიდების წარმოჩენას შეერწყმის<sup>8</sup>, საქართველოს მიერ ჭეშმარიტების გზად შედგომის მოწმობად.

გარდამავალი ტიპის მოხატულობებში, საგანგებო იდეური მახვილი ინტერიერში დამატებითი სცენის გამოსახვით ცნაურდება და, უმეტესწილად, იგი ჩრდილოეთ მხარეს თავსდება ხოლმე. ძირითადად, მე გარეჯისვე “საბერეების” სამონასტრო კომპლექსის ეკლესია-სამლოცველოთა მონაცემებს ვეურდნობი, სახელდობრ, №5 ეკლესიის სამხრეთით მდებარე სამლოცველოს (IX ს.), №6 ეკლესიის (IX ს.) და №7 ეკლესიის (X ს.) მოხატულობებს. საინტერესოა, რომ სამივე შემთხვევაში ჩვენ მსგავს იკონოგრაფიულ სქემასთან გვაქს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ცალკეული სხვაობანი დეტალებში<sup>9</sup> - საკურთხეველი ისტორიული თეოფანიის ორ-რეგისტრიან კომპოზიციას ეთმობა<sup>10</sup>, ხოლო ძირითად სივრცეში ჯვარცმის გავრცობილი რედაქციაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივია, რომ №5 ეკლესიასთან მდებარე სამლოცველოსა და №6 ეკლესიაში, არსებითად, ერთი და იგივე სქემა გამოყენებული, ხოლო ნეუანსური სხვაობანი პრინციპულად არ ცვლის საერთო სურათს, რის გამოც ისინი შეიძლება ამჯერად არც მივიღოთ მხედველობაში და ეს ორი მოხატულობა ერთად განვიხილოთ.

dershot, 2001, გვ. 155.

6 Z. Skhirtladze, Newly Discovered Early Paintings . . . გვ. 150-155; მისივე, ავტორეფერატი . . . , გვ. 30-31.

7 საინტერესოა, რომ გარეჯის მრავალმოთის კიდევ ერთ სამონასტრო კომპლექსში, კერძოდ, “ნათლისმცემლის” მცირე ეკლესიის მოხატულობაში (X ს. ბოლო), რომელიც კ.წ. გარდამავალი ტიპის ნიმუშია, მსგავს სქემას ვხვდებით; აქ საკურთხეველის ნიშაში ჯვარია გამოსახული, ხოლო ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თაღში კი, მირქმის სცენა. მოხატულობის დეტალური ანალიზისთვის, იხ. ზ. სხირტლაძე, იოანე მამასახლისის საქტიტორო მოდვაწეობა გარეჯის მრავალმოთის ნათლისმცემლის მონასტერში. სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, საერთოში სიმპზიუმის მასალები, ობ., 2001, გვ. 133-166.

8 დაწვრილებით თელოვანის ტაძრის ფერწერული და სკულპტურული დეკორის შინაარსობრივი ერთობის შესახებ, იხ. ზ. სხირტლაძე, ავტორეფერატი . . . , გვ. 22-26.

9 მოხატულობათა დეტალური აღწერისა და იკონოგრაფიული თავისებურებებისთვის, იხ. ზ. სხირტლაძე, საქართველოს ფრესკული წარწერები, ობ., 1985, გვ. 27-36; 37-45, 56-110.

10 ამჟამად № 5 ეკლესიის სამხრეთით მდებარე სამლოცველოში საკურთხეველის მხატვრობა და-ღუპულია.

ჩვენი საკითხისთვის საგულისხმოა, რომ ჯვარცმაში, ჯვარს მიმსჭვალული მაცხოვრის, დმრთისმშობლისა და წმ. იოანეს გარდა, გამოსახულია მაცხოვართან ერთად ჯვარცმული კეთილი და ბოროტი ავაზაკი, ასისთავი ლონგინოზი და რომაელი ცენტურიონი (ლერწამზე წამოგებული ღრუბლით), მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულებანი<sup>11</sup>.

საუფლო დფესახსწაულთა ციკლიდან მხოლოდ ჯვარცმის (თანაც გავრცობილი რედაქციის), ანუ უფლის ჯვარზე მოწამებრივი აღსრულების, გამოსახვით, უმთავრესი მახვილი დაისმის ქალწულისგან შობილი, განკაცებული ძელმერთის კაცთათვის ვნებაზე, როგორც მისი სრულად კაცების ყველაზე მკაფიო და, ასე ვთქვათ, ცალსახა მოწმობაზე, რომლის კოსმიური მნიშვნელობა ხაზგასმულია ციურ მნათობთა გამოსახვითა და აფხიდალურ კომპოზიციასთან თუ ძლევის-მომტან ტრიუმფალურ ჯვართან (№5 ეკლესიის სამხრეთით მდებარე სალმოცველოს ჩრდილოეთი ნიშის თაღი) ერთიან კონტექსტში გააზრებით<sup>12</sup>.

თუკი ახლახანს განხილულ მოხატულობებში, ერთი და იმავე სქემის ფარგლებში, იდეური მახვილებიც ერთნაირად გამოიკვეთება, №7 ეკლესიაში არა მარტო სცენათა იკონოგრაფიული სქემაა გართულებული, არამედ ოქცენტუაციაც; სახელდღის: თეოფანიურ კომპოზიციაში აღსაყდრებული მაცხოვარი მანდორლაშია გამოსახული, რომელსაც ორი მრავალთვალედი სერობინი აამაღლებს, აქვეა ახვევ თვალებით დაფარული ცეცხლოვანი ბორბლები, წმ. მიქელ და წმ. გაბრიელ მთავარანგელოზნი; ხოლო ჯვარცმა მაქსიმალურად გავრცობილი რედაქციის სახითაა წარმოდგენილი, რომელშიც ჯვარცმული მაცხოვრის, დმრთისმშობლისა და წმ. იოანეს ფიგურების გარდა, შეუვანილია კეთილი და ბოროტი ავაზაკი, ლონგინოზ ასისთავი და რომაელი ცენტურიონი, რომაელი ჯარისაცები, ეკლესიის, მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულებანი, იერუსალიმელი ასულნი, იერუსალემის ტაძარი განახობილი კრეტსაბმელით, მაცხოვარი ჯარისკაცებს შორის (იქნებ, მაცხოვრის შეპყრობაზე მიმანიშნებელი?) და კიდევ ერთი გაიზოდი, რომელიც მაცხოვრის სამოსისთვის წილის ყრასთან შეიძლება გაიგოვდეს.

ამდენად, როგორც აღწერიდანაც გამოჩნდა, თეოფანიურ კომპოზიციაში მახვილი ამაღლებაზე დაისმის, თუმცა, აქვე ჩნდება დამატებითი ოქცენტიც იეზეკიელის ხილვის ელემენტების სახით, რომელთაც უკვე ესქატოლოგიური იდეა შემოაქვთ და კიდევ ერთი საგანგებო მახვილი – მითითება ლოგოსზე მაცხოვრის გაშლილ სახარებაზე დატანილ ტექსტში გაცხადებული, რომელიც წმ. იოანეს სახარების დასაწყისს წარმოადგენს: “დასაბამითგან იყო სიტყვად და სიტყვად იყი იყო ლმრთისა თანა და ლმერთი იყო სიტყვად იგი. ესე იყო დასაბამითგან ლმრთისა თანა” (იოანე, 1,1)<sup>13</sup>. ამას ემატება მთელს ჩრდილოეთ მკლავში გაშლილი ჯვარცმის

11 №5 ეკლესიის სამხრეთით მდებარე სამლოცველოში ეს სცენა ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოკვეთილ ნიშაშია გამოსახული, ხოლო №6 ეკლესიაში – ჩრდილოეთ მკლავში და არათანაბრადაა განაწილებული: “ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში იწყება და რაღაც იქ ვერ თავსდება, ნაწილობრივ მკლავის აღმოსავლეთ კედლებზე გადადის” [ხ. სხირტლაძე, საბერების წარწერები . . . , გვ. 38].

12 საინტერესოა, რომ №6 ეკლესიაში, თეოფანიურ კომპოზიციაში, წმ. მიქელ და წმ. გაბრიელ მთავარანგელოზნი გამოსახული იყვნენ გაშლილი გრაგნილებით ხელში, რომლებზედაც 10-11 სტრიქნიანი წარწერები იყო დატანილი. სამწუხაროდ, წარწერების დაზიანების გამო, ჩვენთვის, ალბათ, სამუდამოდ უცნობი დარჩება, თუ რა ტექსტები იყო დატანილი ამ გრაგნილებზე, არადა მათ, შესაძლოა, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონიდა მოხატულობის საერთო პროგრამის უმთავრესი იდეური მახვილების გახსნაში.

13 აღსანიშნავია, რომ წარწერის ტექსტი ზუსტად არ იმეორებს სახარებისეულს; განსხვავდება წარწერის დასაწყისი, სადაც ნაცლად კანონიური “პირველითგან იყო სიტყვად . . .”, იკოთხება “დასაბამითგან იყო სიტყვად . . .”, რაც ანალოგიურად წმ. იოანე მოციქულის მოღვაწეობის ამსახველი აპოკრიფული თხზულების ქართული ტექსტისა [ხ. ქართული ვერსიები

მაქსიმალურად გავრცობილი რედაქცია, რომელიც, ლამისაა, სახარების ტექსტზე მუხლობრივ ილდუსტრაციას წარმოადგენს (თანაც საგანგებოდ წარწერებითაც “დამარცვლით” დაზუსტებულ-განმარტებულს; მათ ქვემოთ დავუბრუნდებით) და გუმბათში გამოსახული ტრიუმფალური ჯვარი, ანუ მოხატულობის მოელი პროგრამა, არსებითად, მართლმადიდებლობის არსის გახსნა-“გაშიფრვაა” რამდენიმე, მრავლისდამტევი, “კონცენტრირებული” ხატების მოშეველიებით.

უმთავრესი “კამერტონი” – მაცხოვრის გაშლილ სახარებაზე დატანილი წარწერაა, მიმანიშნებელი ლოგოსზე (მოელი თავისი მრავალსაფეხუროვანი იდეური ბმებით), ე.ი. სიტყვაზე ღმრთისა, სამების მეორე ჰიპოსტასზე, მამის თანა-არს განკაცებულ ძეზე, რომელიც მოევლინა ამა სოფელს და თავისი მოწამებრივი აღსრულებით ჯვარზე იხსნა კაცობრიობა (როგორ მოხდა ეს, მოელი სიზუსტით, “დასურათხატებულია” ხრდილოეთ მკლავში), ამაღლდა და კვლავაც მომავალ არს (ეს უკვე საკურთხეველში გაშლილ-ნაჩვენები), ხოლო დამაგვირგვინებელი – ძლე-ვის-მომტანი ჯვარია, უსაკრალურების ნიშანი-სიმბოლო, ერთსა და იმავე დროს ვნებისა და წარუვალი დიდების გამაერთიანებელი.

ნიშანდობლივია, რომ ჯვარცმის სცენაში უმთავრესი შინაარსის გამხსნელი ვრცელი, მრავალსტრიქნიანი წარწერები სომხურ-ენოვანია და მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი დამატებით, უკვე სიტყვიერ ფორმაში, განმარტავს სახვით ხატებში გადმოცემულ სახარების სულ თხრობას: 1. “და მოიდრია თავი იქსომ [და] მიაბარა სული” (იოანე, 19, 30); 2. “და ლერწამზე წამოგებულ ღრუბელს, სავსეს ნაღველში გარეული მმრით აძლევდა დასალევად მას” (მათე, 27, 48; მარკოზ, 15, 36; იოანე, 19, 29; წარწერის ტექსტი საკმაოდ დაშორებულია კანონიკურ ტექსტს); 3. “მომისენე მე, უფალო, შენს სასუფეველში” (ლუკა, 23, 47)<sup>14</sup>. ამ წარწერების გარდა, რომელიც ჯვარცმული მაცხოვრის ფიგურის გარშემო თავმოყრილი, სცენის სხვა გამოსახულებებსაც ახლავს ასევე სომხურ-ენოვანი თხრობით-განმარტებითი წარწერები: 1. ღმრთისმშობლისა და წმ. იოანეს ფიგურებს – “აპა, დედაო, მც შენი”; “აპა, ძეო, დედა შენი” (იოანე, 19, 26-27); 2. იერუსალიმელ ასულთ – “ასულნო, იერუსალიმისა, ნუ სტირით ჩემს ზედა, არამედ სტიროდეთ თქვენსა თავსა ზედა” (ლუკა, 23, 28); 3. იერუსალემის ტაძარს – “და კრებსაბმელი ტაძრისა განიპო” (მათე, 27, 51; მარკოზ, 15, 38; ლუკა, 23, 45-46; წარწერის ტექსტი განსაკუთრებით ახლოს მათეს სახარებასთან დგას); 4. მზის პერსონიფიკაციას – “მზე დაბნელდა” (მათე, 27, 45; მარკოზ, 15, 33; ლუკა, 23, 44-45; წარწერის ტექსტი ლუკას სახარების მიხედვით და არა მისი ზუსტი განმეორებით არის შედგენილი)<sup>15</sup>. ამასთანავე, მარტივი, სახელდებით-განმარტებითი სომხურ-ენოვანი წარწერები აქვს: 1. ეკლესიის პერსონიფიკაციას – “კათოლიკე

აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 89]. ამ თხულების თარგმნა VI-VIII სს.-ში ივარაუდება და, როგორც ამ წარწერის განხილვისას აღნიშნავს ზ. სხირტლაძე, როგორც ამ თხულების ქართულად მთარგმნელი, ისე საბერევების №7 ეკლესიის მომსატველი, სარგებლობდა ოთხთავის იმ რედაქციით, სადაც წმ. იოანეს სახარების დასაწყისი სწორედ ამ ვერსიით იყო წარმოდგენილი და საგვებით მართებული დასკვნაც გამოაქვს – “საბერევების წარწერაში სწორედ სახარების ეს ერთ-ერთი აღრეული რედაქციაა ასახული” [ზ. სხირტლაძე, საბერევების წარწერები . . . , გვ. 62; უფრო დაწვრილებით ამ წარწერის შესახებ, იქვე, გვ. 59-64].

14 ადსანიშნავა, რომ წარწერების ტექსტები სახარების პირდაპირი ციტატები კი არაა, არამედ უფრო “გარდათხობაა” ოთხთავში მოყოლილი ამბებისა. წარწერების დაწვრილებითი ანალიზისათვის, ის. ზ. სხირტლაძე, საბერევების წარწერები . . . , გვ. 77-81.

15 წარწერების დეტალური ანალიზისათვის, ის. ზ. სხირტლაძე, საბერევების წარწერები . . . , გვ. 87-95. ვრცელ თხრობითი წარწერებით საგანგებოდ იყო აგრეოვე განმარტებული ჯვარცმის სცენის კიდევ ორი ეპიზოდი – მაცხოვრის შეპყრობა (?) და მაცხოვრის სამოსის განყოფა (?); სამწუხაროდ, წარწერების დაზიანების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული გრაფები გაირჩევა, შინაარსის ამოკითხვა მათგან ვერ ხერხდება [ის. იქვე, გვ. 95-96].

ეკლესია”; 2. ლონგინოზის ფიგურას – “ლონგინოზ”; 3. კეთილი და ბორტოტო ავაზაკების ფიგურებს, შესაბამისად – “გასტატ”; “დემას”; 4. მზის პერსონიფიკაციას – “ძეგ”; 5. იერუსალემის ტაძარს – “ტაძარი იგი”<sup>16</sup>.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჯვარცმის მრავალკომპონენტიან სცენაში, არც ერთი ელემენტი არ არის დატოვებული საგანგებო, წერილობითი განმარტების გარეშე და საგულისხმოა, რომ ასეთი დაწვრილებითი განმარტებანი მაინცდამაინც ჯვარცმის სცენაში და სომხურ ენაზე ჩნდება. ძალაუნებურად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ წარწერების შემსრულებლის უმთავრესი საზრუნავი, იქნებ ერთადერთი მამოძრავებელიც კი, ის იყო, მხატვრობის მომხილველის თვალს არ გამორჩენოდა მის მიერ ასე დებალურად ილვუსტრირებული ამბის არც ერთი აზრობრივი ნეუანსი, სიტყვიერი და ვიზუალური ფორმის ურთიერთშევსებით მაქსიმალური სიცხადითა და მკაფიოებით წარმოჩენილიყო განკაცებული, სრულად კაცებრივი ბუნება-შეძენილი ძებლებრივის ჯვარზე მოწამებრივი აღსრულება; თითქოს კიდევ ერთი მტკიცება არაქართველი მომლოცველისთვის უფლის ორბუნებოვნების ჭეშმარიტებისა.

სწორედ X საუკუნეში, ქართულ-სომხური დოგმატურ-ეკლესიური უთანხმოების, ისევე როგორც IX-X საუკუნეებში თვით სომხეთში ქალკედონიტებსა და მონოფიზიტებს შორის კონფესიური ბრძოლის განსაკუთრებული გამძაფრების, გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომ საბერებების მონასტერში, ქართველებთან ერთად, სომეხი-ქალკედონიტი ბერებიც იყვნენ, სომხურ-ენოვანი წარწერები კი მათვის იყო განკუთვნილი<sup>17</sup>, მაგრამ თითქოს ასევე ლოგიკურია კითხვაც – თუკი ისინი ქალკედონიტები იყვნენ, თანაც ბერები, რატომ უნდა დასჭირებოდათ მათ ასეთი დაწვრილებითი განმარტებანი? მათვის ხომ იმთავითვე ყველაფერი გასაგები და ცხადზე უცხადესი უნდა ყოფილიყო? იქნებ ეს წარწერები არა იმდენად ბერებისთვის იყო განკუთვნილი, რამდენადაც საერო პირთაოვის, ეთნიკურ სომეხთაოვის, გინც პერეთის ამ ნაწილში ცხოვრობდა და დიოფიზიტი არ იყო? იქნებ ასეთი დაწვრილებითი და ამდენი სომხური წარწერის გაკეთება, მით უფრო თუკი გავისხენებთ, რომ მოხატულობის შემქმნელი ოსტატი აშკარად ქართველია<sup>18</sup>, სწორედ “შეცდომილთა” დარწმუნების, მათვის ჭეშმარიტების განმარტებისა და ჩვენების აუცილებლობას შეეძლო

16 ნიშანდობლივია, რომ ზოგ შემთხვევაში, სომხურ-ენოვანი სახელდებითი წარწერები ბერძნულ-ენოვანი ანალოგიური წარწერების პარალელურადაა დატანილი (კეთილი და ბოროტი ავაზაკი, მზის პერსონიფიკაცია), სხვა შემთხვევაში კი, გამოსახულებათა სახელდება მხოლოდ სომხურ ენაზე ჩდება (ეკლესიის პერსონიფიკაცია, ლონგინოზი, იერუსალემის ტაძარი). წარწერების დაბალური ანალიზისათვის, იხ. ზ. სხირტლაძე, საბერებების წარწერები . . . , გვ. 83-86, 92.

17 ზ. სხირტლაძე, საბერებების წარწერები . . . , გვ. 104-110.

18 ეკლესიის ჩრდილოეთი მელავის აღმოსავლეთ ეკლესიურ ჯვარცმის კომპოზიციის ქვედა მხრიდან შემომსაზღვრელი ორნამენტული ზოლის ქვემოთ შემორჩენილია თეთრ ფონზე შავი ასოებით შესრულებული, ამჟამად პოლონაკლული, ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელსაც ზ. სხირტლაძე შემდეგნაირად აღაღდებს: “შერალი გლასხაკი კპ[---] შემიწყალე[---] ღ(მერო)თ” და სავსებით სამართლიანად მას ეკლესიის მომხატველის წარწერად მიიჩნევს, ხოლო ამ წარწერისა და საკურთხევლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი ღმრთისბობისა და მოციქულთა ფიგურების განმარტებითი წარწერების გრაფემათა მსგავსების ნიადაგზე, წარწერაში მოხსენიებულ “გლასხა კპ[---] ს მოხატულობის ავტორად მიიჩნევს (წარწერის დეტალური ანალიზისთვის, იხ. ზ. სხირტლაძე, საბერებების წარწერები . . . , გვ. 67-71); ეკლესიაში არსებული სამ-ენოვანი წარწერების ანალიზის შედეგად იგი სრულიად ლოგიკურ და დამაჯერებელ დასკვნამდე მიიღის: “მოხატულობის შემქმნელის მიერ ეკლესიის ჩრდილო მკლავის აღმოსავლეთ ეკლესიურ რულებული ქართული ასომთავრული ტექსტი . . . უკვე თავისთავად მეტყველებს ფერმწერის ეროვნულ და კონფესიურ კუთვნილებაზე – დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართველია, ამასთან ერთად, . . . სრულიად აშკარაა ისიც, რომ ეკლესიის მოხატულობა მთლიანად ამ ოსტატის მიერ არის შესრულებული”. იხ. ზ. სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

გამოეწვია? შეიძლება ის იყოს მინიშნება რადაცა ტიპის საეკლესიო ცხოვრებაზე იმპორტის გარეჯში მიმდინარეობდა და ჩვენთვის უცხობია; თითქოს, ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე, ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

კვლავ ჩვენი განხილვის საგანს რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება ითქვას, რომ აღრეული ხანის გარდამავალი ტიპის არასრულ მოხატულობებში, კელუსიათა ცალკეული, მნიშვნელობით გამორჩეული ნაწილების მოხატვისას, მხატვართა არჩევნი ჩერდება სწორედ იმ სცენებზე, რომელიც თვალნათლივ გამოკვეთს განკაცებული მაცხოვრის ორბუნებოვნებას და აღსანიშნავია, რომ ამ სცენათა დიაპაზონი არც ისე ვრცელია – მირითადად, იგი ჯვარცმისა და მირქმის გამოსახულებებით შემოიფარგლება. ცოტა უფრო რთულია სურათი აღრეული ხანის სრულ მოხატულობებში, სადაც აგრეთვე საგანგებო იდეური მახვილი თვით მხატვრობის პროგრამის შემადგენელ სცენათა შერჩევაში ცნაურდება.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, გამორჩეულია ისევ საბერების სამონასტრო კომპლექსის №8 ეკლესიის სამხრეთით გამოკვეთილი მცირე სამლოცველოს ფერწერული დეკორი (X ს.). როგორც მისი განხილვისას აღნიშნავს ზ. სხირტლაძე, “ეს კაპელა ფაქტიურად ეკლესიის საკურთხეველთან დამაკავშირებელი ლიობის ფუნქციასაც ასრულებს, რადგან იგი ორმხრივ – ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გახსნილია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადამავალი კამარის წყალობით ერთგარად შესასვლელის სახეც აქვს მიღებული. ეკლესის აღმოსავლეთ კედელში მცირე ზომის, დაბალი საკურთხეველია კლდეშივე გამოკვეთილი, პატარა, აწ თოთქმის სულ ჩამორდვეული ტრაპეზითურთ”<sup>19</sup>. თუმცა, მიუხედავად ასეთი მჭიდრო კავშირისა №8 ეკლესიასთან, ეს მაინც დამოუკიდებელი კაპელა, რაზეც მასში საკურთხევლისა და ტრაპეზის არსებობაც მიუთიობს; გარდა ამისა, ყურადსაღებია ისიც, რომ მოხატულობის პროგრამაში სასულიერო პირის ფიგურაც არის ჩართული, რომელსაც ძვირვასი თვლებით მოოჭვილი კვადრატული შარავანდი ადგას, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ გამოსახულება მის სიცოცხლეშივე შესრულებული. ჩვენთვის სავსებით მისაღებია ზ. სხირტლაძის დასკვნა, რომ “აღნიშნული პირის სამლოცველოს ფერწერულ შემკულობაში სიცოცხლეშივე გამოსახვის ფაქტი, ვფიქრობთ, საბერებებში მისმა აქტიურმა სასულიერო და სააღმშენებლო მოღვაწეობამ განაპირობა – . . . იგი უნდა იყოს VIII ეკლესიის მოხატულობის მომგებელი და გამოქვაბული კაპელაც უდავოდ მისივე სამწირველოდ იქცა”<sup>20</sup>. ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია ამ კაპელის მოხატულობა, როგორც სრული ფერწერული დუარის ნიმუში, №8 ეკლესიის მოხატულობისგან დამოუკიდებლად განვიხილო.

ამ პატარა კაპელის საკურთხეველში აღსაყდრებული ჩვილედი ღმრთისმშობელია (ე.წ. ღმრთისმშობელი აღწილებისა) გამოსახული წმ. მიქელ და წმ. გაბრიელ მთავარანგელოზებით მის ორსავ მხარეს, ხოლო კამარას ორი სცენა იყავებს – ხარება (აღმოსავლეთ ფერდზე) და მოკითხვა ელისაბედისა (დასავლეთ ფერდზე).

ცხადია, პროგრამის შემადგენელ სცენათა უბრალო ჩამოთვლაც კმარა იმის სათქმელად, რომ საღღესასწაულო ციკლიდან მხოლოდ მათი შერჩევა ერთადერთი მიზნით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული – მხატვრობის საფუძვლად, მის ერთადერთ თეოლოგიურ იდეად, განკაცების დოგმატის ხაზგასმაა არჩეული; და მეტად ნიშანდობლივია, რომ ამ ძალზე მცირე ზომის კაპელაში, სწორედ სამონასტრო სამლოცველოში, მართლმადიდებლობის ამ ქვა-კუთხედი დოგმატის წარმოსაჩენად სახელდობრ ამ გამოსახულებებზე შეჩერდა არჩევანი. მხატვრობის

<sup>19</sup> ზ. სხირტლაძე, საბერებების წარწერები . . . გვ. 126; დეტალურად მხატვრობის შესახებ, იხ. იქვე, გვ. 126-139.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 132.

პროგრამაში დასმული იდეური მახვილები იმდენად ცალსახაა, რომ მათ ანალიზზე სიტყვის გაგრძელება უხერხულიც კია. მოვივან მხოლოდ ერთ ნაწყებს უძველესი იაღგარის ხარების საგალობლებიდან, რომელშიც მთელი სისრულითაა გახსნილი ხარება-მოკითხვა ელისაბედისას მნიშვნელობა განკაცების იდეის ნათელებაში: “სიხარული იქმნა დღეს ყოვლისა სოფლისა, ოდეს მთავარანგელოზსა ერწმუნა ქალწული. უწყება, სიტყუად მოაქუნდა ზეცით მამისა მიერ. . . მათ დღეთა შინა აღვიდა წმიდად ქალწული მოკითხვად ელისაბედისა და კეთილთა იგი წინამორბედი მუცლით გამო აუწყებდა, ასა ესერა მოვალს დედა უფლისად და მოჰყავს მუცლითა მც და სიტყუად დართისა, რომელმან აიხუხეს ცოდვანი სოფლისანი. აიღო გმავ ელისაბედ ერსა შორის და თქვა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისავ” (აქებდითსა ვა ბ, 34-35; 6-11)<sup>21</sup>.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მეჩვენება აგრეთვე ჩვილედი ღმრთისმშობლის განდიდების თემის აფსიდალური კომპოზიციის სახით გამოყენების სხვა შემთხვევაც გარეჯში, კერძოდ, საბერებების №6 ეკლესის სამხრეთ კარიბჭის მოხატულობა (IX ს.), სადაც ნიკოვეის (უფრო ზუსტად, კვიპროსის) ტიპის აღსაყდრებული ღმრთისმშობელია გამოხახული მის ორსავ მხარეს ურიელ და სორიელ მთავარანგელოზთა, ხოლო ქვედა რეგისტში (სამხრეთ კედლის კიდეში), ნათან წინასწარმეტყველის ფიგურებით<sup>22</sup>.

როგორც ამ მოხატულობის განხილვისას, სამართლიანად აღნიშნავს ზ. სხიორტლაძე, ჩვილედი ღმრთისმშობლის განდიდების კომპოზიციაში ნათან წინასწარმეტყველის ჩართვისა და ამ სქემის თავისებურებათა განმარტებისთვის საგულისხმოა მეფეთა მეორე წიგნის ერთ-ერთი პასაუი (7: 1-16)<sup>23</sup>, რომელშიც უფალი ნათანს უცხადებს დავითისთვის გადასაცემ უწყებას უფლის ტაძრის აგებისა დავითის გარდაცვალების შემდგომ მისი სახლიდან გამოსული ძის მიერ. აღსანიშნავია, რომ არსებითად იგივე უწყება კიდევ ერთხელ მეორდება ნეშტოა პირველ წიგნშიც (თითქმის უცვლელად, 17: 1-14; შემოკლებული გარდმოთხრობის სახით, 22: 8-10)<sup>24</sup> და სამივე შემთხვევაში, საგანგებოდ განიმარტება ტაძრის მაშენებლის მიმართება უფალთან: “მან მიშენოს მე სახლი და აღუმართო საყდარი მისი ვიდრე საუკუნოდ. და მე ვიყო მისად მამა და იგი იყოს ჩემდა ძედ, და მე შევიწენარო იგი და წყალობად ჩემი არა განვაყენო მისგან . . . და სარწმუნო-ვუო იგი სახლსა ჩემსა და მეფობასა მისსა ზედა ვიდრე საუკუნოდ. და საყდარი მისი იყოს აღმართულ ვიდრე საუკუნოდ” (I ნეშ., 17: 12-14)<sup>25</sup>. მნიშვნელოვნია ისიც, რომ ამავე უწყებით პაკლიორება ხშირია ახალ აღთქმაშიც, როდესაც საუბარია მამისგან შობილ ძე-დმერთხე, როგორც მაგალითად, წმ. პავლეს ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ: “რამეთუ ოდეს-სადა ვის პრქუა ანგელოზთაგანსა: ძე ჩემი ხარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ? და მერმე იტყვა: მე ვიყო მისა მამა, და იგი იყოს ჩემდა ძე” (I: 5)<sup>26</sup>, ხოლო თეოდორიტე კვირელი მეფეთა მეორე წიგნის თავის თარგმანებაში,

21 უძველესი იაღგარი, გამოსცეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა და ც. ჭანკივემა, თბ., 1980, გვ. 9; 10.

22 ზ. სხიორტლაძე, საბერებების წარწერები . . . გვ. 46-55, შესაბამისი პარალელების მოხმობით.

23 იქვე გვ. 52.

24 მცხეთური ხელნაწერი, ნაკვ. 2, გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982, გვ. 273-274; 280.

25 შეად. “და მან ადაშენოს ტაძარი სახელისა ჩემისათვს და აღვმართო საყდარი მისი მიუკუნისამდე. და ვიყო მე მისა მამა და იგი იყოს ჩემდა ძე. . . ხოლო წყალობად ჩემი არავე დავაყენო მისგან. . . და დავამტკიცო მეფობად იგი მისი და სახელი მისი უკუნისამდე წინაშე ჩემსა და საყდარი მისი აღმართებულ იყოს წნაშე ჩემსა საუკუნოდ” (III მეფ., 7: 13-16), აგრეთვე, “მაშინ მიშენოს სახლი სახელისათვს ჩემისა. და იგი იყოს ჩემდა ძე და მე მისად მამა. და აღუმართო საყდარი სუფევისა მისისა ისრატლსა ზედა ვიდრე საუკუნოდ” (I ნეშ., 22: 10).

26 შეად. “გერეთცა ქრისტე არა თავი თვისი ადიდა ყოფად იგი მდდელომდეურად, არამედ რომე-

სწორედ პავლეს ეპისტოლებზე დაყრდნობით, ზემოთ ციტირებულ პასაჟს განხილული ტაქს, როგორც მითითებას მამისგან შეოღოდ-შობილ ძეზე<sup>27</sup>.

შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, აფხიდალური კომპოზიციის საერთო საზრისი და იდეურ მახვილთა მიზანმიმართულება, თითქოს საგანგებო ახსნა-განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს. აქვთ, ალბათ, იმის დამატებაც შეიძლებოდა, რომ კარიბჭის მხატვრობის პროგრამა, ერთი შეხედვით, უაღრესად ლაკონიური, თუმც კი მკაფიოდ გამოკვეთილი, აქცენტუაციით, თითქოს, გარკვეულწილად თვით №6 ეკლესიის მოხატულობაში გაცხადებული უმთავრესი იდეის გამაძლიერებელ-შემავსებლადაც აღიქმება, განკაცებული უფლის განხილების განსახოვნებად.

არანაკლებ საინტერესოა ზემო სვანეთის მოხატულობათა მონაცემებიც. აცის თარინგზელის ეკლესიის მხატვრობის პროგრამა (X ს.)<sup>28</sup> საკმაოდ მცირე-რიცხოვან გამოსახულებებს აერთიანებს – საკურთხეველი მთლიანად დათმობილი აქვთ უფლის დიდების კომპოზიციას<sup>29</sup>, ხოლო სადღესასწაულო ციკლის სცენებიდან შერჩეულია ამაღლების ვრცელი რედაქცია (ორ დარუსად გაშლილი კამარის ჩრდილოეთ ფერდსა და მთელს ჩრდილოეთ კედელზე) და საფლავათ-დაღების შეკვეცილი რედაქცია (მთელს სამხრეთ კედელზე) – იოსებ არიმათიელი და ნიკოდიმოსი მიასვენებენ მაცხოვრის შეგრაგნილ სხეულს<sup>30</sup>. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ნიშანდობლივია საფლავათდაღების სწორედ ასეთი, არც მთლად ტრადიციული, რედაქციის შერჩევა და ისიც, რომ იგი საგანგებოდა გამოყოფილი ეკლესიის ინტერიერში. საქმე ისაა, რომ აცის მხატვრობაში, ორი, სხვადასხვა ფერის, “დაჩითული” ფონებია გამოყენებული – წითელი და მწვანე. მნიშვნელოვანია, რომ წითელი ფონად ედება საკურთხეველში გაშლილ კომპოზიციას, ხოლო დარბაზში, იგი მხოლოდ საფლავათდაღების სცენასა და წმ. ეკლესიის მამათა რიგთან გვხვდება, მაშინ როცა სხვა დანარჩენი გამოსახულებანი მწვანე ფონზეა წარმოდგენილი. საფლავათდაღებისა და საკურთხევლის კომპოზიციის<sup>31</sup> ამგვარი “ვერადოვანი” აქცენტირება აშეარად მიუთითებს მხატვრობის საერთო იდეური გადაწყვეტის კონტექსტში ამ ორი ხატების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და ააშკარავებს საგანგებო აქცენტს სწორედ მაცხოვრის სრულად კაცებრივ ბუნებაზე, რაც მისი უსიცოცხლო სხეულის საფლავად-დასასვენებლად ტვირთვის ჩვენებით არის ხაზგასმული; ხოლო, ამასთან ერთად, ამაღლების ვრცელი რედაქციის გამოყენება წინ წამოსწევს მოხატულობის ზოგად თეოფანიურ-ტრიუმფალურ ხასიათს<sup>32</sup>.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აცში, მოხატულობის საერთო პროგრამის

ლი-იგი ეტყოდა მას: ძე ჩემი ხარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ” (ებრ., 5: 5), აგრეთვე, “და ჩუენ თქეუნ გახარებთ მამათა მიმართ ქმნილსა მას აღთქემასა, რამეთუ ესე დმერთმან აღუსრულა შეიღლთა მათთა და ჩუენ ადგვადგინა იესუ. კითარცა ფსალმებისა მეორესა წერილ არს, კითარებდ: ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ” (საქმე, 13: 32-33).

27 А. П. Лопухин, Толковая Библия, Стокг., 1987, წიგნ. I, ტ. II, გვ. 315-316.

28 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети, Тб., 1983, გვ. 19-23.

29 კონტი გამოსახულია მაკურთხეველი მაცხოვრის გრანდიოზული ნახევარფიგურა, ექვსფრთულითა და ოთხსატელით მის ორსაც მხარეს, ხოლო წმ. მთავარანგელოზთა ფიგურები აფხილის კედელზეა ჩამოტანილი; შესაბამისად, წმ. ეკლესიის მამათა გამოსახულებანი საკურთხევლიდან დასავლეთ კედელზეა გადატანილი.

30 გარდა ამისა, კამარის სამხრეთ ფერდზე წმ. მხედრების – გიორგისა და თევდორეს – პერალდიტური კომპოზიციად წარმოდგენილი.

31 ცხადია, წმ. ეკლესიის მამათა რიგი აფხილით კომპოზიციის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და წითელ ფონზე მისი გამოსახვით ოსტატი სწორედ ამ ერთობის ხაზგასმას ეცადა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მნიშვნელობაზე, რაც ფონების ამგვარ ფერადოვან გადაწყვეტას ენიჭება მხატვრობის საერთო ანსამბლის გამოლიანებაში.

32 მხატვრობის პროგრამის ანალიზისათვეს, იხ. მ. ყენია, დასახ. ნაშრ., გვ. 148-152.

შედგენისას განმსაზღვრელი იყო, ერთი მხრივ, მაცხოვრის განკაცების, კაცებრივი ბუნების საგანგებო აქცენტირება და, მეორე მხრივ, მისი ღვთაებრივი ბუნების წარმოჩენა – ცალკერძ, უფალი ვნებული, აღსრულებული და ცალკერძ, უფალი, საყდარსა ზედა მჯდომარე, დიდებული მსაჯული ცხოველთა და მკვდართა – ანუ, კვლავ უფლის შეურევნელი ორბუნებოვნების ხაზასმა ისევ და ისევ, მაცხოვრის სრულად კაცებისა და სრულად დმრთების უმკაფიოები მოწმობის ნათელებით.

იგივე აქცენტუაცია შეინიშნება ჟიბიანის ლამარიას ეკლესიის მხატვრობაშიც (I ფენა, X ს.)<sup>33</sup>, რომელიც, აცთან შედარებით, შეტ გამოსახულებებს აერთიანებს<sup>34</sup>, მაგრამ სადღესასწაულო ციკლიდან აქაც მხოლოდ ორი სცენაა შერჩეული – კამარის ჩრდილოეთ ფერდზე (მის ქვედა ნაწილში), გვერდიგვერდ წარმოდგენილი ფერისცვალებისა და ჯვარცმის სცენები, ანუ, ისევ და ისევ ის ხატებანი, რომლებშიც მთელი მკაფიოებითაა წარმოჩენილი განკაცებული უფლის როგორც ღვთაებრივი, ისე კაცებრივი ბუნება, თავის, ასე ვთქვათ, “უკიდურეს გამოვლინებებში”.

შედარებით უფრო “მრავალისტუვაა” იუხის ჯგრაგის ეკლესიის მომხატველი (X ს.)<sup>35</sup> – საკურთხეველში გამლილ ვედრების ვრცელ კომპოზიციას (წინაშემდგომთა ფიგურების გარდა, აქ წმ. მთავარანგელოზთა გამოსახულებანიც არის) იგი დარბაზში სადღესასწაულო ციკლიდან ამოკრებილ სამ სცენას უმატებს – შობას (კამარის ჩრდილოეთ ფერდზე), ღმრთისმშობლის მიძინებას (ჩრდილოეთ კედელზე) და ამაღლებას (დასავლეთ კედელზე)<sup>36</sup>. საინტერესოა, რომ შობა ვრცელი რედაქციითაა წარმოდგენილი – ღმრთისმშობლისა და ბაგაზე დასვენებული ყრმის გარდა, ყრმის განბანვის ეპიზოდი, მწყემსები, იოსები და მოგვები ტრადიციული ძღვენით ხელში, ამასთანავე სრული ტანით გამოსახული ანგელოზი (ზომით უკელაზე დიდი ფიგურა კომპოზიციაში), კურთხევის ნიშნად ზეპყრობილი ხელით, რომელიც წინ უძღვის მოგვებს; ასევე ვრცელი რედაქციაა შერჩეული მიძინებისა (სარეცელზე დასვენებულ ღმრთისმშობელსა და მისი სულით ხელში მდგომ მაცხოვარს გარდა, სარეცლის ორსავ მხარეს შეჯგუფული მოციქულები და პატარა მფრინვალი ანგელოზები მაცხოვრის ორსავ მხარეს) და ამაღლებისთვის (იგი ორ დარუსადაა განაწილებული).

ამ შემთხვევაში თვით სცენათა შერჩევის გარდა, ნიშანდობლივია შობის სცენის ერთი, არც მთლად ტრადიციული დებალი – დიდი ზომის ანგელოზი მოგვების წინ. როგორც სვანური ფერწერული სკოლის მკვლევარნი აღნიშნავს, “ესაა გამოსახულება ანგელოზისა, უფლის დესპანისა, რომელიც, იაკობ მცირის პირველსახარების სირიული ხელნაწერის აპოკრიფული ტექსტის თანახმად, წარუძგვა მოგვებს ყრმისაკენ”<sup>37</sup>. გარდა ამისა, შეიძლება გავიხსენოთ უძველესი იადგარის შობის ერთ-ერთი საგალობელიც, რომელშიც, თითქოს, მინიშნებულია ანგელოზის მიერ მოგვთა მიყვანა ყრმის თაყვანსაცემად – “შენ, რომელმან ანგელოზისა მიერ შობისა შენისა მოხლვითა აუწევ მოხლვად მწყემსთა და მოგუნი შენ წინაშე მოიყვანე, რომელნი ძღვენსა შესწირვიდეს, დაღადგებდეს და იტყოდეს: დიდებად მაღალთა შინა დმერთსა, ქუჯანასა ზედა მშვიდობად, კაცთა შორის სათხოებად”

33 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа . . . , გვ. 16-17.

34 აფხისი კონქში გამოსახული ვედრების ვრცელი, წინაშემდგომთა და მრავალფრდელთა ფიგურების მომცველი კომპოზიციის გარდა, წმ. მთავარანგელოზთა და წმ. მოციქულთა ფიგურები კამარაზე, წმ. მსედართა პერალდიკური კომპოზიცია კამარაზევე (მის ქვედა ნაწილში), წმინდანთა ცალკეული ფიგურები დასავლეთ კედელზე.

35 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети . . . , გვ. 23-27.

36 ამათ გარდა, მოხატულობის პროგრამა სხვა გამოსახულებებსაც მოიცავს – წმ. შევდართა პერალდიკურ კომპოზიციას (კამარის სამხრეთ ფერდზე) და წმ. ეკლესიის მამათა ფიგურებს (სამხრეთ კედელზე).

37 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети . . . , გვ. 25.

(სხუანი, 35-40)<sup>38</sup>. ამდენად, თვით შობის სცენაში, ანუ განკაცებული უფლტში ქვეყნად ხორციელად მოვლინების ჩეკენებისას, საგანგებო მახვილი ყრმასა და მის თავისაცემად მოგვთა გამომგზავრებაზე დაისმის<sup>39</sup>, ხოლო უშუალოდ ამ სცენის ქვემოთ მიძინების, ანუ განკაცებული უფლის მშობლის მიცვალების, მოთავსებით კიდევ უფრო ძლიერდება მაცხოვრის სრულად კაცებრივი ბუნების ხაზგასმა, თუმცა, აქვე წნდება თეოფანიური (შესაბამისად, უფლის გამოჩინების) ასპექტიც, რაც ხელს უწყობს მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების აქცენტირებას; ამასთანავე, ამაღლების, ანუ განკაცებული, ხორციელად ამა ქვეყნად მოვლინებული, ჯვარზე აღსრულებული და მკვდრეთით აღმდგარი უფლის ზეცად აღსვლის, ჩართვაც, ისევ და ისევ, მაცხოვრის ორბუნებოვნების წარმოქნას და ზოგად თეოფანიურ-ტრიუმფალურ კონტექსტში მხატვრობის პროგრამის გამთლიანებას ემსახურება<sup>40</sup>.

ჩვენი საკითხისთვის მეტად საინტერესოა ლადამის მაცხოვრის ქვედა ეპლების თავდაპირველი მოხატულობა (I ფენა, XI ს.-ის დასაწყისი)<sup>41</sup>, რომლის პროგრამა უადრესი ლაკონიზმით ხასიათდება და, არსებითად, მხოლოდ ორ კომპოზიციას შეიცავს – ვედრებასა (რომელიც კონქსა და კამარაზეა გაშლილი)<sup>42</sup> და ხარებას (დასავლეთი კედლის ზედა თაღოვან არქზე)<sup>43</sup>. მნიშვნელოვნია, რომ ხარება საგანგებო წარწერითაც იყო სახელდებული – “აქა გ(ა)ბრ(ი)უ(ლ) [ახარა]”. შესაბამისად, ეპლების მთელს ზედა ზონაში ურთიერთ მჭიდროდ გადანასკველი

38 უძველესი იადგარი, . . . გვ. 17.

39 ამასევე ებმარება თვით სცენის კომპოზიციური წყობაც და მასში ანგელოზის ფიგურის ზომითაც განსაკუთრებული გამოყოფა.

40 მოხატულობის პროგრამის უფრო დაწვრილებითი ანალიზისთვის, იხ. მ. ყენია, დასახ. ნაშრ., გვ. 152-154.

41 მხატვრობის პროგრამის ახლებური ინტერპრეტაცია შესაძლებელი გახდა 2003 წ.-ს ეპლების ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს (ხელმძღვანელი მ. ბუჩუკური) თავდაპირველი მოხატულობის აქამდე უცნობი ფრაგმენტების გამოვლენის შედეგად. იხ. მ. ყენია, ლადამის მაცხოვრის ეპლების თავდაპირველი მხატვრობა: ბოლოდროინდელი აღმოჩენები. საქართველოს სიმებელენი, 2005, 7-8, გვ. 124-142.

42 კომპოზიციის ძირითადი ბირთვი – მაცხოვარი და წინაშემდგომნი კონქში თავსდება, ხოლო კამარის ფერდებს იყავებს წმ. მთავარანგელოზთა და თავ მოციქულთა (წმ. პავლე, სამხრეთით და წმ. პეტრე, ჩრდილოეთით) ფიგურები.

43 ამას ემატება წმ. მოწამე მეომართა – წმ. თევდორე, წმ. არტემი, წმ. გიორგი (სამხრეთი კედელი) და წმ. მოწამე დედათა – წმ. ბარბარე და წმ. ეკატერინე (დასავლეთი კედელი) ფიგურები. ასევე სავარაუდო წმ. მეომართა რიგის გაგრძლება ჩრდილოეთ კედელზეც. სვანეთში ამ წმინდანთა საზოგადო პოპულარობის გარდა, ლადამის მხატვრობის საერთო პროგრამაში მათი ჩართვა (წმ. მოწამე მეომართა ასეთი კრცელი რიგი ხომ სვანეთის აღრეულ მოხატულობებში არსად გახვდება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ წმ. მოწამე დედათა, ბარბარესა და ეკატერინეს, გამოსახულებანი, რამდენადაც სრული სახით შემორჩენილ მოხატულობათა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, სვანეთის კედლის მხატვრობაში პირველად სწორედ ლადამში დასტურდება) შესაძლოა იმითაც ყოფილიყო შეპირობებული, რომ ყველა მათგანი მოწამებრივად აღესრულა, ანუ როგორც ნათლისძების ორ სახეზე შსჯელობისას აღნიშნავს კ. ჭელიძე, “წყლითა და სულით აღსრულებულ ნათლობასთან ერთად სისხლისმიერი ნათლობაც მიიღეს. როგორც ცნობილია, ყველა მორწმუნეს . . . მარტივილობა, სისხლის დათხევა მეორე ნათლობად ერაცხებოდა . . . ცნობილია იხიც, რომ ნათლისძების ამ ორი სახის (წყლითა და სისხლით) მომასწავლებელი იყო ჯვარზე გაპრული მაცხოვრის გვერდიდან წყლისა და სისხლის გადმოსხმა. ამის შესახებ გვაუწყებს, მაგალითად, წმ. გრიგორ დევთისმეტყველი: “გვერდიდან ერთად გადმოღვრილი წყალი და სისხლი იყო ორმაგი ნათლობა: საბანელისა და ვნებისა” (იხ. რ., 37, სვ. 961). ქ. ჭელიძე, კედელებია – სბალი უფლისა, თბ., 1990, გვ. 136]. შესაბამისად, ქვედა რეგისტრის გამოსახულებანი, თითქოს, დამატებითი შინაარსით ივსება და კამარა-ეკდლებზე განთავსებულ ხატებებს შორის კიდევ ერთი, შიდა ურთიერთმიმართებაც ისახება – მოწამებრივი მსხვერპლი, როგორც “ნათლობა ვნებისა”, გზა სსნისა და შუამაგლობა კაცთავის უფლის წინაშე.

ორი უმთავრესი იდეა ისახება – თეოფანია და განკაცება, რომელიც უაღრესად მარტივად და, ამასთანავეგასაოცრად ტევადად გვითვალსაჩინოებს მაცხოვრის სრულ და შეურევნელ დმრთვებასა და კაცებას, ანუ, მის განუყოფელ ორბუნებოვნებას. არსებითად, ამ ორ ხატებაში მხატვარი ახერხებს სავსებით გასაგები და მინიმალური ხერხების მოხმობით ჩაატიოს მთელი დიოფიზიტური დოქტრინა და ამ მართლაც რომ ერთი ციდა ინტერიერში “დაუტევნელი დაიტიოს”.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანეთის განხილულ მოხატულობებშიც, სადღესასწაულო ციკლიდან სცენების შერჩევა აშკარად მიუჟითებს ზოგად თეოფანიურ-ტრიუმფალურ კონტექსტში მართლმადიდებლობის ფუძე-მოძღვრების, უფლის ორბუნებოვნების ნათელებას, განსაკუთრებული მახვილით მის კაცებრივ ბუნებაზე. ამასთანავე, ალბათ, იმის დამატებაც შეიძლებოდა, რომ საერთოდ, ადრეული ხანის სრულ მოხატულობებში შეინიშნება ერთი მხრივ, შერჩეულ სცენათა დიაპაზონის საგრძნობი ზრდა, ხოლო მეორე მხრივ, თვით სცენათა არც მოლად ტრადიციული იკონოგრაფიული სქემების გამოყენება, რაც, სხვადასხვა ფორმისმიერი ხერხების მოხმობასთან ერთად, საბოლოო ჯამში, მხატვრების პროგრამაში საგანგებო იდეური მახვილების მკაფიო გამოკვეთა-აღქმას უწყობს ხელს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოგანხილულ ადრეულ ქართულ მოხატულობათა პროგრამებში გამჭდარებული იდეური მახვილები და მათი მიზანმიმართულება, წინასწარული დაკვირვებით, გარვეულად ეხმიანება ამავე ეპოქის ქართული სახვითი ხელოვნების სხვა დარგებსა, თუ, უფრო ფართოდ, სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებში, თავჩენილ ტენდენციებს. არანაკლებ საგულისხმო ჩანს, კონკრეტულ დეტალებში განსხვავების მიუხედავად, ერთგვარი შეხების წერტილების არსებობა თანადროულ კაპადოკიურ მოხატულობებთანაც. თუმცა, ეს საკითხები უკვე სხვა, ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია.

Marine Kenia

## On the Peculiarities of Programmes in Early Georgian Murals

The article is focused on highlighting one tendency discernible in the programmes of early medieval Georgian murals. As is known, 8<sup>th</sup>-early 11<sup>th</sup> cc. mural decorations comprising small number of scenes display general theophanic idea (in diverse variations). At the same time, certain emphasis is laid on the accentuation of Incarnation and full manhood of the Saviour.

In this respect, noteworthy are the so called incomplete decorations (of “initial” type, where only the chancel or the chancel and dome are painted, as well as of “transitional” type, where images on other parts of the interior are also added). In the Telovani church of Holy Cross (Kartli), in the chancel decoration (first layer of painting, 8<sup>th</sup> c.) with the “Historic Theophany” arranged in two registers, the Virgin (usually depicted in the middle of the sequence of St. Apostles) is replaced by the Mandylion (with the special explanatory inscription!), which is a definite indication of the Incarnation (accentuated here by all possible means). Respectively, the Saviour is represented as a Heavenly Ruler in the conch and within the same composition, His Incarnation is also accentuated, thus showing unmixed unity of His two natures. Actually the same is the case of the chancel decoration (first layer of painting, 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cc.) in Nesguni church of the Saviour (Upper Svaneti), where, again, within the two-register “Historic Theophany”, the Virgin Hodegetria (specially emphasized) is included in the sequence of St. Apostles – i.e. usual image is replaced with the straightforward indication of Incarnation. Different scheme is seen in the ca. 8<sup>th</sup> c. chancel decoration of the so called “Tetri Udabno” monastic church (David Gareji desert). Here the flourishing Calvary Cross within the Paradise (in the conch) is combined with the Presentation at the Temple (straight below, on the chancel wall), thus presenting a laconic “formula” of Incarnation, Holy Sacrifice and Eternal Glory. Similar combination of the Cross (in the chancel) and Presentation at the Temple (on the north wall), i.e. analogous accentuation, is found in the 10<sup>th</sup> c. murals in one of the “Natlismtsemeli” monastic chapels (David Gareji desert). One more variation is represented by a group of mural decorations in “Saberebi” monastery (David Gareji desert): annex of the church N5 (9<sup>th</sup> c.), church N6 (9<sup>th</sup> c.), church N7 (10<sup>th</sup> c.), where vast version of the Crucifixion (including two thieves, Longinus the centurion and a soldier) is depicted (in the naos), emphasizing Passion of the Incarnate Saviour, cosmic significance of which is stressed by the inclusion of heavenly bodies and within the general context of the entire programme with the “Historic Theophany” in the chancel. Especially noteworthy is the mural decoration of the “Saberebi” church N7, where Theophany is enriched with the eschatological elements, the Crucifixion is maximally extended (mourning women of Jerusalem, personification of Ecclesia, soldiers, Temple of Jerusalem with the torn veil, Seizing of Christ and, supposedly, Casting Lots for Christ’s Garments) and the dome is occupied by the Triumphant Cross; in addition to all these, numerous, tri-lingual (Georgian, Armenian, Greek) detailed, “narrative” explanatory inscriptions (in Crucifixion), as well as inscription on the open Gospel of the Saviour (in the conch composition) are perceived as a “purposeful explanation-decoding” of the entire Chalkedonian Creed with the special emphasis on the unity of natures in Christ, His Incarnation, Passion and Eternal Glory. Likewise important is the fact that these murals were made by a Georgian painter (evidenced by the respective inscription) in the period, when theological disputes between Chalkedonians and anti-Chalkedonians became especially acute.

As far as complete decorations are concerned, special emphases are discernible in the selection of the scenes proper. In the south annex of church N8 (10<sup>th</sup> c.) in “Saberebi” monastery, the conch bears the Virgin Eleusa flanked by St. Archangels, while in the naos only Annunciation and Visitation are depicted (portrait of the donor – a clergyman – is also included in the programme); respectively, the entire programme is a “visual embodiment” of the Incarnation dogma. Noteworthy is also painting in the annex of the church N6 in “Saberebi” monastery, where

the Virgin Cypriotissa flanked by St. Archangels Uriel and Soriel (in the conch) is accompanied by the Prophet Nathan (on the chancel wall), thus enhancing the general idea of the church decoration – Eternal Glory of the Incarnate Saviour. In the 10<sup>th</sup> c. murals of Atsi church (Upper Svaneti), Christ in Majesty (in the conch) is combined with the Entombment (additionally emphasized by the red background, similar to the apsidal composition) and Ascension (arranged in two-registers), i.e. here again, within the general theophanic context, main emphasis is laid on the unity of full manhood and godhead in Christ. Similar accentuation is seen in the 10<sup>th</sup> c. murals of Zhibiani church of the Virgin (Upper Svaneti), where vast Deesis (including St. Archangels and twelve St. Apostles; chancel and vault) is combined with the Transfiguration and Crucifixion. A variation of the similar scheme is found in the 10<sup>th</sup> c. murals of Ipkhi church of St. George (Upper Svaneti), where in addition to the Deesis (including St. Archangels), Nativity (including an Angel leading the Magi towards the new-born Child), Ascension (arranged in two registers) and Dormition (straight below the Nativity) are represented, accordingly, emphasizing the Incarnation and unity of natures in Christ within the general theophanic-triumphant context. Likewise important are early 11<sup>th</sup> c. murals (first layer of painting) in the Lagami church of the Saviour (Upper Svaneti), where Deesis (including St. Archangels and Sts. Peter and Paul; conch and vault) and Annunciation (west wall lunette), combined with the images of Holy Martyrs (Female and Warrior Saints), laconically, but comprehensively visualise the essence of the Orthodox doctrine.

It should be noted that similar conceptual emphasis is discernible in other spheres of the Georgian culture, as well as in Cappadocian mural painting.

გელათის ოთხთავი

ქართული ხელოვნების ძეგლთა შორის კველაზე მძიმე პედი მხატვრობას ერგო. შემოქმედების ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა, მაგრამ საქართველოს ისტორიის თანდაყოლილი ძნელებების ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამის მიუხედავად, ისტორიის სიმკაცრეს ხელოვნების ბევრმა ძეგლმა გაუქმლო და დღემდე მოიტანა მისი შემქმნელის დრმა ნააზრევი. ძველი ქართული მხატვრობის გზის გასაცნობად, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხელნაწერ წიგნთა მხატვრულ-ად გაფორმებულ ძეგლებს.

ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ქრონოლოგიურ პროცესში საეტაპო მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებს ენიჭება. ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობისა და კულტურული აღმავლობისას ფართო გასაქანი მიეცა ხელოვნების ცალკეული დარგების და, მათ შორის, ხელვაწვერი წიგნის მორთულობას.

მთარგმნელობითი ხელოვნებისა და, საზოგადოდ, მწიგნობრობის აყვავება-განვითარების ფონზე, მონასტერთა სკრიპტორიუმებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გაფანტულ სავანეებში, იქმნებოდა ინდივიდუალური, დასრულებული მხატვრული სახის მქონე ნიმუშები, ილუსტრირებული კოდექსები. მონასტრიდან მონასტერში გადადიოდა არა მარტო ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურული ნიმუშები, არამედ ის მხატვრული ტრადიციები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად ედებოდა ახლად გადანუსხული თუ შემკული ხელნაწერების გაფორმებას; ამ დროისათვის ქვეყნის კულტურული ღონის უპირველეს თრიეგნტირად ხელნაწერი წიგნი იქცა, რომელიც ესთეტიკურ დირექტულებასთან ერთად მხატვრული სახეების ჩამოყალიბებულ ფორმებს ანვითარებდა. ქართული სავანეების შემწყნარებლური ხასიათი საშუალებას იძლეოდა შემოქმედებითად აეთვისებინათ, როგორც ბიზანტიური, ასევე ლოკალური მხატვრული ტრადიციები.

ქართულ მოხატულ ხელნაწერთა შორის გამორჩეული აღგიძლი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ, სავარაუდოდ, XII საუკუნეში გადაწერილ და მოხატულ გელათის ოთხთაგს (Q-908) უჭირაგას.

სამეცნიერო მიმოქცევაში ხელნაწერი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან გამოჩნდა და მეცნიერული აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს (ნ.კონდაკოვი, დ.ბაქრაძე, ნ.პოკროვსკი, ნ.პეტროვი, ა.ბაუმბარიანი, გ.მილე, ო.დალტონი, დ.გორდონევი, რ.შეკრლინგი, შ.ამირანაშვილი, გ.ალიბეგაშვილი, ო.პოდობედოვა, ა.სამინსკი, ე.მაჭავარიანი, ზ.სხირტლაძე, ე.გელეგანიშვილი)<sup>1</sup>.

1. Н.П.Кондаков, История византийского искусства и иконографии по миниатюрам греческих рукописей, Одесса, 1876, §3.280. Н.П.Кондаков и Д.Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, С.-Петербург, 1890, §3.50-51. Н.В.Покровский, Миниатюры евангелия Гелатского Монастыря. Записки отдела русской и славянской археологии имп. РАО, Спб, т.IV, 1887, §3.255-311 (1-57). Н.В.Покровский, Очерки памятников христианского искусства и иконографии, Спб, 1910, §3.137, 152-155. ՁօՅՑՅՅ, Евангелие в памятниках иконографии преимущественно византийских и русских. Труды VIII археологического съезда, Спб, 1890, т.1, §3.XXVI-XXVII. Н.Петров, О миниатюрах никомидийского евангелия XIII века в сравнении с миниатюрами евангелия Гелатского Монастыря XI века. Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887, §3.170-179, §3.XVIII. A.Baumstark, Eine georgische Miniaturfolge zum Markusevangel-

სამწუხაროდ, გელათის ოთხთავის მხატვრულ-ხტილისტური თავისებურებების შემსწავლელი ფუნდამენტური გამოკვლევა დღემდე არ დაწერილა.

ხელოვნებათმცოდნეობით შესწავლის კვალდაკვალ მიმდინარეობდა სახარების ტექსტის ვილოლოგიური კვლევაც. ხელნაწერი აღწერეს, როგორც Q კოლექციის ნაწილი,<sup>2</sup> ასევე გამოკვლიერ მასზე დართული ბერძნულებრვანი მინაწერები.<sup>3</sup>

მიჩნეულია, რომ გელათის ოთხთავის ტექსტი წმ. გიორგი მთაწმიდებლის რედაქციულ კერძის მიეკუთვნება (მსგავსად ვანისა და ექმიაძინის სახარებისა) და მათ შორის სხვაობა ორთოგრაფიული და მსუბუქი გრამატიკული პარალელური ფორმების გამოყენებით შემოიფარგლება<sup>4</sup>.

ხელნაწერის ლოკალიზაციის საკითხს ართულებს ის გარემოება, რომ მას არ ახლავს გადაწერის ადგილისა და დროის, მომგებლისა და გადამწერის სახელების განმსაზღვრელი ანდერძ-მინაწერები.

გადანუსხვის და შემკვიბის მიახლოებითი თარიღი, XII საუკუნე, დადგნილია სახარების ტექსტის, კალიგრაფიული ხელისა და მინიატურათი შესწავლის საფუძველზე. თუმცადა ხელნაწერის კვლევის დღვენდელ საფეხურზე ძნელია დადგნენა, თუ კონკრეტულად რომელი სკრიპტორიუმიდან მომდინარეობს გელათის ოთხთავის გაფორმების მხატვრული თავისებურებანი (სავარაუდო ადგილებად მიჩნეულია ათონის ივერთა მონასტერი და კონსტანტინოპოლის დღისათვის უცნობი ქართულ-ბერძნული სკრიპტორიუმი).

- 
- lium. Oriens Christianus, N.S., Bd.VI, 1916, გვ.152-161. G.Millet, Recherches sur l'Iconographie de l'Evangelie, Paris, 1916, გვ.588-589, 186,189, 602, 607, 688, 712-714. O.M. Dalton, East Christian Art, Oxford, 1926, გვ.289. დ. პ. გორდეევ, Миниатюры древне-грузинских лицевых рукописей Сионского древнехранилища в Тбилиси. ARS, вып. II-III, Тб., 1918, გვ.84, 92. რ. ჰერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1940, გვ.54-55. R.Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, кн. I, Тб., 1967, გვ.196-200. Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966, გვ.23-24. Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI – начала XIII вв., Тб., 1973, მიხეივა, "тапы развития средневековой грузинской миниатюрной живописи. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983. ე. მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული სისტემის განვითარება (IX-XIV სს). მრავალთავი, VIII, 1980, გვ.50-61. E. Machavariani, Frontispieces of Georgian Medieval Manuscripts, IX-XIII Centuries. "მრავალთავი", XI, თბ., 1985, გვ. 110-121. ე. მაჭავარიანი, სამი ქართული ოთხთავის დასურაობების პრინციპი. საბჭოთა ხელოვნება, 12, 1985, გვ.85-98. ელ. მაჭავარიანი, შავი მთის მწიგნობრული სკოლის მხატვრული ტრადიციების ასახვა XII საუკუნის გელათის ოთხთავში. მრავალთავი, XIX, 2001, გვ.47-56. O. Подобедова, Программа декора Гелатского Евангелия как отражение идейных движений второй половины XII века. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1977. A. Саминский, Мастерская грузинской и греческой книги в Константинополе XII -начала XIII века. Музей 10, М., 1989, გვ.190-216. Z. Skhirtladze, Canonizing the Apocrypha: the Abgar Cycle in the Alaverdi and Gelati Gospels. Holy Face and Paradox of Representation, Papaers from Colloquium held at the Biblioteca Herzianna, Roma and Villa Spelman, Florence 1996, Ed. with an introduction by H. Kessler and G. Wolf, Villa Spelman Colloquia, Volume 6, Bologna, 1998 გვ. 69-93. 6. ქავთარია, ავგართზის ლეგენდის დასურაობება შუა საუკუნეების ქართულ მინიატურაში. თსუ ხელოვნების ისტორიის და ოეორიის კათედრის შრომების კრებული, 1, თბ., 2000, გვ. 241-261. E. Gedevanishvili, The Representation of the Holy Face in Georgian Medieval Art. Iconographica, V, 2006, გვ. 12-14. 6. ქავთარია, ავგართზის ციკლის დასურაობა გელათის ოთხთავში (Q-908). ქ. გელათი – 900, თბ., 2007 (იძეჭდება).
2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q-კოლექცია). ტ. II, თბ., 1958, გვ. 327-332.
  3. თ. გაუკხიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივჯავახანიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის ინსტიტუტის "შიმომხილველი," II, 1951, გვ. 471.
  4. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ.70.

ხელნაწერის სახელწოდება, გელათის ოთხთავი, მისი ბოლოდროინდელი დაცულობის აღგიღიდან დამკვიდრდა.

მონასტრის არქიმანდრიტის, სერაპიონის, მინაწერი გვაუწყებს: “ამა სახარებასა შინა არის რიცხვით ორასოთხმოცდათორმეტი დაწერილი ეტრატად ფურცელი, რომელზეც თვთოფულს სიტყუაობაზედ არის ოქროს ვარაყით მხატვრობანი თვთოფულთა სახარების მოთხოვნითთა სასწაულთანი. ხოლო დაუწერელნი პატივად ხუთი ფურცელი ეტრატი. ხოლო ესრეთი(!) სახარება გარედან არის მოჭედილი ვერცხლით, ხატებით, ერთის მხრივ ჯვარცმა და მეორე მხრით ადგომა და უკანა მხარეზედ ოთხი მახარებელი და ერთის მხრით ორმოცდათხის სხვადასხვა გვარის ძველის ქვებით შემქობილი და ამ რიცხვს გარდა აკლია ერთი ქვა დიდი ხანიდან. გაენათის მონასტრის არხიმანდრიტი სერაპიონ. 24 აპრილს, 1886 წელს. მ.გაენათი.”<sup>5</sup>

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით თუ საიდან მოხვდა ხელნაწერი გელათის მონასტრის წიგნთხაცავში.

1921 წელს კოდექსი გელათის მონასტრიდანვე გაიტანეს საფრანგეთში; მისი დაბრუნება მხოლოდ 1945 წელს გახდა შესაძლებელი.

გელათის ოთხთავი გადაწერილია კარგად გამოყვანილ, მაღალი ხარისხის ეტრატზე ნუსხურით, ყავისფერი გაუხუნარი მელნით. ნიშანდობლივია, რომ სახარების ტექსტი ერთ სვეტადა გადაწერილი და გადამტერიც ერთია. შეიცავს 293 ფურცელს და ზომით 27X19,5 სმ-ია. ხელნაწერი მთლიანობაში კარგადაა შენახული, თუმცა ალაგ-ალაგ დანესტიანების ქვალი მაინც თვალშისაცემია; ოთხთავი გვიანი ხანის ჭედურ ყდაშია ჩასმული.

რამდენადაც ტექსტი წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციულ ვერსიას წარმოადგენს, მას წამდგარებული აქვს მისივე “სტიხონნი” აკროსტიხად:

ლანკრომელთა ღმრთისა საქმეთა წიგნი,  
ლმბაზით მადლობათ აღმომშობელი ჩუენი;  
ჰეტკივრად გაქუს ოფლით ნამუშაკევი,  
ქომელთა გწყურის, სუმდით წყალსა ცხოველსა,  
ლარნა ჩემდადცა იოხდით, რომელისასა  
ლტყვან თავი სტიხოსთანი სახელსა.<sup>7</sup>

ხელნაწერი წიგნის დასასრულს კი დართულიაშ. გიორგი მთაწმიდელისავე ვრცელი ანდერძი (ფ.278v): “ესე საცნურ იყავნ ულთა, რ ესე წ ი თოთხავი ახლად გვითარგმნია, ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთავთა და ბერძულთა სახარებათა და შეგბწამებია ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა პპოვოთ, ეგრე დაწერეთ თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერათ, დოისთვს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვ ა. აქა სწერია, ეგრე დაწერეთ: და თუ არა რა-მე გაქუნდეს, ჩნ ნი ე ნი სახარებანი პირველთაგან წ(მი)დად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცა: მუნით დაწერეთ და ღ თისთ(გ)ს ერთ-მანეთთა ნუ გაპრევო! და გლახაკისა გ(ეორგი)ისთვს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლო-ცვა ყავთ.”<sup>8</sup>

სახარების ტექსტს ხსნის ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი, რომელიც ორ სვეტად არის დაწერილი და ოთხი გვერდი უკავია (ფფ. I-2v). ასომთავრულით ნაწერი

5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q-კოლექცია). ტ. II, გვ. 332.

6. შ.ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა ღროს გატანილი სამუშეულო განძულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978, გვ. 23.

7. ტამარ ქართული ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 233.

8. ხელნაწერთა აღწერილობა (Q-კოლექცია), გვ. 330.

წერილის სათაური “ევსები კარპიანეს, საყოფარელსა მმასა, უფლისა მიერ გიკომბადა,” მცენარეული ორნამენტით ამოვსებული წერტილის თავსართშია მოქცეული და ტექსტის პირველი სვეტის დასაწყისში თავსდება.

ეტრატის ფურცელზე ტექსტის განაწილებისა და თავსამკაულის ანალოგიურ პრინციპს იმეორებს თოთოვეული სახარების წინ წამდგვარებული თავების ნუსხა: მათე – ფფ.12r-14r, მარკოზი – ფფ.88r-89r, ლუკა – 14lr-143v, იოანე – 22lr-222r.

ოთხთავის ერთვის ბერძნულ და ქართულ ენებზე შესრულებული “ნიშანნი და ავაჯნი სახარებისანი და სამოციქულოსნი ბერძოლდესა გრძარსა ზედა” (ფფ.279r-279v); მას მოყვება “ზანდუკი სახარებისა საძიებლისად საწელიწდოვ” (ფფ. 280r-282v); ზანდუკის საწყისი გვერდი ორნამენტული თავსამკაულით ირთვება. ზანდუკს საწელიწადო საკითხავების ნუსხა (ფფ.283r-286r) მოსდევს. ხელნაწერს ასრულებს “ეპისტოლე ავგაროზ მთავრისად ქალაქისა ედესისად” (ფფ.287r-292r). აპოკრიფის ტექსტი 10 მინიატურითაა შემკული. ოთხთავის ტექსტის მსგავსად, ავგაროზის ეპისტოლეს ტექსტიც წმ. გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ვრცელ ვერსიას წარმოადგენს.<sup>9</sup>

სახარების მხატვრული გაფორმების განვითარების გზისათვის თვალის მიღებით ნათლად იქვეთება ის ძირითადი ტენდენციები და მხატვრული ამოცანის გადაჭრის გზა, რაც გელათის ოთხთავის მინიატურებს ახასიათებს.

ოთხთავის გაფორმების სპეციფიკურობა, გაფორმების პროგრამა და მინიატურათა შედგენილობა XII საუკუნის ბიზანტიურ და ქართულ მინიატურულ მხატვრობაში მიღებულ ზოგად სქემას მისდევს.

ოთხთავის გაფორმების პროგრამა ტრადიციულად ევსებიოსის წერილის დეპორით იხსნება. თუმცა ჩვენს ხელნაწერში მისი შემკულობა მხოლოდ II- ფორმის თავსამკაულით შემოიფარგლება. ამიტომ ხელნაწერის სრულფასოვანი მოხატულობა მხოლოდ კამარების გაფორმებიდან ჩნდება. კამარები 3r-10r გვერდებზე ნაწილდება. კამარათა დასასრულს მოცემულია “ვეღრების” სამფიგურიანი კომპოზიცია (ფ.11r); სახარების ყოველი თავის დასაწყისში დართულია სახარების დამწერთა, მახარებელთა მინიატურები მთელ გვერდზე (წმ.მათე – 15v, წმ.მარკოზ – 91v, წმ.ლუკა – 144r, წმ.იოგანე – 223v). თოთოვეული სახარების საწყისი გვერდი კვადრატული (მასში ჩაწერილი კვადრიფოლიუმით, რომლის ცარიელი არ იქრომელნით დაწერილი სახარების ჯვრული ასომთავრული დასათაურებითა ამოვსებული) თავსამკაულით, ინიციალით და ტექსტის მარჯვნა მხარეს ჩართული მინიატურით ირთვება.

ოთხთავის ერთ სვეტად ნაწერი ტექსტი მასში ჩართული მინიატურებითა და ინიციალებითაა გამრავალფეროვნებული. მარჯვნა მხარეს, გადაწერისას მათოვის სპეციალურად დატოვებულ არქზე მინიატურათა დართვის ერთიანი პრინციპი ყოველთვის მკაცრადად დაცული. ხელნაწერი ტექსტის საერთო ხასიათს გარკვეულწილად განსახლვავს ტექსტში ჩართული ინიციალები. ისინი ყოველგვარი სისტემის გარეშე ჩართული ტექსტში: ეშირად ერთ გვერდზე 3-4 ინიციალი ან საზედაო ასი ჩანს. ხელნაწერში ერთადერთი ისტორიზებული ინიციალია იოანეს თავის დასაწყისში (სურ.12). ინიციალები დახვეწილობით, ოქროს ზომიერი გამოყენებით, ფერადოვნებით და ხაზის მოქნილობით ხასიათდება. შესაბამის ადგილას ჩართული მინიატურები სახარების ტექსტის ვიზუალური თხრობის გაშლას, მისი სრული დასურათების ტრადიციას ასახავენ. ასე, მათეს სახარება 75 კომპოზიციას, მარკოზის – 62, ლუკას – 71, ხოლო იოანეს – 43 ხცენას შეიცავს.

<sup>9</sup> “ავგაროზის ეპისტოლეს” ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ჩ.ჩხილაშვილი, თბ., 2007.

ხელნაწერის გაფორმების დეკორატიული ელემენტების განხილვისას საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა კამარათა სერია და ევსებიოსის წერილის გაფორმება. ოთხთავის თავისებურებებიდან გამომდინარე კამარები, კანონთა კრებული სახარების წინ თავსდება და დეკორატიულ ხასიათთან და პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად, სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენს.

გელათის ოთხთავის მხატვარი გარკვეულწილად აგრძელებს ქართულ მხატვრულ ტრადიციას და საგანგებოდ არ გამოჰყოფს ევსებიოსის წერილს, როგორც ამას XI საუკუნის შავი მთის ხელნაწერთა ოსტატები აკეთებდნენ. მისი მთავარი აქცენტები კამარათა გაფორმებაზეა ორიენტირებული.

ოთხთავში კამარათა სერია 14 გვერდზე ნაწილდება. კამარები ერთმანეთის პირისპირაა განთავსებული. გელათის ოთხთავის კამარათა სტრუქტურას ქმნის არქიტექტურული ჩარჩო სატრიუმფო თაღის სახით. თითოეული მათგანი შედგება ორმაგი ნასკვიანი ან ჩვეულებრივი სვეტებისაგან, რომელსაც ანტაბლემენტი ეყრდნობა. ანტაბლემენტის საყრდენის ე.წ. არქიტრავის თავზე ანტაბლემენტის მართვული ფორმაში შექრილი ნახევარწრიული ფორმის ლუნებებია გაჭრილი. მათში სათაურები თავსდება. ბაზისებისა და კაპიტელების პროფილები რთული ხასიათით გამოიჩინება. სვეტის ბაზისებად სხვადასხვა ფორმის ლარნაკები თუ ცხოველთა თავებია გამოყენებული. კამარების პირველი ორი წყვილი სადაა; უკვე 5 გვერდიდან სრულიად განსხვავებული მიღღომა მეღავნეობა, როცა სხვადასხვა ფორმის ლარნაკ-ბაზისებთან ერთად, სვეტის თავებად (კაპიტელებად) სხვადასხვა ფიგურული გამოსახულებები გამოჩნდა. ერთმანეთს ენაცვლება ხარის თავები, ზღაპრული ხორთუმიანი არსებანი, ნიღბები, ერთმანეთს ყელგადაჭდობილი ირმის და ლომის გამოსახულებანი, შეწყვილებული ლომები, ატლანტის პოზაში წარმოდგენილი მოსახვამმოგდებული ქალისა და მამაკაცის ფიგურები, დაჩოქილი ადამიანები, რომელთაც მხრებზე არქიტრავი აქვთ გადებული.

კამარათა დეკორის ამგვარი გაფორმება აშკარად მიგვანიშნებს კომნენოსური ეპოქის სულიერ ფასეულობებსა და პოტენციალზე, მისი ანტიკური სიძველით გატაცებაზე; იმაზე, რომ ანტიკური, ელინისტური მოტივებითა და ტრადიციებით ნასახრდოები მხატვრული წარმოსახვა საეკლესიო ხელოვნების ისეთ დარგშიც პოულობს ასახვას როგორც წიგნის, კონკრეტულად, კი ოთხთავის გაფორმებაა.

თითოეული ანტაბლემენტი სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული ფორმითაა შევსებული: იქნება ეს ნახევარწრიული თაღი, მართკუთხედი, სამკუთხედი თუ ნუშისებური თაღი.

პირველი ოთხი კამარა უფრო ფართოა; მათ გაფორმებაში უხვად ჩანს საყრდენიდან, არქიტრავიდან, ანტაბლემენტის ცენტრიდან და კიდევებიდან ამოზრდილი დეკორატიული მცენარეები ე.წ. სასანური პალმეტი. მომდევნო ათი კამარა დავიწროვდა, ფორმები უფრო დახვეწილი და აზიდული გახდა. სასანური პალმეტი მხოლოდ ანტაბლემენტის კიდევებიდან იზრდება. ანტაბლემენტის გეომეტრიული ფორმები შევსებულია წრეებში, მედალიონებში ჩაწერილი თუ უბრალოდ ოქროს ფონზე თავისუფლად გაშლილი მცენარეული ორნამენტით.

ამდენად, ნათელია, რომ გელათის ოთხთავის კამარათა არქიტექტონიკა, მათი სტრუქტურა, ანტაბლემენტის ორნამენტული რეპერტუარი გარკვეულწილად მსგავსია და მისდევს XI-XII საუკუნეებისათვის ბერძნული და ქართული ხელნაწერებისათვის დამახასიათებელ ფორმებს. კამარათა 14 გვერდიანი რიგიც გამოძახილს პოულობს შავი მთის სკრიპტორიუმიდან გამოსულ ქართულ ხელნაწერებში ჩართულ კამარათა რაოდენობასთან. აღნიშნული ეპოქისათვის (XI-XIIIსს.) 14 გვერდი შავი მთის მხატვრული სკოლისა და ამ სკოლაზე ორიენტირებული ბერძნული თუ

ქართული ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი (A-484, A-845, Iberico I, შუკ.760, Sinai. Cod.Gr.158).

ქრისტიანულ საღვთისმეტყველო წრეებში გამოთქმული შეხედულების თანახმად, კამარათა ჭვრეტა არის ერთგვარი მზადება სახარების საკითხავად. მას ახასიათებენ, როგორც განსაწმენდელს. იმავდროულად, ოთხთავში ჩართული 14 დეკორატიული გვერდი გაიგივებულია იმ 14-14 მოდგმასთან, რომელიც წინ უსწრებდა იქსო ქრისტეს დაბადებას. მათ თანდათანობით ერთგვარი ნიადაგი შეუმზადეს მაცხოვრის მოსვლას (მათე 1:17). 14 გვერდიანი სერია მინეულია შავი მთის მხატვრული სკოლის მიღწევად და ადგილობრივ სიმბოლურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული;<sup>10</sup> თუ კამარათა არქიტექტონიკა და ორნამენტული რეპერტუარი მეტ-ნაკლებად ნაცნობია, კამარებზე, ანტაბლემენტის თავზე დართული, მედალიონებში ჩაწერილი ძველი აღთქმის სცენები და ფიგურები აშკარად მიგვანიშნებენ მისი დეკორის სიმბოლურ არსებე; კომპოზიციები შემდეგი თანმიმდევრობით ნაწილდება: 5v – აბრა-ამის მსხვერპლობერვა (სურ.1), 6r - მოსე და შეუწველი მაყვლოვანი, 6v – ესაია წინასწარმეტყველი, 7r – წინასწარმეტყველი ერემია, 7v – წინასწარმეტყველი ეზე-კიელი, 8r – წინასწარმეტყველი დანიელი, 8v – დავითი (სურ.2), 9r – სოლომონი ორანტის ტიპის დვთისმშობლის წინაშე, წინასწარმეტყველთა და მეფეთა სახელები მედალიონის გარეთ, წითელი მელნით, ბერძნულადაა შესრულებული. 9v – წმ. იოანე ოქროპირი მუშაობისას წარმოდგენილი, 10r – გვერდზე სამი მედალიონით ცენტრი-რებული ანტაბლემენტის არქიტრავი მფრინავ ანგელოზებს უპყრიათ. ცენტრალური მედალიონი ქრისტე ემანუელის გამოსახულებას ეთმობა, რომელიც მედალიონშივე ჩართული დმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მომცრო ფიგურებითა ფლანკირებული და გედრების კომპოზიციას ქმნის. მათი მავედრებელი, ოდნავ მოხ-რილი პოზა მედალიონის წრიულ მოხაზულობას იმეორებს. ვინაობის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერები მედალიონის გარეთ ორივე მსარეს თავსდება. გვერდითა მე-დალიონებში შეწყვილებული ანგელოზები უკარისტული ძღვენითა და საწამებელი იარაღებით დვთაებრივი ლიტურგიის სცენას ქმნიან (სურ.3).

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა მითითებული გელათის ოთხთავის კა-მარების სიმბოლური შინაარსი, რომელშიც ნათლად იკვეთება კონსტანტინოპოლისა და მის არეალში მიმდინარე საღვთისმეტყველო დებატების ანარეკლი, მისი კავშირი 1156-57 და 1166-67 წლების საეკლესიო კრებების დისკუსიებთან ევქარისტული მსხვერპლის რაობის საკითხებზე.<sup>11</sup>

კრების გადაწყვეტილებების შედეგები გარკვეულ ასახვას პოულობდა არა მხო-ლოდ საეკლესიო პრაქტიკაში, არამედ მასთან დაკავშირებულ ყველა სფეროში, და, რა თქმა უნდა, ხელოვნებაშიც.

წარმოდგენილი სიუჟეტების იდეური კავშირი ნათლად ჩანს; ასე, აბრაამის

10. ნ.ქავთარია, კამარათა სერიის მხატვრული გადაწყვეტა კალიკოსურ თოხთავთა გაფორმებაში. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და ოქროის კათედრის სამეცნიერო მრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, 5, თბილისი, 2003, გვ. 246.

11. О.Подобедова, Программа декора Гелатского Евангелия как отражение идеиных движений второй половины XII века. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1977. А.Саминский, Мастерская грузинской и греческой книги в Константинополе XII -начала XIII века. Музей 10, М.,1989, გვ. 190-216. კრებების შესახებ ი.в. G.Babic, Les discussion christologiques et le decor des églises byzantines au XII siècle. Frühmittelalterliche Studien, 2, 1968, გვ. 368-386. J.Meyendorff, Le Christ dans la théologie byzantine, Paris, 1969. მისივე, Christ in Eastern Christian Thought, Washington and Cleveland, 1969, მისივე, Byzantine Theology, Historical Trends and Doctrinal Themes, NY, 1987.

მსხვერპლთშეწირვა ერთგვარი წინაპირობაა მაცხოვრის მიერ გადებული ეკატერინებული მსხვერპლისა, შეუწველი მაყვლოვანი განკაცების იდეასთან კავშირში გაიაზრება, წინასწამეტყველები – ეგქარისტული მსხვერპლის წინასწარმეტყველებასთან, ხოლო ბიბლიურ მეფებთან ასოცირდება მესიის მოვლინებისა და დვთისმშობლის თემის წინასწარმეტყველება. იოანე ოქროპირი, როგორც ლიტურგიის შემქმნელი, ერთგვარ შემაკავშირებელ საფეხურად გვევლინება ამ როულ, მაგრამ იდეურად გამართულ ვიზუალურ ილუსტრაციებში.

ამდენად, კამარები გამსჭვალულია ეგქარისტული მსხვერპლის წინასწარმეტყველებით და ორივე “ვედრება” (ბოლო კამარის თავზე და ფრონტისპისზე) ესქატოლოგიურთან ერთად, ლიტურგიკული მნიშვნელობასაც იძენს.<sup>12</sup> (ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესო იკვეთება კამარათა მედალიონების სცენების იკონოგრაფიისა და სახარების ბოლოს დართული ავგაროზის ციკლის იდეური კავშირი).

გელათის ოთხთავის სატიტულო გვერდზე წარმოდგენილი “ვედრების” კომპოზიცია ასრულებს კამარათა იკონოგრაფიაში განვითარებულ იდეურ ხაზს და ერთგარად იწყებს სახარებისეული იდეის ვიზუალურ გაშლას (სურ.4).

“ვედრება” მოკლე რედაქციითაა მოცემული და დროთისმშობლის, ქრისტეს და წმ. იოანე ნათლისმცემლის მთლიანი ფიგურებით შემოიფარგლება. ჭმ. იოანე ნათლისმცემლის და დმრთისმშობლის ოდნავ მოხრილი, წაგრძელებული ფიგურები, მავედრებელი მზერით და ვედრების ექსტით აღმართული ხელებით მაცხოვრისკენად მიმართული.

გელათის ხელნაწერის ფრონტისპისი განკაცებული დვთაებრივი ლოგოსისა და მის წინაშე მეოხებისა და სხის იდეითაა გამსჭვალული.

კომპოზიცია პირამიდულად იგება და ოქროს ფონზე იშლება. სცენის მონუმენტური ხასიათი მის შინაარსს ეხმიანება და განსხვავდება მედალიონის კალიგრაფიული სიზუსტით შესრულებული ფიგურებისაგან. ლაკონიურობა და მონუმენტურობა სახეიმო მინიატურის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

“ვედრების” ესქატოლოგიური, სოტიროლოგიური და ტიპოლოგიური ასპექტები კონკრეტური ეპოქის ქრისტოლოგიური დებატების ანარეკლია.<sup>13</sup>

გელათის ოთხთავის დარად ფრონტისპისის კომპოზიციად “ვედრება” ჯრუჭის ოთხთავშიც (H-1667-XIIIს.) ჩანს. ვედრების მსგავსს იკონოგრაფიულ ვერსიას ვხედავთ XII საუკუნის კონსტანტინეპოლის საპატიოარქოში დაცული ბერძნული სახარების (№ 12) სატიტულო გვერდზე.<sup>14</sup>

ოთხთავის ტექსტის მთავარი ნაწილი წმ. მათე მახარებლის გამოსახულებით იწყება. სახარების ყოველი თავის დასაწყისში ჩართული მახარებლები წერის ან ფიქრისას გამოისახებიან და ხელნაწერი წიგნის მთელი გვერდი უკავიათ. მახარებლებს მოციქულთა ტრადიციული სამოსი, პიტონი და პიმატიონი, მოსავთ.

გელათის ოთხთავში ჩართული მახარებლები ნეიტრალურ ოქროს ფონზე არიან წარმოდგენილნი და მათ ერთნაირი ფორმის მოჩარჩოება აქვთ (მსგავსი “ვედრების” კომპოზიციისა) განსხვავებული ორნამენტით. ჩარჩოს გარშემო სამ მხარეს (ზემოთ, ქვემოთ და მარცხნივ) სინგურნარევი თქრომელნით ვრცელი ასომთავრული წარწერები მიუყვება.<sup>15</sup>

წმ. მათე მახარებელი ასაკოვანი ჭალარა კაცია. მას ლურჯი ქიტონი და

12. О.Подобедова, Программа декора Гелатского Евангелия...., გვ. 11.

13. A. Weyl Carr, Gospel Frontispieces from the Comnenian Period. Gesta, v.XXI/1, 1982, გვ. 3-20.

14. Ch. Walter, Two notes on the Deesis. Studies in Byzantine Iconography, London, 1977, გვ. 324-325, სურ.4.

15. აღწერილობა. Q-კოლექცია, გვ.330-331.

ოქრისფერი პიმატიონი მოსავს. იგი ფიქრის დროსაა წარმოდგენილი; მარჯვნენა-ხელი მუხლებზე გადაშლილ კოდექსზე უდევს, ხოლო მარცხენა სახეზე აქვს მიღებული, დრმა ფიქრებში წასვლის ნიშანი. ოთკუთხა საწერ მაგიდაზე სამუშაო ინსტრუმენტებია გაშლილი. ოვეზის ფორმის ფეხზე აღმართულ პირებზე გრაფიკილია გადაფრიალებული. მახარებლის სკამის კუფური დამწერლობის მსა-გავსი ორნამენტით იმკობა.

წმ. მარკოზ მახარებელი მუშაობისასაა გამოსახული, ლურჯი პიტონითა და ვარდისფერი პიმატიონით. იგი კალამს აწებს სამელენში, რათა განაგრძოს მუხლებზე გაშლილ კოდექსში წერა. პირებზე გადაშლილი კოდექსიდან ბერძნულენოვანი ტექსტი იკითხება.

წმ. ლუკა შედარებით ახალგაზრდა წვეროსანი კაცია და წერისას არის მოცე-მული. ლუკას სახე იმითაცაა გამორჩეული, რომ კეფა ამოპარსული აქვს. ორდარუსიან მაგიდაზე გაშლილი საწერი ინსტრუმენტების გარდა, საწერი მასალა და მოწყო-ბილობები მოჩანს მაგიდის ქვეშ არსებული კარადის გაღებული კარიდანაც (სურ. 5).

წმ. იოანე მახარებელი დანარჩენი მახარებლებისაგან განსხვავებით მაღალზუ-რგიან დაწნულ სავარძელში დაბალი მრგვალი მაგიდის წინ ზის, ღრმა ფიქრებში წასული. პირების ბერძნულენოვანი ტექსტია გადშლილი. ნიშანდობლივია, რომ მახარებელს არც ხელში უჭირავს და არც მაგიდაზე არ უდევს თავისი ნაშრომი.

მახარებელთა სახელების აღმნიშვნელი ბერძნულენოვანი წარწერები თავს ზე-მოთ პორიზონტალურად იწერება; მახარებლები უშარავანდონი არიან.

გელათის ოთხთავი, ქართულ ტრადიციაში დაცული ერთადერთი ხელნაწერია, რომელშიც მახარებელთა გამოსახულებებს აპოკალიფსური არსებანი: ახლავს. მა-თეს – ადამიანი-ანგელოზი, მარკოზს – ხმო, ლუკას – ლომი და იოანეს – არწივი.

ოთხ სიმბოლურ ცხოველს ლიტერატურულ საფუტველს ეზეკიელ წინასწარმე-ტყველის ხილვა (“მათი სახეები ასეთი იყო: ადამიანის და ლომის სახე ჰქონდა ოთხ მათგანს მარჯვენა მხარეს; ხარის სახე ოთხ მათგანს მარცხენა მხარეს და არწივის სახე ოთხივე მათგანს (ეზეკიელი 1:10) და წმ. იოანე ლმრთისმეტყველის გამოცხადება უქმნის: “პირველი ცხოველი ლომს ჩამოგავდა, მეორე კუროს, მესამე ცხოველს კაცის სახე ჰქონდა, ხოლო მეოთხე იყო მფრინავი არწივის მსგავსი” (გამოცხადება 4:7). ეკლესიის მამებმა ისინი გაიაზრეს ახალ აღთქმასთან კავ-შირში, შეუსაბამეს ცალკეულ მახარებლებს და, ამდენად, თავიდანვე სახარებას დაუქავშირებს.<sup>16</sup>

მიჩნეულია, რომ მახარებელთა პორტრეტული გამოსახულებები უმეტეს შემთხვე-ვაში განიცდიდა სახარების ტექსტზე დართული შესავლის ე.წ. იპოთეზისების (უპითესიც) გავლენას.<sup>17</sup> იპოთეზისი ბერძნულ ტრადიციაში შეიცავდა მოკლე შინა-არსეს, მახარებლის მოკლე ბიოგრაფიას, თავის, რვეულის რაოდენობას. იპოთეზი-სებში დაცული ცნობებით აისხება მახარებელთა იდენტიფიცირება ცალკეულ ფიგურებთან და სიმბოლოებთან. მსგავსს იპოთეზისებად შეიძლება მივიჩნიოთ მა-ხარებელთა გამოსახულებებზე დართული მინაწერები (იხ. მინაწერები) და თითოეუ-ლი სახარების ბოლოს სამხაზიანი ასომთავრული წარწერები (87v, 140r, 220v, 278v); თუმც მათში არ ჩანს ინფორმაცია სიმბოლურ თუ აპოკალიფსურ ცხოველებზე. გელათის ოთხთავის მინაწერების გავლენა მახარებელთა ვიზუალურ მხარეზე ნაკლებად სარწმუნოა.

16. G.Galavaris, The Illustrations of the Prefaces in Byzantine Gospels, Wien, 1979, გვ.47.

17. R. Nelson, The Iconography of Preface and Miniature in the Byzantine Gospel Book, NY, 1980.

ამდენად, აშკარაა, რომ ქართული ხელნაწერი ბიზანტიურისაგან განსხვავებულ მიღებას ასახავს. უდაცოა, რომ მხატვარმა ყოველგვარი შესავლის (იპოთეზისის) გარეშე ისარგებლა ბერძნული იკონოგრაფიული მოდელით და ბიზანტიურ ტრადიციაში საკმაოდ ფეხმოკიდებული თემის საინტერესო ინტერპრეტაცია ქართულ მხატვრულ აზროვნებაში გადმოიტანა.

გელათის მახარებლებთან სიმბოლური არსებანი სურათის მარჯვენა ზედა კუთხეში, ცის სეგმენტში ნახევარფიგურის სახით ან მთლიანად გამოისახებიან, ეს კომპოზიციური სქემა, როგორც გგალაგარისი შენიშვნავს, შესაძლოა ასახავდეს ილიუსტრირების განსხვავებულ ტრადიციას, როცა ფიგურა ნახევაფიგურის ან ბიუსტის სახით გამოისახება და „შთაგონების“ მოტივის ფუნქცია ეკისრება.<sup>18</sup>

ქართულ იკონოგრაფიულ რედაქციაში სიმბოლოსა და შთამაგონებლის ვერსია თანაბრადაა შეთვისებული.

ბერძნულ ხელნაწერებში სიმბოლოს ჩართვის რამდენიმე ვარიანტი ვრცელდება: მახარებელთა მოპირდაპირე მხარეს ცალკე გვერდზე, სატიტულო გვერდზე თავსამაჟულის თავზე ან მახარებლის ფიგურასთან ერთ კომპოზიციაში.

გელათის ოთხთავის კვალად, მარჯვენა ზედა კუთხეში სიმბოლური ცხოველები ჩანს მხოლოდ XIV საუკუნის ლონდონში დაცულ წმ. დემეტრიოსის ბერძნულ სახარებაში (Cod.Add.1183).<sup>19</sup>

დროდადრო თანმიმდევრობა, თუ რომელ მახარებელს რომელი სიმბოლო შეესაბამებოდა, იცვლებოდა და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ეკლესიის რომელი მამის ინტერპრეტაციას (იგულისხმება იპოთეზისი) მისდევდა ხელნაწერის გადამწერი და შემდეგ უავე მხატვარი. ბიზანტიაში გავრცელებული იყო ირენეუსის, ანდრია კესარიელის, ანასტასი სინელის, სოფრონი იერუსალიმელის, თეოფილაქტე ოხრიდელის, ეპიფანეს, ფსევდო-ათანასეს, იპოლიტე რომაელის კომენტარები.<sup>20</sup>

გელათის ოთხთავისათვის მიღებული თანმიმდებრობა (ადამიანი-ანგელოზი, ხმო, ლომი და არწივი) ფსევდო-ათანასეს სახელს უკავშირდება; ეს ტიპი XI საუკუნიდან ჩანს და ათენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული Cod.57 ამ მოდელის ერთ-ერთი ადრეული ვარიანტია.<sup>21</sup>

მახარებლისა და მასთან სიმბოლოს შეპირისპირების ექვს ტიპს გამოჰყოფს რ. ნელსონი. მეცნიერი გელათის ოთხთავს წმ. ეპიფანეს მიკუთხნებულ ხელნაწერთა რკალში აქცევს, სადაც ქართული ოთხთავის გარდა XII-XIII საუკუნეების რამდენიმე ბერძნული ხელნაწერიც ფიგურირებს.<sup>22</sup>

თავდაპირველად სიმბოლური ცხოველები შარავანდების გარეშე გამოისახებოდნენ; თანდათანობით მათ ატრიბუტებს დაემატა ფრთები, შარავანდი და კოდექსი. გელათის ხელნაწერში შარავანდი მხოლოდ ანგელოზ-ადამიანს ამკობს, ხოლო კოდექსი ყოველი მათგანის განუყოფელი არტიტუტია.

ცხოველები სახარების სიმბოლოები არიან და მათ სპეციფიკური მნიშვნელობა ენიჭებათ. ლომი გამოხატავდა სახარების სამეფო (სამეფო) კონცეპციას, ხმო (ხარი) მის იერაზიულ ასპექტს უსგამდა ხაზს, ადამიანს მიმსგავსებული სიმბოლო განკაცებულ ლოგოსს გამოხატავდა, ხოლო არწივი სულიწმინდის წარმომავლობას<sup>23</sup>

18. G.Galavaris, The Illustrations of the Prefaces in Byzantine Gospels, გვ. 57.

19. იქვე, გვ. 41.

20. G.Galavaris, The Illustrations ..., გვ. 36-49. R.Nelson, The Iconography of Preface..., გვ. 17-33

21. G.Galavaris, The Illustrations ..., გვ. 43.

22. R.Nelson, The Iconography ..., გვ. 17-20.

23. G.Galavaris, The Illustrations..., გვ. 43.



ამდენად, კამარებში გატარებული კომპოზიციათა და ფიგურათა სიმბოლური და მიმღებელი ტვირთვა თავისებურ გაგრძელებას მახარებელთა გამოსახულებებშიც პოვლობს.

გელათის ოთხთავის მხატვრული გაფორმების საფუძველს ტექსტში ჩართული მრავალრიცხოვანი მინიატურები ქმნიან. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 251. ისინი ფურცელზე ტექსტის შესაბამის ადგილებშია ჩართული და სახარების ტექსტის ვიზუალურ ილუსტრაციათა ციკლს წარმოადგენენ.

XII საუკუნისათვის ქართულ მინიატიურულ მხატვრობაში XI-XII საუკუნეებში ბიზანტიურ მხატვრულ აზროვნებაში მიღებული ტრადიციის კვალად (ი.ხ. ხელნაწერები Paris. gr.115, Paris gr.74, Parma, Palat 5, Wienna Theol.gr.154 და ფლორენციის ლაურენციანას ბიბლიოთეკაში დაცული Plut. VI<sup>23</sup>) ვრცელდება ოთხთავის სრული დასურათების სისტემა (გელათი, ჯრუჭი H-1667 და მოქვი Q-902).

გელათის ტექსტში ჩართული მინიატურები თანამიმდევრულად ასახავენ ახალი აღთქმის მნიშვნელოვან სფეროებს. ტექსტიდან ისინი მარტივი წითელი ფერის ხაზით შექმნილი ჩარჩოთი გამოიყოფა. ოთხთავის ყველა მინიატურა ფურცლოვან ოქროს ფონზე იშლება; ოთხკუთხა მინიატურა არასდროს არ არღვევს წონასწორობას და არ სცილდება ნაწერის ფორმატს. კომპოზიციის ამგვარი მოწესრიგებული განლაგების პრინციპი ყოველთვის მკაცრადაა შენარჩუნებული.

ოთხთავში რამდენიმე ციკლი გამოიყოფა: ქრისტეს ცხოვრების ამსახველი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ქრისტეს ბავშვობის იღდესტრაციებს, ძირითადი დღესასწაულების და მოვლენების ამსახველ სეუკეტებს (სურ. 6,7), ვნების ციკლს და ადგიომის შემდგომ სცენებს. გელათის სელნაწერის დასურათებაში უდიდესი ადგილი ეთმობა განკურნებათა სცენებს (სურ.8) და ქრისტეს სასწაულების ამსახველ მინიატურებს (სურ. 9); სელნაწერში ცალკე ციკლად შეიძლება გამოიყოს წმ. ოთხე ნათლისმცემლისადმი მიღებინილი სეუკეტები (სურ. 10).

ქრისტეს იგავებისა და ქადაგებების სცენებს 2-3 მინიატურა ეთმობა (სურ.11). იგავებისა და ქადაგებების შემცველი სახარების ტექსტის აღგილები მოუხატავია დატოვებული.

გელათის მხატვრული გაფორმების დამახასიათებელი თავისებურება მისი ხაზგასმულად თხრობითი ხასიათია. ხშირად ერთი მინიატურა ტექსტის რამდენიმე პასაჟს ასურაობს; იგივე ტენდენცია შეინიშნება ორდარუსიან მინიატურებშიც. უმეტესად ამგვარი გაერთიანებული სცენების გამოყოფის ფუნქციას ოქროს ფონი ითავსებს. ასევე მარტივი არქიტექტურული თუ პეიზაჟური დეტალები ერთ მინიატურაში გაერთიანებულ სხვადასხვა სიუჟეტებს გამოყოფენ.

გელათის ოთხთავის მინიატურების იკონოგრაფიული თავისებურებანი ეპოქას შექმნას დამტკიცება.

კომპოზიციის აგება მაცრი სიმეტრიულობით და ცენტრულობით გამოირჩევა. ძირითადი აქცენტი სიუჟეტის კომპოზიციურ წყობაში ოქროს ფონებს აკისრიათ. ამ ფონებზე ნათლად იკვეთება სიუჟეტის შინაარსიდან გამომდინარე ცალკეული ფიგურები თუ ფიგურათა ჯგუფები. ფიგურათა დაჯგუფება თავის თხემებით სიმრავლის ეფექტს ქმნის. ფიგურები არასდროს ეხებიან მოჩარჩოების წითელ ზოლს. საჭიროების შემთხვევაში მხატვარი თამამად ჭრის კიდეში მოქცეულ ფიგურას ან არქიტექტურულ ნაგებობას და კომპოზიციასა და ჩარჩოს შორის ერთგვარ სივრცულ პაუზას ქმნის. სივრცული პაუზა ყოველთვის თვალშისაცემია ქრისტეს ფიგურასთან მიმართებაში და ხახს უსამს მის ჟასტიკულაციას, მოძრაობას.

ოთხთავში ჩართული ერთი და იგივე სცენების განსხვავებული კომპოზიციური გადაწყვეტა საკმაოდ ხშირად ჩანს. ასე მაგ.: ერთის დაპურების სცენა (მათეს სახარება ფ.53v) ორდარუსიანი კომპოზიციითაა წარმოდგენილი, მარკოზის სახარებაში

(ფ.113r) კი ერთდარუსიანი კომპოზიცია რელიეფისა და პეიზაჟური ელემენტების შედეგად ბუნებრივად გამოსახავს რამდენიმე სცენის გაერთიანების შედეგად მიღებულ თხრობით ხასიათს. ხშირია ერთი და იმავე საუჟეტის განსხვავებული იკონოგრაფიული ვერსიები (წმ.იოანე ნათლლისმცემლის თავისეკვეთის სცენები, ზღვის სასწაული (სურ.13), ჯვარცმა და სხვ.). ყოველთვის უცვლელია წმ.პეტრე მოციქულისა (სურ.14) და წმ.იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიული ტიპები.

ჯვარცმისა და გარდამოსხის თემებს ცალკეულ სახარებაში თითო მინიატურა ეთმობა. იოანეს სახარების მხატვარი ჯვარცმას დამოუკიდებელ კომპოზიციად გამოსახავს, ხოლო გარდამოსხის, წაგრაგნის, მენელსაცხებლე დედების და ჯოჯოხეთის წარტყმენის სცენებს ორდარუსიან მინიატურაში აერთიანებს (სურ.15). ბუნებრივ გამომყოფ ზოდად დარჩენილი ოქროს ფონი ერთგვარ სატისებურ სახეს ანიჭებს მას.

ერთი შეხედვით გელათის ოთხთავის კომპოზიციების გამოკვეთილი ერთფეროვნება, ხაზგასმული მოწესრიგებულობა, რიტმული თანასწორობა, სიმეტრიულობა და ემოციური თავშეგავებულობა რამდენადმე მონოტონურობის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს.

ფერადოვანი წყობა პარმონიულობით გამოირჩევა და ძირითადად ჩამქრალ ოქროს ფონთან შეხამძებული ლურჯი, მწვანე, წითელი, ვარდისფერი, ოქრისა და ბაცი იასამნისფერი ტონების სხვადასხვა შეფერილობებით ხასიათდება.

ხელნაწერის დასურათებაში რამდენიმე სხვადასხვა დონის მხატვრის ხელი გამოიყოფა (სავარაუდოდ 3-4). თითოეულ მათგანს ინდივიდუალური მხატვრული თავისებურებები ახასიათებს. თუმც მკაცრადაა შენარჩუნებული გაფორმების ერთიანი პრინციპი, რომელსაც მხატვრები არ დალატობენ. ერთი მხრივ, სახეზეა რელიეფურად დამუშავებული სახის ნაკვთები, თავისუფალი მოძრაობებით, მოცულობიანი ფიგურები დიდი თავებით და, მეორე მხრივ უწონადო, დაგრძელებული, შეიძლება ითქვას დეკორატიული ფიგურები. ენერგიული ნახატით შესრულებული მახარებელთა მასიური მონუმენტური ფიგურები გაწაფული ოსტატის ხელს აჩენს. დიდი სიზუსტითა და დახვეწილობით შესრულებული მათი სახის ნაკვთები მოკლებულია გადაჭარბებულად მკაცრ გამომეტყველებას. დახვეწილობა და სირბილე შეინიშნება სახის მოღელირებასა და ნათელ ფერადოვნებაშიც. თითქმის უარყოფილი კონტურული ხაზი და ფერთა შეთანხმებული ელერადობა ამ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს. ზოგადად, წერის მანერა ფერწერულობით ხასიათდება.

სავარაუდოდ, მახარებელთა გამოსახულებები და “ვედრების” კომპოზიცია ერთი ოსტატის ნამუშევარია.

ქართულ საზეიმო ტიპის ხელნაწერებში ბიზანტიური წიგნის ხელოვნების გავლენით XI საუკუნეში დამკვიდრებული დეკორატიული სტილის ნიშნები XII საუკუნეში კიდევ უფრო ღრმავდება და ასახვას გელათის ოთხთავის მინიატურებში იჩენს.<sup>24</sup> სტილის ნიშნები უმთავრესად მუდავნდება ფერადოვანი გადაწყვეტის ინტენსიურობაში, რბილ ტონალურ გადასვლებში, ფონისა და ფიგურების რამდენადმე კონტრასტულ შეპირისპირებაში, სამოსის დამუშავებასა და ხაზგასმულ დეკორატიულობაში.

ჭერილის მოცულობა არ იძლევა მინიატურათა იკონოგრაფიული პროგრამისა და სტილური თავისებურებების დეტალურად წარმოჩნის საშუალებას, მაგრამ უდაფოა, რომ გელათის ოთხთავის სასურათო ციკლი ახლო კავშირს ამჟღავნებს ათენ-

24. ე.მაჭავარიანი, სამი ქართული ოთხთავის დასურათების პრინციპები. საბჭოთა ხელოვნება, №12, 1985, გვ.87.



ის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ბერძნულ ხელნაწერთან Cod.93.<sup>25</sup> მართლზე, მინიატურათა შერჩევის პრინციპი განსხვავდება გელათის ოთხთავის ნარატიული ციკლისაგან და მხოლოდ 20 მინიატურით შემოიფარგლება (სურ.16), მაინც ნათლად იკვეთება იქონოგრაფიული და სტილური თავისებურებების მსგავსება. ხელნაწერი XII საუკუნით თარიღდება; გელათის ოთხთავის მსგავსად, სავარაუდოდ, ათონის მთის ან კონსტანტინოპოლის მხატვრულ სკოლას მიეკუთვნება და კომნენოსური სტილის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა.<sup>26</sup>

ბოლოს ოთხთავს მოსდევს და ხელნაწერს ასრულებს “ეპისტოლე ავგაროზ მთავრისა ქალაქება ედესისაა, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესა” – სიუჟეტური მინიატიურებით. მინიატიურები ტექსტის შესაბამის ადგილებშია ჩართული, არ არდევეს ტექსტის განუყოფელ მთლიანობას და ამ აპოკრიფული ციკლის მეტად საინტერესო იკონოგრაფიულ გადაწყვეტას გვთავაზობს; გელათის ხელნაწერის სცენები ზუსტად მისდევენ ტექსტის თანმიმდევრობას და ასახავენ ნარატიული ციკლის მნიშვნელოვან სიუჟეტებს: 1. სხეული ავგაროზის მიერ წერილის გადაცემა (287r); 2. იესო ქრისტესთვის წერილის გადაცემა (287v); 3. იესო ქრისტეს მიერ ავგაროზისთვის წერილის გადავზნა (288v); 4. ბეჭედთა ახსნის თავზე ცის სეგმენტში გამოსახული მაკურთხეველი მარჯვენა (289r); 5. ორდარუსიანი კომპოზიცია ორ სცენას აერთიანებს: ავგაროზისათვის წერილის გადაცემის მომენტს და ხელოვანი მხატვრის და მალემსრბოლელის ხელახალ წარგზავნას (289v); 6. ქრისტეს და წარგზავნილების შეხვედრა იერუსალიმის ბეჭთა წინ (290r); 7. მომდევნო პორიზონტალურად გაშლილი სცენა სამ ეპიზოდს აერთიანებს: მალემსრბოლელი და მხატვარი ქრისტეს წინაშე ქადაგების დროს, ხელის დაბანის სცენა და მანძილიონის გადაცემა (290v); 8. იერაბოლის სახწაული (291r); 9. კვლავ გაერთიანებული ორდარუსიანი კომპოზიცია: განრდვეულის განკურნება და ავგაროზ მთავრისათვის მანძილიონის გადაცემის სცენა (292r); 10. ავგაროზის ნათლობა (292r).

გელათურ ციკლში ფიგურათა რაოდენობის გაზრდა, არქიტექტურული და ოქროს ფონები, ელემენტების პეიზაჟის შეტანა, ცალკეულ სცენათა გაერთიანების პრინციპი თავად ოთხთავის გაფორმების საერთო მხატვრული ხედვიდან მომდინარეობს. მინიატიურები იმითავაა გამორჩეული, რომ ავგაროზ მეფის განსხვავებული იკონოგრაფიული ტიპები (ხან წერიანი, ხან უწევერული ახალგაზრდა) უკმა განზოგადობებულ, ერთგვარ კრებით სახედ ადიქტება.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ავგაროზის ციკლის ილდუსტრაციები მხატვრული შესრულებით ლუკას სახარების მინიატურებთან ამჟღავნებენ სიახლოებას.

ოთხთავის აგგაროზის ციკლის ილუსტრაციების განხილვისად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც. ავგაროზის ეპისტოლებს 14 გვერდზე განაწილება რამდენადმე ეხმიანება კამარათა 14 გვერდიან სერიას. მათ შორის არსებული სიმბოლური კავშირი მხოლოდ გვერდების რაოდენობაში არ გამოიხატება. როგორც აღვნიშნეთ, გელათის ოთხთავის კამარების თავზე, მედალიონებში ჩაწერილი ძველი აღთქმის სიუჟეტები და პერსონაჟები საღვთისმეტყველო დებატების შედეგად დაწყებული იდეური მოძრაობებისა და ცვლილებების თვალსაჩინო ანარეკლია. XI საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ბიზანტიურ და ქართულ კედლის მხატვრობაში მანიფილიონი უმეტესად ზემოთ ჩამოთვლით სიუჟეტებთან და ვიგურებთან

25. E.Constantinides, The Tetraevangelion, Manuscript 93 of the Athens National Library. ΔΧΑΕ, 1977-1979, 33. 185-215., Marava-Chatzinikolaou A. and Toufexi-Paschou C, Catalogue of the Illuminated Byzantine Manuscripts of National Library of Greece, v.1 Athens, 1978, no. 224-244, cm. 630-654.

<sup>26</sup> E. Constantides, *The Tetraevangelion. Manuscript 93 of the Athens National Library*, 23, 215.

კონტექსტში გაიაზრება და გამოისახება<sup>27</sup>.

გელათის ოთხთავი ქართული მინიატურული მხატვრობის გამორჩეული ნიმუშია. ქართული და ბიზანტიური კულტურული ურთიერთობების და ტრადიციების ფონზე შექმნილი საზეიმო ხელნაწერის გაფორმება ასახავს XII საუკუნის ქართული წიგნის ხელოვნების მაღალ მხატვრულ დონეს, მასში ჩადებულ კომენტარი ეპოქის მოწინავე იდეურ, იკონოგრაფიულ და სტილურ ტენდენციებს, კულტურული გარემოს გავლენას, მხატვრის ოსტატობას და დამკვეთის დახვეწილ გემოვნებას.


### Nino Kavtaria Gelati Gospel

The so called Gelati Gospel (kept in Tbilisi, National Centre of Manuscripts, cod. Q-908) is one of the distinguished among the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. manuscripts, marking the most significant stage in the history of the Georgian manuscripts. Although, the Gelati Gospel had attracted scholarly interest since 1870s, it had not yet become a subject of the comprehensive study. The manuscript lacks colophons and its date, 12<sup>th</sup> c., is identified based on the comparison of data provided by its text, calligraphy and miniatures; as yet, neither ascertained is the place of its creation (supposedly, Iviron on Mount Athos, or some Georgian-Greek scriptorium in Constantinople). Likewise, unknown is when and how did it find its place in Gelati monastery, from where it was taken to France in 1921 (together with other Georgian treasures), returned to Georgia in 1945 and kept in the museum depositories ever since.


The manuscript comprising 293 pages (27 x 19,5 cm.) is written by one hand, in brown ink, in one column; chased book-cover of the Gospel is of a later date. The Gospel is prefaced by the Epistle of Eusebios, Canon Tables and, finally, apart from the Table of Contents, Annual Calendar of Pericopes and, what is most important, Epistle of Abgar. System of decoration is akin to that of the Byzantine and Georgian manuscripts dated to the ca. 12<sup>th</sup> c. Epistle of Eusebios is decorated quite modestly, the Canon Tables are inscribed in frames with columns and entablatures – similar to other samples of the Black Mount (near Antioch) scriptorium, they are distributed on fourteen pages, which (especially from the page 5) are embellished not only with the ornamental motifs, but, further to the tastes of the epoch, by the images of animals and humans. Above entablements, medallions are placed, bearing Old Testament scenes (Sacrifice of Abraham; Burning Bush), images of the Prophets, St. John Chrysostom and Deesis with the Angels performing liturgy – selection of images reflects theological dispute on the Eucharistic Offering taking place in Constantinople in 1150-1160s, which is also linked with the Deesis on the frontispiece (the same composition

27. Ш.Герстель, Чудотворный Мандилион, Образ Спаса Нерукотворного в византийских программах, "Чудотворная икона в Византии и Древней Руси," ред.-сост.Лидов А.М., М.,1996, ვ.3.  
80. E.Gedevanishvili, The Representation of the Holy Face in Georgian Medieval Art. Iconographica, V, 2006,  
ვ.3. 14-27


is found in Jruchi II Gospel and one of the 12<sup>th</sup> c. Greek Gospels) and Abgar cycle. Each Gospel begins with the image of St. Evangelist, headpiece, initial and a miniature; here and everywhere else, miniatures are placed to the right, while no logic is discernible in the distribution of the initials. Seated St. Evangelists are surrounded with the ornamental frame from the three sides (on the fourth – *asomtavruli* (uncial) inscription is placed), they are depicted without nimbi and (the unique case for Georgia) are accompanied by the Apocalyptic creatures, as their inspirers, which follow the sequence indicated by Pseudo-Athanasius. Unlike Greek Gospels, no influence of hypotheses on the images is seen. The text is provided with ca. 251 miniatures. Painted on the gold leaf and framed with red lines, these miniatures represent the life of Christ (including His Infancy, especially abundantly, Healings and Miracles), major Feasts, Passion cycle and events after Resurrection, as well as life cycle of St. John the Baptist. Symmetrical and centric compositions form narrative illustrations marked by the diversity of the iconographic versions. The manuscript was illuminated by three or four painters, whose individual manners are well discernible despite their keeping to common principles. Gelati miniatures bear traces of the Byzantine influence, it shows certain iconographic and stylistic affinity to the 12<sup>th</sup> c. Gospel, cod. 93 in the Athens National Library. Epistle of Abgar is illustrated by ten miniatures, which follow the narration and are of the same character, as the miniatures of the Gospel (especially, those of the Gospel by Luke).




კამარა




კამარა



კამარა



გედრება



ვერისცვალება




ეშმაკეულის განკურნება




ლაზარეს აღდგინება




იგავი გლახაგ ლაზარეზე



ლუკა მახარებელი




იოანე ნათლისმცემლის თა-  
ვის კვეთა



Եջակ Սանհայցո



Տցիրյես Սարգովա



გარდამოსსნა; საფლავად დადება; მენელსაცხებლე დედანი უფლის  
საფლავთან; ჯოჯოსეთის წარმოტყვევნა

მარიამ დიდებულიშვილი

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა  
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

## ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის XIII ს-ის დამდეგის მოხატულობის ფერადოვნება

ქალბატონმა თინათინ ვირსალაძემ მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა შეა  
 საუკუნეების ქართული ფერწერის, მეტადრე კი მონუმენტური მხატვრობის კვლევას.  
 სულ რამდენიმე ნაშრომში მან ნათლად ჩამოაყალიბა ამ დარგის განვითარების  
 ძირითადი ეტაპები, რეგიონალური თავისებურებანი, იკონოგრაფიული პრიორიტეტები,  
 და რაც, მთავარია, ბიზანტიურ მხატვრობასთან მისი მსგავსება-განსხვავების  
 ძირითადი ნიშნები, განსაკუთრებით მხატვრული სტილის თვალსაზრისით.

შეა საუკუნეების ქართული ფერწერის მხატვრული ენის თავისებურებათა  
 კვლევისას ქალბატონმა თინამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ქართული  
 მხატვრობის ფერადოვნების საკითხზე და, ფაქტობრივად, განსაზღვრა კიდევ მისი  
 ძირითადი მახასიათებელები.

“Как бы ни разнились по тональности грузинские росписи рассматриваемого периода, для всех них характерным является относительная сдержанность красочной гаммы, и ее гармонированность, при линейной манере исполнения. Будет ли это теплая гамма Земо-крихи или холодная гамма Гелати, она строится из немногих тонов и относительно мало раздробленных светами и тенями цветовых пятен”,<sup>1</sup>.

თუმცა ქალბატონ თინას არც ერთი ნაშრომი უშეალოდ ყინცვისის მოხატულობას  
 არ ეძღვნება, შეა საუკუნეების ქართული ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანების  
 ნაწარმოებს დიდი ყურადღება ეთმობა მის გამოკვლევებში, პირველ რიგში კი,  
 სწორედ მის ფერადოვნებას.

მართლაც, ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფერწერული ანსამბლის  
 მხატვრულ სახეს უდიდეს წილად მისი ფერადოვნება განსაზღვრავს. ძირითადად  
 კი პირველი შეხედვისთანავე თვალში საცემი სიუხვე და ბრწინვალება ლაჟვარდის  
 ფერისა. დღევანდელ გაცრეცილ-გამქრქალებულ სახითაც კი, სწორედ ფერადოვნება  
 განაპირობებს ამ მოხატულობის საოცარ გამომსახველობასა და ზემოქმედების  
 ძალას.

და თუმცა ამჟამინდელი კოლორიტი საკმაოდ განსხვავებულია  
 თავდაპირველისაგან<sup>2</sup>, იგი დდესაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, მიოუმეტეს,  
 რომ ემოციური და სიმბოლური დატვირთვაც ძირითადად ფერზე მოდის და ფერით  
 არის განსაზღვრული. რაც მთავარია, სწორედ ფერი არის ყველაზე ძლიერი  
 გამაერთიანებელი ამ საკმაოდ დიდი ფერწერული ანსამბლისა<sup>3</sup> რომლის შექმნაშიც,

1 Т.Вирсаладзе, «Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши». ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1963, გვ. 202.

2 ლავეჯვარდის ჩამოცვებამ და აქერცვლამ დიდ სიბრტყეებზე გარკვეულ აღგილებში ფერწერული ფენისა და ბათქაშის ფენის დანაგარებმა გამოიწვია ლურჯის ქდერადობის ჩანაცვლება ოქრის თბილი ტონებით (ბათქაშის ფერი, კედლების აგურის ფერი), ანუ დღეს ჩვენ მეტ თბილ მოოქროსფრო-მოწითალო ფერებს ვხედვთ, ვიდრე ეს იყო XIII ს-ის დამდეგს. გარდა ამისა, ზოგმა საღებავმა დეფორმაცია განიცადა და აქტიური მედერი სინგურის ნაცვლად ახლა ყრუ მოყვისფრო-რუსს ადგიქვამო. ძლიერი აქერცვლის გამო თავისი ბრწინვალება დაკარგა ოქრომაც, საკურთხეველსა და ჩრდილო მკლავში რომ იყო უხვად დადებული სამოსებსა და შარავანდებზე.

3 Г.Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, გვ.

როგორც ჩანს ბევრი ოსტატი მონაწილეობდა, თანაც არც თუ ერთნაირი დონის და ხელწერის.

შეა საუკუნეების ხელოვნებაში ფერი არის მხატვრული ენის უმნიშვნელოვანების კომპონენტი, რომლის მხატვრულ-სახვითი და სიმბოლური მნიშვნელობა განუყოფლია, ყოველივე ერთანი “ქადაგებაა ფერებითა და ხაზებით” (წმ. ბასილი დიდი). ცხადია, ფერი მნიშვნელოვანი იკონოგრაფიოული ელემენტიც იყო, მაგრამ მისი სიმბოლიკა მეტის მთქმელი იყო და ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებში ფერთა შერჩევისა და მათი დაკავშირების წესი სწორედ მათი სიმბოლურ გააზრებაზე იყო დაფუძნებული<sup>4</sup>.

ოდიოგანვე, კაცობრიობის კულტურის ისტორიის მთელ მანძილზე, ფერთა სიმბოლური “ქდერადობა” მათ ქრომატულ “ქდერადობაზე” არა ნაკლებ (თუ მეტად არა) იყო მნიშვნელოვანი<sup>5</sup>. ძევლ ტექსტებში საღებავის “ფერობას” კი არ აღნიშნავენ, არამედ მის სემანტიკურ საზრისიანობას. თუმცა სხვადასხვა კულტურულ წრეში, ეპოქაში, კონფესიის ფარგლებში, სოციალურ გარემოშიც კი, ფერთა სემანტიკური მნიშვნელობა განსხვავებულია. მეტიც, თვით ერთსა და იმავე კულტურულ წრეშიც კი არ არსებობს ფერის მკაფიოდ დაფიქსირებული და ერთმნიშვნელოვანი სემანტიკა და სიმბოლიკა – იგი ყოველთვის კონტექსტით არის განსაზღვრული<sup>6</sup>.

ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებში ამა თუ იმ ცალკეული ფერის როგორც მხატვრულ, ასევე სიმბოლურ ქდერადობას მისი კოლორიტის შემადგენელ ფერთა ერთობლიობა, მათი შეფარდებები და ურთიერთკავშირი განაპირობებს<sup>7</sup>.

89. L.James, Light and Colour, Oxford, 1996, გვ. 8.

4 ეცლების მამები თვლილენ, რომ ფერი ანიჭებს დამაჯერებლობას და სინამდვილეს გრაფიკულ ნახაზს (J.Gage, Colour and Culture, Tames & Hudson, 2001, გვ. 48). ფერს სიტყვის მერე უველაზე დიდი მნიშვნელობა პქმნდა (B.В.Бычков, «Эстетическое значение цвета в восточно-христианском искусстве», Вопросы истории и теории эстетики М., 1975, გვ. 129). წმ. იოანე დამასკელის თქმით, კანონი არის წინასწარი მონახაზი სურათისა, მაღლი და ჭეშმარიტება კი ფერადი სურათი (H.Maguire, The Icons of their Bodies, Princeton, 1996, გვ. 48). იოვლებობდა, რომ ხატი ფერის გარეშე არასრულყოფილი იყო. წმ. კირილე ალექსანდრიელი წერდა, რომ კონტურები და მონახაზები არის პირველადი ნიშნები დადგებული იმათი ნიჭით, ვინც ხატავს ხატებს და თუ ამ მონახაზს დაემატება, დაედება ფერთა ბრწყინვალება, მაშინ სურათის მშვენიერება გამოჩნდება. (H.Maguire, The Icons of their Bodies, გვ. 48.) ხატი ფერებით საუბრობს. (L.James, Light and Colour, გვ. 90). წმ. დოონისე არეოპაგელი ფერებს სიმბოლოთა სამყაროს მიაკუთვნებს (E.Sendler, The Icon, Image of the Invisible, Elements of Theology, Aesthetics and Technique, Oakwood Publications, 1999, გვ. 151).

5 L.James, Light and Colour, გვ. 101-103

6 რა თქმა უნდა არსებობს გარკვეული საყოველთაო, მეტ-ნაკლებად მდგრადი საზრისებიც. მაგ, თეორი სიწმინდის, უმანკოების, დეთაებრივი ნათლის აღმნიშვნელია; ლურჯი – ზეციურის, მარადიულის, ბრწყინვალების, დეთაებრივი სიბრძნის; თუმცა მას ზოგჯერ საპისირპირ დატვირთვაც აქვს – უარუოფით მნიშვნელობას დებულობს (J.Gage, Colour and Meaning, Art, Science and Symbolism, Thames & Hudson, 1999, გვ. 73; L.James, Light and Colour, გვ. 104); მწვანე განახლების, სოცოცების, სულიწმინდის ფერია, ამასთან კი ზოგჯერ – რისხვისა და სიკეთილისაც; წითელი – ცეცხლის, სამეუფერ დიდების, მოწამეობის, მეორედ მოსვლის, ამავდროულად ცოდვისა და ვნებიანობის (ა.ოქროპირიძე, წითელი ფერის სიმბოლური გააზრების ერთი ასაქტი შეუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში. მაცხე, ისტორიის სერია, № 3, 1985, გვ. 156-176). ამას გარდა, დავითის და სოლომონის შარავანდებისა და სამოსის წითელი – მეუფებას ნიშნავს; წმ. გიორგის მოსახამის წითელი – მარტვილობას, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის წითელი ხმალი – ცეცხლის მახვილის, რომლითაც ცოდვილებს განაგდებს; ეფს მაფორიუმის წითელი – ცოდვისაგან განთავისუფლების სიხარულს; ხშირად წითელი ფონი დათაებრივ ნათელსაც განასახიერებს. მნიშვნელობათა ეს რიგი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

7 L.James, Light and Colour, გვ.103; J.Gage, Colour and Meanin, გვ. 70.

ყინცვისში ფერის ეს ასპექტები მართლაც რომ განუყოფლად არის გადაჯაჭვებული და განუმეორებელ ფერადოვან გამებში, რიგებში, ინტერვალებში, წყვილებსა და კონტრაპუნქტში არის გამოვლენილი.

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ექსტერიერისა და ინტერიერის მხატვრული გაბაზრება საკმაოდ მკვეთრ კონტასტზე იგება, რაც ამძაფრებს მხატვრობის მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებას და მისი გამომსახველობის ძალას, მათ შორის, კოლორიტულ ფერებსაც. გარეგნულად ძალიან სადა, თითქმის მოურთავ, აგურით ნაგებ ტაძარში შესვლისას, მნახველი ჯერ საკმაოდ ჩანს დედობულ მცირე ზომის პორტიკებში (დასავლეთით კი ნართექსში) ხვდება, შემდეგ საკუთრივ ტაძრის დასავლეთ ნაწილში, რომელიც შედარებით უფრო არის განათებული და სადაც ლურჯ ფონზე წმინდანთა დიდებული ნახევარფიგურების ოეთრი შარავანდების ნათელი ეგებება. და ბოლოს, ფართოდ გამლილ, გუმბათით დაგვირვებინებულ, მრავალრიცხივისანი დიდი სარქმელებით ძლიერად განათებულ ცენტრალურ სივრცეში შეაბიჯებს, სადაც დრმა, ბრწინვალე ლაჟვარდის ნათებაში ექცევა, კედლებიდან კი შუქად ქცეული ფერები იღვრება და თითქოს ვიტრაჟად გარდასახავს მათ<sup>8</sup>.

ლურჯი, თეთრი და მწვანე ფერები განსაზღვრავს ყინცვისის მოხატვლობის კოლორიტს, რომელშიც მკაფიო აქცენტებს ქმნის სინგურის მცირე, მაგრამ ექსპრესიული ჩანართები. ეს კაშკაშა ფერადოვნება “დაწყნარებული” და გაწონასწორებულია ოქრის სხვადასხვა ტონების მშვიდი “მიწიერებით”<sup>9</sup>. ანუ ერთმანეთს ეხამება: ზეცა და მიწა, სული და სხეული, ქრისტეს ორი ბუნება, რაც ამ მოხატულობის მთავარი თეოლოგიური შინაარსს წარმოადგენს.

პირველი შეხედვისთანავე მოხატულობა აღიქმება როგორც დრმა ცისფრის, მწვანისა და თეთრი ფერების ერთობლიობა. თუ ამ “სამერთობას” სიმბოლიკის მხრივ დავინახავთ, ცხადი გახდება, რომ ეს სამი ფერი, ოქროსთან ერთად ზეციური იერუსალიმის ფერებია – “გამოცხადების” ზურმუხტი, საფირონი და მარგალიტი – სამოთხის მიმანიშნებელი (გამოცხადება, 21; 159, 66) და ესაა სწორედ ყინცვისის წამყვანი ფერადოვნული ტრიადა.

მოხატულობის ძირითადი ფერადოვანი მელოდია მიყავს ლაჟვარდს, რომელიც განსაკუთრებით ექსპრესიულია თეთრთან ურთიერთობაში. ლურჯი და თეთრი არის ყინცვისის მოხატულობის წამყვანი ფერადოვნული წყვილი. თეთრი და ლურჯი – დვთაებრივი ნათელი და დვთაებრივი წყვილიადი – ერთი არსის ორი გამოვლინება<sup>10</sup>.

კაშკაშა ლურჯი იმდენად დომინირებს მხატვრობაში, რომ ერთგვარი

8 А.Овчинников, Ростисль Ачи, как одно из проявлений взаимосвязи восточно-христианских духовных центров «Византийского мира». qarTuli xelovnebisadmi miZRvnili II saerTaSoriso simposiumi, Tb., 1977, გვ. 79, 93.

9 Н. Н. Волков, Цвет в живописи, М., 1965, გვ. 108.

10 მატერიალური შუქი ხდება უხილავი ნათლის ხილული ხატი, მისი “იქონა”. წმ. დოონისე არეოპაგელის მიხედვით, განცხადებული საგნები არის უხილავი საგნების ხატები. შუქი არის ერთი მხრივ, სინათლე, მეორე მხრივ, ბრწინვალება, რომელიც სწორედ რომ ფარავს ყველაფერს და გედარაფერს ვხედავთ (С.Аверинцев, Золото в системе символов раннехристианской культуры. Византия, Южные Славаны, Древняя Русь, Западная Европа, М., 1973, გვ. 47). ბრწინვალება გამჭვირვალე სინათლისაგან განსხვავებულია, შეუღწევადია, “თვალისმთამჭრელი ბრწინვალება იგივეა, რაც იდუმალი წევდიადი. დვთაებრივი წევდიადი კი არის სინონიმი დვთაებრივი შუქისა” (С.Аверинцев, Золото в системе символов.., გვ. 48.). ეს ამბივალენტობა – შუქი, ნათელი – საშიშიც არის და, ამავდროულად, მფარველიც.

“მონოქრომულობის” ეფექტიც კი იქმნება, თუმცადა ყვითელ, ოქრისფერსა და შავსაც საქმაო ადგილი ეთმობა. წითლის რამდენიმე ელფერი (სინგურის ჩათვლით) გარკვეულ სტრუქტურულ კვანძებს ქმნის ამ ლურჯ-მწვანე-თეთრ გარემოში (განსაკუთრებით ჯვრიანი მედალიონები), მაგრამ არ განსაზღვრავს საერთო ფერადოვნეულ შთაბეჭდილებას, არ ქმნის “წამყვან” ხმას, როგორც ეს არის, მაგ., ტიმოთესუბანში ან თუნდაც ბეთანიაში.

დომინანტური ფერის და ფერადოვნეული ტრიადის არსებობის გამო, ფერების ტონების სიმრავლე არ არღვევს კოლორიტულ მთლიანობას, რომელიც, როგორც აღინიშნა, ამ დიდი ფერწერული ანსაბლის მთავარ გამერთიანებელ მხატვრულ საშუალებად გვევლინება.

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყინცვისში გამოყენებულია ფერთა შეზღუდული რაოდენობა, რაც გარკვეული თვალსაზრისით განაპირობებს კიდევაც ფერადოვნეული მთლიანობის განცდას<sup>11</sup>. შთაბეჭდილება მართლაც ასეთია, მაგრამ ახლოდან დაკვირვებისას ჩანს, რომ ყინცვისის მოხატულობაში საქმაოდ ბევრი ფერია ნახმარი, თანაც მოდელირების (თუნდაც ძალიან მსუბუქის) გამო ელფერების რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება; თუმცა მაინც, მხატვრობის კოლორიტული გამომსახველობისათვის, ისევე როგორც სემანტიკური ედერადობისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანია ფერთა შეხამებები, რიგები, მწკრივები, წყვილები და ა.შ. “В иконе мы имеем дело не с локальными цветами, а с гаммами и с комбинациями цветов, ..... в ней говорят не цвета, а звучания цветов.”<sup>12</sup>.

ყინცვისში ფერადოვნეული წონასწორობისა და სიმშვიდის შთაბეჭდილება იქმნება. თუ შევადარებო მას ამ დროის ბიზანტიური ტაძრების ფერადოვნებას, მაგ., თითქმის თანადროულ ლაგუდერას (კვიპროსი), თვალში საცემია ფერადოვანი შეხამებების “სიჭრელე”, გაცილებით უფრო მკვეთრი “ნახტომებითა” და მძაფრი ინტერვალებით, რასაც ემატება კომპოზიციური გადატვირთვაც გამოსახულებებით. ასე რომ, ყინცვისის მოხატულობა ინარჩუნებს ქართული კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელ ფერადოვნეულ შეხამებების თავშეეკავებულობას და წონასწორობას<sup>13</sup>

მაგრამ ფერადოვან შეხამებთა სიმშვიდე და გაწონასწორებულობა სულაც არ გულისხმობს ფერადოვან “უსახობას”. ყინცვისის ფერადოვნება სწორედ არაჩვეულებრივი ფერადოვანი გამომსახველობით გამოირჩევა.

მოხატულობა მოედს ტაძარში, გარდა გუმბათის ყელისა, შუქმნათ ლაქვარდის ფონზე იშლება, რომელსაც ქათქათა თეთრი ნიადაგის ზოლები მიუჟვება<sup>14</sup>. მსხვილი, დინჯად მოძრავი ფიგურების სამოსი ძირითადად ლურჯის, მწვანეს, ოქროსფერი ოქრის, წითელი ოქრის ფერებისაა, აგრეთვე – ქათქათა თეთრი. საგანგებოდ

11 Г.Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957, გვ. 54-57.

12 Архимандрит Рафаил (Карелин), О языке Православной иконы, კრებულში: Православная икона. Канон и стиль, сост. А. Стрижев, М., 1998, გვ. 44, 49.

13 Т.Вирсаладзе, «Фресковая роспись художника Микаела Маглакели», გვ. 202.

14 ნიადაგის ზოლის სიმაღლე არის დაახლოებით კომპოზიციის საერთო სიმაღლის ერთო მეოთხედი აფსიდში, სცენებში – სხვადასხვნაირად: “შობაში” 1/6, ცოტა მეტი “ბზობაში”, ქვიტორებითან 1/5,5. წინა ეპოქებთან შედარებით, ნიადაგის ღონებმ დაიწია, მოიძარა “ცამ” (ა.ოქროპირიძე, ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, ღისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1997, გვ. 87). გავისხმოთ, როგორ ეფექტურად იყენებს მხატვარი ნიადაგის ღონებების ცვალებადობას ოთხთა ეკლესიაში – მისი სიმაღლე ხან ფიგურათა მხრებს ღონებზე გადის, ხან მათ მუხლებს ქვეშ და ხუთ რეგისტრში ფიგურათა განლაგების საქმაოდ სტატიკურ და ერთფეროვან რიტმს დინამიკას და ექსპრესიას ანიჭებს, ხედვის ეუთხის მონაცემების ქმნის, რასაც შინაარსობრივი გამომსახველობა ემატება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოსებზე ისეთივე დრმა და მკვრივი ლურჯი გამოიყენება, როგორიც ფონისათვის და ამის გამო ლურჯის ყოვლისმომცველობა კიდევ უფრო ძლიერია.

გუმბათის ყელის ფერადოვნება საქმაოდ განსხვავებულია ტაძრის დანარჩენი ნაწილებისაგან, უპირველეს ყოვლისა მის გამო, რომ ფონი აქ მთლიანად თეთრია. ეს ეხება როგორც წინასწარმეტყველთა და მოწამეთა რიგებს სარკმლებს შორის, ასევე “ვედრების” და მთავარანგელოზთა დასის რიგს. თვით გუმბათის ნახევარსფეროში ჯვარი თეთრი ვარსკვლავებით მოფენილ მუქ ლურჯ “ცაზეა” გამოსახული. ამით გუმბათის ნახევარსფერო ფერადოვნულად უკავშირდება საქურთხევლისა და მკლავების მოხატულობას. “ვედრების” რიგში ფიგურათა სამოსებზე ლურჯი და მწვანე ძალიან აქტიურად არის გამოყენებული, თანაც ისეთივე შეფარდებაში, როგორც ტაძრის ქვედა სივრცეში, ანუ ლურჯის პრიორიტეტით და მისი უშუალო შეკავშირებით მწვანებთან. ამის გამო “ვედრების” რიგი უფრო “უახლოვდება” ვიზუალურად ჯვრის ლურჯ ფონს და უფრო მძაფიოდ ჩანს გიდრე სარკმლთა შორისი რიგები, რომლებიც თითქოს “ქრება” სარკმლებიდან შემოღინებულ შუქში, თითქოს ზემოდან ქვევით ხდება თანდათანობით გადასვლა ლურჯიდან უფრო მკრთალი ფერებისაკენ.

თვით ამ ორ რიგს შორისაც არის ფერადოვანი განსხვავება – ზედა, წინასწარმეტყველთა რიგში სამოსები უფრო მეტად “ქრომატულია” – აქ წითელი და მწვანე ფერები გვაქს, ნარინჯისფერიც და მუქი ლვინისფერიც კი, მაშინ როცა მოწამეთა რიგი კოლორიტულად შედარებით “ფერმკრთალია”. ყოველ შემთხვევაში, ახლა ძირითადად ნაცრისფერის სხვადასხვა, საკმაოდ წენარი ტონებია (მოყვითალო ელფერიდან მოიასამნისფრო ელფერამდე) და ამ რიგში ყველაზე “ქრომატული” ფიგურა არის წმ. სამონას ბაცი ლვინისფერი და მწვანე სამოსი, შეხამება, რომელიც მხატვრობის სხვა ნაწილებში საერთოდ არ გვხვდება<sup>15</sup>.

გუმბათის ყელში წინასწარმეტყველთა და მოწამეთა ფიგურების თეთრ ფონზე გამოსახვა იმაზე მიანიშნებს, რომ მეორედ მოხვლისას ისინი უკვე სამოთხეში არიან: თეთრი აქ – სამოთხის ფერია<sup>16</sup>.

ყინცვისში გუმბათის ყელის ნათელი, სითეორემოჭარბებული ფერადოვნება განაპირობებს იმას, რომ, ერთი მხრივ, ფიგურები კარგად ჩანს ამ სიმაღლეზე (მუქ ლურჯ ფონზე კი, ალბათ, უფრო ნაკლებად გამოჩნდებოდა). მეორე მხრივ, მიღწეულია სხვა ეგექტიც: დიდი ზომის 12 სარკმლიდან მდლავრად შემოდის შუქი და ამ ნაწილის თეთრ ფონთან ერთად ქმნის სრული დემატერიალიზაციის შთაბეჭდილებას – თითქოს ჯვარი მართლაც რომ ზეცაში სუფევს.

სარკმლებს შორის რიგების ამგარ “ფერადოვან შემსუბუქებას” ერთგვარად უპირისპირდება სარკმლთა წირთხლებში ორნამენტების მსხვილი მოტივები და

15 რ. ფირალიშვილი თვლის, რომ გუმბათის ყელის მოხატულობა უფრო ადრეული დროისა არის, ვიდრე დანარჩენი ტაძრისა (ო.ფირალიშვილი, ყინწვისი, თბ., 1979, გვ. 15) და თუმცა მის ფერადოვნებაზე არაფერს წერს, ალბათ, ამ განსხვავებასაც ამით ახსნიდა. არა მგონია, ეს ასე იყოს. უპირველეს ყოვლისა, ტაძრის აგება და მოხატვა, როგორც ჩანს, თითქმის ერთდროულად მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ახტონის დროს. და თუმცა წინასწარმეტყველთა რიგი შესრულების მანერითაც განსხვავდება დანარჩენისაგან, ეს მხოლოდ განსხვავებული თხატის ხელწერას უნდა მივაწეროთ. ასეთი მკვეთრი “ხელწერისეული” განსხვავების მაგალითები თანადროულ მოხატულობებში ჩვენშიც შეიძლება ვნოთ (ტიმოთესუბანი, ვარძია) და ბიზანტიაშიც (მაგ., სოპოთანას ბუმბათის ყელის ფიგურები).

16 T.Velmans, A.Alpago Novello, Miroir de L'Invisible. Peintures Murales et architecture de la Géorgie (VI<sup>e</sup>–XV<sup>e</sup> S.) Zodiaque, MCMXCVI, გვ. 52.

კაშკაშა ფერადოვნება (მსგავსი რამ ტიმოთესუბანის გუმბათშიც გვხვდება) უძველესი იმიტომ, რომ სარკმელთა წირთხლები სწორედაც ძლიერ ნათდებოდა და ამიტომ ფერთა სიკაშკაშეს ითხოვდა, სარკმელთაშორის კედლები კი ერთგვარად “კონტრ-აურში” აღიქმებოდა. ალბათ, ფერადოვანი რეგისტრების ცვლა ამითაც აისხება. მაგ., იკორთაში გუმბათის ფერადოვნება გაცილებით უფრო თბილი ფერებით იგება, რომელთა შორის ჭარბობს ოქროსფერი ოქრა, თუმცა მთლიანად მოხატულობაში ლურჯი საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობს. ტიმოთესუბანში, მიუხედავად გუმბათის კომპოზიციის დიდი მსგავსებისა ყინცვისთან, სრულიად განხსნავებული კოლორიტული გადაწყვეტა: გუმბათის ყელში ფონი ცისფერი იყო (ახლა “რევტი” დარჩა), თუმცა აქაც იქმნება გარკვეული კონტრასტი ჯვრის გიზგიზა წითელ ფონსა და სარკმლებს შორის კედლების ნათელ ფონს შორის. აფრების მოხატულობა ტიმოთესუბანში მკვეთრ მუდერ კონტრასტებზეა აგებული: კაშკაშა წითელი – თეთრი, ლურჯი (ფონი). ყინცვისში ფერთა შეფარდება აფრებშიც სხვაა – მახარებელთა მედალიონების ფონები თეთრია, ხოლო თვით აფრის ფონი ლურჯია (თუმცა არა ლაუგარდისფერი) და ამით ისინი უფრო გუმბათქვეშა სივრცის და საკუთხევლის ფერადოვნებას უკავშირებება.

მოხატულობის პროგრამის თეოლოგიურ “სტრუქტურირებაში” დიდ როლს თამაშობს მედალიონებში ჩახატული ჯვრები – ისინი წარმოქმნიან პროგრამის კარკასს<sup>17</sup>. ამ მხრივ კამარის ქიმებში პატიოსანი თვლებით შემქული თეთრი ჯვრების მანდორლების სიწილეც, ასევე სტრუქტურულ აქცენტებს ქმნის კოლორიტისთვის, ცხადია, სიმბოლურ მნიშვნელობასთან ერთად: მეორედ მოსვლის ფერი – წითელი აქ მეორედ მოსვლის მაუწყებელ ნიშანს - ძლევის ჯვარს ახლავს. ამავე დროს, გუმბათში უზარმაზარი ჯვარი მოხატულობის მთავარი კოლორიტული წყვილის – ლურჯის და თეთრის ერთობაა, ისევე როგორც სარკმლების თაღებში გამოსახული განედლებული ჯვრების ფერადოვნება, რაც თავის მხრივ სამოთხეს მიანიშნებს.

ყინცვისის ტაძრის საკურთხეველში მეფობს ლურჯი და თეთრი ფერები და ოქრო. თეთრი ლაქები ბევრია სამოსებზე, რაც ლიტურგიას უკავშირდება<sup>18</sup>. თეთრი თითქოს ზემოდან ქვევით და კიდევბისაკნ ვთარღება: ჯვარი ბემის კამარის ქიმში, მარიამის საყდრის გადასაფარებელი და ფეხსადგამი, კონქის რეგისტრის ნიადაგის ზოლი, ქვევით ანგელოზების სამოსი, დიაკონების სამოსი სარკმლებში, კვლავ ნიადაგის ზოლი, ეკლესიის მამათა შარავანდები და სამოსი და კვლავ ნიადაგის ზოლი.

ზემოთ კონქში ლურჯი ფერისაა ფონი და მარიამის კაბა – უზარმაზარი შუქმნათი ლურჯი ლაქა, უფრო მუქიც კი, ვიდრე ფონი, ზეცა, რომელზეც დაბრძანებულია ოქროს ნათებით (ასისტი) გამსჭვალული სამოსით მოსილი ზოლი ქრისტე ლურჯჯვრიანი ოქროს შარავანდით. სამოსებზე საკმაოდ ბევრია მწვანე ფერი, განსაკუთრებით “ზიარებაში” და ბემის ანგელოზების ფიგურებზე, მაგრამ მაინც ამ ნაწილში თეთრი და ლურჯი ჭარბობს და მათ ფონზე წითლის მკაფიო, თუმცა მცირე ზომის აქცენტები.

წითელი ფერის მატება კიდეებიდან ცენტრისაკენ და ქვევიდან ზევითკენ ხდება: წითლის “სტაკატოებია” ქვედა ორნამენტულ ზოლში, შემდეგ ბემის კიდეებში ეკლესიის მამათა სამოსსა და ომოფორებზე, შემდეგ თეთრ შარავანდებთან მონაცელე მოწითალო-მოვარდისფრო შარავანდების რიტმი, შემდეგ, ისევ ბემის

17 ა.ოქროპირიძე, ეპოქის სტილის ინდივიდუალურობის ასაექტი ბეთანიისა და ყინცვისის ჩრდილო მკლავების მოხატულობის მაგალითზე, 1975, (ხელნაწერი).

18 J.Gage, Colour and Meaning, გვ. 70. В.В.Бычков, Эстетическое значение . . . გვ. 134.

კედლებზე, ზიარებებში, ტრაპეზის საფარის ხავერდივით ღრმა და სისხლიში კაშგაშა წითელი. შემდეგ წითელს უფრო ცენტრისკენ მიყავს თვალი სამწერობლიანი ანგელოზების მოგვებსა და ოლარებზე, ასევე უფრო მუქმაგრამ სიწითლის მოცველ დიდრონ ფრთებზე. უფრო ზემოთ და უფრო ცენტრისკენ თვალს ხვდება მარიამის ფეხსაცმლისა და მისი კვარცელბეჭის შემამკობელი პატიოსანი თვლების სიწითლა, რაც ერთიანობაში, კონქის კომპოზიციის ქვედა ნაწილში სინგურის შუქმნათი აქცენტების პორიზონტალურ რიგს, არშიას, მძივს ქმნის, შემომფარგვლელიც ხდება იქ, სადაც სტილის თავისებურების გამო, აღარ არის განიერი ორნამენტული სარტყელი და მხოლოდ წვრილი წითელი გამოყოფი ხაზია. და ბოლოს, სულ ზევით გვაქვს მარიამის მაფორიუმის უფრო მუქი, მაგრამ ღრმა და ძლიერი ფერი და ბერის კამარაზე ჯვრის წითელი მედალიონის დიდი ლაქა. სარკმელში გამოსახული დიაკვნების წითელი მოგვებიც ერთგვარად დამაკავშირებელ “ლიგატურებს” ქმნის საერთო ფერადოვნულ კომპოზიციაში და ეპასუხება ეკლესიის მამების შარავანდების თეთრისა და მოვარდისფრო-წითლის რიტმულ მონაცელებას, ქმნის ერთგვარ “ტალღას” წითელი აქცენტებისა.

ასე რომ, ქვემოდან ზემოთ და კიდევებიდან ცენტრისაკენ მიმართულია დინამიკა წითლის – აღდგომისა და მსხვერპლის, მეორედ მოსვლისა და განკაცების, ქრისტეს კაცებრივი ბუქების ფერის, რომელიც “აფეთქებულია” ზეციურ ნათელში (თეთრი და ოქრო) და თვალშეუდგამ წყვდიადში (ლურჯი).

მთელს მოხატულობაში სცენების გასაერთიანებლად გამოიყენება ფერადოვანი ჯაჭვები და რიგები<sup>19</sup> – მაგ., ქრისტეს შარავანდის ლურჯ-ჯვრიანი თეთრი ლაქა რიტმულად მეორდება გვერდითი მკლავების მოხატულობაში და სწორედ რომ გამაერთიანებელ როლს თამაშობს.

ფერთა განლაგების რიტმი, რამდენადაც შეიძლება ახლა წარმოვიდგინოთ, აღმავალი იყო. ზევით მსწრაფი ფერი უფრო ხშირად წითელია, თეთრი კი უფრო ზემოდან ქვევით “მოედინება”, ყველაფრის დამაგვირგვინებელი და ყოვლის მომცველი კი მაინც ლურჯია, რომლის დიდი ლაქები უფრო პორიზონტალურად ვითარდება, სიმშვიდისა და წონასწორობის განცდას ქმნის.

ჩრდილოეთ კედლებზე წითელი მართლაც ქვემოდან ზემოთ მიდის ცენტრალურ დერძზე: თამარის წითელი კაბა, ანგელოზის ლოდი და, განსაკუთრებით, მისი ფრთები, ცეცხლის ენებივით რომ იჭრება “ბზობის” კომპოზიციაში; “ბზობაში” კარაულის უნაგირი და პირველი ებრაელის მოსახეამი; “ლაზარეს აღდგინებაში” კაშგაშა მსახურის წითელი სამოსი და, ბოლოს, სულ ზემოთ – წითელი ჯვარი დია ფერის მანდორლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წითელი ლაქების მოძრაობის ზემსწრაფი დერძი ქმნის ძალიან მოქნილ, დენად, რკალისებრ გაზინექილ და არა მკაცრად ვერტიკალურ “ხაზეს”, რაც მშვენივრად ესადაგება სხვა მხატვრული ელემენტების (სილუეტი, კომპოზიციური სტრუქტურა, სამოსის ნახატი) ნაზ სინარნარეს, მოქნილ მრუდხაზოვან დინებას და დინამიკას. ამ მხარეს სარკმელებში გამოსახულ ფიგურებზე წითელი თითქმის არ არის გამოყენებული, ღრმა მოყვითალო ოქრისა და რუხის ტონები ჭარბობს, რაც თავისთავად იწვევს თვით კედლის ფერადოვნების, განსაკუთრებით კი წითლის ქდერადობის ხაზგასმა-გაძლიერებას.

ამავე მკლავის აღმოსავლეთ კედლებზეც წითელი ნაკლებადაა გამოყენებული, თუმცა ეს ფერი მკაფიოდ გამოყოფს დავითისა და სოლომონის ფიგურებს “აღდგომაში”; “ჯვარცმის” ცივ, ცისფერ-ნაცრისფერ კოლოროგში კი მცირე,

19 L.James, Light and Colour, გვ. 9.

многораздаточный материал, музейные экспонаты, архивные документы и т.д. (все это включено в базу данных). Важно отметить, что в ходе работы над проектом были получены новые результаты в области изучения истории культуры России, что способствует повышению интереса к ней у широкой публики.

“Христианство в России” – это комплексный проект, направленный на изучение и популяризацию религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

Проект “Христианство в России” – это не только информационный ресурс, но и научный центр, который занимается изучением религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

Проект “Христианство в России” – это не только информационный ресурс, но и научный центр, который занимается изучением религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

Проект “Христианство в России” – это не только информационный ресурс, но и научный центр, который занимается изучением религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

Проект “Христианство в России” – это не только информационный ресурс, но и научный центр, который занимается изучением религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

Проект “Христианство в России” – это не только информационный ресурс, но и научный центр, который занимается изучением религиозной культуры России. Целью проекта является создание единого информационного ресурса, который будет доступен всем желающим. Помимо этого, проект предполагает проведение научных конференций, семинаров, мастер-классов и других мероприятий, направленных на обмен опытом и знаниями в области изучения религиозной культуры.

20 А. Н. Овчинников, Символика Христианского искусства, М., 1999, гл. 140.

ნათდებოდა დღის შუქით, კოლორიტი უფრო ციფია, ხოლო სამხრეთ კედვებზე რომელიც ერთგარად «კონტრაჟურში» აღიქმება და უფრო ჩრდილშია მოქცეული, ფერადოვნება უფრო თბილია და წითლის ინტენსივობაც აქ მეტია<sup>21</sup>. ამით მიიღწევა ერთგარი ფერადოვნული წონასწორობა სხვადასხვაგარად განათებული ორი მკლავის მოხატულობას შორის.

საგულისხმოა ასევე, რომ გვერდით მკლავებში მეტობს ლურჯისა და მწვანის ძალიან ექსპრესიული წყვილები, ოქრას ტონებით გამთბარი და წითლის მკაფიო და დინამიკური ჩანართვებით გაცოცხლებული. თეთრის დიდი ლაქები, კამარების ქიმი ჯვრებისა და ნიადაგის ზოლების გარდა, ნაკლებად გამოიკვეთება სამოსებსა და საგნებზე, თუმცადა საკმაოდ ინტენსიურია მეფეთა რეგისტრში, მათი სამოსების ლორონებზე<sup>22</sup>.

თეთრი უფრო ინტენსიურად გამოიყენება დასავლეთ კედელზე, სადაც წითელი ნაკლებია, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც ახლა ჩანს, და ამიტომ კედლის ცენტრში, ბაბილონის სახმილის ცეცხლის ენების სიწითლე ძალიან ექსპრესიულად ქდერს, “აირეკლება” წმინდანთა ნახევარფიგურების სამოსში და გვირგვინდება კამარის ორი დიდი ჯვრის მედალიონებში.

მიუხედავად წითლის ამ აქტიურობისა, ყინცვისში საერთო კოლორიტულ გადაწყვეტაში იგი სრულიად სხვა ჟღერადობას იძენს, ვიდრე ტიმოთესუბანში და ბეთანიაში. ყინცვისში ძირითად ფერთა წყვილებს ქმნის ლურჯი და მწვანე, ლურჯი და თეთრი. წითელი მათთან დაპირისპირებულია და მათი გამომკვეთო, მაგრამ არა წამყვანი. საერთოდ, ყინცვისში, წითელ ფერს, ტიმოთესუბნისგან განსხვავებით, უფრო დაქვემდებარებული როლი აქვს, თუმცა კი, სწორედ ნაკლები ზომის სიბრტყეებზე გამოყენების გამო ის უფრო მკვეთრ აქცენტებს ქმნის.

ყინცვისში წითელი საღებავი (სინგური, სინგურ-ნარევი წითელი ოქრა ან კადმი) ყვითელ სარჩულზე იდება, რაც მას შუქმნათობას მატებს, ის თითქოს “შიგნიდან” ნათდება. ყინცვისში გამოყენებული წითელი თავისი ქრომატული ბუნებით განსხვავდება, მაგ., ბეთანიის მოხატულობისაგან, სადაც, განსაკუთრებით გვერდით მკლავებში, სინგურს უფრო დრმა ჟოლოსფერი შეფერილობა აქვს, ის უფრო იასამნისფერისკენაა “მიდრეკილი”, (მაგ., მროკავი წმ. დავით წინასწარმეტყველის კაბა სამხრეთ კედელზე). თუმცა ამ ტაძრის საკურთხეველში, წინასწარმეტყველთა რიგში, წითელი უფრო ინტენსიურია, კადმის ტონალობას იძენს და უფრო ემსგავსება ყინცვისში გამოყენებულ ელფერს.

ყველაზე მეტ ექსპრესიულობას წითელი ტიმოთესუბნის მოხატულობაში იძენს, სადაც სწორედ იგი ქმნის წამყვან ფერადოვნულ მელოდიასა და ქცენტრებს. არც ვარძიაში, არც ბერთუბანში, არც ყინცვისში წითელი არ არის ესოდენ გამომსახველი, როგორც ტიმოთესუბანში: დაწყებული გუმბათში ძლევის ჯვრის მოგიზგიზე მრავალ შრიანი დიდებითა და დამთავრებული დასავლეთ მკლავში სამოთხის ბროტელულების ცეცხლოვანი ნათებით.

ვარძიაში ფერადოვნება გაცილებით უფრო “თავდაჭრილი” და დაბალანსებულია,

21 В. Н. Лазарев, История Византийской живописи, М., 1986, гл. 67.

22 იტალიელმა რესტავრატორებმა, რომლებმაც 1997წ. ჩაატარეს ყინცვისის მოხატულობის ტექნიკური კვლევა, გამოთქვეს აზრი, რომ ლაშას ფიგურაზე დადებული ყვითელი საღებავი არის ყვითელი ქრომი, რომელიც 1818 წელს გამოიგონეს. ნაკლებ დამჯერებელია, რომ “ჯოჯონეთის წარმოტყველნაში” არის ნარინჯისფერი ქრომი, ასევე 1818 წ. შექმნილი (ეტყობა გულიხმობენ მთას მარცხენა ნაწილში). ასევე მიაჩნიათ, რომ წითელი წმ. გიორგის მოხატულზე გადახატულია (S. Vedovello and M. Gittins, Report of the mission to the church of St. Nicholas at Kintsvisi, CBC, Rome, 1997, гл. 28). ალბათ, აქ დამატებითი ტექნიკური კვლევა იქნება ჩასატარებელი

უფრო სიმუქისკენ მიდრეკილი, თუმცა ეს, ცხადია, დროის ზემოქმედების შედეგიც უნდა იყოს; იკორთაში კი გაცილებით უფრო თბილი კოლორიტია, ოქრის ტონების მეტობით.

ბეთანიის ამჟამინდელი კოლორიტი ძლიერ სახეცვლილია, გამუქებულია, თუმცა საფიქრებელია, რომ ფერთა გაჯერებულობა და კონტრასტები აქ ნაკლები იყო, ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნის დამდეგს შესრულებულ ნაწილში. მონაცრისფრო-მოცისფრო ელფერი ამჟამად მთელი მოხატულობის გამაერთიანებლად უდერს და ყველაზე “ქრომატულ” ნაწილად საკურთხეველი გვალინება.

ბერთუაბანში ასევე წყნარი კოლორიტული შეფარდებებია, თუმცა სრულიად სხვაგვარი, ვიდრე ყინცვისში. აქ უფრო მაჟორული ფერადოვანი გამაა. რაღაც ლაჟვარდი ფონისათვის არ გამოიყენება, დომინანტური პოზიცია არ უკავია, თუმცა თავისი სიკაშკაშის, გაჯერებულობისა და შუქმნათობის გამო ის აქაც წამყვანი ფერია თბილი, დია ოქროსფერისა და თეთრის გარემოში, საკურთხეველში თეთრი და ცისფერი ყვავილებით აფეთქებული ბუჩქები კი ნამდვილად სამოთხის ასოციაციას ქმნის – იმდენად დახვეწილია და ნათელი.

საერთოდაც, ყველა მოხატულობას, ცხადია, თავისი წამყვანი ფერადოვნული წყვილები თუ ტრიადები აქვს. მაგ., ბერთუაბანის სატრაპეზოს მოხატულობაში ერთმანეთს ლურჯი და დრმა მუქი წითელია შეწყობილი<sup>23</sup>; მაცხარიშში – მოცისფრო-რუხი და მოწითალო-ყავისფერი<sup>24</sup>, ბოჭორმაში – ოქრო-სინგური-ლაჟვარდი<sup>25</sup>. ტიმოთესუბანესა და ბეთანიაში წითელი წყვილდება თეთრობა და ცისფერობა. წითელი და ლურჯი – ამ ორი ფერის ურთიერთობა ფერადოვნულად დიდ დაძაბულობას და დრამატულობას ქმნის<sup>26</sup>. ყინცვისში კი სიწყნარე და სიმშვიდე არის მთავარი, ამიტომაც წითლის და ლურჯის შეფარდება არ არის წამყვანი, არათანაბარმნიშვნელოვანია, თუმცა ექსპრესიული.

ყინცვისის კოლორიტი იგება საკმაოდ დიდ ფერადოვნულ ინტერვალებზე (მაგ., შუქმნათი ლურჯი – თეთრი – მწვანე), მაგრამ ამ ინტერვალების უდერადობა წყნარია და არ არის ისეთი დრამატული, როგორც მაგ., ტიმოთესუბანში. დიდი მოწესრიგებული ფერადოვანი ინტერვალები მოხატულობის ჰარმონიულობას განაპირობებს. ყინცვისში ეს ინტერვალები სხვადასხვა ბუჩქებისაა და საბოლოოდ აწონასწორებს და აერთიანებს ერთმანეთს, სიმშვიდის განცდას ბადებს (ნეშუმნის ცვეთა<sup>27</sup>). ამ მხრივ იგივე ტიმოთესუბანის მოხატულობას უფრო “სმაურიანი” კოლორიტი აქვს. ფერადოვნული ინტერვალები იქაც დიდია, მაგრამ განვითარება უფრო ნახტომისებურია, რადგან სხვადასხვა გაჯერებულობის ფერების ქრომატულ დაკირისპირებაზე იგება (წითელი – თეთრი – ზურმუხტისფერი). ყინცვისში კი, იქ სადაც არის ძლიერი ქრომატული ინტერვალი (მაგ., ლურჯი და თეთრი, ან ლურჯი და წითელი), ის “ნეიტრალდება” ფერების თანაბარი სინათლით და შუქმნათობით, ხოლო ქრომატულად მცირე ინტერვალების (მაგ., მუქი შინდისფერი და მოწითალო-ყავისფერი; ან ოქრა და თეთრი) გამომსახველობა კი განსხვავებული შუქმნათობით იზრდება. ასე რომ, ერთი მხრივ, გვაქვს საკმაოდ დრამატული კონტრასტები

23 А.Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, გვ. 112.

24 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись ... გვ. 199.

25 ცისფერი და მწვანე აქ სხვაგვარად არის დაკავშირებული, ვიდრე ყინცვისში, ფერადოვან კარგას ქმნის ცისფრის წიაღში წითლისა და ყვითლის მახვილები ა.ოქროპირიძე, ბოჭორმის წმ. გორგის ... გვ. 82.

26 Н. Н. Волков, Цвет в живописи, გვ. 60.

27 А.Овчинников, Роспись Ачи, как одно ... გვ. 7.

(ლურჯი-წითელი, წითელი-თეთრი), მეორე მხრივ კი, სიმშვიდე და პარმონიუფლობრივი იმის გამო, რომ ინტერვალები განსხვავებულ სინათლეზე არ იგება და, ამ მხრივ, ლაქები თანაბარმნიშვნელოვანია.

ყინცვისში ლურჯი, მწვანე და წითელი მაქსიმალურად გაჯერებულია. საგულისხმოა, რომ აქტიურად ქრომატულ ფერად ქვერს აქ თეთრიც. როგორც აღინიშნა, წითლის განვითარება უფრო ვერტიკალურად ხდება, ხოლო თეთრისა და ლურჯის – უფრო პორიზონტალურად. ეს ორი კოლორიტული მიმართულება აწონასწორებს ერთმანეთს და აძლირებს ამ მოხატულობისთვის დამახასიათებელი დიდებული სიმშვიდის განცდას.

ყინცვისში დომინანტური ფერისა და კოლორიტული ტრიადის გამოკვეთის მიუხედავად, ყველა ფერი ერთნაირად მუდერია, არ ხდება მათი ტონალური დაქვემდებარება ან ტონალური ნიშნით გაერთიანება. ამ მოხატულობაში ფერთა ყველა მახასიათებლიდან, რა თქმა უნდა, შუქმნათობა არის მთავარი.

ვინაიდან ფორმის მოდელირება ძალიან რბილია და გამჭვირვალე<sup>28</sup>, ფერის ლაქის მთლიანობა არ ირღვევა. ეს სიბრტყოვანება, ფერადოვანი ლაქის მთლიანობა განაპირობებს ფერის ძლიერ გამომსახველობას<sup>29</sup>. მაგ., ვარძიაში ფონის ორივე ნაწილი – როგორც ცა, ასევე მიწა – ძლიერ დანაწევრებულია ვარსკლავებით და ლილილოებით, რომელთაც თავისი სემანტიკური დატვირთვა აქვთ (სამოთხე) და მათი დეკორატიული ქდერადობაც საკმაოდ ძლიერია, ამიტომ ნიადაგის მწვანეცა და ზეცის ლურჯიც ისე არ კაშკაშებს, როგორც ყინცვისში – მათი სუფთა ქრომატული გამომსახველობა შესუსტებულია.

ყინცვისში ფერადოვნული რიგების განვითარება კიდეებიდან ცენტრისაკენ და ზევით ხდება, რაც ძალიან დინამიკურს ხდის ამ გაწონასწორებულ და თითქმის უძრავი ფიგურებით შედგენილ კომპოზიციებს<sup>30</sup>. ფერადოვნული რიგები და ჯაჭვები განაპირობებს აღქმის დინამიკურობას<sup>31</sup>. ფერთა ქრომატული კონტრასტები იწვევს დინამიკურობის განცდას, ვინაიდან აიძულებენ თვალს იმოძრაოს, რაც თითქმის ეპასუხება მრევლის მოძრაობას ტაძარში. იქნებ დირს იმის გახსენებაც, რომ პატრიარქ ფოტიოსის ქადაგებაში საუბარია სწორედ გამოსახულებათა აღქმისას მნახველის მოძრაობაზე<sup>32</sup>. საერთოდაც, ბიზანტიურ ეკიფრაზისებში ხელოვნების ნაწარმოების აღწერისას დიდადაა გამოკვეთილი თვალის მოძრაობა<sup>33</sup>.

როგორც აღინიშნა, ყინცვისის მოხატულობაში საკმაოდ ბევრი ელფერი და ფერადოვანი ტონი არის გამოყენებული, მაგრამ მის ფერადოვნებას ძირითადად ლაჟვარდის ქდერადობა განსაზღვრავს. ფართობის გამოთვლა რომ შეიძლებოდეს, ლურჯი, აღბათ, 70% დაიკავებდა.

შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებს შორის თითქმის ვერ ვნახავთ ნაწარმოებს, რომელშიც ლაჟვარდის ფერადი ესოდენ უხვად და გამომსახველად ყოფილიყო გამოყენებული.

ეს ძვირფასი მინერალური საღებავი, რომლის საუკეთესო მასალა ავღანეთიდან, ბადახშანიდან ჩამოჰქონდათ, აღრეც და შემდგომ ხანაშიც აქტიურად გმოიყენებოდა

28 Т.Вирсаладзе, Фресковая роспись ... გვ. 205; А.Вольская, Росписи ... გვ. 141; Г.Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой ... გვ. 89.

29 Н. Н. Волков, Цвет в живописи, გვ. 60.

30 А.Овчинников, Роспись Ачи, как ... გვ. 5.

31 Н. Н. Волков, დასახ. ხაზ., გვ. 70.

32 В. Н.Лазарев, История Византийской живописи, გვ. 65

33 J.Gage, Colour and Culture, გვ. 57.

მხატვრობაში, განსაკუთრებით მაღალი დონის დაკვეთების დროს (მაგ., საბერებელი ქადაგი №7 ეკლესიის აწ გამავებულ ფონზე (X ს.), დოდოსრქის ეკლესიის კონქში (XI ს-ის დამდეგი), კუმურდოს საკურთხეველში (XI ს-ის დამდეგი), იშხნის ტაძრის გუმბათში (XI ს-ის პირველი მეოთხედი), ბერთუბანში (XIII ს-ის დასაწყისი), გარეჯის “ნათლისმცემლის” მონასტრის მთავარ ტაძარში (XIII ს-ის დამდეგი), ახტალაში (XIII ს-ის დასაწყისი), უდაბნოს “ხარების” ეკლესიაში (XIII ს-ის ბოლო მეოთხედი), გელათის გვიან მოხატულობაშიც კი). ლავკარდის ქდერადობით, ტონალობით, შუქმნათობით ყველაზე მეტად ყინცვისისას გარეჯის “ნათლისმცემლის” მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა ემსგავსება, თუმცა ამჟამად ის იმდენად დაზიანებულია, რომ მნელია მისი ფერადოვნების სრულყოფილი წარმოდგენა და დახასიათება.

ასევე მნიშვნელოვანია ლაუგარდი ბიზანტიურ და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მხატვრობაშიც (ტოკალი კილისეს ახალი ეკლესია კაპადოკიაში, X ს., სტუდენიცა სერბიაში, 1208/9, ლაგუდერა კვიპროსზე, 1192, სან ანქელო ინ ფორმის იტალიაში, XII ს-ის მიწურული და სხვ); თუმცა სწორედ ყინცვისში არის მიღწეული ამ ძვირფასი შუქმნათი საღებავის მაქსიმალური ფერადოვნული გამომსახველობა. ფაქტიურად, იგი განსაზღვრავს ამ ფერწერული ანსამბლის მხატვრულ სახეს, და არა მხოლოდ მხატვრულს.

საქმე მხოლოდ ამ ძვირადღირებული საღებავის რაოდენობში კი არ არის, არამედ მისი გამოყენების თავისებურებაშიც. მართლაც, ცისფერი ფონები არ არის რაღაც იშვიათობა ქართულ მხატვრობაში (იშხნის გუმბათი (XI ს-ის დასაწყისი), ატენის საკურთხევლის აფსიდი (XI ს-ის ბოლო მეოთხედი), ბოჭორმა (XII ს-ის პირველი ნახევარი), ბეთანია (XII-XIII სს.), “ნათლისმცემები” (XIII ს-ის დამდეგი), ახტალა (XIII ს-ის პირველი მეოთხედი) და მრავალი სხვა), მაგრამ ჩამოთვლილი ნიმუშებში მაინც ყინცვისისაგან განსხვავებული ფერადოვნული ეფექტი იქმნება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებულია მხატვრობის დაზიანების ხარისხი, სხვა ფერების სახეცვლილება და სხვა, დროით-ფიზიკური ფაქტორები. მაგრამ უამთა სიავით გამოწვეულ ამ სახეცვლილებსაც თუ გავითვალისწინებოთ, ყინცვისის მოხატულობა მაინც სრულიად უნიკალური ფერადოვნებით იქნება გამოირჩეული.

ყინცვისის მოხატულობაში ლაუგარდის განსაკუთრებული გამომსახველობის ასახსნელად, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, რომ იგი დადებულია არა მუქ (ნაცრისფერ თუ შავ) სარჩელზე, (როგორც ეს უმეტესად კეთდებოდა, მაგ., საბერებებში, ბოჭორმაში, ბეთანიაში და სხვა)<sup>34</sup>, არამედ საგანგებო ნივთიერებით გაპოხილ ბათქაშზე<sup>35</sup>.

ლაუგარდი მინერალური საღებავია, რომელსაც დაფარვისუნარიანობა დაბალი აქვს, თანაც ძალიან ძვირია. ამიტომ იგი ხშირად იდება მუქ რუხ ან სხვა ფერის მუქ სარჩელზე, რითაც მას ოპტიკური სიმკვრივე ენიჭება, რაც საშუალებას იძლევა ის ეკრონომიურად იქნეს გამოყენებული. ყინცვისში ლაუგარდი ძალიან უხვად, სქლად და მკვრიფად არის დადებული, მუქი სარჩელის გარეშე, და არა

34 Е.Л.Приivalova, Rospisy Tymotescubani, Тб., 1980, გვ. 167, შენიშვ. 60.

35 ეს ნივთიერება წებოვანი ბუნებისა უნდა ყოფილიყო და თოთქმის უფერული, ოდნავ მოყვითალო ელფერის მქონე. მისი ქიმიური შემადგენლობის იდენტიფიკაცია ჯერ-ჯერობით ვერ მოხედა. მაგრამ რაც უნდა იყოს ეს, ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ეს სარჩელი (ეტყობა, წებოვანი ნივთიერება ძნელად დასამაგრებელი მინერალური საღებავის ბათქაშზე უკეთ შესაჭიდებლად მოიშველიეს), ფაქტიურად უფერულია და ლაუგარდის ქდერადობას არ ცვლის. ასევე უნდა იყოს გამოყენებული იგი, მაგ., ბერთუბანში, გარეჯის “ნათლისმცემებულში” (ვიზუალური დაკვირვებით).

თხელ დესირებად მუქ სარჩულზე, როგორც ეს ხდება ხოლმე (მაგ. საბერეებში, №7 დისერტაცია) ეკლესიაში, სადაც ლაჟვარდის ფენის ჩამოცვენამ მუქი სარჩული გამოავლინა და საერთო ფერადოვნებას ყრუ ედერადობა მიანიჭა).

პიგმენტის ფერადოვნულ გამომსახველობაზე დიდ გავლენას ახდენს თვით გამოყენებული საღებავის სტრუქტურაც ანუ მისი დამზადების წესი. ყველაზე, ვისაც კი სადებავი თავის ხელით გაუკეთებია, იცის, რომ მინერალური პიგმენტი რაც უფრო წერილად არის დაფქილი, მით უფრო დია ფერისაა, მსხვილად დაფქილი – კი უფრო მუქ ელფერს იძენს. როგორც ჩანს, ყინცვისშიც პიგმენტის დამზადების ეს წესი არის გამოყენებული, ანუ ტონალური სახეს ხვაობები მინერალის დაფქილის (ფრაქციულობა) თავისებურებით მიიღწევა. ყინცვისში მას მსხვილი კრისტალები აქვთ, რომლებშიც კვარცისა და თაბაშირის მინარევებიც შეინიშნება<sup>36</sup>.

დაფქის ხარისხი ზემოქმედებს ფერის კიდევ ერთ მახასიათებელზე – შუქმნათობაზე. მინერალური საღებავის კრისტალური ბუნება განაპირობებს მის სხივსნებას, ვინაიდან ლაჟვარდში არის მინის მსგავსი პირიტის, ოქროს ან ვერცხლის მცირე ნაწილაკები. რაც უფრო სქლად არის დაფქილი მინერალი, მით მეტია კრისტალთა წანაგების ფართი და შესაბამისად, შუქის არეკვლის ძალა. ძველად შუქმნათობა ზოგჯერ უფრო ფასობდა, ვიდრე თვით ფერი<sup>37</sup>.

ყინცვისის მოხატულობის ფერადოვნული გამომსახველობისათვის მნიშვნელოვანია მისი გამოყენების კიდევ ერთი თავისებურება: ლაჟვარდი დადებულია არა მხოლოდ ფონებზე, არამედ დიდი რაოდენობით სამოსებზე, ორნამენტებში, ფონის ელემენტებში, რამდენიმე სცენაში კი – შარავანდებზეც (“ჯოჯოხეთის წარმოტყველება”). სხვა ძეგლებში, სადაც ლაჟვარდის ფონებია, ეს საღებავი შესამოსელებსა და სხვა ელემენტებზე არც ისე დიდი რაოდენობით გამოიყენება, ანუ ხაზგასმულია მისი “ფონობა”. მაგალითად, ტოკალი კილისებში ლურჯი ძალიან ინტენსიურია, მაგრამ თითქმის არ არის გამოყენებული სამოსებზე, ყოველ შემთხვევაში ასეთივე ინტენსივობით, ნიადაგის ზოლი კი სულაც მწვანეა. ამიტომ ფერადოვნული ეფექტიც სულ სხვაა. ლურჯს ფაქტიურად მხოლოდ ფონის ფუნქცია რჩება, ის სხვა ფერების გამომსახველობის გაზრდასა და შემცირებაზე მუშაობს და ყინცვისის დარი ყოვლისმომცველობა არა აქვს. ასევეა ლაგუდერაში (1194), სტუდენიცაში (1208/9) და სხვ. ასეა ჩვენშიც – იშხანში, ბოჭორმაში, ბეთანიაში და სხვ. სხვათაშორის, ბერთუბნის საგრააქზოში (XIII ს-ის დასაწყისი) არის ლურჯზე ლურჯის დადების შემთხვევები, თუმცა არც ისეთი ოდენობით, როგორც ყინცვისში. თანაც ბერთუბანში ლურჯი უფრო მუქია, ყინცვისში კი ერთგვარად ბერლინის ლაჟვარდის ელფერი დაკრაგს, დილილოს ფერი აქვს<sup>38</sup>; მთავარი განსხვავება კი სწორედ შუქმნათობაშია.

ყინცვისში “ლურჯის ლურჯზე” დადება იმდენად ინტენსიურად ხდება, რომ მთელი მხატვრობა ფაქტობრივად შუქმნათო ლაჟვარდით არის გამსჭვალული.

მაგ., “პურით ზიარებაში”, მოციქულთა კვართები უმეტესად ლურჯია, ამის გამო კომპოზიციის ქვედა ნაწილში მათი სამოსის კალთებით მიიღება თითქმის ისეთივე ინტენსივობის და სიგანის ლურჯი პორიზონტალი, როგორც ფონის ზოლი ზედა ნაწილში; ეს ზოლი მარცხნიდან მარჯვნივ ვთარდება და ქრისტეს კვართის მუქი, ღრმა, დაუნაწევრებელი სილურჯით სრულდება.

<sup>36</sup> ყინცვისის ტაძრის კედლის მხატვრობაში გამოყენებული პიგმენტების კვლევა ჩატარა ქართული კედლის მხატვრობის ტექნიკური კვლევის ცენტრის “ბეთანიის” დირექტორმა ნ. კუპრაშვილმა.

<sup>37</sup> L.James, Light and Colour გვ. 33.

<sup>38</sup> T.Velmans, A.Alpago Novello, Miroir de L'Invisible, გვ. 50.

ტექნიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლავაგარდის კრისტალები თითქმის ყველა სალებავში არის დამატებული. მის გამო, ყველაფერს აქ მოლურჯო იღუმალი ნათება ეფინება<sup>39</sup>. ლურჯი ფერი თითქმის ყველაფერშია შექონილი და ესეც ხელს უწყობს იმ უნიკალური ეფექტის შექმნას, რომელიც განსაზღვრავს ამ ფერწერული ანსამბლის თვალისმომწერელ სიმჟღვნიერებს.

ფერადოვნული გამომსახველობისათვის მნიშვნელოვანია ლურჯი ლაქების დაუნაწერებლობა. მაგ., სტუდენტიცაში, რომელსაც სამართლიანად ადარებენ ყინვისს, ფონის დიდი ლურჯი სიბრტყეები ხან მოზაიკის იმიტაციით, ხან წარწერებისა და ორნამენტების ოქროს “ბადეებით” არის დაფარული და ა.შ., რაც საკუთრივ ლურჯის უდერადობას საკმაოდ ამცირებს.

ყინცვისში ლურჯი რამდენიმე ადგილას ისეთი ღრმა და ინტენსიურია, რომ ყველა სხვა ფერი მასში ინთექტია. თვით ეს ლურჯი (ღრმა ცისფერი) რამდენიმე ელფერით არის წარმოადგენილი, ზოგ ადგილას კი (მაგ., აფრებში) ლაქვარდის მაგივრად აზურიტია გამოყენებული, რომლის შუქმნათობა ნაკლებია. ფერწერული დამუშავების მანერა ანუ გაღიადებებისა და მკრთალი გამჭვირვალე გამონათებების გამოყენება განაპირობებს ფერის მრავალ ტონალობას. ყველაზე მუქი და ინტენსიური ლურჯი არის მარიამის სტოლაზე კონქში, ქრისტეს ქიტონზე “ზიარებაში”, “ჯვარცმაში”, “ჯოჯოხეთის წარმოტყველებაში”, “თომას დარწმუნებაში”. ლურჯის ეს ტონი ფონის ინტენსიურ ტონზე უფრო ღრმა და მუქია და შესაბამისად, დიდია მისი გამომსახულობაც.

ლაჟვარდის გამოყენება ტრნალური დიფერენციაციით ხდება: სუფთა მკვრივი ლაჟვარდის ფენა, მხოლოდ მუქი ლურჯი შავი ხაზებითაა დასერილი; ისეთივე ლურჯი, ოდონდ თეთრი გამონათებებით; უფრო დია ფერის ლურჯი თეთრი გამონათებებით, მონაცრისისფრო – ცისფერი მუქი რუხი ნახატით და მკრთალი გამონათებებით; ნაცრისფერი, ზედ ლურჯი ნახატით.

აი, მაგ., სტუდენტიცაში, რომელიც კოლორიტის მხრივ თანადოროული ბიზანტიური ნაწარმოებებიდან ყველაზე ახლოს არის, ალბათ, ყინცვისთან, რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანია: ლურჯს მუქი სარჩელი აქვს; მასზე უხვად არის ნახმარი ოქრო და, როგორც გ. ბაბიჩი აღნიშნავს, ლაჟვარდი და ოქრო ერთად მინანქრის ეფექტს ქმნიან<sup>40</sup>. ყინცვისში კი შუქით გაჟღენთილი, თითქმის დემატერიალიზებული ზედაპირის აღაქტი მიიღება.

სტუდენტი სამოსებზე და სხვა ელექტროგენერაციი ისე ჭარბად არ არის გამოყენებული, როგორც ყინცვისში, და თუ არის, ერთი ტონით მაინც უფრო დიავა ფონზე, მაშინ როცა ყინცვისში განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურებზე ძალიან დრმა დურჯია (მაგ., მარიამის სამოსი ჯვარცმასა და კონქში,) თანაც ასეთ ადგილებში დურჯის სიმუქე და სიღრმე გაძლიერებულია იმით, რომ ის მხოლოდ მუქი დურჯივე ხაზებით არის დამუშავებული, თანაც საკმაოდ მქნევრად, ყოველგვარი გადიადებებისა და გამონათებების გარეშე. ა. კოლსკაია ადნიშნავს, რომ ბერთუბანში მთავარი ფიგურები სწორედ დურჯით გამოიყოფა. ასევე ყინცვისში. მთავარ ფიგურებს – ქრისტეს და მარიამს არც სინგურისფერი სამოსები აცვიათ და არც თეთრი – დურჯი აქ სულიერი იერარქიის უაღრესობას შეესატევისება – “უპატიონსნესსა ქრისტიმთა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა”.

სტუდენტის მსგავსად, ლაბორატორის თითქმის თანადოზე მოხატე ჟლობაშიც

<sup>39</sup> ა.ოქროპირიძე, ბოჭორმის წმ. გიორგის . . . გვ. 94.

40 S. Ćirković, V. Korać, G. Babić, *Le Monastère de Studenica*, Belgrade, 1986, 33. 70.

ფონის ლურჯი ტონი ფიგურებსა და საგნებზე ზუსტად არ მეორდება. თანაც მის ძლიერია ლურჯის დრამატული კონტრასტი წითლის დიდ სიბრტყეებთან<sup>41</sup>. ბაჩკოვოს საძვლებს მოხატულობაში კი ლურჯი საერთოდაც “იკარგება” წითლის, მწვანისა და თბილი ოქროსფერი ოქრის გარემოში<sup>42</sup>, ხოლო ინტენსიური მოდელირება კი ერთგვარად ანელებს ქრომატულ ექსპრესიას. ასევე “არააქტუალურია” ლურჯი ფერი ვლადიმირის წმ. დიმიტრის ტაძრის მოხატულობაში (XII ს-ის მიწურული), რომელიც ბევრი თვალსაზრისით გარეგნულად “ჰგავს” ქართულ მხატვრობებს, თუმცა მისი ფერწერული “ენა” მაინც სულ სხვაა. აქ კოლორიტული ეფექტი დაქვემდებარებულია მოდელირებას, თანაც სწორედ რომ ლურჯის მინიმალური მონაწილეობით. ლურჯის გამოყენების მხრივ, ალბათ, ბევრად უფრო გვიანი ფერაპონტებს ტაძრის მოხატულობა (1502-1503წ.). შეიძლება გავიხსენოთ, სადაც ლურჯის ქდერადობაც და მწვანესთან დაწყვილებაც თითქმის ისეთივე ექსპრესიულია, როგორც ყინცვისში.

ლურჯი თავისი ფერადოვნული გამომსახველობით საგმაოდ აქტიურია ქართულ ხელნაწერთა დასურათებაში (და თანაც არა მხოლოდ ყინცვისის თანადროულებში, არამედ უფრო ადრეულ ნიმუშებშიც, მაგ., ადიშის ოთხთავი (897წ.), ზაქარია ვალაშკერტელის სფინქსარი (1030წ.), გელათის ოთხთავი, (XII ს.) და სხვ), თანაც არა მხოლოდ იკონოგრაფიულად აუცილებელ ელემენტებზე. განსაკუთრებით ექსპრესიულია ის ზატიკის (A-734) მინიატურებში, რომლებიც ბევრი სხვა თვალსაზრისითაც უახლოვდება და ენათესავება ყინცვისის მოხატულობას (მონუმენტურობა, ლაკონიურობა, ხაზთა სინაზე და სიმსუბუქე და სხვ.), თუმცა ცოტა უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება – XII საუკუნის პირველ ნახევარი.

რაც შეეხება ხატწერას, ქართულ ფერწერულ ხატებს შორის ლურჯი ფერი მაქსიმალურად გამომსახველია მესტიის მუზეუმის XII საუკუნის მაცხოვრის ხატზე.<sup>43</sup>

ლურჯი, თანაც ესოდენ შუქმნათი, უფრო სამეფისკარო და დედაქალაქურ დაკვეთებში გხედება. იგი თითქმის არ არის სვანურ მხატვრობაში, რაჭაში, გარეჯში კი უფრო XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება, თუმცა მწვანეს ორივეგან იყენებენ. ამდენად, ლურჯი ერთგვარად პრივილიგერებულ, “ელიტარულ” ფერად წარმოგვიდგება.

შეუქმნათი ლურჯის ესოდენ ინტენსიური გამოყენება ყინცვისის მოხატულობაში, ცხადია, ბევრწილად, მისი სიმბოლური მნიშვნელობითაც არის განსაზღვრული.<sup>44</sup>

41 S. Ćirković, V.Korač, G.Babić, იქნე, სურ. 55-63.

42 Е.Бакалова, Бачковската костница, София, 1977, სურ. 31, 32, 59. 65, 100.

43 ლაქვარდის გამოყენებას ქრისტიანულ ეკდლის მხატვრობაში 6. ტიერი კავკასიას უკავშირებს, საიდანაც იგი კაპადოკიასა და შემდეგ ბიზანტიურ სამყაროში გავრცელდაო, საქართველოში კი ირანიდან, სასანიანთა დროს შემოვიდაო. N.Thierry, L'emploi du lapis-lazuli en peinture monumentale au Xe s. en Cappadoce et en Transcaucasie, ქართული ხელოვნების ნარკვევები, II, (თბილისი, 2002), 53. ჩვენში მართლაც არ ჩანს ლაქვარდის საბადოები, თუმცა გახუშტი იხენიებს ლაქვარდის მოპოვების ფაქტს.

44 უკვე ადრექრისტიანულ ხანაში მოხაიკური თუ ფრესკული გამოსახულებათა ფონად ან შარავანდების ფერად ინტენსიური ლურჯის გამოყენება მხოლოდ ხასიათით არ ყოფილია განპირობებული – ლურჯი ოქროსა და ოქორს ენაცვლება როგორც დვთაებრივი ნათლის, ზეცათა სასუფელის ფერი. ლურჯი – ზეციურის, მარადიულის, ბრწყინვალების, დვთაებრივი სიბრძნის ფერის; მაცხოვრის მანდორლები ხშირად ლურჯია (J.Gage, Colour and Culture, გვ. 73, J.Gage, Colour and Meaning გვ. 59) იგი ერთდროულად ნათელსაც განასახირებს და წყვდიადსაც –ანუ თვალშეუდგომლობას დვთაებრივი ნათლისა. თუმცა მას ზოგჯერ საპირისპირ დატვირთვაც აქს (J.Gage, Colour and Meaning გვ. 73), მაგ., სან აპოლინარე ნუოვოში ლურჯით

ყინცვისის ფერადოვნების ძირითადი ტრიადა: ლურჯი მწვანესთან და თეთრითან შეხამებაში, სემანტიკურად ურთიერთებაში იძლევა საზრისს – სამოთხე, უფლის საუფლო, სულიწმინდა – ზეცათა სასუფეველი.

ძალიან გამომსახულია ყინცვისში ლურჯი ფერის ურთიერთობა მწვანესთან (წმ. ბასილი კესარიელის თქმით, ლურჯი და მწვანის წყვილი უვალაზე დამამშვიდებელი ფერებია)<sup>45</sup>. ამ მხრივაც აქ უნიკალურ ფერადოვნულ გადაწყვეტასთან გვაქს საქმე. ყინცვისის თანადროულ სხვა ქართულ მოხატულობებში (ვარძია, ბერთბანი, ბეთანია, ტიმოთესუბანი, გარეჯის “ნათლისმცემული”) ლავარდისა და მწვანის ასევე საკმაოდ აქტიურად გამოყენება, თუნდაც XI-XII საუკუნეებთან შედარებით (მაგ., ატენი, ბოჭორმა), მაგრამ ამ ფერების “კუთრი წონა” ფერწერულ ზედაპირთან მიმართებაში, როგორც ითქვა, ნაკლებია, ვიდრე ყინცვისში.

თავისთავად ლურჯი-მწვანის ფერადოვნული წყვილი საკმაოდ მდგრადი ნიშანია სხვადასხვა დროის ქართულ მხატვრობებში – ატენი, გელათი, ყინცვისი, და შესაძლოა რაღაც ძველ ტრადიციის არსებობას მიაინშნებდეს<sup>46</sup>.

და მაინც, ლურჯი-მწვანე წყვილი ასეთი სიხშირით, როგორც ყინცვისში გვაქს, სხვაგან იშვიათია. ლურჯი-მწვანე ფერადოვნული წყვილებია გუმბათში ვედრების რიგში, უმეტესი ანგელოზების სამოსზე; “ზიარებებში” მოციქულთა სამოსზე, წმ. არტემის შესამოსელში, ბემის ანგელოზების ფიგურებზე; “ჯვარცმის” ფერადოვნულ გადაწყვეტაში; “სამ ყრმაში” ანგელოზის (იგივე ქრისტეს) ფიგურაზე და სხვ. ლურჯისა და მწვანის პრიორიტეტი, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარ “მონექრომულობას”, “ცივ დისტანციონებულობას” ანიჭებს მხატვრობას. ლურჯი და მწვანე სპექტრში ერთმანეთის გვერდით მდებარე ფერებია, არა-კონტრასტული, შესაბამისად, მათი “ერთად ყოფნა” მშენდია. ამსთან, მწვანეცა და ლურჯიც მინერალური საღებავებია, ანუ კრისტალური სტრუქტურა აქვთ და გაცილებით უფრო ძლიერად აირეკლავს შექს, ვიდრე მიწის საღებავები. ამასთან, მწვანე ლურჯსა და წითელს შორისაც არის და აწონასწორებს მათ<sup>47</sup>.

მწვანე სემანტიკურად სულიწმინდის, უფლის ცხოველმყოფელობის, სიცოცხლის, სიყმაწყილის ფერია – “და ვითარმედ იგი არის მომცემელი ყოველთა საზრდელისაი, რამეთუ ყოველივე თესლი და მყოფი მწვანისფერ იქმნების და კუალად გამოაცხადებს”<sup>48</sup>.

---

აღნიშნულია აპოკალიფსურ ხილვაში “თიგანთა” და მათი თანმდევი ანგელოზები საპირისპიროდ კრავების სითეთრისა. ლურჯი – არსებათა საიდუმლოს ფერი, ტრანსცენდენტური ფერი, მისი ნათება უვალაზე სპირიტუალურია; აღთქმის კარავი ცისფერია (რიცხვთა, 4; 6-12); იგია სიმჟიდე და უწონადობა (E.Sendlar, The Icon, Image of the Invisible, გვ. 152-155), ლურჯი – დათუბრივი ჰეშმარიტების აღმნიშვნელი – (A.H.Овчинников, Символика Христианского искусства გვ. 107). გამოცხადებაში უფლის საყდარი საფირონისაა და ა.შ. ასე რომ, ლურჯის სიმბოლური დატვირთვა დიდია და ძირითადად ზეცათა სასუფეველთან და უფლის ნათელთან ასოცირდება. წმ. დიონისე არეალპაგელის მიხედვით, ლურჯი ცის ფერთან ასოცირდება, ამიტომ უვალაზე ნაკლებ მატერიალურია და გრძნობადი, მას უვალაზე მეტი სულიერი მომხიბლაობა აქვს და ტრანსცენდენტური სამყაროს განსახიერებაა. ხოლო მარადიული დვთაებრივი ჰეშმარიტება, ღმერთი არის “ზენათელი წყვდიადი” (B.V.Бычков, Эстетическое значение цвета в восточно-христианском искусстве, გვ. 135, 137).

45 J.Gage, Colour and Culture, გვ. 61.

46 T.Вирсаладзе, Фрагменты фресковой росписи главного Гелатского храма, ქართული ხელოვნება, 5, თბ., 1959, გვ. 196.

47 E.Sendlar, The Icon, Image of the Invisible, გვ. 155.

48 ნ.ჩიქოვანი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკისათვის “იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების” მიხედვით, თბ., 1978, გვ. 17; დიონისე არეალპაგელი, ციური ეირარქიის შესახებ,

მწვანე გამოყენებულია უმეტესი სახეების სარჩელად და მსუბუქი ჩრდილების მომწვანო ელფერისაა. მწვანისა და ლურჯს შორის არის ის ფირუზისფერი, რომელიც რამდენიმე სცენაში ქდერს (მაგ., “თომას დარწმუნება”, “საიდუმლო სერობა”, “ჯვარცმა”) ძალიან კრიალად და ლურჯთან შეხამებაში საკვირველ ნათებას იწყებს – სამხრეთ კედელზე ეს შეხამება მეტად ეფექტურია. სწორედ ეს ქრომატული წყვილი განსაზღვრავს ყინვისის სახელგანთქმული ანგელოზის ფიგურის ფერადოვნულ გამომსახველობას.

როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეებში ფერი, როგორც იკონოგრაფიული ელმენტი, ნაკლებ ფასეულია, ვიდრე მისი სიმბოლური მნიშვნელობა, მართლაც, იკონოგრაფიულად მდგრადი ფერებიც კი, როგორც ჩანს, საქმაოდ ფართო ვარიაციებს ექვემდებარება<sup>49</sup>. ამ მხრივ ძალიან საგულისმოა სწორედ ანგელოზის სამოსის ფერები სცენაში “მენელსაცხებლე დედები ქრისტეს საფლავთან”. ორ დიდ სარკმელს შორის, ფაქტიურად კედლის ცენტრში ლურჯ ფონზე გამოსახულ წითელ-ოქრისფერ ლოდზე მჯდომ მთავარანგელოზს ლურჯივე კვართი აცვია, მსუბუქად დამუშავებული ამჟამად განაცრისფრებული გამონათებებით, და დრმა, შუქმნათი მწვანე მოსახსამი, რომელიც დაფარულია მხოლოდ რკალური საზების დინამიკური ნახატით, ყოველგვარი, თუნდაც მსუბუქი მოდელირების გარეშე. ეს შეხამება ლურჯისა ლურჯონა და მწვანესთან მართლაც, რაღაც “არა-ამქვეყნიურია”, ძალიან ექსპრესიული და მშვენივრად შეხამებულია მძღავრად მოქნეული ფრთების ბუმბულების სხვადასხვა ინტენსივობის წითელს, თეთრსა და ლურჯს.

ამგვარად, ყინვისში “მენელსაცხებლე დედებში” მთავარანგელოზს თეთრი სამოსი კი არ მოსავს, არამედ ცისფერი და მწვანე – თუმცა სახარების ტექსტში საგანგებოდ არის მითითებული მისი სამოსის “სპეტაკი” ანუ თეთრი ფერი. და ასეა არა მხოლოდ ამ ნაწარმოებებში. მაგ., ატენში ანგელოზს აცვია მწვანე მოსახსამი და მოწითალო ქიტონი<sup>50</sup>; ფავნისში – თეთრი ტუნიკა და ცისფერი ჰიმატიონი<sup>51</sup>; ბეთანიაშიც მას ცისფერი და მწვანე ფერები მოსავს, ისევე როგორც გელათისა და ჯრუჭი II –ს ოთხთავების ზოგ მინიატურაში (XII ს.). ასე რომ, ანგელოზის სამოსის ფერი ყინვისის ამ სცენაში სულაც არ არის გამონაკლისი. ამავე დროს, მაგ., საფარაში (XIV ს.), მისი სამოსი მთლიანად თეთრი ფერისაა, მაგრამ იქ სხვა კოლორიტული გარემოა და უკვე სხვა სტილიც. ასევე ბიზანტიურ მხატვრობაში, მაგ., ყინვისის თითქმის თანადროულ მილეშევას მოხატულობაში, (XIII ს-ის პირველი მესამედი), ანგელოზს ქათქათა თეთრი სამოსი აცვია, თანაც ნახატით მინიმალურად დამუშავებული<sup>52</sup>.

ყინვისის მოხატულობაში ანგელოზის სამოსის “არა-იკონოგრაფიულ” ფერადოვნებას როგორც წმინდა მხატვრული, ასევე სიმბოლური ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ლურჯისა და მწვანის ფერებით მისი ფიგურა ზეცათა სასუფევლისა და სულიწმინდის სიმბოლურ ქლერადობას დებულობს<sup>53</sup>. მეორე მხრივ, კონკრეტულად

სადგომისმეტყველო კრებული, 3, თბ., 1987, გვ. 272; ა.ოქროპირიძე, ქრისტიანული სახისმეტყველებისათვის, სპექტრი, 1, (1998), 47; E.Sendler, The Icon, Image of the Invisible, გვ. 152, 158.

49 L.James, Light and Colour, გვ. 101.

50 თ.ვირსალაძე, ატენის სოონის მოხატულობა, თბ., 1984, სურ. 99.

51 Е.Л.Привалова, Павнисი, Тб., 1977, გვ. 29.

52 იქ საერთოდაც ძალიან ნათელი ფერებია – ფონი, ლოდი, მენელსაცხებლე დედების სამოსი და სხვ. ამდენად, აქ მეტი ტონალური ერთიანობაა და ნაკლებად ქრომატული ინტერვალები. თანაც მილეშევას მოხატულობის სტილი გამოკვეთილად ფერწერულ-ცხოველხატულია, ილუსიონიზმის გარკვეული ნიშნებით. С.Радојчић, Милешева, Београд, 1963, ტაბ. XI.

53 ა.ოქროპირიძე, ქრისტიანული სახისმეტყველებისათვის, გვ. 44-51.

ყინცვისის მოხატულობის ამ კონკრეტული კედლის შემთხვევაში ესოდენ სადღეო ფიგურის მთლიანად თეთრად შემოსვა სრულიად დაარღვევდა მოცემული ზედაპირი როგორც მხატვრულ, ასევე სემანტიკურ მთლიანობას. ცნობილია, რომ ფერისცვალებაშიც კი ხშირად ქათქათა თეთრის (“სპეტაკის”) ნაცვლად მაცხოვრის სამოსისათვის მწვანე ფერს იყენებენ ხოლმე<sup>54</sup>. ასე რომ, ამ კოლორიტულ გადაწყვეტაზე სემანტიკური და წმინდა მხატვრული ფაქტორები ერთდროულად მუშაობდნენ.

ყინცვისში ლურჯი მუტ ექსპრესიულობასა და შუქის განსაკუთრებულ ძალას თეთრთან შეხამებისას დებულობს. საზოგადოდ, შუა საუკუნეების მხატვრობაში მიღმური ზეცის სიმბოლო –ცისფერზე არანაკლებ ადგილს უნივორ ნათლის სიწმინდის აღმინშვნელი –თეთრიც<sup>55</sup> იკავებს.

თანაც ამ ფერადოვან წყვილს და საკუთრივ თეთრ ფერს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს<sup>56</sup>. მაგ., ლურჯი და თეთრი ბერთუბანში – სამოთხეს განასახიერებს. ლურჯი და თეთრი ყინცვისის განედლებულ ჯვრებზე – ასევე სამოთხის აღმინშვნელია. სიტყვა სპეტაკი “გამოცხადებაში” მრავალჯერაა ნახმარი (1:14; 2:17; 3:4 და სხვ) და სხვა განმარტებებთან ერთად, – “უწინარეს საუკუნეთა ყოფნა”, “მარჯვენით მამისა დგომა”, “სათხოება”, “ხარება”, – “სამოთხეში ყოფნასაც” გულისხმობას<sup>57</sup>.

ყინცვისის მოხატულობაში თეთრით შესრულებულია ნიადაგის ზოლები, შარავანდები, სამოსები, ფონის ელემენტები, ორნამენტები, წარწერები. ანუ ეს ფერიც საკმაოდ დიდ ფართობებს მოიცავს. საინტერესოა, რომ ვიზუალური აღქმის გარკვეული კანონზომიერებით, როცა მოხატულობის მთელი ფონი თეთრია (მაგ., როგორც აგენში), თეთრის ქრომატული გამომსახველობა უფრო ნაკლებია – იგი აღიქმება მხოლოდ როგორც ნეიტრალური ფონი – კედელი, ვიდრე მაშინ, როცა იგი ფონის მხოლოდ ნაწილს მოიცავს და ლურჯთან არის დაწყვილებული, როგორც ყინცვისში – აქ მისი ქრომატული გამომსახველობა – თეთრობა – გაცილებით ძლიერდება.

ყინცვისის შემთხვევაში ყურადღებას იქცევს თეთრი ფერის გამოყენება ნიადაგის ზოლისათვის, რასაც, როგორც ჩანს, სამოთხის თემა (ანუ ცხონება) შემოაქვს მოხატულობაში<sup>58</sup>. საზოგადოდ ნიადაგის ფერი უფრო მუქია ხოლმე (მწვანე, ყავისფერი, მუქი ოქრა და სხვ), ხოლო ფონის ზედა, “ცის” ნაწილი უფრო ნათელი, მსუბუქი, უფრო “ცის” ფერისა.

ყინცვისში კი სწორედ ნიადაგის ზოლია უფრო მსუბუქი, უფრო უწინადი ფერით მოცემული, იმ ფერით, რომელიც ფაქტობრივად შუქს, ნათელს განასახიერებს. ფონის ზედა ნაწილი კი (ანუ ცა) მასთან შედარებით უფრო მუქია, მძიმე. ამით თითქოს ხდება ნიადაგისა და, შესაბამისად, მასზე მდგომი ფიგურების დემატერიალიზაცია, რაც საქმაოდ ეწინააღმდეგება ო. ფირალიშვილის მიერ აქ დანახულ “რეალიზმს”, რენესანსულ სულისკვეთებასა და “მიწიერებას”<sup>59</sup>.

54 J.Gage, Colour and Meaning, გვ. 70.

55 ა.ოქროპირიძე, ბოჭორმის წმ. გორგის . . . გვ. 86.

56 E.Sendler, The Icon, Image of the Invisible, გვ. 153-155.

57 ნ.ჩიქოვანი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიის სემანტიკისათვის, გვ. 8-9.

58 А.Н.Овчинников, Символика Христианского искусства, გვ. 40, 107-112; ნ.ჩიქოვანი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიის სემანტიკისათვის, გვ. 8-9; 3.Схиртладзе, Роспись пещерного храма в Бертубани (исследование по истории грузинской монументальной живописи начал. 13 века), (საკანდიდაცო დისერტაცია), ხელნაწერი, თბ., 1987, გვ. 78; E.Sendler, The Icon, Image of the Invisible, გვ. 152-155.

59 ო.ფირალიშვილი, ყინცვისი, გვ. 21, 25 და სხვ.

თეორი ნიადაგის ზოლები ამავე ეპოქის სხვა ქართულ მოხატულობებშიც არის – მაგ., ბეთანიაში, ბერთუბანში, ოზაბანში, ტიმოთესუბანში. მაგრამ იქ სხვა კოლორიტებით “წყვილებია” და, შესაბამისად, მათი ფერადოვნებით “აკორდის” ჟღერადობაც სხვაა. მაგ., ტიმოთესუბანში თეორი უფრო მეტად წითელთან ერთად აღიქმება; ბერთუბანში ბათქაშისფერ თბილ მოქროსფრო ტონთან შესამებაში, ბეთანიაში კი უფრო დაბალი რეგისტრისა და დაბალი ჟღერადობის უფრო მუქ ლურჯთან, მეტი ნაცრისფერი რომ გადაკრავს. აზრობრივად კი თეორი ნიადაგის ზოლები ყველაგან სწორედ “სამოთხის” თემას უნდა განასახიერდეს.

თეორი ფერი, რომელსაც ძველ ქართულში საუგაც უწოდებდნენ, წმ. ბასილი აქსარიელ-კაბადუკიელის მიერ იოანეს სახარების თარგმანებაში განმარტებულია, როგორც “უფროისად უწინარეს საუკუნეთა ყოფილი, საონოება და ბრწინვალება, წმიდათა ბრწინვალება, სადაც დმერთი განისვენებს” ანუ სამოთხე. სწორედ “გამოცხადებაში” მოხსენებულ კრისტალის ზღვასთან აიგივებს ზ. სხირტლაძე ბერთუბის მოხატულობის ნიადაგის თეორ ფერს<sup>60</sup>.

ნიადაგის ზოლის თეორად შეფერვა ერთგვარად მადლით მოცული აღდგომის დამის განათების ეფექტს ქმნის – იღუმალებით მოცული მუქი ლურჯი ცა და ღვთაებრივი ნათლით განათებული, განცმრთობილი მიწა. თუ მუსიკალურ ასოციაციას მიემართავთ, ყინცვისის მოხატულობის ფერადოვანი ჟღერადობა – მინორია, იღუმალება, სიჩუმე - безшумные тона<sup>61</sup>. «...ощущается особая тишина, тишина вечности. Это не отсутствие звуков, не вакуум жизни, не тишина могил, но тишина как совершенство гармонии, как полнота бытия, подобно тому, как белый цвет есть не отсутствие цвета, а сияние и полнота всех цветов радуги<sup>62</sup>; თეორი მეტაფორულად უწინარეს ყოველთა საუკუნოთა სიჩუმეა<sup>63</sup>.

ინტენსიური თეორი, საკმარის სქლად, პასტოზურადაც კი არის დადებული ქრისტეს საყდარზე გუმბათში და კონქში მარიამის საყდარზე გადმოფენილ ქსოვილზე, და ორივე შემთხვევაში იგი, ორნამენტით შემქული, განასახიერებს ტრაპეზის საფარს, სამსხვერპლოს. თეორივე არის სამი ყრმის – განმზადებული მსხვერპლის – სამოსი. თეორის დიდ ლაქებად მოჩანს “ზიარების” დიაკვან-ანგელოზების სტიქარონები, წმ. ნიკოლოზის სამდვდელმთავრო სამოსი (მაგ., “კვიპაროსის მოჭრა”) და, ცხადია, ეკლესიის მამათა შესამოსლები.

თეორი ფერის გამოყენება ლიტურგიული სამოსებისათვის აღნიშნული აქვთ სოფრომი იერუსალიმელს (VI-VIIIს.), გერმანე კონსტანტინოპოლეს (VIIIს.), სიმეონ თესალონიკელს (XVს.)<sup>64</sup>. თეორი სამოსი და ქსოვილები, ამგვარად, ლიტურგიას უპარმირდება.<sup>65</sup> თეორი აქ არის უფლის ხორცის – უხრწენელი სამოსების ფერი.

60 3. Схиртладзе, Ростисль пещерного храма в Бертубани.., გვ. 78.

61 А.Н. Овчинников, Ростисль Ачи, как одно из проявлений взаимосвязи..., გვ. 5.

62 Архимандрит Рафаил (Карелин), О языке Православной иконы, გვ. 50.

63 В.В. Бычков, Эстетическое значение цвета, გვ. 134; Архимандрит Рафаил (Карелин), დასახ. ნაშრ., გვ. 69.

64 В.В. Бычков, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

65 საუკიალური ტექნიკური კვლევა არის ჩასატარებელი იმის გასარკვევად პასტოზური თეორი სადგბავის ლაქებით თანადორულია, თუ რაღაც შემდგომი “გაცხოვლების” კვალია. ასეთი, ერთი შეხედვით თითქოს არაორგანული თეორი მონასმები არის გუმბათში ქრისტეს საყდარზე, გუმბათის ყელის ფონზე, სამი ყრმის სამოსზე, წმ. ნიკოლოზის კვიპაროსის სცენაში, ბაგრატონითა წინ ქრისტეს საყდარზე და კიდევ რამდენიმე ადგილას. გარევეული პასტოზურულია ამ საღვაბისა და მისი საკმაოდ დაუდევრად დადგება, ზოგჯერ კონტურების გაუთვალისწინებლად - თითქოს “ამოვარდნილია” საერთო ტექნიკური მახასიათებლებიდან – ჩვეულებრივ აქ ძალიან მკვრივი

ორიგენე თეორ ფერს სიწმინდესთან და ოწმენის ჭეშმარიტებასთან აიგვებული მართლაც, ყინცვისშიც, თუ დავაკვირედბით, თეორი ყველაზე მეტად გამოიყენება ლიტურგიასთან დაკავშირებულ საგნებზე ან სამოსებზე. სამოსებისა და შარავანდების თეორი ლაქები ძალიან ექსპრესიულ, მთელი მხატვრობის გამაჟროთიანებელ რიტმს ქმნის.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყინცვისში მთავარ ფიგურებს თითქმის არ აცვიათ თეორი და არც წითელი სინგურის სამოსი. წითელიცა და თეორიც მთავრი ფიგურების გარშემო ერთგარ სემანტიკურ “დაძაბულობის ველს” ქმნიან. მაგ., “ლაზარეს აღდგინებაში” მკაფიო სინგურის ფერით მსახურის ფიგურა არის გამოკვეთილი (ისევე, როგორც თითქმის თანადროულ ხატზე მესტიიდან); “შობაში” წითელი სარეცელი გარს ეხვევა მარიამის ფიგურას; წითელი ველუმი თავზე ადგას ქრისტეს “თომას დარწმუნებასა” და “საიდუმლო სერობაში”. თეორიც ძალიან თავისებურ კონტრაპუნქტულ ელემენტების იძენს, ძალიან თავისებურ კოლორიტულ აქცენტებს ქმნის. მაგ., “სამ ყრმაში” ანგელოზი ლურჯ-მწვანე სამოსშია, სამი ყრმის პატარა ფიგურებზე კი თეორი ფერი კიაფობს.

თეორი ფერი მართლაც რომ თავისი ქრომატულობის მაქსიმუმით არის გახსნილი ყინცვისში. ამ მხრივ, ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაც შეიძლება გავისხენოთ, სადაც თეორი ფერის ქრომატული ძალა ასევე ძალიან ექსპრესიულად არის აჯღერებული<sup>67</sup>.

ფერის მახავალი მახასიათებლიდან – ტონი, ელფერი, სიკაშაშე, სიღრმე, სიმაღლე, ინტენსივობა, ქლერადობა, შუქმნაობა, სითბო და სხვ., შუა საუკუნეებში, როგორც ვიციო, განსაკუთრებით სინათლე და შუქმნაობა ფასობდა<sup>68</sup>. სწორედ ამ კონტექსტში განიხილება ლითონების – ოქროსა და ვერცხლის გამოყენება მხატვრობაში, კერძოდ კი, კედლის მხატვრობაში. ყინცვისში ოქრო დადებულია კონქსა და ჩრდილოეთ მკლავში ანუ სადაც მზე უფრო ეცემა და იწვევს ბრწყინვას – შარავანდებზე, მაცხოვრის, დმრთისმშობლის, მეფეთა სამოსებზე. ცხადია, მის გამოყენებას, პირველ რიგში, სემანტიკური მოტივაცია განაპირობებდა<sup>69</sup>. ოქროს ქლერადობა და გამომსახველობა ყინცვისის კოლორიტში ახლა ძნელი განსასახლვრია, იმდენად არის ის აქტრცლილი და ნაკლული. ფაქტია, რომ იგი არ ყოფილა ისე უხვად ნახმარი, როგორც სოპორანასა, სტუდენტიცას და მილეშოვოს მოხატულობებში, სადაც მთელი ფონები არის ფურცლოვანი ოქროთი დაფარული, ზედ მოზაიკის იმიტაციით<sup>70</sup>. მეორე მხრივ, თანადროულ ქართულ მხატვრობებში ოქროს ნაკლებად გვხდებით, მხოლოდ ბეთანიაში, ყინცვისის ღმრთისმშობლის გადესიაში, ხარების ეკლესიაში და სხვ. ზენობანის XIII საუკუნის დასაწყისის მოხატულობაში ფურცლოვანი ვერცხლია გამოყენებული.

თხელი საღებავის ფენაა. გუმბათის ყვლში არის რამდენიმე დატალი, რომელიც დამაფიქრებელია - წინასწარმეტველთა მუხლების დონეზე წრიულად “შენგრებულია” ექდელი ზედ ფერწერის ფრაგმენტებით – თითქოს მოხატვის მერე კიდევ დადგეს ხარახო. ამის ასენა ახლა ჭირს, მაგრამ არა მგრია, რომ რამდენიმე თეორი მოხატმის გამო ამხელა ხარჯი და ჯაფა გაეწიათ. თუ მოხედა ტექნიკური კვლევის ჩატარება, მაშინ შეგვეძლება უფრო მეტი სიზუსტით ვისაუბროთ.

66 L.James, Light and Colour, გვ. 530.

67 З.Схицладзе, Риспичь пещерного храма в Бертубани, გვ. 78-85.

68 Р.Арнхейм, Искусство и визуальное восприятие, М., 1974, გვ. 313-343; L.James, Light and Colour, გვ. 14; Н.Н.Волков, Цвет в живописи, გვ. 77-85; J.Gage, Colour and Culture, გვ. 44.

69 С.Аверинцев, Золото в системе..., გვ. 43-53.

70 В.Джурич, Византийские фрески, Средневековая Сербия, Дальмация, славянская Македония, М., 2000, გვ. 86, 95, 115.

სავარაუდოდ, ოქროს ასისტი იყო ქრისტეს სამოსზე “ჯოჯოხეთის წარმოტყვევნაში” და, შესაძლოა, “საიდუმლო სერობაშიც”. მართალია, სამხრეთ მელავში ოქროს კვალი არ შეინიშნება, მაგრამ ქრისტეს კვართზე ასისტის ამოცვების კვალი ნათლად ჩანს. ოქრო არის “ჯვარცმაში” ქრისტეს გამჭვირვალე არდაგის ზედაპირზე წვრილი წერტილების სახით. ამგვარად, ოქროთი კეთდება მნიშვნელოვანი შინაარსობრივი აქცენტები, გამოიყოფა კონკრეტული გამოსახულებები, რომლებიც უმეტესად ადგვინდა და ექვარისტიულ მსხვერპლთან არის დაკავშირებული: ჩვიდედი ღმრთისმშობელი კონქში, “ზიარება”, “მენელსაცხებლე დედანი”, “ჯვარცმა”, “ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა”, “საიდუმლო სერობა” (?). ოქროთი (შარავანდები, სამოსი) საგანგებოდ გამოყოფლია ბაგრატიონთა პორტრეტები.

ოქროს მნიშვნელობის შესახებ ქრისტიანულ ხელოვნებაში უამრავი რამ არის დაწერილი<sup>71</sup>. იგი ყველაზე ახლო და პირდაპირი სიმბოლო დაფიქტრივი ნათლისა, თვით თავისი არა-პიგმენტური, ლითონური ბუნებითაც: პრიალი, ბრწყინვალება, მაქსიმალური შუქმნათობა, ცხადია, მასზე ყველაზე პირდაპირი მინიშნებაა. ამიტომაც გამოიყენებოდა ოქრო შარავანდებზეც და ფონზე ზეციური საუფლოს აღსანიშნავად.

“როგორც ოქრო განიწმინდება მინარევებისაგან ცეცხლში, ისე ადამიანი წამებით განიწმინდება ცოდვებისაგან” (ანდრეა კესარიელ-კაპადუკიელი, 3.18). ოქრო უხრწელი და უჯანგავი ლითონია, ამიტომ მარადისობის აღმნიშვნელიცაა – “გამოცხადებაში” ახალი იერუსალიმი ოქროსია – “ქალაქი იგი იყო ოქროი წმინდაი მსგავსი ჭიქისა წმინდა” (ანდრია კესარიელ-კაპადუკიელი, 21.18). მხატვრული მხრითაც, ოქროს ლითონური პრიალი და ბრწყინვალება მშვენვრად ესადაგება ყინვისის კოლორიტის ცივ ნათებას.

მართლაც, ყინვისის კოლორიტში ცივი ფერები დომინირებს, რაც ამ დროის მხატვრობისთვის არის დამახასიათებელი<sup>72</sup>. XII საუკუნის პირველი ნახევრის გელათის ნართექსის მოხატულობაში უკვე შეინიშნება ტონების “გაცივება”: ფონის თეთრი ფერი, ცისფერი და მწვანე ძალიან ჭიდრო კავშირშია, ძალიან აქტიურია, თუმცა სახეთა ტონები თბილი ოქრისაა და წითლის კუთრი წონაც საკმაოდ დიდია – აქ ერთგვარი ბალანსი არის თბილ და ცივ ფერებს შორის. “ფერის შუქად ტრანსფორმირების ტენდენცია” XII საუკუნის დასაწყისის ბოჭორმის მოხატულობაშიც შეინიშნება<sup>73</sup>.

თ. ვირსალაძის აზრით, ცივი მწვანისა და ლაქვარდის შესამება თბილ ტონებთან, თითქოს უძველესი მხატვრული ტრადიციიდან მოდის და მეტ-ნაკლებად ქართული მხატვრობის უვალა ეტაპზე იჩენს თავს, განსაკუთრებით ცენტრალური რეგიონების მხატვრობაში, მათ შორის მინიატიურებშიც (მაგ., ზატიკი, A-734) და მინანქარშიც კი<sup>74</sup>.

ცივი ფერების “მოძალება” შუქთან მეტ ასოციაციას ქმნის, თანაც არა მიწიერ, თბილ შუქთან, არამედ ზეციურ ნათელთან, რომელიც თავისი “არა-ამქვეყნიური ნათებით” სწორედ ცივი არის, გადახრილი “წყვდიადისაკენ”; თეთრი – ლურჯი – მწვანე ცივი შეხამებაა. თუმცა ყინვისთან შედარებით ბეთანიაში და ტიმოთესუბანში კოლორიტი მაინც უფრო თბილი ქლერადობისაა. კოლორიტის “გაცივების”

71 С.Аверинцев, დასახ. ნაშრ.

72 Т.Вирсаладзе, Фрагменты фресковой росписи ..., გვ. 196; ა,ოქროპირიძე ბოჭორმის წმ. გიორგის..., 92-94.

73 ა.ოქროპირიძე, იქვე, გვ. 98.

74 Т.Вирсаладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება XIII ს-ის ქართულ მხატვრობაში მაღალი გარეჯის “უდაბნოს” ხარების ეკლესიის ცივი ყვითლისა და ცისფრის თითქმის არამატერიალურ ნათებაში აისახება.

ყინცვისის მოხატულობაში სახეთა ტონიც საქმაოდ ცივია – ბევრგან მწვანე სარჩულია და ზედ საქმაოდ ცივი ტონის მოყვითალო კარნაცია, რაც კიდევ უფრო ცივ ჟღერადობას ქმნის. მწვანე ჩრდილები, როგორც დაფენილი შუქი, ერთგვარ ფერ-სინათლედ მოძრაობს ფორმაზე<sup>75</sup>. ოქროს ლითონური ბრწყინვალება კარგად ესადაგება ამ ცივსა და შუქმნათ კოლორიტს.

ყინცვისში ფორმის მოდელირება ძალიან მსუბუქია, სხვადასხვა ფერზე სხვადასხვა ძალის და ასევე განსხვავებული კონტექსტით. (მაგ., ზოგან ლურჯი მოდელირებულია საქმაოდ მკაფიო თეთრებით (“სულიწმინდის მოფენა”), ზოგან კი საერთოდ არ არის მოდელირებული (ქრისტეს ქვართი “ზიარებაში”).

უნდა აღინიშნოს, რომ კონტრასტული ფერებით მოდელირება (როგორც, მაგ., ვლადიმირში) აქ არსად ჩანს, და, ბიზანტიურისგან განსხვავებით, საზოგადოდ არ ახასიათებს ქართულ მხატვრობას<sup>76</sup>.

ყინცვისის მოხატულობის ფერადოვნებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ ფერად შარავანდებს, რასაც ზოგი მკლევარი ქართული მხატვრობის დამახასიათებელი იშნად მიიჩნევს<sup>77</sup>.

განსხვავებით ტიმოთესუბნისგან, სადაც ფერადი შარავანდები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთო მხატვრულ-სემანტიკურ ქარგაში, ყინცვისში, ერთი შეხედვით, ასეთი მრავალფერადოვნება არ შეიძლება, თუმცა არც სრულიად ერთგვაროვანი ყვითელი შარავანდები გვაქვს, როგორც ამ პერიოდის ბიზანტიურ მოხატულობებში, (მაგ., ნერეზი, ვლადიმირი, ლაგუდერა, სტუდენტიცა და სხვ).

რასაკვირველია, ფერთა დეფორმაცია რამდენადმე აძნელებს ახლა შარავანდების ფერადობის მხატვრული ეფექტის განსაზღვრას, ზოგ რისამე თქმა კი მაინც შეიძლება. ყინცვისში შარავანდები რამდენიმე ფერისაა: ფურცლოვანი ოქროს შარავანდებია შეძეგ სცენებში: – ბაგრატიონთა პორტრეტები და ქრისტეს ხატი მათ წინ, ანგელოზი “მენელსაცხებლე დედებში”, ქრისტე “ზიარებაში”, ქრისტე “ჯვარცმაში”, მარიამი და ქრისტე კონქში. სხვაგან ოქროს შარავანდები თითქოს არსად ჩანს, ანუ კონცენტრირებულია საკურთხეველსა და ჩრდილო მკლავში.

თეთრი შარავანდი ლურჯი ჯვრით – თითქმის ყველა სხვა სცენაში მოსაგს ქრისტეს.

თეთრი შარავანდები, რომლებიც განსაკუთრებულად ძლიერად აღნიშნავს სამოთხეში წმინდანთა ყოფნას და სხნას: წინასწარმეტყველნი გუმბათის ყელში, ეპლესიის მაქები, წმინდანები დასავლეთ კედელზე, წმ. მეომრები, მახარებლები აფრებში, ანგელოზები “შობაში”, და სხვ.

ყვითელი შარავანდები – წმ. ნიკოლოზი და წმ. სილიბისტრო აფსიდში, მოწამეები და წინასწარმეტყველები გუმბათის ყელში.

ამჟამად რუხი ფერის, თავდაპირებელი, სავარაუდოდ, სურინჯი (მონარინჯისფრო წითელი, ოდონდ უფრო ჩამქრალი, ვიდორე სინგური და ნაკლებ კაშაშა): ეპლესიის მაქები, ზიარების ანგელოზები, სამი კრმა;

სინგური (ამჟამად გაშავებული): დავითი “ჯოჯოხეთის წარმოტყვევნაში”. წმ.

75 ა.ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

76 თ.ვირსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195; ოქროპირიძე ა., “ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა”, 145.

77 T.Velmans, A.Alpago Novello, დასახ. ნაშრ., გვ. 52; E.Привалова, , Ростислав Тимотесубани, გვ. 182, ქვ. ნიშ. 33.

ნიკოლოზის ეკლესიაში ასეთი შარავანდი სხვა არ ჩანს. ხომ არ ნიშნავს გამოყოფას, როგორც ბაგრატიონთა წინამორბედისა?

ლურჯი შარავანდის ერთადერთი შემორჩენილი ნიმუშია სოლომონის შარავანდი “ჯოჯოხეთის წარმოტყველაში”. იკონოგრაფიული ოვალსაზრისით, სოლომონი, როგორც იდეალური მეფე – თამარის პროტოტიპია, ამავდროულად მამა-ძის თემის ამსახველია და როგორც ძე დავითისა, ქრისტეს – ძეს უიგივდება (სოლომონი – დავითის ძე – ქრისტე). საზოგადოდ, ქრისტეს ცისფერი შარავანდი (მაგ., რავენის სანება კონსტანტიაში, V ს.) სწორედ მისი დვთავებრივი არსის აღმნიშვნელია.

საქმაოდ უცნაურია წმ. იოანეს შარავანდი “ჯვარცმაში” – პასტოზურად, ცომივით დადებული ფენა, თოქოს რადაცის სარჩულად გამიზნული. იქნებ ფურცელოვანი ვერცხლის დასამაგრებლად? ასეთივე შარავანდი წმ. იოანე ნათლისმცემლისა “ჯოჯოხეთის წარმოტყველაში”.<sup>78</sup> ახლა ძნელი სათქმელია, რა იყო ამ “სარჩულის” ნამდვილი დანიშნულება.

როგორც ვნახეთ, თუმცა ტიმოთესუბნისნაირი მრავალფეროვნება (მაგ., სინგურისა და ზურმუხტისფერი შარავანდების მონაცლებობა) ყინცვისში არ არის, მაინც გვაქვს შარავანდების ფერების გარკვეული დიფერენციაცია, რაც დამატებით რიტმულ აქცენტებს ქმნის.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფერადი შარავანდები წმინდა ქართული მოვლენაა<sup>79</sup>, არ არის სწორი – ბიზანტიური სამყაროს მოხატულობებში ფერადი შარავანდები ბევრ ძეგლშია, თუნდაც, მაგ., ხატებრძოლების წინა ხანაში (რავენისა და რომის მოზაიკებში), ანდა შემდგომ ხანაში, თუნდაც მაგ., ნეო მონის მოზაიკებში (XI ს.).

სხვა საქმეა, როგორ გამოიყენება ეს ნაირფეროვნება, წმინდა დეკორატიულად, თუ უფრო დრმა სემანტიკური მნიშვნელობით<sup>80</sup>.

შარავანდი თავისი ბუნებით ნათელს განასახიერებს და აღნიშნავს, და როგორც ასეთი, ერთმნიშვნელოვანია. შარავანდი ნათლით მოსილებას გამოხატავს (წმ. სიმონ თესალონიკელი) ”он указывает на благодать, сияние и действенность в них (святых) безначального и бесконечного Бога, определяет сопричастность личности с сущностью Бога Единого. По Христианским понятиям Бог есть свет и nimbus в этом случае лишь часть условно отделенная от целого”<sup>81</sup>. შარავანდის ფორმაც და ფერიც იმთავითვე გარკვეულ შინაარსს მოიცავდა.<sup>82</sup>

78 ანალიზებმა აჩვენა, რომ წმ. იოანეს შარავანდი არის გაშავებული ტყვიის თეთრა, ნათლისმცემლის შარავანდში յо არის ლაუგარდი, თუმცა აქაც, ეტყობა, ტყვიის თეთრა იყო. ეს საგანგებოდ განსახილებელია. რატომ დასჭირდათ ასეთი სქელი გრუნტის დადება, მაშინ როცა იქვე მეფეების შარავანდების ფერები სრულიად გლუვად არის დადებული.

79 T.Velmans, A.Alpago Novello, დასახ. ნაშრ., გვ. 52; E.Привалова, დასახ. ნაშრ., გვ. 182, შენიშვ. 33.

80 D.Mouriki, The mosaics of Nea Moni in Chios, vol. I, Athens, 1985, გვ. 272.

81 A. Н.Овчинников, Символика Христианского искусства, გვ. 10, 22, 33

82 შარავანდის ფერთა სიმბოლურობა VII ს-დან უკვე ჩანს (A.H.Овчинников, Символика Христианского искусства გვ. 35), მამა ღმერთის ლურჯი ნიმბი თეთრი ჯვრით არის წინაუწყება ძის ჯვარცმის და აღდგომის. თეთრი – სამოთხის ნათელი; ლურჯი ჯვარი ქრისტეს თეთრ შარავანდზე – სიბრძე და ზეციური არსი ძისა; ერთდროულად ლურჯი და წითელი – მარადიული ზეცა და აღდგომა. შარავანდის წითელი ფერი – ნიშანი აღდგომისა A.H.Овчинников, Символика Христианского искусства გვ. 37, 38). აქის წმ. გიორგის XIII ს-ის II ნახევრის მოხატულობაში ქრისტეს ყველა “მიწიერ” სცენაში აქვს ვარდისფერი ნიმბი, ხოლო ვედრებაში, ამაღლებაში, მიძინებაში (“ზეციურ” სცენებში) – ყვითელი (Дж.Иосебидзе, Ростислав Ачи, Тб., 1989. ფერადი შარავანდები არის მაცხვარიშშიც – ყვითელი, მოყვითალო-ყავისფერი, მონაცრისფრო-ცისფერი (გვ. 147, 199). ბევრია ფერადი შარავანდები სცენეთის აღრინდელ მოხატულობებშიც, მაგ., იფხეში.



სხვადასხვა ფერების გამოყენებით ხდება გარკვეული სემანტიკური აქცენტების დასმა, მაგ., ჩვენს მიერ აღნიშნულ “ჯოჯოხეთის წარმოტყველაში” დავითის და სოლომონის გამოყოფა ფერადი შარაგანდებით განკაცების თემის ხაზგასმაც არის<sup>83</sup>, და, ამავდროულად, კონკრეტულად ამ ტაძრის კონტექსტში, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომავლობაზე აკეთებს აქცენტს, რაც “იქსეს ძირის” გამოხატვითაც არის ხაზგასმული.

ესნციისის მოხატულობაში არის რამდენიმე ფერი, რომელიც თითოვჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითქოს საცდელად არის გამოყენებული, მაგ., ღვინისფერი წმ. სამონას სამოსზე, ნარინჯისფერი ოქრა (წმ. ელიას სამოსზე გუმბათში, ქრისტეს კვართი და მთა “ჯოჯოხეთის წარმოტყველებაში”, ჩრდილოეთი სარკმლის მეუდაბნოების სამოსი). ასევე მხოლოდ რამდენიმე აღგილას არის ზურმუხტისფერი – გუმბათის ყელის სარკმლების ორნამენტებში და დასავლეთი მკლავის კამარაზე (მცირე ზომის მედალიონში ჩაწერილი ჯერის ფონი).

მთლიანობაში ყინცვისის მოხატულობა ძალიან ერთიანია კოლორიტულად, მაგრამ ღებაღებში შეინიშნება განსხვავება ოსტატებს შორის, მაგ., სახის დამუშავებაში. აქ რამდენიმე ფერადოვან გადაწყვეტას ვხედავთ – მწვანე სარჩული დამუშავებული ცივი ყვითელნარევი თეთრით, მსუბუქი მწვანე ჩარჩდილვით და თითქმის შეუჩნეველი გამოთვრებებით; მეორე მანერაა - თბილი ოქროსფერი ოქრის სარჩული, გაღიადებების რამდენიმე ფენით, მოწითალო ჩრდილებით, წითელი ტუჩებით და ყირმიზით. ყინცვისში თითქმის არ გამოიყენება ფერადი ნახატი, ანუ სახის ნაკვების მუქი ნახატის წითელი ხაზებით დაბლირება და სხვა.

წინასწარმეტყველთა რიგში სახის სარჩულიც ცოტა სხვა ფერისაა, უფრო ხეთისხილისფერი და უფრო მონაცრისფრო-მოყვითალო კარნაციით. ყველა ეს ხემოხამოვლილი ნიშანი რამდენიმე ოსტატის მონაწილეობას მიღვანიშნებს.

სამწუხაროდ, სახეები ძველ მოხატულობებში ძალიან დაზიანებულია და ბევრი შედარების შესაძლებლობას როდი გვაძლევს. თუმცა, ნათლად ჩანს, რომ იკოროის XII საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობის სახეების თბილი ოქროსფერი ოქრა სულ სხვაგვარია, ვიდრე ყინცვისისა; ასევე განსხვავებულია ბეთანიის მუქი ზეთისხილის ფერი ან მოაგურისფრო თბილი ოქრის სარჩული თუ ტიმოთესუბნის მარიამის სახის ზეთისხილისფერი სარჩული.

ამავე პერიოდის ბიზანტიურ ძეგლებში სახის დამუშავებაში გაცილებით მეტი ფერებია და, რაც მთავარია, მათი შესამებები უფრო კონტრასტულია, უფრო ძველი ფერადოვნულად, მაგ., მიღებებას ანგელოზის სახე<sup>84</sup>.

ცხადია, დღვევანდელი შთაბეჭდილებები მთლიანად და ყოველთვის არ შეესაბამება თავდაპირველს. ახლო-რეკონსტრუქციის შესრულების დროს ნათლად ჩანს, რამდენად უფრო ინტენსიური იყო ფერთა ქდერადობა შუა საუკუნეებში; თვით ძეგლებზეც ხომ არის სრულიად “ქორფად” შემორჩენილი აღგილები, მაგ., იმავე ყინცვისში, აქში, უბისაში და ბევრ სხვა მოხატულობაში, რომლებიც ფერთა ინტენსივობით ერთგვარ “შემაშოთებელ“ შთაბეჭდილებასაც კი ქმნის ჩვენი თანამედროვე თვალისათვის თითქოს მიუღებელი “გაჯერებულობითა და უდერადობით”. მაგრამ მთავარი არის არა ცალკეულ ფერთა რეგისტრი და ელერადობა, არამედ მათი შეხამება და დაკავშირება. სწორედ ამაში ვლინდება ამა თუ იმ კულტურული წრის თუ ეროვნული ფორმათგანცდისა და ფერთამეტყველების თავისებურებები.

<sup>83</sup> A.D.Kartsonis, Anastasis, The Making of Image. New Jersey, 1986, 33. 198.

84 С.Радојчић, Милешева, Београд, 1963, јул. XI.

ამ მხრივ კი ქართული მხატვრობისათვის დამახასიათებელი ნიშანია ფერადოვნულ შეხამბათა თავდაჭერილობა და ჰარმონიულობა, მაშინაც, როცა მაღალი ფერადობის და ინტენსივობის ფერებია გამოყენებული.<sup>85</sup> თ. ვირსალაძე ამ ნიშით გნასხვავებს ქართულ ნიმუშებს ბიზანტიურისაგან:

“Такая строго ограниченная тональность ..... в большей или меньшей степени характерна для всей грузинской монументальной живописи раннего периода, что существенно отличает ее от современного византийского искусства.»; «Современные им византийские мозаики, также следующие различным колористическим традициям, в целом более полихромны. Будь то холодная зеленоватая гамма мозаики Луки Фокидского, или более теплая гамма Дафни – и в тех и в других обильно применены яркие в несколько сил света и тени, иногда данные контрастирующим, т.н. дополнительным тоном, создают большую раздблленность цветового пятна, создают переходную тональность, меняющую основной локальный тон, а вместе с ним и гамму росписи.

В этой манере сказываются переживания «живописной», иллюзионистической традиции позднеантичного искусства эллинистического периода, которую византийское искусство сохранила в более чистом виде»<sup>86</sup>.

მართლაც, თანადროულ ბიზანტიურ მხატვრობასთან შედარებისას ყინცვისში თვალში გვხვდება დიდი, ქრომატულად დაუნაწერებელი ფერადოვანი ლაქქბის ექსპრესიული რიტმი და დიდი ინტერვალებზე აგებული ფერადოვნული რიგები, ფერთა თითქმის თანაბარი გაჯერებულობითა და სინათლით. აյ არ არის კონტრასტული ფერებით დამუშავება; არ არის ტენდენცია ტონალური გაერთიანებისა, როგორც მაგ, იგივე ვლადიმირში, ან ბაჩკოვოში, ან ლაგუდერაში. სტუდენიცაშიც კი მოდელირება და ფერადოვანი ლაქის დანაწევრება მაინც საკმაოდ ძლიერია.

კიდევ ერთი ასპექტი შეუძლია მხატვრობის კოლორიტისა და კაგშირებულია განათებასთან. ფერის აღქმაზე და მოხატულობის კოლორიტულ გამომსახველობაზე უდიდეს გავლენას ახდენს განათება, ბუნებრივი თუ ხელოვნური<sup>87</sup>. ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობის გარჩევისას ა. ვოლსკაია აღწერს, თუ როგორ იძენს გამომსახველობას და როგორ იცვლება ფერები მზის სხვადასხვა განათების დროს.<sup>88</sup>

ტაძრის ინტერიერში შეუძლია მუდამ მოძრაობს, დღისითაც და დამითაც. ეს მოძრაობა თვით მრევლის და სამდვდელოების მოძრაობასთან ერთად, წირვის დროს, ფერის აღქმის და ფერადოვანი შთაბეჭდილების საკმაოდ განსხავავებულ სურათს ქმნის.

ყინცვისის ტაძარში ბუნებრივი განათება ყველაზე ეფექტურია დილას და საღამოს. არა იმდენად შეუძლია ინტენსივობის, არამედ მისი თანაბრობის მხრივ. ამ დროს გამოსახულებები უკეთ ჩანს<sup>89</sup> და, რაც მთავარია, განსაკუთრებით ქლერს ლურჯი და თეთრი<sup>90</sup>. ეს სწორედ ის დროა, როცა ტაძარში უმისწირვის მსახურება მიმდინარეობს. ასე რომ, ერთიანი სივრცითი ხატი სწორედ დილასა და საღამოს დროს იქმნება. შეადგენზე სამხრეთი სარქმლებიდან შემოსული აქტიური შეუძლია.

85 Т.Вирсаладзе, Фрагменты фресковой росписи..., გვ. 195; Т.Вирсаладзе, Фресковая роспись..., გვ. 204; А.Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, გვ. 128.

86 Т.Вирсаладзе, Фресковая роспись..., გვ. 202; Т.Вирсаладзе, «Фрагменты фресковой росписи..., გვ. 194;

87 L.James, Light and Colour, გვ. 8.

88 А.Вольская, Росписи средневековых..., გვ. 113.

89 Н.Н.Волков, Цвет в живописи, გვ. 25; J.Gage, Colour and Culture, გვ. 45.

90 L.James, Light and Colour, გვ. 8.

პირიქით, თითქოს ანაწევრებს და აქუცმაცებს სივრცეს და არათანაბრად ანათებს სხვადასხვა ნაწილს. დღის განათებისას მეტად მოდის წინ წითელი და თბილი ფერები, სადამოს და აისზე კი ლურჯი და ოეთრი ფერები “ქადაგებენ”.

განსაკუთრებით შუქდება გუმბათი – ის პირველი “ნათებები” დილას და ბოლო “ქრება” სადამოს. ამიტომ მწუხრისა და აისის უამს გუმბათი, თეთრი ფონებით და ლურჯ ზეცაზე მოციაგე ოეთრი ჯვრით, განსაკუთრებულად არაამქვეყნიური, არამიწიერი, ზეციური წარმოგვიდგება დანარჩენ, უფრო ჩაბნელებულ და უკვე ჩამქრალ სივრცესთან მიმართებაში.

ფერადოვნება სულიერი საწყისის გადმოცემის უმნიშვნელოვანესი მხატვრული საშუალებაა, რომლის ემოციური ზემოქმედება ძლიერდება ძალიან ძლიერია, ისევე როგორც მისი სიმბოლური გამომსახველობის შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის კედლის მხატვრობა მართლაც რომ სრულიად განუმეორებელი და უნიკალური ნაწარმოებია, რომელშიც “ფერებით ქადაგება” უმაღლესი მჭერმეტყველების დონეზე არის აყვანილი.

## Mariam Didebulidze

### Colour Arrangement of the Early 13<sup>th</sup> C. Murals of the Kintsvisi Church of St. Nicholas

Colour arrangement is among the peculiarities of the medieval Georgian mural painting outlined by T. Virsaladze; more than once had she paid special attention to the colour gamut of Kintsvisi murals, which is quite natural – colour, firstly, the lapis lazuli, defines the impression left from the murals, it is saturated with meaning, at the same time uniting manners of several painters working in the church. Colour gamut of Kintsvisi murals is based on the combination of blue – white – green, with the inclusion of cinnabar and balanced by the tranquil “earthly” ochre – as if in response to the main theological idea – Inseparable Unity of Natures in Christ. Symbolism of the blue – white – green is linked with the Heavenly Jerusalem (as well as gold); they are equal to: emerald, sapphire and pearl. Main melody is led by lapis lazuli, paired with white (Divine “darkness” – Divine light). Abundance of the blue might even leave the impression of monochrome, although, actually, various different colours and tints are used. It should be noted that no such colour balance–tranquillity is seen in the contemporary Byzantine painting (e.g. Lagudera, Cyprus), where greater “leaps”, “parti-coloured” character and density of compositions is discernible – in this respect, Kintsvisi shows fidelity to the Georgian tradition. It should be noted that blue used in modelling is the same lapis lazuli of the backgrounds, while the “ground” is white (in the drum the entire background is white – indicative of the Paradise; only in the dome one can see the blue “sky”). Garments of the Prophets are more “chromatic” – red, orange; Martyrs are mainly clad in greyish vestments). Drum windows bear bright, large-scale ornamentation (due to their better lighting). Certain differences are also seen elsewhere – Ikorta, Timotesubani, etc.

“Backbone” of the theological idea is marked by the white Crosses against the purple background in the summit of the vaults and blue-white Crosses in the dome and drum windows. In the chancel, blue-white is supplemented with the gold (highlights on the vestment of the Child

Christ in the conch and His blue crossed nimbus), green (vestments) and red accents are subjected to them (number of red – colour of the Resurrection, Second Coming and Incarnation – increases upwards and towards the centre). Generally, red “moved” upwards within the entire mural decoration, white “flowed” downwards, while blue was overwhelming, balancing and “spread” horizontally. Besides, red spots “move” upwards not along the verticals, but in curves, which well corresponds to the character of compositions and line (in the south cross-arm, red is more lavishly used, forming horizontals). Noteworthy are orange accents on the east wall of the north cross-arm, contributing to the rightwards motion within the symmetrical compositions – certain “incongruity” of the graphical and colour structure. In the south cross-arm turquoise is used, besides, bluish-green is more in the lateral cross-arms, while white is more in the west cross-arm – this seems to be preconditioned by the different lighting of these parts of the church, as well as work of different painters. Leading colours in Kintsvisi create large chromatic intervals, while their luminosity is the same, thus the impression of serenity (contrary case – Timotesubani murals). Besides, the colours, in general, are not subjected to one another in terms of tints, all are bright and luminous, while their expressiveness is preconditioned by the less articulation of the surfaces (cf. in Vardzia, backgrounds covered all over with flowers and stars). Above discovered directions of the colour sequences contribute to certain dynamism and the eye is as if moving together with the faithful gathered for the service.

Special expressiveness of lapis lazuli in Kintsvisi is preconditioned by the following: its application not on dark ground, but on the plaster impregnated with certain substance; coarse grinding, i.e. crystal glamour not only on the background, but also in modelling, addition of lapis lazuli crystals to each pigment (although, lapis lazuli is of different hues and on pendants less luminous azurite is applied). All these results in the effect of almost dematerialised luminous surface. Blue used in the garments of figures of utmost symbolical significance, expresses their spiritual superiority. Similar is the “message” of blue in Georgian manuscripts, especially in the 12<sup>th</sup> c. Triodion miniatures, which show affinity to Kinstvisi murals in other respects as well. Abundance of lapis lazuli is also a trait distinguishing “royal” art. Pairing of blue and green seems traditional for the Georgian painting; however, such abundance as in Kintsvisi, is definitely unparalleled. Green – the colour of the Holy Ghost and life – balances blue – red, imparts serenity and luminosity. The garments of the famous Angel of Resurrection are blue–green (and not white, as indicated in the Gospel) – it seems likely that symbolically this should be indicative of Heaven, while in terms of artistic rendering, white spot would had been unacceptable here. As for the white “grounds”, this is the symbol of Paradise (as is the case of other contemporary Georgian murals). It is hard to say, how did gold – most straightforward symbol of the New Jerusalem, Eternity, Divine Light – “act” in Kinstvisi; generally, it is quite rarely met with in the Georgian mural painting (only several 13<sup>th</sup> c. murals can be quoted). In Kinstvisi it is not so lavishly used, as, e.g., in the contemporary Serbian murals; gold is seen only in the nimbi, and garments of the Saviour, the Virgin and royal donors, indicating the Sacrifice and Resurrection. On the other hand, this is also in concert with the “cooling” of the gamut – a general trend of the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc. Georgian mural painting – creating associations with the non-terrestrial light. Colour – gold, white, yellow, orange, cinnabar (distinguishing Prophet David in the Harrowing of Hell), blue (Prophet Solomon in the same scene) – nimbi are found in Kintsvisi to a lesser extent than elsewhere. Within quite unified colour gamut of Kintsvisi individual differences of painters are also discernible.

ეკატერინე გედევანიშვილი  
 გ. წუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა  
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

## არგონის ეკლესიის ეკლესიის მოხატულობა

ახმეტის რაიონის სოფელ არგონთან, შემაღლებულ ადგილზე, ფლეთილი ქვით ნაგები მცირე ეკლესია დგას, ყველაწმინდის სახელობისა. ეს პატარა დარბაზული ნაგებობა (მინაშენიანად 5,7/5,7მ.)<sup>1</sup>, მოს ფერდზე ხშირ ტყეში ისეა მიმაღლული, რომ მნახველი ძნელად თუ წარმოიდგენს ამ ადგილზე ეკლესიის არსებობას (სურ. 1). მოულოდნელია ამ მოცრო, პროპორციულად არც თუ გამართულ ეკლესიაში ასეთი მშენებირი მხატვრობის არსებობაც. ცუდი დაცულობის მიუხედავად, მოხატულობა დღესაც გვაოცებს თავისი დახვეწილობითა და შესრულების ოსტატულის მაღალი დონით. ამგვარი გამორჩეულობის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში არგონის ეკლესიის მოხატულობა მხოლოდ ერთხელ იხსენიება – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის” მეორე წიგნში, რომლის მომცრო ანობაცია მას XIII საუკუნის ძეგლად მოიხსენიებს <sup>2</sup>.

დღეისათვის მოხატულობის ნახევარზე მეტი დაღუპულია, შემორჩენილიც ძლიერად დაზიანებული – იმდენად ჩამორჩენილი და გაფერმკრთალებული, რომ ისედაც ცუდად განათებულ ტაძარში შესულს რამდენიმე წუთი თვალის შეჩვევა და იქ არსებული მხატვრობის „დანახვა” სჭირდება.

შედარებით უკეთ საკონქო კომპოზიცია იკითხება – ერთადერთი მონაკვეთი მოხატულობისა, რომელიც ფრაგმენტულობის მიუხედავად, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არგონის მოხატულობის ზედა შრისა და თავდაპირველი ფერადოვნების შესახებ. კონქი „ვედრებას” წარმოგვიდგენს – სარქმლის თაღამდე ჩამოსულ კომპოზიციას, რომელიც აფსიდის ნახევარს მოიცავს<sup>3</sup> (სურ. 2)<sup>4</sup>. აქ ვედრების ლაკონიური იკონოგრაფიული რედაქციაა ასახული: ცენტრში საყდარზე დაბრძანებული დიდი ზომის მაცხოვარი მავიდრებელთა ფიგურებით.<sup>5</sup> მაცხოვარი მანდორლის გარეშეა წარმოდგენილი, რაც განსაკუთრებით XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი<sup>6</sup>. უზურგო საყდარიც ვედრების კომპოზიციაში სწორედ ამ ეპოქისათვის არის ნიშნეული<sup>7</sup>.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2, ახმეტის, დუშეთის, თიანე-თის, ყაზბეგის რაიონები (სძა), თბ., 2004, გვ.56.

2 იქვე, გვ. 56-57.

3 სძა, გვ. 56. ამჟამად საკონქო კომპოზიციის ქვედა ზღვარი ადარ იკითხება, აღარც საკურთხევების მოხატულობის ქვედა დარუსი ჩანს. ქართველ მკელევართა აღწერით საკურთხევები თუ აარესად იყო დაყოფილი, ქვედა ეკლესის მამათა გამოსახულებას ეჭირა, იქვე, გვ.56.

4 მოხატულობის სქემები შესრულებულია გიორგი მალლაპელიძის მიერ, რისთვისაც მას მადლობით მოვიხსენიებ.

5 ვედრების ეს დაკონიური რედაქცია ხშირად გამოისახება მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიებში – მაგ., კალაუბის წმგიორგის ეკლესია, ფავნისი, შიომღვიმის ჯვართამაღლება, ზენობანი, ის. მ.დიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა (XIII ს-ის პირველი ნახევრის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან), დისერტაცია სელოგნებათმცოდნების კანდიდატის სამეცნიერო სარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990, გვ. 25.

6 Е.Привалова, Павниси, Тб., 1977, გვ. 21.

7 იქვე, გვ. 22-23.

ვედრების სცენა პირამიდალური პრინციპითაა აგებული. მეოხთა ფიგურებით ბევრად უფრო მნიშვნელოვნებით გაცხოვრის ფიგურასთან შედარებით ბევრად უფრო მცირე ზომისაა. მასშტაბურ ცვლილებასთან ერთად ისინი უშუალოდ აფხიდის თაღის კიდეებთან გამოისახებიან, რის გამოც, ცენტრში წარმოდგენილი მაცხოვრის ფიგურა კიდევ უფრო დიდად აღიქმება. ამგვარ სხვაობას განსაკუთრებულ სიმძაფრეს მატებს ფიგურათა შარავანდების განლაგებაც - მაცხოვრის შარავანდის კონტური (რომელიც ზომით მავედრებელთა შარავანდებს აღემატება) საკურთხევლის კონქის თაღს ებჯინება, რის შედეგადაც მისი ფიგურა ამ პატარა სივრცეში განცდისეულად კონქიდან გამოდის და ცენტრალური სივრცის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მაცხოვრის ქვემოთ გამოსახულ წინაშემდგომელთ შუამავლობასთან ერთად ვედრების ამ სცენაში უფლის დიდების კონტექსტიც შემთხვევთ. ქართულ შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში ფართოდ გავრცელებული ე.წ. “ვედრება—ხილვის”<sup>8</sup> იკონოგრაფიული რედაქცია, ამ ლაკონიურ სცენაში, თითქოს და მასშტაბურ შეფარდებაშია ასახული. საკონქო კომპოზიციის ამგვარი მასშტაბური აქცენტირება განსაკუთრებით სწორედ XII- XIII საუკუნეების ძეგლებისთვის არის ნიშნეული.

ტაძრის სივრცეში მხატვრობა ვიწრო წითელი არშიით აღნიშნული რეგისტრების მოჩარჩოებით ლაგდება, რომლითაც კედლისა და კამარის სიბრტყე სიმეტრიულ მართკუთხედ მონაკვეთებად იყოფა. ინტერიერის პატარა სივრცეში კომპოზიციები წყვილად – კამარასა და კედლებზე ორ-ორი სცენის განლაგებით თავსდება (სურ. 3).

ქრისტოლოგიური ციკლი სამხრეთ კამარაზე ხარებისა და შობის საუფლო სცენებით იწყება. დასავლეთი კედლის ლოუნებული ამჟამად მირქმის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები ამოიცნობა. სხვა კომპოზიციათა გარჩევა დასავლეთ კედლებზე შეუძლებელია, ათიოდე წლის წინ კი დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ჯოჯოხეთის წარმოტყველის სცენის ამოცნობაც შეიძლებოდა<sup>9</sup>. შედარებით უკეთ დღეისათვის ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა იკითხება, აქ ერთმანეთის გვერდით ნათლისღება და ლაზარეს აღდგინებაა. ქვედა რეგისტრში კი ამაღლების სცენის ანგელოზები და მაცხოვრის ფიგურის მნელად გასარჩევი ფრაგმენტები. მომდევნოდ, სულთომოფენობის სცენას ვხედავთ, რომელიც ოვალურად განლაგებული რამდენიმე შარავანდმოსილი სილუეტით ამოიცნობა. სამხრეთ კედლებზე მეორე რეგისტრის ქვემოთ კედლებს ბათქაშიც კი არ აქვს შერჩენილი. ასევეა დაკარგული ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრების მხატვრობაც. საფიქრებელია, რომ მოხატულობა ტაძრის სივრცეში სამ რეგისტრად იქნებოდა განაწილებული, რადგან მეორე რეგისტრის კომპოზიციები საკმაოდ ზევით არის ატანილი.

არგოხის მხატვრობაშიდიდი ზომის ფიგურებითა და კომპოზიციის ხაზგასმულად საზეიმო ხასიათით სხვათაგან გამორჩეულია ათორმეტი დღესასწაულის პირველი სცენა – ხარება (სურ. 3). საღვთო ისტორიის დასაწყისი ეპიზოდის ამგვარი აქცენტირებით, თითქოს თავიდანვეა განსაზღვრული მოხატულობის პროგრამის იდეური მიმართულება. განკაცების წინასწარუწყების სცენის ამგვარი გამოყოფით (მითუმეტეს ასეთ პატარა სივრცეში!) – მხატვარს თითქოს ხსნისა და განგებულების აღსრულების დასაწყისში „შევყავართ“.

<sup>8</sup> ამ თემასთან დაკავშირებით იხ. T.Velmans, L' image de la Deisis dans les églises de Géorgie et dans celles d'autres régions du monde byzantin. Chaires Archéologiques, 29, 1980-1981. ასევე; მდიდებულიძის დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.

<sup>9</sup> სქა, გვ. 56.

ფიგურათა დახვეწილი მოძრაობებითა და ნატიფი სილუეტებით გამორჩეულ ხარების ამ სცენაში იკონოგრაფიის მხრივ, არაფერია უჩვეულო: მარცხნივ ღმრთისმშობლისკენ ხელგაწვდილი მახარებელი მთავარანგელოზია – მარჯვნივ, საყდარზე დაბრძანებული ღმრთისმშობელი სართვით ხელში. დედაღმრთისა სახით მახარებელი ანგელოზისკენ არის მიბრუნებული, ოდნავ აწევდი მარჯვნია მხარი და განზე გაწეული მარცხენა ხელი მის ფიგურას განსაკუთრებულ ემოციურობასა და მოხდენილობას ანიჭებს. სხეულის ამგვარ „მოძრაობას“ თითქოს შეპირისპირებულია მთავარანგელოზის ფიგურის ერთგვარი სტატიკურობა – ფეხზე მდგომი მთავარანგელოზი ფართოდ გაშლილი მაკურთხეველი მარჯვნითა და სიმეტრიულად განლაგებული ფრთებით. მისი გაწონასწორებული ფიგურა, ხელის გამომსახველი ჟესტი, გარკვეული მონუმენტალიზმი, XII საუკუნის ნიმუშებს მოგვაგონებს. წინა ეპოქის გავლენას ასახავს ანგელოზის სავსე ოვალის მქონე სახის თითქოსდა მძიმე მოვანილობაც.

ხარების სცენის ცენტრში ყურადღებას იპყრობს სვეტი მასზე დახვეული ქერაში ფერის ქსოვილით, რომელიც განკაცების სიმბოლოს გამომსატველ კრეტსაბმელად ცნაურდება<sup>10</sup>. კომპოზიციის ცენტრად აღქმული, ქსოვილის უხვი დრაპირებითაც გამორჩეული ეს იკონოგრაფიული დეტალი, ხარების სცენაში განსაკუთრებულ სიმბოლურ-მხატვრულ მახვილად იქცევა. თუ ხარებისთვის უფლის განხორციელების ეს სიმბოლო ტრადიციულია, რამდენადმე უცნაურია მისი შობის სცენაში გამოჩნა.

არგოხის მოხატულობის შობის კომპოზიცია ვრცელ იკონოგრაფიულ ვერსიას წარმოგვიდგენს - მოგვთა თაყვანისცემას, მწყემსთა ხარებასა და განბანგის სცენას<sup>11</sup> (სურ. 3). პირველი რაც თვალში ხვდება მაყურებელს, ეს ღმრთისმშობლის ხაზგასმულად დიდი ფიგურაა – გვერდითა ფიგურებთან შედარებით ის ერთნახევარჯერ მეტად დიდია. მის ზომასა და მნიშვნელოვნებას დამატებით ხას უსვამს ფონად გამოსახული მდვიმის აღმნიშვნელი ხეიტრალური მწვანე ფონი. ეს უკანასკნელი, ღმრთისმშობლის სილუეტს მეტ მკაფიოებას მატებს და უკეთ წარმოაჩენს მის გამომსახველობას. იმავდროულად, მდვიმის საკმარის დიდი ფერადოვანი ლაქა ამ მცირე ზომის კომპოზიციაში სცენას განსაკუთრებულ სივრცობლიობასა და სიხალვათეს სძენს.

ღმრთისმშობელი მჯდომარეა წარმოდგენილი. შობის სცენაში უფრო ტრადიციული თუმც მწოდიარე დედაღმრთისას გამოსახულებაა, მაგრამ მჯდომარე (უფრო ზუსტად, ნახევრად მწოდიარე) ღმრთისმშობელსაც არაერთი პარალელი ეძებება, განსაკუთრებით პოპულარული ის სწორედ ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებაშია – ეს ვერსია ქართულ მხატვრობაში აღრეულ ეტაპზეც გვხვდება (ატენი, ზემო კრისი), მაგრამ კიდევ უფრო გავრცელებული ის სწორედ რომ XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის ძეგლებშია (კალაუბის წმ. გიორგი, XII ს., ვარძია, XII ს., ტიმოთესუბანი XIII ს., ყინცვის XIII ს და სხვა)<sup>12</sup>.

საინტერესო ისაა, რომ არგოხის ბაგა ღმრთისმშობლის მარჯვნივ კი არ

<sup>10</sup> ქსოვილის სიმბოლური მნიშვნელობისათვის იხ. Sharon Gerstel, Beholding the Sacred Myster-ies, London 1999, გვ.75-77; H.Kessler, Studies in Pictorial Narrative, London 1994, გვ.101-102; ასევე:

უგედევანიშვილი, პირი ღმრთისა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნებაში, დისერტაცია ხელოვნებათმცოდნების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლიდ, თბ. 2003, გვ. 35-36.

<sup>11</sup> დღეისათვის თოსების გამოსახულება აღარ იკითხება.

<sup>12</sup> მ. დიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ეპლესის მოხატულობა.. გვ.34-35.

გამოისახება, არამედ მეორე მხარეს<sup>13</sup> – მოგვთა და ღმრთისმშობლის შუაშიძე წარმოდგენილი. ამგვარი კომპოზიციური შენაცვლება, შესაძლებელია, შობის ამ იკონოგრაფიული რედაქციის კონტექსტის ერთგვარ განმარტებად გავიაზროთ. სავარაუდოდ, შობის კომპოზიციაში მჯდომარედ ასახული ღმრთისმშობელი დაკავშირებულია ადრექტისტიანულ იკონოგრაფიაში მოგვთა თაყვანისცემის ცალკე გამოსახვის ტრადიციასთან, სადაც დედაღმრთისა საყდარზეა დაბრძანებული<sup>14</sup>. ამდენად, შობის კომპოზიციაში მჯდომარე ღმრთისმშობელი ადრექტისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებული ხაზებასმული თაყვანისცემის თემის გავლენად შეიძლება მივიჩნიოთ<sup>15</sup>. მეტადრეარგოხის მაგალითზე, სადაც მაცხოვარი უშუალოდ მარიამსა და მოგვთა შორის თავსდება<sup>16</sup>. აქ ფაქტობრივად, ღმრთის თაყვანისცემაა წინ წამოწეული (მოგვები უფლისკენ არიან მიმართულნი) და, შესაბამისად, ღმრთის დედობის კონტექსტიც.

ღმრთის „მტვირთველის“ ფუნქცია თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი, შობისათვის რამდენადმე უზვეულო იკონოგრაფიულ დეტალში – ღმრთისმშობელს ხელში მეწამული ქსოვილი უპყრია. აქაც საგანგებოდ აღსანიშნავია მარიამის ფიგურის მდებარეობა – სახით და ტანით მოგვებისკენ მიმართულს, ხელები საპირისპირო მხარეს აქვს მიბრუნებული, რაც მის მასშტაბურ ფიგურას განსაკუთრებულ თავისუფლებას და მოხდენილობას მატებს. ფიგურის სივრცეში ასეთი თავისუფალი და მშვიდი განთავსება, ეკატერინე პრივალოვას დაკვირვებით, სწორედ XIII საუკუნის ხელოვნების ახალ ფაზას ახასიათებს<sup>17</sup>.

ამ ხაზგასმულად ცენტრულ კომპოზიციაში – ბაგისკენ მიმართული მოგვები წინ გაწვდილი ხელებით, მაცხოვრისკენ თავდახრილი მარიამი, ღმრთისმშობლის ხელში წარმოდგენილი, ცენტრის საპირისპირო გამოსახული მეწამული ქსოვილი (თანაც შესამჩნევად დიდი ზომისა), განსაკუთრებული მახვილის მნიშვნელობას იძენს. შობის სცენაში ამ დეტალის „დუბლირება“, ბუნებრივია, ხარების დარად, დვოთაებრივი სიტყვის განსახულებას გამოხატავს; სწორედ შობის სცენაში მისი გამოსახვა კი განსაკუთრებულ სიმძაფრეს და „ნატურალურობას“ ანიჭებს ამ სიმბოლოს. აღსანიშნავია მისი ფერიც – მეწამული – ეს ხომ განკაცებისა და განხორციელების ფერია!<sup>18</sup>

13 ეს იკონოგრაფიული რედაქცია საკმაოდ იშვიათია, ის წარმოდგენილია მაგ., კაპადოკიის ქ.წ. ესები გიუმის, მერიამანის გელესიების მოხატულობებში, პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-სტიტუტში დაცული სეინაქსარის (A-648) შობის კომპოზიციაში (X-XI სს.)

14 ამ კავშირზე მითოთებისთვის მინდა მადლობა მოვახსენო ჭ-ნ ა.ვოლსკაიას.

15 ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა გელათის ოთხთავის (Q-908) (XII საუკუნე) შობის სცენა(18v), რომელიც თითქოს უშუალოდ ასახავს ამ მოსახურებას. ღმრთისმშობელი შობის ამ კომპოზიციაში ორჯერად წარმოდგენილი – ერთხელ, ბაგასთან მწოლიარე, მეორეჯერ კი მჯდომარე ჩივილთან ერთად მოგვების წინაშე.

16 შობის კომპოზიციაში მოგვთა გამოსახვის ადგილის შენაცვლებით, მ.დიდებულიძის დაკვირვებით, კომპოზიციის სიმბოლური დატვირთვა იცვლება. მარცხნივ გამოსახული მოგვები მაცხოვართან დედაღმრთისას „გავლით“ მიემართებიან, ამ შემთხვევაში უფრო დედაღმრთისას შეუძინვლური ფუნქციაა ხაზებასმული, მარჯვნივ, უშუალოდ მაცხოვრის გვერდით გამოსახული მოგვთა ფიგურები კი შობის კომპოზიციას განსაკუთრებულ თეოფანიურ კონტექსტს მატებს. ის. მდიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, გვ.40-41. არგოხი, თავისი კომპოზიციური გადაწევებით, ფაქტობრივად, ამ ორი რედაქციისა და სიმბოლური კონტექსტის სინოქზს წარმოგვიდგენს.

17 Е.Прivalova, Pavliscsi, გვ. 135.

18 მეწამულის სიმბოლური მნიშვნელობისადმი მიძღვნილი ბიბლიოგრაფიისთვის იხ. H. Belting, Likness and Presence;, a History of the Image before the Era of Art, Chicago, 1994, გვ. 278-279.

შობის კომპოზიციაში უფლის განკაცების გამომხატველ ამ სიმბოლურ სახეს, როგორც ჩანს, ხანგძლივი ტრადიცია უნდა ჰქონდეს. ის ადრექტისტიანულ ხელოვნებაშივეა დადასტურებული: მაგ., მიღანის კათედრალის საგანძურში დაცულ სპილოს ძვლის რელიეფზე (VI-VIII)<sup>19</sup>; ამ იკონოგრაფიული დეტალის ერთგვარ გამოძახილად შეიძლება მივჩნიოთ მაქსიმიანეს საყდრის (რავენას საეპისკოპოსო მუზეუმი, VI ს.) შობის სცენაში ღმრთისმშობლის ხელში წარმოდგენილი თავისივე მაფორიუმის კალთა. ეს იკონოგრაფიული დეტალი ქართულ შუა საუკუნეების მხატვრობაშიც დასტურდება – თანალის მთავარანგელოზთა უკლესის შობის სცენაში (XIII ს.)<sup>20</sup>, მხოლოდ ამ უკანასკნელში, ტილოს გამოსახულება თეთრი ვერისაა.

ერთსა და იმავე კომპოზიციაში ფიგურათა მასშტაბური ცვალებადობა, რაც არგოხის მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებული სიცხადით შობის კომპოზიციაშია გამოვლენილი. ეს დამახასიათებლად ერთმანეთზე გამოსახულ მოგვთა ფიგურებზე შეინიშნება (სურ. 4), რომლებიც ღმრთისმშობელთან შედარებით ისეა დაპატარავებული, რომ გარკვეულ კონტრასტსაც კი ქმნის. მასშტაბური შეპირისპირების ასეთივე ხერხია გამოყენებული სხვა მრავალფიგურიან კომპოზიციებშიც – ლაზარეს აღდგინებასა და ნათლისდებაში.

მასშტაბურად განსხვავდებულ გამოსახულებათა თანაარსებობა XIII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებშივე ჩანს<sup>21</sup>. თუ ეკატერინე პრივალოვა ტიმოთესუბნის მხატვრობის ანალიზისას საგანგებოდ აღნიშნავს შობის თემაში არსებულ, ნაკლებ შესამჩნევ მასშტაბურ ცვლილებას<sup>22</sup> და ხაზს უსვამს იმას, რომ ტიმოთესუბანში ეს ერთადერთი მასშტაბური შეპირისპირების მაგალითია, საემაოდ ხშირია ის XIII საუკუნის დასაწყისისა და შუა ხანების სხვა ძეგლებში, მაგ., დმანისის სიონის აკლესიაში<sup>23</sup>, ბეთანიაში, კისორევში, ზენობანში<sup>24</sup>.

არგოხის მხატვარი ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, მეტად გამბედავია, რადგან როგორც ითქვა, ხშირ შემთხვევაში, ის კონტრასტული შეპირისპირების ხერხსაც<sup>25</sup> კი მიმართავს. ამა თუ იმ სცენის ასეთ პატარა სასურათე არეზე ამგვარ მასშტაბურ სხვაობათა ჩვენებით მხატვარი თითქოს, კომპოზიციათა სივრცობრიობის იმიტაციას იძლევა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამბაფრებს არგოხის ეკლესიის მომხატველი ოსტატისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მხატვრული ხერხი – კიდეზე გამოსახულ ფიგურებს ჩარჩოს აღმნიშვნელი ვერტიკალური არშიები კვეთს (მაგ., მოგვები, რომლებიც თითქოს ხაზის მიღმა გამოღიან; ნათლისდების მარჯვენა ანგელოზი; ლაზარეს აღდგინების სცენის ფიგურები და სხვა). დამახასიათებელია,

19 Н. Кондаков, Иконография Богоматери, Паломник, 1998, გვ. 194, ილ..110.

20 სვანური მხატვრობის ეს ძეგლი საერთოდ გამოიჩინება იუვიათი იკონოგრაფიული დეტალების სიმრავლით. იხ : Н. Аладашвили, Ростислав церкви Тангил в верхней Сванетии. тბილისის სახ. შამხატვრო აკადემიის სამეცნიერო შრომების ქრებული, თბ., 1983.

21 მ.ბულია, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის „ხარების“ ეკლესიისა მოხატულობა (XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან) ხელოვნებათმცოდნების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1992წ, გვ. 97.

22 Е. Привалова, Тимотесубани, Тб. 1980, გვ. 54.

23 ამ ხატოხთან დაკავშირებით იხ. ქ. მიქელაძე, დმანისის სიონის მოხატულობა. საქართველოს ხიდველები, 7-8, 2005, გვ.251

24 მ.დიდებულიე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ..გვ. 128.

25 ამგვარი კონტრასტი მასშტაბურ შეპირისპირებაში დმანისი სიონის მხატვრობაშიცაა, მხოლოდ ამ უკანასკნელში, ეს ხერხი ქტიორის განსაკუთრებული აქცენტირებისთვის გამოიყენება. იხ. . მიქელაძე, დმანისის სიონის..., გვ.251

რომ ჩარჩოს ხაზი ფიგურებს, მეტწილად ნახევარზე გადაკვეთს, რაც სწორედ ფიგურათა სიღრმიდან გამოსვლის შთაბეჭდილებას იძლევა (ნათლისძების ანგელოზი, ლაზარს ადდგინების მოციქულთა ჯგუფი). ამ ხერხს ისიც აძლიერებს რომ, უმეტესად ასეთი ფიგურები გვერდიგვერდ მყოფ კომპოზიციებშია ასახული. ასე რომ, არგონის მხატვრობის ზოგიერთ კომპოზიციაში ერთი რეგისტრის ხაზიდან ორსავ მხარეს, საპირისპირო მიმართულებით ვითარდება მოძრაობა (ნათლისძება, ლაზარეს ადდგინება).

განსაკუთრებით საყურადღებოა, ლაზარეს ადდგინების სცენის ერთერთი მოციქული, რომელსაც მკვეთრად აქვს თავი მობრუნებული და თითქოს გვერდით კომპოზიციაში იყერება. ეს დეტალი აღნიშნულ სცენას გარკვეულ ემოციურ შეფერილობას აძლევს და თავისი „გამბედაობით“ აშკარად გამოხატავს დეკორატიულ-დინამიკური სტილის განვითარებულ ფაზას.

სტილურ ნიშნად ჩნდება ფიგურათა პროპორციების ცვლილებაც. ამ მხრივ დამახასიათებელია მოგვთა გამოსახულებები – მომცრო ზომის თავებითა და პატარა ტერფებით. ტერფების ასეთი დაპატარავება უწონადობისა და თითქოს ჰაერში „გამოკიდული“ ფიგურების განცდას ბადებს (სურ. 4). ამგვარ პროპორციულ მიმართებას ასახავს ნათლისძების კომპოზიციაში გამოსახული მაცხოვრის ფიგურაც – მისი თავი შესამჩნევად არის დაპატარავებული, ხელებიც დაწვრილებული, ორი პარალელური „უღონო“ ხაზის მეშვეობით გადმოცემული (სურ. 3). ასალ პროპორციულ შეფარდებას გამოხატავს ხარების ღმრთისმშობლის ფიგურაც, მისი დათხელებული და დაგრძელებული პროპორციებით.

ეს პროპორციული ცვლილება ქართულ შუასაუკუნოვან მხატვრობაში XII საუკინის ბოლოდან იჩენს თავს და, მეტ-ნაკლები სხვაობით მთელი XIII საუკუნის განმავლობაშია შესამჩნევი.

ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ არგონის მხატვარი (ან მხატვები), ამ მხრივაც არ არის თანმიმდევრული: თუ ერთგან, მის მიერ შესრულებული ზოგიერთი ფიგურა აშკარად ასახავს ეპოქისათვის დამახასიათებელ პროპორციათა ცვლილებას, მეორეგან, სხვაგვარი მიმართება ჩანს – შობის კომპოზიციის ღმრთისმშობლის ფიგურა პირიქით, მძიმე და მონუმენტურია და, რაც მთავარია, შესამჩნევ წინააღმდეგობაშია მის გვერდით გამოსახულ მოგვთა მცირე ზომის ფიგურებთან (სურ. 4).

მონუმენტურ – პლასტიკური სტილის დეკორატიულ – დინამიკურით შეცვლის პროცესს განსაკუთრებით ნათლად ნათლისძების შედარებით უკეთ შემორჩენილი მაცხოვრის ფიგურა ასახავს. პროპორციულ ცვლილებებთან ერთად ახალი სტილის გავლენა თითქოს თავისებურად მაცხოვრის პოზაშიც წარმოჩინდება (ილ. 3).

როგორც ცნობილია, ნათლისძების სცენაში უფრო ტრადიციულია ნათლისმცემლისკენ მიბრუნებული მაცხოვრის ფიგურა წინ გადადგმული ნაბიჯით (რაც ფიგურას მდგრადობის შთაბეჭდილებას აძლევს), უფრო იშვიათია ფრონტალური მაცხოვრის გამოსახულება (ზენობანი, ე.წ ხარების ეკლესია დავით გარეჯის უდაბნოდან). არგონის ოსტატი მაცხოვარს შეტყუპებული ფეხებით გადმოსცემს ისე, რომ თითქოს ამ ორი რედაქციის სინთეზს წარმოგვიდგენდეს. ამიტომაცაა, რომ მაცხოვარი არც მიბრუნებულია და არც ფრონტალური. ამგვარი მოძრაობა ფიგურისა, პროპორციულ ცვლილებებთან ერთად, კიდევ უფრო აძლიერებს ეპოქისათვის ნიშანდობლივ უწონადობის, არამდგრადობის განცდას.

ასალი სტილის გავლენა ხაზის, კონტურის ხასიათშიც აისახება. ეს ცვლილება, სრულიად ნათლად არგონის მხატვრობასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომ წმ.გრიგორ ღმრთისმეტყველის თხზულებათა XII საუკუნის ხელნაწერში (A-109)

ასახულ ნათლისდების მინიატიურისა და არგონის ამავე სიუჟეტის მომცველი სცენის შედარებისას აშკარავდება. მინიატიურაში წარმოდგენილი მაცხოვრის ფიგურა პლასტიკურია, კონტური უფრო დონიერი, მეტად მოქნილი, თავისი მონუმენტურობით იგი მის თანადროულ კედლის მხატვრობის ნიმუშებთან ავლენს მსგავსებას.

არგონის მხატვრის კონტური მართალია, საკმაოდ მსხვილია, მაგრამ ის უკვე მოკლებულია ხესენებული ნიმუშის ხაზის მოქნილობასა და მუხტს. აქ ხაზი შესამჩნევად დუნეა, თუმცა ფორმის პლასტიკურობის შეგრძნება სრულად როდია დაკარგული – შთაბეჭდილება ისეთია, მაცხოვრის ფიგურა თოთქოსდა თავისთავში ატარებდეს ამ გარდამავალი ეტაპის ფორმათშეგრძენებას – თუ წელსზემოდ ფიგურა თხელი და რამდენადმე არადიფერენცირებულია, წელსქვემოთ, პირიქით, შედარებით მძიმე და პლასტიკურად გამოკვეთილი. ამ მხრივ უურადღებას იქცევს ფეხების ნახატი. იგივე ითქმის შობის ღმრთისმშობელზეც, ამ ფიგურაში ეს მიმართება კიდევ უფრო აშკარაა, რადგან ღმრთისმშობელი მჯდომარედ არის წარმოდგენილი, და ამდენად, წელსქვემოთ მისი სიმბიმე კიდევ უფრო თვალში საცემია. ერთსა და იმავე ფიგურაში ამგვარი პროპორციული „შეუთავსებლობა“ უფრო XIII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი (სამაგალიოთოა ამ მხრივ, ზენობანის ეკლესიის ხარების მთავარანგელოზის ფიგურა)<sup>26</sup>.

XIII საუკუნის ხელოვნებისთვის ზოგადად დამახასიათებელი ზესტრაფულობა თავისებურად კამარის სცენათა განლაგებაშიც, და, შესაბამისად, მთელი დეკორატიული სისტემის წყობაშიც აისახება. კამარას ცენტრში საკმაოდ ვიწრო პორიზონტალური სარტყელი ჰყოფს. უგუმბათო არქიტექტურაში ზეცის აღმნიშვნელი ამგვარი სარტყლის არსებობა ტრადიციულია; ძალზე ხშირია ის, მაგ., გარეჯულ ძეგლებში. ოღონდ, არგონის კამარის სარტყელი სხვათაგან თავისი სივიწროვითა და „ნეიტრალობითაა“ გამორჩეული. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა კალაუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (XII ს.), სადაც ზეციური სარტყელი ლამის კამარის ნახევარს მოიცავს. ასევე აქტიურია ის გარეჯულ ეკლესიათა მოხატულობაშიც.

აქ კი მისი ასეთი სივიწროვე და „უბინარობა“ სცენათა სიმაღლეზე ატანას, დეკორის სისტემის მეშვეობით სივრცის ვიზუალური ზრდის შთაბეჭდილებას განსაზღვრავს (არგონში სარტყელი მხოლოდ გაბმული ორნამენტით არის შევსებული და მოკლებულია ჯვრის ტრადიციულ გამოსახულებას). ისიც ნიშანდობლივია, რომ მოხატულობის პორიზონტალური რეგისტრი კონქის ქუსლის დონეს არის აცდენილი, მის ზემოთ არის ატანილი, რაც თავის მხრივაც, ხელს უწყობს სივრცის „ვერტიკალურობის“ გამძაფრებას.

ახალი ეპოქის სტილის გავლენასთან ერთად ძველი ტრადიციების მდგრადობა, არგონის მხატვრის ერთგვარი გაორება, კომპოზიციათა სტრუქტურაშიც იჩენს თავს. მხატვარი ყოველ სცენას ცენტრულობას ანიჭებს – ამას ემსახურება ცენტრალური ფიგურების მასშტაბური გაზრდა, შესაბამისად კომპოზიციის ცენტრის გამოყოფა, სასურათე სიბრტყის არქიტექტურული და პეზარული ფონის მეშვეობით ორგანიზება. კომპოზიციები „იკეტება“ მთებისა თუ არქიტექტურული ნაგებობების მეშვეობით, ეს უკანასკნელი თითქოს სწორედ კომპოზიციათა ორგანიზების, უმთავრეს აქცენტთა გამოყოფა-ხაზგასმას ემსახურება – მაგ., ეს ასეა ლაზარს აღდგინების სცენაში, სადაც მაცხოვრის ხაზგასმულად დიდ ფიგურას ასევე დიდი ზომის მთის გამოსახულება უქმნის ფონს; შობის სცენაში მდვიმე იქცევა

26 მ.დიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ...გვ. 32.

ღმთისმშობლის ფიგურის აქცენტირების ერთეული საშუალებად და სხვ.

არქიტექტურისა და პეიზაჟური ელემენტების ასეთი „დამხმარე“ ფუნქცია XIII საუკუნის ძეგლთათვის არის დამასასიათებელი. ამ ეპოქის სტილურ მახასიათებლად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ხესნებულ ელემენტთა, თუ შეიძლება ითქვას, „ააუზური“ ხასიათი<sup>27</sup>. არქიტექტურული ნაგებობები მთელს სასურათე სიბრტყეს კი არ ავსებენ, არამედ კომპოზიციათა კიდევბში, სცენათა „ჩამგეტ“ ელემენტებად გამოისახებიან, ან, პირიქით, კომპოზიციის ცენტრში მთავარი ფიგურის შესატყვისად თავსდება.

ეს პრინციპი ფონების გამომსახველობით მნიშვნელობასაც ზრდის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ნათლისძების სცენაა; კიდევ ეს გატანილი, ფაქტობრივად, კუთხებში მოქცეული მთის გამოსახულება კომპოზიციაში იმდენად დიდი ნეიტრალური ფონის არეს ტოვებს, რომ სიცარიელის შთაბეჭდილებასაც კი წარმოქმნის<sup>28</sup>. დამასასიათებელია ამ მხრივ შობის სცენაც (სურ. 4), რომელიც მისთვის განკუთვნილი საკმაოდ მცირე არისა და ვრცელი რედაქციის მიუხედავად არ ტოვებს სივიწროვის შთაბეჭდილებას – მასში გამოსახული მდგიმე თავისი ნეიტრალური ფონით, ფერადოვანი ლაქის ზომით და მნიშვნელობით ამ თავისუფლების განცდას იძლევა. ფონისა და გამოსახულების ასეთი მიმართებით არგონის მხატვარი თითქოს XII საუკუნის ტრადიციებს მიჰყვება. ოღონდ, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ფონის ასეთ მნიშვნელობას ქართული მხატვრობა XIII საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებს<sup>29</sup>.

როგორც ჩანს, წინარე ეპოქის გავლენაა, რიგ შემთხვევაში, პეიზაჟური ფონების შედარებით დიდი მასშტაბით გამოსახვაც. ყურადღებას იქცევს ლაზარეს აღდგინების სცენის მთა, რომლის მასშტაბური გამოსახულება XIII საუკუნის ძეგლთა ფონისა და ფიგურათა მიმართებას გვაგონებს (კალაუნის წმ. გიორგის ეკლესიის მირქმის კომპოზიცია სალხინობლის დიდი გამოსახულებით). XIII საუკუნის ნახევრიდან ეს მიმართება, ფაქტობრივად, იკარგება; დეკორატიული ტენდენციების ზრდას არქიტექტურული და პეიზაჟური ფონების მასშტაბური შემცირება მოაქვს. აქ კი სწორედ XII საუკუნის მონუმენტურობის პრინციპის ერთგვარ „გადმონაშთად“ იკითხება.

ვფიქრობმალზედამასასიათებელიალაზარსადდგინების სცენაში წარმოდგენილი ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტულად შემორჩენილი, ველუმის გამოსახულებაც, რომელიც მარცხენა კუთხებში გამოსახულ შენობაზეა გადმოკიდებული. ის მხოლოდ მოსამზადებელი ნახატის დონეზე იკითხება. როგორც ცნობილია, ველუმის გამოსახულება მხატვრობაში აქტიურად XIII საუკუნიდან წნდება; დასტურდება იგი XIII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებშიც (ტიმოთესუბანი, კისორეთი). ეს იკონოგრაფიული ელემენტი, რომელიც სიმბოლურად ძველისა და ახალი აღთქმის ერთიანობას, უფლის განკაცების სიმბოლურ გამოსახულებას წარმოგვიდგენს, მხატვრულად მეტად ესადაგება ახალი სტილის თავისებურებას; ის, როგორც ცნობილია, დინამიკურ-დეკორატიული სტილის კომპოზიციათა გაერთიანებას, მათში დინამიკური საწყისის ხაზგასმას ემსახურება<sup>30</sup>. არგოხში კი, თუ შეიძლება ითქვას,

27 მ.დიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ... გვ.106

28 ბუნებრივია, ეს სიცარიელის განცდა გარკვეულწილად ამჟამად აღარ არსებული უფლის მარჯვენისა და მტრების გამოსახულებით იყო განედებული.

29 ქმიქელაძე, დავით ნარინის ეგვტერის მოხატულობა. ლიტერატურა და ხელოვნება, 1999, 2, გვ. 119.

30 მ.ბულიძე, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის „ხარების“ ეკლესიის მოხატულობა, გვ. 126.

იგი თავის ბუნებას ეწინააღმდეგება. ველუმი აქ ხომ შენობაზე გადმოკიდებული - კედლის გასწვრივ ჩამოშვებული ტილოს სახით არის წარმოდგენილი; მისი კომპოზიციური როლი ძალზე მინიმალურია რაც, აღბათ, სტილურ ნიშნად შეიძლება მივიჩნოთ. ამ იქონოგრაფიული დეტალის ამგვარი პასიურობა, არგოხის მხატვრობის, ასე ვთქვათ, „გარდამავალ“ ხასიათს მოწმობს.

უკრადღებას იქცევს თვით დეკორატიული სისტემის თავისებურებაც. მხატვრობა, როგორც უკვე ითქვა, წვრილი წითელი რეგისტრების აღმნიშვნელი არშიით მოიფარგლება. დამახასიათებელი აქ ის არის, რომ კომპოზიციების გამყოფი წითელი არშია მთელს კედლებს თანაბარ მართულებად კომპოზიციებად ჰყოფს, უველ შემთხვევაში,ჩვენამდე მოღწეული სცენები ასეთ სიმეტრიულ „გეომეტრიულ“ (კომპოზიციების ფარგლები, როგორც პორტოჩონტალური, ასე ვერტიკალურის მიმართულებით ერთიანია) წყობას ექვმდებარება (სურ. 3). მაშინ როდესაც XIII საუკუნის დასაწყისის, თუმც ჯერ კიდევ მონუმენტური პრინციპების გამომხატველი მხატვრობა (ყინცვისი, ტიმოთესუბანი) ასეთ სიმეტრიულობაზე უარს ამბობს, ახალი დეკორატიული სტილის ნიშნები უწინარესად სწორედ პროგრამის საერთო აგებაში იჩენს თავს (ჭადრაკისებრი განლაგება, თვით სცენათა განსხვავებული ზომები და მასშტაბი, რეგისტრის დონის (კვალებადობა და სხვა).

ამასთან, არგოხის დეკორის აგების სიმეტრიულობა განსაკუთრებით ხვდება მნახველის თვალს. პილასტრების უქონლოობა - ფართო ერთიანი სასურათე სიბრტყე კიდევ უფრო აქტიურს ხდის ამ მოჩარჩოებათა მნიშვნელობას. როგორც ითქვა, არგოხის მხატვრობა გვერდიგვერდ განლაგებულ მინიატურათა შთაბეჭდილებას ახდენს. აյ არ ჩანს დროისათვის დამახასიათებელი ანსამბლის გამოლიანების ტენდენცია <sup>31</sup>. ხარების სცენის ღმრთისმშობლის განზე გაწვდილი ხელის ჟესტიც კი, რომელსაც, თითქოს, გვერდით კომპოზიციაში უნდა „გადავყავდეთ”, სინამდვილეში მოკლებულია ამ მოძრაობის დინამიკას. ჟესტით გამოხატული მიმართულება კოპოზიციის შემომსაზღვრელი არშით არის „ჩაკეტილი”. ამასთან, ის გვერდითი კომპოზიციის მოგოთა გამოსახულებებითაც არის განლებული. თავისთავად, ალბათ, ნიშნეულია ხარების ღმრთისმშობლის მოხდენილი ფიგურის სივრცეში თავისუფლად განთავსება და ამ პოზის „დინამიკის” შენელება რამდენადმე სტატიკური მთავარანგელოზის ფიგურით.

აქ მხატვრობის არა ერთიანად მომცველი, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ ცალკეულ კომპოზიციათა შიგნით განვითარებული დინამიკაა. ამაში, ალბათ, გარკვეული წინაღმდეგობრიობაცაა – მხატვრობის არქიტექტონიკური „კარგასი“, და დინამიკურ – დეკორატიულ კომპოზიციათა წყობა. სწორედ ამიტომაცაა არგონის მოხატულობა ერთმანეთის გვერდით „დალაგებული“, ერთმანეთისაგან სივრცობრივად დამოუკიდებელი მინიატურების შთაბეჯდილებას რომ ბადებს. ამ შთაბეჭდილებით არგონის მხატვრობა ძალზე ახლოს არის ლაშა-გიორგის სახელთან დაკავშირებულ ბოსლევის მხოხატულობასთან, რომელიც, არგონის მსგავსად, სწორედ კედელზე მცირე ზომის მინიატურათა განლაგების უშუალო ასოციაციას იძლევა.

დამახასიათებელია ისიც, რომ არსად (ყოველ შემთხვევაში, შემორჩენილ სცენებში) რეგისტრის აღმნიშვნელი წითელი არშია გამოსახულებით არ არის გადაკვეთილი, პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, ჩარჩო კვეთს, თითქოს “ჩამოჭრის” კიდეებში გამოსახულ ფიგურებს; კომპოზიციათა მიწარჩოებათა საზღვარი ყველან მკაცრად არის დაცული, მოჩარჩოება, თუმცა კი მხოლოდ თხელი არშის სახით

31 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ.დიდებულიძის დასახ. ნაშრ., გვ. 81-82

წარმოდგენილი, ამ მრავალფიგურიან კომპოზიციებს, მართლაც რომ „თავს უჭირის“ და „კეტავს“ მათ. ალბათ, არსად ჩანს ისე არგონის მხატვრის ტრადიციისადმი ერთგულება, როგორც ამ მიმართებაში; ძველი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი „ტექტონიკურობა“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თოთქოს და ამუხრუჭებს ახალი დინამიკურ დეკორატიული სტილის სრულად გამოვლენას. ამგვარი გაორგება მხოლოდ არგონის მხატვრისთვის როდიადამახასიათებელი. კისორეთის მხატვრობაზე მსჯელობისას მარიამ დიდებულიძე აღნიშნავს, რომ ახალი სტილის ნიშნები არა იმდენად ანსამბლის საერთო კომპოზიციურ აგებაში ვლინდება, რამდენადაც იკონგრაფიულ დეტალებში<sup>32</sup>. იქაც ახალი სტილის ნიშნები კომპოზიციის შიგნით ვითარდება. როგორც ჩანს, ეს „ნოვატორობისა“ და, იმავდროულად, ძველ ტრადიციათა დაცვის მცდელობა ზოგადად ეპოქის მახასიათებელ ნიშნად შეიძლება დავასახელოდ. არგონის შემთხვევაში, ვფიქრობ, ეპოქის ეს თავისებურება, განსაკუთრებული ძალითაა გამოვლენილი და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ხელოვნურ ხასიათსაც კი ატარებს. ამ თვალსაზრისით ის თითქოს უფრო XIII საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებთან ავლენს სიახლოვეს. ამ მხრივ საინტერესოდ ჩნდება აჭის მხატვრობა. XIII საუკუნის ბოლოს შესრულებული ეს მოხატულობა, რომელიც უკვე პალეოლითური სტილის აშკარა გავლენას ატარებს, თავისი დაკორატიული სისტემის გადაწყვეტით, პირიქით, ძალზე მაარქაიზებელია. მკაცრად დაცული რეგისტრები, ჩარჩოებად აღქმული კომპოზიციის მომსაზღვრელი არ შეიძინავს მხატვრობას წინარე, კლასიკური ეპოქის ძეგლებთან აკაგშირებს.<sup>33</sup> მაგრამ აჭისგან განსხვავებით, ჩვენი მხატვარი მხოლოდ სისტემის აგებულებაში როდია მაარქაიზებელი, მისი, თუ შეიძლება ითქვას, გაორება თითქოს ყველაფერში ჩანს (კომპოზიციური აგება იქნება ეს თუ ფორმათშეგრძნება).

დეკორის აგების თვალსაზრისით საინტერესოა ასევე გარეჯის „უდაბნოს“ ე.წ ხარების ეკლესიის მხატვრობა, საუფლო სცენათ მოჩარჩოებანი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ისევე ჩამოყრის და გადაკვეთს ფიგურებს როგორც ეს არგონის მხატვრობაშია, მაგ., ლაზარეს აღდგინების სცენის მოციქული, ნათლისძების კომპოზიციის ანგელოზები და სხვ. კომპოზიციათა მომსზღვრელი სვეტები სწორედ ასევე უყრის თავს და კეტავს უდაბნოს სცენებს<sup>34</sup>. მაგრამ თაღოვან მოჩარჩოებაში მოქცეული მასშტაბურად ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული კომპოზიციები, არგონისგან განსხვავებულ სივრცობლიობის განცდას იძლევა – XIII საუკუნის ბოლოს შესრულებული მხატვრობა თავისი სტრუქტურით მოკლებულია არგონის სისტემისთვის დამახასიათებელ სიმეტრიულობას და წონასწორობას. თავისი ბუნებით მაარქაიზებელ ამ მხატვრობაში, „ახალი“ სტილისთვის დამახასიათებელი დინამიკურობა თითქოს სიბრტყეზე „გაფანტულ“ გამოსახულებათა განლაგების პრინციპში, თვით მხატვრული სისტემის დინამიკურობაში ისახება. არგონში კი პირიქით, სწორედ დეკორის აგების თავისებურება აღიქმება ძველი, „კლასიკური“ ტრადიციების გამოძახილად.

დღეს ძალზე რთულია არგონის კოლორიზზე საუბარი – როგორც აღინიშნა, ის ფაქტობრივად, ჩამორცებილი და სრულებით გაფერმკრთალებულია. (ერთადერთი მონაკვეთი რომელიც მეტ- ნაკლებად ინარჩუნებს პირველად ფერადოვან ქლერადობას ვედრების მაცხოვრის ფიგურის ფრაგმენტია). ერთადერთი, რაც დღეს

32 მ.დიდებულიძე, დასახ. ნაშრ., ვ.ვ. 85.

33 აჭის მხატვრობისათვის იხ. დж. იосებიძე, როსტრ აზ, თბ. 1989.

34 თვალში საცემად დარღვეულია ეს „განონზომიერება“ წმ.დემეტრე თავდადებულის გამოსახულებაში, რომლის ხელის მტევნები გადაკვეთს კომპოზიციის მომსაზღვრელ არშიას.

შეიძლება ითქვას ეს სინგურის აქტიური ქლერადობა და სიუხვება (სამოსი, პეზაფრიკულობა) ფონები, დიდ ლაქად აღქმული მოქბის გამოსახულებანი და სხვა). მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩანს, ხასხასა მწვანე ფერიც – მისი ინტენსივობა შობის სცენის მღვიმის გამოსახულებაშიც იკითხება. მწვანე ფერის დიდი „ლაქა“ ხარების სცენაშიც წარმოჩნდება – ღმრთისმშობლის უკან გამოსახული მწვანე ნაგებობა ფონს უქმნის მეწამულ სამოსში წარმოდგენილ ღმრთისმშობელს. „ტაძრის“ ეს გამოსახულება ფერადოვნებით ძალზე ახლოს არის მაგ., ტიმოთესუბნის ჯვარცმის სცენის მწვანე ნაგებობებთან. ის ფერადოვნებით და ინტენსივობით ტიმოთესუბნის მწვანე შარავანდებთანაც ავლენს სიახლოვეს (მაგ., სულიშინიდის მოფენა, გუმბათის ვედრება). მხატვრობის საერთო ფონი, როგორც ჩანს, მოთეთრო – მონაცრისებრო ფერისა იყო. განმსაზღვრელი არგოხის კოლორიტისა მაინც სინგური ფერის ქლერადობა რჩება, თუ გავითვალისწინებოთ იმ დროინდელ ქართულ კედლის მხატვრობაში აშკარად გამოვლენილ კოლორიტის გაცივების ტენდენციას, ჩვენი მოხატულობა, ამ თვალსაზრისითაც, მაარქაიზებლად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულ, არგოხის ეკლესიის კიდევ ერთი ძალზე საინტერესო თავისებურება. ქართული სუროთმოძღვრების ისტორიაში ეწ. გარდამავალი ხანის ეს ეკლესია<sup>35</sup> საცმაოდ ბნელია, როგორც აღვინშე, თავიდან მნახველს დაყოვნება და თვალის შეჩვევა სჭირდება, რათა მოხატულობა გაარჩიოს (საკურთხეველსა და დასავლეთ კედელზე მხოლოდ ერთი სარგმელია, ერთი სარკმელი და ერთადერთი კარია სამხრეთ ფასადზე).

უურადღებას თავიდანვე ის იპყრობს, რომ ტაძარში შესულს საგანგებოდ სწორედ ნათლის დღესასწაულთა გამოსახულებანი ეგებებიან – პირველყოვლისა, ჩრდილო-დასავლეთით ნათლისდების კომპოზიცია, მის გვერდით ლაზარეს აღდგინება, ქვემოთ კი – ქვედა რეგისტრში, ამაღლება და სულთმოფენობა! ვფიქრობ, შესასვლელის პირისპირ, ესოდენ ცუდად განათებულ ტაძარში სწორედ ამ სცენათა განლაგება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ხენებულ კომპოზიციათა სიმბოლურ შინარსს სწორედ რომ ტაძარში არსებული სიბრელე აძლევს განსაკუთრებულ სიმძაფრეს.

ტაძარში შესული უმაღლეს კამარაზე გამოსახულ ნათლისდების კომპოზიციას მიაჟრობს უურადღებას<sup>36</sup>. მლოცველს წმ. სამების “ხორციელითა სახით” განცხადების დღესასწაული<sup>37</sup>, „მეორედ შობის“ თეოფანიური სცენა ეგებება.

ალბათ, არსად ჩანს ამ დღესასწაულის საღვთო ნათელთან კავშირი ისე, როგორც ქართულ ენაში – „ნათლის-ღება“, რამდენადაც ცნობილია, არცერთ ენაში ეს ტიმოლოგია ასე პირდაპირ ნათელს არ უკავშირდება<sup>38</sup>.

ნათლისდების გვერდით, კი ლაზარეს აღდგინებაა წარმოდგენილი – აღდგომის

<sup>35</sup> ”საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“-ში, ეკლესიის ორქიტექტურა VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრება. გვ.56.

<sup>36</sup> ნათლისდების კომპოზიციის კამარაზე განთავსება განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვას იდებს (თანაც, შესასვლელის პირისპირ); უფევდეს იდგარში განცხადების დღესასწაულზე საკითხავ ტექსტში ვკითხელობთ – „დღეს მოხუდ იორდანედ, ნათელი მოიდე იოანესაგან, რამეთუ მოხდრიერ ცანა, კითარცა კამარანი .. „ამ პატარა სივრცეში სწორედ კამარაზე გამოცხადების ეს სცენა ამ სიტყვათა გათვალისწინებით განსაკუთრებულ „ქმედითობას“ იდენს.

<sup>37</sup> წმ.იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიშვნითი გადმოცემა, თბ.2000 , გვ. 238.

<sup>38</sup> ქართულში, თუ შეიძლება ითქვას, თვით სიტყვაა „გაქრისტიანებული“. მაგ., ბერძნულსა და ინგლისურ ენებში ნათლისდების ტერმინი წყალთან არის დაკავშირებული; რუსულში ჯვართან.

წინასწარუწყების საუფლო სცენა, რომელიც თემატურადაც პნელიდან ნათელზე გამოსვლას გვიჩვენებს! აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თანამიმდევრობით საუფლო დეკანისწალთა ისტორიული თხრობაა დარღვეული. ნათლისდების კომპოზიციას, ტრადიციულად ფერისცვალების სცენა მოჰყება. აქ კი ბეთანიის სასწაულია წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს „შეწყვილება“ ნათლისდებისა და ლაზარეს აღდგინებისა სიმბოლურმა კავშირმა მოიტანა – ნათლისდება ხომ ლაზარს აღდგინების მსგავსად, სულიერ აღდგინებას, მკვდრეთით აღდგომას მოასწავებს.

და მაინც, უცნაურია რომ არგოხის მხატვარი ფერისცვალების კომპოზიციის აქ გამოსახვაზე ამბობს უარს. მაგრამ ამ შენაცვლებით ხომ სრულად იცვლება მხატვრობის კონტექსტი - ფერისცვალებაში გაცხადებული დვთაებრივობის ნაცვლად ის უფლის მიერ კაცობრიობის სხის თემას ამახვილებს. ნათლისდების გვერდით გამოსახული ეს კომპოზიცია კი, თუ შეიძლება ითქვას, ხსნის თემას, მართლაც რომ, „ფიზიკურ“ განზომილებას აძლევს (ნათლისდებაში გამოხატული „დაფლა“, „მეორედ შობა“ და ლაზარს აღდგინებაში მკვდრეთით აღდგომის თემა!).

ჩრდილოეთი კედლის მეორე რეგისტრშიც ნათლის ნიშნით განსაკუთრებულად „აღბეჭდილი“ სცენები თავსდება, ჩრდილო-დასავლეთით ამაღლების, აღმოსავლეთით კი სულინტინდის მოფენისა. ეს ორივე სცენა პატროლოგიაში სწორედ რომ ნათლის დღესასწაულთან ასოცირდება.<sup>39</sup>

ნიშანდობლივია, რომ ამაღლება და სულომოფენობა მეორე რეგისტრში, თითქმის ადამიანის თვალის სიმაღლეზე განთავსებულირაც მათ განსაკუთრებულ სიმბოლურ აქტივობას განსაზღვრავს. ეს ორი სცენა ხომ ხაზგასმულად ესქატოლოგიური კონტექსტის მატარებელია (ამაღლება - მეორედ მოსვლის უწყება; სულომოფენობა-კვლავ დვთაებრივი ნათლის გარდამოსვლის, ეკლესიის დაფუძნების, ცეცხლოვანი ენების სახით გარდამოსული სულინტინდის მიერ სამყაროს განახლების სცენა), რაც, ალბათ, კიდევ უფრო ამძაფრებს არგოხის სიბრძე-სინათლის „დრამატიზმს“.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანულ სახით ხელოვნებაში ჩნდება ხარისხობრივად ახალი დამოკიდებულება რეალურსა და გამოსახულ სივრცეს შორის. ამ პერიოდის სახვითი ხელოვნების სტილისტური ცვლილება მრავალმხრივ პანს ბელტინგის სახის კულტის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომშია წარმოდგენილი<sup>40</sup>.

გერმანელი მეცნიერი ამ პრობლემას ხატის ისტორიის კონტექსტში იხილავს და ამ სტილისტური „გარდატეხის“ მთავარ მახასიათებლად ემოციურობისა და ნარატიული საწყისის გაძლიერებას ასახელებს. ანტიკური ხელოვნების გავლენის მომძლავრება ბიზანტიურ ხელოვნებაში სახით ხელოვნებას პოეზიისათვის ჩვეულ „რიტორიკულობას“ მატებს<sup>41</sup> – ხელოვნების ნაწარმოები მნახველში მრავალმხრივ სიმბოლურ ასოციაციებს იწვევს, და თავისი, როგორც ბიზანტიული თანამედროვენი უწოდებენ მას „ახალი“ სტილით, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უშუალობას განსაზღვრავს. და მართლაც, მიქაელ ფსელოსის მიერ „ცოცხალ მხატვრობად“ აღქმულ ამ ხელოვნებას, ემოციურობის გაზრდით მღოცველის ხარისხობრივად ახალი დამოკიდებულება შემოაქვს - მაყურებელი გამოსახულ მოვლენათა უშუალო თანამონაწილე ხდება<sup>42</sup>; ბელტინგის დაკვირვებით, აქ თვით

39 Lis James, Light and Colour in Byzantine Art, Oxford 1996, გვ. 97.

40 H.Belting, Likeness and Presence: a History of the Image Before the Era of Art, Chicago 1994, გვ. 261-296.

41 H.Belting, გვ. 125

42 H.Belting, Likeness and Presence... გვ. 265.

ხელოვნების ნაწარმოების აღქმის პრიოცესიც იცვლება- ის უფრო “დინამიკური” და თუ შეიძლება ითქვას, გრინსმიერი ხდება. აღქმის პრიცესის გართულება, რომელსაც ხელოვნების ნაწარმოების სტრუქტურის ცვლილებაც ეპასუხება - მზერაში, პერსონაჟთა პოზებსა და უესტებში გამოხატული ღრმა ემოციურობა, მოძრაობის დინამიკა, უანრული ელემენტების სიმრავლე, და სხვ. გამოსახულებას “ახალი” “რეალურობის” ელფერით ტვირთავს.

აქედან გამომდინარე, გამოსახულებასა და რეალურ სივრცეს შორის არსებული ზღვარის როლი, რომელსაც ბელტინგი “ესთეტიკური ზღვარის” განსაზღვრებას აძლევს<sup>43</sup>, ამ პერიოდის ზოგიერთ ძეგლში პრაქტიკულად მინიმუმამდევა დაყვანილი – მოაზრებული სივრცე უცხადდება რეალურს და პირიქით<sup>44</sup>. ეს სტილისტური ცვლილება, ვფიქრობ, კიდევ უფრო აშკარად კედლის მხატვრობის ნიმუშებში იკვეთება, სადაც თვით ამ სახვითი ხელოვნების თავისებურებიდან გამომდინარე, ეს მიმართება გაცილებით აქტიურია.

არგოხის პროგრამის თავისებურებაც – ბნელ სივრცეში ნათლის დღესასწაულთა შესავლების პირისპირ განლაგება – ვფიქრობ, ამ ახალი სტილის ერთგვარი გამოხატულება უნდა იყოს; რადგან სწორედ ეს მხატვრული კონტრასტი იძლევა გამოსახულებათა რეალურ სივრცეში „გადმოსვლის“ შთაბეჭდილებას; მეტიც, ეს არა მხოლოდ გამოსახულების სივრცეში გადმოტანაა, არამედ ამ უპანასკნელთა მეშვეობით ტაძრის სივრცის ერთგვარი „გარდასახვაც“. რადგან ტაძარში არსებული სიბნელე, თუ შეიძლება ითქვას, ამ საუფლო სცენათა გამომხატველი სიმბოლური ნათლის საშუალებით „კომპენსირდება“<sup>45</sup> - სივრცე და გამოსახულება, ტაძარში არსებული სიბნელე და კომპოზიციათა სიმბოლური საღვთო ნათელი ერთ მთლიანობად იქცევა. ამ “ანტითეზას”, რომელსაც პანს ბელტინგი „ახალი სტილის“

43 H.Belting, Likness and Presence, გვ. 173.

44 ეს საკითხი განხილულია ა.ოქროპირიძის ნაშრომაში: ბოჭორმის წმ.გიორგის ექლესის მოხატულობა, ხელოვნებათმცოდნების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოიდგენილი დისერტაცია, თბ. 1997, გვ. 67-68.

45 თითქოს სწორედ არგოხის მხატვრობაში ასახულ ნათელ-სიბნელის შეპირისპირების პასუხად დაიწერა ნათლისებრის საკითხავში წარმოიდგენილი სიტყვები – „ქრისტეს გამოჩინებასა ასრდილი კედელთაგან მოაკლდა...“ სიტყვები, რომლებიც არგოხის მოხატულობაზე გაცილებით ადრე დაიწერა შესანიშნავად ასახვს აქ გამოხატულ სიმბოლურ კონტექსტს. უძველესი იადგარი, გვ. 37.

დღეს განსაკუთრებით ხშირია შეუ საუკუნეების ქველთა განხილვისას მათში სულაც არარსებულ ეფექტურ საკითხებზე მსჯელობა. სუბიექტურად განცდილი ხშირად ობიექტურ ჭეშმარიტებად განიცდება. ამდენად, უპრიანი მგონია არგოხის ამ თავისებურების “ობიექტურობა” სხვა ქართული მაგალითებით დავადასტურო. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია წმ. იოანე ღვთისებრებულების ბობნების ეკლესია. ეს მაგალითი მით უფრო საინტერესოა, რომ არქიტექტურაცა და მხატვრობაც თანადროულია- XVII საუკუნისა. როგორც ჩანს, ეს მიმართება -ცუდად განათებული სივრცე და საგანგებოდ შერჩეული გამოსახულებები დაუყვება) თვით დამკავთის, იოსებ თბილების მიერ იყო ჩაფიქრებული. ეკლესიაში არსებული სიბნელე საგმაოდ დიდი ზომის წითელ და ლურჯ ნათებათა გამოსახულებას განსაკუთრებულ სიმბატრეს აძლევს. ეს „კომპენსაციის“ მართლაც რომ ფიზიკური განცდა, ბობნებში კიდევ უფრო მეტად შესაგრძნებია. არგოხისათვის არაპირდაპირ პარალელი, კვიქრობ, შეიძლება სვეტიცხოველის მაცხოვრის საფლავის ასლიც მოვიშველიოთ. სულ მაკვირვებდა მისი ადგილ-მდებარეობა, ის ფაქტობრივად, სანახევროდ ჩრდილშია მოქცეული-თითქოს სიბნელიდან “იუურება”, კვიქრობ, მის განლაგებაშიც იგივე პრინციპია საძიებელი. ეს თავისებურება კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს ადგვომის ტაძრის ასლის სიმბოლურ მნიშვნელობას –ის თვალსილულად ადგვომის, სამყაროს გაბრწყინების ხაზად იქცევა.

მახასიათებლად მიიჩნევს<sup>46</sup>, არგოხის მხატვრობაში სადვოო სივრცის ფიზიური შეგრძების განცდა შემოაქვს. აქვე აღბათ კვლავ ხარების სცენის განსაკუთრებული აქცენტიორების ხერხიც უნდა გავიხსენოთ, მისი ასეთი გამოყოფაც არგოხის პატარა სივრცეში, როგორც ჩანს, ამ ახალი მიმართების ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს – ის, მართლაც რომ მლოცველის უშუალო თანამონაწილეობის, თხრობაში “ჩართვის” შთაბეჭდილებას იძლევა.

და კვლავ, არგოხის მხატვრობის თარიღის შესახებ. ბუნებრივია, მისი ცუდი დაცულობა ძალზე ართულებს თარიღის დაზუსტებას, მით უფრო მისი შექმნის ეპოქას თუ გავითვალისწინებთ. XIII საუკუნე ხომ ძალზე რთული პერიოდია ჩვენი ხელოვნების ისტორიისა. ის ახალი დინამიკურ – დეკორატიული სტილის, ასე ვთქვათ, განვითარების, საბოლოოდ ფორმირების ხანაცაა, და, იმავდროულად, გარედან მოტანილი პალეოლითური სტილის დამკვიდრების ეპოქაც, ის ერთდროულად კონსერვატულიცაა და ხოვატორულიც.

არგოხში პალეოლითური სტილის გავლენა ოდნავადაც არ იჩენს თავს. აშკარა მერყეობა ძველ ტრადიციებსა და ახალ დეკორატიულ-დინამიკურ სტილს შორის, სადაც ჯერ კიდევ საკმაოდ ქმედითია წინარე საუკუნეების ტრადიციები, ამ ძეგლს ახალი მხატვრული ეტაპის „გარდამავალ“ ხანაში მიუჩენს ადგილს; აღბათ, უფრო XIII საუკუნის პირველი ნახევრის ახლო ხანებთან. სტილთან ერთად ამ თარიღს, ძეგლის იკონოგრაფიული ანალიზიც ამჟარებს.

## Catherine Gedevanishvili Murals of Argokhi Church of All Holy Virgin

Single-nave church of the All Holy Virgin is located not far from the village Argokhi (Akhmeta district, historic Kakheti, eastern Georgia). It has preserved severely damaged murals of high artistic value, which are briefly described in the Inventory of Historic and Cultural Monuments of Georgia (v. 2, Tb., 2004, p. 86) and dated to the 13<sup>th</sup> c.

The apse conch bears Deesis (the best preserved part of the murals), represented in a concise version – the Saviour depicted without a mandorla is seated on a throne without the back (both motifs are indicative of the turn of the 12<sup>th</sup> c. to the 13<sup>th</sup> c.). Large dimensions of the central image, as well as small size of the interceding Virgin and St. John the Baptist, and their moving to the edges of the conch, imparts special emphasis on the image of the Saviour, introducing the allusions of Christ in Majesty (again, more characteristic of the turn of the 12<sup>th</sup> c. to the 13<sup>th</sup> c.). Lower register of the apse, with the sequence of the Holy Bishops, is vanished at present. Christological cycle was placed on two upper registers, in the vault and on naos walls: Annunciation and Nativity (south, vault register), Presentation at the Temple (fragmented; west wall lunette; in the past, Harrowing of Hell was also visible on the same wall), Baptism and Raising of Lazarus (north, vault register), Pentecost and Ascension (north, wall register). Lower registers of the lateral walls (three, on each) are vanished. Annunciation is distinguished by its large dimensions and solemnity, although the iconography of the scene is quite usual – The Virgin is shown seated and weaving,

St. Archangel Gabriel is standing motionless (reminiscent of the 12<sup>th</sup> c. images) in front of Her. Nativity is represented in an extended version – with the Magi, Annunciation to the Shepherds, Washing of the Child; the Virgin is half-seated (a motif, characteristic of the late 12<sup>th</sup> c. and early 13<sup>th</sup> c. Georgian murals), accentuated by the large green spot of the cave behind her; it is noteworthy that the Magi are moved to the left of the crib (as if repeating the Early Christian motif), laying special emphasis on the adoration of the Theotokos. At the same time, free position of the Virgin within the centred composition is characteristic of the 13<sup>th</sup> c. (E. Privalova). The Virgin is holding a purple cloth in Her hands – a symbol of Incarnation from the Early Christian epoch onwards (in Tangili murals the same cloth is white). Difference of the figure scale is also found here (similar to Raising of Lazarus and Baptism), which is indicative of the first half of the 13<sup>th</sup> c. This contributes to certain spatial effects of the compositions, as well as crossing of the figures by the vertical frame lines. Noteworthy is the Apostle from the Raising of Lazarus, “looking” into the next scene – a characteristic trait of the developed decorative-dynamic style. Figure proportions are, mainly, elongated, postures (e.g. Christ neither frontal nor turned in the Baptism) and line are somewhat slack; however, proportions, “heavy” for the 12<sup>th</sup> c., can also be found – the Virgin from Nativity, in some cases, the line becomes “more vigorous” – this a “transitional” trait typical of the first half of the 13<sup>th</sup> c. Among the features pointing to the 13<sup>th</sup> c., quoted should be certain verticality, which here is seen in the narrowing of the ornamental band outlining the vault, as well as moving the register line above the level of the springing of the conch. At the same time, the scenes are traditionally centred and secluded within their borders. Accentuation of the figures by the landscape elements also points to the 13<sup>th</sup> c., but, on the other hand, this contributes to the increased significance of the figures, which is rather a 12<sup>th</sup> c. tradition (although, still preserved in some 13<sup>th</sup> c. murals), as well as their large scale (which is no more found in the second half of the 13<sup>th</sup> c.) – “transitional” is also the velum of the Raising of Lazarus – a symbol of Old and New Testaments unity and, usually, unifier of the entire composition, is just passively hung here. Attention should be drawn to the full geometrical order of the compositions – both horizontals and verticals form homogeneous system, which is linked with the period prior to the 13<sup>th</sup> c. Since the naos wall are not articulated with the pilasters, they seem to bear a sequence of miniatures (in this respect, Argokhi murals show affinity to the Boslevi painting, ascribed to the fist quarter of the 13<sup>th</sup> c.), which seem to reflect certain inter-relation of the compositions typical of the 13<sup>th</sup> c.; however, this is rather perceived as a contradiction, since the compositions are marked by certain dynamic “shifts”.

Coexistence of the old and the new is also traceable in other 13<sup>th</sup> c. ensembles, e.g. Kisoreti, but in Argokhi it is discernible with special vigour, which seem likely to be more typical of the second half of the 13<sup>th</sup> c. (cf. archaic system of decoration in Achi murals); in the contemporary murals of Udagno church of Annunciation in David Gareji the figures are also cut by the frame (however, no symmetry and balance can be seen here). As far as the colour gamut is concerned, just abundance of cinnabar and bright green can be stated (abundance of red is also archaising for this epoch).


It is significant that in the dim interior, opposite the entrance the scenes displaying Apparition of the Divine Light (Baptism, Pentecost, Ascension) and transition from the darkness into the light (Raising of Lazarus) are depicted. Being well lit physically, they seem to compensate the dimness – echoing “new icon painting” (Michael Psellos) established in the painting of the East Christendom from the 11<sup>th</sup> c. onwards, which strove for the inter-connection of the viewer and the image (H. Belting).




ବ୍ୟକ୍ତି ।



ବ୍ୟକ୍ତି ।



სურ. 3



სურ. 4

ნანა ბურჯულაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
 შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი

## მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში

შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნების ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ოსტატი მხატვრობის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა. მართალია, ამგვარი მრავალმხრივობა სავალდებულო არ იყო შემოქმედთათვის, მაგრამ, ბევრი მათგანი წარმატებით მუშაობდა როგორც მონუმენტურ, ისე დაზგურსა თუ მინიატურულ ფერწერაში. ნათქვამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ ისეთი საყოველთაოდ განთქმული მხატვრების სახელები როგორებიცაა მიხეილ ასტრაპა და ევტიხი (XIII ს-ის ბოლო XIV ს-ის პირველი მეოთხედი – მაკედონია, ათონი), თეოფანე ბერძენი (XIV ს-ის მეორე ნახევარი – რუსეთი), მიტროპოლიტი იოანე-ზოგრაფი (XV ს. – სერბეთი), ანდრია რუბლიოვი და დანიელ ჩორნი (XV ს. – რუსეთი), დიონისე (XV-XVI სს. – რუსეთი), თეოფანე კრებელი, ანდრია რიცოსი და მისი ვაჟები (XVI ს. – კ. კრებელი და ათონი), და სხვანი, რომელთა ავტორობაც დადასტურებულია ან მათივე წარწერებით საკუთარ ნაწარმოებებზე, ანდა სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებით.<sup>1</sup>

ბუნებრივია, რომ ამ მხრივ არც ქართველი ოსტატები იქნებოდნენ გამონაკლისი. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შორის განსაკუთრებით ნიჭიერნი არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ვიწრო სპეციალობით, და ისევე, როგორც მათი უცხოელი კოლეგები, ღმერთს ადიდებდნენ კედლებზე, დაფებზე თუ წიგნის ფურცლებზე ხორცებს შესხებ მინდა გამოსახულებებით.

სამწუხაოდ, ამგვარი ფაქტების შესახებ ცნობები ქართულ საისტორიო წყაროებში არ არის შემონახული<sup>2</sup> და, ამდენად, აღნიშნული საკითხის გარკვევისას ჩვენ მხოლოდ ხელოვნებათმცოდნებითი ანალიზის იმედად ვრჩებით, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს საქმეს და წინასწარ გვაიფიქრებინებს, რომ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ ვარაუდებსა და დასკვნებს გამოუჩნდებიან ოპონენტებიც. და მაინც, წამოჭრილ საკითხს იმდენად მნიშვნელოვნად ვთვლით, რომ გადავწევიტეთ საჯარო განხილვის საგნად ვაქციოთ ამ მხრივ ჩვენი დაკვირვების შედეგები.

### I. მეცნიერებული მხატვრობის ხატი ზემო სვანეთში

დავიწყებთ ისეთი აღიარებული ოსტატის შემოქმედებით, როგორიც იყო მეფის მხატვარი თევდორე, რომლის სახელიც ზემო სვანეთში მის მიერ მოხატული სამი ეკლესიის ფრესკული წარწერებითაა ცნობილი. ამ მაღალიჭიერი, ორიგინალური ხელწერის მქონე ხელოვანის შემოქმედება კარგა ხნის წინ გახდა მეცნიერთა

1 კიდევ უფრო მრავალმხრივ მოღვაწეობდნენ აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპელი ოსტატები (ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, დონატელო, ბრუნელესკი, დიურერი და ა.შ.), რომელთაგან ზოგს, არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ შეცნიერების სხვადასხვა დარგებშიც ქონდათ მნიშვნელოვანი წარმატებები.

2 საერთოდ, შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნების ანონიმურობიდან გამომდინარე, ქართველ ოსტატთა სახელები ძალზე მცირერიცხოვნადაა შემონახული (იხ. კ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967).

ინტერესის საგანი – მას მიეძღვნა რამდენიმე საგანგებო გამოკვლევა,<sup>3</sup> იგი გაშექდა შეა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ფერწერისადმი მიძღნილ ზოგად კურსებშიც.<sup>4</sup>

თევდორეს შემოქმედება ბევრი რამითაა ღირებული. მას, მის მიერვე შესრულებული ფრესკული წარწერების თანახმად, XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ მესამედში, სვანი აზნაურების დაკვეთით მოუხატავს იფრალის, ლაგურკისა და ნაკიფარის სოფლების ეკლესიები, სადაც საავტორო ფრესკული წარწერებით დაუფიქსირებია კიდეც მათი შესრულების დრო – 1096, 1112, 1130 წლები.

როგორც თევდორეს შემოქმედების მკლევარები ასკგნიან, მის ნაწარმოებებში ნათლად აისახა ყველა ის ძირითადი ტენდენცია, რაც დამახასიათებელი იყო XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის პირველი მესამედის ქართული კედლის მხატვრობის განვითარებისთვის.<sup>5</sup> მისი ხელოვნება დიდად ფასობდა სვანეთში და ადგილობრივი ოსტატებისთვის მისაბაძადაც იყო ქცეული.<sup>6</sup> ამასთან, მხატვრის სტილისა და ინდივიდუალური მანერის ანალიზის საფუძვლზე, მკლევართა ერთი ნაწილის მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ თევდორე წარმომავლობით იყო სვანი და პროფესიული განათლება მიღებული ჰქონდა გელათში.<sup>7</sup> ეს უკანასკნელი მოსაზრება უმყარება იმ ფაქტს, რომ ზემოთ მოტანილი თარიღებიდან გამომდინარე, იგი დავით აღმაშენებლის დროინდელი მოღვაწე გამოდის და ფიქრობენ, რომ სწორედ დავითის მიერ დაარსებულ “ახალ ათინაში”, ანუ გაენათის სავანეში შეეძლო გამხდარიყო მას მეფის მხატვარი.<sup>8</sup> ნავარაუდბია ისიც, რომ თევდორე ეკლესიების გარდა ალბათ სასახლეების კედლებსაც ამკობდა თავისი ხელოვნებით.<sup>9</sup>

და მართლაც, როგორც ირკვევა, თევდორეს 16-18 წლის შუალედებით უმუშავია ზემო სვანეთში; ე.ი. წარმატებით უღვაწია 34 წელი და უდავოდ უცრო მეტიც, ვინაიდან 1096 წლისთვის მას უკვე მინიჭებული ჰქონდა მეფის მხატვრის ტიტული. ცხადია, ამ საპატიო წოდების დამსახურებასაც დასჭირდებოდა გარკვეული პერიოდი, ისე რომ, მხატვრის შემოქმედების ქრონლოგიური დიაპაზონი სულ ცოტა ოთხ ათეულ წელს მაინც ითვლის.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაშიც და ზემოაღნიშნულ შეალედებშიც იგი არ იქნებოდა დაუსაქმებელი. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად მართებულია ზემოთ გამოთქმული ვარაუდი მისი მოგვაწეობის შესახებ საერო მხატვრობის სფეროში. მნელია იმის დაზუსტებით თქმაც, თუ სად, რომელ სამხატვრო კერაში დაეუფლა იგი პროფესიას და სად

3 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Ростислав художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966; მათვე – Живописная школа Сванети, Тб., 1983.

4 ექ. თავაიძვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმშა და სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 208; შ. Я. Амирранашвили, История грузинского искусства, М., 1950, გვ. 186-188; მისვე – История грузинской монументальной живописи, т.1, Тб., 1957, გვ. 134-159; Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 246-247; Т. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи. II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1977.

5 Н. А. Аладашвили, Г.В. Алибегашвили, А.И. Вольская, Живописная школа Сванети... გვ. 98, 100-101.

6 ამას მოწმობს წვირმის მაცხოვრისა და მთავარანგელოზთა ეკლესიების XII ს-ისა და ხელი წმ. ბარბარეს ეკლესიის XIII ს-ის მოხატულობები (იხ. Н. А. Аладашвили, Г.В. Алибегашвили, А.И. Вольская, Живописная школа Сванети... გვ. 102-120).

7 იქვე, გვ. 100

8 იქვე.

9 იქვე.

სრულყო განათლება – გელათში თუ ტაო-კლარჯეთში.<sup>10</sup> ვიმედოვნებოთ, რომ სამართლებრივი კითხვებზე პასუხის გაცემა მომავალში გახდება შესაძლებელი.

რაც შეეხება მის მიერ საეკლესიო მხატვრობის სფეროში შესრულებულ სხვა ნამუშევრებს, ვფიქრობთ, რომ მათგან ერთ-ერთი ზემო სვანეთშია შემონახული და წარმომავლობითაც სვანეთის სამხატვრო სკოლასთანაა დაკავშირებული.

საქმე ეხება ოდიგიტრიის ტიპის ღმრთისმშობლის ერთ ხატს, რომელიც ეპუთვნოდა უშგულის თემის სოფ. უიბიანის ყოვლადწმინდა მარიამის (ლამარიას) ეპლესიას, ამჟამად კი დაცულია სოფ. ჩაქაშში (სურ.1).

ეს ხატი დიდი ხანია რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>11</sup> იგი შეა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით არაერთხელ იყო განხილული, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო კუთხით მასზე უკრადდება დღემდე არ არის გამახვილებული.

თავიდანვე ვიტყვით, რომ უშგულის ხატი (66X52 სმ), ტექნიკური თვალსაზრისით წარმოგვიდგება როგორც საქმაოდ ძვირფასი ნამუშევარი. იგი ტილოდაკრულ, კიდობნიან დაფაზეა ნაწერი, ფონი ფურცლოვანი ოქროთი აქს დაფარული, ჩარჩოს ველები კი მოოქროვილი ვერცხლის მდიდრულად დეკორირებული ფირფიტებითაა შემცული.

ხატს დაზიანებული აქვს როგორც ფერწერული, ისე ლითონის ნაწილები. ძალზე ფრაგმენტულადაა მოღწეული ასომთავრული დამწერლობით შესრულებული დეთისმშობლის ინიციალები. მაგრამ, ამის მიუხედავად, სრულიად გარკვევით ჩანს მისი იკონოგრაფიულ-სტილური ნიშნები და პროგრამული თავისებურებები.

ხატზე ღმრთისმშობელი წელამდევა გამოსახული. მას მარცხენა ხელზე უზის ყრმა იქსო, რომელსაც მაკურთხეველი მარჯვენა განზე აქვს გაწვდილი, მარცხენით კი უპყრია წითელი ზონრით შექრული თეთრი გრაგნილი. იქსოც და ყოვლადწმინდა დედაც ცენტრისკენ 3/4-ით არიან შებრუნებული, ისე, რომ ორივე ერთმანეთისკენაა მიმართული, თუმცა, მათი მზერა არც შემხვედრია და არც მაყურებლისკენაა მიკურობილი – ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს, შორს, თითქოს მიღმურ სივრცეში არიან ფიქრითა და ზრახვით გადასულნი.

მართალიაღმრთისმშობლის დაწეს არ ჩანს სისხლმდენი ჭრილობა, მაგრამ ერთი შეხედვითვე ცხადია, რომ საერთო კომპოზიციითაც და დეტალებითაც (ფიგურების აღნაგობა, ურთიერთმიმართება, სახეთა ნაკვთების წყობა, გამომეტყველება, პოზები, ქესები, კისრის მოყვანილობა), სვანეთში დაცული ეს ხატი უახლოესი ანალოგია ათონის წმინდა მთის ივერთა მონასტრის ღმრთისმშობელ-“პორტატისას” იკონოგრაფიული ტიპისა (სურ. 2-1).<sup>12</sup>

10 თევდორეს შემოქმედების კავშირის შესახებ ტაო-კლარჯეთის სამხატვრო სკოლასთან იხ.: შ. ი. ამირანაშვილი, История грузинской монументальной живописи . . . стр. 157; И. იакобашвили, К вопросу о распространении смешанной техники стенописи в Грузии. Республиканская научная конференция молодых учёных и аспирантов -"Вопросы древней и средневековой истории". Тезисы докладов. Тб., 1986, стр. 52-53.

11 П. С. Уварова, Поездка в Сванети, Материалы по археологии Кавказа, вып. 10, გვ. 167; Г.Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Исследование по истории грузинского средневекового искусства, Тб., 1959, გვ. 547-548, გამ. 47-48; Г.В. Алибегашвили, Памятники средневековой станковой живописи из Верхней Сванетии, Средневековое искусство. Русь, Грузия, М., 1978, გვ. 166; რ. უენია, ვ. სიღოგავა, უშგული, თბ., 1986, გვ. 46-47; ბ. ჭიჭინაძე, კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები (ნაკვეთი მეორე). საქართველოს სიმებელი, № 6, 2005, გვ. 77.

სამწუხაროდ, ხატი დღემდე არ არის გამაგრებული და გაწმენდილი.

12 6. ჭიჭინაძის ვარაუდით, სვანეთ ფერწერულ ხატებზე ოდიგიტრიის ტიპის ღმრთისმშობლის

საინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს და ადარებს ერთმანეთს ქალბატონის გაიანება ალიბეგაშვილი ამ ხატსა და ღმრთისმშობლის სხვა ხატს, რომელიც უშგულში მასთან ერთადვეა დაცული. მკვლევარის ნააზრევის ზუსტად გადმოსაცემად ორიგინალის ენაზე მოვიხმობთ მისი ერთ-ერთი ნაშრომიდან ამონარიდს: “Строгий абрис фигуры Богоматери, не нарушающий лёгким наклоном головы к младенцу, большие миндалевидные глаза, правильные, почти выпрямленные дуги бровей, утончающиеся к наружному краю, низкий лоб, тонкий нос и при этом сочетание в трактовке лица выразительного рисунка с тонкими живописными эффектами выявляют признаки раннего времени. Рисунок глаз, бровей напоминает лучшие образцы греческой живописи XI в., но по сохранившимся фрагментам трудно утверждать принадлежность этой иконы греческим мастерам . . . Характерно, что глаза Богоматери, несмотря на чуть склоненную голову, не устремлены на младенца – признак, который является одним из характерных особенностей стиля, сформировавшегося в греческом искусстве, тяготеющем к отвлечённости.

Интересно рядом с этой иконой рассмотреть хранящуюся в той же церкви другую, писанную на доске икону с аналогичной композицией. Основные иконографические моменты точно повторяют первую икону (лёгкий наклон головы, положение рук). Но **во второй иконе рисунок огрублен, вместе с тем и формы очерчены более сочно, что представляет как бы местную, свансскую интерпретацию той же темы. Сванское происхождение этой иконы подтверждает не только характерный для сванской монументальной живописи сдержаненный колорит, построенный на излюбленном сочетании серого с красновато-коричневым, но и особенность мягкого, чуть упрощенного абриса овала лица, с несколько укороченной нижней частью, рисунок носа, с отяжененным кончиком а также эмоциональная выразительность взгляда, подчёркнутая сросшейся линией бровей. Именно это выразительность особенно сближает данную икону с изображениями в сванской монументальной живописи XI-XII вв.”**(ხაზი ჩვენია – ბ. ბ.).<sup>13</sup>

როგორც ვხედავთ, გ. ალიბეგაშვილი, სტილის მთელი რიგი ნიშნებითა და განსაკუთრებით – ემოციური გამომსახველობით, ჩვენთვის საინტერესო ხატს სვანების სამხატვრო სკოლას აკუთვნებს და ადგილს უჩენს XI-XII საუკუნეების ადგილობრივი კედლის მხატვრობის ძეგლებს შორის.

თავის მხრივ, სვანეთში ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო და სახასიათო მოხატულობები სწორედ თევდორე მხატვრის მიერ არის შესრულებული და იმდროინდელი სვანური სკოლის სტილური თუ იქონოგრაფიული თავისებურებებიც ძირითადად მის სახელთანაა დაკავშირებული. ისე რომ, თავისთავად ეს გარემოება ჩვენთვის საინტერესო ხატის თევდორეს შემოქმედებასთან დაკავშირებისთვის მეარ ნიადაგს გვიქმნის.

ამ ნიადაგზე ის უდიდესი ვიზუალური მსგავსება, რაც ძალზედ ნათლად ჩანს ღმრთისმშობლის აღნიშნულ ხატსა და თევდორეს მიერ შესრულებულ მოხატულობებში წმინდანთა გამოსახულებს შორის გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი მხატვრის ხელითაა შექმნილი.

ეს მსგავსება, პირველ ყოვლისა, გამჭდაგნებულია სახეთა ტიპებში, რომლებიც, მართალია ზოგადად ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ კომნენტითა სტილშია შესრულებული, მაგრამ უდავოდ, მხატვრის მკვეთრად ინდივიდუალური მანერითაცაა გამორჩეული. და, მართლაც, თუ შევადარებოთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, უშგულის ხატის დვთისმშობელს, მეორე მხრივ კი, თევდორეს მიერ იფრალისა და ლაგურების

ხშირი გამეორება ათონის ივერიის სასწაულომოქმედი ხატის გავლენით უნდა ყოფილიყო განპირობებული (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 77).

13 Г. В. Алибегашвили, Памятники средневековой... гვ. 166.

ეპლესიების კედლებზე ნახატი ღმრთისმშობელს “ვედრების” კომპოზიციიდან „ჯოჯონების წარმოტყველისა და წმ. ივლიტას მისი თავის კვეთის სცენიდან (სურ. 2-3,4,5), დავინახავთ აბსოლუტურად იდენტურ სახის ტიპს.

ოსტატურად, ხელის ერთი მოსმით მსუედ შემოხაზული სავსე და ბოლოსკენ წაგრძელებული ოვალი, ოდნავ დამოკლებული ქვედა ნაწილით, “შებერილი” დაწები, მაფორიუმის ნაკეცებს ქვემოდან ძალზე ვიწროდ გამოხენილი შუბლი, გრძელი და „ხორციანი”, მოკაუჭებული ცხვირი შემსხვილებული წვერითა და ნესტოების აწევლი ხაზით, თვალების ფართო ჭრილი, შეჭმუხნული და ბოლოდაშვებული მსხვილი წარბები, ცხვირთან მიახლოებული პატარა, მჭიდროდ მოკუმული ტუჩები, უურისა და კისრის სახასიათო ფორმები უჟღველს ხდის, რომ ისინი ერთი მხატვრის ხელს ეკუთვნის. ამას მოწმობს ისეთი დეტალებიც, როგორიცაა ქუთუთოების ხაზთა შეუკერელი ბოლოები, თვალის უპის აღმნიშვნელი მაღუბლირებელი ნახატი, ცხვირის წვერს „მიბმული“ მოკლე „ჩრდილი“, ხედა ტუჩის აწევლი კუთხები და ქვედა ტუჩის სიახლოვეს გავლებული ნიკაბის მომრგვალებული ხაზი.

ამასთან, სახეებს შორის დიდ მსგავსებას განაპირობებს ისიც, რომ მათზე მწუხარება იშვიათი სიღრმითა აღბეჭდილი. ემოციის ამგვარი გამომსახველობა და სახის არა არისტოკრატიული, არამედ „ხალხურად“ უბრალო, მაგრამ შინაგანი დირსებითა და სიმტკიცით ადსავსე ტიპიც თვევდორეს ინდივიდუალურ სტილისთვისაა დამახასიათებელი, რითაც ეს დიდი მხატვარი განსაკუთრებულად ექსპრესიულ, ძლიერ დამუხტულ, ხაზგასმულად დრამატულ იდეურ-მხატვრულ სახეებს ქმნის.

ნიშანდობლივია, რომ უშგულის ხატზე ქრისტე-ევმანუელის სახეც ადგილობრივ ეთნიკურ ტიპსაა მიმსგავსებული. ამ, ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზული გამომეტყველების მქონე, თხელი აღნაგობის, შებლმაღალი, დიდთვალება, ცხვირკებიანი ყრმის პორტრეტში თითქოს კონკრეტული, სვანი ყმაწვილის გარეგნობაა აღბეჭდილი.

ურთიერთანალოგიურია ხატზე და კედლებზე სახის ფერადოვანი დამუშავების ხერხიც. კველა შემთხვევაში სახის ფუქედ აღებულია ზეთისხილისფერი, რომელზეც ზემოდან დაგანილია მოყვითალო-ოქროსფერი ტონალობის ფართო, თითქმის მთელი ოვალის შემაგვებელი ლაქები. ამგვარ გაღიავებულ, „განათებულ“ ზედაპირზე „ჩრდილის“ აღგილები მსუბუქი ზეთისხილისფერი მონასმებითაა აღნიშნული, ისე, რომ „ჩრდილები“ რბილადაა ჩამდნარი სახეების საერთო ოქროსფერ შეფერილობაში. შუქჩრდილების ფაქიზი მონაცვლეობისგან განსხვავებით, სახეებზე მკვეთრადაა დატანილი თეთრი „ათინათი“. ადვილად გასარჩევი თეთრხაზოვანი მონასმებია შუბლზე – თავსაბურავის გასწრეოვ და წარბებს ზემოთ, ისე, რომ ეს უკანასკნელი ცხვირის ძგიდესთან სახასიათო სამკუთხედს ქმნის. თეთრი ზოლითაა განათებული ცხვირის თხემიცა და წვერიც. თეთრითაა „ამოყვანილი“ ყურების, ნესტოების, ტუჩებისა და ნიკაბის ფორმებიც. თეთრითაა დუბლირებული ქუთუთოებს ზემოთა და ქვემოთ, მოწითალო ფერის მრუდნაზოვანი მონასმებიც. აქვე-ქვედა ქუთუთოსთან, საფეთქლის მხარეს პარალელურადაა გავლებული სამ-სამი მოკლე თეთრი ხაზი.

ნიშანდობლივია, რომ ხატზე და ფრესკებზე გამოსახულებებზე ფორმითაც და დამუშავების მხრივაც ერთნაირია საკმაოდ წვრილი კისერი და მოზრდილი ხელის მტევნები წაგრძელებული და ნატიფი თითებით. ისინი მსგავსია მოყვანილობით, თავებთან პროპორციული შეფარდებით და კომპოზიციური მიმართებით. ისე რომ, ამ მხრივაც უშგულის ხატი თვევდორეს ინდივიდუალურ მანერასთან ზედმიწევნით ზუსტადაა მისადაგებული.

ხატზეც და ფრესკებზეც ნახატი შესრულებულია მტკიცედ და ენერგიულად, გაწაფული ოსტატის ხელით. ცხადია, კონტური, დარგობრივი სპეციფიკიდან

გამომდინარე, ხატზე გაცილებით თხელია და უფრო მსუბუქადაცაა გავლებული. ნაპეცების ნახატი ყველა შემთხვევაში ხშირია და ძირითადად – სწორხაზოვანი; თუმცა მასში შეინიშნება კუთხოვანი მიმართულებებიც. მიუხედავად შიდა ნახატის ხაზების სიხშირისა, ფორმები ნაკლებადაა დანაწევრებული და ხატზეც და კადლებზეც ფიგურებს შენარჩუნებული აქვს მოუმენტური ხასიათი.

თავად ხაზი – გრძელიცა და მოკლეც, სწორიცა და გამრუდებულიც – ხატზე არახევულებრივად მოქნილია და კალიგრაფიული სიზუსტითაბ გატარებული. ყრმა იქსოს სამოსელზე ისინი განსაკუთრებით თხლად და ფაქიზადაა გავლებული.

უშესულის დვინისმშობლის ხატი თევდორეს ხელწერასთან ფერადოვანი გამითაც მჭიდროდაა დაკავშირებული. ისევე როგორც ფრესკების, ხატის კოლორიტიც არაა მრავალფეროვანი. იგი “მკაცრია” და თავშეკავებული. მასში ჰარმონიულადაა შეხამძებული სადა – რუხი და მოყავისფრო-წითელი ფერები. ფერების ტონალობა ისეა შერჩეული და სამოსის ნაკეცების “შუქჩრდილიც” იმგარადაა ნაწერი, რომ არაფერია მკეთრი და თვალშისაცემი, რის შედეგადაც არ იღვევა კოლორიტული გამის მთლიანობის განცდა, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე გამოსახულების ოქროს ფონის მშვიდი, “დამჯდარი” ფერი.

ადსანიშნავია, რომ სისადავის მიუხედავად, ყრმის პიმატიონისთვის და განმსაზღვრელი წარწერებისთვის საკმაოდ ეფექტურადაა ნახმარი სინგური.

საერთოდ, როგორც უკვე ითქვა, ეს, ერთი შეხედვით უბრალო, “პროვინციული” ხატი დიდი სიფაქიზითაა შესრულებული და მდიდრულადაა მოჩარჩოებული. ამასთან, მის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ უფლისა და ღმრთისმშობლის შარავანდებზე მოჩანს ჭედური ორნამენტის მსგავსი ნახატი. იგი შესრულებულია ძალზე ოსტატურად, წვრილი ფუნჯითა და შეიძლება ითქვას, რომ “ჩაწიერი კებით”. ნიშანდობლივია, რომ განვითარებულ შეა საუკუნეებში ფერწერულ ხატებზე შარავანდის ასე მოხატვა არ იყო მიღებული და გავრცელებული ხერხი

(განსხვავებით პოსტიზანტიური ხანის ხატებისგან, რომლებზეც ხშირად გვხვდება ნახატი ან ნაკდევი ორნამენტებით შემკული შარავანდები). ამგვარი დეკორატიული მიღღომით იმ პერიოდში კეთდებოდა მხოლოდ ლითონის შარავანდები. საინტერესოა, მაშ რატომ დასკირდა ხატმწერს, ჩვენი ღრმა რწმენით თევდორე მხატვარს, რომ ფერწერის ტექნიკით მიებაძა ჭედური ან შრამპური ლითონის შარავანდებისთვის? ვფიქრობთ, რომ ამ გზით მან გაიმეორა ათონის ქართველთა მონასტერებში დაცული და უკვე დიდად სახელგანთქმული სიწმინდის – “პორტატისას” სამეცნიეროს.<sup>14</sup>

ივერიის ღმრთისმშობლის ხატის უშესულის ხატთან მსგავსების შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. აქ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ თევდორეს ხატში ღმრთისმშობლის სახეზე უფრო ღრმადაა აღბეჭდილი ურგა-წუხილი, იქსოს სახეში კი უფრო ნათლად ჩანს აღვილობრივი, სკანური ტიპი.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ თევდორეს მიერ კედელზე და დაფაზე ნახატ გამოსახულებებში შეინიშნება განსხვავებებიც, რაც ძირითადად გაპირობებულია

<sup>14</sup> მართალია, ათონის “პორტატისას” ლითონის ამაზინდელი შარავანდები XI-XII საუკუნეების შემდგომ, XIV საუკუნეშია შესრულებული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თევდორე მხატვრის დროისთვისაც წმ. მთის ამ წმინდა ხატზე შარავანდები ორნამენტულად დამუშავებული ქვირფასი ლითონით იქნებოდა დაფარული. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ხატის ორივე შარავანდის ქვეშ ნაწილობრივ მოჩანს უფრო ძველი, ლითონისავე შარავანდების ფრაგმენტები (ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობის შესახებ იხ. Z. Skhirtladze, The Original Cladding of the Portaitissa Icon. Oriens Christianus, Hefte für die Kunde des christlichen Orients, Band 89-2005, Harrassowitz verlag, pp. 148-219).

დარგობრივი სპეციფიკით – სხვადსხვა მასშტაბისა და მასალის სიბრტყეშემზღვიულით. მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს კვლავ დასაწყისში ჩამოთვლილი ბერძენი, მაკედონელი თუ რუსი მხატვრების მიერ ასევე არაერთგვაროვნად შექმნილი მონუმენტური და დაზური ფერწერის ნიმუშები. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობისაა ის გარემოებაც, რომ კედელზე და დაფეხზე ნაწერი წმ. გამოსახულებები სხვაობს, პირველური მხატვრებისა, ფუნქციური თვალსაზრისით. კედლებზე მათი დანიშნულება უფრო საიდუმსტრაციო-თხრობითია და ამდენად მათში მეტია მოქმედებასთან დაკავშირებული მოძრაობა და დრამატიზმი, დაფეხზე შესრულებული ხატები კი სამთხვევად, თაყვანის საცემად და სალოცავადაა გამიზნული და, აქედან გამომდინარე, მათი ახლო მანძილიდან მოსახილველი გამოსახულებებისთვის უფრო მისადაგებულია რეპრეზენტაციულ-წარდგინებითი ხასიათი.

კედლაფერი ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **უშგულის დმრთისმშობლის ხატი მეფის მხატვარ თევდორეს მიერაა შექმნილი**. მით უფრო, რომ ხატი, ტექნიკური და მხატვრული ნიშნებით მართლაც რომ სამეცო დონის და შესაძლოა, რომ თავად მეფისთვის გამიზნული ნაწარმოებიც კი არის. ამას მოწმობს მისი ჩარჩოს გაფორმებაც ჭირფასი ლითონის ფირფიტებით და მასზე წარმოდგენილი წმინდანთა რეპრეზუარიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩარჩო მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებითაა შექვედილი, რომლებზეც ორ რიგადაა დატვიფრული ვაზის ფოთლის ბმული ორნამენტი და მასში სიმეტრიულად ჩართული რვა მედალიონი წმინდანთა წელსხევითა გამოსახულებებით. სტილის მიხედვით მოჭედილობა XI საუკუნეებს ეპუთვნის, შესრულების დონის მხრივ კი იგი ამ პერიოდის ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა შორის იკავებს ადგილს.

ხატისლითონისნაწილზე უდაკუთხებში გამოსახულია ორი მთავარანგელოზი,<sup>15</sup> მათ შორის კი – წმ. გიორგი (ისინიცა და სხვა წმინდანებიც ასომთავრული წარწერებითაა განმარტებული). ვერტიკალური ველების ცენტრში მოთავსებულია წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ დმრთისმეტყველის გამოსახულებები. ქვედა ველზე სამი მოწამეა წარმოდგენილი, რომელთაგან მეორე და მესამეა წმ. თევდორე და წმ. დავითი, პირველი კი აქამდე წმ. კვირიკედ იყო მიჩნეული.<sup>16</sup> ამ გამოსახულებას ახლავს დაქარაგმებული წარწერა “წ-ი კ-ე”, რაც მართლაც შეიძლება რომ კვირიკეს სახელთან იყოს გაიგივებული.

წმ. კვირიკეს გამოსახვა სვანურ ხატზე, რა თქმა უნდა, რომ არ არის გასაკვირი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მის სიმეტრიულად, ხატის ქვედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილია წმ. მოწამე დავითი, უნებლივედ ჩნდება აზრი იმის თაობაზე, რომ აქ გამოესახული უნდა იყოს მისი მეწყვილე, წმ. კონსტანტინე – არგვეთის ერისთავი, რომელიც წმ. დავით ერისთავთან ერთად XI-XII საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში სხვაგანაცაა წარმოდგენილი.<sup>17</sup> ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ წმ. კონსტანტინე არგვეთელი აღსრულა 17 წლის ასაკში, რაც სავსებით შეესაბამება ხატზე არსებული მეომრის გამოსახულებას უწვერული ჭაბუკის სახით.<sup>18</sup>

15 ივერიის ხატის მოჭედილობაზეც – დმრთისმშობლის და ევმანუელის თავებთან – ორი ანგალოზია წარმოდგენილი.

16 გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное ...გვ. 547-548, ტაბ. 47-48; ; რ. ყენია, ვ. სილოგავა, უშ-ბული, თბ., 1986, გვ. 46-47.

17 С.М. Новаковская-Бухман, Произведения древнегрузинской чеканки в собрании Русского музея. Искусство христианского мира, Сборник статей, вып.8, М., 2004, გვ. 47-65.

18 ამგვარ იდენტიფიკაციას ხელს არ უნდა უშლილეს ის, რომ სვანეთში დაცულ ჭედურ ხატე-

და მართლაც, სწორედ დავით აღმაშენებლის ეპოქისთვის უნდა ყოფილიყო განაკვეთობით აქტუალური არაბ დამპურობთა წინააღმდეგ მებრძოლი და ქრისტეს რჯულის ერთგულებისთვის წამებული მთავრების – დავითისა და კონსტანტინეს კულტი, რაც, ჩვენი აზრით, არის კიდეც ასახული თევდორეს ხატის მოჭედილობაში.

ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ ზედა ველზე, მთავარანგელოზთა შორის, მაცხოვრის ან “საყდარი განმზადებულის” ტრადიციული გამოსახულების ნაცვლად წარმოდგენილია წმინდა გიორგი, რომელიც, ზოგადად მეფეთა წინმდღოლადად მიჩნეული, კონკრეტულად კი, დავით მეფის ისტორიკოსის ცნობით, ხილულად მიუძღვოდა წინ მეფეს დიდგორის ომში, რითაც აღსრულდა კიდეც ურჯულოთა ზედა “ძლევად საკირველი”. ნიშანდობლივია ისიც, რომ წმ. გიორგის გასწვრივ, ქვემოთ, გამოსახულია წმ. მეომართაგან გამორჩეულად პატივდებული წმ. თევდორე, რომელიც აქ წარმოგვიდგება როგორც თვით მხატვრის მოსახელე და მფარველი წმინდანი.

ამასთან, ხატის გამოსახულებების რეპერტუარი გვიჩვენებს, რომ ჩარჩოს პროგრამის ლაიტმოტივად შერჩეულია წმ. მეომრების თემა, რაც კარგად მიესადაგება დავით აღმაშენებლის ეპოქას და უშუალოდ მისი, როგორც მხსნელი მეფის, მეომრულ დვაწლს. ამავე დროს, კერტიკალურ ველზე წმ. მღვდელმთავართა გამოსახულებების ჩართვაც სრულიად ლოგიკური ჩანს, თუ გავიხსენებთ იმხნად გატარებულ საეკლესიო რეფორმებს, რითაც დიდმა მეფემ დვაწლი დასდო არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს, არამედ ეკლესიის ისტორიასაც.

ამრიგად, ეკლესიური ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დაგასკვნათ, რომ ზემო სვანეთში, უშესრულის თემში, დაცულია ლმრთისმშობლი-ოდიგიტრიის ხატი, რომელიც მეფის მხატვრის, თევდორეს მიერ უნდა იყოს ნაწერი და რომ ეს დიდი მხატვარი მასზე მუშაობისას აშერად ათონის “პორტატიტისას” ხატით იყო შთაგონებული. მისი შესრულების უაღრესად დახვეწილი მანერა და ძალზე მაღალი პროფესიული დონე გვაფიქრებინებს, რომ ძველი ქართული ხატწერის ეს შესანიშნავი ნიმუში მხატვრის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია შექმნილი.

ამავე დროს, მხატვრული და შინაარსობრივი ნიშან-თავისებურებებიდან გამომდინარე, საგსებით შესაძლებელია, რომ მხატვრის მიერ ეს ხატი თვით დავით აღმაშენებლისთვის ყოფილიყო მიძღვნილი. ასეთ შემთხვევაში ხატის შესრულების დროის ზედა ზღვრად XII საუკუნის პირველი მეოთხედი გამოდის.

ხატის თარიღის ამგვარად დაზუსტების საფუძვლს გვიქმნის იმაზე ფიქრი, რომ მისი შექმნის დროს მეფედ უკვე დემეტრე I-ის ყოფინის შემთხვევაში ეს ფაქტი უფრო და ასახებოდა ჩარჩოზე გამოსახულ წმ. მეომართა რეპერტუარში წმ. დემეტრეს გამოსახულების ჩართვით.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი, საქმაოდ უცნაური გარემოება, კერძოდ ის, რომ თევდორეს მიერ მოხატული ტაძრების ვრცელ საქტიტორო და საავტორო წარწერებში არსად არის ნახსენები მეფის სახელი, რაც, ალბათ, განპირობებული იყო იმ პერიოდში სვანი ფეოდალების საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და კერძოდ დავით მეფისადმი არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით.<sup>19</sup>

ბზე წმ. კვირიკე სშირად წარმოგვიდგება არა როგორც სამი წლის ასაკში მოკლული ბავშვი, არამედ როგორც ლაბადამოსხმული ჭაბუკი, ვინაიდან, ჩვენი აზრით, უშესრულის ხატის მარცხენა ქვედა კუთხეში გამოსახული წმინდა მოწამის ვინაობა მაინც ჩარჩოს იკონოგრაფიული პროგრამის კონტექსტში უნდა იყოს განხილული.

19 ჩვენთვის მისაღებია ი. იაკობაშვილის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ თევდორე მხატვრს, იყ-

## 2. ატენის სიონის მოხატულობა და “ორმოცი მოწამის” ხატი

ჩვენი დაკვირვების მეორე ნაწილი ეხება შეა საუკუნეების ქართული საეკლესიო მხატვრობის ისეთ პირველხარისხოვან ძეგლებს, როგორებიცაა ატენის სიონის მოხატულობა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული “ორმოცი მოწამის” ფერწერული ხატი.

მონუმენტური და დაზური მხატვრობის ეს შესანიშნავი ნიმუშებიც კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში და ზოგადსაკაცობრიო დირექტულების ქმნილებებადაცაა მიჩნეული, თუმცა, ერთმანეთთან კავშირში აქამდე არც ისინი ყოფილა განხილული.

სადღეისოდ ატენის სიონი XI საუკუნის მიწურულითაა დათარიღებული,<sup>20</sup> ხოლო ხატი ორმოცი მოწამის გამოსახულებით – XII საუკუნის პირველი ნახევრით.<sup>21</sup> თავისთავად, ამგვარი ქრონოლოგია არ ეწინააღმდეგება იმ ვთარებას, რომ ისინი ერთი მხატვრის მიერ იყოს შესრულებული.

როგორც ცნობილია, ატენის სიონი უპირველესი და უადრესი ნიმუშია ქართულ საეკლესიო ნაგებობათა შორის, რომლის ინტერიერიც მთლიანადაა მოხატული. ბაგრატიონთა დინასტიური პორტრეტების შემცველი ამ დიდებული ფრესკული მხატვრობის შესაქმნელად გაწეული სამუშაოს მასშტაბი და სარისხი იმგვარია, რომ ცხადია, მასზე ვერ იმუშავებდა მხოლოდ ერთი ოსტატი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია სამხრეთი აფსიდის გამოსახულებების ახლო მანძილზე მოხილვით.<sup>22</sup>

ატენის ფრესკული დეკორი იმითაცაა გამორჩეული, რომ მისი მოხატულობის პროგრამა და სქემა ხასიათდება განსაკუთრებულად დრმა გააზრებითა და

რალის თარინგზედის მოხატულობაში, მიქაელ მთავარანგელოზის წინაშე მუხლმოყრილ ისუ ნავეს გამოსახულებაში შესაძლოა ნაბულისხმები ჰყავდა “წარმართო შემმუსვრებლი” მევე დავითი (იხ. ი. იაკობაშვილი, ისუ ნავეს გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ მეცნის მხატვარი თევდორეს იფრალის მიქაელ მთავარანგელოზის კლების 1096 წლის მოხატულობაში. თუუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2000 წ.– ხელნაწერი; 6. სიმონიშვილი, ნიკოპეას ტიპის დვოისმშობლის გამოსახულებებსა და ქტიორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში, “ხელოვნებათმცოდნეობა”, №5, თუუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2003, გვ. 200).

20 ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი. შ. ამირანაშვილი მას ათარიღებდა X საუკუნით (შ. ა. ამირანაშვილი, История грузинской монументальной живописи, გვ. 77-98), რ. შეგრლინგი – XI საუკუნის ბოლო მეოთხედით (Р. Шмерлинг, К вопросу о датировке Атенской росписи. Сообщения Академии наук Грузинской ССР, т. VIII, № 4, Тб., 1947, გვ. 267-273), თ. ვირსალაძე XI საუკუნის 60-იანი წლებით (იხ. მიხეი-ატენის სიონის მხატვრობის და ქტიორთა პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხისათვის. ქართული ხელოვნება, №10-А, 1991, გვ.103-142), გ. აბრამიშვილი კი – იმავე საუკუნის 90-იანი წლებით (იხ. მიხეი – კიდევ ერთხელ ატენის სიონის მოხატულობისა და ქტიორთა იდენტიფიკაციის საკითხებზე). შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო შრომების კრებული–“ნარკვენები”, გ. V, 1999, გვ.72-88).

21 ხატის შესახებ იხ. გ. ალიბეგაშვილის: ქართული ხატწერის “ახლად აღმოჩენილი” ძეგლი. საბჭოთა ხელოვნება № 2, 1983, გვ.104-111; “Вновь открытый” памятник грузинского иконописного искусства, ქართული ხელოვნება, №9-А, თბ., 1987, გვ. 89-93; ქართული ფერწერული ხატები, კრებულში: თ. საყარაველიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ხატები, თბ., 1994, გვ.134-135.

22 ტაძრის სამხრეთ აფსიდში დღესაც დგას ხარაზ სარესტავრაციო პროცესის მოსამზადებელი წინასწარი კვლევისთვის (რესტავრატორი – მერაბ ბუჩქერი).

ლოგიკური გადაწყვეტით.<sup>23</sup>

ზოგადი კომპოზიციური სქემის მიხედვით, სამხრეთ აფსიდში დასურათებულია ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი, რაშიც ჩართულია ყოვლადწმიდა დედასთან დაკავშირებული ათორმეტ უდიდეს დღესასწაულთა ისეთი სცენები როგორებიცაა “ღმრთისმშობლის ხარება”, “უფლის შობა” და “მიცვალება დედისა ღმრთისათ”.<sup>24</sup>

როგორც ვხედავთ, სამხრეთ მკლავის მოხატულობაში თვით ტაძრის პატრონის, სრულიად საქართველოს მფარველი და მეოხი ღმრთისმშობლის თემაა გაგრცობილი, რაც განსაჯუთორებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოხატულობის ამ ნაწილს. ეს გარემოება იმითაცაა ხაზგასტული, რომ ტაძარს შესასვლელი მხოლოდ ჩრდილოეთ მკლავში აქვს გაჭრილი და შემსვლელს თვალსაწიერში პირველყოვლისა ხვდება ხწორედ ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ციკლი.

ცხადია, რომ მოხატულობის ამ, მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს შეასრულებდა იქ მომუშავე ამქრის ერთ-ერთი წამყვანი ოსტატი, რომელსაც, როგორც ჩანს პეტრე დამხმარე მხატვარიც. ის ვაქტი, რომ ატენის ტაძრის მომხატველთა ჯგუფი რამდენიმე კაცისგან იყო შემდგარი ცხადი ხდება იმით, რომ სამხრეთ მკლავშიც და სხვაგანაც, აშკარად მოჩანს რამდენიმე მხატვრის ხელწერის ინდივიდუალური ნიშები.<sup>24</sup>

სამწუხაროდ, ქრისტიანული ფერწერის ეს უბრწყინვალესი ძეგლი დღემდე არ არის სათანადო სიღრმით გამოკვლეული. თუმცა, ქალბატონმა თინათინ ვირსალაძემ თავის დროზე, მისთვის ჩვეული გამჭრიახობით ივარაუდა, თუ რამდენი მხატვარი იყო დაკავებული ატენში და როგორ იყო განაწილებული სამუშაო მათ შორის.

მისი აზრით, ”ატენის მხატვრობის სტილისტური ერთიანობა არ გამორიცხავს ზოგ-ზოგ, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, სხვაობას ტაძრის ცალკეულ ნაწილთა შესრულებაში, რაც, როგორც ჩანს, განპირობებული უნდა იყოს განსხვავებულ ნიმუშთა გამოყენებით, ამ დიდ მოხატულობაზე მომუშავე ოსტატთა განსხვავებული ხელწერითა და დასასრულ, მოხატულობის ცალკეულ ნაწილთა განახლებით . . . როგორც ჩანს, საკურთხეველში გამოუყენებიათ მონუმენტური ფერწერიდან ნასესხები ნიმუშები, ხოლო სხვა მკლავებში – მინიატიურიდან ნასესხები. . . უკველია, რომ ატენის სიონის მოხატვაზე მუშაობდა ოსტატთა მთელი ამქარი, მთავარი მხატვრის წინამდგომობით. . . ორ ოსტატს უმუშავია საკურთხევლის აფსიდზე. . . პირველს, რომელიც დარწმუნებული, მოქნილი მანერით მუშაობდა, შეუსრულებია მხატვრობის მთელი ზედა ნაწილი სარკმელთა დონემდე. ვინაიდან მისივე ხელითაა შესრულებული ქტიტორთა პორტრეტებიც, ე.ო. მოხატულობის ყველაზე მეტად პასუხსაგები ნაწილები, საფიქრალია, რომ მთავარი მხატვარიც ის იქნებოდა. მეორე მხატვარს, რომელიც ეკლესიის მამათა მწკრივი დაუხატავს, რამდენადმე უფრო მშრალი და სქემატური მანერა ჰქონია. მესამეს არანაკლებ ნიშიერ მხატვარს შეუსრულებია სამხრეთი აფსიდის მოხატულობა. მისი ნახატი გამოირჩევა განსაკუთრებული ბალითა და გამომსახველობით, ხოლო ფერი – სიწმინდით (ხაზი ჩვენია – ნ.პ.). მსგავსი მანერით უმუშავია ჩრდილოეთ აფსიდის მომხატველ ოსტატსაც, მაგრამ მისი ნახატი ნაკლებ გამომსახველია და ფერებიც უფრო მშრალი. უფრო მნელია დასავლეთ აფსიდის მომხატველი მეხუთე მხატვრის მანერის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან ეს მხატვრობა საფუძვლიანად, თუმცა კი

23 Т.Вирсаладзе, Некоторые вопросы общей композиции росписи Атенского Сиона. Средневековое искусство, Русь, Грузия, М.,1978, გვ.86-91.

24 ნათქვამის საილაუსტრაციოდ იხ. თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984, ტაბულები.

ერთობ თსტატურად განუახლებიათ XIII საუკუნის დასასრულს. . .”<sup>25</sup>

თ. ვირსალაძის ნაშრომიდან ამ ამონარიდში ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი სამსრეო მქონევის მოხატულობასთან დაკავშირებულ ნაწილს, ვინაიდან სწორედ იქ მომუშავე ნიჭიერი მხატვრის მანერა შეიქნა ჩვენი ყურადღების საგანიც.

განსაკუთრებული ძალისა და გამომსახველობის მქონე ნახატი და წმინდა ფერები – აი, ის ძირითადი ნიშნები, რითაც პატივცემული მეცნიერი გამორჩეულად მაღალ შეფასებას აძლევს მოხატულობის ამ ნაწილს. და მართლაც, რომ არაფერი ვთქვათ “უფლის შობის” არავეულებრივად მწყობრ კომპოზიციაზე, რომლის თითოეული ფიგურა თუ დეტალი ნახატითაც და ფერითაც სწორედ რომ საეკლესიო ხელოვნებისთვის განსაკუთრებულად ფასეულ, არაამქვეყნიური, დვოაებრივი სისადავის, სიმშვიდისა და სიღიადის შთაბეჭდილებას ქმნის, საკმარისია თვალი გადავავლოთ თუნდაც სხვადასხვა სცენებიდან ამოკრებილ რამდენიმე პორტრეტს, რათა ცხადი გახდეს მათი ავტორის პროფესიონალიზმი და დმრთივმიმადლებული უნარი ჰქეშმარიტად განბრძნობილი და განსულიერებული სახეების შექმნის.

ზემოთქმულს თვალსაჩინოს ხდის ისეთი პორტრეტები, როგორებიცაა მაგალითად მდვდელმთავარი “დმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებაში”, იოსები “იოსების სიზმარში”, მდვდელმთავარი “დმრთისმშობლის მიძინებაში” და ერთ-ერთი მართალი დასავლეთ აფხიდში განთავსებულ “დღე განკითხვაში” (სურ. 3–1,2,3,4). ამ პორტრეტებში ურთიერთმსგავსია სახის ტიპი, დამუშავების მანერა და დრამატული ხასიათი, რასაც, ეპოქის სტილის საერთო ნიშნებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ანალოგები ეძებნება ამავე პერიოდის სხვა მოხატულობებშიც, მაგრამ არა ისეთი ზედმიწევნითი სიახლოებით, როგორიცაა აღნიშნულ პორტრეტებსა და “ორმოცი მოწამის” ხატის წმინდანთა გამოსახულებებს შორის (სურ. 4).

ორმოცი “მოწამის ხატი”, ისევე, როგორც ზემოთ განხილული მეფის მხატვარ თევდორეს ხატი, ტილოდაკირულ დაფაზეა ნაწერი. იგი შესრულებულია ძვირფასი მინერალური საღებავებით – ლაჟვარდით, სინგურით, გლაუკონიტით. ნალურსმალის მიხედვით ცხადია, რომ თავის დროზე მისი ჩარჩოც მოჭედილი იყო ძვირფასი ლითონით. ისე, რომ ეს, იშვიათი იკონოგრაფიული სქემით გამორჩეული, უმშვენიერესი ხატი უდავოდ უმაღალესი რანგის ქმნილება არის. უეჭველია ისიც, რომ მისი დამკვეთი უნდა ყოფილიყო საერთო ან სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი პირი და ხატი, ნიკოფისიდან დარუბანდამდე განვრცობილი საქართველოს ერთ-ერთ დიდ ტაძარში იქნებოდა დაბრძანებული.

ხატის პირველი შემსწავლელის, გაიანე ალიბეგაშვილის ერთ ნაშრომში მის ამგარ შეფასებას ვხვდებით – “სვანეთის ხატზე მოწამეთა განსულიერებული სახეების კეთილშობილი ტიპი ახლოსაა გელათის მთავარი ტაძრის ნართექსის მოხატულობასთან და ზატიკის (A-734) მინიატურებთან, რომელებიც თარიღდება XII საუკუნის პირველი ნახევარით. ჩვენს ხატს ამ ძეგლებთან განსაკუთრებით აახლოვებს წონასწორობის “გრძნობა”, რომელიც სახეების გამომეტყველების, პოზებისა და ჟესტების გარეგნულად თავშეკავებულ და მასთან ერთად შინაგანად მეტად ემოციურ ხასიათში აისახება. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა ორმოცი მოწამის ხატი მივაკუთვნოთ XII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლთა იმ რიცხვს, რომელიც თავისი წარმოშობით საქართველოს ცენტრალური რაიონების სახელოსნოებთან უნდა იყოს დაკავშირებული”.<sup>26</sup>

გ. ალიბეგაშვილის მართებული დასკვნით “ხატზე შენარჩუნებულია უფრო ადრეული ძეგლებისთვის (ატენის მოხატულობა) დამახასიათებელი ფორმათა

25 იქვე, გვ. 11-12.

26 გ. ალიბეგაშვილი, ქართული ფერწერული ხატები, გვ. 135.

“წონადობა” და ნახატის ენერგიული ხასიათი, ამასთან, აისახება იმ ახალი მიღებულის “წინათვრძნობა”, რომელიც კულმინაციას აღწევს მოგვიანო ხანაში, XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში – როდესაც დენადი ნახატის დინამიკაში პლასტიკური და დეკორაციული გამომსახველობა ერთმანეთს ერთნაირი ძალით შეერწყმის”.<sup>27</sup>

როგორც ვხედავთ, პატივცემული მკვლევარი, ხატს ათარიღებს ატენის მოხატულობასთან შედარებით გვიანი პერიოდით, მაგრამ გვერდს ვერ უვლის იმ ფაქტს, რომ იგი ძალზე ახლოს დგას ატენის მხატვრობასთან სტილის თვალსაზრისით.

ე. ი. ხატის უახლოეს პარალელებად მკვლევარს მიაჩნია ატენის, გელათისა და ზატიკის მოხატულობები. ნათქვამს უნდა დავამატოთ, რომ ჩვენი აზრით, დასახელებული ძეგლებიდან, “ორმოცი მოწამის” ხატს ყველაზე ახლო ანალოგები ემქნება მაიც ატენის მხატვრობაში. ამის საბუთია ერთი მხრივ, ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული ატენის ფრესკული პორტრეტები და მეორე მხრივ, გელათისა და ზატიკის გამოსახულებები,<sup>28</sup> თუმცა გელათის სახეებს შორისაც გვხვდება მოწამებოთან ძალზე მსგავსი პორტრეტები.<sup>29</sup> ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ო. ვირსალაძე გელათის დასავლეთ ნარტექსის მხატვრობას საეკლესიო კრებების გამოსახულებით ქრონოლოგიის მიხედვით ათავსებდა სწორედ ატენისა და ყინწვისის ფრესკულ მოხატულობათა შორის.<sup>30</sup>

ატენში და იფხის ხატზე ნაწერი წმინდანების პორტრეტების შედარებისას ჩანს, რომ ისინი იდენტურია სახეთა მოყვანილობით, ნაკვების ფორმებითა და წყობით, თმის ვარცხნილობითა და ფერადოვანი დამუშავების მანერით. საგულისხმოა ამ მხრივ სახის წაგრძელებული და არასწორი ოვალი, ერთიდაიგივე სიმაღლის შუბლი, წარების ერთნაირი მოხაზულობა, თვალების, ცხვირის, ტუნებისა და ყურების ფორმების იდენტურობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ წმინდანებს ხატზე და კედლებზე თითქმის ერთნაირად სერიოზული და ოდნავ მჭმუნვარე გამომეტყველება აქვთ. თუმცა, სიუჟეტის მიხედვით ორმოცი წამებულის სახეთა გამომეტყველება უფრო ემოციურია.

ის, რომ “ორმოცი მოწამის ხატზე ხაზი გაცილებით მოქნილია და პლასტიკური, სახეები და სხეულებიც უფრო მოცულობითა და უფრო გულდასმითაა დამუშავებული, და რომ მთლიანად წერის მანერა ბევრად უფრო დახვეწილია და შეიძლება ითქვას, რომ ვირტუოზულიც, უნდა აიხსნას იმით, რომ ისევე, როგორც თევზორეს შემოქმედების შემთხვევაში, აქაც სხვაობა განპირობებული უნდა იყოს კედელზე და ხის დაფაზე მუშაობის სკეციფიკით და იმითაც, რომ ეს გამოსახულებები განსხვავებული მანილიდან უნდა ყოფილიყო აღქმული – ფრესკა უფრო ზოგადი ზემოქმედებისთვის, ხატი კი მიახლებით სალოცად და თაყვანის საცემად იყო გათვალისწინებული.

ვფიქრობთ, მის შედეგია ხატის ქვედა ნაწილში ქსოვილების დამუშავების უფრო აქტიური და გულდასმითი ხასიათიც. აქ ძალზე ეფექტურადაა “გათამაშებული” თეორათი აელვარებული ლაუგარდისა და სინგურის ლაქები. უნდა გავითვალისწინოთ

27 იქვე.

28 შესადარებლად იხ.: ო. ვირსალაძე, გელათი, თბ., 1982, ილ. 56, 57 და გ. ვ. ალიბეგავილი, ხудожественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI – нач. XIII вв., Тб., 1973, ილ. 36-41.

29 იხ. ო. ვირსალაძე, გელათი, 56-ე ილუსტრაციაზე მარცხნივ წარმოდგენილი ორი მდვდელმთავარი.

30 იქვე, გვ. 13.

ისიც, რომ ხატის ზედა ნაწილში ლაუგარდისფერი მოსასხამით წარმოდგენილი მატურთხეველი მაცხოვრის ხახევარფიგურა სინგურით დაფერილ ხახევარწრეუშია ჩაწერილი და ოქროს ფონზეა მოთავსებული, სადაც ორ რიგად იყო ჩამწკრივებული ოქროს მცირე ზომის ორმოცი გვირგვინიც. ამგვარი ფერადოვანი გადაწყვეტა აშენად მაჟორულ უღერადობას სძენს ხატს და დღესასწაულად წარმოგვიღგნს თრმოცი სებასტიელი მეომრის ტრაგიკულ თავგადასავალს – მათ თავგანწირვას ქრისტეს რჯულის ერთგულებისთვის.

აქვე იმასაც დავსძენო, რომ ჩვენთვის ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ატენის მოხატულობისა და “ორმოცი მოწამის” ხატის ერთი მხატვრის მიერ შესრულების შესაძლებლობის შესახებ იგივე აზრისაა ბატონი მერაბ ბუჩქურიც, რომელიც მონაწილეობდა ორივე ძეგლის წინასარესტავრაციო პლანევასა და რესტავრაციის პროცესებში.

რაც შეეხება, თავის მხრივ, ამ ძეგლების მსგავსებას გელათის XII საუკუნის მოხატულობასთან, ამასთან დაბავშირებით ჩნდება კითხვა – ვინაიდან ატენიცა და გელათიც წმ. მეფე დავით აღმაშენებლის დროსაა მოხატული, განა არ შეიძლებოდა, რომ “ატენელ ოსტატ(ებ)ს” ემუშავა(თ) გელათშიც?

ცხადია, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ორივე ძეგლის მიზანდასახული კვლევა, რაც იმედია, რომ მომავალში გახდება შესაძლებელი.

### 3. ანანურის ტაძრის მოხატულობა და ხაპატრიარქოს კუთვნილი წმ. სვიმეონ მესვეტის ხატი

როგორც ცნობილია, 2002 წელს, ქართველმა რესტავრატორებმა, მერაბ ბუჩქურის ხელმძღვანელობით, კირსნარის შელესილობისგან გაწმინდეს ანანურის ღმრთისმშობლის ტაძრის კედლები და ბურჯები, რის შედეგადაც მათზე გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების მხატვრობის ძალზე საინტერესო ნიმუშები.<sup>31</sup>

იქამდე მხატვრობა მოჩანდა კვლების სამხრეთ მკლავში – სარკმლის ქვემოთ და გუმბათქვეშა ბურჯების აღმოსავლეთ წახნაგებზე. სამხრეთ მკლავში წარმოდგენილი იყო “დღე განკითხვის” სცენა, ხოლო სამხრეთ ბურჯზე ორ რიგად განაწილებული წმ. მოწამეების (ევლრაფონი, ერმოგინე, ტვირიფონი, ნიკიფორე) და წმ. მეომრების (არქემი, პორკოფი, ნიკიტა, მინა) გამოსახულებები.

რესტავრაციის დროს ჩრდილოეთ მკლავში აღმოჩნდა კომპოზიცია აღმოსავლეთი მიმართულებით გაჭენებული სამი მხედრის (წმ. გიორგი, წმ. თევდორე, წმ. დიმიტრი) გამოსახულებით.

ანანურის მოხატულობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩრდილოეთ ბურჯზე წარმოდგენილი თორმეტი ასურელი მამის პორტრეტები (სურ. 5-2, 3, 4). მათი ხახევარფიგურები იქ აღმოსავლეთის მხრის თოხ წახნაგზე სამ-სამ რიგადად განაწილებული. წმ. იოანე ზედაზნელთან ერთად ბურჯზე გამოსახული არიან: წმ. ისიდორე სამთავნელი, წმ. იოსებ ალავერდელი, წმ. პიროს ბრეთელი, წმ. დავით გარეჯელი, წმ. ზენონ იყალთოელი, წმ. ისე წილკნელი, წმ. თათე მამებელი, წმ. ანგონ მარტყოფელი, წმ. სტეფანე ხირსელი, წმ. მიქაელ ულუმბორელი და წმ. შიო მღვიმელი. ყველა მათგანს ახლავს მხედრული დამწერლობით შესრულებული განმსაზღვრული წარწერები. წარწერებიცა და წმ. მამათა პორტრეტებიც მეტ-ნაკლები დაზიანებითაა მოღწეული. ზოგი მათგანი დამაკმაყოფილებლადაა დაცული, ზოგისგან კი მხოლოდ

31 დ. გაგოშიძე, მ. ბუჩქური, ანანურის ღმრთისმშობლის გელესის მოხატულობის კონსერვაცია, საქართველოს სიმველენი, №2, 2002, გვ. 152-155.

მცირე ნაშთია დარჩენილი.

რესტავრატორების ცნობით: “თორმეტივე წმ. მამას მსგავსი სქემ-მონაზონის სამოსი აცვია. ყოველ მათგანს მოსავს წითელი ფერის კვართი და ყელთან შეკრული ყავისფერი მოსასხამი. მკერძო აფენიათ ოთორი ფერით გაცხოველებული მწვანე ანალავი, რომელზეც წითელი ფერის გოლგოთის ჯვარი, ზოგიერთზე კი წამების იარაღებიცაა გამოსახული. ასურელ მამათაგან რვას კუნკული მხრებზე აქვს ჩაკეცილი, ოთხი მათგანი კი . . . თავდაბურულია კუნკულით. შებლზე მათ წითლად გოლგოთის ჯვარი აქვთ გამოსახული . . . წმინდანთა სახეები ისე სკრუპულოზურად და გულდასმითაა ნაწერი, რომ უნებურად გაგონდებათ XVII-XVIII საუბუნების ხატწერის ნიმუშები. ზედმიწევნითაა აღნიშნული ყოველი წვრილმანი დეტალი – თმის ფორმა, წვერის დაყენების წესი; გამოვლენილია ყოველი მამის იკონოგრაფიის ინდივიდუალური ნიშნები. ამგვარი მიღვიმოთად შესრულებული სამხრეთის ბურჯზე წარმოდგენილი წმინდანები და “საშინელი სამსჯავროს” სცენაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი შემსრულებელი ოსტატი ერთი და იგივე პირია, რომელიც ქარგად იცნობდა თანადროული ხატწერის ნიმუშებსაც და, შესაძლებელია, თვითონაც ხატმწერი იყო”<sup>32</sup> (ხაზი ჩვენია – ნ. ბ.).

რესტავრატორების ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ ტაძრის საკურთხეველი საერთოდ მოუხატავადა დატოვებული. ამას ისინი სხინიან იმით, რომ შესაძლოა მის წინ იდგა მაღალი ხატებიანი იკონოსტატი, რომლითაც კონქი იყო დაფარული.

მართლაც, ძალზე უჩვეულოა, რომ ანანურის ტაძარში მხოლოდ დარბაზის კედლებისა და ბურჯების ცალკეული მონაკვეთებია მოხატული და საკურთხევლის კონქი “თავისუფლადა” დატოვებული. უჩვეულო ისიც, რომ “განკითხვის დღე” დასავლეთ მკლავის ნაცვლად სამხრეთშია წარმოდგენილი, ბურჯზე კი წმ. მამების ცალ-ცალკე მოხარწოებული, ფრესკული ხატებია განთავსებული.

ეს ყველაფერი, თვით მოხატულობის სტილისა და წერის ტექნიკის ხატწერის მანერასთან სიახლოვის გათვალისწინებით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ანანურის ტაძარში მომუშავე მხატვარი ყოფილა სწორედაც რომ ხატმწერი, რომელიც არ იყო კედლების მოხატვას ჩვეული. მას “უპრობლემოდ” დაურღვევია ტაძრის მოხატულობის სისტემის ძირითადი პრინციპები და ინტერიერში აქ-იქ მიუხატია (ხატებივით “დაუკიდია”) მისთვის ან უფრო სწორი იქნება ვიზიქროთ, რომ დამკვეთისთვის სასურველი გამოსახულებები.

ანანურის ტაძრის ასე ფრაგმენტულად შემკობის მიზეზი შესაძლოა აღვიდად აიხსნას სიჩქარით ან უსასერობით. მაგრამ, ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში, მხატვარსა და პროგრამის შემდგენელს მაინც ჰქონდათ სრულიად გარევაული მიზანი, რაც მდგომარეობდა უპირველეს ყოვლისა ასურელ მამათა დასის გამოსახვის სურვილში. და ეს არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, თუ რა დროსაა მოხატული ანანურის ტაძარი.

რესტავრატორების შეხედულებით, ფრესკები შესრულებული უნდა იყოს XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში. ვეთანხმებით რა ზოგადად ამ თარიღს ჩვენ უფრო XVII საუკუნის ბოლოთი დათარიღებისკენ ვიხრებით. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები:

1. როგორც ცნობილია ქართულ კედლის მხატვრობაში არც ანანურის მოხატვამდე და არც შემდგომ აღარ გვხვდება ასურელ მამათა ასე ერთად გამოსახვის ფაქტი;<sup>33</sup>

32 იქვე, გვ. 154

33 XIX საუკუნის რესთა მოხატულობებში ისინი სულ სხვაგვარად, რესული ტიპებით და ტაძრის სხვადასხვა კედლებზე განაწილებით არიან წარმოდგენილი. ანანურის მსგავსად

2. ცნობილია, რომ თავის დროზე ასურელი მამები სირიიდან და კერძოდ ანგიოქიდან ჩამობრძანდნენ საქართველოში;

3. ცნობილია ისიც, რომ XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ორჯერ ეწვია მაკარიოს III, ანგიოქის მელქიტი პატრიარქი, რომელმაც ვაჟთან არქიდიაკონ პავლესთან ერთად იმოგზაურა და იცხოვრა ჩვენ ქვეყნაში;<sup>34</sup>

4. ანგიოქის პატრიარქს მოგზაურობისას თან ახლდნენ ხატმწერები. ხატებს წერდა თვით პავლე აღეპოველიც;

5. როგორც ირკვევა, მათ ვიზიტს უკავშირდება საქართველოში შემორჩენილი რამდენიმე არაბულწარწერიანი ხატი და კედლის მხატვრობის ზოგიერთი არაბულწარწერიანი ძეგლიც.<sup>35</sup>

ვფიქრობთ, ყველაფერი ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ანანურის დმრთისმშობლის ტაძარიც მოხატულია ანგიოქის პატრიარქის ვიზიტის დროს, XVII საუკუნის 60-იან წლებში. სავსებით შესაძლებელია, რომ

ეს სამუშაო თვით მაკარის სურვილით მისი თანმხლები ანგიოქიელი ხატმწერის მიერ იყოს შესრულებული.

საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში გასაგები ხდება ის ფაქტი, თუ რატომაა ხაზგასმულად წარმოჩენილი ამ მხატვრობაში თორმეტი ასურელი წმ. მამის პორტრეტი და რატომაა ისინი შესრულებული ხატწერის ტექნიკითა და მანერით.

ამასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ სხვა სარწმუნო საბუთი. საქმე ეხება სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის კუთვნილ ხატს, რომელიც ინახება საქართველოს საპატრიარქოში და რამდენიმე წლის წინ ცოტა ხნით გამოიფინა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (სურ. 5-1).

ხატზე წარმოდგენილია ასურელ მამათა სულიერი წინამდოლი, ანგიოქის მახლობლად, შავ მთაზე მოღვაწე ცნობილი ასკეტი სვიმეონ მესვეტე (უმცროსი), რომელიც ნუსხა-ხუცურით შესრულებულ წარწერაში სვიმეონ საკირველთმოქმედადაა წოდებული.

სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხული სვიმეონ საკვირველთმოქმედი ბეჭედთაგანვე დიდად პოტულარული იყო ქართველთა შორის, რომლებიც ხშირად მიიღილტვოდნენ მასთან მონასტერში. ქართველთა შავ მთაზე მოღვაწეობის შესახებ ცნობები დაცულია სწორედ სვიმეონისა და მისი დედის, მართას “ცხორებაში”, რომელიც ქართულად ითარგმნა უკვე X საუკუნეში. წმინდანის გამოსახულებებიც დაახლოებით ამ დროიდან ჩნდება ქართულ ხელოვნებაში და საუკუნეების მანძილზე გვხვდება კანკელებზე და კედლის მხატვრობაში. რაც შეეხება მის ხატებს, ცნობილია მხოლოდ ერთი, XI საუკუნის შესანიშნავი ჭედური ხატი ცაგერიდან, რომელზეც

---

ჯგუფურად და რეგისტრებში ასურელი წმ. მამები გამოსახული არიან გვიან შეა საუკუნეების მხოლოდ ერთ ხატზე, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზემის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში.

34 მაკარი ანგიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არმადანი, აღმოსავლეური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982, გვ. 88-122. მამა-შვილი მოსკოვში მოგზაურობის დროს ორჯერ შეჩერდა საქართველოში. მაკარიოსმა წალენჯიხაში დაწერა თავისი “ცნობები”, პავლე კი 1669 წელს გარდაიცვალა და დაიკრძალა თბილისში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე – მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 455.

35 6. ბურჭულაძე, არაბულწარწერიანი ხატები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. II საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმუო და მომავალი. თბ., 2005, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, გვ. 204-205. რა თქმა უნდა, ამ პერიოდის არაბულწარწერიანი ძეგლები, შესაძლოა დაკავშირებული იყოს აგრეთვე წმ. მიწისა და კერძოდ იერუსალიმისაკენ ქართველთა გამაფრებულ ლტოლვასთან.

სვეტზე მდგარი წმ. სვიმეონი მისდამი მავედრებელ ცაგერელ ეპისკოპოსის მიერთადა წარმოდგენილი.

პატრიარქის ხატზე წმ. სვიმეონი გამოსახულია კომპოზიციის მარცხენა მხარეს, ბალდახინიან სვეტზე მდგარი. იგი 3/4-ითაა შებრუნებული მარჯვნივ და მარცხნია ზედა კუთხეში ღრუბლებში გამოსახული მაკურთხებელი მაცხოვრისკენ ვედრებითაა მიმართული.

გამოსახულების ფონი სამნაწილიანია – ოქროსფერი (ზემოთ), ვარდისფერი (შუაში) და მწვანე (ქვემოთ), სვეტი კი, რომლის ზედაპირი ამობრუნებულადა ნაჩვენები – ლია ოქრისფერი. ბალდახინს აქვს მრგვალი, თხელი და მაღალი სვეტები და მათზე გადაყვანილი სფერული გუმბათი.

ნაცრისფერ ღრუბლებში ნახევარი ტანით წარმოდგენილ მაცხოვარს მოსავს ოქროსფერი ქიტონი და ჰიმატიონი და მარცხენა ხელით უპყრია ოქროსფერივი წიგნი.

ხატის ფერადი, სადღესასწაულო კოლორიტის შესაბამისია წმ. სვიმეონის სამოსელიც.

მას მოსავს ფართოსახელოებიანი ვარდისფერი კაბა, ფილონის ტიპის წითელი მოსახსამი და მუქი ფერის წვეტიანი ფეხსაცმელი. თავზე ხურავს მონაცრისფრო ქსოვილი, რომლის კალთები კისერთან აქვს შემოხვეული და მკერდზე დაფენილი. მოსახსამის ქვეშ მოუჩანს ასეთივე ფერის, შავი თოკით დაბმული სქემა (ანალავი), რომლის ბოლო მუხლებამდე აქვს დაშვებული. თავსაბურავიცა და ანალავიც წითელი ფერის ჯვრებითაა შემკული. თავსაბურავზე, შუბლთან საფეხურებზე აღმართული, გოლგოთის ჯვარი და ვნების იარაღებია “ამოქარებული”.

წმ. მამის აღნაგობა, სახის ტიპი, ცალკეული ნაკვთები, თმა-წვერი, შესამოსელის ნაწილები, თარგი და გაფორმება ანანურის წმ. მამათა გამოსახულებების იდენტურია.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საქმარისია შევადაროთ ერთმანეთს წმ. სვიმეონისა და ანანურის სამი წმ. მამის პორტრეტები (სურ. 5).

როგორც მათზე დაკვირვებით ჩანს, ხატზე და ტაძრის სვეტის კედლებზე წმინდანებს მსგავსი სახეები აქვთ. ყველასთვის დამახასიათებელია მუქი შავი, სქელი და შედარებით მოკლე წარბები, რომლებიც თვალთაგან საქმაოდ მაღლა თითქმის სწორსაზოვანადა გავლებული. ამგვარი წარბების, თვალის შედარებით მცირე და ვიწრო ჭრილის, შებერილი ქუთუთოების და მაღალი ყვრიმალების გამო ანანურში წარმოდგენილი ასურელი მამების სახეები აშკარად აღმოსავლური იერით არიან გამორჩეულნი.

ამასთან, თავდაბურულ წმინდანებს თითქმის ერთი სიმაღლის შუბლები აქვთ. ცხვირი განსაკუთრებით თხელია. პატარა, მაგრამ “ხორციანი” ტუჩები ცხვირის წვერს მიახლოებულია და “ჩაფლულია” ფაფუკ წვერულვაშში. განსაკუთრებით სახასიათოა თმისა და წვერის საგულდაგულო ვარცხნილობა, რაშიც ბეწვები გულდასმით, დერა-დერა გამოსახული.

მსგავსია მათ შორის სახის წერის მანერაც. ოვალის თითქმის მთლიანად შემავსებელი ფუძეფერი ყველგან ერთნაირად მკრთალია. ამ ფონზე მკაფიოდ იკვეთება ნაკვთების აღმნიშვნელი, ძალზე თხელი და კალიგრაფიული შავი სახით შესრულებული ნახატი. წმინდანთა გამომეტყველება სერიოზული და ნაკლებ ემოციურია, თუმცა მათოვის მაინცაა დამახასიათებელი ოდნავი მჭმუნვარება (ასეთი შთაბეჭდილება წარბებს შორის დია ფერის სამკუთხა “ნაოჭით” იქმნება).

“შუქ-ჩრდილი” სახეებზე არაკონტრასტული – რბილია. გადიავებისა მონასმები და თეთრი ათინათი ფაქიზადა დატანილი და არადიფერენცირებულია. ყურის

ფორმა თითქმის ერთნაირია. მსგავსია დიდი ხელის მტევნებიც, რომლებიც გრძელებები და თხელი თითქმით ბოლოვდება.

მსგავსია თავსაბურავების ფორმა. მათზე ორნამენტული მოტივებიც – ჯვრები და გადახაზული რომბები თუ წრეებიც იდენტურია. მართალია მოსახამების ნაკეცების ნახატი პედლებზე და ხატზე განსხვავებულია, მაგრამ შიდა კბები ზედმიწვნით მსგავსია. ისინი დამუშავებულია ერთგვაროვნად – ხშირი, ძირითადად სწორად გავლებული თეთრი ხაზებით, რითაც უკიდურესად სიბრტყობრივ-გრაფიკული მანერის შტაბეჭიდილება იქმნება.

როგორც ეხედავთ, ხატსა და მოხატულობის წმ. მამებს შორის ბევრი საერთო იკონგრაფიულ-სტილური ნიშანია, რაც გვაიქრებინებს, რომ ისინი ალბათ ერთდროულად შეიქმნა. შესაძლოა მათი მხატვარი არ იყო ერთიდაიგივე პიროვნება, მგრამ ცხადია, რომ ისინი ერთი, უცხოური ჯგუფის წევრებია. ცხადია, მოსაზრებას მხატვრის არაქართველობის შესახებ არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ წარწერები ყველგან ქართული – ნუსხური და მხედრულია.

ანანურის მოხატულობაზე მსჯელობისას, რესტავრატორები მასში სხვათაგან განასხვავებენ დასავლეთ კედელზე აღმოჩენილ სამი მხედრის გამოსახულებას და აღნიშნავენ, რომ მხედრები, რომლებიც მოხატულობის დანარჩენი ნაწილების სინქრონულია უფრო ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნილს გავს. ე. ი. მათი შეხედულებიდანაც გამოდის, რომ ანანურის მოხატულობის ძირითადი ნაწილი არაქართველებს მოუხატავთ.

ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ეს უცხოელები, ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ და ამიტომ ამ თემაზე აღარ შევაჩერებთ ყურადღებას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ანანურის მოხატულობა ამ მხრივ გამონაკლისი არაა და მსგავსი ტიპის და ცხადია წარმომავლობის ძეგლები გვიან შუა საუკუნეების საქართველოში სხვაგანაც ჩანს.

\* \* \*

უშგულის ღმრთისმშობლის, “ორმოც მოწამეთა” თუ წმ. სვიმეონ მესვეტეს ხატები საეკლესიო ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი ნიმუშებია, რომ მათი ავტორები, რა თქმა უნდა, რიგითი მხატვრები არ არიან. ცხადია შემთხვევითი არაა ამ ძეგლების დიდი სიახლოვე კედლის მხატვრობის ისეთ განსაკუთრებულ, გამორჩეულ ნიმუშებთან როგორებიც იფრალის, ლაგურების, ნაკიფარის, ატების, გელათისა და ანანურის მოხატულობებია. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენ ეს მსგავსება მხოლოდ ეპოქის სტილისმიერი ან რომელიმე კონკრეტული სკოლისმიერი არ გვგონია და ვთვლით, რომ სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ოსტატისეული ხელწერის ავთენტურობასთან.

ამასთან ამ პუბლიკაციით ჩვენთვის საინტერესო საკითხი არ ამოიწურება. საქმე მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ეხება, რომლის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და გასაფართოვებლად კვლევა მომავალშიც გაგრძელდება.

Nana Burchuladze

## To the Interrelation of the Monumental and Easel Painting in the Medieval Georgian Ecclesiastical Art


Georgian literary sources had left no evidence that Georgian painters, similar to the case of their Greek, Serb, Bulgarian or Russian fellow-workers, were active in the diverse fields of painting (mural painting, icon painting, miniature painting). However, it should be doubtless that the most talented among them at least, should have been likewise versatile. At present their such activity can only be traced based on the art historical analysis and the article presents some propositions and conclusions derived from the comparative analysis of three cases.

Royal painter Tevdore, active in Upper Svaneti in the late 11<sup>th</sup> – early 12<sup>th</sup> cc., is likely to be the most widely recognised among the medieval Georgian painters; he had left three signed mural decorations (Iprari, 1096; Lagurka, 1112; Nakipari, 1130) and had influenced creative activity of his contemporaries. Suppositions are put forward concerning the place of his possible training (according to one viewpoint, this is Gelati monastery, according to the other – Tao-Klarjeti), as well as his working in the secular painting. Based on the comparative analysis of the murals created by the royal painter Tevdore and the painted icon of the Virgin Hodegetria (initially belonging to the Zhibiani church of the Virgin, at present kept in Chazhashi), the author proposes attribution of the icon to the hand of Tevdore, which is proved by the following arguments: a. similarity of the facial type; b. similar manner of the face modelling (large spots on the olive ground and light olive “shadows”, sharp white highlights); c. similar character of the line (firm and energetic; on the icon, due to its specifics, it is thinner and lighter); d. similar character of the drapery folds (dense, more rectangular, even angular, monumental; on the icon they are, in addition, flexible and calligraphic); e. similar colour gamut (with the predominating grey, brownish and red). Apart from similarities, certain differences are also stated, preconditioned by the difference of technique and function. Additional argument for the attribution of the icon to the royal painter Tevdore lies in the high artistic quality of the chased silver frame of the icon (besides, St. Constantine represented on the icon frame is identified with the Georgian Warrior Saint – St. Constantine *Argveteli*, ruler of Argveti).

Another case concerns comparison of the murals of Ateni Sion and painted icon of the forty Martyrs of Sebaste from Ipkhi church, at present kept in the Mestia Historic-Ethnographic Museum. Ateni murals are dated to the second half of the 11<sup>th</sup> c., while the painted icon – to the first half of the 12<sup>th</sup> c. As shown by T. Virsaladze, Ateni Sion was painted by several painters, most talented among them – in the south apse, who is distinguished “by the special vigour and expressiveness, as well as brightness of colours”. Modelling of the faces in the south apse of Ateni, their dramatic emotionality can well be seen on the icon of Forty Martyrs, which is definitely distinguished by its high artistic level. Dating the icon to the 12<sup>th</sup> c., G. Alibegashvili also compared the character of its design to Ateni murals. However, affinity to Ateni murals is greater than to the 12<sup>th</sup> c. murals in the narthex of Gelati *katholikon* and 12<sup>th</sup> c. miniatures of the Triodion, quoted by her as stylistic parallels to the icon from Mestia Museum. Similarity between the Mestia icon and Ateni murals is seen in the facial features, while greater flexibility of line on the icon is explained by the specifics of the icon painting. Attribution of the icon of Forty Martyrs to the hand of the painter working in Ateni is also strengthened by the reference to the same supposition put forward by the conservation painter M. Buchukuri. Close affinity of both monuments to the Ateni murals is explained by the assumption that both painters could have been active in Gelati monastery.

In 2000, partial “opening up” and partial cleaning was undertaken on the murals of

Ananuri church, where attention was drawn by the images of the 13 Syrian Fathers on the north pillar, as well as character of their modelling, which revealed a hand of the icon painter (this seems also likely to explain violation of the church decoration system – chancel left unpainted, stressed inclination of depicting Holy Fathers as a sequence of icons) and provided an argument in favour of dating these murals to the late 17<sup>th</sup> c. It is known that in 1660s, Georgia was visited by Paul of Aleppo, Patriarch of Antioch – icon painter himself – accompanied by a group of icon painters. It is proposed that several murals and icons with Aramaic inscriptions preserved in Georgia are linked with this visit of the Antioch clerical delegation. Respectively, Antiochian provenance of the Ananuri murals is argued, strengthened by the selection of the theme and “iconic” character of treatment. Also quoted is the analogous icon of St. Symeon Thaumaturgos (in the collection of Ilia II, Catholicos-Patriarch of Georgia) and a supposition is put forward on attributing Ananuri murals and the icon of St. Symeon to the foreign painters of one artistic circle, if not to the hand of the same painters (although, the inscriptions in both cases are Georgian).



სურ. 1. უშგული. ოდიგიტრიის ზაგი



სურ. 2. ივერიის ღმრთისმშობლის  
ხატი



სურ. 3. ლაგურკა. ოვედორეს  
მოხატულობა. ევას გამოსახულება  
“აღდგომიდან”



სურ. 4. ივრალი. ოვედორეს მოხატუ-  
ლობა. ღმრთისმშობელი “ვედრებიდან”



სურ. 5. ლაგურკა. ოვედორეს მოხატ-  
ულობა. წმ. ივლიტა მარტვილობის  
სცენიდან



სურ. 6. ატენის სიონი. სამხრეთ და დასავლეთ მკლავების მოხატულობის ფრაგმენტები



ସ୍ମର. 7. ଧେଶଭୂଷା ମୃତ୍ୟୁମଠି. “ଅରମନ୍ଦୀ ମନ୍ଦିରରେ” ଖାତୋ



8.



9.



10.



11.

სურ. 8. საქართველოს საპატრიარქო. წმ. სვიმეონ მესვეტის ხატი.  
სურ. 9, 10, 11. ანანურის მოხატულობა. ფრაგმენტები ასურელ წმ.  
მამათა გამოსახულებებით

## უცნობი სააღაპე წარწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან

წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრების, ფრესკების, გპიგრაფიკული ძეგლებისა თუ მათი კუთვნილი ნივთების დიდი ნაწილი დაეკისათვის ფაქტობრივად დაპარგულ-დაღუპულია. ასეთ პირობებში პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება ქართველ მომლოცველ-მოგზაურთა და სწავლულთა (ტიმოთე გაბაშვილი, გიორგი აგალიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი) იმ აღწერილობებსა და ჩანაწერებს, რომლებმაც ჩვენამდე XVIII-XIX საუკუნეებიდან მოაღწიეს. პალესტინის სიძველეების შესახებ მათში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, დიდია ინტერესი ყოველი ახალგამოვლენილი მასალისადმი, რომ არაფერი ვთქვათ მათ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორისაა და ქართული კულტურის კვლევის საქმეში.<sup>1</sup>

\* \* \*

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია XIX საუკუნეში უცნობი პირის მიერ გაპერული ხელით ნაწერი პატარა რვეული (ქიმ N<sup>o</sup>7, N<sup>o</sup>8), რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მხატვრობის, წარწერებისა და სიძველეების აღწერილობას ეხება.

ქართულ პრესაში XIX საუკუნის 80-იან წლების მიუწერულს დაბეჭდილი წერილებისა და ქუთაისის მუზეუმში მოძიებული დოკუმენტური და საარქივო მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ აღწერილობა შედგენილია XIX საუკუნის შუასანებში ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერის, ალექსანდრეს (ლორთქიფანიძე) მიერ.<sup>2</sup> ალექსანდრე ლორთქიფანიძის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით 1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ არისტიდ ქუთაოელაძის წერილში. მასში მოთხოვობილია მონაზონ ნისიმეს (ციციშვილი) მიერ 1858 წელს ჯვრის მონასტრიდან სამახსოვროდ წამოღებულ ხელნაწერის გადმონაწერზე, სადაც აღგილობრივი ბერის მიერ აღწერილი იყო იერუსალიმის სიძველეები. ჯვრის მონასტრის ქართველ ბერ-მონაზონთა გადმოცემით, წმინდა მიწის სიძველეების ეს აღწერილობა ეკუთვნოდა ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერს ალექსანდრეს (ლორთქიფანიძე), რომელიც სახადისაგან (ყვავილისაგან) ახალგაზრდავე დაღუპულია. საკმაოდ განათლებული და ენების მცოდნე პიროვნება, ჯვრის მონასტრის ბერი ალექსანდრე წარმოშობით

1 წინამდებარე ნარკვევი ნაწილია ნაშრომისა, რომელშიც შესულია XIX საუკუნის შუასანებში ნიკო ჩუბინაშვილისა და ალექსანდრე ლორთქიფანიძის მიერ შესრულებული იერუსალიმის ქართული სავანებისა და ჯვრის მონასტრის სიძველეების აღწერილობათა ტექსტები (გამოკლევითა და კომენტარებითურთ).

2 დ. კლდიაშვილი, ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მხატვრობა და სიძველეები კიდევ ერთი ძეგლი აღწერილობის მიხედვით, II საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყმო, მომავალი (მოხსენებათა მოკლე შინაარსები). თბილისი, 2005, გვ. 200.

იმერეთის სოფელ საჩინოდან ყოფილა.<sup>3</sup> მას წმინდა მიწის ქართული სიძველეების აღწერილობა ხ. ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს დაწერილი მოგზაურობის დღიურის<sup>4</sup> ახლო ხანებში, ან რამდენადმე მოგვიანოდ უნდა შეესრულებინა.

ალექსანდრე ლორთქიფანიძის აღწერილობაში ჯვრის მონასტრის მხატვრობისა და იერუსალიმის სავანებისათვის შეწირული ნივთების წარწერების თაობაზე მოტანილი მასალების ნაწილი უცნობია და არც სხვა ავტორებთან დასტურდება. აღწერილობაში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იქ დასახელებული წარწერებისა და ნივთების ნაწილი დღეს უკვე დაკარგულია და ზოგიერთ მათგანზე ცნობა სწორედ ქუთაისის მუზეუმის აღწერილობაში შემოინახა.

დღემდე უცნობი ერთ-ერთი ასეთი წარწერა (ქიემ №7, 4) შესრულებული ყოფილა ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ტრაპეზოზ, სამხრეთი შესავალი კარის (სავარაუდოდ, სადიაკვნესა და საკურთხევლის დამაკავშირებელი დიობის) შიგნით, მარცხენა კედელზე. იგი მელნიო, კალმიო ყოფილა ნაწერი და სიძველის გამო იმ დროისათვის იმდენად ყოფილა გამქრალებულ-წაშლილი, რომ ძნელადა იკითხებოდა. წარწერა შესრულებული ყოფილა იმ ადგილას (ტრაპეზის მარცხნივ), სადაც ა. ცაგარელის აღნიშვნით, XIX საუკუნის დამლევს ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ძლიერ დაზიანებული წარწერები.<sup>5</sup> წარწერის ტექსტის საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ იგი აფხაზთა მეფის ასულის, რუსუდანის სააღაპე განჩინებას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, თავად შეწირულების აქტი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ჯვრის კრებულისათვის, რომ იგი ტრაპეზოზ ახლოს კედელზე სპეციალურად მიუწერიათ მელნიო. სააღაპე განჩინების ტექსტი ალექსანდრე ლორთქიფანიძისეული გადმონაწერის მიხედვით შემდგინვენ შინაარსისაა:

[...] მოგვივიდა შვიდი ათასი თეთრი თქვენი გამოგზავნილი [...] მეფეთა, თქუებ, აფხაზთა ასულის რუსუდანისაგან [...] და გავაჩინეთ მარხვითა დიდთა ტაძრად მიუვანებას და დიდ ხუთშაბათს და შაბათ-კვირიაკეთა, განეუყოფლებს ძმათ თითო სებისკვერი და თითო სასმელი ლინო [...] და სხვა მოგვივიდა ათასი თეთრი და მისთვის გავიჩინეთ ორი პანაშვიდი და შემდგომ მისისთა წესითა გარდავისხდიდეთ მიცვალებულად (sic) და ვინ აღასრულოს ეს განჩინება ჩუქი, ისიც მოხსენებულ იქნებს საუფეველსა შინაარსი] [...]

წარწერაში, თარიღის გარდა, დაზუსტებას მოითხოვ აფხაზთა მეფის ასულის რუსუდანის ვინაობა. ამ საკითხების გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა გნიჭება ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში XIV საუკუნის დასაწყისის აღაპ-

3 ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო საქმე (ჯვრის მონასტრი და მისი მდგომარეობა 1845-მდე), ივერია, 1889, №70, გვ. 3 (34).

4 А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской писменности, т. I, вып. 3, СПб., 1894, с. VII-XI, с. 35-52.

5 6. კვარაცხელია, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის აღწერილობა ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერის მიხედვით, ქუთაისის მუზეუმის მასალები. კრებული XII, ქუთაისი, 2000, გვ. 59-69.

6 А. Цагарели, Памятники грузинской древности в Святой Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, т. 4, Вып. 1, 1888, с. 108.

მოსახსენებლებს შორის შეტანილ იმ სააღაპე განჩინებებს (აღაპი №65, 131, 250), რომლებიც მეფე დემეტრეს ასულის, რუსუდანისა და მისი თანამეცხელის, თაყა ფანასკერტელისთვისაა დადებული.<sup>7</sup> საკითხს ასევე გარკვეულწილად ნათელს ფენს 6. მარის მიერ გამოცემული ჯვრის მონასტრის სვინაქსარის (№22) სარესტავრაციო მასალაზე ერთი ნუსხური ხელით შესრულებული მოსახსენებლების ფრაგმენტები. მათზე, ჯვრის მამა ოთანეს და მისი ძმის ნიკოდიმეს სენინებთან ერთად, რუსუდან დედოფლისა და მისი მამის, დემეტრე II-ის მოსახსენებლებიცაა შემორჩენილი.<sup>8</sup> რაც მთავარია, ერთ დროს ჯვრის მონასტრის აკედელზე შესრულებული სააღაპე დაწერილის ანალოგიური ტექსტი ასევე აღმოჩნდა ჯვრის მონასტრის სვინაქსარის სააღაპე წიგნში (აღაპი №65). სააღაპე განგება 14 ნოემბერსაა დადებული და მეფე დემეტრეს ასულის რუსუდანის სიცოცხლეში ჩანს შეტანილი ჯვრის მამა სვიმონ ელმელიქისძის, აღდგომელი მოძღვრის, დეკანოზის, იერუსალიმისა და ჯვრის მონასტერის ქართველ მოწესეთა მიერ. ამ სააღაპე განჩინებით, რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელს დალოცვის დასაწესებლად იერუსალიმში გაუგზავნიათ 7000 თეთრი. ხოლო შემდგომ, დამატებით, საპანაშვილე თანხა – 1000 თეთრი. ამდენად, ალექსანდრე ლორთქიფანიძის აღწერილობაში შეტანილი რუსუდანის სააღაპე განჩინება ჯვრის სვინაქსარის სააღაპე ჩანაწერის ანალოგიურად შეიძლება ჩაითვალოს. შესადარებლად ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნიდან სრულად მოვიტან ამ სააღაპე დაწერილის ტექსტს:

ამათ წმიდათა მარხვათა ქრისტეს შობისათა და წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა შაბათ-კვრიაკეთა ტაძრად მიყვანებასა, ხარებად და დიდსა ხუთშაბათსა გაგვიჩნია კვარგები, რუსუდანებთვს და თაყა ფანასკერტელისთვე. გავაჩინეთ ჩუენ, ჯუარისა მამამან სემონ ელმელიქის ძემან, მოძღუარმან აღდგომისამან, დეკანოზმა და იერუსალიმს და ჯუარს მყოფთა ძმათა ერთსულობით. გამოუგზავნა დიდსა დაჭირებასა შიგან დემეტრე მეფისა ასულსა რუსუდანს და თაყა ფანასკერტელსა შედი ათასი თეთრი და ძმისთვის მათოვს ხალოცავად, რომე შემდგომად გამოწირვისა თვთო სეფისკუტრი და თვთოვ სასუმელი დგნოვ ერთობილსა კრებულსა მიეცემოდეს და მათოვს შენდობას იტყოდეს – შაბათსა რუსუდანისთვე და კპრიაკესა თაყასთვე. და ათასი თეთრი სხუა გამოუგზავნა მათვე საპანაშვილე, რომე ტაძრად მიყვანებად რუსუდანისთვე გარდაიკრებოდეს და თვედორობად თაყასთვე მისითა განგებითა. და ვინცა ეს გარდააგდოო რაოსცა მიზეზისათვე სადამდის ქართველნი იყვნენ, უნაწილომცაა ქრისტესგან.<sup>9</sup>

ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში რუსუდანის სახელზე შეტანილ განჩინებასთან დაკავშირებით ელ. მეტრეველმა გაარკვია, რომ იგი იყო დემეტრე II-ის (1270-1289) ასული კომნენის ასულისაგან. რუსუდანის პირველი ქმარი უნდა ყოფილიყო არღუნ ყავნის პირველი ვაზირის ბულას ვაჟი, რომელიც შეთქმულებაში ბუდას მონაწილეობის გამო, 1289 წელს, დემეტრე II-სთან ერთად, სიკვდილით იქნა დასჯილი. მოგვიანებით, რუსუდანი ცოლად გაჰყოლია ტაოს ერისთავს

7 ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართველი კოლონის ისტორიისათვის (XI-XVIIIსს.), თბილისი, 1962, გვ.85, 91, 102, 136-137, 153, 170.

8 H. Mapp, Синодик Крестового монастыря в Иерусалиме, СПб., 1914, с. XVIII.

9 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 85.

თაყა ფანასკერტელს. ამ ქორწინების დამადასტურებელია ისტორიულ თლითიშვილის განასკერტელთა საგვარეულო მონასტრის ეკვდერის სააღმშენებლო წარწერა, რომლის თანახმადაც, ქართველთა და აფხაზთა მეფის დიმიტრის ასულს, რუსუდანს, 1306 წელს მთავარი ეკლესიისათვის საგვარეულო ეკვდერი მიუშენებია. ამ წარწერის ტექსტი 1907 წელს კოლა-ოლოისში ექსპედიციის დროს გაღმოიდო ე. თაყაიშვილმა, იგი შემდეგნაირად იკითხება:

ქ. ქართველთა და აფხაზთა მეფისა დიმიტრის ასულისა] ... [პატრონისა რუსუდანისა და(უ)თავეთ (?) ყოვლითა. / და მათთა საფასოთა აღეშენა / ეპუბერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მოძღურობასა შინა უჩ... / გოდერძის ძისა, ქრონიკონსა ფაქ, ქელითა ...ა ცხო...<sup>10</sup>

განიძორის სააღმშენებლო წარწერაში, ისევე როგორც ჯვრის მონასტრის სააღაპე განჩინებაში, იხსენიება მხოლოდ რუსუდანი, თაყა მოხსენიებული არაა. თაყა ისტორიულ წყაროებში პირველად ჩნდება XIV საუკუნის დასაწყისში, აზატ მოსეს მეთაურეობით თურქთა მიერ ტაოს მოოხრებასთან დაკავშირებით, როცა ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო სიმცირისათვს ლაშქრისა.<sup>11</sup> დასახელებულ წარწერებში თაყას მოუხსენებლობა მისი გარდაცვალებით არ უნდა იყოს გამოწვეული, რამდენადაც იგი ჯერ კიდევ ცოცხალია 1313 წელს გადაწერილ სომხური ხელნაწერის პიშატარაკანში.<sup>12</sup>

ფანასკერტელ-ციციშვილთა ქველმოქმედება და საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწაზე გაცილებით ადრე იღებს სათავეს. ჯერ კიდევ XIII საუკუნის 50-იან წლებში გრიგოლ ფანასკერტელის მიერ გაგზავნილი უხვი შეწირულებით ჯვრის მონასტრის კრებულს აქაიას მამული შეუძენია, ხოლო ნაწილი იერუსალიმში მყოფ ქართველებს, იერუსალიმის პატრიარქება და იქაურ მონასტრებს გაუნაწილებიათ (აღაპი №123, 123ა, 135, 182).<sup>13</sup> XIV საუკუნის პირველ ნახევარში, თაყა ფანასკერტელისა და მისი თანამეცხედრის, ღმეტერე II თავდადებულის ასულის რუსუდანის მიერ მონასტრისათვის შეწირულების გაგზავნის ახლო ხანებში, ჯვრის მონასტერში ფანასკერტელთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენლის, ამილდამბარ ფანასკერტელისათვის დაუდვიათ აღაპი (№105).<sup>14</sup>

რუსუდანის და თაყა ფანასკერტელის შეწირულება ჯვრის მონასტერში

10 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლოისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 58.

11 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959, გვ. 311.

12 სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაგარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაუროო ა. აბდალაძემ, თბილისი, 1978, გვ. 19.

13 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 73, 75, 90-91, 92, 95, 150-152; შდრ.: თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა, თბილისი, 1986, გვ. 56-59.

14 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 88, 145-146.

მიუღიათ დიდხა დაჭირებასა შიგან (აღაპი №65),<sup>15</sup> რაც კიდევ უფრო ზრდიდა მათგან გადებული მდიდრული შეწირულების მნიშვნელობას ჯვრის მონასტრის კრებულისათვის და იერუსალიმის ქართული სამოსათვის. ამაზე მიუთითებს ჯვრის მონასტერში როგორც წარწერის შესრულების ფაქტი, აგრეთვე თუნდაც ის, რომ სააღაპე დაწერილი მიუწერიათ ჯვრის მთავარი ტაძრის ტრაპეზიან, საკუროხევლის შესასვლელში.

რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელის მიერ იერუსალიმში შეწირულების გაგზავნა გარკვეულწილად დაკავშირებული იყო იმ მძიმე მდგომარეობასთან, რომელშიც იერუსალიმის სავანეები და ჯვრის მონასტერი XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, 1273 წელს ჯვრის მონასტერი მამლუქებმა ჩაიგდეს ხელში და მიზგითად აქციეს. მონასტრის დაცვას შეეწირა ჯვრის მონასტრის მმობის ერთ-ერთი წევრი ლუკა, რომელიც შემდგომ წმინდანად იქნა შერაცხული. ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი და მძიმე ყოფილა ქართველი ბერმონაზენობისათვის, რომ იმ პერიოდის იერუსალიმული ქართული ხელნაწერების კოლოფონებსა და სააღაპე ჩანაწერებში თარიღის ათვლა ჩვეულებრივ ამ ავბედითი მოვლენით ხდებოდა. მაგალითად, 1299 წელს, ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, მეფე ვახტანგ III (1298, 1302-1308) იერუსალიმში ჩასულა და ჯვრის მამა სოლომონისათვის დიდი სააღაპე შეწირულება გადაუცია “ძას უამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი კვ (26) წელს სპარსთა წაედო, მაშინ რვად თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სვიმეონ მოვახმარეთ მონასტერსა” (№206);<sup>16</sup> ხოლო იოანე აღდგომელი, რომელიც გვევლინება Jer. Georg. 76 ხელნაწერის მომგებლად, საქმაოდ ვრცელ და საინტერესო ანდერძში გვიყვება მამლუქთა (თურქთა) მფლობელობის პირობებში უფლის საფლავის ეკლესიაში ჩაკეტილი ქართველი ბერ-მონაზენების გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ. მისი აღნიშვნით, ხელნაწერი “დაინტერა წინაშე წმიდა საფლავსა, წელსა ლბ-სა (32) თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს, საწურთველად ცოდვათა ჩვენთათვეს, არცა ვის შესღვა დაუტევებდეს თუნიერ დიდისა ჭირსა და საყიდელისა და არცა ჩვენ გამოხვლად გუბევებდეს”<sup>17</sup> და სხვ.

1305 წელს, დავით VIII-ის (1293-1311) მცდელობით, ჯვრის მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ.<sup>18</sup> ახლო ხანებშივე მოხდა ქართველთა მიერ მამლუქთაგან დაბრუნებული („შემოქცეული“) ჯვრის მონასტრის განახლება (ახლად შეკაზმვა) და, როგორც ფიქრობენ, ხელმეორედ მოხატვა, რაც დავით ნარინის მის, აფხაზთა მეფის კონსტანტინე I-ის (1293-1327) მოგებლობით უნდა მომხდარიყო.<sup>19</sup> ჯვრის მონასტრის აღაპების იმ ფენაში (XLVIII ტაბულა), სადაც რუსუდანისა და თავა ფანასკერტელის აღაპია ჩაწერილი, პალოგრაფიული თვალსაზრისით გაერთიანებულია მხოლოდ ის აღაპები, რომლებიც ჯვრის განთავისუფლებასა და აღდგენაში დგაწლმოსილ და ამადგარ საქართველოს მეფეებს, დიდებულებს და ჯვრის მონასტრის კრებულის წავრებს ეკუთვნით. ესენი არიან: კონსტანტინე აფხაზთა მეფე (I, იმერთა, †1327), „ჯუარისა მონასტრისა ახლად შემკაზმავი“ (აღაპი №239), წმ. ლუკა, რომელიც ჯვრის დაცვას შეეწირა (აღაპი №256), ჯვარის მამა სოლომონი (აღაპი №227, 251), ბედან დადიანის მეუღლე ხეაშაქი (აღაპი №276) და მისი ძე გიორგი (აღაპი №304),

15 იქვე, გვ. 85, 136.

16 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 97-98, 164.

17 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოთვეა, Jer. Georg. 76, fol. 242-243.

18 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 45.

19 იქვე, გვ. 138, 169.

ვახტანგ მეფე, II, 1298-1308 წწ. (ადაპი №206).<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ სწორედ აღმაჟებულის ასულის, რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელისათვის ამ ჯგუფში ერთიანდება დიმიტრი თავდადებულის ასულის, რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელის სააღაპე განჩინებაც (№65).

ჯვრის მონასტრის სვინაქსარში რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელისათვის დაწესებული მსახურების განგება თვით შემწირველის, სავარაუდოდ, იერუსალიმში შეწირულების ჩამტანის მიერ ჩანს შედგენილი.<sup>21</sup> ამაზევე მიანიშნებს ის, რომ სააღაპე დაწერილში, რუსუდანისა და თაყას გარდა, დალოცვა და პანაშვიდი დაწესებულია კიდევ ერთი პირისათვის, ვინმე ევაგრესათვის, რომლის ვინაობაც ელ. მეტრეველისათვის გაურკვეველი დარჩა.<sup>22</sup> ვფიქრობ, ევაგრე უნდა იყოს სწორედ ის პირი, რომელმაც იერუსალიმში ორჯერ ჩაიტანა რუსუდანის მიერ გაგზავნილი შეწირულება. ევაგრე ვაჩემორელი მოღვაწე ჩანს. ევაგრეს კავშირს ვაჩიძორის მონასტერთან და ფანასკერტელებთან, ისევე როგორც მის უშუალო მონაწილეობას რუსუდანის სააღაპე განგების შედგენისას, ვფიქრობ, არაპირდაპირ მოწმობს ჯვრის მონასტრის აღაპების კ.წ. ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ფენაში (განეკუთვნება XIV საუკუნის დასაწყისს) შეტანილი ერთობლივი განჩინება, რომლითაც ევგრესთვის და ჯვრის კრებულის მოწესის, სოლომონ ვაჩიძორელისათვის მონასტერში პანაშვიდი და ხსენება დაუწესებიათ (უძღებისა კპრიაკესა ძმისა ჩუქნისა სოლომონი ვაჩიძორელისათვეს გარდაიკდებოდეს, სამხრად ევაგრესი მწუხრი პანაშვიდი სანთლითა მისითა, განგებითა საუკუნოდ, კინცა შეუცვალოს, მისნიმცა ცოდვანი უხდევენ. სოლომონს და მისთა მშობელთა დმერთმან შეუნდგენ, ამიზ).<sup>23</sup> სოლომონი, რომელიც ვაჩემორელ მოღვაწედ წარმოგვიდგება, მისი იერუსალიმში ჩასვლის ახლო ხანებში ჯვრის მამა უნდა გამხდარიყო. იგი შეიძლება გავაიგივოთ ჯვარის მამა სოლომონთან, რომლის მამობასაც ელ. მეტრეველი XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დამდეგით (პირველი ათეულით) განსაზღვრავდა.<sup>24</sup> სოლომონი ჯვარის მამა ყოფილა სვიმონ ელმელიქისებესთან ერთად, რასაც მოწმობს მათი ერთად მოხსენიება “მამად” მეფე ვახტანგ II-ისათვის დადებულ აღაპეში (ადაპი №206). რუსუდანისათვის და თაყა ფანასკერტელისათვის სააღაპე განჩინების დაწესებისას ჯვარის მამა სოლომონ ვაჩემორელი გარდაცვლილა. ეს რომ ნამდვილად ასეა მოწმობს, როგორც თავად რუსუდანის განჩინება, რომელშიც მხელოდ ერთი ჯვარის მამა სვიმონ ელმელიქისძე იხსენიება, ასევე ამ განჩინების იდენტური ხელით 17 ივნისის გასწვრივ სვინაქსარში შეტანილი ჩანაწერი: “ამასვე დღესა აღაპი სოლომონისათვეს. ამას დღესა მიიცვალა”.<sup>25</sup> ვაჩემორის მონასტრის კრებულისა და ფანასკერტელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მჭიდრო ურთიერთობა თუ საქტიოტო მოღვაწეობა იერუსალიმთან და ჯვრის მონასტერთან არც შემდგომ პერიოდში შენელებულა.<sup>26</sup> ამ მჭიდრო კავშირების დამადასტურებულია

20 ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 100, 169 (№ 239); 102, 172 (№ 256); 100, 102, 168, 170 (№ 227, № 251); 104, 174 (№ 276); 107, 177 (№ 304); 97, 164 (№ 206).

21 იქვე, გვ. 137.

22 იქვე, გვ. 137.

23 ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 78.

24 იქვე, გვ. 36.

25 იქვე, გვ. 102

26 წმინდა მიწაზე ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიოტო მოღვაწეობასთან დაეკავშირებით და მათ მიერ უფლის საფლავის მახლობლად წმ. ეკატერინეს მონასტრის აშენების თაობაზე ის. დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო

ქ. თაყაიშვილის მიერ ვაჩიძორის მახლობლად მდგიმეში ნაპოვნი XV საუკუნის მონასტრის მინასტრისა და ქრისტეს საფლავის ქართულ სამოსთან ვაჩიძორელთა ურთიერთობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>27</sup>

ამდენად, რუსუდან აფხაზთა მეფის ასულის უცხობი სააღაპე წარწერა ჯვრის მონასტერში XIV საუკუნის პირველ ათწლეულში, 1305-1313 წლებს შორის უნდა შეესრულებინათ. იგი დიმიტრი II-ის ასულისა და თავა ფანასკერტელის თანამეცხვდრის, რუსუდანის სააღაპე განჩინებას წარმოადგენდა. წარწერა უნდა შეესრულებინათ იმ პერიოდში, როცა მიზგითად ქცეული ჯვრის მონასტერი მამლუქებმა ქართველებს დაუბრუნეს და მოხდა დაბრუნებული მონასტრის განახლება და ხელმეორედ მოხატვა.

### Darejan Kldiashvili Unknown Commemorative Inscription from the Monastery of Holy Cross in Jerusalem

Majority of the churches and monasteries or a great part of objects belonging to them, as well as frescoes and inscriptions connected with the activities of Georgians on the Holy Land are in fact lost or damaged by now. In this conditions the notes and descriptions by eighteenth-nineteenth-centuries Georgian pilgrims, travelers and scholars (Timothe Gabashvili, Giorgi Avalishvili, Petre Konchoshvili, Alexandre Tsagareli) acquires the importance of the original source. Proceeding from the importance of information concerning the antiquities of the Holy Land, each newly obtained material naturally causes great interest.

The collection of the manuscripts of the Kutaisi Historic-Ethnographic Museum possesses a small handwritten notebook (KHEM №7 and 8) by an nineteenth century anonymous author, which describes murals, inscriptions and antiquities of the Holy Cross monastery in Jerusalem. The study revealed that the description belongs to the monk Alexandre (Lortkipanidze), who conducted activities by the mid-nineteenth century in the Holy Cross Monastery. Part of the recorded by the Monk Alexandre material which concerns the inscriptions of the donations, as well as of the murals was unknown, neither has it been proved by other authors either. The importance of information preserved in the description becomes more significant because a part of inscriptions and objects named there has been lost and just this very description preserved information on some of them.

One of such inscriptions still unknown has been executed by ink on the inner wall of the entrance of the chancel (presumably the doors connecting the diakonicon and the chancel) at the main church of the Holy Cross Monastery. It is unknown commemorative (*agapae*) inscription of Rusudan, daughter of King of Abkhazeti. It was made in the first half of the fourteenth century, between 1305 and 1313; according to the content, this was an epigraphic document of Rusudan, daughter of King Dimitri II (1270-1289) and wife of Taq'a Panaskerteli, *Eristav* (duke) of Tao. The inscription should have been done in the period, when the Holy Cross Monastery turned into mosque was returned to Georgians by Mamluks and the monastery was renewed (construction works were conducted) and repainted.

სულთა მატიანები. სინას მთის წმ. ეპატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, წიგნი I, თბილისი, 2008, გვ. 71-91.

27 ქ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 64-66.

ირინე მამაიაშვილი

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და  
 ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

## საქტიტორო პორტრეტი გელათის დმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭის მოხატულობიდან

გელათის დმრთისმშობლის შობის ტაძრის ფრესკები, როგორც ცენტრალურ სივრცეში, ასევე მის ეგვიპტებსა და კარიბჭებში არაერთხელ იყო განახლებული და შევსებული. ერთ შემთხვევაში ეს განახლებები გამოწვეული იყო ამა თუ იმ მიზეზით დაზიანებული ძველი ფერწერის შეცვლის აუცილებლობით, მეორე შემთხვევაში კი ნაკარნახევი იყო ქტიტორთა სურვილით დაეტოვებინათ ხსოვნა თავის შესახებ გამოსახულებების სახით.<sup>1</sup> ტაძარში წარმოდგენილია მრავალი ქტიტორია – საქართველოს მეფეები, რომელთა საძვალე დავით აღმაშენებლის ანდერძის თანახმად გელათი იყო და მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები.

საქტიტორო პორტრეტის როგორც მხატვრული, ასევე ისტორიული მხარე დათარიდებისათვის მყარ საფუძველს ქმნის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მრავალშრიანი მხატვრობის ფენათა განსაზღვრისათვის, როგორიცაა გელათის დმრთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობა.

ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭეში, 1953 წლის ოქტავრაციის დროს (მხატვარი-რესტავრატორი შ. აბრამიშვილი), ზედა ფენის საქტიტორო პორტრეტის ქვეშ გამოვლინდა უფრო ძველი ფენა, ასევე საქტიტორო კომპოზიციით. ზედა ფენაზე არსებული დაზიანებული პორტრეტი ჩამოსხენებს, გაამაგრეს და გადაიტანეს მონასტრის ერთ-ერთ სახლში (მუზეუმში) (ნახ. 1. სურ. 1,2). როგორც პირველი, ასევე მეორე ფენის პორტრეტებს პიროვნებათა განმსაზღვრული წარწერები არ შემორჩათ. ქვედა შრის საქტიტორო პორტრეტი, რომელზეც გამოსახულია სამეფო ინსიგნიების გადაცემა მეფისა და დედოფლისათვის, სტილისტური ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება ტაძრის ცენტრალური სივრცის იმ ფერწერულ ფენას, რომელიც XVI საუკუნის 20-იანი წლებითაა დათარიდებული.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, მეფე და დედოფლი იდენტიფიცირებულია იმერეთის მეფე ბაგრატ III-სა (1510–1565) და მის მეუღლე ელენესთან (ნახ. 2. სურ. 3).<sup>3</sup> კარიბჭის მეორე შრის საქტიტორო პორტრეტზე გამოსახული მეფის ვინაობის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა

1 Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, ქართული ხელოვნება, 5, тბ., 1959, გვ. 164.

2 ი. მამაიაშვილი, მედქიზედეკ საყვარელიძის საქტიტორო პორტრეტი (გელათის მთავარი ტაძრის მოხატვის ერთი ეტაპის დათარიდებისათვის). თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნობა, №6, тბ., 2005, გვ. 184–197.

3 ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ გამოთქმული იყო სხვადასხვა ვარაუდი – თ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ პორტრეტზე შეიძლება იყოს გამოსახული იმერეთის მეფე ან ბაგრატ II-ი (1466–1477), ან ბაგრატ III (1510–1565) – რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი, არქიტექტურა, მოხაიკა, ფრესკები, თბ., 1982, გვ. 14; ა. კლდიაშვილი ბაგრატ III-ის გამოსახვებს შესაძლებლობას გამოთქმას – ა. კლდიაშვილი, მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 3, тბ., 1991, გვ. 185, 186; ი. მამაიაშვილი გამოსახულებებს აიგივებდა ბაგრატ II და მის მეუღლე ელენესთან – ი. მამაიაშვილი, მეფე-დედოფლის კურთხევის კომპოზიცია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭეში. ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, თბ., 2000, გვ. 109–117. შემდგომი კვლევისას დადგინდა, რომ პორტრეტზე გამოსახული უნდა იყოს ბაგრატ III და მისი მეუღლე ელენე.

ანტონი მაწყვერელის საქტიტორო წარწერაზე დაყრდნობით. მისი სახელი წარწერაში მოხსენიებული.<sup>4</sup> უზარმაზარი პროფილირებული ჩრდილოეთი თაღის საფეხურის გასწვრივ მოთავსებულ მსხვილ ასომთავრულ წარწერაში ხატოვნადაა გადმოცემული ვედრება დმრთისმშობლისადმი, რათა მან შეიწყალოს ანტონი მთავარებისკოპოსის სული. ტაძარში შესასვლელი კარის ზემოთ გამოსახულ მცირე ზომის გაშლილ გრაგნილზე მეორე წარწერა იმის შესახებ, რომ მაწყვერელმა და, ახლა უკვე, გელათელმა მთავარებისკოპოსმა ანტონიმ მოხატინა კარიბჭე მეფე გიორგის სადიდებლად. ანტონი მთავარებისკოპოსის გელათში მოღვაწეობის დროს, 1568 წელს დაიწერა იმერეთის მეფის გიორგი II და დედოფლის რუსუდანის მიერ გელათის მონასტრისთვის მიცემული უმა-მამულის შეწირულების სიგელი (1568 წ., VIII, 30 Sd–2001)<sup>5</sup>. ამ სიგელით მტკიცდება, რომ ანტონი მაწყვერელი მეფე გიორგის დოროსაა (1565–1583) გელათელი მთავარებისკოპოსი. სწორედ ამ მეფის სადიდებლად მოახატინა ანტონი მთავარებისკოპოსმა კარიბჭე და სავსებით ლოგიკურია, რომ საქტიტორო პორტუგალიური მეფე გიორგი იყოს გამოსახული.<sup>6</sup>

მეფე გიორგის და დედოფლის ჩამოხსნილი პორტუგეტი თავისი სტილისტური ნიშნების მიხედვით კარიბჭე მხატვრობის შემადგენელი ნაწილია.

გევგმაში კვადრატული, კამარით გადახურული საქმაოდ დიდი კარიბჭე XII–XIII საუკუნეებშია აგებული.<sup>7</sup> ჩრდილოეთი მხრიდან გახსნილი მისი უზარმაზარი თაღი მოგვიანებითაა ამოშენებული. კედელში დატოვებულია კარი და ზემოთ ლოუნების ფორმის ლიობი, საიდანაც ინტერიერში უხვად იღვრება შუქი. კარიბჭეს კიდევ ორი კარი აქვს – სამხრეთით, ტაძრის მთავარ სივრცეში შესასვლელი და აღმოსავლეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგვერთან დამაკავშირებელი. დასავლეთ კედელზე თაღიანი ნიშაა.

კარიბჭე მთლიანადაა მოხატული. მხატვრობა შესრულებულია საქმაოდ მაღალი პროფესიული ოსტატობით. იგი გამოიჩინევა დინამიკურობით, ხაზგასმული დეკორატიულობით, რასაც განსაზღვრავს როგორც ორნამენტის სიუხვე და მრავალფეროვნება, ასევე მკვეთრი მწვანე, ყვითელი მოწითალო-ყავისფერი, ლურჯი ფერადოვანი ლაქების ურთიერთდაპირისპირებით მიღებული ქდერადი კოლორიტი. მხატვრობაში წარმოდგენილია დმრთისმშობელი ოდიგიტრია, სახარების ერთი სცენა – „პურთა გამრავლების სასწაული“, წმ. ორანე ნათლისმცემლის ცხოვრების ციკლი, აყვავებული ჯვარი, წინასწარმეტყველთა, მეუდაბნოეთა, წმ. მარტვილთა გამოსახულებანი. კარიბჭე მოხატულობის თეოლოგიურ პროგრამაში დომინირებს მსხვერპლისა და ხენის თემა.

ჩამოხსნილი, ორად გაყოფილი გიორგი II-ისა და მისი მეუღლის საქტიტორო პორტრეტის აღგილმდებარებისა და ფიგურათა განლაგების ზუსტად აღდგენის შესაძლებლობას იძლევა თინათინ ვირსალაძის მიერ გაკეთებული სქემა<sup>8</sup> (ნახ. 1. სურ.

<sup>4</sup> წარწერები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში – Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям гелатского монастыря, М., 1891, გვ. 6; ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1955, გვ. 41; P. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, Тб., 1966, გვ. 13.

<sup>5</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ., 1897, გვ. 410.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., 1991, გვ. 159.

<sup>6</sup> M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, rapport XI, SPb., გვ. 10.

ამის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული აგრეთვე თ. ვირსალაძეს. საარქივო მასალები ინახება გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის არქივში.

<sup>7</sup> P. Меписашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>8</sup> სქემა ინახება თ. ვირსალაძის საარქივო მასალებში. ქვეყნდება პირველად.

1,2). მეფისა და დედოფლის ფიგურები მოთავსებული იყო აღმოსავლეთი კედლებითა და მენახურებით იყვნენ მიმართული ამჟამად ადგილზე დარჩენილი ცის სეგმენტში ჩატარა ნახევარფიგურისკენ, რომელსაც ორივე ხელი კურთხევად აქვს გაშლილი. ქრისტეს ფიგურა ფარაგს ქვედა შრის კომპოზიციის ქრისტეს გამოსახულების სახეს. განსხვავებით ზედა ფერის პორტრეტისგან, ადრინდელ კომპოზიციაში კედლის თაღის ზედა ნაწილი უჭირავს ქრისტესა და ანგელოზების გამოსახულებებს, რომლებიც სამეფო ინსიგნიებს გადასცემენ ქვემოთ, კარის ორივე მხარეს დარჩენილ ვიწრო მონაკვეთებში გამოსახულ მეფესა და დედოფლადს (ნახ. 2. სურ. 3).

გიორგი II და დედოფლის შარავანდმოსილი ფიგურები გამოსახულია მთელი ტანით, სამ მეოთხედში, მოწითალო-ყავისფერ, მწვანე და ნაცრისფერისაგან შემდგარ სამფერ ფონზე (სურ. 1,2). ხელები მათ ქრისტეს ნახევარფიგურისკენ აქვთ აპურობილი. ორთავეს ბიზანტიური სამეფო სამოსი აცვია – წელში გამოყვანილი, გრძელი მონაცრისფრო-ლურჯი ბისონი, რომელსაც ამშვენებს ძვირფასი ქვებით შემცული ოქროსფერი მანიაკი, საბუხარები, ქობი, ლორონი, რომლის ბოლო მათ ხელზე აქვთ გადაფენილი, თავს ადგათ ასევე თვალ-მარგალიტით შემკული გვირგვინი. დედოფლადს გვირგვინის ქვეშ თეთრი მანილი აქვს მოხვეული, რომელიც მხრებზე ეშვება. გაირჩევა დედოფლის სახის მომრგვალებული, რბილი მოხაზულობა და საყურე (სახეები დაზიანებულია).

ციური მფარველისკენ ვედრებით ხელაღმართული ქტიორორთა ცენტრირებული კომპოზიცია გავრცელებული იქონოგრაფიული სქემა XVI–XVII საუკუნეების მხატვრობაში. ამგვარი პორტრეტები ასევიდება პალეოლითურთა ხანის ანალოგიურ პორტრეტებთან, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ბალკანეთის ქვეყნებში<sup>9</sup>. გვიანი ხანის ქართულ მხატვრობაში მსგავსი კომპოზიციური სქემები ხობის, წალენჯიის, მარტვილის ეკლესიების, გელათის მთავარი ტაძრის ნართექსის კიბორიუმის საქტიორო პორტრეტებზე გვხვდება<sup>10</sup>.

ყველა დასახელებული საქტიორო პორტრეტის ფიგურებისგან განსხვავებით, გელათის კარიბჭის ქტიორორები სამ მეოთხედში არიან გამოსახული. მართალია, XVI–XVII საუკუნეებში უპირატებობა ეძლევა ისტორიულ პირთა ფიგურების ფრონტალურ ასაექტს, რომელმაც XIV საუკუნიდან შეცვალა ქტიორორთა სამ მეოთხედში გამოსახვის ტრადიცია, მაგრამ ზოგიერთ მოხაზულობაში, კარიბჭის ფიგურათა მსგავსად, ქტიორების სამ მეოთხედში გამოსახვის შემთხვევებიც აღინიშნება (ნეკრესი, გრემი, გელათის ღმრთისმშობლის ტაძარში – დომენტი ჩხეტიძის პორტრეტი – XVI ს.)

საქტიორო პორტრეტს ქართულ კედლის მხატვრობაში ტრადიციულად ქვედა რეგისტრი, კარგად განათებული ადგილი უჭირავს ეკლესიაში შესასვლელის პირდაპირ, გამოირჩევა დიდი ზომით და თავიდანვე ხვდება მხედველობის არეში<sup>11</sup>. მართალია, კარიბჭის პორტრეტის არც სიდიდე და არც მდებარეობა არ მისდევს არსებულ ტრადიციას, მაგრამ თაღის კონფიგურაციასთან ორგანულად შეთანხმებული, ნეიტრალურ ფონზე თავისუფლად განლაგებული ფიგურები მაინც ნათლად აღიქმებოდა. კარებით დანაწევრებულ კარიბჭეში პორტრეტისათვის, როგორც ჩანს, ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო შერჩეული – კედლის თაღი

9 Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, გვ. 63, 64, 72.

10 Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

11 Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

საგანგებოდ გამოყოფდა და აჩარჩოებდა მას.

ქმიტორთა ფიგურები წვრილია, მსუბუქი – პატარა თავი, ვიწრო მხრები და ტორსი, წელს ქვემოთ დაგრძელებული სხეული, პატარა ფეხის ტერფები. ფიგურათა თხელ აღნაგობას ხაზს უხვამს წელში გამოყვანილი კაბა. სილუეტი დანაწევრებულია, თითქოს მყიფეც. ამ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს ოოგორც პროპორციები ასევე წვრილი, მძლავის მახვილი იდავი, რომელიც სამკუთხედს ქმნის სხეულის კორპუსთან, მეორე, ზემოთ აპურობილი ხელი და მისგან ჩამოშვებული ლორონის წაწვეტებული ბოლო.

ქტიოროთა ფიგურების წაგრძელებული პროპორციები, თხელი აღნაგობა გვიანალეოლოგოსთა მხატვრობიდან მომდინარეობს და ნიშანდობლივია როგორც კარიბჭის, ასევე გელათის ტაძრის ცენტრალური სივრცის ჩრდილოეთ კედელზე და წმინდა გიორგის ეკლესიაში გამოსახული საერთო პირთა ფიგურებისთვისაც.

კარიბჭის ფიგურების სტატიკურობას და სიბრტყობრივ ხასიათს განსაზღვრავს გამარტივებული, არაპლასტიკური ნახატი და ტანსაცმლის ხაზობრივ-გრაფიკული მოდელირება. მონაცრისფრო ლურჯი ტანსაცმლის ნაკეცები დამუშავებულია წითელი ნახატით, რომელიც დუბლირებულია შავით. ქტიტორებისაგან განსხვავებით, კარიბჭის მოხატულობის რელიგიურ პერსონაჟთა ტანსაცმლის მოდელირებისას გამოყენებულია ჩრდილები და გამოთვრებები. ზოგან ჩრდილები ძირითად ფერთან კონტრასტულია, რაც გაუბრალოვანული სახით პალეოლითურთა მხატვრობის ფერწერული მოდელირების ანარეკლს წარმოადგენს. წმინდანთა ფიგურების „ფერწერული“, ხოლო საერო პირთა „ხაზობრივი“ დამუშავება საერთოდ ახასიათებს ქართულ მხატვრობას<sup>12</sup> (გარდა „ხალხური“ მხატვრობის პორტრეტებისა, სადაც ფიგურების დამუშავება ერთნაირად ხაზობრივია).

კარიბჭის პორტუგელს დეკორაციულ ხასიათს ანიჭებს სამი – მოწითალო-ფავისფერი, მწვანე და მონაცრისფერო-ლურჯი (ამჟამად გახუნებული ნაცრისფერი) კონტრასტული ფერებისგან შემდგარი ფონი, რომელზეც მკაფიოდ გამოიკვეთება ოქროსფერით გაცოცხლებული ლურჯი ტანსაცმლის ფერადოვანი ლაქები. ფერები ხისტია, გაუმჯობესებული ფერთა დაპირისპირება ქმნის ერთგვარ სიჭრელეს. სამფერი ფონები ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში ჩნდება XIII საუკუნის ბოლოს, აჭის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში<sup>13</sup> და შემდეგ გვიანი შუა საუკუნეების მხატვრობაში გვხვდება (გრემი, ბობქევი, ჩაბაკინი).

გვიანი პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება დავინახოთ ტანსაცმელშიც – წელში გამოყვანილი, პარადული სამეფო გრძელი კაბა XIII ს-ის ბოლოდან აღინიშნება, მანამდე კი ბისონი ასევე გრძელია, მაგრამ წელში გამოუყვანელი<sup>14</sup>; დედოფლის მანდილი არ ფარავს ყელს, როგორც, მაგალითად, თამარ მეფის პორტრეტებზე (ბეთანია, ყინცვისი, ბერთებანი)<sup>15</sup>. მხრებზე თავისუფლად ჩამოშვებული მანდილი გვხვდება XIV საუკუნიდან (ვამეუ დადიანის ეგვტერი ხობში)<sup>16</sup> და შემდეგ მომდევნო ხანის პორტრეტებზე (მაგ., გელათის ტაძრის XVI–XVII სს-ის ქარისტა პორტრეტები)<sup>17</sup>; აღსანიშნავია აგრძელებული მანიაკის არა ერთიანი,

12 Г. Алибегашвили, ფასახ. ნაშრ., გვ. 95.

13 Дж. Иосебидзе, Ростпись церкви св. Георгия в селении Ачи. Памятники культуры. «Новые открытия», Москва, 1975, а.з. 156.

14 პ. ექინასამეცო პორტრეტი იგნაშის დანის ეკლესიის მოხატულობაში. საქართველოს სიმელე-  
ნი, 2. ობ., 2002, გვ. 96.

15 Г. Алибегашвили, დაბახ. ნაშრ., გაბ. 10, 17, 21.

16 οქტωβρίου 37.

17 რ. მეფისაშვილი, თ. ვირხალაძე, გელათი, ტბ. 60; P. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, таб. 28.

ნახევარწრიული მოხაზულობა, არამედ დანაწევრებული, დეკორატიული, სახურავული ამგვარი მანიაქი ხშირად გვხვდება სამეფო ტანსაცმელზე XV–XVI საუკუნეების მხატვრობაში.

როგორც აღინიშნა, გიორგი II და მის მეუღლის პორტრეტზე არ არის შემორჩენილი გამოსახულ პიროვნებათა განმსაზღვრელი წარწერა. ამიტომ მნელია იმის გარევა, გიორგისთან ერთად რომელი მეუღლე გამოსახული – 1578 წელს გარდაცვლილი რუსუდანი თუ მეორე მეუღლე თამარი. დედოფლის ვინაობის დადგენა არც მთავარ ტაძარში არსებულ რუსუდანის და წმ. გიორგის ეკლესიაში გამოსახულ თამარის პორტრეტებთან შედარების საფუძველზე შეიძლება, რადგან რუსუდანის სახე ორივეგან ძალიან დაზიანებულია (ამასთან შუა საუკუნეო გამოსახულებების „პორტრეტულობაც“ ხომ საკმაოდ პირობითია).

თ. ვირსალაძე მიიჩნევს, რომ პორტრეტზე მეფე გიორგი და მისი მეუღლე რუსუდანია გამოსახული, რომელთაც გელათის მონასტერს უბოძეს შენაწირები<sup>18</sup>. წევნც ვიზიარებთ მეცნიერის ვარაუდს. როგორც ცნობილია, რუსუდანი, გიორგი II შვილთან – ბაგრატთან ერთად, ტაძრის ცენტრალურ სივრცეში, ქმიტორთა პორტრეტების მწკრივშია გამოსახული. ვფიქრობთ, თამარის გამოსახულება ამავე ტაძარში არ უნდა მოეთავსებინათ. იგი მეუღლესთან ერთად წმ. გიორგის ეკლესიაშია წარმოდგენილი, და იქვე არის კიდეც დაკრძალული. ამრიგად, მხატვრობა შესრულებული უნდა იყოს რუსუდანის გარდაცვალებამდე, 1578 წლამდე.

საინტერესო საკითხი, თუ რატომ უნდა შეეცვალათ გიორგი II და მისი მეუღლის რუსუდანის პორტრეტი ბაგრატ III და მისი მეუღლის ელენეს გამოსახულებებით. ჩანს, რომ ახალგაზრდა ბაგრატ III დაკვეთით XVI საუკუნის 20-იან წლებში შესრულებული მხატვრობა აღარ აკმაყოფილებდა დამკვეთებს, რადგან ისევ მისი ინიციატივით მოხატვის მეორე ეტაპზე (1557–1565 წწ.), ცენტრალური სივრცის საკურთხევლის მხატვრობა დაიფარა ბათქაშით და ხელახლა მოიხატა, შესაძლოა ბათქაში დაფარა აგრეთვე ჩრდილოეთ კარიბჭეში, ვიწრო მონაკვეთებში “ჩაჭედილი” ბაგრატისა და ელენეს ადრინდელი პორტრეტები. ტაძრის მოხატვის მომდევნო ეტაპზე (1965–1978 წწ.), გიორგი II მეფობის დროს ბაგრატ III გამოსახეს ტაძრის ცენტრალურ სივრცეში, საპატიო ადგილას – ჩრდილოეთ კედელზე განლაგებულ ქმიტორთა მწკრივში, რომელსაც თავში დავით აღმაშენებელი უდგას. ამგვარად გამოხატეს ბაგრატის დიდი დვაწლის დაფასება ქვეყნისა და გელათის მონასტრის წინაშე. ჩრდილოეთ კარიბჭეში კი გიორგი II პორტრეტი გამოსახეს, რომლის სადიდებლად მოახატინა კარიბჭე ანტონი მთავარეპისკოპოსმა.

გიორგი II-სა და მისი მეუღლის პორტრეტი ერთი საინტერესოთაგანია გელათის მონასტრის ეკლესიებში წარმოდგენილ იმერეთის მეფეთა რამდენიმე თაობის გამოსახულებათა შორის და მეტად მნიშვნელოვანია გვიანი შუა საუკუნეების საქმიტორო პორტრეტისა და მონასტრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

## Irine Mamaishvili

### Donor Portrait in the Murals of North Porch of the Gelati Katholikon


Murals of the Gelati monastery *Katholikon*, as well as those of its annexes, contain numerous portraits of the donors – Georgian kings and queens, members of the royal families and clergy.

18 თ. ვირსალაძე, საარქივო მასალა.

In 1953, in the north porch anonymous donor image was discovered by the conservation painter Sh. Abramishvili under the sequence of donor portraits (neither provided with the explanatory inscriptions). Since the composition of the older layer was quite unusual – handing of the insignia to the king and the queen – portraits of the upper layer were removed and transferred to the Museum. Identification of the donors on the older layer (preserved in situ up to now) was long disputable – the king depicted here was considered to be one of the kings of Imereti, either Bagrat II (1466-1477) or Bagrat III (1510-1565). Finally, it was ascertained that the donor image was to be identified with Bagrat III, King of Imereti and the portrait was ascribed to 1520s, the period of his first commission to embellish Gelati. Identity of the king depicted on the upper layer was ascertained based on the inscription of Anthony *Matskvereli* (Bishop of Atskuri), later on *Genateli* (Bishop of Gelati), which mentions George II King of Imereti (1565-1583).

Murals highlighting the idea of the Holy Sacrifice and Salvation through numerous images of the Saints, the Virgin Hodegetria, Miraculous Multiplication of Loaves and life scenes of St. John the Baptist, are placed in the porch erected in the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc. General composition of the removed donor scene is pricised based on the scheme made by T. Virsaladze – the king and the queen were depicted standing on both sides of the door and received benediction from the Saviour (half-figure, still left in situ). The royal couple is represented in 3/4, with their hands upraised and clad in the Byzantine royal vestments – these scheme of the Paleologan-Balkan origin is well known in the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> cc. Georgian mural painting; however, in the majority of cases, the donors are depicted frontally, which is neither unparalleled for the epoch under discussion. In Gelati the donors are given quite a non-traditional place (flanking the door), but it seems likely that this location was considered to be most suitable and well visible. Thinness of figures and their vestments are typical of the epoch; also noteworthy is greater linearism in the depiction of donors, as compared to the images of the Saints.

One more question is the identification of the queen – which of the two, the first wife of George II, Queen Rusudan, or his second wife, Queen Tamar was represented in this scene. The author shares a supposition put forward by T. Virsaladze, identifying her with Queen Rusudan, who passes away in 1578 (Queen Tamar was represented in the murals of the Gelati church of St. George, where she was later on buried). It seems likely that the portrait of Bagrat III was plastered during the second stage of decoration the church, initiated by him and George II had his father's portrait painted in the main space, on a honourable place, in the sequence of donor portraits, while Anthony *Matskvereli* had commissioned the portrait of George II in the north porch.




ნახ. 1. – გიორგი II-სა და მისი მეუღლის საქტიობო პორტრეტი. სქემა  
(შესრულებულია თ. ვირსალაძის მიერ)



სურ. 1 გიორგი II პორტრეტი



სურ. 2. დედოფალ  
რუსუდანის პორტრეტი



ნახ. 2. ბაგრატ III და დედოფალი  
ელენე. სქემა (შესრულებულია თ.  
ვირსალაძის მიერ)



სურ. 3. ბაგრატ III-სა და დედოფალ  
ელენეს პორტრეტი მეფედ  
კურთხევის კომპოზიციაში

გულნაზ ბარათაშვილი  
 საქართველოს ეროვნული მუზეუმი.  
 შ. ამირანაშვილის სახ.ხელოვნების მუზეუმი.

## დედოფალ ანა-ხანუმის დაფარნები

ქართული მხატვრული ქარგულობის საქმეში, ეკლესია-მონასტრებთან არსებული სახელოსნოების პარალელურად, უძიდესი როლი სამეცნიერებლო სახლმა ითამაშა, რაც ნაქარგობის მთელ რიგ ნიმუშებზე წარწერებითაა დამოწმებული. მათ შორის დიდი ღვაწლი ქართლის დედოფალ ანა-ხანუმსაც (1746-1788) მიუძღვის. სილამაზითა და კეთილგონიერებით განთქმულ დედოფალს ასე ახასიათებენ მისი თანამედროვეები:

„ესე ყოველთა ბანოვანთა შორის უმეტეს აღმოცისკრებულ იყო და სხივსა მისსა მზისა შარავანდი ბნელ ექმნა, შვიდნივე მნათობნი ცისანი მონებად დაგრდომილ-იყვნეს და სიბრძნისა მიერ გონება აღზენავ-აღებსროლო“.

ანა-ხანუმის შემოქმედებიდან წარწერებით დამოწმებული ხუთი ნიმუშია ჩვენთვის ცნობილი: დაფარნები თბილისის სიონის ტაძრიდან – სამი ცალი (კომპლექტი), წმ. ნინოს ლუსკუმის საფარებელი ბოდის მონასტრიდან<sup>1</sup> – ერთი ცალი და ერთიც საფლავის საფარებელი, რომელიც დედოფალმა ქალიშვილის – ელისაბედის გარდაცვალების შემდგომ, 1770 წელს მოქარგა<sup>2</sup>.

აღნიშნული ნიმუშებიდან ოთხი შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ელისაბედის საფლავის საფარებელი კი ინახებოდა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც 1997 წ. სანძრის შედეგად დაიწვა. დაფარნათა კომპლექტი (სურ. 1, 2, 3) თბილისის სიონის ტაძრიდან ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში 1924 წელს შემოვიდა.

ფეშეუმისა და ბარძიმის პერიექტები საკმაოდ კარგადაა დაცული. ცავ კი დაზიანებულია, განსაკუთრებით – მისი მარჯვენა მხარე. ატლასის მიწარი ალანძულია, ფერშეცვლილი, აბრეშუმის სამაგრი ძაფები დაწყვეტილი, ლითონის ძაფები (ოქროსა და ვერცხლის თმა) – აშლილი და აბურდული. ტრადიციულად ლითონის ძაფებით ნაქარგი ნიმუშები დრო-შამს კარგად უძლებს და კარგადაც ინახება. ანალოგიური დაზიანების შემთხვევა მუზეუმში დაცულ სხვა მასალაზე არ დასტურდება. ჩვენი აზრით, ამ სახის დაზიანება მაღალი ტემპერატურის შედეგი უნდა იყოს: გახურებულმა ლითონის ძაფებმა გაფართოების შედეგად დაწყვიტა აბრეშუმის სამაგრი ძაფები და შედეგად მივიღეთ ზემოაღწერილი დაზიანება (ამჟამად დაფარნა რესტავრირებულია, სამუშაო შეასრულა რესტავრატორმა ნინო სოხაშვილმა).

გვიანი შუა საუკუნეების საეკლესიო დანიშნულების მხატვრულ ქარგულობაში დაწყებული შემოქმედებითი ძიებანი იკონოგრაფიის ცვლილებებისა და განახლებისკენ იყო მიმართული. ამ პერიოდის ქრისტიანული ხელოვნება იმეორებს ადრექტისტიანულ ხელოვნებაში შექმნილ სახეებსა თუ დეტალებს, პარალელურად კი შეინიშნება აღმოსავლური და დასავლური კულტურისა და ხელოვნების

<sup>1</sup> ე. სულხანიშვილი, საფლავის ქვის გადასაფარებლები. ნარკევები, IX, ობ., 2004, გვ. 105.

<sup>2</sup> ჯ. საღინაძე, უნიკალური ნაქსოვ-ნაქარგი. საბჭოთა საქართველო, №8. 1969. გვ. 69. П.С.Уварова Поздека в Пшавли, Хевсурети и Сванети, МАК, т. X. М., 1904, გვ. 182. იქვე. გვ.33; ს.ბარნაველი. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი. სსმმ X-. გვ. 206.

გავლენებიც, რის საფუძველზეც შეიქმნა ახალი ქართული ხელოვნება, რომლის შესახებაც შ. ამირანაშვილი წერს: „დასავლეთ ეკრანის ხელოვნების ელემენტები შეერწყნენ ქართულ მხატვრულ ტრადიციებს, რის შედეგადაც გამომუშავდა ახალი სტილი ქართულ ხელოვნებაში, რომელიც მოწმობს იმ დიდ გარდატეხაზე მხატვრულ აღქმასა და აზროვნებაში, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ახალი ქართული ხელოვნების შესაქმნელად“<sup>3</sup>.

XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში დაფარნათა მორთვის მთავარ შინაარსობლივ და მაორგანიზებელ ელემენტად ორნამენტი იქცა. სახოვან გამოსახულებებს სიმბოლური მნიშვნელობით დატვირთული მცენარეული ორნამენტი და სიმბოლური ნიშნები შეენაცვლა. შეიქმნა ორნამენტით მორთვის საგანგებო დეკორატიული სისტემა. მათი მეშვეობით მოხდა რთული ოქოლოგიური ცნებებისა თუ სიუჟეტების გადმოცემა<sup>4</sup>.

ტრადიციად და განვითარებულ დაფარნამ გაგრძელება ანა-ხანუმის შემოქმედებაშიც პოვა, სადაც მოელი სისრულით წარმოჩინდა ეპოქის ეული მხატვრული პროცესი. მის მიერ შესრულებული დაფარნების შესწავლამ და შედარებითმა ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მათზე გამოსახულ კომპოზიციებში დავინახოთ თეოლოგთა მიერ უკვე დამუშავებული და გააზრებული სიუჟეტები, რომლებიც ჩვენ სვეტიცხოვლის პერექელებსა თუ თამარის ეულ დაფარნაზე „ამოვიკითხეთ“. თამარის ეულ დაფარნაზე წარმოდგენილ ერთ კომპოზიციაში ჩატეული სიუჟეტები ანა-ხანუმის დაფარნათა კომპლექტზე „მარტივ მართავლებადა“ დაშლილი და გადანაწილებული. მისმა შესწავლამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქართველი ოსტატები მუდამ ახლის ძიებაში არიან და არა და არა „გატკეპნილი გზით“ მოსიარულები.

სცენები სამივე დაფარნაზე დამოუკიდებული, დასრულებული კომპოზიციური გადაწყვეტით ხასიათდება და „უმთავრესად „ლიტურგიული მსხვერპლის“, „ზიარებისა“ და „მეორედ მოსვლის“ თეოლოგიურ იდეას გადმოსცემს. მავდროულად, მთელი კომპლექტი განიხილება როგორც ერთიანი იკონოგრაფიული პროგრამით მორთული ნაწარმოები, გამოლიანებული და ხაზგასმული ენდორსფერი მიწარითა და იდენტური სახის მოჩარჩოებით. სამივე ძირითადი ყურადღება, ტრადიციულად, ცენტრში წარმოდგენილ კომპოზიციებზეა გამახვილებული, სადაც წამყვანი ადგილი ზიარებაზე მიმანიშნებელ ყოფით დეტალებს (ბარძიმი, ფეშეუმი, ტრაპეზი) ეთმობა. მათი მეშვეობითაა განსაზღვრული თითოეული მათგანის ფუნქციური დანიშნულება.

მხატვრული თვალსაზრისითაც დედოფლის ეული ნამუშევრები უდაოდ გამორჩეული და დახვეწილი ნიმუშებია. შესრულების არაგვეულებრივი მაღალი დონე მედავნდება როგორც მოელი კომპოზიციის ორგანიზებაში, ისე ცალკეული დეტალის დამუშავებაში. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ასევე არაგვეულებრივად მდიდარი და მრავალფეროვანი ორნამენტის გამოყენება, სადაც კოლორიტი ცოცხალი და გამომსახულებითია. ორნამენტის პარალელურად, როგორც კომპოზიციის აგებისა და გამთლიანების ელემენტს, დიდი ადგილი უჭირავს მოძრავ, დინამიკურ ხაზსაც. ხაზია რიტმული აქცენტების შემქმნელი. კომპოზიციები წრიულ-სპირალურ პრინციპზეა აგებული, სადაც წრეა მაორგანიზებელი ელემენტი,

3 შ. ა. ამირანაშვილი, გრუზინული მინიატურა, მ., 1966, გვ. 36.

4 გ. ბარათაშვილი, ბატონიშვილ თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი.

ნარკვევები, VI, თბ., 2000. გვ. 111; ი. მელიქიშვილი, საბუხარო წევილი დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრიდან. ნარკვევები. VI, თბ., 2000, გვ. 106; გ. ბარათაშვილი, დაფარნათა კომპლექტი სვეტიცხოვლიდან. ნარკვევები, VIII. თბ., 2003, გვ. 68.

რომელიც დამატებით გარკვეული სიმბოლური შინაარსითაცაა დატვირთული. ანა-ხანუმის მიერ შემოთავაზებული ღრმად გააზრებული იკონოგრაფიული პროგრამა, მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვეტილი დეკორატიული მხარე, ნიშანია იმისა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მხატვრულ ქარგულობაში ტრადიცია არ დარღვეულა, შენარჩუნებულია მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურა და დონე. მქარგველმა ნაცხობი თემატიკა და იკონოგრაფიული რედაქციები გაართულა, ძველი სახეები „გააცოცხლა“ და ახალი დეტალებით შეაფხო. ამ მხრივ საყურადღებო ფეშეულის პერექელი (სხმ/ნ 3434 ნახ. 1).

პერექლი ენდოსფერი ატლასისაა. კვადრატის ფორმის (ზომა: 47,5x47,5 სმ). კომპოზიცია წრიულ მოდელზეა აგებული მკვეთრად აქცენტირებული ცენტრით. მთავარ გამოსახულებას ვარსკვლავდაღგმული ფეშუმი წარმოადგენს. ოქროსთმით მოსითგულ ფეშუმზე ხაზგასმულია ვერცხლისთმის ტარიგი – კრავი ოქროსფერი ბავრაყით ხელში.

როგორც ვხედავთ, ოსტატმა თავი აარიდა იკონოგრაფიული სქემის ერთფეროვნებასა და მსხვერპლის ტრადიციული ფიგურის – ემანუელის ნაცვლად კრავი გამოსახა უშარავანდო – ადრექტისტიანულ ხელოვნებაში ფართოდ გაფრცელებული სიმბოლო-ნიშანი. ამ შემთხვევაში იგი „ტარიგი დმრთისა, რომელმან აღიძუნეს ცოდვანი სოფლისანი“, არის აქ წარმოდგენილი პროგრამის მთავარი ფიგურა.

“ტარიგი” ძეველ აღთქმაში ეწოდებოდა ისრაელთა მიერ პასექობაში უმანკო კრავის შეწირვას ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად, რომელიც პირდაპირ მოასწავებდა ჯვარცმულ იქსო ქრისტეს.

კრაგის გამოსახულებას საფუძვლად ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები დაქვო:

„იგი განბოროტებისათვეს არა აღადებს პირსა თუსსა, ვითარცა ცხოვარი, კვლად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი წინაშე მრისველისა თუსსა უტმო, ეგრეთ არა აღადებს პირსა თუსსა.” (ესაია – 53-7).

პერექელზე გამოსახული კრავი ახლო ანალოგიას ამჟღავნებს სომხური ხელოვნების ნიმუშებთან, როგორიცაა ჭედური ფირფიტებით მორთული მაუდის დორისპირი (XVIII ს.)<sup>7</sup>. ნაქარგობით შესრულებული ფარდის მოსართავი (XVIII ს.) და 1754 და 1760 წლებით დათარიფებული ბარბიტის საფარებლები<sup>8</sup>.

მსგასება მხოლოდ დროშიანი კრავის გამოსახულებით და მისი მდებარეობით (მათაც ცენტრალური აღგილი უჭირავო) შემოიფარგლება. ქართულისაგან განსხვავებით, „სომხური კრავები“ სხივმფენ წრეებშია მოთავსებული და ყველა მათგანს შარავანდი ან შარავანდზე მიმართ შენებელი გამოსახულება აქვს.

უფრო ადრეული ნიმუში კრავის ფიგურით გვაფიქრებინებს მათი საერთო პროტოტიპის არსებობას, რითაც ქართველ—სომები ოსტატები სარგებლობდნენ. ასეთ ორიგინალს წარმოადგენს მარტინ ლუთერის (1483-1546 წწ.) წიგნის საბჭდავი<sup>9</sup> და ევროპული წარმომავლობის ქსოვილის ფრაგმენტი (XVIII ს.).<sup>10</sup> სრულიად

5 ბავრავი – საეკლესიო დროშა (სულხან-საბა).

<sup>6</sup> სწავლა შედგენილი მდვდელ რაჟდენ გიგაუროვის მიერ, ქუთაისი. 1875, „აღმოსავლური განებების დათისმასახურება“, №1, 1993, გვ. 81.

<sup>7</sup> Сокровища армянской церкви из собрания святого Эчмиадзини, СПбб 2000, аз. 95. № 67.

8 Сокровища Эчмиадзина, Ереван, 1984.

9 Г.Бидерман, Энциклопедия символов, М., 1996, гл. 23.

10 ქსოვილის ფრაგმენტი დაცულია ხელოვნების მუზეუმის ნაქ. და ქს. კოლექციაში. სხვ/6 3409.



დასაშვებია, აღნიშნული გამოსახულებანი გამხდარიყო ქართველი და სომები მომავალი ცხრილის შთაგონების წყარო.

კრავი, როგორც ძველი აღთქმის შესაწირავი, ტრულის კრების (691-692 წწ.) დადგენილების შემდგომ მართლმადიდებლური ქვეყნების სახვით ხელოვნებაში აღარ გამოისახებოდა.

მაშინ რის საფუძველზე გაბედა და „გაბოცოცხლა“ დედოფალმა ეს აკრძალული სიმბოლო? ამისი ახსნა შესაძლებელი ხდება იმდროინდელ საქართველოში შექმნილი ისტორიული ფონის გათვალისწინებით.

XVIII საუკუნეში საქართველოში სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება არსებობდა. განსხვავებული მრწამისისა და რელიგიის მიმდევრებს ხელისუფლება არ ზღუდავდა და ხელს არავის უშლიდა. ამის შედეგად კათალიკოს ანტონი I-ის მოღვაწეობის პერიოდში, განსაკუთრებით კი 1744–1749 წლებში, სომებ მონოფიზიტა პროპაგანდამ თავის აპოგეას მიაღწია. მათ წინააღმდეგ გამოცხადებულმა ბრძოლამ ანტონი I დასავლეთის მისიონერებს, განსაკუთრებით ლათინელ პატრიქებს დააახლოვა, რომლებმაც, ეტყობა, 1754 წელს ანტონი I საბოლოოდ გადაიბირჟს და თავის სარწმუნოებაზე მოაქციეს, რის გამოც სინოდმა 1756 წელს ანტონი I გაისამართლა<sup>11</sup>.

ამდენად, ანა-ხანუმს კრავის – ამ მივიწყებული სიმბოლო-ნიშნის გამოსახვის უფლებას აძლევდა ქვეყანაში არსებული სიტუაცია, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, წმინდა წერილი, როგორიც „ახალი აღთქმა“ – „გამოცხადებაში“ კრავი მაცხოვრის სინონიმად ოცდაექვსჯერ გვხვდება<sup>12</sup>.

აქვთ მინდა დაგძინო, რომ სწორედ ანტონი I-თან დაკავშირებული ზემოაღწერილი არასასიამოგნო ფაქტი დაგვეხმარა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაქარგობის ნიმუშების თარიღის დაკონკრეტებაში. პერექელზე ანა-ხანუმი „დედოფლადაა“ მოხსენიებული:

ԾԾՓՂԵՐԵ ՀՀԾՀԱ ԲՈՋԵՐԵ Ճ-ՂԵԾՄԵԼԻՎՆԵՐ

დ(ე)დ(ო)ფლის ანახ(ა)ნუმის მოსახსენ(ე)ბლ(ა)დ.

1746 წელს ოქიმერაზ II-მ ანა-ხანუმი ცოლად დაქვრივებიდან მალევე შეირთო. ანტონი I-ის გასამართლების (1756 წ.) შემდგომ დედოფალი, ალბათ, აღარ ისურვებდა ამგვარი სიბოლოს გამოსახვას. გამომდინარე აქედან, ჩვენს მიერ წარმოდგენილი დაფარნათა კომპლექტი 1746-1756 წლებში მოქარებულად მივიჩნიეთ.

ოსტატმა კომპოზიციის აგებისას გამორჩეული ცენტრალური და დიდი ადგილი დაუთმო და წრით გამიჯნა ვარსკვლავიანი ცეშებუმ<sup>13</sup> – ტარიგის საბრძანებელი,

11 თ. ქორდანია. ანტონ I. ქ. „საღვთისმეტყველო კრებული“ №1, ობ., 1991. გვ. 34. იქვე გვ. 78. ალ. ხახანაშვილი. კათალიკოს ანტონ I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქ. „საღვთისმეტყველო კრებული“ გვ. 78.

12 ḡṣṣm(3)b. 5–6, 8, 12, 13; 6–1, 16; 7–9, 10, 14, 17; 12–11; 13–11; 14–1, 4, 10; 15–3; 17–14; 19–7, 9; 21–9, 14; 21–22, 23, 27; 22–1, 3.

13 ფეხშეგი - (გერძ. დისკოს - „მრგვალი თევზი“) - იმ თევზის სიმბოლოა, რომელიც მაც თავარმ აძმოუჩა სიათვემთვ სართვაზე მისი სიმრავათა ძრისტიანული აუთიკის მარტივობის

ін'єкції, діагностики та лікування. У цьому випадку вони є джерелом ризику для здоров'я пацієнтів та медичного персоналу. Головна проблема полягає у тому, що використання цих інструментів може привести до засмічення та передачі хвороби від одного пацієнта до іншого. Це може статися як через неправильну обробку інструментів, так і через недостатнє захисту медичного персоналу.

რამდენადაც ამ საგნითაა განსაზღვრული წარმოდგენილი პერექელის ფუნქციების დანიშნულება და „ზიარებაზე“ მინიშნება.

ოქროსტმით მოსითვული დიდი ზომის ფეშეუმი (h=12,5 სმ; D=18 სმ.) ფორმითა და მაღალი ფეხით ბარძიმს ჩამოჰვავს, რითაც მეტ სიახლოეს ამჟღავნებს რუსულ ფეშეულებთან, რომლებიც ფრესკებსა და ხატებზე, ჭედურობასა და ქარგულობის ნიმუშებზეა დაცული<sup>14</sup>.

ოსტატმა განსხვავებული ტექნიკური სახეებით – “ელასტურ-ტეხურით“ და „რომბულებით“ „გამოჭედა“ ფეშეუმის ზედა, გარეთ გადმოზნექილი კიდე და „წიაღი“. მათივე მეშვეობით შექმნა სიღრმის შთაბეჭდილება, რაც საკმაოდ ძნელი მისაღწევია ლითონის ძაფებით ქარგვისას, მითუმეტეს თუ ეს სამუშაო ერთიდაიგივე სახეობის ძაფით სრულდება. „საგანგებოდა“ დამუშავებული ფეშეუმის გვერდებიც გარკვეული ინტერგალებით დაცილებული ჭდეული ვერტიკალური ხაზები და კონტრასტული ტექნიკური ხერხებით („კილოური“ და „ტეხური“) შესრულებული ხაზთაშორისი მონაკვეთების არსებობით გარკვეულწილად დაძლეულია გამოსახულების სიბრტყობრიობა, სქემაზურობა. ამავე ხერხითაა დამუშავებული ფეშეუმის ფეხიც, რომელიც ზედა ნაწილთან ვარდულითაა დაკავშირებული.

პერექელზე გამოსახულ კომპოზიციაში „მსხვერპლის თემასთან“ შერწყმულია „მსხვერპლის თაყვანისცემაც“, რაზედაც მიანიშნებენ დიაკვნის სამოსით შემოსილი ანგელოზები ქარუბინის გამოსახულებიანი წყვილ-წყვილი ლაბარუმით ხელში, რითაც გაძლიერებულია ცენტრალური სცენის ესქატოლოგიური აზრი, რამდენადაც აქ აპოკალიფსის (გამოც. 4, 5–12–13) ანდა, თუნდაც საგალობლის სიტყვებიცაა ხორცშესმული:

„კორცი უფლისად, სისხლი მაცხოვრისად წინაშე დგანან ზეცისა ძალნი, უხილავად მსახურებენ, ჯმითა დიდებულითა დაღადებენ და იტყპან ზეცისა გალობასა: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო“<sup>15</sup>.

ასევე ცის სეგმენტი, ღრუბლების სახით, რაზედაც გავლენა ათონურ ოდიკებსა<sup>16</sup> და რუსული ქარგულების ნიმუშებს უნდა მოეხდინა.

დამთავრების შემდეგ ვარსკვლავს ჯვრულად დადებენ ფეშეუმზე სიტყვებით: „და აპა, ვარსკვლავი იგი, რომელ იხილეს აღმოსავლეთით... და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი“ (მათვ: 2-9). ვარსკვლავი (ვარსკვლავს ჟეორენაირად კამარასაც ეძახიან – იხ. პ. კველიძე. ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XIV, თბ., 1986. გვ.206.) ისეთნაირად დაიდება, რომ ცენტრში ტარიგი მოხვდეს, რაც სიმბოლურად მაცხოვრის შობისას ბეთლემის თავზე აღმობრწყინებულ ვარსკვლავს ნიშანებს, რომელიც მოგვებს გზას უჩვენებდა. ვარსკვლავი თავისი ორი მკლავით მაცხოვრის თრბუნებოვნების გამოხატულებაა. მისი ჯვრული ფორმა მიანიშნებს იარაღს, რომლითაც იხსო ქრისტემ დაღუპვისაგან იხსნა გაცობრიობა. როგორც ვარსკვლავის მქლავები, ასევე მაცხოვრის შობა და ჯვარცმა ერთმანეთთან დაკავშირებული.

საზიარებელ ძევებზე დასმული ვარსკვლავი ლიტურგიის საწყის ნაწილს ინკარნაციისა და შობის სიმბოლოდ აქცევს (H. J. Schulz, Die byzantinische Liturgie, Freiburg, 1964, გვ. 37).

ვარსკვლავს პრაქტიკული დაინიშნულებაც აქვთ: იცავს ფეშეუმზე მოთავსებულ წმ. ნაწილებს პერექელის შეხებისაგან. ვარსკვლავის ხმარებაში შემოტანა წმ. იოანე თქროპირს უკავშირდება (იხ. Настольная книга ... გვ. 90).

14 ივევის წმ. მიქაელის მონასტრის საკურთხეველი (იხ. Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства. СПб., вып. 4, გვ. 125–126, 163; პონავევის მიძინების ლავრაში დაცული ფეშეუმი (იხ. Димитрий епископ Рязанский, Древний дискос Новгородский в ризнице Почаевской лавры. «Светильник», №6–7, 1913, გვ. 23); იქვე, ნოვგოროდში ანტონისა და ხუბინის მონასტრებში დაცული XVII ს-ის დაფარნები.

15 უძველესი იადგარი. თბ., 1980. გვ. 450.

16 Μαριε ε Θεοχαρη. Αντιμητια εκ τοψ εκεψιφλακοψ της μοιης τοψ εινα, Εν Αφηναιε, 1972, ტაბ. 6,9,10; ხელოვნების მუზეუმში დაცული ოდიკები სხმ/2758, 2760.

პერექელზე განპყრობილი მამა-ღმერთის ნახევარფიგურა ცის სეგმენტში მოთხოვდა „აპა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სუბუქს“ (ესაია: 19-1).

მამა-ღმერთის წიაღში მტრედის გამოსახულებაა, მის ქვემოთ – ექსსხივიანი ბეთლემის ვარსკვლავი.

ა. გრაბარის აზრით, პირველი დეტალი (მტრედი – სული წმიდის სიმბოლო) მაშინ ჩნდება ამა თუ იმ სცენაში, როცა ხაზი ესმება ინკარნაციის მისტერიას. მეორე დეტალი – ბეთლემის ვარსკვლავი,, „შობის“ ატრიბუტის გარდა,, „ამაღლების“ სცენაშიც გახვდება, როგორც სიმბოლური განსახიერება ღმერთის განსხვეულების სასწაულისა<sup>17</sup>. ჩვენს შემთხვევაში კი იგი დამატებით მაცხოვრის ამაღლებასაც უნდა მიანიშნებდეს. ამ განცხადების უფლებას იძლევა „დროშიანი კრავი“, რომელიც, ძლევის პარალელურად, „აღდგომის“ სიმბოლოცაა.

პერექელზე მარგანიზებული ელემენტი წრეა. ფორმათა შორის წრე ყველაზე სრულყოფილი უნივერსალური სიმბოლოა. დაუსაბამობის, უსასრულობის გამო ღმერთი წრესაა შედარებული, „რომლის ცენტრი ყველგანაა, გარშემოწერილობა კი – არსად“ (პერმეს ტრისმეგისტოსი)<sup>18</sup>. კომპოზიცია ორი წრის მეშვეობით ორ ნაწილადაა გაყოფილი თვითეული ჩართულია დეკორის საერთო პროგრამაში როგორც დამოუკიდებული, მაგრამ იმავდროულად ყველა სხვა გამოსახულებასთან აზრობრივად მტკიცედ დაკავშირებული თემა. ამ შემთხვევაში წრეები მიწიერი საეკლესიო ლიტურგიისა და ზეციური საღმრთო ლიტურგიის გამიჯვნისა და ამ ლიტურგიათა მუდმივობის გამოხატულებას ემსახურება.

წრიულობის პრინციპთან ერთად შეინიშნება ცენტრის მკვეთრად ხაზგასმისა და ცენტრისკენ დინამიკური სწრაფვის ტენდენცია. ქრისტინ-სერაფიმთა ფრთები, ანგელოზთა სხეულები წრეთა შორის სივრცეზე „მორგებულადაა“ შესრულებული. მახარებელთა სიმბოლოების ოდნავ მორგალული და ზედმეტად დაგრძელებული ფრთებიც ამავე მიზანს ემსახურება. წრეებს შორის მოთავსებული სცენის ორიენტაცია, რიტმული მთლიანობა და აღქმის თანმიმდევრობა ლოგიკურად დასმული აქცენტებით განისაზღვრება, სადაც გარკვეულ როლს თამაშობს ვერცხლისთმით მოსითეული შროშანები, რომელთაც მთავარი სცენის მორთულობაში, მართალია, დაკარგული აქვს მარგანიზებული ელემენტის როლი და მხოლოდ აქცენტების სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს სულაც არ ამცრობს მათს სიმბოლურ მნიშვნელობასა და აზრს.

ქრისტიანულ ხელოვნებაში შროშანის სიმბოლურობა ძალზე ვრცელია:

1. იგია სიწმინდის, უმანკოების დამრთის მშობლის სიმბოლო 2. ნიშანია „აღდგომისა“ და „ამაღლებისა“, 3. დეროდ აღმართული – დავთიური აზრის გამოხატულებაა<sup>19</sup>, 4. იგი, სხვა ყვავილების ანალოგიურად, სიმბოლოა ზეციური სამოთხისა, სულთა საბინადროსი. 5. ყვავილი ზოგადად ( ჩვენს შემთხვევაში შროშანი) მაცხოვრის ეპითებია<sup>20</sup>.

ამა თუ იმ სამბოლური ნიშნის სწორად განსაზღვრისათვის უურადღება უნდა მიექცეს ადგილს, „გარემოს“, სადაც იგია განთავსებული. მაგ.: უბისის

17 A. Grabar. Les ampoules de Terre Seinte, Paris. 1958. გვ. 60-61.

18 F.F.C. Cooper, Lexikon alter Symbole, Leipzig, 1986, გვ. 90.

19 F.C. Cooper, Lexikon ... გვ. 110, გვ. 26.

20 ებვიფანე კვიპრელი (IV ს-ის II ნახევარი), ფევერ-დიონისე არეოპაგელი (V ს.), იოანე საბანისძე (XI ს.) ქრისტეს „ყუავილად“ მოხსენიებენ. იოანე მტბევარის (X ს.) საეკლესიო საგალობლებშიც ამავე მნიშვნელობისაა ტერმინი „ყუავილი“. ი. ჩ. ჩუბინაშვილი, ხანდისი, თბ., 1972, გვ. 95.

გარდამოსსნაზე (XVI ს.) „ღეროდ აღმართული შროშანი“, რომელიც მარცხენაჭავჭავაძის კუთხეში წმ. იოანე მახარებლის სიმბოლო-ნიშნის, არწივის ქვემოთაა ამოქარგული<sup>21</sup>, ცვლის „მაცხოვრის ამაღლების“ სცენას, რომლითაც მორთულია მთელი რიგი ქართული გარდამოსსნები, და რითაც გამოირჩევიან და განსხვავდებიან ისინი სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების გარდამოსსნებისაგან<sup>22</sup>.

„ხარების“ სცენაში შროშანი ღმრთისმშობლის უმანკოების ხაზგასმის პარალელურად, მინიშნებაა ყრმის უბიწო ცასახვაზე.

რაც შეეხება ანა-ხანუმის პერექელზე გამოსახულ შროშანებს, მისთვის წინასწარგაზრებულადაა გამოყოფილი განსაზღვრული ადგილი – ორი წრიო შემოფარგლული „ზონა“, რომლის საზღვრები არსადაა დარღვეული. აღნიშნულ „ზონაში“ მათი განთავსებით ოსტატმა უშუალოდ მიანიშნა „ზეციურ სამოთხეზე“ – ღმრთისმშობლის საუფლოზე<sup>23</sup>, სადაც

„ვერ შევლენ სიბილწისა თუ სიცრუის ვერც ერთი მოქმედი და თანაზიარი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელიც ჩაწერილი არიან კრავის სიცოცხლის წიგნში“ (გამოცხ.: 21-27).

შროშანთა ორნამენტული გამოსახულება საკმაოდ ხშირია ძველ ქართულ რელიეფურ პლასტიკაში. ჩვენი შროშანების ანალოგიური გამოსახულება გვხვდება წილკნის სამხრეთი სარკმლის (V ს. II ნახევარი) მორთულობაში, ბოლნისის (VI ს.), ბაშკიჩითისა (VI ს.) და ზედა თმოგვის (VI ს.) სტელეზე, ქვემო ბოლნისის (VI ს.) კაპიტელზე<sup>24</sup>.

აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის გავლენით შროშანთა გამოსახულებამ ფართო გავრცელება პპოვა გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთის ხელოგნებაში და ამ პერიოდიდან იგი დასავლეთის კუთვნილ სიმბილოდ იქცა.

ფეშეუმის პერექელზე თეოლოგიური პროგრამის ძირითად აზრს ცენტრალურ ვერტიკალზე განლაგებული ფიგურები წარმოადგენენ: „ციურ ზონაში“ – მამალმერთი – მსაჯული და მსხვერპლადგამდები მხოლოდ შობილი ძისა; „მიწის ზონაში“ – პირველქმნილი ცოდვით დაცემული ადამი, რომელმაც დაკარგი სამოთხე და დაცილდა დმერთს. მათ შორის „შუამავალი“ განკაცებული, ხორცით შემოსილი უფალი, რომელიც ადამიანის სხინისათვის კვდება გოლგოთაზე და მის სისხლსა და ხორცს ნაზიარებ ადამის მოდგმას არიგებს ღმერთთან და გზას უხსნის სამოთხისაკენ.

„ზიარების“, „ვენახისა“ და „მსხვერპლის“ თემის უჩვეულო და საინტერესო გამოსახულებაა წარმოდგენილი ბარძიმის პერექელზე (სხმ/ნ 1380; ზომა 39×39 სმ. ნახ. 2) ნაცნობი, „მშობლიური“ ორნამენტული მოტივებით და ტრადიციული სიმბოლური ნიშნებით (ბარძიმი, ვაზი) ოსტატმა შეძლო სრულიად განსხვავებული კომპოზიციის შექმნა, რომლის პირდაპირი პარალელი ვერსად მოვიძიეთ. რუსულ ნაქარგობაში, ბერძნულის ანალოგიურად, ბარძიმისათვის განკუთვნილ პერექელებზე არც ბარძიმი შეგვხვედრია და არც ვაზი—მტვევანი. მათზე გამოსახულია უმთავრესად „ნიშოვანი ღმრთისმშობელი“<sup>25</sup>.

21 ვ. ბერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, თბ., 1983, ტაბ. 3.

22 მეფე გოთრები VIII-ის (1446-1466 წწ.), ასრამ დედოფლის (1632-1680 წწ.), გივი ამილახვრის (1678- 1694 წწ.), ზილფიჯანის (1691 წ.). გარდამოსსნები იხ. ვ. ბერიძე. ქართული ნაქარგობის ტაბ. 1, 6, 11, 13.

23 Е.Л.Привалова, Ростислав Тимотесубани. Тб., 1980, ტაბ. XXVI.

24 Н. Чубинашвили. Хандиси, ტაბ. 35, 73, 70, 80, 43.

25 Искусство Строгановских мастеров, Л., 1987, № 103. П.Манушкина, Художественное шитье древней Руси в собрании Загорского музея, М., 1983, № 76. В.Георгьевский, Древнерусское шитье в ризнице Троице-Сергиевой лавры, Светильник № 11-12, 1914, ტაბ. VII, VIII. Хлебникова Н. А., Древнерусское ли-

მოძიებული მასალის შესწავლის საფუძველზე სავარაუდებელია, პრემიუმის ბარძიმი და ვაზი დაფარნათა მორთულობაში მხოლოდ ქართული მხატვრული ქარგულობისთვისაა დამახასიათებელი.

ანა-ხანუმის პერექელზე კომპოზიციის მთავარ აქცენტს ბარძიმი წარმოადგენს. ბარძიმი (ბერძ. – პოტირ) ფეშუმის ანალოგიურად, თავისი წარმომავლობით საიდუმლო სერობასთანაა დაკავშირებული. იგი ის ჭურჭელია, რომელიც ქრისტემ მოწაფეებს მიაწოდა სიტყვებით: „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“ (მათვ: 26-27, 28; მარკოზ: 14-23; ლუკა: 22-20). ბარძიმი სიმბოლოა ქრისტეს გახვრეტილი ნეკნისა, საიდანაც წარმოსდინდა სისხლი და წყალი.

ქართულ მხატვრულ ქარგულობაში ბარძიმის პირველი გამოსახულება, არსებული მასალის მიხედვით, კაცის საბუხარებზე (XII ბოლო – XIII ს-ის დასაწყ.) არის დამოწმებული „ზიარების“ კომპოზიციაში<sup>26</sup>. ქართულ დაფარნებზე კი იგი პირველად ნიკორწმინდის პერექელზე (1667 წ.) დაგაფიქსირებულია<sup>27</sup>. შემდგომში მისი პერექელებზე გამოსახვა ტრადიციად იქცა<sup>28</sup>.

ოქროსთმით მოსითვული ბარძიმი დიდი ზომისაა (H – 17,8 სმ. D\_7,2 სმ.) მაღალი ფეხითა და „მძიმე“, „მასიური“ სადგამით. ბარძიმის „წიაღი“ დამატებით საგანგებოდაა დამუშავებული და დეკორატიულად მორთული საქმაოდ დიდი ზომის კიდევებდაკბილული ფოთლებით, მდიდრულადად გაფორმებული მისი ფეხიც. ოქროსთმით მოსითვულ „მიწარზე“ ანალოგიური ძაფით მსგავსი სახეების შექმნა მაღალპროფესიონალიზმსა და დახელოვნებას მოითხოვს, რასაც ანა-ხანუმმა შესანიშნავად გაართვა თავი. ბარძიმს ზედა კიდესთან გასდევს „ძვირფასი ქვების“ იმიტაციის წყება. „საგანგებო თვალბუდებში“ ჩასმული მოგრძო ფორმის „ქვები“, მოქარგული მუქი შინდისფერი აბრეშუმის ძაფით, „ძოწსა“ და „ლალზე“ მიგვანიშნებს.

წარმოდგენილი წმინდა ჭურჭელი ფორმითა და „წიაღის“ მორთულობით ძლიერ ჩამოჰგავს ოდიკების მოჩარჩოებაზე გამოსახულ ბარძიმს<sup>29</sup>. ბარძიმის უგან „მეორე პლანზე“ „მიწიდან“ ამოზრდილი ვერცხლისთმით მოსითვული ვაზის ორი დერო – მორთული ფერნის მტევნებითა და ფოთოლ-პრეკალებით – მიემართება ზევით, იშლება მთელ სიბრტყეზე და თავისუფალ არეს ავსებს. დეროთა დინება ლადი, ცოცხალი და პლასტიკურია. მტევნებას და ფოთლებს აერთებს და აკავშირებს კომპოზიციის გადაწყვეტის საერთო დეკორატიულობასთან შერწყმული ხაზობრივი პარმონია. ხაზია აქ რიტმული აქცენტების შემქმნელი, მაორგანიზებელი ელემენტი.

ხაზის ხელოვნებას, რომელიც ასე მკვეთრად აისახა ანა-ხანუმის შემოქმედებაში ღრმა ეროვნული ფესვები გააჩნია. იგი გვხვდება ქართული ხელოვნების ყველა დარგში: მოუმენტურ ფერწერაში, ქვის რელიეფებსა თუ ჭედურ ძეგლებში, მინიატურაში, ხელნაწერთა ორნამენტული დეკორის ხელოვნებაში, ტიხორულ მინანქარში<sup>30</sup>.

цевое шитье в коллекции Великоустюжского музея, Л., 1984, № 400. Древнерусское шитье XV начало XVIII века, № 103, 111.

26 о. მელიქიშვილი, ნაქარგობის უძველესი ნიმუში კაციდან. ნარკვევები 1, თბ., 1995, ილ. 55.

27 პერექელი დაცულია ხელოვნების მუზეუმში (სხმ/ნ 3844).

28 სხმ/ნ 3411, 3414, 60, 3740, 3817, 3816, 3739, 312, 2957, 2956, 2905/ა, 2958, 1443, 59.

29 სხმ/ნ 2845, 2797, 27; XVIII ს-ის ეს ოდიკები ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

30 ნაკიფარის, ებნევისის კედლის მხატვრობა. იხ. Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши. ქართული ხელოვნება 4, თბ., 1955. Г. В. Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957. Н. А. Алладашвили, Г. В. Алибегашвили, А. И. Вольская, Росписи художника Тевдоре верхней Сванетии, Тб., 1960. მღვმევის ტაძრის რელიეფური მორთულობა. იხ. о. გომელაური. მდგიმარეობა, თბ., 1982, გა. 28, 30, 32. ანნისხატის მოჭედილობა ზოგადად, განსაკუთრებით ბექა ოძნარისეული

ვერცხლისთმით მოსითვული მტევნები პირდაპირ ოქროსფერ ფოთლებული დავანებული. ფერადოვან აქცენტებს ქმნის თავისუფალ არეზე გაძნეული ოქროსთმით მოვარაყებული მწვანე ზეზის ფოთლები. ოქროსფერ-ვერცხლისფერის, შინდისფერისა და აქა-იქ რიტმულ აქცენტებად გაძნეული მწვანე ფერის ურთიერთშეპირისპირება ქმნის ცოცხალ, გამომსახველობით კოლორიტს, რომელიც მოლიანობაში ემოციურობას აძლიერებს და განსაკუთრებულ ცხველხატულობასა და საზეიმო განწყობილებას ანიჭებს მთელ ნაქარგობას.

„ვაზის-ვენახის“ იგივე „სიცოცხლის ხის“ თემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სიმბოლიკაში. თემამ განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა ქართულ ორნამენტიკაში<sup>31</sup>. იგი გვხვდება როგორც ქვის რელიეფებზე (ბოლნისი, წილგანი, საფარა, აკვანება, ბანა, ოშკი, ქუთაისის „ბაგრატის“ ტაძარი, ნიკორწმინდა, სამთავისი, სვეტიცხოველი, გელათი, ანანური და ა.შ.), სტელებზე (ტარსენი, წვეროდაბალი, წრომი, გარეჯის „ნათლისმცემელი“, კატაულა, ზედა თმოვგი და ა.შ.), ასევე ხეზე კვეთაში (ბუხრის მორთულობა თრიალეთიდან, კარები სამეგრელოდან)<sup>32</sup>, ლითონზე პლასტიკასა (ანჩისხატი, ხახულის კარედი, მღვიმევის ვედრების ხატები, მაცხოვრის ხატი გელათიდან და ა.შ.) და ნაქარგობის ნიმუშებზე (დაფარნები, კრეტსაბმელები, ქნქერები, საბუხარები, საფლავის საფარებლები)<sup>33</sup>.

„ვაზის-ვენახის“ თემას საფუძვლად იოანეს სახარება უდევს (იოანე: 15:1,5). ქრისტიანული იკონოგრაფიის თანახმად, ძველ აღთქმაშივე „რქა და ტევანი ყურძნისა “ არის აღთქმული ქვეყნის სიმბოლო, მინიშნება ზეციურ სასუფეველზე (რიცხვთა: 13-23).

კლიმენტი ალექსანდრიელის განმარტებით: „ძველ აღთქმაში ვაზის ლერწისაგან წარმოიშვა წინასწარმეტყველური მტევნი, ეს დიდებული მტევნი, რომელიც ჩვენთვის დაიწურა, ნიშანია ლოგოსისა“<sup>34</sup> წმ. იპოლიტე რომაელის თანხმად: „სულიერი ვენახი მაცხოვარია, რტოები და ლერწები – მორწმუნე წმინდანები, მტევნები – მოწამენი“<sup>35</sup>. ეტვიფანე კვიპრელი მაცხოვრის შესახებ წერდა: „რომელ არს წყარო ცხორებისათ და მშვიდობისა ჩუენისა სიხარული, ახლისა ვენახისა კვირტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისა და დაპხსნა სალმობანი ჩუენი დღითიდენი სუმითა მით სისხლისა ქრისტესითა, რომელმან მოგვანიჭა ჩუენ ჭეშმარიტი“<sup>36</sup>.

ქრისტიანული ხელოვნება ზოგადად, და მათ შორის ქართული მხატვრული ქარგულობაც, წმ. წერილთა პარალელურად მჭიდრო კავშირშია საგალობლებთან:

„ქრისტემან ღმერთმან, ვენახმან ჭეშმარიტმან ტევანი ნაყოფად გამოგიხუნათ, რომელთა ცხორების ღვინო აღმოგვიცენენ ჩუენ,

მოჭედილობა. იხ. შ.ამირანაშვილი. ბექა თბილისი. თფ. 1937; ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატის შიდა და გარე მოჭედილობა. იხ. შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი. თბ. 1972. ი. ხელის ხელის შესახებ. ქართული საერთ მინიატიურა XVI-XVIII სს., თბ., 1976, გვ. 61. Образцы декоративного убранства грузинских рукописей. Введение и замечания к таблицам Рене Шмерлинг, Тб., 1940, გვ. 25.

31 Johanna Flemming, Der Lebensbaum in der georgischen Kunst und sein Verhältnis zu Byzanz und einigen byzantinischen Einflussgebieten. თსუ, შორმები, 1975, გვ. 90.

32 აგ-კრავჩენკო, ნ.ი. ყარალაშვილი, ქართული ორნამეტები, თბ., 1953, გვ. 61, 63, 70.

33 დაფარნები სხმ/6 3778, 1378, 2879, 3770, 1445; კრეტსაბმელები სხმ/6 3701, 5054; ენქერები სხმ/6 2228, 3667; 304, 2906, 3820. საბუხარები სხმ/6 135, 105, 115, 3700, 3699. ე. სულხანიშვილი. საფლავის ქვის ... სურ. 1, 4, 5, 6.

34 Творения учителя церкви Климента Александрийского, Педагог, Ярославль, 1890, გვ. 24.

35 იპოლიტე რომაელი. ისააკისა და იაკობის კურთხევათა შესახებ. საღვთისმეტყველო კრებული. №3, თბ., 1988, გვ.314.

36 ეტვიფანე კვიპრელი. ქალწულის მარიამისათვის. სინური მრავალთავი, თბ., 1959, გვ. 47.

## ღმერთშემოსილნო მოციქულნო<sup>37</sup>.

ანა-ხანუმის ბარძიმის „პერექელი, თეოლოგიურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე მეტ სიახლოვეს თამარისეულ დაფარნასთან ამჟღავნებს, აქაც მტევნების რიცხობრიობითაა მინიშნებული „ზიარების“ აქტი<sup>38</sup>.

პერექელზე „მსხვევრპლი“ ბარძიმში ჩასაწურად გამზადებული მეცამეტგა მტევნითაა მინიშნებული და მის ზემოთ „აღყვავებული ჯვრით“ ხაზგასმული. ოსტატი აქაც თავს არიდებს იკონოგრაფიული სქემის ერთფეროვნებასა და ტრადიციული ბარძიმის გვერდით „მსხვევრპლის“ არატრადიციულ გამოსახულებას წარმოგვიდგენს. ამ შემთხვევაში ეს მეცამეტე მტევანი თავად უფლის სიმბოლოა, რომელიც ადამის მოდგმის სსნისათვის „დაიწურა“ ჯვარზე. იგივე მტევანი, იმავდროულად, მაზიარებლადაც გვევლინება, რაზედაც მიგვანიშნებს ბარძიმი და თორმეტი მტევანი – სიმბოლო თორმეტი მოციქულისა.

დედოფალი ანა-ხანუმი, როგორც ვხედავთ, კარგადაა დაუფლებული ქარგვის ტექნიკას, იმავდროულად შესანიშნავად ერკვევა ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც, რაც ნაქარგობაზე წარმოდგნილ სახეებშია გამჭდავნებული: ვაზის ორი ლერწი ბარძიმის ზემოთ ჯვრით მორთულ ერთ მტევანში გამოლიანებული, ოსტატის მთავარი ჩანაფიქრია: „ქრისტეში გვამოგრებით შეერთება დვორიულობისა და კაცობისა, ე.ი. შეერთება ორის ბუნებისა ერთს პიროვნებაში“, რომელმაც თავისი მოწამებრივი სიკვდილით იტვირთა ადამის მოდგმის ცოდვა და დაუმჯვიდრა ცათა სასუფეველი.

ცავზე (სხმ/ნ 3668. ნახ.3 ზომა: 93,5×70 სმ.) კომპოზიცია ანალოგიური პრინციპითაა აგებული. აქაც მთავარი ფიგურა, რითაც მისი ფუნქციური დანიშნულებაა განსაზღვრული, ცენტრშია წარმოდგნილი. ესაა ტრაპეზი ვარსკვლავდადგმული ფეშეუმითა (ფეშეუმზე წმ. ძრევნი) და ბარძიმით (ბარძიმში – ყურძნის მტევანი) და ლიტურგიაში მონაწილე სხვა სარიტუალო სიწმინდებით (სახარება<sup>39</sup>, ჯვარი წამების იარაღებით, ეკლის გვირგვინი, ღრუბელი, მახვილი და დაფაზე წარწერით: რეზ-“ი(ესე) ნ(აზარეველი) მ(ეუფე) ჰ(ურიათავ)”).

ტრაპეზითან ორივე მხრიდან თითო მაღალფეხიანი შანდალია „ანთებული“ სანთლით (გვიხსენოთ „სანთელ არს ფერგოთა ჩემთა შჯული შენი და ნათელ ალაგოთა ჩემთა.“ ფს. 118-105).

ტრაპეზის გამოსახვისას ოსტატმა სტანდარტული იზომეტრიული პერსპექტივის ნაცვლად უკუპერსპექტივის ეფექტი გამოიყენა.

ტრაპეზი განსაკუთრებული წესითაა ნაკურთხი და შემოსილია ორი სახის წმინდა შესამოსელით: პირველი თეთრი ქვედა საფარებელი – კვართი (ბერძ. კატასარქა) სიმბოლოა არმენიასა, რომელშიც მაცხოვრის სხეული „წარგრაგნეს“ საფლავად დადებისას; მეორე ზედა საფარებელი – ინდინტია – თავისი ნათელი და სადღესასწაულო ფერით საღმრთო მეუფებისა და დიდების ბრწყინვალებას მოასწავებს<sup>40</sup>.

ალბათ, ამ ორ საფარებელს გულისხმობდა ჩვენი ოსტატი, როცა ტრაპეზის შესამოსელი ორი ფერით – ოქროსა და ვერცხლის თმით მოქარგა.

წმ. მამა გერმანე კონსტანტინეპოლელის განმარტებით: „წმ. ტრაპეზი

37 იგალობება ხუთშაბათს, მეორე შეიძეულისასა. ფსალმუნის წარდგომა. ხმა 7.

38 გ. ბარათაშვილი, ბატონიშვილის თამარის ... გვ. 116.

39 „წმ. ტრაპეზზე მდებარე სახარება სამბოლურად ნიშავს თვით იქსო ქრისტეს საყდარსა ზედა ჯდომარეს“. იხ. მოკლე განმარტება ლიტურგიისა. შეკრებილი გრ. მანასკერტოვის მიერ. თფ. 1852. გვ. 106.

40 არхиეპისკოპოსი ვენიამინ, სამოსი სამოსი სამოსი, 1859, გვ. 20.

საკურთხევლისა, სახე არს სუფევისა უფლისა, რომლისა ზედა მდებარებული გვითარცა ჰქმარიტი იგი და ზეცისა პური ქრისტე, რომელი იგი უსისხლოდ დაიკვლის ვითარცა კაცი და ხორცსა და სისხლსა მისსა მისცემს მორწმუნეთა ცხორებად საუკუნოდ.<sup>41</sup> „წმ. ტრაპეზი ყოვლადწმიდა სამების სულიერი საბრძანებელია. ტრაპეზოვნება სიმბოლურად წარმოადგენს საღმრთო სიბრძნით აღვსებას. პური ქრისტეს სხეულის ღვთაებრიობასთანაა დაკავშირებული. ხოლო ღვინო განკაცებული „ლოგოსის“ სულიერი სიმბოლოა და ალეგორიული მინიჭნება ჰქმარიტების სისხლზე<sup>42</sup>. „წმ ტრაპეზი და საიდუმლო მსხვერპლ შეწირვა, რომელიც მასზე სრულდება, გახლავთ მთელი ეკლესია და ოვითეული მორწმუნის სულიერი ცხოვრების ცენტრი“<sup>43</sup>.

ცენტრალური სცენის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ირგვლივმოვლებული გირლანდა და მის თავზე მდიდრულად მორთული „მეუფე დიდებისას“ გვირგვინი, რომელიც „ლიტურგიულ დიდებას“ უკავშირდება და „საღმრთო ლიტურგიაზე“ მიგვანიშნებს. „საღმრთო ლიტურგიის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა კი განკითხვის დღესთან, უფლის გამოცხადებასა და მეორედ მოსვლასთანაა გაიგივებული.

ვეშვემის პერექელის ანალოგიურად, აქაც შინაარსობრივი აქცენტები ორი წრის მეშვეობითაა გამიჯნული. (შიდა წრის როლს გირლანდა ასრულებს). ოსტატი გამორჩეულ ინტერესს ამჟღავნებს „ზეციური სამოთხის“ წარმოსაჩენად, რისთვისაც იყენებს არაჩვეულებრივად მდიდრულ და მრავალფეროვან ორნამენტს, სადაც, კიტი მაჩაბლის სიტყვებით რომ ვთქათ, „მხატვრულ მეტყველებას საფუძვლად უდევს ესთეტიკური კონცეფცია, სადაც უმკაცრესი სიმეტრია წარმოადგენს სამყაროს წესრიგის თავისებურ ხილვად სახეს“<sup>44</sup>.

კომპოზიცია წრიულ-სპირალურ პრინციპზეა აგებული. წრიულად განლაგებულ ორნამენტს ხაზის სპირალური მოძრაობა თანხდათან გადაეცემა ქვემოდან ზემოთ. იკვეთება უწყვეტი რიტმული მოძრაობა, რომელიც მთლიანად ავსებს მთელ ზედაპირს. კომპოზიციის აგებისას გათვალისწინებულია როგორც ყვავილთა და მათი დეროების სპირალური მოძრაობის თანმიმდევრულობა, ასევე მთელი ნაქარგობის წრიული მიმართულებით გამთლიანების მოთხოვნაც. ამავე მიზანს ემსახურება წრის გარეთ მახარებელთა სიმბოლოების ზედმეტად დაგრძელებული მორკალული ფრთხილიც.

ცავზე გამოსახული ვაზი ყურძნის მტევნებით, ბროწეულის ყვავილები და ნაყოფი, ლოტოსი, ზამბაზი, შროშანი ორად განტოტვილი ერთი ხის ნაყოფს წარმოადგენს და უშუალოდ მიანიშნებს აპოკალიფსში აღწერილ მრავალთესლა ხეს, რომელიც ზეციურ იერუსალიმში „სიცოცხლის წყაროსთან“ ხარობს და „ძელი ცხორებისას“ სახელითაა ცნობილი და ჰეტიმასიასთან ერთად „მეორედ მოსვლასა“ და „განკითხვის დღესთანაა“ დაკავშირებული: „შორის სივრცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მის მიერ და წიად ძელი ცხორებისათ, გამომდებელი ათორმეტსა ნაყოფსა, ყოველთა თოუეთა მომცემელი თ სისა მის ნაყოფისათ და ფურცელი იგი მის ხისანი საკურნებელდა წარმართოა და საყდარი იგი ღმრთისათ და კრავისათ მას შინა იყოს“ (გამოცხ.: 22,2). და მხოლოდ იმ ადამიანს ექნება უფლება „სიცოცხლის ხეზე“, „რომელმან სძლოს, მივხცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა“ (გამოცხ. 2-7).

41 გერმანე კონსტანტინებოლელი, მოთხოვთა ეკლესიაებრივი და საიდუმლოებითი, გვ. 423-424.

42 А. Катанский, Догматическое учение о семи церковных таинствах, СПб, 1877, გვ. 148-149.

43 ეპისტოლე აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა პატრიარქებისა მართლმადიდებლური რწმენის „შესახებ. საღვთისმეტყველო კრებული №3, 1988, გვ. 79.

44 კ. მაჩაბელი, სტელის ფრაგმენტი სოფელ საცხენისიდან. ქართული ხელოვნება, 10-ა, ობ., 1991, გვ. 55.

ამდენად, დედოფალ ანა-ხანუმის ცაის მორთულობაში მცენარეულ ორნამენტი მთავარი მარგანიზებელი როლი აკისრია. ტრადიციული ორნამენტის (ვაზი, შროშანი) პარალელურად, მან მანაძე ქართულ მხატვრულ ქარგულობაში უჩვეულო მცენარეული სახეებიც (ზამბახი, ბროწეული, ლოტოსი) შემოიტანა, რომელთა ძირითადი დანიშნულება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, „ზეციური სამოთხის“ წარმოქნაა, მაგრამ იმავდროულად გათვალისწინებულია თითოეული მათგანის ქრისტიანობისთვის მისადები სიმბოლური მნიშვნელობაც. ზამბახის სიმბოლურობა გაიგიებულია შროშანთან, რამდენადაც ისინი ერთი ოჯახის წარმომადგენლები არიან<sup>45</sup>.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ბროწეული ეკლესიის სიმბოლოა, რომლის მრავალრიცხვანი მრევლი სიმბოლიზირებულია თესლის სახით<sup>46</sup> (იქნებ ოსტატმა ამიტომაც გამოსახა იგი გახლეჩილი მოწისფერი მარცვლებით).

ბროწეული ჯერ კიდევ მოსემ, უფლის ბრძანებისამებრ, ამოაქარგვინა მდგველმთავრის სამოსზე (გამოს.: 39-24, 26). ღმერთი ბროწეულის ნაყოფებით თავის მოწყვალებას ავლენდა (ანგია. 2-19). ამ აზრითაა ეს ნაყოფი გამოსახული ქრისტიანულ ხელოვნებაშიც: ბერთუბნის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი კედლის მოხატულობაში (XII-XIII სს.). „ანას ხარების“ სცენაში მსხმიოარე ბროწეულია წარმოდგენილი<sup>47</sup>. იგი, როგორც „სამოთხის ხე“, გვხვდება ტიმოთესუბნის კედლის მოხატულობაში<sup>48</sup>.

ლოტოსის ყვავილი ადმოსავლეთის ქვეყნებში (იაპონიამდე) გავრცელებული უნივერსალური სიმბოლოა, რომლის წარმომავლობა ეგვიპტეს უკავშირდება, სადაც იგი მზის ღვთაების – რას გამოხატულებაა. ქრისტიანობაში ლოტოსი, ფორმის გამო, იქცა ბარძიმის სიმბოლოდ. იგი ასევე სინათლის, სულიერი სრულყოფილების სიმბოლოცაა<sup>49</sup>.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამივე დაფარნაზე სცენები დამოუკიდებელი, დასრულებული კომპოზიციური გადაწყვეტით ხასიათდება და გადმოსცემს „ლიტურგიული მსხვერპლის“, „ზიარებისა“ და „მეორედ მოსვლის“ იდეას. აღნიშნული თემები სამივე დაფარნაზე განხსნავებული სიმბოლური ნიშნებითა და მცენარეული სახეებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მთელი კომპლექტი იკონგრაფიული პროგრამით ერთიანდება. მის გამოლიანებაში დიდ როლს ასრულებს იდენტური სახის მოჩარჩოების პარალელურად, ენდროსფერი (წითელი) მიწარი.

სიმბოლურად გააზრებელმა წითელმა ფერმა უცვლელი ადგილი დაიმკვიდრა ქრისტიანულ სიმბოლიკაში. წითლის სიმბოლურობა მრავალფეროვანია. ის ზოგადად „დიდებაც“ არის და „მეორედ მოსვლაც“. იგია ცეცხლის სიმბოლოც<sup>50</sup>. შატბერდის კრებულში წითელ ფერს ასე განმარტავენ:

„იაკინთის ფერი ბრწყინვალზე ცეცხლის მსგავს, ფანაკის მსგავს სიმეწამულითა. რამეთუ თუალი იაკინთს – ყოვლადვე სისხლის ფერ და ნაკუერცხლის ფერ. სისხლის ფერ ამით, რამეთუ იკსნეს ყოველნი ნათესავნი, და ცეცხლის ნაკუერცხლის ფერ ამით, რამეთუ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან განსაჯნეს ცხოველნი და მკუდარნი დიდებულებით მოსლვასა მას თვსსა... ამას ყოველსა მოგუასწავებს

45. ნათესაობა კარგად ჩანს მათ გერმანულ სახელებში: შროშანი – Lilie; ზამბახი – Schwertlilie იხ. F.C. Cooper, Lexikon ... გვ. 85.

46. Г.Бидерман, Энциклопедия символов, М., 1976, გვ. 62.

47. А.Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, გაბ. 49.

48. Роспись Тимотесубани. Е.А.Привалова, Тб., 1980, გაბ. XXVII.

49. F.C.Cooper. Lexikon ... გვ. 26, 112

50. F.C.Cooper. Lexikon ... გვ. 50.

თუალი იგი იაკინთშ; ჭინასა და რისკვასა, ჭინასა და სიწმიდესა, ღირსების მიერ რისკვასა და ტანჯვასა უდირსთა და „შეურაცხმყოფელთა“<sup>51</sup>.

როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, იაკინთის ფერი იგივე უფლის მიერ მსხვერპლად გადებული სისხლის ფერია; ცეცხლის, „ნაკუერცხლის“ ფერი კი – ფერი „მეორედ მოსვლისა“, ფერი – „განმანათლებელ მართალთა“ და ფერი „დამწველ ცოდვილთა“.

ანგელოზებით გარშემორტყმული მსხვერპლი მისი დიდების – ტრიუმფის ნიშანია. წითელ ანუ ცეცხლოვან ფონზე იგი ასევე „მეორედ მოსვლის“ მაუწყებელიცაა, რომელსაც სხვაგარად „ცეცხლოვან აღსასრულსაც“ უწოდებენ. მაღლა ზეცაში მსაჯული უფალია ქერუბინ-სერაბინებით, ანგელოზებით გარშემორტყმული, დაბლა კი – ადამის მოდგმა. „მეორედ მოსვლა“ ადამის მოდგმის დაბრუნებაა სასუფეველში<sup>52</sup>.

ამდენად, ფერის სიმბოლიკის გათვალისწინებით ოსტატმა გაამყარა და ხაზი გაუსვა ზემოთ წარმოდგენილ დაფარნებისათვის შემუშავებულ თეოლოგიური პროგრამის ერთ-ერთ ძირითად აზრს.

სამივე დაფარნაზე წარმოდგენილი კომპოზიციები შეერულია იდენტური მცენარეულსახეებიანი ჩარჩოთი. ორნამენტი წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმულ მსგავსი წრეების თანმიმდევრობას, რომლებიც შეუაში ორი მხრიდან ერთდება და სამყურა კვავილის სახით მთავრდება. ორნამენტი ძლიერ ჩამოჰვავს ანჩისხატის ბექა ოპიზარისეულ „მცირე“ ორნამენტს. მოჩარჩოებაზე კუთხებში ჩართულია ტოლმქლავა ჯვრები: „ისტორიული წარმომავლობით ჯვარი კოსმოგონიური, საკოორდინაციო ნიშანია დაკავშირებული ქვეყნიერების ოთხ მხარესთან და წარმოადგენს ოთხი მიმართულებით გაშლილი სამყაროს ცენტრს. ჯვარი მყარი კავშირია როგორც ქვეყნის მხარეების, ასევე ზეციურ და მიწიერ სამყაროს შორის. ჯვარი „სრულქმნილი ფორმა“ – უცვლელობის, მუდმივმყოფობის ნიშანია ქრისტიანთათვის<sup>53</sup>.

ანალოგიური ფორმის ჯვრებითა მორთული მთელი რიგი ოდიკებისა, რომლებიც XVIII საუკუნითა დათარიდებული<sup>54</sup>.

ამდენად, თამარისეული დაფარნის ანალოგიურად, წარმოდგენილ ნიმუშებზეც ყველა ორნამენტი თუ სიმბოლო-ნიშანი გარკვეული სიმბოლური აზრითაა შემოსილი. ერთადერთი საქტიტორო წარწერაა წინასწარმოუფიქრებლად განაწილებული. წარწერა იწყება ზედა პორიზონტალური მოჩარჩოების გასწვრივ, გადადის ცენტრში მცენარეულ გირლანდის შიგნით და მთავრდება ქვედა პორიზონტალური მოჩარჩოების გასწვრივ:

ጥიუზური არაერთ ჩარჩო წილი ისტორიული მთელი რიგი ოდიკებისა, რომლებიც XVIII საუკუნითა დათარიდებული<sup>54</sup>.

51 შატბერდის კრებული, X საუკუნისა, თბ., 1979, გვ. 141-142.

52 ა.ოქროპირიძე, წითელი ფერის სიმბოლური გააზრების ერთი ასპექტი, მაცნე. ისტორიის, არქეოლოგის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1989, 3, გვ. 157-158.

53 ი. მირიჯანაშვილი, ბუზავრეთი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული 1, თბ., 2000, გვ. 145.

54 სხმ/6 2801, 2782, 2752.

“ვიდვაწე ხელითა ჩ(ემ)ითა წ(მიდა) ესე დაფარნა ქ(ი)რთლისა დედოფალმან ანა-ხანუმ და სურვილით გიძღვენ ცათა მობაძავსა და ზეშთა წ(მიდა)სა სამოციქულ(ო)სა ეპლესიასა სალხინებ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა<sup>55</sup>.

ამდენად, დედოფალ ანა-ხანუმის დაფარნათა კომპლექტი მხატვრული ქარგულობის უნიკალური ძეგლია, ნიმუში ეპროპულ-აღმოსავლურ კულტურათა შერწყმისა. მთელი მისი შემოქმედება – მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვეტილ დეკორატიულ მხარესთან შერწყმული ღრმად გააზრებული იკონგრაფიული პროგრამა, მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურა თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რომ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართული მხატვრული ქარგულობა ღირსეულად აგრძელებს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე.

### Gulnaz Baratashvili

#### Liturgical Covers of Queen Ana-Khanum

Queen Ana-Khanum (1746-1788), wife of Teimuraz II, king of Kartli was one of those noble Georgian ladies, who practised needlework. Up to recently five embroideries made by her had survived (one – a tomb-cover for her daughter, Elisabeth, made in 1770, vanished in fire in 1997). Four of her embroideries – cover of St. Nino's tomb from the Bodbe monastery and three liturgical covers for the Tbilisi Sion cathedral – are kept at the Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts of Georgia (Georgian National Museum).

One is a paten-cover, another – a chalice-cover and the third – an aer, put over both together (SKhM/N 3433, 1380, 3668; dimensions: 47,5 x 47,5 cm.; 39 x 39 cm.; 93,5 x 70 cm.). Similar to the case of other 18<sup>th</sup> c. liturgical covers, subject scenes are replaced by the ornamental and figurative motifs with deep symbolic connotations; embroidery of high mastery is made of silk, gold and silver threads on purple (the colour indicating Christ's Sacrifice, as well as His Second Coming – Eternal Glory) atlas. General concept, uniting all the components of the composition is Liturgical Sacrifice, Communion and Second Coming. On the paten-cover, attention is drawn by the central image of a paten with Christ represented as a Lamb with a banner. Here this ancient symbolic image, which is also found on the 18<sup>th</sup> c. Armenian liturgical objects, should be taken from the Renaissance and Baroque Western European models, most likely reflecting the period (1746-1756), when influence of the Roman Catholic missionaries in the Georgian Church grew stronger. The Lamb-Holy Sacrifice is venerated by the Angels, imparting eschatological meaning to this image; in the upper part – for the first time on the Georgian liturgical covers – a sky segment with clouds is depicted with the image of the God-Father bearing the Holy Ghost-Dove and somewhat lower, a star, pointing to both the Incarnation and Ascension.

---

55 აღნიშნული წარწერის მცირე ფრაგმენტი გვხვდება ნაშრომში: М.Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный соборъ, Тиф., 1901, გვ. 96.

Quite original is the representation of a chalice and vine on the chalice-cover (Greek and Russian chalice-covers, usually, bear image of the Virgin Platytera). Nikortsminda chalice-cover of 1667, can be quoted as the first case of depicting chalice on the chalice-covers. Vine is a symbol of the “Tree of Life”, the Saviour, the Paradise; from its thirteen bunches, twelve are indicative of the St. Apostles, and one – of the Saviour. This image is distinguished by the particular beauty of lines.


On the aer, an altar with the chalice and paten, a Gospel, a Cross and instruments of Passion is embroidered; two candles are also depicted. The altar – the Throne of the Saviour, the Church – is accompanied by the vine with the pomegranate blossoms and fruits, lotus, lilies and irises, representing Tree of Life of the Heavenly Jerusalem (Revelation, 22:2). All the three liturgical covers are framed with the ornamentation and equal-armed crosses are represented in the corners.



Լուս. 1. Յամեցմօն պատկեր




Լուս. 2. Ծարծօմօն պատկեր




Լուս. 3. Ծառ


ნახ. 1. ფერმუშის პერგელის  
ნახატი



ნახ. 2. ბარძიმის პერექელის  
ნახატი



ნახ. 3. ცაის ნახატი



ეკატერინე პატარაგაშვილი  
 გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის  
 და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

## გვიანი შუა საუკუნეების საფასადო სტულატურის პროგრამათა ინტერპრეტაციისთვის

ქართული მქანდაკებლობა, რომელიც ხანგრძლივი განვითარების მრავალ საუკუნეს ითვლის, ქვეყნის ისტორიის უმთა სვლის განუყოფელი თანმდევია.

ქართული შუასაუკუნოვანი პლასტიკის შემოქმედებითად სხვადასხვაგარი აქტივობითა და თანმიმდევრულობით განვლსურ გზას არსებით ნიშნად გასდევს ზოგადქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შენივთული ეროვნული თვითმყოფადი მხატვრული ხედვის სიცხოვლე.<sup>1</sup>

XVII-XVIII საუკუნეები საქართველოს ისტორიაში რთული და მრავალწახნაგოვანია. აქ ერთმანეთს გადაეჯაჭვება, ერთი მხრივ, მძიმე ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ფონი და, მეორე მხრივ, კულტურული აღმავლობისათვის თავამოდებული ღვწა-სწრაფვა. XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში გამუდმებული ომებისგან დროგამოშვებით, რამდენადმე “შესვენებულ – ამოსუნთქული” საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დგება სულიერი აქტივობის ხანა, რომელიც გამძაფრებული ეროვნული გრძნობითად განმსჭვალული. კულტურის გამოღვიძება, დაცემული ეროვნული თვითშეგნების, შებდალული ზნეობისა და შერეცეული სარწმუნოების აღდგენა – გაცხოველება ყველაზე ადრე ქართულმა მწერლობამ იტვირთა – პ. პეპელიძე ქართული საერო მწერლობის პერიოდზაციაში მესამე ეტაპს – XVI – XIX სს. - აღორძინების ანუ ვერცხლის ხანას უწოდებს.<sup>2</sup>

ეპოქისმიერი ტალღა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ეროვნული კულტურის საზოგადო აღზევება – გამოცოცხლებისა, ბუნებრივია, ქართულ ხელოვნებასაც შეეხო. გვიანი შუა საუკუნეების (XVI – XVIII სს.) ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობაში (მონუმენტური, წიგნის მხატვრული გაფორმება), ჰედურ ხელოვნებაში მრავალი საგულისხმო ძეგლი იქმნება. იმუამად მეტად გაცხოველებულია როგორც საეკლესიო, ისე საერო (სათავდაცვო, კოშკების, ციხე-გალავნების) ხუროთმოძღვრული ნაგებობების, ანსამბლების შშენებლობაცა და “მეორედ აღშენებაც” საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: თბისურისის “ჯვარის მამა” (XVI ს.), გრემი (XVI ს.), ახალი შუამთა (XVI ს.), შვადიჯვარი (XVII ს.), ანანური (XVII ს.), ტბისი (XVII ს.), ტანძია (XVII ს.), საგარეჯოს პეტრე-პავლე (XVIII ს.-ის დასაწყისი), ლეჩხუმის მცხეთა (XVIII ს.), წესის ბარაკონი (XVIII ს.), დავით-გარეჯის ლავრის კარიბჭე (XVII ს. ბოლო), ქოლაგირის ციხე (XVIII ს). და სხვ; იმხანადაა აღდგენსური: სვეტიცხოვლის, ალაგერდის, სამთავისის, რუისის, თბისურისის მეტების, თბისურისის

1 ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული მქანდაკებლობა საფუძვლიანად არის შესწავლური ქართულ ხელოვნებისმცოდნებოთ მეცნიერებაში: გ. ჩუბინაშვილის, რ. შმერლინგის, ხ. ალადაშვილის, ა. ვოლხევიას, ხ. ჩუბინაშვილის, კ. მაჩაბლის, რ. ყენიას, თ. საფვარელიძის, ლ. ხუსკივაძის, ლ. რჩეულიშვილის სამეცნიერო მონოგრაფიებსა და პუბლიკაციებში.

2 პ. პეპელიძე, ქართული დიტერატურის ისტორია, ტ. II (საერო მწერლობა XI-XVIII სს.), თბ., 1924, გვ. 9. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 47.

სიონის, ანჩისხატისა და სხვა ტაძრები; მრავლად იქმნება მონუმენტური მხატვრობლების ნიშანებიც: XVI ს. აუკუნის ე. წ. “ხალხური ხაკადის” სახელით ცნობსური მთელი რიგი ძეგლებისა, აგრეთვე ნიკორწმინდა (XVII ს.), ხობი (XVII ს.), მარტვეური (XVII ს.), წალენჯიხის (XVII ს.), ანჩისხატი (XVII ს.), მცხეთის სვეტიცხოვლის “ცხოველი სვეტი” (XVII ს. კათალიკოზ ნიკოლოზ ამსურახვრის დაკვეთით), ანანური (XVII ს.), ბობნევი (XVII ს.) და სხვ; გვიან შუა საუკუნეებშია შექმნისური საფასადო მხატვრობა ამირანდარეჯანიანის გმირული ეპოსის სუუეტებით სვანეთის ლაშონევერის (XV ს.) და ჩაჟაშის (XVII ს.) გადესიებში. ასევე მრავლად იწერება და მინიატურებით მდიდრულად იმკობა საღვთისმსახურო წიგნები: ანჩისხატის გულანი – 30-31-32 (კ.კეკელიძის სახ. ხელ. ინსტ., 1681 წ. კათალიკოზ ნიკოლოზ ამსურახვრის დაკვეთით), “ყანჩაეთის ჟამგულანი” – -1452 (კ.კეკელიძის სახ. ხელ. ინსტ., 1674 წ. ევდემონ რატიშვერის დაკვეთით), ჟამგულანი – -342 (კ.კეკელიძის სახ. ხელ. ინსტ., 1661 წ.), -1755 და სხვ.; ამ დროს ყალიბდება სხვადასხვა საოქრომჭედლო სახელოსნოები (ლევან დადიანის (სამეგრელოს), კახეთის, გელათის, მესხეთისა და სხვ) თავისი სპეციფიკური მხატვრული თავისებურებებით.

მიუხედავად, ეპოქისმიერი გამოღვიძებული შემოქმედებითი მუხტისა და აშკარად გამოხხატული მონდომებისა, ამ ძეგლებს მატერიალური შეძლების, ოსტატობის, ტექნიკური ფლობის, გემოვნების, საერთო მხატვრული დონის, კლასიკურ ხანასთან შედარებით, ხარისხობრივი დაქვეითება-დადმასვლა, მაინც, აშკარად ატყვია. მათშივე გამჟღავნებული რთული ეპოქის არაერთგვაროვანი სტურის ურთიერთშემსჭვალული ნიშნებიც.

ვფიქრობთ, გამოღვიძებული შემოქმედებითი ძალების მზარდი აღმავლობის ეპოქაში, სადაც ხელოვნების ეს “მოზღვავებული” ნიშანები იქმნება, სრულებით კანონზომიერად წნდება დიდი ხნით მივიწყებული, ქვის მონუმენტური საფასადო სკულპტურის “აღორძინებაც”. ქართული გვიანი შუა საუკუნების, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისის, მონუმენტური ქვის საფასადო ქანდაკება, ასე ვთქვათ, უკვე დიდი ხნით მინავლებული შემოქმედებითი ძალების ერთგვარ (უგანასკნელს შუა საუკუნეების ფარგლებში) აღზევებას საყურადღებოდ წარმოაჩენს.

XI საუკუნის შუა ხანებიდან მოკიდებული შუა საუკუნეების ქართულ საფასადო სკულპტურაში ვეღარ ვხვდებით ტაძართა ერთიანი იდეით დაკავშირებული რელიეფებით შექმნას. ამ ხანის (XII-XVI სს.) ეკლესიათა დეკორში მცირერიცხოვანი, ცალკეული ფიგურული რელიეფები (ხშირად ცხოველთა გამოხსახულებები) ან დეკორატიულ ორნამენტაციაში იკარგება (კარგავს რა მნიშვნელოვანებას) ან, უმტკიცებად ერთმანეთთან დაუკავშირებლად, “უსისტემოდ” აღიქმება ფასადებზე (ფიტარეთი, კაზრეთი, ერთაწმინდა, წუნდა, წუღრუღაშენი, დმანისის სიონი, მაღალანო ეკლესია, საფარა, სადგერი, ჩითახევის სამრეკლო და სხვ). ერთიანი პროგრამით გაურთიანებული მონუმენტური საფასადო სკულპტურის კვლავ “ამოტივტივება” კი სწორედ XVII-XVIII საუკუნეთა მიზნის, ჩვენს მიერ განსახსურებელ ეკლესიათა (ანანური, 1689 წ., საგარეჯოს პეტე-პავლე, 1712 წლის ახლოს, ყინცვისის “გიგოს საყდარი”, XVII ს.). ფასადებზეა სახსურველი.

საგულისხმოა და, მკვეთრად ანტიმამდიანურად განწყობსური ეპოქისათვის, ნიშანდობლივი ანანურისა და საგარეჯოს პეტე-პავლეს ეკლესიათა ფასადებზე მხატვრულ – იდეური სახის საფუძველთა საფუძველის, ფასადთა ერთიანად განმსჭვალავი, ვეება, ქართული ტაძრების ფასადებზე მანამდე არნახული მასშტაბის მქონე, ჯვრების გამოსახვა. სწორედ ამ, ტრიუმფალურ – ესქატოლოგიური ნიშნით აღმჭედსური ჯვრების მკლავებქვეშ “იშლება” ტაძრების საფასადო პროგრამათა

ქველი თუ ახალი ადოქტორისეული სახეებით გაჯერებული რელიეფური დეკორის უმთავრესი იდეა.

გამოსახულებებით ქველაზე უფრო დატვირთული, ანანურის სამხრეთი ფასადის რელიეფებში შეა საუკუნეების ხელოვნების ლაკონიურ-პირობითი ენითაა გადმოცემული სიმბოლოებში აკუმულირებული უნივერსალური ცოდნა – კაცობრიობის ისტორია – შესაქმე, ცოდვით დაცემული ადამის მოდგმის გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმით ხსნა – სიკვდსურის დათრგუნვა და აქედან გამომდინარე ადგგომა – “ცხორების მომნიჭებელი” მარადიული სუფეფის (სამოთხის) დამკვიდრება. (სურ.1)

ანანურის “სამოთხესა შინა დანერგული” ჯვარი ერთდროულად აერთიანებს “ხე ცხორებისა”, გოლგოთის ჯვრისა და მეორედ მოსვლის მაუწყებელი ჯვრის ხატებას.<sup>3</sup>

ქერობინთა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა თანხლებით “სივრცეში” “აზიდული” “ზეცისად” გამოჩინებული ჯვარი – კოსმოსის ღერძი – გარდაუგალი მეორედ მოსვლის ერთგვარი მაუწყებელიცაა. ანანურის ჯვარი გველებას განგმირავს, რაც, მეყვსეულად, გოლგოთის “სიკვდსურითა სიკვდსურისა დამთრგუნველი”, ცოდვსური კაცობრიობის მხსნელი ჯვრის ხატებასთან ასოცირდება (ჯვარი ხომ ჯვარცმასაც მოასწავებს, ლუკა 2, 35). მართლაც, ანანურის ძლევის ჯვრის გამოკვეთსურად ტრიუმფალური ხასიათი გოლგოთის მისტერიით აღსრულებული მაცხოვნებელი აღდგომის მომნიჭებელი ბრწყინვალე დღესასწაულის ცხოველ (პირველ) განცდას შთამბეჭდავი ძალისხმევით “გვახსენებს”. აქ, თოთქოს, პირდაპირი გაცხადებაა ქრისტეს ჯვარცმით (ბოროტის დათრგუნვით) მოპოვებული აღდგომისა, ვითარცა ქრისტიანობის სახრისისა: “მე ვარ ადგგომად და ცხორებად. რომელსა პრწენეს ჩემი, მო-დათუ-კუდეს, ცხოვნდესევე” (იოვანე, 11,25).

სამოთხესა და სიცოცხლის ხეს შინაარსობრივად უპავშირდება ქერობინთა გამოსახულებები: “და დააწესა ქერობინი და მოტყინარე მახასური იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხორებისასა” (შესაქმ 3, 24). ანანურის სამხრეთ ფასადზე სიცოცხლის ხეთა გვერდით დვოთის მიერ დადგენსური სამოთხის კარიბჭის მცველი, “მოტყინარე” ქერობინები (თუმცა, ამ კონტექსტში, ისინი შესაძლოა, სერობინებიც იყოს) მეორედ მოსვლის მაუწყებელი ჯვრის თანხმლებადაც გვევლინებიან (მფრინვალ ანგელოზთანა და ჰაერის მცველ, სატანასთან მებრძოლ მთავარანგელოზებთან ერთად): “ქვეყნის ადსასრულს, მეორედ მოსვლის უამს, ჯვარი კვლავაც პირველი გამოცხადდება დიდითა დიდებითა ზეცად, მრავალრიცხოვან ანგელოზთა დასითურთ”.<sup>4</sup>

სიცოცხლის ხეთა აქეთ - იქით, სარკმელთა (თავად სარკმლები, თავისი ჩუქურთმიანი საპირებით, სამოთხის წალკოტის სახეში იწერებიან) თავზე

<sup>3</sup> ადსანიშნავია, რომ, სწორედ, ადრექტისტიანული ხელოვნების მთელ რიგ ძეგლებშიც ვპოქის მსოფლადებისთვის დამახასიათებელი ლაპონიური ენით გამოხატული საზრისის მრავლის-მომცველობა და სინოეზურობა ჩენსური; მაგ., სანტა პუდენციანას საკურთხევლის მხატვრობას (Vb.) და სანტა პაოლინარე ინ კლასეს (Vb.) საკურთხევლის მოზაიკაში ჯვარი ერთდროულად გამოხატავს ვნების, ტრიუმფისა და მეორედ მოსვლის ნიშს. J. Engemann, Auf die Parusie Christi hinweisende Darstellungen in der frühchristlichen Kunst. Jahrbuch für Antike und Christentum, Jahrg. 19 (1976), S. 139-156 (149, 155); ე. კვაჭაბაძე, გვანი შეა საუკუნეების საფასადო სკულპტურა (ანანურის, საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ყინცვისის “გიგოს საყდრის” ტაძარითა რელიეფები), დის-კრტაცია, 2005 წ.; ე. კვაჭაბაძე, წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, საქართველოს სიძეველენი, №10, 2007.

<sup>4</sup> ეფრემ ასური, სიტყვა საყოველთაო აღდგომაზე, სინანულსა და სიყვარულზე და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოსვლაზე. სმს. წ. 2, 1991, გვ. 140.

სიმეტრიულად განთავსებული სამოთხის მცველი მიჯაჭვული ლომებზე მოწოდებული ფიგურებიცაა გამოკვეთსური.<sup>5</sup> ლომის “მიჯაჭვით” ბოროტი ძალები უვნებელყოფსურია და სიკეთის სამსახურად მოქცეული. ლომი – მცველის სიფხითლეა, “ფიზიოლოგოსიც” გვამცნობს და ამით ქრისტეს მარადიულობას მიანიშნებს – “აპა არა პრულეს, არცა დაიძინოს მცველმან ისრაელისამან” (ფს. 120, 4). ისინი ერთდროულად თავიანთ ორბუნებოვნებასაც ავლენენ, მცველობენ რა იმ ზღურბლს, რომელსაც არა ბოროტი ძალა გადააბიჯებს და, თანაცვე, გვახსენებენ ფსალმუნის სიტყვებს: “მიხსენ მე პირისაგან ლომისა” (ფს. 21, 21); “ნუსადა წარიგაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი” (ფს. 7, 2). ლომის, როგორც ბოროტი, დემონური ძალების დათრგუნვა ისევ ფსალმუნის სიტყვებშია პირდაპირ გამჟღავნებული: “დათრგუნო შენ ლომი და ვეშაპი” (ფს. 90, 13); სწორედ ჯვართან კავშირში გამოსახვა სძენს “მიჯაჭვულ” ლომებს ამ შინაარსს. (სურ. 2)

ჯვრის განივ მკლავთა ქვეშ შვეულად ჩამოგრძელდება ნაყოფითა და ცხოველებით დახუნძლული, სტეურიზებულ ვაზს მიმსგავსებული სიცოცხლის ხები, რომელთა ძირში ლსურვის მოჩარჩოვებაში გამოსახული მთავარანგელოზთა ფიგურებია წარმოდგენსური. სამოთხის ბაღის აყვავებულ ხეთა ზედაპირები მცენარეული ორნამენტით, თითქოს ფოთლოვან-ყვავსუროვანი ყლორტებით ერთიანად იფარება, რაც, ერთგვარად, სიცოცხლის ხისა და განედლებული ჯვრის თვისებურ სინთეზურ ხატს ქმნის. ძველი აღთქმის სიცოცხლის ხის ახალი აღთქმის ჯვართან გაიგივებასა და შესაფერის გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით ქრისტიანულ სახვით ხელოვნებასა (V ს. –დან მოკიდებული) და მრავალრიცხოვან საეკლესიო თხზულებებში.<sup>6</sup> ჯვრის წინასახე იყო “ეს ცხორებისა”, რომელიც ღმერთმა სამოთხეში დანერგა; “რამეთუ რადგანაც ხის გამო შემოვიდა სიკვდსური ადამიანისათვის (დაბად. 2,3), ამიტომ ჯერ-იყო, რომ ხისავე მეშვეობით მონიჭებოდა ადამიანს (საუკუნო) სიცოცხლე და მკვდრეთით აღდგომა”;<sup>7</sup> ვინაიდან, სწორედ ჯვრით “განგვეხვნა კარნი” სამოთხისა, “რომელმან სძლოს, მივსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა ჩემისასა” (გამოცხ. 2,7), “კაცებად, პირველ ხისაგან დაცემული, აწ აღდგა ძელისა მის აღმართებითა” (იოანე მინჩხი).<sup>8</sup> წმ. იოანე ოქროპირი ჯვარს ხის თვისებებს ანიჭებს; მისი აზრით, ქრისტეს ჯვარი იმ მოლოდინს აღასრულებს, რომელიც სამოთხის

5 ე. კვაჭარაძე, ქოლაგირის ციხის კარიბჭის “მიჯაჭვული” ლომების გამოსახულებათა ინტერარეტაციისათვის შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში). საქართველოს სიქელეგნი, 3, 2003, გვ. 127-142.

6 წმ. ბასსური დიდი (კესარიელი), მხეცოთათვის ხახისა სიტყვია. – შატერდის კრებული (X საუკუნის), გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინებშვილურმა და ელ. გიუნაშვილურმა, თბ., 1979, გვ. 176.

7 Lexikon der christlichen Ikonographie, B.1, (Rom, Freiburg, Basel, Wien), 1994, gv. 262-263; Schottroff, L, Das Kreuz: Baum des Lebens, Stuttgart, 1987; P. Stockmeier, Theologie und Kult des Kreuzes bei Johannes Chrysostomus (ein Beitrag zum Verständnis des Kreuzes im 4. Jahrhundert), Trier, 1966 (Hrs. von der Theologischen Fakultät Trier), S.221-223; G. B. Ladner, Handbuch der frühchristlichen Symbolik, Stuttgart, Zürich, 1992, gv. 23, 95; Aug. Wünsche, Die Sagen vom Lebensbaum und Lebenswasser, in: EX ORIENTE LUX, B. I, Leipzig 1905 (S. 50-103); G. Ladner, Medieval and modern understanding of symbolism, Roma, 1983, gv. 254-257.

8 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწენითი გადმოცემა, თბ., 2002 წ. (ძმ. ბერძნ. თანამედროვე ქართულზე თარგმა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედ. ჭელიძე), გვ. 432.

9 იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძე), გვ. 297; (შეად. II სჯული. 28.66 : “და იყოს ცხორებად შენი დამოკიდებულ (ძელსა ზედა) წინაშე თვალთა შენთა”, ხადაც, ღვთისმეტყველთა განჭვრებით, მოსეს მიერ ნაწინასწარმეტყველებია ქრისტეს ქვარის ძელზე მიმსჭვალვა).

სიცოცხლის ხესთან იყო დაკავშირებული და რომელსაც ეს ხე მოიცავდა.<sup>10</sup> ხოლო ჯვარი, თავისთავად, ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენს და მისი გამოსახულებები ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში ხშირად ერთმანეთს ენაცვლება.

ანანურის სამხრეთი ფასადის სიცოცხლის ხე – ჯვრის ქვეშ მოქცეული აყვავებული ხის ორსავე მხარეს გამოსახული ირმებიც, სწორედ, ცხოველმყოფელი, მარადიული ხიდან ჩამოცვენსური ნაყოფის ჭამით “სიკვდსურისგან განერის”.<sup>11</sup> (იგი მეყვავეულად ასოცირდება წმ. ეფრემ ასურის სიტყვებთანაც: “თხემსა ზედა აღიძართა ჯვარი იგი და უმაღლ აღმოცენდა მტკვანი ჩვენის ცხოვრებისა”<sup>12</sup>) (სურ. 3). ამ ტიპის იკონოგრაფიულ სახეებს ქართულ ძეგლებში წარმართული ხანიდან ვხვდებით, ჯერ კიდევ ბრინჯაოს სარტყელებზე. სიცოცხლის ხისა და მის მიერ განკურნებულ ცხოველთა ხატება ქართულ მითოლოგიურ აზროვნებაშიც უდიდესი მნიშვნელობისაა: “უძველეს საქართველოში სამყაროს უნივერსალურ ხატს სამყაროული ხე შეადგენდა, რომლის ტოტები ზესკნელთან იყო დაკავშირებული, ფესვები – ქვესკნელთან, ხოლო დერო ადამიანებით დასახლებულ კოსმოსს ასახავდა. სამყაროული ხის ფუნქციას სხვადასხვა ცხოველი ასახავდა, განსაკუთრებით ხშირად კი – ირემი. ირემი ყველაზე სრულად გადმოგვცემდა სამყაროს მთლიანობის იდეას, მის არსს, ამავე დროს, ამ სამყაროს წარმოშობას, მის გენეზისს”, “მონადირის მიერ ირმის მოკვლის მოტივი... კოსმოგონიის აქტის სიმბოლურ გამოხატულებად გაიაზრებოდა და ახალი სამყაროს დაბადებას უპავშირდებოდა”.<sup>13</sup> სამოთხის ცხოველებით, ვაზის მტკვნებით და ყლორტებით (შესაძლოა, ბროწეულისაც, როგორც მოწამეობრივი ხისხლის, ხსნის, ნაყოფიერების სიმბოლოსი<sup>14</sup>) დახუნძლებული სტეურიზებული ხეები სამოთხის წალკოტის და, ერთდროულად, სიცოცხლის ხეთა, ხელოვნებაში დამკვიდრებული ზოგადი სახის გადმომცემია. ვაზის (ხის) სახით გამოსახულ სიცოცხლის ხეს ქართულ ხელოვნებაში იშვიათად ვხვდებით (თელოვანი – VIII-IX სს., სვეტიცხოველი – XI ს.; თუმც ყურძნის მტკვნების გამოსახულებები, მათ შორის განედლებული ჯვრის სახით - როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლოსი - ძალზე ხშირია); მისი სიმბოლიკაც, რომელიც მარადიულ ცხოვრებასა და სულის ხსნაზე მიანიშნებს, უპირველესად, თავად უფლის სიტყვებს ეფუძნება: “მე ვარ ვენაგი ჰეშმარიტი” (იოვანე 15, 1), “მე ვარ ვენაგი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა ძალ-გიც ყოფად არცა ერთი” (იოვანე 15, 5). სწორედ, ამ მარადიულ ნაყოფს შეექცევიან სიცოცხლის ხეებზე შემომსხდარი სამოთხის ცხოველები და ფრინველები; ფიზიოლოგოსთან მოხსენიებული პირიდექსიონ ანუ კპიშტობის ხე, რომელზეც “ტრედი დასხდიან მას ზედა ჭამად ხსურისა”, აგრეთვე სიცოცხლის ხის უნივერსალურ ხატს წარმოგვიდგენს: “ვიდრე მას ხესა ზედა დამკვდრებულ არიედ ტრედი იგივერ შეეხის გული იგი ტრედთა მათ და ვერცალა აჩრდსურსა მისეა მიეახლის”.<sup>15</sup> წმ. ბასხური დიდის განმარტებით, ხე მამა ღმერთისა და შემოქმედის ბუნებას ემსგავსება, ხსური – ძე ღმრთისას, იესო ქრისტეს, ხოლო

10 P.Stockmeier, Theologie und Kult des Kreuzes ... gv . 222-223.

11 “მოქცევად ქართლისად”. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.1, (ი.აბულაძის რედ.), თბ., 1963, გვ. 159.

12 ეფრემ ასური, სიტყვა საყოველთაო აღდგომაზე ... გვ. 139.

13 გ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ.112 ტაბ. XIV- 2.

14 G. B. Ladner, Handbuch ... 1992, gv. 142.

15 წმ. ბასხური დიდი (ცხარიელი), მხეცოათვის . . . გვ. 189.

აჩრდსური – სულსა წმიდასა.<sup>16</sup> მტრედი, რომელიც ყურძნის მტევანს შემქმნება, სელოვნებაში დამკვიდრებულ ევქარისტიულ სიმბოლოსაც ასახავს.<sup>17</sup>

ქრისტიანულ სელოვნებაში სამოთხის ბადის გამოსახვის ძირითად წყაროდ შესაქმება (2, 8-21) მიჩნეული, თუმც, “ღვთის ბადის” აღწერას ვხვდებით დანიელ (“ხე შორის ქუჯანისა და სიმართლე მისი მრავალ”, “და სიმაღლე მისი მისწუდა ცამდე და სივრცე მისი კიდეთა ყოვლისა ქუჯანისათა”, “მის ქუშე დაიმკვდრებდეს მხეცნი ველური და რტოთა მისთა შორის მყოფობდეს მფრინველნი ცისანი” (4, 7-9) ) და ეზეკიელ (31,6-10) წინასწარმეტყველებთანაც. ქრისტიანულ სელოვნებაში პირველქმნებური სამოთხის ბადისა (აყვავებული წალკოტი, ხსურითა და სამოთხის ცხოველებით სავსე, სადაც სამოთხის მდინარეები ჩამოედინება) და ზეციური სასუფევლის (სამოთხის) გამოსახულებებს შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ვხვდებით (თუმც, ზოგჯერ, გარკვეული დეტალებით, პრიორიტეტული აქცენტებიც ისმება). ყურადსალებია, რომ სწორედ ამგვარივე მოტივებით განსახოვნდება მარადიული სასუფევლის სახეც (პირველსახეთა, არქეტიპთა საფუძველზე), რომელიც იოვანეს აპოკალიფსისა და ეზეკიელ და ესაია წინასწარმეტყველთა ხსურვებს ეყრდნობა. და, ამ თვალსაზრისით, მეორედ მოსვლის, ზეციური იერუსალიმის, სიონის ამაღლების იდეას უკავშირდება<sup>18</sup>: “შორის სივრცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მის ამიერ და წიაღ ძელი ცხორებისათ, გამომდებელი ათორმეტსა ნაყოფსა... და ფურცელი იგი ხისანი საკურნებელად წარმართო” (აპოკ. 21,2), (აპოკ. 2,7), “მიჩუნა მე ქალაქი წმიდა იერუსალიმი, გარდამომავალი ზეციონ დმრთისაგან” (აპოკ. 21, 10), “და თქუან: ქუჟანა იგი ... იქმნა ვითარცა სამოთხე შეებისავ” (ეზეკ. 36, 35), “და შენცა აწ ნუგეშინის-გცე, სიონ... დაქსნე რუსერნი მისნი, ვითარცა სამოთხე შეებისა, და დასავლეთკერძონი მისნი, ვითარცა სამოთხე უფლისავ” (ესაია 51, 3), მარკოზი 4, 30-32; მათე 13, 31-32; ლუკა 13, 18-19. ვფიქრობთ, ანანურის მრავლისადამტევნელი იკონოგრაფიული პროგრამისთვის ამგვარი მრავალპლასტიანი სინთეზი უცხო არ უნდა იყოს.

უფლის მეორედ მოვლინების იდეას ეხმიანება ამავე ფასადის კეთში წარმოდგენსური წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი(სურ.4) როგორც განსაკუთრებული შუამავლისა და მეორისა უკანასკნელ სამსჯავროზეც,<sup>19</sup> ისევე რიგორც სამხრეთისავე ფასადის ტიმპანის ანგელოზთაგან უფლის დიდების სცენა (სურ.5). ტიმპანის მოელი არ სრულად ივსება ერთმანეთში ჩაწერულ-გადახლართული სამოთხის წალკოტის განმასახიერებელი მცენარეული ორნამეტებითა და ყურძნის მტევნებით (რომელიც გირჩებს ქმნავსება). ქრისტიანული სახითმეტყველებით ვენახის სემანტიკა უშუალოდ მაცხოვარს უკავშირდება: «მაშინ შეიქმნა ცხორებამ, ოდესცა ყუავსური გამოჩნდა ქუჯანისა ზედა და სხვლად მოიწია, რამეთუ მტსური იყო აღგსური იგი საფლავისად მის და ვენახი იგი, ორმელ დაენერგა, ამისთვის, რამეთუ თქუა: «მე ვარ ვენაგი ქეშმარიტი» (იოვანე 15,1). პ. კესლერი დურა ევროპოსის სინაგოგისა და ადრე ქრისტიანული მხატვრობის განხსურვისას, სინაგოგათა იმ კომპოზიციებში, სადაც არ გვხვდება ვაზის ნაყოფის - ყურძნის მტევნების გამოსახულება, მას იაზრებს როგორც მესის მოლოდინს (ესქატოლოგიური იდეა – ხე მოიტანს ნაყოფს; ესაია 4,2; ზაქარია 8, 12),<sup>20</sup> ხოლო სან ვიტალეს (საერთოდ რავენას გამოსახულებებში)

16 იქვე, გვ. 189.

17 A. C. Уваров, Христианская Символика, М-Л, 2001, gv. 213.

18 Lexikon der christlichen Ikonographie, B.1, 1994, gv. 375-376.

19 კ. კვაჭაბეგა, წმ. ნიკოლოზის ...

20 H. L. Kessler, Program and Structure, in: K. Weitzmann and H. L. Kessler, The Frescoes of the Dura Synagogue and Christian Art, Dumbarton Oaks, 1990, gv. 158.

საკურთხეველში გამოხატული ყურძნის მტევნებგამოღებული ვაზი, ფაქტობრივად, მოსულ მესიას გულისხმობს.<sup>21</sup> ანანურის სამხრეთი ტიმპანის ესქატოლოგიური ხასიათის უფლის დიდების კომპოზიციაში განედლებულ ყლორტებში ჩაბნეული ყურძნის მტევნები, ისევე როგორც სამხრეთისავე ფასადის სტაურიზებული ვაზის სახით წარმოდგენსური, ნაყოფით დახუნდლული სიცოცხლის ხევი, ერთი მხრივ, «სასყიდო სყიდული» კაცობრიობის ხელისთვის მოსული ქრისტე-მესიის იდეის გამომხატველია, მეორე მხრივ კი, - ესქატოლოგიური საზრისისა – მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად, ქრისტეს დიდებით, მეორედ მოსვლისა. საგულისხმოა, ინტერიერში ამავ, სამხრეთისავე კედელზე „საშინელი სამსჯავროს“ ვრცელი ფრესკული კომპოზიციის მოთავსება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ კედლის მხატვრობაში (ისევე როგორც ბიზანტიურში) ამ სცენას დასავლეთი კედლი ან ეკლესიის დასავლეთი მკლავი (მოგვიანებით ნართექსი) ეთმობა (ქრისტიანული სახითმეტყველების მიხედვით დასავლეთი ცოდვის, აღმოსავლეთან დაცსურებული მხარე), ხოლო სამხრეთ (ნათლის, მადლის და, ამავდროულად, ესქატოლოგიური ასკეტით გააზრებული მხარე), კედელზე მისი გამოსახვა ძალზე იშვიათია (ბუგეული XVIb.).

ამ თემას უკავშირდება ჩრდსუროეთი ფასადის ანგელოზთა მიერ მანდორლით მოსური, გოლგოთის ჯვრის ამაღლების, მოწითალო – შინდისფრით დაფერსური კომპოზიციაც, ისევე როგორც დასავლეთი ფასადის სამოთხის წიაღში გამოსახული გვირგვინოსანი, ზეციური დედოფლის სახით წარმოდგენსური, ჩვეურედი ღმრთისმშობლის (ქართულ სახვით ხელოვნებაში უპრეცედენტო იკონოგრაფიული რედაქციით – ფეხმორთხმით გადმოცემული) რელიეფური ხატი და ერთიანი პროგრამის გამასრულებელი, აღმოსავლეთი ფასადის მაცხოვნებელი გოლგოთის სამი ჯვრის მოტივით შექმნისური ლაკონიურ – სიმბოლური კომპოზიციაც. (სურ.6)

ვფიქრობთ, ანანურის სამხრეთი ფასადი ერთიანად, მთელი თავისი სკულპტურული პროგრამით, ერთგვარად, სამოთხის კარიბჭედაც შეიძლება მოვიაზროთ, ქრისტეს ვნებითა და აღდგომით მოპოვებულ „უფლის ბჭედ“, სადაც მხოლოდ მართალი შევლენ და „თუ ვინმე შევიდეს ცხონდეს“. აქ სამოთხის ბაღი, დაკარგულიცა და კვლავ მოპოვებულიც, თითქმის, ჩვენს ოვალწინ იშლება; სამხრეთი ფასადის კარის ტიმპანიც ხომ უფლის სამარადეამო დიდებას ასახავს. თავად სამოთხის კარი კი უნებურად, ქრისტიანთა სანუკვარ, ზეციური იერუსალიმის კარიბჭესთანაც ასოცირდება, იერუსალიმისა „რომელ არს სამოთხე“ (წმ. გრიგოლ ხოსელი) (“სამოთხე ღმრთისა და სასუფეველ ზეცისა არიან საგანენი საუბუნენი”<sup>22</sup>). ითანეს აპოკალიფტის მიხედვით: „ნეტარ არიან, რომელნი იქმოდიან მცნებათა მისთა, რათა იყოს ხელმწიფებად მათი ძელსა მას ზედა ცხორებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიღენ ქალაქად“ (აპოკ. 22, 14). მეტად საყურადღებოა, რომ იერუსალიმის კარიბჭე მორთული იყო „ოქროს ვაზზე დაკიდული ყურძნის მტევნებით“.<sup>23</sup> „სიონად უწოდა ზეცისა ქალაქება იერუსალემსა, ვითარცა მასწავა ჩვენ ნეტარმან პავლე, და ბჭედ ზეცისა - ქალაქისა ეკლესიასა; სახლსა ღმრთისასა, რომელ არიან ყოველსა

21 იქვე, გვ. 169.

22 მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა განმარტებისა. თხუ, ძველი ენის კათედრის შრომები, 11, 1968, გვ. 77-122.

23 H. L. Kessler, dasax. naSr., gv. 157; aqve avtors moyvansuri aqvs Semdegi literatura: Cf. R. du Mesnsur du Buisson, Les tessères et les monnaies de Palmyre, Paris, 1962, gv. 337, 195. Josephus, Jewish Antiquities, 15, 11; Asher Kaufman, A note on Artistic Representations of the Second of Jerusalem, Biblical Archeologist 47 (1984), 253 da Semdeg..

ქუეყანასა, ამისთვის, რამეთუ ეკლესიად მიგჰყვანებს ზეცისა ქალაქად, რომელ მომარტინი მიძინების სახელობისაა და, მაშენებელიც, სწორედ, მას, ყოვლადწმიდას, როგორც “წყევისა დამხსნელსა” და “სამოთხედ შემყვანებელსა” შესთხოვს “საუკუნო ცხოვრებას”: ღმრთისმშობლის მიძინების დღეს “(ბჭე) იგი ზეცისა და ტაძარი სიწმიდისაა მიიცვალების ზეცისა იერუსალემს და იქმნების მკუიდრ ნათელსა მას დაუსრულებელსა”.<sup>24</sup>

ქართლის მრავალ სიწმიდეთა სივრცეში ნაგები თავად ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი “შეორედ იერუსალიმად” ნაგულვები მცხეთის სვეტიცხოვლისაკენ მზირალია (“სვეტიცხოვლის ტაძარი იქცა ქართველთა სიონად (მას იმთავითვე სიონი შეერქვა). სიონთან დვოისმშობელი იყო დაკავშირებული, თუმცა სვეტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარია”<sup>25</sup>). ერთიანი იდეური საზრისით განმსჭვალული მონუმენტური სკულპტურის აღორძინების მოსურნე ანანურის ოსტატი შემოქმედებით იმპულსს, ერთგვარად, შეა საუკუნეების ბრწყინვალე ეპოქის დიდებული ძეგლისგან იღებს. საუბარია, არა მხოლოდ სულიერ – საკრალურ მიმართებებზე, არამედ რ. შემერლინგის მიერ იმთავითვე შენიშვნულ სვეტიცხოვლის დასავლეთ და სამხრეთ ფასადთა და ანანურის სტეურიზებული ვაზის სახით გადმოცემულ სიცოცხლის ხეთა გამოსახულებების სტეურუ კავშირზეც.<sup>26</sup> (აღსანიშნავია, სვეტიცხოველში მიახლოვებით XIV-XV საუკუნეებში მოწყობური კაპელა, რომელიც განასახიერებდა უფლის წმ. საფლავის იმ დროის საქართველოში ერთადერთ ასლე<sup>27</sup>). ინტერესმოქლებული არ იქნება აქვე მოვისმოთ მ.საბინინის მიერ მოპოვებული ერთი გადმოცემაც, რომელსაც თუმც დღესდღეობით ვეფარავინ გადამოწმებს, მაგრამ ის მაინც საგულისხმოა. მის მიხედვით წმ. კონსტანტინეს მიერ წმ. მეფე მირიანისადმი ძღვნად ბოძებული ჯვრად შექმნეური ძვირფასი ქვებით მოოჭვსურ მეტედსური “ნაწსური ჯუარისა, რომელსა ზედა დამსჭუალვსურ იყვნეს ფერხნი სამეუფოსანი” ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლიონში 629 წელს უკან წააბრძანა, ხოლო “შემდგომ რაოდენისამე დროსა წმ. ნაწსური ესე დაბრუნებულ იყო კუალად საქართველოს, რომელიც იქმნა დასვენებული ანანურის ეკლესიაში ფრთხეულობისათვის, რათა არ იქმნას დაკარგულ”, თუმც, წმიდა ტერფასადგამის ჯვარი მაინც დაკარგულა გიორგი XIII მეფობის სანაში<sup>28</sup>. უაღრესად მნიშვნელოვანია ცნობაც, იმის შესახებ, რომ ანანურის ღმრთისმშობლის ტაძარში უბედურების უამს სვეტიცხოვლიდან გახიზნული წმ. ნინოს ჯვარი ინახებოდა (3 წელი).<sup>29</sup>

მაშასადამე, ანანურის სამოთხესა შინა დანერგული ჯვარი ერთდროულად

24 Teodore kvipreli, Targmaneba Á daviTis fsalmunebisa Á. Satberdis krebuli.... gv. 387 (fs. 9, 14-15).

25 უძველესი იადგარი, (გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანიერება და ლ. სევსურიანმა), თბ., 1980, გვ. 270, 26-27.

26 რ. სირაქე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა I, თბ. 1992, გვ. 20; (საქართველოს კულტურისა და ეკლესიის ისტორიაში იერუსალიმის თღითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ იხ. ი. პაბლიგ შის წერსური, შე.5).

27 Шмерлинг, К харakterистике стилистического различия двух сходных памятников разных эпох – XI и XVII вв. საქ. სსრ. მეც. აკადემიის მოამბე, გ. III, №6, 1942 გვ. 611-618.

28 J. Pahlitsch, Die Bedeutung Jerusalems für Königtum und Kirche in Georgien zur Zeit der Kreuzzüge im Vergleich zu Armenien. Lidea di Gerusalemme nella spiritualità crustiana del Medievo, Gerusalemme, 1999, გვ. 104- 131 (116 – კაპელის თარიღი აქ არასწორადაა მითითებული. იხ. მცხეთა. საქართველოს ძველი ქალაქები, თბ., 2000, ანოტ. 18(1), გვ. 89; ჯ. უსურკინსონი, ქრისტე საფლავი: იერუსალიმი და მცხეთა. საქართველოს სიმებენი, 1, 2002, გვ. 59-67).

29 გ. (მიხეილ) საბინინი, საქართველოს სამოთხე, სპბ, 1882, გვ. 95.

30 Натроев, Мцхеть и его кафедральный собор Свети-Цховели, Тиф. 1900, gv. 130; Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф. 1866, gv. 123-124.

აერთიანებს “ხე ცხორებისა”, გოლგოთის ჯვრისა და მეორედ მოსვლის მაუწყებელზე ჯვრის ხატებას. ანანურის საფასადო სკულპტურის კვალად შექმნებური საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებსაც ქრისტიანული სარწმუნოების უარსებითესი, მრავლისდამტევნელი საზრისით განმსჭვალული, მსგავსი იყონოგრაფიული რელიეფური კომპოზიციები ამგობს.

აღმოსავლეთი ფასადის ვეება ჯვარი (სურ.7) აქაც გველეშაპების დამთრგუნველად, სერობინების თანხლებით წარმოგვიდგება, ოღონდ ჯვრის სინთეზურ სახებაში, იქ, უპირატესად გოლგოთის ჯვრის ანუ მაცხოვნებელი გოლგოთის მისტერიისადგომის იდეის მომცველი, დათის განგებულებაა ტრიუმფალურად წარმოჩენსური: ჯვარი გოლგოთის თხემის განმასახოვნებელ, საფეხურებიან კვარცხლბეკზეა აღმართული, მის ქვეშ მოქცეული ადამისა და ევას თავები “ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის” სცენას გვასხენებს; (სურ.8) სამყაროს, კოსმოსის ცენტრში - გოლგოთის თხემზე, იქ, სადაც “პირველი” ადამი დაიკრძალა, ადამის მოდგმის გამოხსნისთვის მაცხოვრის ვნებისა და ჯვარცმის, “სიკუდსურითა სიკუდსურისა დამთრგუნველი” ჯვარი აღიმართა. “ჯვარი აღიმართების / ადამ მეორესთვის / და იგი მას ზედა ვნებითა / აცხოვნებს სოფელსა”,<sup>31</sup> ხოლო უფრო ქვემოთ გამოკვეთსური სხივებით “გაბრწყინებული” ორი მნათობის როგორც ქრისტეს სიმბოლოს გამოსახულებები – “მზე სიმართლისას” (“აღვსება განმახლებელი და კუალად საფლავისაგან შუენიერი მზე – ქრისტე აღმოგვიძრწყინდა”,<sup>32</sup>) უნდა ასახიერებდეს. ქრისტიანობაში მზე, სულიერი მნიშვნელობით განიხილება ქრისტეს ხატად,<sup>33</sup> საკლესიო პიმნოგრაფიასა და სასულიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ქრისტეს ამგვარი ეპითეტებით (მეტაფორული სახელებით) მოხსენიებას: “მზე სიმართლისა”, “ნათელი ჭეშმარიტი” (იოვანე 1,9; 3,20-21), “მზე ჭეშმარიტებისა”, “მზე დაუვალი”; მაგ., “აღმობრწყინდა მზე სიმართლისად და განანათლა კიდენი ქუეყანისანი აღდგომით მისისა მადლითა”<sup>34</sup> და სხვ. საცნაურია ისიც, რომ საგარეჯოს ეს, აღდგომის იდეის განმასახოვნებელი კომპოზიცია, სწორედ, აღმოსავლეთ ფასადზეა განთავსებული, ფასადზე, რომელიც მხარეთა ქრისტიანული ეგზეგეტიკით “მზე ჭეშმარიტებისა”, ჭეშმარიტი ნათლის, მადლისა და სხის მხარედ მოიაზრება.<sup>35</sup> ამგვარად, მზეთა (თუ მნათობთა) ამ კონტექსტში წარმოდგენა, ერთი მხრივ, შესაძლოა ასახავდეს ქრისტეს ჯოჯოხეთში შთასვლას (“ჯოჯოხეთის წარმოტყვევნისას”) და, ამდენად, მისით ჯოჯოხეთის ბნელის ნათლით “განათლებას” (“ცხორება და აღდგომა, და აღმოსავალ და ცისკარ, და დღე და მზე სიმართლისა ბნელსა შინა და აჩრდსურითა სიკუდსურისათა მსხდომარეთა მათ ექმნა”<sup>36</sup>), მეორე მხრივ კი - ჯვარცმის დროს მნათობთა თანადასწებებას, და იმ უამს, როდესაც მზე დაბნელდა: “და დაბნელდა მზე, და განიპოვ ქრეტსაბმელი ტაძრისად მის შორის”, (ლუკა, 23, 45), “მას უამსა უბიწონი / განკვირდეს და ძრწოდეს ყოველნი ბუნებანი, / დღე დამედ გარდაიქცა, / რამეთუ

31 იოანე მიხნის პოეზია, გვ. 271.

32 უმეტესი იადგარი, . . . გვ. 510, 1-7.

33 მ. გველესიანი, მზე – ქრისტესა და ემთა გამოსახულებების შესახებ აკურას ბაზესურიკის აღმოსავლეთ ფასადზე. ლიტერატურა და ხელოვნება, 1997, 1-2, გვ. 76.

34 იოანე მიხნის პოეზია . . . გვ. 299.

35 F. W. Deichmann, Einführung in die christliche Archäologie, Darmstadt, 1983, gv. 90; g.alibegaSvsuri, geografiuli mxareebi bibliaSi, literatura da xelovneba, 1993, 1, gv. 5-21; J. Sauer, Symbolik des Kirchengebäudes, 1964..

36 წმ. გრიგოლ ნოსელი, მკვდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ობ. 2002 წ. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ნატო ბუკიამ) გვ. 6; ფს. 106, 9-10.

მზე მგლოვარე იქმნა / და დაბნელდა ნათელი მისი”,<sup>37</sup> “და იყო უამი მექუნე, და ბეჭედი იყო უკველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ უამამდე” (ლუკა, 23, 44). “მზემან ბრწყინვალება თუ დაიფარა, რაჟამს გიხსურა ჯუარსა ზედა დამშტუალული”.<sup>38</sup> შესაძლოა, მნათობთა გამოსახულებებს ჯვარსა და მის თანმხლებ ზეციურ დასთან (ქერძინ-სერობინთან) იერარქიულ მიმართებაში (მიწისა და ზეცის საზღვარზე) თავისი ადგსურიც მიეჩინებათ და, ამდენად, სამყაროში ჯვრის ყოვლისმპურობელობა იდიდება: “ლმრთივ შუენიერი უფროს მზისა თუალისა ნათელი ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჯუარი აღმოგუიცენდა ქუეყანით მორწმუნეთა საძლეველად მტერისათუის, რომლითა საცოტო დაითრგუნა და ჯოჯოხეთი წარმოიტყუნა”.<sup>39</sup><sup>39</sup> მას ეპასუხება სამხრეთი ფასადის კარის ტიმპანის, ანანურის ეკლესიის ანალოგიური, თეოფანიური ხასიათის უფლის დიდების კომპოზიცია.

საგარეჯოს პეტრე-პავლეს ტაძარი საგულისხმო ძეგლიდა არა მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ქართული საფასადო სკულპტურისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული მრავალპლასტიკანი იდეით დატვირთული ერთიანი იკონოგრაფიული პროგრამის შექმნის მცდელობის თვალსაზრისით, არამედ ეკლესიის დასავლეთი ფასადის პორტალის ე.წ. სელჯუკური ორნამენტული დეკორის სრულიად დახელოვნებული ოსტატობით წარმოჩენის მხრივაც. აქ თვალსაჩინო ხდება, რომ ქართულ ხელოვნებას ამ რთულ (ადრეულ შუა საუკუნეებთან შედარებით დაღმასვლით) ეტაპზეც ძალუმს უცხო მხატვრული მოტივების შემოქმედებითად კომპონირება.

ყინცვისის “გიგოს საყდრის” მცირე ეკლესიის საფასადო სკულპტურა ბევრად მოკრძალებულია, მაგრამ თავისი მხატვრული მნიშვნელოვნებით თანაბრად ღირებული. იგიც ეპოქისმიერ ტენდენციას ამჟღავნებს: ქრისტიანული მოძღვრების უარსებითეს იდეას დაფუძნებული უარგად გააზრებული რელიეფური კომპოზიციებით ფასადთა გამოყენებისა.

დასავლეთი ფასადის ტიმპანის კომპოზიცია, აქაც უფლის დიდების სცენას წარმოგვიდებენს, (სურ.9) ოღონდ ანანურისა და საგარეჯოს ანალოგიურ კომპოზიციებთან შედარებით, სრულიად ორიგინალურ რედაქციას გვთავაზობს – უჯვრო შარავანდით გამოსახული ქრისტეს ნახევარფიგურა ორნამენტული სარტყლით შეკრული ძირიდან ამოზრდსური, განზე გაშლსური აყვავებული ყლორტებითა გადმოცემული, და ერთგვარად, ქრისტეს ფიგურით ჩანაცვლებული განედელებული ჯვრის სახებათოან ასოცირდება. ქრისტეს, ისევე როგორც მთლიანობაში უფლის დიდების ამ კომპოზიციის, ანალოგიური გამოსახულება ქრისტიანულ ხელოვნებაში ჩვენთვის ცნობსური არ არის. ვფიქრობთ, “გიგოს საყდრის” ტიმპანის კომპოზიცია, სადაც მაცხოვარი ცხორების ხედაა გააზრებული, ამ ხატების უშუალო პირველსახეს გვიცხადებს. “მაშინ შეიქმნა ცხორება, რელესცა უშავესური გამოჩნდა ქუეყანასა ზედა”, “აღმოსცენდა ქუეყანით ვენაჟი, რათა აღესრულოს წერსური იგი: არამედ “ჭეშმარიტებად ქუეყანით აღმოსცენდა და სიმართლე ზეცით გამოჩნდა” (ფს. 84,12).<sup>40</sup> შესანიშნია, რომ ანანურისა და

37 იოანე მინჩის პოეზია ... გვ. 196.

38 უქველესი იადგარი, გვ. 462, 4-6.

39 “გამოაძრწყინე გულთა ჩეუნთა ნათელი შენი ჭეშმარიტი, რათა გმონებდეთ შენ შიშით და გადიდებდეთ წმიდასა სახელსა შენსა”, ჭეურ-ეტრატის იადგარი (გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშაშეურმა), თბ. 1977, გვ.176 (ჯუართა აპურობა), გვ. 135.

40 წმ. კირსურე იერუსალიმელი, მკუდრეთით აღდგომისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. კლარჯული მრავალთავი (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები XII), ტექსტი გამოსაცემად მოამზნადა და გამოკვლევა დაურთო თამსურა მგალობლიშვილმა, თბ., 1991 წ. გვ. 239.

საგარეჯოს “პეტრე-პავლეს” ტიმპანის, უფლის დიდების კომპოზიციებში მაცხოვანი, მთავარანგელოზებთან ერთად, ძირიდან ამოზრდსური ფოთლის თუ მარყუებისებრ, მედალიონისებრ წრიულ ყლორტშია მოთავსებული, რაც ერთგვარად, მეტად ზოგადი “სქემით”, ასოციაციურად, პოსტბიზანტიურ ხანაში ძალზე გავრცელებულ კომპოზიციას – “ქრისტე ვენახეზე” – მოგვაგონებს. საყურადღებოა, პ. კესლევის მოსაზრება ამ სცენის (“ქრისტე ვენახეზე”) იკონოგრაფიის წარმომავლობის შესახებ. როდესაც იგი დურა ევროპოსის სინაგოგაში თორის ნიშის თავზე ვენახის სახით გამოსახული სიცოცხლის ხეზე საუბრობს, “იეჲს ძირის” (“ქრისტე ვენახეზე”) კომპოზიციას ამ გამოსახულების გვიანდელ ვარიაციად მიიჩნევს.<sup>41</sup> აყვავებული იეჲს ძირს (“და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იეჲსსა და ყუავსური ძირისაგან აღმოჟდეს” (ესაია 11, 1). წმ. პავლე მოციქულიც ადდგომის ხატად ასახელებს: “და მერმე ესაია იტყვს: და იუოს ძირი იგი იეჲსი, და ორმელი – იგი აღდგომად არს მთავრად წარმართოა” (პრომავლ. 15,12). ნერგს არის ქრისტე შედარებული აღდგომის საკითხავშიც: “უფალო, წინა-გამოსახა სასწაული შენი მამათ მთავარმან იაკობ წუერსა ზედა კუერთხისასა, თაყუანის-ცემითა გუაშრებდა მერმისა მის გამოჩინებასა, რომელსა ზედა ჯუარს-გაცუეს ნერგი ცხოველი”.<sup>42</sup> თუ ანანურისა და საგარეჯოს ტიმპანის გამოსახულებები, რამდენადმე, “ქრისტე ვენახეზე” – კომპოზიციას გვაგონებს, ყინცვისის “გიგოს საყდრის” ტიმპანის უფლის დიდების გამოსახულება უფრო ქრისტეს ფიგურით ჩანაცვლებული განედლებული ჯვრის სახებასთან ასოცირდება (“ჯუარმან გამოიდო ნაყოფი სიწმიდისაც”).

ამდენად, ტიმპანის სცენაში ერთდროულად გადმოცემულია ანგელოზთაგან უფლის სამარადუამო, დაუსაბამო და უსასრულო დიდება და, ამავდროულად, ცხოვების ხედ და ცხორების წყაროდ (ფს. 35,9-10) გააზრებული ქრისტე, ვითარცა “ქრისტე დაუჭრნებელი” აღდგომის ტრიუმფისა და სამოთხის (მის ორსავ მხარეს მტრებელიც გამოისახებიან), საუკუნო სასუფელის მარადიულობის ხატებას წარმოაჩენს. მას სახითმეტყველებითად უშუალოდ უკავშირდება ტიმპანის თავზე ირმის გამოსახულება, როგორც “სიცოცხლის წყაროსთან” მდგომი, და აღმოსავლეთი ფასადზე ერთგვარად ჯვრის ქვედა მკლავის მსგავსად გამოსახული, ვიწრო სარქმლის (ვითარცა სინათლის წყარო, შეიძლება იგი ჯვარსაც ენაცვლება) ქვეშ მოქცეული დრაკონი (სურ.10), რომელიც ბოროტების დათრგუნვას უნდა განასახიერებდეს, რასაც ანანურისა და საგარეჯოს სკულპტურაშიც ვხვდებით. უურადსაღებია ტაძრის ინტერიერში შემორჩენებური კანკელის ფრაგმენტებიც, სადაც მთავარანგელოზის ფრონტალური ფიგურაა გამოკვეთსური. სხიურისა (X ს.) და ლადამის (XIV ს.) კანკელებზე წარმოდგენსური მთავარანგელოზების მსგავსად, შესაძლოა “გიგოს საყდრის” მთავარანგელოზიც (ან მთავარანგელოზები) სრულად ვერ შემორჩენებური კანკელის რელიეფური გამოსახულებების ესქატოლოგიური ხასიათის კონტექსტში იყო ჩართული.

საყურადღებოა, რომ გვიანი შუა საუკუნეების რელიეფური სკულპტურის მხატვრული სტეური ისევე არაერთმნიშვნელოვანი და არაერთგვაროვნი, როგორც ამ ეპოქის, რიგ შემთხვევებში, არატიპიურ - არაორდინარული, სიმბოლური მრავალასტიანობით დატვირთული, მნელად “წასაკითხი” - იკონოგრაფია.

სამთავე ეკლესიის გარეპირის რელიეფური სამკაული კედლის სიბრტყეზე საკმაო ოსტატობითაა განთავსებული და ორგანიზებული: ფსადებზე მკაცრადად დაცული სიმეტრიულობა, თავისებურად მოწესრიგებულია პროპორციები, ცოცხალია

41 H. L. Kessler, dasax. naSr. gv. 159 (Sen. 25).

42 ჭილ-ეტრატის იადგარი, თბ. 1977, გვ. 119.

მასშტაბისა და “სივრცის” განცდა, აშკარაა დეკორატიულობის განვითარებულობის გრძელებადაგარკვეულწეურადმხატვრულიჩანაფიქრის მთლიანობა— კანონზომიერება – ეს ნიშნები კი, ახლად აღორძინებული საფასადო მონუმენტურობის ცნება, ახლა უკვე (XI ს.-თან შედარებით) სხვაგვარი “ელგურითა” და აზრით იმოსება. აქვე შესანიშნია ეპოქის ვერ გამომუშავებული ერთიანი სტეურისთვის დამახასიათებელი სტეურური “სიჭრელე”, ზოგ შემთხვევაში კალექტურობაც: ერთიმეორის გვერდით ჩუქურთმის მრავალგვარი სახის მექანიკურად გამოყენება, ფიგურული გამოსახულებებისთვის ერთდროულად სხვადასხვა ნიმუშთა მოხმობა. სკულპტურული ძიებები, რომელიც ქართულ პლასტიკაში, პრაქტიკულად, XI საუკუნის შუა ხანებში წყდება, არც ახლა (XVII-XVIII სს.-ში) ხდება გამოცოცხლებული შემოქმედებითი ძალების მთავარი მამოძრავებელი (არც საფასადო სკულპტურაში და არც მცირე ფორმის ქვის რელიეფურ და ჭედურ ხელოვნებაში). ქართული შუა საუკუნეების შემოქმედებითი იმპულსებისა და შთაგონების წყაროდ დასახული ბრწყინვალე ეპოქის (X-XI სს.) ნაწარმოებთა რემინისცენციები, ვერ “უზრუნველყოფს” “რეტროსპექტული” ეპოქის ხელოვნების კლასიკურ ხანასთან მიახლოვებას, მით უფრო განმეორებას. მიუხედავად გაუბრალოებული ფორმებით მეტყველებისა, გამოსახულებათა სტეურური არაერთგვაროვნებისა, ჩუქურთმათა ორნამენტულ სახეობა სიჭრელისა, ფასადებზე გამოსახულებები მაინც ერთიანად შეკრულ, რაც მთავარია, იდეურად, შინაარსობრივად გამთლიანებულ დეკორს ქმნის.

ამგვარად, განხსეურულ ეკლესიათა საფასადო რელიეფები შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის უწყვეტობასა და სახითმეტყველებითად როზლი პროგრამების შექმნის შესაძლებლობებს ცხადყოფს. ისინი ამდიდრებენ შუა საუკუნეების მონუმენტური სტეურისთვის მხატვრულ სახეთა სისტემას და წარმოაჩენენ ქართული საფასადო მქანდაკებლობის ტრადიციის მდგრადობას გვიან შუა საუკუნეებშიც.

## Catherine Kvachatadze To the Interpretation of the Late Medieval Facade Sculpture Programmes


Active striving towards the cultural and spiritual revival in the 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc., which was named “Silver Epoch” or “Revival Epoch” by K. Kekelidze in connection with the contemporary literature, is also discernible in the Georgian sculpture. From the first quarter of the 11<sup>th</sup> c. onwards, facade sculpture is, mainly, limited to the individual figure reliefs (images of the Saints, animals, birds, heads), which are not united in a single system. Exceptional in this respect is a group of the 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> cc. churches – Ananuri (1685), Sagarejo church of Stt. Peter and Paul (ca. 1712), “Gigas Sakdari” in Kintsvisi (17<sup>th</sup> c.). In Ananuri and Sagarejo churches entire facade composition is united by the enormous eschatological Crosses (unparalleled before) with the Old and New Testament motifs carved under their arms, which form a well thought off programme.

Most lavishly decorated is the south facade of Ananuri church, where the universal knowledge embodied in the symbols is expressed through the laconic and conventional language – Genesis, the Fall – Sacrifice on the Calvary – Resurrection (?). In Ananuri, the Cross, as a cosmic

axis is indicative of the Second Coming – it suppresses the dragon, at the same time, piercing it, i.e. “suppressing with death”, bringing Salvation to the mankind. The Paradise – is linked with the Tree of Life, Cherubim and Seraphim, guards of the Cross (lions, defeated by its power), it is flanked by the Trees of Life (Old Testamental prefigurations of the Cross) accompanied by the Archangels, at the bottom of Trees of Life are stags (a motif of oldest origin in the Georgian culture) – images of the Saved, while doves and animals (symbols of the Redeemed) are eating pomegranates and grapes (again, Old Christian symbols of the Salvation). Here, one might seem likely to deal with the combined image of the Garden of Eden, Heavenly Paradise and New Jerusalem, all the more that idea of Second Coming is echoed by the image of St. Nicholas – intercessor for the mankind during the Last Judgement – in the summit of the facade and the Glorification of the Saviour by the Angels in the south tympanon – indicative of the Incarnation – Salvation in the Paradise (it is noteworthy that the Last Judgement is represented in the interior, on the south wall, which is quite rare in the Georgian mural painting). Ascension of the Cross on the north facade, Crowned Virgin and Child within the Paradise on the west facade and a composition of the three Crosses of Calvary on the east facade are all linked with the Second Coming theme. Here south facade is the Gate to Paradise, obtained through the Passion of Christ – it is noteworthy that the church was consecrated to the Dormition of the Virgin, “Leader to the Paradise” and was oriented towards the cathedral of Mtskheta, perceived as the New Jerusalem; as evidenced by the preserved data, for a certain spell Ananuri church would shelter the particles of the Holy Cross and the Cross of St. Nino.

In the Sagarejo church of Stt. Peter and Paul the key element of the programme elaborated in similarity to Ananuri, is the Cross. It is also suppressing the dragon, is accompanied by the Seraphim, but placed on a stepped base it is perceived as a Calvary Cross, while heads of Adam and Eve below it are indicative of the Harrowing of Hell; heavenly bodies above the Cross should bear implication on Christ – the Sun of Truth, turning the composition into an image of Resurrection; at the same time, the heavenly bodies are “looking” eastwards, from where the Messiah is to be expected to emerge (besides, they might also be “witnesses” of the Crucifixion). South tympanon bears a Theophanic composition, akin to that of Ananuri, while the west portal bears clear evidence that Georgian craftsmen were quite skilled in the “Selchuk” ornamentation.

Far more modest decoration of the Kintsvisi “Gigos Sakdari” represents the same concept: on the west facade, an original version of Christ in Majesty – Christ without the crossed nimbus emerging from sprouts, i.e. here He has replaced the Flourishing Cross, being directly linked with the Tree of Life; similar to Ananuri and Sagarejo, links with the image of “Christ – the Vine” and Tree of Jesse. As the Saviour and Source of Life this image is linked with the doves (on the tympanon) and stags (above it), while on the east, the window (source of light, maybe, replacing the Cross) is suppressing the dragon; it seems likely that the relief of the Archangel (imitating 10<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cc. chancel-barrier plaques) preserved from the chancel-barrier should also have had born eschatological meaning. However, these facade compositions are quite retrospective in character and stylistically heterogeneous.



Տպ. 1. Անձնյան Սամხբերդու գավաճո



Տպ. 2. Անձնյան Սամքերդու գավաճո. Շրացմենքո



Ֆուր. 3. Անանյուրուս Տամերյուտի վասածո. Դրագմենքո



Ֆուր. 4. Անանյուրուս Տամերյուտի վասածո. Ծոմპանո




სურ. 5. ანანურის სამხრეთი ფასადი.  
წმ. ნიკოლოზის რელიეფური გამოსახულება



სურ. 6. ანანურის დასავლეთი ფასადი. ჩვილები დმრთისმშობლის  
გამოსახულება



სურ. 7. საგარეჯოს პეტრე-პავლე  
აღმოსავლეთი ფასადი



სურ.8. საგარეჯოს პეტრე-პავლე. აღმოსავლეთი ფასადი. ფრაგმენტი



სურ. 9. ყინცვისის გიგოს საყდარი.  
დასავლეთი ფასადი. ტიმჩანი



სურ. 10. ყინცვისის გიგოს საყდარი.  
აღმოსავლეთი ფასადი

## ქართულ ხელნაწერ წიგნში გამოყენებული ოქრო (დამზადების წესი, ტერმინოლოგია)

მდიდრულად შემცილი ხელნაწერი წიგნის შექმნისას თითქმის ყოველთვის გამოიყენებოდა ოქრო – რბილი და ძლიერ პლასტიკური, ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი (ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით „უძვირფასესი მეტალი, ფერით ყვითელი და მძიმე“).<sup>1</sup> ოქროსაგან ამზადებდნენ სამწიგნობრო ხელოვნებაში ფართოდ გამოყენებულ ფურცლოვან თქროს და საწერ-საღებავს,<sup>2</sup> რითაც წერდნენ საზედაო ასოებს, სათაურებსა და დასაწყისებს, რიგ შემთხვევაში ტექსტის გარკვეულ ნაწილს, იშვიათად ანდერძ-მინაწერებს. ძირითადად ის გამოიყენებოდა წიგნის დეკორატიულ მხატვრობაში ფონის შესაქმნელად, მრავალი ორნამენტული დეტალის დასამუშავებლად, XVII-XVIII საუკუნეების ფართოდ გავრცელებული, ფერადებით დახახული სწორი, გეომეტრიული ფორმის ოთხკუთხედი ჩარჩოს, ჯაზულის<sup>3</sup> შესაქმნელად, რომელშიც ჩაწერილი იყო ტექსტი და სხვა (მაგ. ადიშის ოთხთავი, 897 წ.;<sup>4</sup> H-1346, 978 წ.; A-40, X-XI სს; A-87, XI ს; A-484, 1054 წ.; S-962, 1054 წ., A-92, XI ს.; Q-908, XII ს.; იქნაშის ოთხთავი, XII ს;<sup>5</sup> A-496, XII ს.; Q-899, XII-XII სს.; A-1335, XII-XIII სს „ოქროს ოთხთავი“;<sup>6</sup> A-488, XVI ს.; A-351, 1494 წ.; A-401, 1514 წ.; S-1247, XVII ს.; H-54, XVII ს.; A-123, XVII-XVIII სს.; A-398, XVIII ს.; H-342, 1661 წ.; H-98, 1681; A-198, 1696; Q-261, XVII ს.; H-16, 1691 წ.; A-1193, XVII-XVIII სს.; Q-326, XVII-XVIII ს.; A-1095, XVIII ს.; A-398, XVIII; S-954 (დ) XVIII-XIX და სხვა).

ოქროსაგან დამზადებული საწერ-საღებავის აღმნიშვნელ ტერმინად ქართულ ში ძირითადად ოქრომელანი, ოქროს მელანი, შედარებით იშვიათად კომელი ხმარებოდა; 1007-1008 წლებში გადაწერილი ხელნაწერის (Ath.13) 47v-ზე ასეთი სახის მინაწერია: „დაგწერე წერილი შუენიერი მელანით თქროსათა“;<sup>7</sup> XI საუკუნის ალავერდის ოთხთავზე (A-484) დართულ ანდერძში, კაცხის ღმრთისმშობლის მონასტრისათვის შეწირულ ნივთებს შორის აღნიშნულია: „შევწირე ოთხთავი ერთი სრული და გამოკრებული, ზანდუკითა და კამარითა, შეგან წმიდანი მახარებელნი თქრო მელანითა დაწერილნი და ყოველი ასომთავარი თქრო მელანითა დაწერილნი“.<sup>8</sup>

ელ. მაჭაგარიანის განმარტებით, მოტანილ ანდერძში თქრომელანთან ერთად

1 ჩ.ჩუბინაშვილი, ქართული დექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961, გვ. 325.

2 ამ სახელწოდებით მოიხსენიებს ივ. ჯავახიშვილი ყოველგვარ საღებავს, რომელიც ეტრატზე ან ქადალდზე კალმით წერის დროს გამოიყენებოდა, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებაზე თორმები ტომად, ტ. IX, „დამწერლობათმცოდნებობა, ანუ პალეოგრაფია“, თბ., 1996, გვ. 53-54.

3 მოსახრება, რომ „ჯაზული“ წიგნის შემცულობის აღმნიშვნელი ტერმინია და ტექსტის გარემომცველ, ფერადებით დახატულ ჩარჩოს უნდა ნიშნავდეს, გამოთქმული აქვს ივ. ჯავახიშვილს, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 83.

4 დაცულია შესტის მხარეთმცოდნების მუზეუმში.

5 დაცულია შესტის მხარეთმცოდნების მუზეუმში.

6 „ოქროს ოთხთავი“, იმერეთის თავადის, გიორგი აბაშიძის მიერ, იერუსალიმის უფლის საფლავის შეწირული, დაცულია ტაძრის საგანძურში, საუფლო დღესასწაულები და პირველი თავის გარკვეული ნაწილი შესრულებულია თქრომელნით.

7 ხელნაწერის ფოტოპირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

8 ანდერძი სრული ტექსტით გამოქვეყნებულია, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1986, A II, გვ. 214.

ნახმარი ტერმინი „დაწერილი“, მასარებელთა გამოსახულებებისა და საზედალი ასევების მრავალშრიანი საფერწერო ტექნიკით მხატვრული შესრულებას, მოხატვას გულისხმობს, ამიტომ, ოქრომელანი ანდერძში საღებავის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.<sup>9</sup> კ. დანელიასა და ზ. სარჯველაძის „ქართულ პალეოგრაფიაში“, „ოქრომელნითა დაწერილი“, „I შემთხვევაში ნიშნავს ოქრონარევი საღებავით დახატულს, II შემთხვევაში კი – ოქრონარევი მელნით დაწერილს“.<sup>10</sup> ამასთან დაკავშირებით გვინდა თავიდანვე აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ნუანსი: დამზადებისა და შედგენილობის თვალსაზრისით, საღებავ ოქრომელანსა და საწერ ოქრომელანს შორის არანაირი განსხვავდებოდნენ, რადგან მოხატვა ხდებოდა ფუნჯით, ხოლო ასონიშნების დასმა - კალმით, ამიტომ საღებავი ოქრომელანი საწერ ოქრომელანთან შედარებით კონცენტრირებული, ბლანტი იყო. საწერი ოქრომელანი კი, განხავებული, დენადი.<sup>11</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ოქრომელნისთვის, ისევე როგორც შავი ან წითელი საწერ-საღებავისთვის, ცალკე კალამი არსებობდა. ამ მხრივ საინტერესოა მესტიის ოთხთავის მათე მახარებლის მინიატურა. წმ. მათე მახარებელი, როგორც სახარების ტექსტის ავტორი წარმოდგენილია გადამწერის როლში – ზის სამუშაო მერხის წინ, მუხლზე უდევს ფურცელი და ხელში უჭირავს კალამი, შავად შეფერილი წვერით. მაგიდაზე სხვადასხვა შრომის იარაღებთან ერთად (ფარგალი, დანა, სამელნე და სხვა), დევს კიდევ ორი კალამი; ერთი წითლად, ხოლო მეორე ოქროსფრად შეფერილი წვერით.<sup>12</sup>

კათოლიკოს ეფთვიმი საფარელიძის ბიჭვინტის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნში (1600 წ. ახლოს) აღნიშნულია: „შევწირე მე ერთი ოქროს კონდაკი, ოქროს მელნით დახატული“,<sup>13</sup> ტერმინი „ოქროს მელანი“ გვხვდება აგრეთვე XV- XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში, კერძოდ, „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში და „რუსულანიანში“: „ერთი გონიარი მწიგნობარი იგმობინა შარიართანა. ოქროს მელნითა სურნელისა სულითა ჰელმწიფესა ფრიდონს წინა წიგნი დაწერებს“;<sup>14</sup> „. . . მთვარესავით ოქროს მელნით ნაწერი იყო სრაზედა“,<sup>15</sup> „შავიდნებ და ოდეს შევიდნებ ნახეს შესავალსა კარსა ოქროს მელნითა ნაწერი“<sup>16</sup> XI საუკუნის (A-92), ვმ. გრიგოლ ლეონისმეტველის კრებულში 128v-ზე, ტექსტის ბოლოს გადამწერის მიერ ასეთი მითითება: „თავები დამიტეობია, ოქრომთა დასვი“<sup>17</sup>, ვანის ოთხთავზე (A-1335, XII-XIII სს.) დართულ მხატვრის ანდერძში აღნიშნულია: „კ. ოქროთი მოიწერა ეს წიგნი მიქელ ოქროთმწერლის კორესელის მიერ“<sup>18</sup>.

9 ელ. მაჭავარიანი, ქველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემქალობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ. 1969, გვ. 111-113.

10 კ. დანელია, ზ. სარჯველაზე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 292.

11 იგივე შეიძლება ითქვას სინგურის, სურინჯის, ქანგაროს და სხვა საწერ-საღებავების შესახებ.

12 ის. მესტიის ოთხთავი, დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

13 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 387.

14 შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, თბ., 1934, გვ. 438.

15 შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, თბ., 1916, გვ. 510.

16 რუსულანიანი, ილ. აბულებისა და ივ. გიგინებიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 453.

17 პალეოგრაფიული ტერმინი – „ასოს დასმა“ განმარტებული აქვს მ. სურბულამეს, რომლის მისედვითაც „კალმის მოსმას „კალმის მოვლება“ ან „მოქცევა“ ეწოდებოდა, ხოლო ასოს დაწერას – „ასოს დასმა“, ის. მ. სურბულამე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 53. ანდერძი გამოქვეყნებულია, ის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., გვ. 328; გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ. 82.

18 ანდერძი გამოქვეყნებულია, ის. თ. ფაუსტიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 455.

ოქროსაგან დამზადებულ საწერ-საღებავთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის Sin. 50 ხელნაწერზე დართული ანდერძ-მინაწერები, საღაც დავით გარეჯისა და მცხეთის წმ. ჯვრის მონასტრის კუთვნილ საეკლესიო ნივთებს შორის ნახენებია სახარებად ოქროწყლისად და ოქრო-წყლითა დაწერილი ხატი: „იადგარნი (სია) წიგნთა ზედა ზედნელთათ: ბეჭდულნი 24 და სხვად წიგნი – 30, ოთხი თავი - 3, პავლე - 3, გრიგორი - 1, ნინოი - 1, სახარებად ოქროწყლისად – I; . . . და ჯუარცუმავ ტილოსა ზედან ოქრო-წყლითა დაწერილი ხატი, დებორა სამშეილდებლ დედოფლისა შეწირული, რომელმან სამშეილდისა ეკლესიად აღა შენა განსრულებით“.<sup>19</sup>

მოგანილ ანდერძ-მინაწერებში ტქროწყლით თრჯერ არის ნახენები. პირველ შემთხვევაში იგი სახარებასთან ერთად არის ნახმარი და სამწიგნობრო ხელოვნებაში გამოყენებულ, ოქროსაგან დამზადებულ საწერ-საღებავს უნდა ნიშნავდეს. რაც შეეხება მეორე შემთხვევაში ნახენებ ტქროწყლის, იგი ვფიქრობთ ტქროსაგან დამზადებულ საღებავს გულისხმობს, რითაც, როგორც ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, ტილოზე ჯვარცმის გამოსახულება მოიხატა.

Sin. 50 სინას მთის ახლადაღმოჩენილი კრებულია, რომელშიც გაერთიანებულია „მოქცევა ქართლისად“ და „ასურელ მამათა ცხოვრების წიგნები“. თვითონ ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ გადმოწერილია უფრო ადრეული ხელნაწერიდან. გადამწერს ტექსტის წერისას ტექსტებში ჩაურთავს ძველი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიც, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „ოქროწყლი“ ტქროსაგან დამზადებული საწერ-საღებავის ყველაზე ადრეული ტერმინია, რომელიც X საუკუნეზე ადრეულად უნდა მივიჩნიოთ, იგი ჯერ-ჯერობით მხოლოდ Sin. 50-ში გვხვდება.

ტქრომელანის დასამზადებლად გამოიყენებოდა მეტალი (ტქრო), ამიტომ იგი პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ მეტალური მელნების ჯგუფს. ტქრომელნის დამზადების პროცესი აღწერილია შეკვეუნების დასავლეთევროპულ, ახლო აღმოსავლეთისა და სომხურ ტრაქტატებში. მის დასამზადებლად ჯერ ხდებოდა მეტალური ტქროსაგან დისპერსული ტქროს ფხვნილის მიღება, ხოლო შემდგვ მისი შერევა წებოვან, შემაკავშირებელ ნივთიერებასთან (გუმიარაბიკი, თევზის ბუშტის ან პერგამენტის წები).<sup>20</sup> ზოგჯერ ელასტიურობის მისანიჭებლად 2–3 წევთ ყურძნის წვენს – ბადაგს უმატებდნენ, ხოლო ფერის გასაძლირებლად – ზაფრანას ხსნარს.<sup>21</sup> ტქროსაგან მელნის დამზადების ტექნოლოგია, როგორც აღვნიშნეთ, დისპერსული ტქროს შემკვრეულ ნივთიერებასთან შერევს ითვალისწინებს. სირთულეს მხოლოდ მეტალისაგან დისპერსული ფხვნილის მიღება წარმოადგენს. ტქრო, როგორც ძალზე ჭედვადი ლითონი, არ ჭუცმაცდება; მექანიკური ზემოქმედებისას კი არ წვრილმანდება, არამედ იზიდება. ამიტომ ტქროს ფხვნილის მიღების ერთ-ერთი მეორების მიხედვით, იყენებდნენ არა მასიურ, არამედ ფურცლოვან ტქროს.

მის დასამზადებლად ძვირფასი მეტალის მცირე ზომის, წინასწარ გაბრტყელებულ ნაწილებს აწყობდნენ კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირის მქონე, თანაბარი

19 Le nouveau manuscrit Georgien Sinaitique № 50, Edition en fac-simile, introduction par Z. Aleksidze, traduite du Géorgien par J. P. Mahe, Louvain, 2001, გვ. 29, 56.

20 Манускрипт Ираклия об искусствах и красках римлян VIII – IX вв., перевод А. В. Винера и Н. Е. Елисеевой, сообщения ВЦНИЛКР, М., 1961, გვ. 23. Манускрипт Теофила, Записки о разных искусствах, (перевод с латинского), сообщения ВЦНИЛКР, М., 1962, вып. 7, გვ. 50, 91, 94. А. Х. Арутюнян, Краски и чернила по Древне-Армянским рукописям, Ереван, 1941, გვ. 74. Казиев А. Ю., Художественно-технические материалы и терминология средневековой книжной живописи, калиграфии и переплетного искусства, Баку – 1966, გვ. 64-66.

21 А. Ю. Казиев, დასახ. ნაშრ., გვ. 64–65.

ზომის პერგამენტის ნაჭრებს შორის, ათავსებდნენ ბრტყელ ქვაზე და შემდგენ სპეციალური, ფართო თავიანი ტყვიის ჩაქუთი ბეგვავდნენ უთხელესი ფურცლების მიღებამდე.<sup>22</sup> ასეთი წესით მიღებული ოქროს თხელი ფენა, მასიური ოქროსაგან განსხვავებით, მექანიკური ზემოქმედების შედეგად ადვილად იფშვნებოდა და ილექტორდა. ფურცლოვანი ოქროს დამზადების რეცეპტს ქართულ წერილობით წყაროებში ვერ მივაკვლიეთ, მხოლოდ ნიკო ჩუბინაშვილს აქვს აღწერილი მისი დამზადების პროცესი და ისიც ძალზე ზოგადი და არაზუსტი სახით; „რა ოქრო გააწურილო თმაებრ, ეწოდების ოქროსთმა, რა თმა იგი განსტიციც ბრტყელად, აქვიან სხევლა . . . ხოლო სხევლა განვართოვებილი ფურცლებად არს ქანდა, ანუ ვარაყ“<sup>23</sup> როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ოქროს ფურცლის აღმნიშვნელი ტერმინებია, „ქანდა“ და „ვარაყ“. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ვარაყი სხვათა ენაა, ქართულად ქანდა პექიან“<sup>24</sup>, ქანდა ოქროს ვარაყადვე აქვს განმარტებული. ვარაყი არაბულიდან შეთვისებული ტერმინია და ფურცელს ნიშნავს,<sup>25</sup> იგი „ან სპარსული გზით არის შემოსული ან თურქულისა - ვარაჯ“<sup>26</sup> რაც შეეხება „ქანდა“-ს, აკაკი შანიძე მას ასე გამმარტავს: „ქანდა არ არის ქართული, სპარსულია და ახალ სპარსულში „ჩაჭრილს“, „შიგ შეჭრილს“ ნიშნავს, . . . და მაინც არა მაქვს საფუძველი, რომ ეჭვის თვალით შევხედო სულხან - საბა ორბელიანის მტკიცებას, პირიქით უნდა ვთქვა, რომ „ფურცლის“ ანუ „ვარაყის“ მნიშვნელობით სპარსული „ქანდაც“ იხმარებოდა ჩვენში“<sup>27</sup> აღრეული, XI საუკუნის წერილობითი ძეგლების მიხედვით, ფურცლოვანი ოქროს შესატყვია - ოქროფურცლი//ოქროპეტალო. ოქროფურცლი გვხვდება მელქისედეკ კათალიკოსის მცხეთის საყდრისადმი დაწერილში (1031–1033 წ); „და სხულ(ა) ხატები ს(ა)როთი და ოქროფურცლითა დაწერილნი, ჩემნივე დასუებულნი რიცხვით ნე“<sup>28</sup> ხოლო ოქროპეტალო - პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში (1083 წ.): „ხატენ ვიცრისანი, ოქროპეტალოთა და წამლითა შეენიერად დაწერილნი“; „და სხულ ხატები შეშისაა, ოქროპეტალოთა შეკა ზმული, რიცხვთ რცდა შეკიდო“<sup>29</sup>.

ვარაყი//ოქროს ვარაყი ქართულ წერილობით ძეგლებში მოგვიანებით,

22 Манускрипт Теофила, Записки о разных искусствах, (перевод с латинского), ВЦНИЛКР, вып. 7, М., 1962, გვ. 86-87.. А. Ю. Казиев, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

23 ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, გვ. 325. იგივე განმარტება მოცემულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984 გვ. 100.

24 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, თბ., 1991, გვ. 254.

25 Varak - лист дерева или бумаги, Н. Д. Ягело, Полный Персидско – Аравско – Русский словарь, Ташкент 1910, გვ. 1738, Varak a. 1. лист (дерева, бумаги, и пр.) 2. (или altın varak) тонкий слой золота, листовое золото, В. А. Гордлевского, Турецко-русский словарь, М., 1945, გვ. 650.

26 აკ. შანიძე, ოქროფორტლოთა (მხატვრობაში ხმარებული ერთი შერყვნილი ტერმინის გამართვისათვის). საბჭოთა ხელოვნება, 8, 1970, გვ. 51.

27 იქვე, გვ. 45.

28 ქართული იხტორიული საბუთების კორპუსი. ტომი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, გ. სილოვაგამა, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 23.

29 „ოქროპეტალო“, ოქროს ფურცლის, ოქროს ვარაყის მნიშვნელობით, განმარტებული აქვს აკაკი შანიძეს პეტრიწონის ტიპიკონზე დართულ ლექსიკონში, გვ. 185, აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, ქართველთა მონასტრები ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1985, გვ. 68, 113. ადსანიშნავია, რომ პეტრალო (პეტალი, лист, металлическая пластинка), ბერძენი სიტყვაა და ფურცელს, მეტალის ფირფიტას ნიშნავს, აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 186, И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958., გვ. 1310. ასევე განმარტავს სულხან-საბა, „პეტალი, ილერკო ქარტასავით შექმნილი, მისივე განმარტებით ილერკო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენსა . . და უოვ-ელსა მისთანასა, იხ. დასახ. ლექსიკონი, ტ. I, გვ. 327, 621.

XVII საუკუნიდან გვხვდება, კერძოდ; მალაქია კათალიკოზის ბიჭვინთისადმი შეწირულის წიგნში (1616–1639 წ.) აღნიშნულია „ოქროს ფრთხოებისა და მეტერილი“<sup>30</sup> შაპ-ნამებს“ ქართულ ვერსიებში (უთრუთიან–საამიანი, პოეტური რედაქცია, XVII ს.), ასეთი ხატოვანი გამოთქმაა: „მისწერეს, ჯიმშედ მოიხმეს, მივა ფაიფ-მერენი, მიართვეს წიგნი ჯიმშედის, გარა ნაწერი მელანი“<sup>31</sup> „რუსულანიანში“ (XVII ს.) ხახსენებია, „ოქროს ვარაყოთ დახატული უფო“<sup>32</sup> ეტრატზე, ქაღალდზე, შეკრული წიგნის ყდაზე, მითლილი წიგნის პირზე, სიღელის არშიაზე ვარაყის დაკვრის წესები აღწერილია S-3721 ხელნაწერში (იხ. სს 187, 238, 239, 240, 241, 242). იგი გადაწერილია რუსეთში ვახუშტი ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის 40-იან წლებში, წარმოადგენს ვახტანგ VI-ის „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქმითისა ქმის“ სრულ ტექსტს და მოიცავს მიდროინდელი პრაქტიკული ქიმიის თოთქმის ყველა საკითხს.<sup>33</sup>

ოქრომელანის დამზადებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1670-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში. მოგზაურობის დროს სარგებლობდა სპარსეთის ხელმწიფის ფირმანით, რომელიც დაწერილი იყო ოქროს, ცისფერი, წითელი და შავი ასოებით. ქართლის მეფე ვახტანგ V მოხიბლულა ფირმანის სილამაზით და ასლის გადაღება უბრძანებია. შარდენი, როგორც ფირმანის მფლობელი, როგორც ჩანს, ესწრებოდა ოქროსა და სხვა ფერადი საწერ-საღებავების დამზადებასა და ასლის გადაღებას. აი, რას წერს იგი: „ოქროს ასოებით ისევე ლამაზად და წერილად წერენ, როგორც მელნით; ამისთვის ფრთხოების ძალიან დიდხანს ფხვნიან მარმარილოზე, შემდგა ფუნჯით აგროვებენ ოქროს, რომელშიაც როგორც მელანში, ისე აწებენ კალამს. ასევე იქცევიან წითელი და სხვა ფერების მომზადების დროს, ყოველივე ამის გამო ნაწერი ფუნჯით შესრულებულს უფრო წაგავს, კიდრე კალმისას“<sup>34</sup> შარდენს აღწერილი აქვს ფურცლოვანი ოქროსაგან ოქრომელნის დამზადების არასრული პროცესი. შარდენის ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ მასში მოცემულია ოქრომელნით წერის წესი. კერძოდ, „ოქროში, როგორც მელანში, ისე აწებდნენ კალამს“. განსხვავებული წესი პქონდათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იქაურ კალიგრაფებს ოქრომელანი ფუნჯით გადაჰქონდათ კალმის წერზე.<sup>35</sup>

ამრიგად, შარდენის მონაცემების სახით გვაქვს, საქართველოში ფურცლოვანი ოქროსაგან ოქრომელნის დამზადების, მართალია არასრული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაზე აღრეული ცნობა.

ფურცლოვანი ოქროსაგან მელნის მომზადების სრული რეცეპტი მოცემულია პლატონ იოსელიანის მიერ თარგმნილ და სვიმონ ტაბიძის მიერ 1835 წელს გადაწერილ ინტერი სინ. 22/17 ხელნაწერში. მოცემული რეცეპტი: „ვითარ ჯერ არს შემზადება ოქროსა ანუ ვერცხლის მელანთა გაკეთება“. ვერცხლის მელანი ქართულ

30 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, გვ. 499.

31 „შაპ-ნამებს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტომი III, თბ., 1974, გვ. 86.

32 რუსულანიანი, ილ. აბულაძისა და ივანე გიგინეშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 45.

33 ხელნაწერის ერთადერთი სრული ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში; – ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქმითისა ქმნის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიონი დაურთეს თენუქიძემ და ვაკოკოჩაშვილმა, თბ., 1981, (გვერდები და პარაგრაფები მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით).

34 შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები, დაურთო შ. მგალობლივილმა, თბ. 1975, გვ. 329, 332.

35 А. Ю. Казиев, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

ხელნაწერებში თითქმის არ იხმარებოდა, ფურცლოვანი ვერცხლი გამოყენებული მხოლოდ ერთ, XVIII საუკუნის ხელნაწერში (H-16),<sup>36</sup> იგი წარმოადგენს ქართული დამწერლობით შესრულებულ სახარებას სპარსულ ენაზე, საყურადღებოა, რომ ფურცლოვანი ვერცხლის ქართულში „კუტალო ვერცხლი“, „ვერცხლის ვარაყი“ და „თეთრი ვარაყი“ აღნიშნავდა. მაგ., პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკობში (1083 წ.) სხვადასხვა საეკლესიო ნივთებს შორის აღნიშნულია „სხუა ხატი ერთი დიდი შეშიხა, ჰეტალოთა ვერცხლითა შემოჭედილი, წმიდისა ვიორგის“<sup>37</sup>; ვახტანგ VI „ქმითის წიგნში“ ვკითხულობთ: „ . . . ვარაყი ოქროს ან ვერცხლისა დააკარ და ბამბით დასტეპენე . . . ”; „მოიტანე ყვითელი და თეთრი ვარაყი და თევების პირის ტოლად დასჭერ . . . ”,<sup>38</sup> ვერცხლისწყალი გაწმენდილი 15 მისხალი ან ვერცხლის ვარაყი და ან დაქლიბული წმინდა ვერცხლი . . . ”.<sup>39</sup>

ფურცლოვანი ოქროსაგან მელნის მომზადების რეცეპტი გამოქვეყნებული აქვს ელენე მაჭავარიანს,<sup>40</sup> ჩვენ შევეცდებით მხოლოდ მისი ამომწურავი ანალიზი ჩავატაროთ.

რეცეპტის მიხედვით, პირველ სტადიაზე ოქროს ფურცლის თაფლთან ერთად ლესავენ „მარმარილოს პალიტაზე საღესით“. გალესვა ამ შემთხვევაში, დაფქვას, დაწვრილმანებას ნიშნავს: „მოიღე ოქროს ფურცელი და ამასთანავე მცირედი თაფლი და განხლებენით კარგად, კითარცა მხგავსი მტვრისა“. ამ შემთხვევაში მოცემულია ოქროს დაწვრილმანების „სველი“ მეთოდი, რომლის თანახმად დანაკარგის თავიდან ასაცილებლად (მაგ., პაერში გაბნეული ოქროს მტვრი), ლესვის პროცესის დასაჩქარებლად და გასაადგილებლად ფურცლოვანი ოქრო ილესებოდა სხვადასხვა თხევად ნივთიერებასთან ერთად. ლესვის დროს თაფლის გარდა იყენებდნენ სუფთა განუზავებელ ღვინოს<sup>41</sup> ან წებოვანი ნივთიერების წყალსნარს.<sup>42</sup> ოქროს დაწვრილმანების მშრალი მეთოდის თანახმად, ფურცლოვანი ოქროს აქუცმაცებენ მშრალად დაფქვილ წებოვან ნივთიერებასთან ერთად, სპეციალურ ფილაზე ხის ჩაქეშით.<sup>43</sup>

მეორე სტადიაზე თაფლთან ერთად გადესილ ოქროს რეცხავენ ნელთბილი წყლით: „ხოლო შემდგომ შესრულებისა დაგვისია, წმინდას მინას ჭურჭელში შეკრიბენ და ნელთბილ წყალში აღმორეცხნენ, ესე თდენ ჯერ რომელ კიდრების გამოიწურებოდეს თაფლის წვენი“. ამ პროცესის შედეგად გალესილ ოქროს სცილდება თაფლი და მიიღება დისპერსული ოქროს სუფთა ფხვნილი.

მელნის მომზადების ბოლო სტადიაზე მიღებული ფხვნილის წყალსნარს ურვედნენ წებოვან ნივთიერებას: „ხოლო შემდგომ სამყოფი დაასხი ცივი წყალი წმინდა, შემდგომ ჩააგდევით მცირეოდენი ხის წებო (რუსულად ამ წებოს ეწოდების ვიზევო – კლეი გასამაგრებლად“). ამ შემთხვევაში, შემკრელ ნივთიერებად გამოყენებულია, ალუბლის ხის - *Prunus cerasus* მერქნიდან გამოჟონილი გუმფისური ნივთიერება, რომელიც რუსულ წყაროებში „კლეი ვიშnevый“ – ის სახელით არის

36 ხელნაწერებშე მუშაობისას, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულ კოლექციაში ფურცლოვანი ვერცხლით შემქულ სხვა ხელნაწერს ვერ მივაკვლიერ, თუმცა არ გამოვრიცხოვ მისი არსებობის შესაძლებლობას.

37 იბ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 118.

38 ყვითელი ვარაყი ამ შემთხვევაში ფურცლოვან ოქროს უნდა ნიშნავდეს.

39 ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, გვ. 129, 180, 184, 199.

40 ელ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 111.

41 მანუსკრიპტ ირაკლია . . . გვ. 29.

42 ა. იუ. კაზიევ დასახ. ნაშრ., გვ. 65.

43 იქვე, გვ. 65.

ცნობილი,<sup>44</sup> რეცეპტის ბოლოს მითითებულია მზა ოქრომელნის გამოვენების წესი, „შემდგომ ეშვით გალესე – ზემორე მელნით დაწერილი . . . და თუ არ გალესეთ, კლვარე არ იქმნების“. „ეშვით გალესვა“ ამ შემთხვევაში ოქრომელნით დაწერილი ტექსტის გაპრიალება, გაელვარებას ნიშავს, რაც აუცილებელია, რადგან დისპერსულობის გამო ოქრომელანს მქრქალი, მოყვისფრო შეფერილობა აქვს,<sup>45</sup> გაპრიალების ანუ ეშვით გალესვის შემდეგ კი, იგი მასიური ოქროსთვის დამახასიათებელ ელფერსა და ბრწყინვალებას იძენს.<sup>46</sup>

ვახტანგ VI მონაცემების მიხედვით, გაპრიალება - გაელვარების აღმიშვნელ ტერმინად „გალესვა“-ის პარალელურად „გაშვება“ იხმარება. გასაელვარებლად ძირითადად ცხოველის კბილს, ეშვს ან სალივებერთის (?) ქვას იყენებდნენ: „... ვარაყი დააფინე, თავის ხებად გააშრევ. მას უკან ეშვით გალესვა და გაელვარდება ...“<sup>47</sup> „წიგნის პირი რომ მოსთალო დანა წაუსვიდა წმინდად დაფხიკე. მერმე ცხენის კბილი იყოს, თუ ეშვით, ასე გალესვა ის მოთლილი ქაღალდი, რომ ელვა დაიწყოს ... რახან გაშრეს, მოიგანე ძაღლის კბილი და წენარ-წენარ ლესვა დაუწევა“<sup>48</sup> „... რომ გაშრეს, გაშვება, ოქროსავით ბრწყინვალებას დაიწყებს“<sup>49</sup> „... მერმე სალივებერთის ჭვით გაეშვება“<sup>50</sup> „... წმინდად გარეცხილი ნაძირალი საძყოთ გალესვა“<sup>51</sup> და გააშრევ და გაეშვება“<sup>52</sup>

ფურცლოვანი ოქროსგან, ოქრომელნის დამზადებასთან დაკავშირებით საინტერესო მონაცემი გვაქვს ვახტანგ VI „ქიმიის წიგნში“. § 205 – ში, რომლის სათაურია, „დაწერა ქაღალდზე ერთი მელნით ორი რიგის გამოჩენა“, სხვადასხვა მითითებებთან ერთად ვკითხულობთ: „თუ ვარაყით არშია გინძა, უნდა დასაწერად გაღებილს ვარაყს ცოტა არჯასპის წყალი დაახსა, ისე დასწერო“.<sup>53</sup> მოცემული ფრაზა - „დასაწერად გაღებილი ვარაყი“, ამ შემთხვევაში ფურცლოვანი ოქროსაგან დამზადებულ ოქრომელნის ნიშნავს და გულისხმობს მელნის დამზადების სრულ პროცესს - ოქროს თხელი ფურცლის ანუ ვარაყის მექანიკურ დაწვრილებასთან და შემდეგ შემკვრელ ნივთიერებასთან შერევას.

მეტალურგი თქროდან ოქროს ფენილის მიღება სხვა მეოთხითაც იყო შესაძლებელი: ოქროს ჯერ ქიმიური გზით ხელოვნურად ამყიფებენ, ხოლო შემდეგ მექანიკურად აწვრილმანებენ. რადგან ოქროს პლასტიკურობა ძალიან მგრძნობიარეა ტყვიის მინარევის მიმართ, გამყიფება და მისი ადვილად დაფშვნა შესაძლებელია უკე 0,15% ტყვიის მინარევის არსებობის დროსაც კი.<sup>54</sup> ოქროში ტყვიის მინარევის შეაგვანისა და გამყიფებული თქროს დაწვრილმანებით ოქრომელნის მომზადების წესი

<sup>44</sup> В. А. Щавинский, Очерки по истории техники живописи и технологии красок в древней Руси, М., 1935, §3, 146.

45 სინათლის სხივი ოქროს ნაწილაკებზე დაცემის შედეგად სხვადასხვა მიმართულებით ძირაკლება.

46 В. С. Ильенков, Курс химической технологии, СПб., 1857, §3. 537.

47 ვახტანგ VI, დასახ. ნაშრომი, § 241, სულ ერთპირად ვარაყის დაკვრა ქაღალდზედ გინდოდეს, რომ ოქროს ქაღალდი შეიქნას. გვ. 199.

48 იქნა, §236. მოთლილს წიგნის პირზედ ვარაყის დაკვრა ასე უნდა, გვ. 197.

49 იქვე, §171. ოქროს ვარაუქავით რგინაზედ დაწერა, თუ დახმატვა გინდოდეს, ასე უნდა, გვ. 173.

50 օվայ, §187. ՏՅՈՂԵԽԾԻՋ ՀԱՐԱՎՈՍ ԴԱԿՑՐԱ, ձի. 180.

51 „ხალგით გაღებები” ამ შემთხვევაში გუმფისური ნივთიერებისა და ოქროს ფხვნილის შერევას ნიშანს.

52 օվայի, §180 ովրան զագնոծա, զՅ: 177.

53 იქვე, §205. დაწერა ქადალდნებები ერთი მელნით ორი რიგის გამოხენა, გვ. 184 - 185

54 Р. В. Чагунава, Вахтанг Багратиони и его труд по химии, Тб., 1984, 33. 132.

აღწერილი X საუკუნის დასავლეთ-ევროპული ტრაქტატის ერთ-ერთ რეცეპტში დამტკიცებული იყო „როგორ უნდა დავამზადოთ და კრეროთ ოქროთი“<sup>55</sup> რეცეპტის მიხედვით, გამლდვალ ტყვიას წყალში ასხამენ, შემდეგ კი ამ წყალს გამლდვალ ოქროს უმატებენ, რის შედეგადაც ოქრო მყიფე და ადვილად ფშენადი ხდება.

მსგავსი ქიმიური პროცესი აღწერილია ვახტანგ VI „ქიმიის წიგნში“ (§124)<sup>56</sup>. მართალია, ამ შემთხვევაში იგი მელნის დასამზადებლად არ არის გათვალისწინებული, მაგრამ უდაოდ იმსახურებს უურადღებას, რადგან მასში დეტალურად არის აღწერილი დისპერსული ოქროს ფხვნილის მიღება. რეცეპტის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ გამლდვალი ოქროსა და ტყვიის წყალში ჩასხმა, მათ ურთიერთშეხების მიზნით კი არ ხდება, როგორც ეს დასავლეთ-ევროპული რეცეპტის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, არამედ ადგილი აქვს მეტალური ტყვიიდან წყალში ამ ლითონის გარკვეული რაოდენობით გახსნას და შემდეგ გახსნილი ტყვიის ოქროში გადასვლას. გამლდვალი ტყვიის წყალში ჩასხმის შედეგად ტყვიის მცირე რაოდენობა წყალში რჩება, ასეთ „ტყვია-შემცველ“ წყალზე გამლდვალი ოქროს დამატებისას, ტყვია ერევა ოქროს და როგორც რეცეპტშია ნათქვამი „მიწასავით შეიქმნება“.

ოქროს გამყიფებასთან დაკავშირებით ვახტანგ VI სახელმძღვანელოში მეორე რეცეპტიც გვხვდება სათაურით – „გაფოლადება ოქროსი“ (§62)<sup>57</sup>. გაფოლადებაში ოქროს გამყიფება იგულისხმება. ამ შემთხვევაში ოქროში ტყვიის მინარევის შეყვანა გამდნარი ოქროს ტყვიის უანგთან – მურდასანგთან უშუალო ურთიერთქმედებით ხდება, რის შედეგადაც ოქრო „ასე გაფოლადება, კვერი რომ დაკრა, დაიფ შენიტება“.

დისპერსული ოქროს ფხვნილის მიღება ქიმიური მეთოდითაც არის შესაძლებელი. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგ VI წიგნში მოცემული ორი პარაგრაფი – §180 და §260.<sup>58</sup> პირველ პარაგრაფში აღწერილია ოქროს ვერცხლისწყალში გახსნით ამალგამის მიღება, რომელსაც გოგირდის ფხვნილი ემატება. ამ ნარევს ახურებენ ვერცხლისწყლისა და გოგირდის მოცილების მიზნით. მაღალ ტემპერატურაზე ვერცხლისწყალი ორთქლის სახით, ხოლო გოგირდი ნაწილობრივ ვერცხლისწყალთან რეაგირების შედეგად მიღებული ვერცხლისწყლის სულფიდის, ხოლო ნაწილობრივ გამოწვის შედეგად წარმოქმნილი  $\text{SO}_2$ -ის სახით გამოიყოფა აირად ფაზაში.<sup>59</sup> საბოლოოდ გვრჩება ყვითელი ფხვნილი, რომელიც საგულდაგულოდ ირეცხება და ილესება წებოვან ნივთიერებასთან ერთად: „ . . . რაც იმ ქოთანში ყვითელი დარჩეს, ის გამოფხიცე ნიუარაზედ და წყლით სამჯერ გარეცხე . . . და ის წმინდად გარეცხილი ნაძირადი სამყით გალეცხე და გააშრევ და გაეშვე “. ბოლო ფაზა – „გააშრევ და გაეშვე“, უკვე ქაღალდზე ან ეტრატზე დაწერილ ოქრომელანს შეეხება, რომლის გალესვა - გაელვარება ანუ „გაეშვება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუცილებელია გაშრობის შემდეგ.

მეორე პარაგრაფში (§260) მოცემულია ოქროს დაწვრილმანების მეტად საინტერესო მეთოდი. თავდაპირველად ოქრო იხსნება, „ოქროს გამდნობ თაზაფში“ ე. ი. სამეფო წყალში ( $\text{HNO}_3$ ,  $3\text{HCl}$ ), შემდეგ მიღებული ხსნარით იულინთება დოლბანდი, რომელსაც აშრობენ, წვავენ და ნამწვავს წყალში ყრიან: „დოლბანდი გააშრევ, დასწივებული და წყალში ჩაყარე, ოქრო ძირს წავა, ნამწვავი დოლბანდისა ზევით ამოვა. მანამდინ

55 მანუსკრიპტ თეოფილა, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

56 ვახტანგ VI, დასახ. ნაშრ. §124, ოქროს პალის გაკეთება, გვ. 143.

57 იქვე, §62, გაფოლადება ოქროსი, გვ. 99.

58 იქვე, §180, ოქროს გადნობა, გვ. 177, §260, ოქროთი დაფერვისა, გვ. 207 – 208.

59 პ. ვ. ზაგუნავა, დასახ. ნაშრ. გვ. 99.

პერსია, ცარის დარჩებული თქმით დარჩებული მიღებული წვრილდისპერსული თქმითს ფხვნილი, რომელსაც ჩვეულებრივ სხვადასხვა საგნების მშრალად მომქრვისათვის იყენებდნენ, შესაძლოა ოქროს მელნის დასამზადებლადაც იქნეს გამოყენებული.

## Darejan Gogashvili Gold Used in the Georgian Manuscripts (Production Technology, Terminology)

In Georgia, similar to the case in other countries, gold (both sheets and paint) was widely used in the production of written codices. In Georgian manuscripts dating from the 9<sup>th</sup> up to the turn of the 18<sup>th</sup> c. to 19<sup>th</sup> c., gold was used in initials, headings, certain parts of the text, backgrounds of the miniatures, details and decorative framings. In the medieval Georgia, paint produced from gold and used for writing was called “*okromelani*”, “*okros-melani*” and rarely – “*okro*”. This word denoted the paint, which was used both for writing and painting (sometimes, in Old Georgian, one and the same verb – “*tsera*” or “*datsera*” – was used for both actions, e.g. colophon of the 11<sup>th</sup> c. Alaverdi Gospel); the only difference was in the consistence – the paint used for writing was to be more liquid, since they painted with a pencil and wrote with a pen. It is noteworthy that simultaneously different pens were used for different colour inks (see the image of St. Matheus in Mestia Gospel); in certain cases, the painter working with gold was called “*okromtserali*”. It should be noted that in the 10<sup>th</sup> c. manuscript cod. Sin.-50, gold used for both writing and painting the icon of Crucifixion is called “*okromelani*” – since this manuscript was copied from an earlier original, it had preserved the oldest form of this term.

As described in the treatises of the medieval Western Europe, Near East or Armenia, in order to produce paint from gold, firstly, thin golden sheets were to be chased. In the 11<sup>th</sup> c., “*okropurtseli*” or “*okropetali*” (cf. Greek *petalon*) were used in Georgian to denote gold leaf, while from the 17<sup>th</sup> c. “*varak*” (a word of Arabic provenance) and “*kanda*” (Persian word, meaning “cut in”) were introduced for the same purposes (see dictionary of Sulkhan-Saba Orbeliani, turn of the 17<sup>th</sup> c. to the 18<sup>th</sup> c., and dictionary of Niko Chubinashvili, 19<sup>th</sup> c.).

In early 18<sup>th</sup> c., Vakhtang VI, king of Kartli, described how to apply “*varaki*” in his “Chemistry Book”, while in 1670s, French traveller Jean Chardin had described (although, not completely) production and use of gold-ink in Georgia. In 1830s, receipt of the gold-ink was translated by the historian Platon Ioseliani; however, some technological details (cutting of the golden sheets, mixing of the melted gold with the lead-mixed water, production of amalgam) can also be found in Vakhtang VI’s book.

Silver leaf (called “*petalo vertskhli*” or “*vertskhlis varaki*”) was also used in Georgia; however, this is evidence by only one, 18<sup>th</sup> c. manuscript (cod. H-16, Persian Gospel written in Georgian letters).

## XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ერთი უცნობი მხატვრის შესახებ

ქურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ 1966 წლის IV ნოემბრში (გვ.60) დაბეჭდილია რევაზ მიშველაძის წერილი „სატირული გრაფიკის ისტორიიდან“, სადაც ავტორი წერს: „1907-1908 წლების ქართული სატირული უურნალების ფურცლებზე მოღვაწეობდნენ ქართული სატირული გრაფიკის პიონერები გ. ზაზიაშვილი (ივანიშვილი), ო. შმერლინგი, ი. შანშიაშვილი, პ. მდებრაძე, შ. ქიქოძე, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, მ. ჭიაურელი, ვ. კილაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი და სხვები“<sup>1</sup>.

აქ მოხსენიებულ მხატვართა გვარების უმრავლესობა კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის და მათ დირსეული ადგილიც აქვთ დამკვიდრებული ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში, ხოლო მათ შორის ნახსენები პ. ლიბრაძე სრულიად უცნობია და ჩვენ შევეცდებით, მიკვდეულ მასალაზე დაყრდნობით, წარმოვაჩინოთ ამ მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რადგან მიგვაჩინა, რომ

თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საწყისი ეტაპის სრულყოფილი სურათის წარმოდგენისათვის უმნიშვნელოვანებია თვითოვეული ახალი სახელის გამოვლენა.

საქართველოს ისტორიულ არქივში ინახება პლატონ ლიბრაძის (მდებრაძის) პირადი საქმე (ფორმულიარი სიით 422-1; 14008; აღწერა № 7809, 580, 1916 წელი). პირად საქმეზე დაყრდნობით და მხატვრის ოჯახში დაცული მცირე მასალის საფუძველზე აღვადგინეთ მხატვრის ბიოგრაფია. ვინაიდან ხდება საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი მხატვრის წარდგენა, გადარჩევის გარეშე მოგაწვდით ყველაფერს, რისი მოპოვებაც კი შევძელით.

არქივში დაცულ მხატვრის პირად საქმეზე დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ პლატონ სპირიდონის ძე ლიბრაძე, იგივე — მდებრაძე — მართლმადიდებელი ქრისტიანი, დაიბადა 1884 წლის 24 სექტემბერს, სოფელ გოდოგანში. მამა — სპირიდონ ნიკოლოზის ძე ლიბრაძე (ნიკოლოზს ჰყოლია ორი ვაჟი — სპირიდონი და ალექსი), დედა — მაგრონა თევდორეს ასული ლიბრაძე (ქალიშვილობის გვარი უცნობია). როგორც ჩანს ისინი იყვნენ შეძლებული გლეხები, რასაც მოწმობს ოჯახში დაცული რამდენიმე მამულის შესყიდვის საბუთი, რომელთა ნასყიდობას აწარმოებს პლატონის დედა — მაგრონა, რომელიც საბუთის შედგენისას, 1903 წელს, ქვრივად მოიხსენიება, ანუ ამ წელს მხატვრის მამა უკვე გარდაცვლილია. ოჯახს ჰყავდა სამი ვაჟი, მათ შორის უფროსი პლატონია, შეუათანა სამსონი (დაბ. 1886წ. - ?) და უმცროსი ჭიჭიკო (დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უცნობია), რომელის აღზრდასა და განათლებაზეც მზრუნველობა შემდგომში პლატონს აუდია, რაც 1911 წლით დათარიღებული პირადი წერილიდან ჩანს.

1 იხ. აგრეთვე ქართული წიგნი ბიბლიოგრაფია, გ. 1, თბ., 1941; ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819–1945, თბ., 1946; გ.ნიშნანიძე, სიცილის არქივიდან, სატირა რევოლუციის სამსახურში, თბ., 1971; თ.სეფიაშვილი, ქართული კარიკატურა, საბჭოთა ხელოვნება, 1957, 7, გვ.17; მ.ჩხილიშვილი, პირველი ქართველი კარიკატურისტი, ლიტერატურული საქართველო, 1967, 17 მარტი, გვ.2; რ.მიშველაძე, სატირული გრაფიკის ისტორიიდან, საბჭოთა ხელოვნება, 4, გვ.60; მარკ კიპნისი, ქართული კარიკატურის პიონერები. ლიტერატურული საქართველო, 1967, 6 ივნისი, გვ.4.

1903 წლის 12 ივნისს პლატონი ამთავრებს ქუთაისის პირველ საქალაქო კულტურულ სასწავლებელს. 1903–1907 წლებში სწავლას აგრძელებს თბილისში, სამხატვრო სასწავლებელში, რომლის კურსდამთავრებულებს ეძღვოდათ უფლება ემუშავათ გრაფიული ხელოვნების მასწავლებლად საშუალო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში. ამ სასწავლებელში სწავლა ხუთ წლიანი ყოფილა, მაგრამ პლატონის მხოლოდ ოთხი წელი უსწავლია, რადგან იგი 1907 წელს დახურულა. არასრული სასწავლო კურსის გავლის გამო, მას შემდგომში სიძნელები შეხვდა, რათა შეენარჩუნებინა სამსახური და ხატვის მასწავლებლად მუშაობის უფლება ქუთაისის პირველ საქალაქო სასწავლებელში, სადაც მას 1907 წლის 27 სექტემბრიდან დაუწყია მუშაობა. ვინაიდან 1914 წელს ეს სასწავლებელი უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად გადაკეთებულა, იქ დასაქმებულ პედაგოგებსაც უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა მოეთხოვებოდათ. ცოდნის შევსების ანუ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მხატვარს რამდანჯერმე მიუღია მონაწილეობა სპეციალურ სასწავლო კურსებში, რომლებიც ორგანიზებული იყო კავკასიის სასწავლო ოლქში – თბილისში (1911.VII.), პიატიგორსკში (1914.IV.), და კლადიკავკაზში (1915.VI.).

1914 წლის 1 იანვრიდან პლატონ ღიბრაძე (მღებრაძე) გადაუყვანიათ გრაფიკული ხელოვნების მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად, სადაც უმსახურია გარდაცვალებამდე. როგორც ჩანს თანამდებობის შენარჩუნება, ერთი მხრივ, იმ დადებითი სარეკომენდაციო წერილებით მოხერხდა, რომელსაც სენებული სასწავლებლის ხელმძღვანელობა მრავალჯერადად უგზავნიდა სახალხო განათლების დეპარტამენტს და კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველს (ეს დოკუმენტები არქივში დაცულ მხატვრის პირად საქმეში შემოინახა), მეორე მხრივ კი, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებამაც მოუსწრო და შეაჩერა ზედამხედველის ზეწოლა.

1912 წელს პლატონ ღიბრაძე (მღებრაძე) დაქორწინებულა, ქუთაისის მკვიდრი, შეძლებული გლეხის არქიფო სალაძის ქალიშვილ – კალინკა სალაძეზე (1893-1959), რასაც მოწმობს მათი ქორწილის მაუწყებელი მოსაწვევი, რომლიც მეტად ორიგინალურია და შემდეგი შინაარსისაა: “უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ და დაესწროთ ჩემს ქორწინებას კალინკა არქიბოს ასული სალაძისადმი 17 ამა თებერვალს, დღით კვირას, შვადღის 10 საათზე, მწვანევავილის ეკლესიასთან, არქიბო სალაძის საკუთარ სახლებში, და თქვენის მობრძანებით მარად დავალებული გვჟოთ. პატივისცემით პლატონ სპირიდონის-ძე მღებრაძე.” მათ ერთად მხოლოდ შვიდი წელი უცხოვრიათ, შესძენიათ ვაჟი – კონსტანტინე (კოტე) – (1917-1994), (შემდგომში – საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი), ხოლო მეორე შვილის – მარიამის (1919-1966), (შემდგომში – ექიმი) დაბადებას მხატვარი ვერ მოსწრებია, რადგან მოულოდნებლად გარდაცვლილა 1919 წლის 9 მარტს, 35 წლის ასაკში. დაკრძალული ყოფილა ქუთაისში, ეწ. საფიჩხიაზე მდგრავე ეკლესიის ეზოში. სამწუხაოდ, შემდგომში ამ ეზოს ნაწილი გზის მშენებლობის გამო ჩამოუჭრიათ, გადასვენების შემდეგ კი საფლავიც დაკარგულა.

პლატონ ღიბრაძის შემოქმედებითი შემკვიდრეობიდან ცოტა რამ შემორჩა – ესაა ქვეჩარჩოდან მოჭრილი რამდენიმე ფერწერული ტილო და მცირე ზომის, ყდაშემოცლილი, ჩანახატებიანი ბლოკნოტი, ძლიერ დაზიანებული, დაცალკევებული ნახევრად დაფლეთილი ფურცლებით. ჩანახატების გარდა, რვეულში მცირე ჩანაწერებიცაა, ლექსების სტრიქონები და სხვადასხვა მოკლე ციტატები. საინტერესოა ისიც, რომ რვეულის ერთ ფურცელზე წერია: „სამშობლო ენის მოყვარულთა ქართველთა კრება” და იქვე, ცოტა ქვევით: „დედა ენის მოყვარულთა

ქართველთა ამხანაგობა” – ფურცელზე ნუმერაციაა ჩამოწერილი – ოც ციფრაში მდგრად მხოლოდ პირველი ორის გასწვრივაა გვარ-სახელი: ბიჭაშვილი ზახარი (?) და მღებრაძე პლატონი.

ფერწერული ტილოებისა და ჩანახატების შესრულების ზუსტი თარიღის განსახლვა ძნელია. სამაგიეროდ, ზუსტად თარიღდება პოლიგრაფიულად დაბეჭდილი სატირული პერიოდული გამოცემის “ეშმაკის მათრახისოვის” შექმნილი რამდენიმე კარიკატურული ნახატი (1908 წელი, № 27,29,30,31,32,33,34,35.) და მხატვრულად გაფორმებული ზღაპრის პატარა წიგნი – ნინო ნაკაშიძის “ზარაბიძილის ხელმწიფის ქალი” (ქუთათური ამხანაგობის გამოცემა № 23. ქუთაისი 1914.) – შემორჩენილია ასევე ამ წიგნისთვის შესრულებული ილაუსტრაციის ორგინალის ორი ფრაგმენტი.

პლატონს, როგორც ჩანს, მხატვრის პროფესიის გამოხატვის სურვილით სახე უცვლია საკუთარი გვარისთვის და დიბრაძე – მღებრაძე შეუცვლია. ამ გვარით აწერს ხელს ნამუშევრების უმრავლესობას, ზოგჯერ სრულად და ზოგჯერ კი მხოლოდ ინიციალების – პ. მ. – ის – შერწყმულ კომბინაციას ხმარობს. ხსენებულ ბლოგნოტში შემონახულია ქართული და რუსული შრიფტით შესრულებული ავტოგრაფების ვარიანტები. გვარის ორივე ფორმა იხმარება ასევე ისტორიულ არქივში დაცულ პირად საქმეშიც და „ეშმაკის მათრახის“ კარიკატურების ხელმოწერებზე.

ჩანახატები, რომლებიც დაზიანებული ბლოგნოტის ფურცლებზეა შემორჩენილი უფრო სავარჯიშო, ეტიუდური ხასიათისაა. ძირითადად აქ მხოლოდ ნახატის პატარ-პატარა ფრაგმენტები ამოიკითხება. ერთმანეთს ცვლის ფანქრითა და ტუშით შესრულებული პეიზაჟის, პორტრეტის მონახაზის, ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილებისა და სხვადასხვა მოძრაობის დამაფიქსირებელი ელემენტები. მხატვრის ხელწერა ზოგჯერ მოწაფური სისუსტით გამოირჩევა, ზოგჯერ კი ოსტატურ დახვეწილობამდე მიდის. ყოველივე ეს მხატვარის შემოქმედებითი ძიების პროცესს ასახავს.

ეტიუდური ხასიათისაა შემორჩენილი, ქვებარჩოებიდან მოხსნილი, ფერწერული ნამუშევრებიც.

ერთ-ერთ მათგანზე ჩამავალი მზის ფონზე გამოსახული ბუნების ხედია მოცემული (ტ. ზ., 16,7X23,5). ჩამავალი მზის შუქით მკრთალად გამონათებული ციდან მთების კონტური მკაფიოდად გამოკვეთილი. ამ კონტურს აცოცხლებს ბუჩქოვანი მცენარეებისა და ხეთა სილუეტები. მათ ქვევით კი, პირობითად დასმული, დიაგონალურად გადამკვეთი დია ფერის ზოლი გზის გამოსახვის ასრულიას იწვევს, რომელსაც საფუძველს უქმნის ნეიტრალურად დასმული მუქი ტონალობა, რომელიც ამავე დროს კომპოზიციის სიღრმეში შესვლის ფუნქციასაც ასრულებს და მიწის ზედაპირის მონაკვეთსაც გამოსახავს. ეს მცირე ზომის ფერწერული ჩანახატი ლირიკული, პოეტური განწყობით გამოირჩევა და რუსული რეალისტური მხატვრობის ფერწერული ამოცანების ძიების პროცესის გამომხატველია, მხატვრის მიერ რეალისტური პეიზაჟი გამოსახვასთან ერთად, დროის გარკვეული მონაკვეთის, მზის ჩასვლის მომენტის დაფიქსირების მცდელობასთანაც გვაქვს საქმე. განწყობილება ფუნჯის თამამი მოძრაობით და ფერთა პასტოზური დადებით მიიღწევა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნამუშევარი მაინც ვერ ცდება ეტიუდური ძიების პროცესს.

ასეთივე ხასიათს ატარებს შემორჩენილი ორი პეიზაჟიც. ერთზე მწყემსი გოგონაა გამოსახული (ტ. ზ., 23,5X35), მეორეზე კი ბაღის პეიზაჟში ჩანგრების სილუეტი იკითხება (ტ. ზ., 6,8X23,5.). ორივე მათგანი დაწყების მომენტშია მიტოვებული,

მათან შედარებით ზემოთ მოხსენიებული პეიზაჟი უფრო დასრულებულია.

შემორჩენილი ორი პორტრეტიდანაც ერთ-ერთი „ქალის პორტრეტი” (ტ. ზ., 35X24) დასრულებული, რეალისტური ნამუშევარია, „ბავშვის პორტრეტი” (ტ. ზ., 35X22,5) კი ასევე საწყის ეტაპზეა გაჩერებული.

მხატვრის ფერწერულ ნამუშევრებზე თვალის შევლებით ჩანს, რომ იგი რეალისტური, აკადემიური ფერწერის შეთვისების პროცესში იყო და საკმაოდ ოსტატურადაც ახერხებდა დასმული ამოცანის მიღწევას, თუმცა დამოუკიდებელი ფერწერის ხელწერაზე საუბარი აქ არ შეიძლება, რადგან ნამუშევრები ვერ სცილდება სასწავლო, ეტაპულ ხასიათს.

როგორც აღვნიშნეთ, ფერწერული ნამუშევრების შესრულების თარიღი ვერ დგინდება, ხოლო სატირული პერიოდული გამოცემის „ეშმაკის მათრახის” თარიღი გარკვეულია, ესაა 1908 წელი – და, აქედან გამომდინარე, მის ნომრებში განთავსებული კარიკატურული ნახატების შესრულების დროც იგივეა. ანუ, როდესაც მხატვარს თბილისის სამხატვრო სასწავლებლის თხელიდან კურსი უკვე გავლილი აქვს (1903–1907), გრაფიკული ხელოვნების პროფილით და იგი ამ დროს 24 წლისაა. მხატვრის ოჯახში შემორჩა პატარა წერილი, რომლის შინაარსიც ასეთია „პატივცემულო პ...! ეშმაკის მათრახის მე-30-ე ნომრამდე იძეჭდება თვენგნით გამოგზავნილი 10 სურათი, რომლის ანგარიშს თხეთმეტი მანეთს ჩაგაბარებს ჩვენი აგენტი ბ-ნი ისიდორე კვიცარიძე. იმედი გვაქვს შემდეგშიც მოგვაწოდებთ. ეცადეთ იმ დროს გამოგზავნით სურათები, რომ კვირა დღეს მივიღოთ აქ თორემ ორშაბათს მიღებული ვერ მოესწრება იმავე კვირაში. ეშმაკის მათრახის გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.” ეს წერილი ორად გაკეცილ პატარა ზომის ქაღალდზეა დაწერილი, რომლის მეორე მხარესაც კვითხულობთ: „ბ-ნ ისიდორე! გთხოვთ ჩვენს მხატვარს ბ-ნ მდებრაძეს გადასცეთ თხეთმეტი მან. (15 მ.) და დაუკლოთ სიმონოვს „ეშმაკის მათრახის” ანგარიშში, რომელიც ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს ჩაწერილი სიმონოვიდან. „ეშმაკის მათრახის” გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე” ფურცლის ორივე გვერდზე დასმულია – იუმორისტული უურნალი „ეშმაკის მათრახის” – ოვალური ბეჭედი, ქართული და რუსული ტაქტით.

პლატონ მდებრაძის მიერ შესრულებული კარიკატურები „ეშმაკის მათრახის” 27 ნომრიდან იწყება. ამ ნამუშევრებზე თვალის გადავლებით იგრძნობა, რომ მხატვარი ფლობს ნახატის ტექნიკას, მისი ხელწერა თამამია, ფიგურების გამოსახვაში ჩანს, რომ იცის პროპორციული აგების ხერხები და ეს იგრძნობა მაშინაც, როდესაც აზრის გასამათვრებლად მიმართავს გამოსახულების ნაწილთა უტრირებას, ხოლო გარემოს გადმოცემისას შეიცნობა სივრცით და ხაზობრივი პერსპექტივის ცოდნა, ასევე უმრავლეს შემთხვევაში დაცულია კარიკატურული ნახატისთვის და ილუსტრაციისთვის დამასხასიათებელი მოთხოვნა ქაღალდის სიბრტყის შენარჩუნების თვალსაზრისით. მხატვრის ნამუშევრები ხასიათდება ასევე ნახატის სიმარტივით და აზრის გამოსახვის სისხარტით. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდის კარიკატურებს, შინაარსობრივადაც, პრობლემატიკის სიმძაფრის თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ერთ-ერთი კარიკატურა („ეშმაკის მათრახი”, №27, გვ.4) პირობითად აღნიშნულ საქართველო-თურქეთის საზღვართან მდგარ თურქ მესაზღვრეს გამოსახავს, რომელსაც მარჯვენა დაშვებულ ხელში ჭოგრიტი უჭირავს, მარცხენა მოხრილი ხელის გაშლილი საჩვენებელი თითი კი ნიშნის მოგებით აღუმართავს. ნახატის ამგვარი გადაწევებით XX საუკუნის დასაწყისის მწვავე პოლიტიკური მდგომარეობა აისახება. თურქთა მიერ საქართველოს დაპყრობის სურვილის ფარული ჩანაფიქრის

გამომხატვა ხდება, რაც იმ პერიოდის ისტორიული ვითარების დაფიქსირებას დაუკავშირდება. კარიკატურის არსებობა ნათლად გამოხატავს ქვევით მინაწერი ტექსტიც: „აბა რას იტყვი ალია? საიო გიჭირავს თვალია”. კარიკატურა მარტივი, ნათლად აღსაქმნელი კონტურული ნახატით სრულდება, ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე და მიუხედავად მინიმალური მინიშენებისა ნათლად შეიცნობა სასაზღვრო სივრცის ვრცელი გარემო, იოლად გადასალახი მარტივი ბოძების ზღუდვები მასთან მომდგარი ფარული სურვილებით შეპყრობილი „ალია”.

მეორე კარიკატურაზე, დასათაურებით „ქუთაისელი „მეგალსტურა“ (იქვე - გვ.10) ძლიერი ხელით ჰაერში აწევდი, ინტელიგენტური გარებნობის, კოსტუმში ჩატული მამაკაცია გამოსახული, კისერში ხელწაჭერილი, ენაგადმოგდებული, საცოდავად ჩამოშვებული დამანჭული თითებით, მოხრილი ფეხებით. უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ყოფას განმარტავს მისი პოზაც და კისტუმზე წაწერილი ტექსტიც – „სახლის პატრონი”, ხოლო „ძლიერ მკლავზე” მინაწერია – „ქალაქის გამგობა”. ამრიგად ნათელია, რომ ნახატი ზუსტად და მახვილ-გონივრულად ასახავს მის შინაარსს.

იმავე 27-ე ნომრის მე-16-ე გვერდზე თრი კარიკატურაა განთავსებული – „ქუთაისის ბულვართან” და „თაგვების მოედანი”. პირველზე სწორად აგებული ხაზობრივი პერსპექტივითაა გამოსახული ქუჩის მონაკვეთი, რომელსაც მხატვრის თვალი ზევიდან დასცექერს და გამოსახავს ტროტუარზე მომავალ, „პატივცემულ სახოგადოებას”, კოსტუმებში და შლიაპებში მოსილ მამაკაცებსა და გრძელ ძვირფას კაბებსა და ფარფლიან ქუდებში გამოწყობილ ქალბატონებს, რომლებიც, როგორც ჩანს, სახეზე მიუკარებული ცხვირსახოცებით ცდილობენ დაიცვან თავი იმ საშინელი „სურნელისგან” რაც ქუთაისის ბულვარზე ტრიალებს.

მეორე კარიკატურაზე კი არქიტექტურული ნაგებობაა გამოსახული, რომლის კარებიც ფიცრებითაა აგებილი, ქვევით წარწერით: „ქუთაისის წიგნის გამომცემული ამხანაგობა”. შენობის წინ კი მაყურებლისგან ზურგშექცეული, მიწაზე წამოწოლილი მძინარე მამაკაცები არიან გამოსახულნი, რომლებსაც ზურგზე აწერიათ „წევრი”, ანუ ამ დაწესებულების მიძინებული, უსაქმური თანამშრომლები, რომლებსაც შენობის სახურავიდან გადმოსცექერის ეშმაკი თავისი მოქნეული მათრახით. ნახატი მატრიცი და მკაფიოა, შინაარსი ნათლად აღსაქმელია და იოლი გასაგებია მისი მორალური მხარეც.

ასევე მახვილი იუმორით გამოიჩევა კარიკატურა „ეგზამენი მოახლოვდა“ („ეშმაკის მათრახი“ №29, გვ.4), რომელზეც ბუნებაში საქეიფოდ გასული ახალგაზრდების ჯგუფია გამოსახული. „გიმნაზიისტთა“ ფორმებში გამოწყობილი ყმაწვილები უდარდები გართობისას არიან გამოსახულნი. ნაწილი ღვინის სმითად დაკავებული, ნაწილი კი ქალიშვილებთან სეირნობს. ნახატი თბილი იუმორითაა გაჯერებული, ფიგურები მრავალგვარ მოძრაობაში არიან გამოსახულნი, ზოგი ზის, ზოგი წევს, ზოგი მაყურებლისკენ ზურგითაა, ზოგიც ანფასში ან პროფილშია. მოძრაობები თავისუფალია, ძალადაუტანებელი, ნახატი მარტივია, კონტურული, კომპოზიციურად სწორად აგებული, გაწონასწორებული დეტალებით, უკანა ხედის სიხალვათითა და ფიგურათა მოქმედებების ცენტრში თავმოყრით. კარიკატურის შინაარსი აღეკვატურად ილაუსტრირებს იქვე მოცემულ განმარტებით ტექსტს: „ცხვირზე გვადგას „ეგზამენი“

სტოლზე, ღვინო „ყიფიანი“

სწავლას მერმეც მოგეხწრებით

ქვიფი გვსურს რიგიანი.“

ამავე ნომერში პ. მღებრაძის კიდევ ერთ კარიკატურაზე - „შანტაჟისტობამ

იკლო” (1908, №29, გვ. 16.) - ხელებაწეული გლეხია გამოსახული, რომელსაც ჰაგნა გენერალის ორი ახალგაზრდა, იარაღით ხელში, ანუ კარგად ჩანს, როგორი სიმშვიდეება ქვეყანაში.

„ეშმაგის მათრახის” №30-ში მხატვრის ორი კარიკატურაა, რომლებზეც ამ შემთხვევაში მხოლოდ ინიციალებითაა ხელმოწერილი, მ. და პ. ასოების შერწყმით, აფიქსირებს იგი თავის ავტორობას.

კარიკატურებიდან ერთ-ერთი სატირული შინაარსის ლექსი - „ბახვიდან ოზურგეთამდე” - ასურათებს. ნახატს ქვეშ მიწერილი აქვს „ანდეულაძის ლინეიკა (ბახვიდან ოზურგეთამდე)”. გამოსახულია გამხდარი ცხენებით შებმული ფარდალა ეტლი, რომლის სახურავზეც ჯანჯღარისაგან აყირავებული მგზავრებია ბარგათან ერთად, ზოგი ვარდნისას ფიქსირდება, ზოგიც წყლიდან ამოდის, მგზავრთა ნაწილი ხელებგაშლილი მისდევს ეტლს, მეეტლე ცალი ხელით აღვირს ეზიდება, მეორეთი კი მათრახით ცდილობს ცხენების მართვას. ფიგურათა მოძრაობები ცოცხალი და მრავალგვარია, ნახატი იუმორითაა გაჯერებული, სრულ თანხვედრაშია ლექსის შინაარსთან.

ამ ნომრის მეორე კარიკატურაზე ქუთაისის ქვაფენილია ასახული და წარმოადგენს იმავე დასახელების ლექსის დასურათებას. ლექსის შინაარსიც და ნახატიც დღეგანდელობისთვისაც მეტად აქტუალურ ხასიათს ატარებს. გამოსახულია აყრილი ქვაფენილი და ტროტუარზე, ღრმა ორმოში ჩაცვენილი მოქალაქეები. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც უკვე ჩავარდა, მოულოდნელი მარცხისგან გაოცებული, სასწარკვეთილი სახე აქვს და შველას ითხოვს, მეორე ვარდნისასაა გამოსახული, უკან გადაქანებული სხეულითა და პაერში საცოდავად აწვდილი ხელებით.

ოცდამეტერთმეტე ნომერში ერთი კარიკატურაა შესრულებული - „სცენა ფირალვის ქარხანაში გაფიცვის დროს”, რომელიც ასევე ინიციალებითაა ხელმოწერილი. შემდეგ ნომერში შესრულებული კარიკატურა ასახავს სიუჟეტს „ქუთაისის რეალური სასწავლებლის ჩაკეტილ კარებთან უზამენების დროს” (ეს კარიკატურაც ინიციალებითაა ხელმოწერილი), გამოსახულია სასწავლებლის შენობასთან თავმოყრილი მამაკაცები, რომლებსაც კარებიდან გამოშვერილი, მუჭაში ჯოხმომართული ხელი გარეთ დევნის. ფიგურები სასაცილოდ არიან ერთმანეთში არეულნი, აქეთ-იქეთ ცვიგიან, ქუდები პაერში დაფრინავს. ნახატი მარტივია, კონტურული, მახვილგინივრულად გამოხატავს გამოცდების ციებ-ცხელებასთან დაკავშირებულ ქაოსსა და მღელვარებას. საგამოცდო დაწესებულებაში შეჭრის სურვილის შეხერებას, სიმბოლურად აღქმადი, სასწავლებლის აღმინისტრაციის „ძლიერი ხელით”. ამავე 32 ნომერში მეორე კარიკატურაცაა განთავსებული, დასათაურებით „ქუთაისის ბულვარი”, აქ მხატვარი სახელის ინიციალს და გვარის სრულ ხელმოწერას ასრულებს (პ. მღებრაძე). კარიკატურაში რამდენადმე გამეორებულია №29-ში შესრულებული კარიკატურის - „ეგზამენი მოახლოვდა” - კომპოზიციური წეობა, მაგრამ მინდორზე მსხვილი მოქეიფე ახალგაზრდების ნაცვლად, ამ შემთხვევაში, მიწაზე დაწოლილი მინარე მამაკაცები, თავისუფლად მონავარდე ძაღლების გუნდი და ზურგზე ხის ყუთებ-მოკიდებული ფეხსაცმელების მწმენდავი ყმაწვილები არიან გამოსახულინი. მართალია, კომპოზოციური მსგავსება აშებულია, მაგრამ ნახატი შესრულების თვალსაზრისით განსხვავებულია. პირველი კარიკატურა კონტურული ნახატითაა შექმნილი, ამ შემთხვევაში კი მხატვარი ცდილობს მოცულობითობა შესძინოს ფიგურებს, რისთვისაც მიმართავს შუქ-ჩრდილით მოდელირებას წვრილი შტრიხებით, მაგრამ კონტური ფიგურათა მოხაზულობისას მაინც უტრიორებულია, რითაც საგანთა ფორმები და ადამიანთა მოძრაობები მკაფიოდა გამოკვეთილი. ნახატის შინაარსი ნათელია, ჩანს მოუვლელი,

სკამებ-დალეჭილი ბულვარი, დაგლეჯილი ეკალ-მავთულით მოსაზღვრული გაზონებით, ჯგუფად შეყრილი უპატრონო ძაღლები, გულარხეებინად მძინარე მამაკაცები და ლუქმაპურის საშოვნელად ქუჩაში გასული ბავშვები, ერთმანეთს რომ უზიარებენ საკუთარ ყოფას.

„ეშმაკის მათრახის” №33-ში ერთი კარიკატურაა შესრულებული – „ქუთაისიდან ბალდადამდე”, რომელზეც ცხენებ-შებმული სამგზავრო ეტლია გამოსახული, ადამიანებითაა გადავსხებული ეტლი შიგნით და მის სახურავზეც ბევრია მოკალათებული, სიცხისაგან თავდასაცავად ქალბატონებს ქოლგები გაუშლიათ, ერთი მათგანი კი თან ბარგის გამაგრებითაა დაკავებული. მეტლის გვერდით მჯდომი მამაკაცი გაშლილი თითებით სამს ეპატიუება ასევე დიდი რაოდენობით დარჩენილი მგზავრებისგან. კარიკატურის თავზე წარწერაა – „ორიგინალური ნახატი” – და, მართლაც, მეტად ორიგინალურად გადმოსცემს მხატვარი ყოველდღიური ყოფის ამ ჩვეულ სცენას. მიუხედავად გამოსახული ფიგურების მრავალრიცხოვნებისა ნახატის კომპოზიციური წყობა დახვეწილია, არანაირი გაურკვევლობა არ რჩება არც შინაარსის გაგების და არც ნახატის წაკითხვის თვალსაზრისით, ფიგურათა კონტურული მონახაზით შესრულება კი მათ მკაფიო აღქმას უწყობს ხელს. ეს კომპოზიცია უცვლელადაა გამეორებული ჟურნალის – „ეშმაკი და სალამური” 1909 წლის №8-ის მე-8 გვერდზე (რედაქტორი ე.ტურაბეგლიძე).

„ეშმაკის მათრახის” 1908 წლის №33-ში კიდევ ერთი იღდუსტრაცია, რომელსაც ზევით ახლავს წარწერა „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრების გამო”, ქვევით – „შავი ქვის ფლავი” კარიკატურაზე გამოსახულია სამ რიგად განლაგებულ დოუებში მსხდომი კრების წევრები, რომელთაც დაპრეხილი ულვაშები და წაგრძელებული ყურები მეტად სასაცილო იქრს ანიჭებს, იუმორის ელფერს უფრო ამბავრებს მათი გადამეტებითად სერიოზული გამომეტყველება. კრების თავმჯდომარე მაგიდაზე დადგმული დიდი ჯამიდან შავი ქვის ფლავს სთავაზობს მათ დიდი კოვზით. კარიკატურას განმარტებითი პატარა ლექსი ახლავს თან: „ბატონებო! გადმოყავით თქვენი მადლიანი მკლავი, კრებამ ასე გადაწყვიტა შეიჭამოს აგი ფლავი. მით უმეტეს ამის ჭამა იმით არის სასიამო – ცოტა მომშეულიცა ვარო ამდენ კრიზისების გამო”, ხოლო მაგიდის გადასაფარებელზე მინაწერია „სასადილო იაფ ფასიანი მუშებისათვის” ამ ტექსტის შუაში კი დიდი კითხვისნიშანია დასმული. ნახატი აქაც კრიზისულ-დაქობრივია, მარტივად აღსაქმელი და გასაგები. მხატვრის ხელმოწერა ინიციალებითაა შესრულებული.

აღმანახის №34-შიც ორი ილიუსტრაციაა, მათგან ერთს მხატვრის ინიციალები ახლავს („თავისუფალი ვაჭრობა-მაჭანკლობა ქუთაისში”), კარიკატურის შინაარსი იქვე დაბეჭდილი ლექსიდანაა გამომდინარე და ქუთაისში „მოვლენიდ“ სერიოზული სახის, ხელებ-გაშლილ მამაკაცს, მაჭანკალს წარმოგვიდგნს, რომლის ცალ მხარეს დგანან ხანდაზმული და ახალგაზრდა ქალბატონები ციფრებ დაწერილი, წინ გაწვდილი ჩანთებით. ციფრებში მაჭანკლის მიერ მათზე დაწესებული საფასურია ნაგულისხმები. შეორე მხარეს კი მუშგარი მამაკაცები არიან, დოინჯ-შემოყრილი თავმომწონე პოზებით და ცნობისმოყვარე სახეებით. ნახატი იუმორითაა გაჯერებული, შინაარსი ნათელი და გასაგებია.

ამ ნომერში შესრულებული მეორე ნახატიც ლექსის დასურათებას ემსახურება და განწირული პირუტყვის სასაკლაოზე წაყვანის მომენტს გამოსახავს, სათაურით „ქუთაისის საკლავები”. ნახატი ხელმოუწერელია, მაგრამ შესრულების სტილით აშკარად გავს პ. მდებრაძის ხელწერას, თემატიკითაც ქუთაისს უკავშირდება და ამიტომ, გვიძრობთ, ისიც პლატონის მიერაა შესრულებული.

ამრიგად, ალმანახ „ემაკის მათრახში“ დაბეჭდილი ნამუშევრების განხილვით

გამოჩნდა, რომ მხატვრის კარიკატურები მახვილი იუმორითაა შეჯერებული, კომპოზიციები უმთხვევაში გამართულია და გამოსახულ ფიგურათა პროპორციები დახვეწილი.

„ეშმაის მათრახის“ 1908 წლის №34-ის შემდეგ პლატონ ლიბრაძის (მდებრაძის) მიერ შესრულებული ილუსტრაციები აღარ გვხვდება, თუმცა ალმანახის დახურვამდე კიდევ გამოვიდა რამდენიმე წომერი, რატომ შეწყვიტა მხატვარმა ქურნალთან ურთიერთობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება – ქურნალის №43-ში არის ერთი ილუსტრაცია (1908, №43, გვ. 8), რომელიც პ. მდებრაძის კარიკატურების – „ეგზამენი მოახლოვდა“ და „ქუთაისის ბულვარის“. მსგავსია კომპოზიციურადაც, ხელწერითაც, სათაურითაც, ამ კარიკატურასაც პქვია: „ქუთაისის ბულვარში“, მაგრამ კომპოზიციის ზედა მარჯვენა კუთხეში დასმული ლათინური S ასო-ნიშანი გავაჰქვებს გადაწყვეტილ მივაკუთვნოთ იგი პ. მდებრაძეს. დიდია სტილისტური მსგავსება ასევე სხვა ორ კარიკატურასთან №34, გვ. 4, №39, გვ. 16. – პირველი მათგანზე შემსრულებლის გვარის ამოკითხვა ჭირს, მეორეზე კი ლათინური შრიფტითაა შესრულებული ხელმოწერა Scorpiοn, ხოლო რომელი მხატვარი სარგებლობდა ამ ფსევდონიმით, ჩვენთვის უცნობია, ვერც იმას ვიტვით, რომ პლატონს შეიძლება აედო ეს ფსევდონიმი, თუმცა ამ კარიკატურების შესრულებაში მხატვრის ხელწერა მსგავსია.

ამის შემდეგ მხოლოდ 1914 წელს გამოცემული მცირე ფორმატიანი, ილუსტრირებული წიგნიდა რჩება შემორჩენილი პ. მდებრაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან.

წიგნი წარმოადგენს ნინო ნაკაშიძის ზღაპარს, სათაურით „ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი“, გამოცემულია ქუთაისში (ქუთათური ამხანაგობის გამოცემა №23).

მხატვარი წიგნისთვის ქმნის შვიდ ილუსტრაციას და აფორმებს ყდას. ზღაპარი ერთი ვაჟის თავგადასავალს მოგვითხოვთ, რომელსაც მამამ ანდერძად ორი დის პატრონობა და კერის არ გაცივება დაუბარა, მაგრამ ერთხელ სახლში დაბრუნებულ ყმაწვილს დები შინ არ დახვდნენ, ისინი კაჟან დევს, გველეშაპსა და ორბს გაეტაცნა.

ილუსტრაციები თანმიმდევრულად მისდევს ზინაარსს. პირველი მათგანი გამოსახავს მარტოდ დარჩენილ, მოჭრილ ხეზე მჯდომ ახალგაზრდა მამაკაცს და სის ტოტზე ჩამომჯდარ ორ ჩიტს. თხრობა კი გვამცნობს, რომ ჩიტები ზარაბიბილის ხელმწიფის ასულის მშვენიერებაზე საუბრობენ, მათი ნამპიონით შთაგონებული ახალგაზრდა ზარაბიბილის ხელმწიფის ქალის საძებნელად გადაწყვეტს წასვლას. ამის შემდეგ ზღაპარი გვიყვება ვაჟის თავგადასავალს, მხატვარი კი აფორმებს საკვანძო მომენტებს: 2. ვაჟის შეხვედრა მოსიარულე ყვავილთან, რომელსაც კაჟან დევს ცოლისთვის, ამ ვაჟის დისთვის, კოქით მიაქვს წყალი; 3. ვაჟის შეხვედრა ქალ-თევზასთან, რომელიც მის მეორე დას, გველეშაპის ცოლს ყაქს გამოგზავნილი; 4. ორბის ცოლთან ანუ მესამე დასთან და ორბთან სტუმრობა; 5. ზარაბიბილის ხელმწიფის გალავანთან გაქვავებული ახალგაზრდების ნახვა და ერთ-ერთი მათგანის მოხუც დედასთან შეხვედრა; 6. ზარაბიბილის ხელმწიფის ქალის საძინებელში შედწევის სცენა; 7. ვაჟისა და ზარაბიბილის ხელმწიფის ქალის დაბრუნება ვაჟის სახლში და კერის განახლება მამის ანდერძის ასასრულებლად.

წიგნის გარეკანზე კი ყმაწვილი კაცი შორული მთების ფონზე გამოსახულ კოშკს შესცემულის, კოშკის ზევით, თავისუფალ არეზე ზღაპრის სათაურია განთავსებული მხატვრულად შესრულებული შრიფტით. ყდის კომპოზიციაც და ილუსტრაციებიც

სპეციალურად შექმნილ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჩარჩოებშია განთავსებული, რომელიც მოღერნის სტილშია გადაწყვეტილი. ყდის ჩარჩოს ზედა კუთხეებში, სარკისებრი სიმეტრიით, პროფილში მოცემული ქალების სახე გამოიკვეთება, პირობითად გამოსახული მათი თქმები კი ტალღისებურ ორნამენტად შემოუყვება მთელ ნახატს. ჩარჩო შიგნით მოიცევს „მინი-სამყაროს“ და ამ „სამყაროდან“ მკითხველისათვის იწყება მოგზაურობა ზღაპარში, მისი მთავარი გმირის გაცნობით, ანუ იწყება ამბავი ზარაბიბილის ხელმწიფის მზეთუნახავი ასულის მაძიებელი ყმაწვილის შესახებ. ჩარჩოში გამოსახული ქალის სახეებიც ამას მიგვანიშნებს. ყველა სხვა ილვუსტრაციაზეც ჩარჩოს ორნამენტი ნახატში ჩადებულ შინაარსთანაა დაკავშირებული. ჩიტების საუბრის მოსმენით გართული, ტყის პირას მჯდომი ზღაპრის გმირის ამსახველი ილვუსტრაციის სტილიზებულ ჩარჩოზე ხეში გამოკვეთილი ჩუქურთმის ფაქტურა შეიცნობა, ჩიტების თავების გამოსახულებით. მოსიარულე ყვავილთან შეხვედრის ამსახველი სცენის ჩარჩოშიც ხის ფაქტურა და ყვავილების ფურცლები გამოკრთის. ქალ-თევზასთან შეხვედრის ილვუსტრაციას კი თვეზებისა და მცურავი ფანტასტიკური არსებების გამოსახულებები ამშვენებს ასევე შინაარსიდან გამომდინარე მისადაგებული ელემენტებია გამოყენებული სხვა ილვუსტრაციების ჩარჩოებზე.

როდესაც ზღაპრის გმირთა მოქმედებას მხატვარი სხვადასხვა ოთახის ინტერიერში გამოსახავს, პერსპექტივს სწორად აგებს, მაგრამ სივრცეს პეტაგს ოთახის უკანა კედლით და ამით ორ განზომილებაში აქცევს მოქმედებას. იგივე ხერს იყენებს შენობის გარეთ განვითარებული სცენის წარმოდგენის დროსაც, უკანა პლანს კეტავს ზოგჯერ კედლით, ზოგჯერ ხეთა მწერივით. ამგვარი გამოსახვით წიგნის გრაფიკის სპეციფიკისათვის სასურველ სიბრტყობრივობას ინარჩუნებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ ერთ შემთხვევაში უკანა ხედზე განთავსებული კდელი გაცოცხლებულია შეისრული, დეკორატიული თაღებით დაგვირგვინებული კოლონებით, მეორე შემთხვევაში კედლის ზედაპირი შპალიერისებური ნახატით იფარება. ინტერიერთა გადაუტვირთავხალვათ სივრცეებში ხის ავეჯია განთავსებული – სავარძელი ჩიტის თავებიანი დეკორატიული სახელურებით სრულდება, ხისავე საწოლის თავები კი მცენარეული, სტილიზებული ორნამენტით. მხატვარი დეკორის ხასიათში თანაბარზომიერად აჯერებს აღმოსავლურ და დასავლურ ელემენტებს (შეისრული თაღები და ფანჯრის მაქმანისებური დეკორი – კოლონები და ოვალური თაღი). მოჩარჩოებაში გამოყენებული მოღერნის სტილისთვის დამახასიათებელ ორნამენტში ორგანულად ერთვება ეროვნული ნიშნებით გამორჩეული ელემენტებიც – მხატვარი ხაზს უსვამს მამაკაცის გამორჩეულად ეროვნულ გარეგნობას და სამოსს, გრძელ გადაპრეხილ ულვაშებს, ჩატულობაში – “აზიურ” ჩექმებსა და ჩოხა-ახალუხეს, ქამარ-ხანჯალსა და კახურ ქუდს. მნიშვნელოვანია ასევე ბოლო ილვუსტრაციაში გამოსახული ზარაბიბილის ხელმწიფის ქალისა და ვაჟის მამისებულ, საკუთარ სახლში დაბრუნების სცენა. გამოსახული ოთახის კუთხე ქართული ოდა-სახლის ინტერიერს ნაწილს წარმოადგენს, კერით ცენტრში. ჭერიდან ჩამოშვებულია ქვაბის დასაკიდი ჯაჭვი, იატაკზე ნახევარწრიული დაბალი სამფეხა სკამია, კედლებით გადაკერავილი ეთნოგრაფიული, დამახასიათებული ფორმის თიხის დოქები. ხის ძელებისგან შეკრული კედლებითა და ნალისებრი თაღით დასრულებული კარის ღიობით ნაცნობი არქიტექტურული სივრცე შეიგრძნობა. კუთხის სიღრმის გამოსახვა სპეციალურადაა გადაკეთილი ოთხეულისა ჩარჩოთი, რომელშიც შეიძლება ქსოვილ-ჩამოფარებული ხატი ვიგულისსმოთ. საინტერესო ასევე ამ ილვუსტრაციის მომსაზღვრელი ჩარჩოს დეკორიც, რომელიც ყველა სხვა ჩარჩოსგან განსხვავებული მარტივი დეკორითაა შემკული და ხელოსნური,

ეთნოგრაფიული ხელ-ნაკეთობითი უბრალოებით გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ილაუსტრაცია ხელმოწერილია, სახელისა და მამის სახელის ინიციალებით და მდებრაძის გვარით.

მხატვრის ოჯახში შემორჩენილ ნამუშევრებს შორის ამ წიგნისთვის განკუთვნილი ორი ილაუსტრაციის ფრაგმენტიც შემოინახა – ქალთვებზეს გამოსახულებით ზღვის ფონზე და ვაჟის შეხვედრა გაქვავებული ახალგაზრდის დედასთან). პირველი მათგანი ფერებითაა შესრულებული, აკვარელით და ტუშით, მეორე შავ-თეთრადაა გადაწყვეტილი და ფუნქცითა და ტუშითაა შექმნილი.

შემოინახა ასევე ტუშით შესრულებული არქიტექტურული ნაგებობის ფასადის პროექტი, ხელმოწერილი რუსულად, მდებრაძის გვარით. ამგვარი სახლის აგება მხატვარს საკუთარი ოჯახისთვის ჰქონია განზრახული, მაგრამ მოულოდნელი გარდაცვალების გამო მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელებულა.

ჩვენ შევეცადეთ სრულად წარმოგვედგინა ყოველივე რაც მოვიძიეთ დღეს-დღეობით, უცნობი მხატვრის პლატონ დიბრაძის (მდებრაძის) შემოქმედების შესახებ. შესაძლოა ქუთაისის საარქივო განყოფილებაში, კიდევ გამოჩნდეს რამე ახალი, დამატებითი მასალა, რასაც მომავალი კვლევის იმედად ვიტოვებთ.


## Mariam Gachechiladze

### About One Unknown Painter Active in Early 20<sup>th</sup> Century

Among the painters of early 20<sup>th</sup> c., sometimes mentioned is P. Mgebradze – a painter unknown up to now. Archival study had proved that this is Platon Gibradze (24.IX.1884 - 9.III.1919) one of three sons of Spiridon and Matrona Gibradze, well-to-do peasants residing in the village Godogani (historic Imereti, western Georgia). “Mgebradze” is the name given to himself by the painter. In 1903 he had finished Kutaisi First Municipal School, in 1903-1907 he studied in Tbilisi, Art School, which gave him the right of teaching and in 1907-1919 he worked as a teacher at the Kutaisi First Municipal School. Several of the painter’s works are preserved, as well as his notebook with notes and sketches (by the way, it also shows that he participated in the establishment of a society, which was to be named “Society of Georgians Lovers of the National Language” or “Brotherhood of Georgians Lovers of Mother-tongue”); besides, there is a number of caricatures for the satirical periodical “Eshmakis Matrakhi” (Devil’s Whip) (1908, NN 27, 29, 30-35) and illustrations for the fairy tale “Princess of Zarabibil” by Nino Nakashidze. The painter either never used his signature, or signed only his initials – P. M.

Sketches in the notebook, made either in pencil or Indian ink, are exercises revealing various levels of mastery; paintings are sketches in the Russian Realism style. Caricatures for the “Eshmakis Matrakhi” are works of a trained young painter with certain level of mastery. All of them, even alongside intentional deformation, show the knowledge of figure and space representation, at the same time, in accordance with the genre peculiarities, his design is worked out in less details, being quite simple, while the major idea is expressed in a laconic form. Caricatures reflect both foreign policy (“What would you say, Alia?”, N27) and internal policy (“Blackmailing decreases”, N29; “Scene during the strike in F. Ralov’s factory”, N31; “On the meeting of Chiatura manganese producers”, N33) issues; however, larger number is dedicated to the everyday life disorders, light-

mindedness and incapability (“Kutaisi boulevard”, “Mice square”, N27; “Exam is approaching”, N29; “From Bakhva to Ozurgeti”, “Kutaisi paving”, N30; “Kutaisi boulevard”, “At the closed doors of the Kutaisi Modern School during exams”, N32; “From Kutaisi to Bagdadi”, N33; “Free trade – matchmaking in Kutaisi”, N34; caricatures in NN34, 39, 43 show certain affinity to his works, although the painter’s authorship is hard to be claimed). For Nino Nakashidze’s fairy tale P. Gibradze had made seven illustrations and designed the book cover. Both illustrations and the cover are inscribed in the Art Nouveau framings (their motifs echo contents of the images), national elements are also included, script to be applied on the cover is also designed; the painter thoroughly depicts attributes of the national costume, coiffure, everyday life, etc. P. Gibradze had also tried hand at architecture – never implemented project design of his private house facade is preserved.



პლატონ დიბრაძე



Ա. Դօրդողանց, վալուս  
Յորթրը Երի



Ա. Դօրդողանց, Վերաբյու



თავისუფალი გაწრობა-მჩქნელობა ქუთაისში.

ერთო უცხო მოყმე ვინმე  
მოგველინა ქუთაისში,  
მაგისთანა მაქანულსა  
უკრა კა ნახავ მეტრიდში.  
ბუღარი სულ მოგვიტყვნა  
ცნობებსა კრეს დემოგოგი,  
გასათხოვარ ბარიშნების  
უკან დასტევს მოელი ჯოგი.  
აღმა-დაღმა დაყილობს  
საქმის ქებს ზოგისთვის,  
თუ რომ ენა წიგნელა  
არ დაიხეს არეს წინა.  
არა ერთ-ორ სულლო ყმაწერის  
უცხად ჯვარი ვადაშერა,  
თავის ურცხვი მეტანკლობით  
ქუთაისი გაშტრერა.  
ნუ თუ არ იყო ენ არის  
ეს ბიჭი აბდალასა?  
თუ ცოლის შერთვა მოვანდეთ  
იყოთხეთ ბარებალია.

### წერილები ეშმაკისადმი. თბილისიან

თფილისის რეინის გზის მთავარ სახლოსნო-  
ში 1 შაის მოხდა სახლოსნოს დარსების 25 წლის  
დღესასწული. სადღესასწულო პარაკლისის გადა-  
ხის შემდეგ გაიმართა დიდებულო ნალიში. ნაღიშის  
ურის მთელ აღმინისტრაციას ღვიძო საშინაოთ

მოეკრთა და როცა ძალაზე გამოიბრუნენ ურის  
ბალების უკან გვექნენ ფაირონებით. წასლის ტროს  
შით მიმართ სახლოსნოს კომისიის წევრებმა სე-  
მიონოვა, ნორის და ალექსევები და სოხოვკის  
„ოქვენ წაბრძონდია“ შემდეგ ჩენ მოვალო და ყვე-  
ლა მუშაბას გვიგრ მოვილისაფო. რასაც არებ-  
ლია აღმინისტრაცია დასახლმდე. დელაგატები ეა-  
ლინ, მიულოცეს და შემდეგ მოელი დღე ქიუბა-  
დენ მათთან. ნერა რომელია მეშებმა დავალათ ამ  
უზურპარობებს მილოცვა?

პარას ეშმაკი.

შემა ეშმაკ! შენ გვაცალე  
ერთხელ წერენაც გამოიჩე;  
აზირინის ქარხანა ნახეთ  
აუცილეს უკან შემოარეო.  
არიან იქ ზოგი მუშაბი  
სმის და თამაშში გამოწროვილები  
და შის ეტრუინ მუცამ ფშის მარად  
(ორ იმათ კი, გვაცალები).  
მე, გვიციცებ ისათა თავის  
ტურის არ გეტყვი ერთ წვეთს ერთ კაპლას  
ასე ჰირგავენ სმის და თამაშში,  
ას დარჩენიათ, ის ცოტა ღრასა.  
პირებლათ ნახე ილურ ვრძელო...  
კით მთა ცენტრი უფრისი ჭანა  
რომ გას შენჯათ შენი მათრაბის  
მის ზურგზე სკადო რებერიცა.  
შემდეგ კი ბესო და ორთ დუბნა,  
მათაც არგუნე შენი წყალობა,  
გაუტეაცუნე მთრაბის ბოლო  
რომ სხვა ბმიზდა იწყეს გალობა...  
მაზა ალი.

პ.დიბრაძე, კარიკატურა “ეშმაკის მათრახიდან”

## პირველი პუბლიკაცია

ეთერ ედიშერაშვილი  
ნინო ციციშვილი  
ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო  
სამსახური აკადემია

### უბისის ეპლესის მომსატველი ოსტატების შესახებ

2005 წლის ზაფხულში 21-დან 27 აგვისტოს ჩათვლით მოეწყო ექსპედიცია უბისაში, რომლის მიზანს წინასარესტაციო კვლევა წარმოადგენდა. სახელოვნებათმცოდნეობის შესწავლის თვალსაზრისით გამოიკვეთა კონკრეტული ამოცანა – სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობებისა და ძეგლზე დაკვირვების შედეგად – გაგვერჩია ოსტატები, რომლებიც მხატვრობის შესრულებაში მონაწილეობდნენ და წარმოგვეჩინა მათი თავისებურებანი. სპეციალურ ლიტერატურაში ოსტატების საკითხს ეხებიან შ. ამირანაშვილი<sup>1</sup> და ნ. ტოლმაჩევსკადა.<sup>2</sup> პირველი ორ ოსტატები განარჩევს, ხოლო მეორე ოთხი ოსტატის არსებობაზე მიუთითებს, თუმცა მყარი არგუმენტაცია არც ერთ მეცნიერს არ მოჰყავს.

უბისის მოხატულობა პალეოლითურთა ხანის ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც სრულად არის წარმოჩნდილი სტილის ნიშნები: მოუმენტურობის დაკარგვა, თხრობითობის შემოტანა, კომპოზიციათა გართულება, პროპორციათა დაგრძელება, კონტრასტული დამუშავება და სხვ.

ძეგლზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ უბისის მოხატულობა ხუთმა ოსტატმა შეასრულა. პირველ ოსტატს მივაკუთვნეთ კონქის, კამარისა და მისი თაღების მოხატულობა, მეორე ოსტატს – სამხრეთ კედელზე, ზედა, პირველ რეგისტრში განთავსებული სცენები – „ჯვარცმა”, „გარდამოსხნა”, „დატირება” და დასავლეთი კედლის ზედა თაღოვან ნაწილში მოთავსებული „სულიწმინდის მოფენის”, კომპოზიცია, ხოლო საკურთხევლის აფსიდში გამოსახული „საიდუმლო სერობის”, „მოციქულთა ზიარების” და ჩრდილოეთი კედლის ზედა, პირველი რეგისტრის კომპოზიციების – „იერუსალიმად შესვლა”, „დვთისმშობლის მიძინება” და „ამაღლება” – შემსრულებლად კი მესამე ოსტატი მივიჩნიეთ. მეოთხე ოსტატის შესრულებული უნდა იყოს მეორე რეგისტრი – წმ. გიორგის ციკლი, ხოლო ქვემოთ, თაღებში მოთავსებულ წმინდანთა ფიგურებს მეხუთე მხატვარი ასრულებს.

შევეცდებით დავახასიათოთ თავიდან ის თოხი ოსტატი, რომელთაც ვფიქრობთ, რომ ეკლესიის საკურთხევლის კონქი, კამარა და ზედა რეგისტრები მოხატეს.

კონქის, კამარის და თაღების მომხატველს პირობითად მთავარი ოსტატი ვუწოდეთ.

როგორც ცნობილია, კამარის თაღზე წარწერაა, რომლიდანაც ვიგბთ, მხატვრის სახელს – გერასიმეს, და ვფიქრობთ, რომ სწორედ იგი უნდა იყოს მთავარი განსაკუთრებით გვ.

1 შ. ამირანაშვილი, უბისა, მასალები ქართული ქადაღის მხატვრობის ისტორიისათვის, ტფ., 1930.

2 И.Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тб., 1931., таნამედროვე გამოკვლევებში გაზიარებულია მოხატება უბისაში რამდენიმე მხატვრის მუშაობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი საგანგებოდ არ განხილულია (იხ. И. Лорткипанидзе, Некоторые особенности росписи церкви св. Георгия в Убиси, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983., მისივე წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი უბისის კედლის მხატვრობაში, საქართველოს სიმებენი, 6, 2004, გვ. 147-162; ნ. ბურჭულაძე, უბისის მოხატვის ხატები და კედლის მხატვრობა, თბ., 2006, განსაკუთრებით გვ. 162).

## ოსტატი.

მთავარი ოსტატის შესრულების მანერა (სურ. 1-3) განსხვავებულია სხვა დანარჩენი ოსტატებისაგან. სხვა მხატვრებთან შედარებით, მისი კომპოზიციები რეპრეზენტაციულია, საერთო ხასიათით მისი ხელწერა მკაცრი და აკადემიურია. ამ მოსაზრების გამოყოფის საფუძვლის მისი შესრულების მანერა გვაძლევს. მხატვარი წინა საუკუნეების ე.წ. კლასიკური ხანის ფერწერის პრინციპების მიბაძვას ცდილობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილი, ძლიერი ხაზი, რომელიც თუმცა პალეოლითურიად არის დატებილი, მაგრამ მაინც ინარჩუნებს ერთიანობას. შესაბამისად, განსხვავებული შთაბეჭდილება მიიღება – ასეთი ხაზით შექმნილი ფორმა უფრო შეკრულია და ერთიანის, მთლიანის განცდას ბადებს. გამოთეთრებები მინიმალურად არის გამოყენებული, დამუშავება ძირითადად გაღიადებებით ხდება, სამოსის ხახატი მოწესრიგებულია, სახეებზეც მკაფიოდ არ იკვეთება ჩრდილები. აქედან გამომდინარე ფორმა უფრო ერთიანია. ამასთან, მოქნილი ხაზით შექმნილი მთლიანი, შეკრული ფორმა, პლასტიკური დამუშავების და თითქოს ერთგვარი მონუმენტურობის განცდასაც კი ბადებს. მაგრამ ეს “ცრუ მონუმენტურობაა”, რაც მხოლოდ გარეგნული ფაქტორებით ჩნდება, ფიგურები აღსაფხვი არიან შინაგანი ექსპრესიოთა და ძალით.

სამხრეთი კედლის კომპოზიციებში, რომლის შემსრულებელსაც პირობითად მეორე ოსტატი ვუწოდეთ, უპირველესად თვალსაჩინოვდება გარევეული მსგავსება მთავართან (სურ. 4, 5). მისი ყველაზე მკაფიო და გამოკვეთილი ნიშანი, ძირითადი გამომსახველობითი საშუალება, გრაფიკული ხაზია, რომელიც ერთიანად დატებილი და დანაწევრებულია. ხაზის სიხისტიდან გამომდინარე, ფორმა მეტად ნაწევრდება, კუთხოვანებას იძენს. სწორედ ხაზის ასეთი ხასიათი ქმნის გამოსახულებათა საერთო, მთლიან ემოციურ შთაბეჭდილებას და სიმძაფრეს ანიჭებს სცენებს. მისი ხელობის ყველაზე მკაფიო ნიმუშია დატირების სცენა და ანგელოზთა ფიგურები ჯვარცმისა და გარდამოსხინის კომპოზიციებში.

ჩრდილოეთი კედლის ანუ მესამე ოსტატის კომპოზიციებიდან განსხვავებულ შთაბეჭდილებას ვიღებთ, თუმცა თითქმის იგივეა სახის ტიპი, სხეულის პროპორციები და კოლორიტი (სურ. 6, 7).

მასთან დამუშავების განსხვავებული ხერხია გამოყენებული. ჩრდილები დია, ლაქოვანი; გამოთეთრებები თხელი, მსუბუქი მონასმებით რიტმულადაა დადებული და არ არის მკვეთრი მონასმებით მონიშნული, ისინი თანდათან დიავდება, მქრქალდება და ძირითად ფერს ერევა. სწორედ ეს ქმნის რბილ გადასვლებს, ფორმის სილბოს, რითიც მთლიანობაში იგი სხვა ოსტატებისგან განსხვავდება. ამგარი დამუშავების შედეგად კომპოზიციებში კოლორიტი სირბილეს იძენს, უფრო თბილია და ნაკლებად მკვეთრი, ვიდრე წინა ორი ოსტატისა, მიუხედავად იმისა, რომ ფერები იგივეა.

სხვაობას აჩენს ე.წ. მეხუთე ოსტატის მიერ შესრულებული გამოსახულებანი – ქვედა, პირველ რეგისტრში მოცემული წმინდანთა ფიგურები.

მათგან ყველაზე კარგად სამხრეთ კედლის გამოსახული წმ. მეომრების ფიგურებია შემორჩენილი. დანარჩენი გამოსახულებანი მეტად დაზიანებულია, ზედაპირი გადაცლილი აქვთ, რაც საკმაოდ ართულებს მათზე დაკვირვებას.

მთავარი ოსტატის მიერ შესრულებულ კომპოზიციებში (სურ. 1-3) პერსონაჟებს მკაფიოდ მოხაზული სახის ოვალი აქვთ, გრძელი, სწორი ან ოდნავ კეხიანი ხორციანი ცხვირი, პატარა, საგსე ბაგეები. მსხვილი, მსუბუქად მორკალული ან სწორი, „შეყრილი” წარბები. კუთხისაკენ დახრილი, გამომსახველი თვალები – დაგრძელებული ქუთუთოს ხაზით, თვალის შიდა კუთხიდან ჩამოსული უპის

აღმნიშვნელი მოკლე, ტეხილი ხაზით.

ფერმწერი სახეზე თეორას ენერგიული მონასმით ადებს – თვალების ქვემოთ, შუბლზე, გარედან შიდა მიმართულებით, მკაფიო აქცენტების სახით. ყირმიზი „სამუშაო“ ფორმისაა, ლოუებზე ზემოდან ქვედა მიმართულებით დავიწროებული და გამუქებული. კონტური ძლიერია, ენერგიულად მოხაზული. ამგვარი დამუშავების შედეგად ფორმა, როგორც ითქვა, შეკრული და მკვრივია.

უურადღებას იქცევს მასთან პროფილი – დიდი, ნახევარწრიულად მოხაზული მრგვალი შუბლი, მაღალი, პატარა ცხვირი, მსხვილი ბაგები, პალეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი წინ წამოწეული, მძიმე და ქვემოთ ჩამოსული ქვედა ყბა, მასიური მომრგვალებული ნიკაპით, რომელიც ქვედა ბაგის ხაზს ისე აგრძელებს, რომ მისგან არ გამოიყოფა.

სამხრეთი კედლის ოსტატთან (სურ. 4, 5) პროფილი მთავარი ოსტატისაგან განსხვავებულია – სწორი, მეტად მოკლე, ოდნავ ზემოთ აწეული ცხვირი, პატარა შუბლი და შუბლსა და ცხვირს შორის გამოსული „კოპი“, ბაგებისაგან მკაფიოდ გამოყოფილი, წაგრძელებული, ძლიერად გამოწეული ნიკაპი. აქ ფორმა კუთხოვანია, რასაც ხაზის გრაფიკული, ხისტი ხასიათიც განაპირობებს, განსხვავებით პირველი ოსტატისაგან, სადაც ფორმა უფრო შეკრულია და ნაკლებად დანაწევრებული.

ჩრდილოეთი კედლის კომპოზიციებში (სურ. 6, 7) სახეები ოვალური მოვანილობისაა, წაგრძელებული, სავსე, რბილი ფორმებით, პატარა, მრგვალი თვალები, ერთი მონასმით შესრულებული მომრგვალებული წარბები – სწორი ან ოდნავ, მსუბუქად მორკალული ხაზით აღნიშნული ცხვირი, პატარა, სავსე ტუჩები, მრგვალი, პატარა ნიკაპი.

სახის, ყელის, ხელების დამუშავება წინა ოსტატებთან შედარებით (სადაც მოცულობა მკაფიო, მკვეთრი მონასმებით მიიღწევა) მსუბუქად, რბილი, თანდათანი გადასვლებით ხდება სიმუქიდან გაღიადება-განათებისაკენ. სახეზე გამოთეთრებები ნაკვთების ფორმას მიუყვება, თითქმის ყველგან მომრგვალებულია (წარბის ზემოთ, წვერზე, ბაგეებზე, უპეების აღმნიშვნელად ნახევარწრიულად შემოვევდება). ცხვირის წვერზე, ბაგეებზე, უპეებზე წითლით თხელი მონასმია დადგებული, რაც ძლიერ აცოცხლებს სახეს და მას ფერწერულობას სძენს (იგივეს გხედავთ წმ. გიორგის სცენებშიც).

ამ მხატვართან პროფილში მკაფიოდაა გამოკვეთილი სახის ნაკვთები. აქ წინა ოსტატებთან შედარებით ქვედა ყბა უფრო რეალური ზომისაა და ნაკლებ კუთხოვანი (ვიდრე, მაგ., სამხრეთი კედლის ოსტატთან). პალეოლითური გეოქისეული ხაზის დანაწევრება-დატეხილობისაკენ სწრაფვა აქ ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე წინა ორ მხატვართან, რადგან ხაზი ნაკლებ ხისტია, მონასმისა და დამუშავების შედეგად კი ფორმის ერთიანობის შეგრძნება ჩნდება.

ე.წ. მეხუთე ოსტატის მიერ შესრულებულ ფიგურებს რბილი სახის ოვალი აქვთ, ნიკაპისკენ ოდნავ დავიწროვებული. სწორი, მოგრძო თხელი ცხვირი, პატარა ხესტოებით. პატარა, ოდნავ სავსე ბაგები. ფიგურების ვარცხნილობა – ხვეული, გრუზა თმა ქუდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე თმას.

სახეები მწვანე ჩრდილებითაა დამუშავებული – ისინი მსხვილ ხაზადაა დადებული და ცხვირს, თვალებს, უპეებს, შუბლს, დაწვებს შემოწერს. თვალების გუბებიც კი ამავე ფერის მწვანითაა შევსებული და თეორაა ჩაწევთებული (ისევე როგორც წმ. გიორგის ოსტატთან). ერთ-ერთი წმინდანის სახეზე თვალების უპეების ქვემოდან სხივისებურად დაფენილი თეორა გამოდის, რომელიც გარე მიმართულებით მიემართება. დანარჩენი წმინდანების სახეზე თეორა არაა გამოყენებული. მათი

თვალების უპეები მწვანეთი და ყავისფრითაა აღნიშნული და სახის მოცულობაც მოწილების ჩრდილების მეშვეობით მიიღწევა; მოწილო-ყავისფერი მონასმითაა მონიშნული ბაგეები.

მთავარ ოსტატთან სამოსი დამუშავებულია დიდი, ფართო, ძირითადი ფერის სხვადასხვა ტონების ლაქოვანი გაღიადებებით, რომელნიც სამოსის ნაკეცების ფორმის შესაბამისად იდება. დრაპირების ის ნაწილები, რომლებიც სხეულის ფორმებს გამოყოფს სამოსის ფერის ყველაზე მუქი ტონალობით გამოისახება. მთლიანად ფიგურის, სხეულის ცალკეული ნაწილების შემომსაზღვრელი ხაზი მუქი ყავისფერი, მოშავოა.

პირველ მხატვარს ყველაზე ცოცხალი, ინტენსიური კოლორიტი აქვს, მკვეთრი, ხასხასა ფერებით – მწვანე, ზურმუხტისფერი, მოწისფერი, ოქრა. ტონები ჟღერადია და სუფთა, დაწმენდილი. ამას თან ერთვის ისიც, რომ თეორათი მინიმალური და მხოლოდ გაღიადებებით დამუშავების შედეგად ფერის ლოკალურობის განცდა იძალება, ფერი უფრო მაფიოდ აღიქმება და იქმნება მისი მთლიანობის შთაბეჭდილება.

მეორე მხატვართან სამოსი მასიურია, გაბერილი. სხეულის ნაკვთების გამომსახველი ნაკეცები მსხვილი და კუთხოვანია. მოცულობა გაღიადფერების, გამოთეთრებისა და ჩანრდილვების მონაცვლეობით მიიღწევა, ისევე, როგორც მთავარ ოსტატთან. მაგრამ განსხვავებული დამუშავებაა – თუ პირველთან დამუშავების ძირითადი ხერხი ფართო გაღიადებებია და გამოთეთრებას ის ნაკლებად მიმართავს, სამხრეთი კედლის სცენების შემსრულებლისთვის დამუშავების ძირითადი ხერხი სწორედ დიდი გამოთეთრებებია, რომელთაც ის ფართო მონასმებით ძირითადი ფერის პარალელურად ადებს.

მესამე მხატვრის ფიგურების სამოსი გაფრიალებულია, დაწახნაგებული, კუთხოვანი ბოლოებით სრულდება. დამუშავება ძირითადი ფერის სხვადასხვა ტონალობით (მუქი და ღია) ხდება (მაგ., წმ. მეორების სამოსი, ბურჯზე გამოსახული ფიგურის სამოსი და სხვ.); ამგარადაა „ამოფანილი“ ფორმაც.

მთავარი ოსტატი გრაფიებს ძალიან იშვიათად მიმართავს – მხოლოდ სამოსის გარკვეულ ნაწილებში და ისიც ზუსტად არ მისდევს ნაკარტს.

ამ ტექნიკას სამხრეთი კედლის ოსტატიც იყენებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზუსტად არც ის იცავს ნაკარტ ხაზთან მიმდევრობას. თუმცა მასთან გრაფიების მეტი სიხშირით გამოყენება არა მხოლოდ სამოსზე, არამედ სახეზე, წვერზე, შეიძლება კიდევ ერთხელ მიუთითებდეს მხატვრის ნიმუშზე მეტ დამოკიდებულებას.

მესამე ოსტატი გრაფიებს ყველაზე ხშირად მიმართავს, მხოლოდ სამოსზე და წინა ორი მხატვრის მსგავსად არც ის მისდევს მათ ზუსტად.

მთავარი ოსტატის შესრულებულ ფიგურებს უფრო მწყობრი, გამართული პროპორციები აქვს, ვიდრე დანარჩენ თრს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიგურათა აგება მაინც პალეოლითურია.

სამხრეთი კედლის კომპოზიციებში კი სხეულის პროპორციები უმეტესად დარღვეულია. ეს მომენტი განსაკუთრებით ცხადი ხდება სცენებთან მიახლოვებისას. სხეულის ნაწილები ძლიერ არის უტრიტებული (მაგ., ნიკოლოზ ფიგურა დატირებაში) – მსხვილი, მაჯისკენ უცბად დავიწროვებული ან გამსხვილებული ხელები (მაგ., სულთომოვენობის სცენაში), მსხვილი, თითქოს გაბერილი მკლავები და ფეხის ტერფები, ასევე „გაშეშებული“ თითქოთ. ხელის მზევნები და თითქობი არ არის ისეთი გრძელი და მაფიოდ გამოყვანილი, როგორც მთავარ ოსტატთან, მასთან მხოლოდ ზოგადი ფორმა იხაზება. მკაფიოდ არის გამოყოფილი კუთხოვანი ცერის ფუძე. მაცხოვარს (დატირების სცენაში) სწორი, გაშეშებული ფეხები აქვს,

მკაფიოდ მონიშნული, გამოკვეთილი კუნთით, ვიწრო მუხლებითა და პატარა ფენის მიზნებით. დეფორმაცია და უტრირება ერთგვარი გამომსახველობითი ხერხია ამ ოსტატისათვის, რომელსაც იგი ემოციურობის შექმნისთვის მიმართავს.

დამუშავების განსხვავებული ხერხის შედეგად ჩრდილოეთი კედლის სცენების ფიგურებს სულ სხვა პროპორციები აქვთ, ვიდრე მთავარი, ან სამხრეთი კედლის ოსტატის მიერ შესრულებულ ფიგურებს და კომპოზიციებისაგან მიღებული საერთო, მთლიანი შთაბეჭდილებაც განსხვავებულია. განხილული კომპოზიციების ფუგურები ზომით უფრო მცირე გვვჩვნება და უფრო მეტ წაგრძელებულობასაც იძენს, ვიდრე წინა ორი ოსტატისა.

მეხუთე მხატვრის მიერ შესრულებული ფიგურები თხელი, აზიდული პროპორციებით გამოისახებიან. ვიწრო, მომრგვალებული მხრებით, წვრილი კიდურები (მაჯასთან მკვეთრად დავიწროებული), მკაფიოდ გამოკვეთილი ფეხის კუნთებით, მუხლის თავებით (სხეულის ნაწილების ასეთი მკაფიო დიფერენცირება სხვა ოსტატებს არ ახასიათებთ). ფიგურები თითქოს ჰაერშია გამოკიდებული, მათი დგომა არამყარია.

ამდენად, მთავარი ოსტატი წინა ეპოქის მონუმენტურ პრინციპებს მიმართავს, ფორმას პლასტიკურად, მკვეთრად ამუშავებს. მასთან ხაზი ენერგიული, მეტყველი და მოქნილია. პერსონაჟებს მკაფიოდ გამოხატული ძლიერი, სახასიათო სახეები აქვთ.

სამხრეთი კედლის ოსტატი ნიმუშზე მეტ დამოკიდებულებას ავლენს. მასთან ძირითადი გამომსახველობითი საშუალება გრაფიკული, ხისტი, დატეხილ - დანაწევრებული ხაზია.

ჩრდილოეთი კედლის ოსტატისათვის დამახასიათებელია მოქნილი, ნაკლებ ხისტი ხაზი. წერის ცხოველხატული მანერა, მისწრავება ფორმის დამრგვალებისაკენ. დამუშავების განსხვავებული ხერხი, რომელიც განსხვავებულ გამომსახველობას იძლევა. ამ განსხვავებათა მიუხედავად, სამივე ოსტატთან, თითოეულის ინდივიდუალობის ფარგლებში, კლინდება პალეოლითური ხელოვნების პრინციპებით. ერთიანია სტილი, მიმართულება და სწორედ მის საზღვრებში ხდება ოსტატთა ინდივიდუალური შემოქმედებითი მიღგომის და ამა თუ იმ ამოცანის დამოუკიდებელი აღქმით გადაწყვეტა.

რადგანაც ეკლესია და მთელი მონასტერი წმ. გიორგის სახელობისაა, მის გამოსახულებებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მხატვრობაში.<sup>3</sup>

მოწამის სასაწულებისა და ვნებათა სცენებს მეორე რეგისტრი ეთმობათ, რომელიც მთელ სივრცეს სარტყელივით შემოუყვება (რასაკირველია, აფსიდის გარდა). ამას გარდა, წმ. გიორგის ნაწილობრივ ეთმობა მესამე რეგისტრიც; დასავლეთ კედელზე „ლასია ქალაქის სასწაული”, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნიშში წმ. გიორგისა და წმ. დემეტრეს ფრონტალური ფიგურები და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიშში – წმინდანის ვნების კულმინაცია, „წმ. გიორგის თავის კვეთა”

ამჯერად წვენი ყურადღება მიპყრობილია მეორე რეგისტრის გამოსახულებებისაკენ (სურ. 8) – ვნებათა და სასწაულების გავრცობილი ციკლისაკენ. აქ, ისევე როგორც მთელ მოხატულობაში, სცენები ერთმანეთისაგან მოწითალო ზოლითაა გამოყოფილი, ზოგიერთ სცენაში კი ორი მოვლენაა გაერთიანებული. წვენი ვარაუდით, მეორე რეგისტრი ერთი ოსტატის მიერაა შესრულებული, რის დასაბუთებასაც რიგი მახასიათებლების აღნიშვნით შევეცდებით.

<sup>3</sup> ი.ლორთქიფანიძე, წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი უბისის კედლის მხატვრობაში, საქართველოს სიმამართვები, 6, 2004.

პირველ ყოვლისა, თვალში საცემია, რომ წმ. გიორგის ტიპი მისი ციკლის ყველა სცენაში ზუსტად მეორდება: ოდნავ მოგრძო სახე, მოოთხეულობრივი ნიკაპი, ღია ყავისფერი კონტურით მოხაზული კუთხეებდახრილი თვალები. მაღალი, თხელი ცხვირი, საცხე ბაგები. სახეს ერთმანეთის თვალში თვეზეს ფართლისებურად დაწყობილი მუქი ყავისფერი ნახევარწრევები შემოუყვაბა, რომლებიც თმას აღნიშნავს და ქუდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ვარცხნილობას.

განსხვავებულ სახეებს ქმნის ოსტატი ჯალათების ფიგურების გადმოცემისას და თითქოს ცდილობს სახეზე თითოეულ მათგანს ინდივიდუალური შტრიხი შესძინოს. ჯალათების სამ მეოთხედში მოცემული სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდება: საცხე ლოყები, წვეტიანი ნიკაპი ან უფრო თხელი ნაკვთები, სახის მოგრძო ოვალი. ოდნავი განსხვავება ჯალათების სახეზე მათ საერთო მსგავსებაზე არ აისახება, რადგან ოსტატი, შეიძლება ითქვას, ერთი ნიმუშით სარგებლობს. რიგ შემთხვევაში ხდება ოდნავი ცვლილებებით ჯალათების ფიგურათა, პოზების და ჟესტების განმეორება. მათ მსგავსებას ხელს უწყობს თითქმის ერთნაირი ჩაცმულობა (ქიტონი მუხლამდე ან ოდნავ გრძელი, სხეულზე მჭიდროდ მომდგარი ორნამენტირებული თეთრი შარვალი).

ადსანიშნავია, რომ ოსტატი ხშირად იყენებს გრაფიებს სახეზე, სხეულსა და დრაპირებაზე. გრაფია ამ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული ხერხია და მას უბისის დანარჩენი ოსტატებიც მეტ-ნაკლები სიხშირით მიმართავენ. წმ. გიორგის ოსტატი მას არა მარტო ხშირად მიმართავს, ნაკაწრებს თითქმის ყოველთვის ზუსტად მისდევს კიდევ. შეიძლება ითქვას, რომ იგი შესრულებისას ნაკლებად თავისუფალია და გარკვეულ კანონებს, ნიმუშებს ემორჩილება.

სქემაზე გარკვეული დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს, რომ მეორე რეგისტრის სცენები სხვებზე ნაკლები ღირებულებისაა. პირიქით, მისი შემსრულებელი საკმაოდ კარგი პროფესიონალია, მისი წერის მანერა დახვეწილია. პირველ ფენად იგი ოქრას იყენებს, რომელზეც სხვადასხვა ფერით რბილი და მოცულობითი ფორმები ამოჰყავს. სახე და სხეული დენადი, ყავისფერი კონტურით შემოიწერება, რომლის ქვეშაც მხატვარი მუქ წითელს იყენებს და ამით თითქოს აცოცხლებს ყრუ, ჩამუქებულ ყავისფერს. თვალ-წარბს, ცხვირს, ტუშებს ის წვრილი ყავისფერი კონტურით გადმოსცემს. სახის და სხეულის მოდელირება ხორცისფრით, ოქრანარევი მწვანეთი და მწვანე ჩრდილებით ხდება. ეს უკანასკნელი იდება ლოფაზე, შუბლზე, კისერზე. ასეთი დამუშავება პალეოლითურ ხანაში საკმაოდ გავრცელებული ხერხია და ამ მეთოდს უკლებდივ ყველა ტესტატი მიმართავს. მეტი ცხოველხატულობისათვის წმ. გიორგის ოსტატი თეთრას წვრილი, პარალელურ მონასმებს იყენებს, რომელიც სქლად იდება ყვრიმალებთან, შუბლზე, ცხვირის კეხზე, ნიკაზე. თეთრაა ასევე „ჩაწვეთებული“ შავი ფერის გუგასთან, რაც არცოუ დიდი თვალების მზერას უფრო გამომსახველს ხდის (ესეც პალეოლითურთა მახასიათებელია, სწორედ ამ პერიოდში ჩნდება მისწრაფება სხეულისა და დრაპირების თეთრით მოდელირებისაკენ).

ოსტატი რბილი, მოცულობითი ფორმების გადმოცემისკენ მიისწრაფის: დენადი კონტური, რომელიც იდაყვთან თუ მუხლებთან მრგვალდება, სხეულის სისავსის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელსაც ასევე მომრგვალებულად დადებული თეთრას პარალელური მონასმები აძლიერებს. როგორც ჩანს, ის პატარა ფუნჯით მუშაობს, პატარ-პატარა წყვეტილი მონასმებით ამოჰყავს ფორმა, რის გამოც ერთგვარი დაქუცმაცებულობის, დანაწევრებულობის შთაბეჭდილებაც გვრჩება. მართალია, საერთო ჯამში ერთიანი ფორმა მაინც არ იწვევა, არ „იფანტება“.

სწრაფი წყვეტილი მონასმებით ამოჰყავს სახე მთავარ ოსტატსაც. მეტი ცხოველხატულობისათვის იგი დაწვებთან მოაგურისფრო - წითელს იყენებს.

მისი ექსპრესიული, ცოტა ნერვული მონასმი ცეცხლის ენებს ჰგავს წამახული ბოლოებით. ისიც, ტრადიციისამებრ, ფორმას მწვანე ჩრდილებით და ოეთრათი ამუშავებს. მაგრამ მისი მონასმი უფრო ენერგიულია, ერთი „ამოსუნთქვით“ დადგებული. რასაკვირველია, რბილ გადასვლასა და გრადაციაზე აქაც ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ უფრო ერთიანია, შეკრული, მთავარი ოსტატი ფერებს უფრო თავისუფლად, მოქნილად ადებს, რაც საბოლოოდ ფორმას გამომსახველს ხდის.

წმ. გიორგის ოსტატან დანაწევრებულობა – დაწვრილმანებულობა იგრძნობა დრაპირების გადმოცემისას. სამოსი მისივე ფერის მუქი და ღია ტონებით და გამოთეთრებულებით გამოისახება (იქნება ეს მწვანის ღია და მუქი ტონები, ყვითლის, წილის და ა.შ.). სამოსს მუქი ფერის ფართო კონტური შემოწერს, ხოლო მის გვერდით ამავე ფერის ღია ტონი იდება. დრაპირება დატეხილი ხაზებით გადმოიცემა, რომელსაც კიდევ უფრო ანაწევრებს ასევე დატეხილი, სწრაფ მონასმებად დადგებული თეთრა. ოსტატი სამოსის ზედაპირს გეომეტრიზებული ფორმით ანაწევრებს, მაგრამ ფორმას ძალიან არ აპრტყელებს და მოცულობისაკენ მიისწრაფის. მოკლე, ხშირი დატეხილი ხაზები ერთგვარი დაძაბულობის, ექსპრესიულობის შთაბეჭდილებასაც აძლიერებს. ესეც პალეოლითოსთა დამახასიათებელი ნიშანთაგანია. ამავე მოხატულობის სხვა ოსტატებიც, ტრადიციისამებრ, მიმართავენ დატეხილ ხაზს, თუმცა, რასაკვირველია, თითოეულ მათგანს საკუთარი ხელწერა აქვს.

პრინციპი ყველგან ერთია: ძირითადი ფერის მუქი და ღია ტონები და თეთრა. მთავარი ოსტატი სამოსს ძლიერი, დატეხილი, მუქი ტონის კონტურით შემოწერს და შემდეგ უფრო მცირე ზომის ღია ტონის მონასმებით ამუშავებს ზედაპირს. სამოსის ნაკეცების ნახატის დუბლირება თეთრი ხაზით ხდება.

ჩრდილოეთი აკედლის ოსტატის ხაზი რბილია, მოქნილი. სამოსის თეთრათი გალიადგებული ზედაპირი მუქი ტონით ნაკლებად ნაწევრდება, თანაც მუქსა და ღია ტონს შორის კიდევ რამდენიმე გარდამავალი ტონი იდება და გადასვლა შედარებით „რბილია“. ჩანაოჭებულ ადგილებში თეთრას სქელი ტეხილი მონასმები იდება.

თითქმის უწყვეტი ხაზი ახასიათებს სამხრეთი კედლის პირველი რეგისტრის ოსტატს. ტეხილი, ექსპრესიული მონასმი მასთან სამოსის ზედაპირს შემოწერს, რომლის ქვეშაც სხეული არ იგრძნობა. სამოსი აქაც ნაწევრდება ღია ტონებითა და თეთრათი. მაგრამ ხაზი მოკლე და წვრილი კი არაა, არამედ თითქმის უწყვეტია, ოდნავ ხისტი, თუმცა ემოციურად გამომსახველი (საერთოდ ემოციურობა ახასიათებს ამ ოსტატს, განსხვავებით წმ. გიორგისაგან, რომელიც საკმაოდ თავშეკავებულია).

როგორც ცნობილია, პალეოლითოგრაფიურ ხანაში პეზაზის როლი თანდათან იზრდება და იგი უფრო მეტ აღგილს იყავებს კომპოზიციაში. გამონაკლისი არც უბისის მოხატულობაა. აქაც, უკლებლივ ყველა ოსტატან ვხვდებით ხედვის სხვადასხვა წერტილიდან ნაჩვენებ არქიტექტურას და შიშველ კლდეებს, რომელთა ფონზეც სცენები ვთარდება. რასაკვირველია, წმ. გიორგის სცენებიც არაა გამონაკლისი. არქიტექტურა წაგრძელებული, მწყობრი პროპორციებისაა და რეგისტრის მთელ სიმაღლეს მოიცავს. იგი, ძირითადად, ოქრათი გადმოიცემა თეთრას ხშირი ჩანართებით. ოქრათივე გადმოიცემა კლდეები: სხვადასხვა რაკურსით ნაჩვენები ოთხკუთხა სიბრტყეები, რომლებიც ზემოდან გამოთეთრებებით და წითელი ბასრი მონასმებით მუშავდება. ერთმანეთის გვერდით დადგებული მუქი და ღია სიბრტყეები კონტრასტს უსვამს ხაზს და „შუქჩრდილის“ ეფექტს წარმოშობს.

ოდნავ წაგრძელებული, მაგრამ არა უტრირებული ფიგურები კიდესთან ახლოს გამოისახება, რათა მთელ სიმაღლეზე მოცემული არქიტექტურისა და კლდეების

ფონზე არ ჩაიკარგოს. თუმცა, სიახლოვის მიუხედავად, ფიგურები მნახველთა მნახველთა უშეალო კონტაქტს არ ამყარებენ და თავის თავში, თავის გარემოში არიან მოქცეულნი. წმ. გიორგის ოსტატი მეტად კარგად გრძნობს პროპორციას. მისი ფიგურები პროპორციული აგებულებით, სხვულის ნაწილების თანაბარზომიერებით, ალდოიანი ურთიერთშეფარდებით გამოირჩევა.

თუ შევადარებთ წმ. გიორგის ოსტატს ჩრდილოეთი კედლის გამოსახულებებს ანუ ე.წ. მესამე ოსტატის ფიგურებს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელნი თხელი, აზიდული პროპორციებისანია. თუმცა ქვემოთან მომზირალი მნახველისათვის განსხვავება ისეთი თვალსაჩინო არ არის, ანუ მესამე ოსტატი ითვალისწინებს მის ქვემოთ მდგრად რეგისტრს და ვიზუალურ ცდომილებებს.

ალდო არც წმ. გიორგის ოსტატს დალატობს. იგი ასევე კარგად იაზრებს სივრცეს და მასში ფიგურების მნიშვნელობას. შესაბამისად, ის ოსტატურად აკავშირებს ფიგურათა მასშებას თავად რეგისტრის ზომასთან და სხვა რეგისტრებთან. ასევე ითვალისწინებს ამ რეგისტრის დაცილებას მნახველისაგან.

ფიგურათა ურთიერთმიმართება, შესრულების მაღალი დონე, დახვეწილი მანერა ოსტატის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. თუმც, მის მხატვრობაში კანონისადმი მეტი მორჩილება, ერთგვარი „შებოჭილობა“ იგრძნობა. უბისის მოხატულობას ზოგადად ემჩნევა ბიზანტიური ოფიციალური სკოლის გავლენა და გარკვეული „აპადემიზმი“ ყველა ოსტატს ახასიათებს. თუმც, ამავე დროს, თითოეული მათგანის ნამუშევარში საკუთარი ხელწერა და მიღვომაც იკითხება.

## **Eter Edisherashvili, Nino Tsitsishvili On the Painters Working in Ubisi Church**

14<sup>th</sup> c. murals in the Ubisi monastic church of St. George are one of the significant examples of the Paleologan painting in Georgia. They had been discussed more than once, however, certain problems still need to be addressed – number of painters working in the church, being among these. According to Sh. Amiranashvili Ubisi church was painted by two painters (1930), while N. Tolmachevskaya thought that their number equalled four (1931). On 21-27.VIII.2005, prior-restoration research in Ubisi was carried out by a group, whose observations and conclusions are published in the article.

Examination of the murals from the scaffoldings had proved that Ubisi murals are creation of five painters. First – most likely, the chief painter, presumably Gerasime mentioned in the well-known fresco inscription, who “had painted” Ubisi – had decorated the conch and the vault; the second (named “the painter of the south wall”) – worked on the upper register of the south wall and west wall lunette; the third (named “the painter of the north wall”) – painted upper register of the north wall and apse wall registers; entire fourth register with the life cycle of St. George – belongs to the fourth (named “the painter of St. George”), while the fifth – painted images of Saints in the arches.

Compositions of the “chief painter” are more representative, his manner is austere, “academic”,

line – uninterrupted, akin to that of the preceding “classical” period, highlights and shadows are used very moderately. Contrary to him, manner of the “painter of the south wall” is characterised by broken, angular lines and forms. Unlike them, the “painter of the north wall” gives preference to light shadows and rhythmic, thin highlights, imparting greater softness to the forms and colour gamut. Facial type, rendering of drapery, figure proportions and colour gamut of these painters (as well as of the fifth painter) also differ to a certain extent. Likewise different is the manner of the “painter of St. George” (he uses scratched tracing more than all others) – he is more inclined towards flowing, curved lines, although numerous small, short strokes somehow over-articulate figures painted with high professional mastery.




Լոյթ. 1



Լոյթ. 2



სურ. 3



სურ. 4



Տպ. 5



Տպ. 6



სურ. 7



სურ. 8

ინგა ლორთქიფანმე  
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა  
და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

**მოგონებები ახლო წარსულზე  
(თინათინ ვირსალაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)**

100 წელი შესრულდა თინათინ ვირსალაძის დაბადებიდან. ფართო საზოგადოებამ შესაძლოა ნაკლებად იცოდეს მისი პიროვნებისა და საქმიანობის შესახებ, მაგრამ პუმანიტარული დარგის მეცნიერთა წრეში, განსაკუთრებით ხელოვნების ისტორიკოსთა შორის, იყო ერთ-ერთი უპირველესია მის მიერ შეტანილი წვლილი მეცნიერების ამ დარგში, ისევე როგორც ერთ-ერთი უპირველესი იყო თავისი კულტურით, დახვეწილობითა და იმპიათი არაორდინალურობით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პიროვნებები დღევანდებელ ჩვენს პრაგმატულ(!) საზოგადოებაში ობოლი მარგალიტივით თუ გამობრწყინდებიან ხოლმე და, სამწუხაროდ, უმეტეს წილად ისინიც წარმავალი თაობისა არიან.

ქალბატონ თინას პირველად 50 წლის წინ შევხვდი. მაშინ, როცა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში სამუშაოდ მივედი. რამდენად უფროსი ვარ დღეს მე იმ ქალბატონ თინაზე, მაშინ რომ პირველად ვნახე და მოვიხიბლე მისი იერით. ჰეშმარიტი ინტელიგენტი, არისტოკრატი, ეს სიტყვები გაიელვებდა მისი პირველად მნახველის გონებაში, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ მე, უნივერსიტეტის ახლადგურსდამთავრებულმა (ისტორიკოსის წარჩინებული დიპლომით) არც მისი პიროვნების შესახებ ვიცოდი არაფერი და არც მისი ნაშრომები მქონდა წაკითხული. თუმცა, აქვე დავუმატებ, რომ ბევრი მსმენოდა ვირსალაძეთა გვარის გამორჩეული ნიჭიერების შესახებ; ვიცოდი ვინ იყო სოლიკო ვირსალაძე. სტუდენტობის წლებიდანვე ჩემი თაობა არ აცდენდა მის მიერ გაფორმებული საბალეტო სპექტაკლების პრემიერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ისიც საყოველთაოდ ცნობილი იყო, რაოდენ დიდი იყო სოლიკო ვირსალაძის ესკიზებით შესრულებული კოსტიუმების წვლილი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხალხური ცეკვის ანსამბლის ტრიუმფალურ გამოსვლებში. მაგრამ ის, რომ ბატონი სოლიკო ქალბატონი თინას მმა იყო, ხოლო მშვენიერი ქალბატონი ლოლოტა ვირსალაძე, მისი და, ეს უკვე გვიან გავიგვ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, სადაც მე თოარ ჯაფარიძის, უნივერსიტეტში ჩემი ლექტორის რეკომენდაციით მოვხვდი, ჰეშმარიტი ოაზისი იყო იმდროინდებლი პოლიტიკური რეკიმის პირობებში.

ქართული ხელოვნებათმცოდნების სკოლის ფუძემდებლის – გიორგი ჩუბინაშვილისა და მისი მოწაფეების-თანამოაზრების წელობით ეს ინსტიტუტი შორს იდგა საბჭოური რეჟიმის ტრაფარეტებისაგან (არსებობდა, საბედნიერო, სხვა მცირეოდენი გამონაკლისებიც) და თავის ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ახალგაზრდა თაობას აზიარებდა ხელოვნების ისტორიის საფუძვლებს საუკეთესო ეპროპელი სამეცნიერო სკოლების პრინციპების კვალად, მაგრამ ინსტიტუტში მარტო მეცნიერებას არ “გვასწავლიდნენ”, აქ მოსული ახალგაზრდა პიროვნულადაც იწვრთნებოდა, ყალიბდებოდა იმ ორიენტირების მაგალითზე, რომლებიც დღენიადაგ თვალწინ გვედგა. ასეთ ატმოსფეროში ჩამოყალიბდა (თუ შეიძლება ასე ითქვას) ინსტიტუტში მისული ჩემი თაობა და მეც, სხვებთან

## ერთად.

როდესაც ინსტიტუტში (დღეს, რეორგანიზაციის შემდეგ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრში) დაიწყო საუბარი ქალბატონი თინას 100 წლისთვის აღნიშვნის შესახებ, მე ძალიან მომინდა თუნდაც მცირედი მოგონების სახით გამომეხატა სიყვარულისა და მადლიერების ის გრძნობა, რომელიც ამ დიდებული ქალბატონის მიმართ მაქვს და გამყება სიცოცხლის ბოლომდე. მით უმეტეს, რომ როგორც საკმაოდ გვიან აღმოვაჩინე, მე ვკოფილვარ ქალბატონი თინას პირველი ასპირანტი ანუ ოფიციალური მოსწავლე; თუმცა ქალბატონი თინასთვის მისი მუშაობის ოფიციალურ მხარეს არასდროს ჰქონია განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი უშურველად უზიარებდა თავის ცოდნას ახალგაზრდებს, ამომწურავ პასუხს იძლეოდა შეკითხვებზე, რომლითაც მას მიმართავდნენ. ამიტომაც იყო, იშვიათად რომ ვინმე ჩვენგანს არ შეევლო ქალბატონ თინასთან სადამო ხანს (წინასწარი ზარის შემდეგ), ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

მაგრამ როდესაც ერთ-ერთს ჩემს ახალგაზრდა კოლეგას, ინსტიტუტის თანამშრომელს “გავანდე” ჩემი გეგმები, მან სრულიად სერიოზულად მკითხა – “ვისთვის წერო?” (ის პირვენება ჩემთვის იმდენად ახლობელია, რომ, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, “შენობით” მომმართავს). რა თქმა უნდა ის ამ შეკითხვაში გულისხმობდა არა ჩვენს ინსტიტუტს, არამედ დღევანდელ საზოგადოებას, რომელიც თითქოსდა აუცილებელი ორიენტირების გარეშე მოძრაობს და ისიც გაისმის უკვე, რომ ძველი თაობის მეცნიერები (ანუ ისინი, ვისაც ხვდა კომუნისტური რეჟიმის დროს ცხოვრება და მუშაობა) დღეს თურმე ახალი თაობისთვის ნიმუშად ვერ გამოდგებიან(!).

ჩემი ახალგაზრდა კოლეგის ამ გულისტყივილით დასმული შეკითხვის პასუხად კიდევ უფრო გამომტკიცდა აზრი ამ მოგონებების დაწერის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ისტორიიდანაც მრავალი მაგალითით ნათლად ჩანს, როცა ქვეყნა წარსულს კარგად გაიაზრებდა, შეცდომებს ნაკლებად უშვებდა და შემდგომი ნაბიჯებიც უფრო სწორი იყო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდებოდა, სამწუხაროდ, ისტორია მეორდება.

მე დრმად მწამს, რაც უფრო მეტი ადამიანი, ახალგაზრდა გაიგებს როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი მასწავლებლები, როგორ ზრუნავდნენ ახალგაზრდების, თავისი შემცვლელი თაობის აღზრდაზე, უბრალოდ, როგორი კეთილშობილები იყვნენ და რა პატივისცემას იმსახურებდნენ საზოგადოებაში, ვინმეს ხომ გაუჩნდება სურვილი მიბაძოს მათ, გაიაზროს და გაიზიაროს მათი დამოკიდებულება სულიერისა და მაბრერიალურის მიმართ და უპირატესობა მიანიჭოს პირველს. ჩემი უკიდებანო თპტიმიზმი მარწმუნებს, რომ ეს ჩემი მოგონებაც რომელიმე, თუ არა რამდენიმე ახალგაზრდის გულის სიმს შექება და აღუძრავს პატივისცემას ისეთი ტიპის ქალბატონის მიმართ, როგორიც თინა ვირსალაძე იყო.

&

ბევრი ვიზიქრე ამ მოგონებების ფორმის შესახებ ანუ როგორ უნდა დამეწერა იგი, რისთვის მიმენიჭებინა უპირატესობა ჩემს თხრობაში – ქალბატონი თინას მეცნიერული დამსახურებებისათვის, ანუ მისი ადგილისათვის ქართული სახვითი ხელოვნების შესწავლის ისტორიაში, თუ მისი პირველი თვისებებისათვის, მისი ურთიერთობებისათვის ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან, მოწაფეებთან? რა თქმა უნდა, საუბარი ერთის შესახებ მეორის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ მე

მაინც გადავწყვიტე მკითხველის უურადღება შევაჩერო სწორედ მის პიროვნეულ თვისებებზე და ხასიათზე, ადამიანებთან (უმცროსებთან – განსაკუთრებით) მის ურთიერთობებზე. ოუნდაც რა იყო მიზეზი იმისა, რომ ჩემთვის, მისი მოწაფისათვის, შემდგომში მისი ახალგაზრდა კოლეგისათვის (ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა 27 წელი იყო) ბედნიერება იყო მასთან პირადი ურთიერთობა, მისი სახლის კარის შედება, მისი საყვედურისა თუ შენიშვნის მოსმენაც კი – ამას მეუბნება? ეს იგი მასთან ახლო ვარ, ახლობლად მივაჩნივარ, უკეთესი უნდა რომ ვიყო, უნდა რომ მეტი ვიმუშაო და უკეთესი ნაშრომი გამომივიდეს – ვფიქრობდი ხოლმე მე როდესაც იგი შენიშვნას მაძლევდა ან რამე ნაწერს დამიწუნებდა.

თუ ამ მოგონების ბოლოში მკითხველი მიხვდება, რატომ მიყვარდა ასე ქალბატონი თინა, გაიაზრებს მის პიროვნეულ ხატს (სახეს), ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

ვინაიდან ინსტიტუტში მუშაობის დაწყებისას ჩემი ინტერესები კედლის მხატვრობისკენ გადაიხარა, ბუნებრივია მე შეა საუკუნეთა სახვითი ხელოვნების განყოფილებაში ჩამრიცხეს. ამ განყოფილებას მისი დაარსებიდან ხელმძღვანელობდა ქალბატონი თინა (სიცოცხლის ბოლომდე). გარკვეული დროის შემდეგ მე ჩავაბარე ასპირანტურაში და გავხდი ასპირანტი, ხოლო ჩემს ხელმძღვანელად ქალბატონი თინა დაინიშნა. მერე, წლების შემდეგ მიფიქრია, ქალბატონ თინას რომ არ ჰქონდა ჩემთან მუშაობის სურვილი, ძალას ალბათ ვერავინ დაატანდა? ეს იყო 1961 წელი. დაიწყო ჩემი არაჩვეულებრივად საინტერესო, მაგრამ არცთუ ია-ვარდით მოფენილი ცხოვრება. ქალბატონი თინას ხელმძღვანელობით მუშაობა აღმოჩნდა მეტად საინტერესო, მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს რთულიც და არც თუ იოლი, თუ მიიღებდი მისი “თამაშის წესებს” (როგორც სპორტსმენები ამბობენ), მაშინ ხდებოდი მისი “პარტნიორი”, აკეთებდი სამუშაოს, რომელიც უაღრესად საინტერესო იყო შენთვის და გქონდა თანალმობის გრძნობა დიდი მეცნიერის გვერდით არსებობისა. ამ მუშაობის პროცესში ქალბატონ თინას თანდათან შეჟყავდი მეცნიერების წიაღში და გიგალავდა გზას (შეუმჩნევლად, შენ ამ დროს გეგონა, რომ შენ თვითონ იკვლევ ამ გზას) უფრო და უფრო რთულ საკითხებში გასარკვევად.

&

1957 წელს, როცა მე ინსტიტუტში მივედი, ქალბატონი თინა 50 წლის ხდებოდა. თხელი, ელეგანტური აღნაგობის, ინტელიგენტის განსხვაულება. წლებთან ერთად სიგამხდრე თითქოს ემატებოდა, მაგრამ მისი ბუნება, მანერები, პიროვნეული ხიბლი უცვლელი იყო და მიმზიდველი. მე ახალგაზრდა ქალბატონი თინა არ მახსოვს, მაგრამ როცა ვუყურებდი მასთან სახლში მისი უახლოესი მეგობრის ქვევან მაღალაშვილის მიერ შესრულებულ მის პორტრეტს, ვერძნობდი რა სასიამოვნო გარეგნობა ექნებოდა ახალგაზრდობაშიც. ბოლომდე შერჩა სქელი, ტალღისებური თმები, რომელსაც არ იღებავდა და ჩვენ ვხედავდით როგორ თანდათან ემატებოდა ჭალარა. ჰქონდა გრძლად გადარკალური წარბები, გარეთა კიდეებზე აზიდული (არისტოკრატიზმის ნიშანი) და არაჩვეულებრივად ლამაზი, ნუშისებრი ოვალის დიდი თვალები. ერთხელ მასთან ვიყავი და ვუკითხავდი ჩემს ნაწერს (ქალბატონ თინას არ უკვარდა სხვისი ნაწერის თვითონ წაკითხვა, მას მოსმენით მიღებული შთაბეჭდილების მიღება ერჩივნა, როგორც ჩანს), შემომხედა და ფანჯრიდან შემოსული მზის შუქზე დავინახე, რომ მისი მომწვანო-თაფლისფერი თვალების

გუგას მუქი ფერის ხალები პქონდა. საოცარი სილამაზე იყო. ასეთი რამ არ მენახავოდა ვერ მოვითმინე და ვუთხარი – ქალბატონო თინა, იცით, რომ «დახალული თვალები» გაქო-მეოქი, რა ლამაზია-თქო. გაიცინა – ვიციო, ირონიულად მიპასუხა.

ინტელიგენტურ და განათლებულ ოჯახში დაბადებულს და გაზრდილს, ტრაგიკული ბედი ერგო. 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს მისი მუჟდლე მეორე, ცაცა ხოშტარია (ასე ეძახდნენ თურმე შინაურები). იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არც კი გაუგია თავისი პირმშოს გაჩენა. გოგი ხოშტარია, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე (აგრეთვე პოლიტიკოსი), ქალბატონი თინას ვაჟია.

ქალბატონ თინასთან სამუშაოდ ახალგაზრდები მის ბინაში მივდიოდით საღამოობით, ბელინსკის ქუჩის აღმართის ბოლოს რომ იყო, ლამაზი ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. ჩემზე ადრე (ჩემს მეხსიერებაში) მასთან დადიოდა ხოლმე ეკა პრივალოვა, შემდეგ მე, მერე ჯილდა იოსებიძე, მარინე ვაჩნაძე (მასთან ქალბატონ თინას განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა), დადიოდნენ სხვებიც.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მისულს ინსტიტუტი სახლმწიფო მუზეუმის შენობაში დამხვდა. კეცხოველის ქუჩა, № 10 – ეს იყო კიდევ დიდხანს ჩვენი მისამართი. მუზეუმში ინსტიტუტს ფაქტიურად მხოლოდ ორი (მაგრამ დიდი) სამუშაო ოთახი პქონდა, სამუშაო ადგილები საქმარისი არც იყო, ამიტომ ჩვენი ინსტიტუტი არ ცხოვრობდა იმ რეჟიმის დროს მიღებული წესებით. ითვლებოდა ზოგადად, რომ ინსტიტუტში სამსახური იწყებოდა დილის 10 საათზე, მაგრამ ამ დროს უნდა გამოცხადებულიყვნენ მხოლოდ ბიბლიოთეკის, კანცელარიის თანამშრომლები და ჩვენ – ახალგაზრდები. 10 საათზე პედანტურად მოდიოდა ხოლმე ყოველთვის ბატონი ვახტანგი (ბერიძე), მაშინ ბატონი გიორგის, დირექტორის მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა თუ რაიმე “საგარეო” საქმე არ გამოუჩნდებოდა. ახალგაზრდები ვეოთხულობდით წიგნებს (არსებობდა სავალდებულო ლიტერატურის სია), ვეცნობოდით ბიბლიოთეკაში სპეციალურ სტენდზე გამოფენილ ახლადმიღებულ წიგნებს და უურნალებს (ბევრს უცხოეთიდან), ვემზადებოდით გამოცდებისათვის, რომლებსაც სისტემატურად გვაბარებინებდნენ გარკვეული პროგრამის მიხედვით, თანდათან ვეუფლებოდით მეცნიერული კვლევის მეთოდებს. უფროსები 2 საათის შემდეგ მოდიოდნენ. თავიდან ძალიან გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ უფროსები და უმცროსები ცალცალკე თოახებში არ ვისხედით. ჩვენს ოთახში ახალგაზრდების გვერდით ისხდნენ რენე შმერლინგი, სარა ბარნაველი, ლეო რენეულიშვილი, რუსულან მეფისაშვილი, ზაქრო მაისურაძე, ლეო შერვაშიძე, ქალბატონი თინა, ინა გომელაური. ვინაიდან ქალბატონი თინა ამ პირობებშიც კი “განსაკუთრებულ რეჟიმში” მუშაობდა – ან გვიან მოდიოდა, ან საერთოდ არ მოვიდოდა ხოლმე, მას მიეკედლა, უფრო სწორედ მის მაგიდასთან იჯდა ხოლმე ჩვენი უფროსი კოლეგა ქალბატონი ინა გომელაური (რა თქმა უნდა ქალბატონ თინასთან შეთანხმებით). მახსოვს, როგორც კი ქალბატონი თინა გამოჩნდებოდა ოთახის კარებში, ქალბატონი ინა იმ წამსვე წამოდგებოდა (ქალბატონი თინას პროტესტის მიუხედავად) და რომელიმე თავისუფალ მაგიდას მიუჯდებოდა. აღმინისტრაციის მხრიდან ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება თუნდაც ქალბატონი თინას რეჟიმის მიმართ სავსებით გასაგები იყო. ყველამ იცოდა, რომ “ქალბატონი თინა მუშაობდა”, მაგრამ ეტყობა იყო მომენტები, როცა ქალბატონი თინას ლიმიტი იწურებოდა და ოთახში შემოსული ბატონი ვახტანგი მეტყოდა ხოლმე მშვიდად – თუ არ გიჭირო, შეუარეთ თინას, უთხარით იქნებ გამოიაროს ინსტიტუტში (ამასობაში მე ინსტიტუტში რამდენიმე თანამდებობრივი საფეხური ავიარე). შეიძლება ვინმებ იფიქროს, რომ ეს ზედმეტი თავისუფლება საქმეს ვნებდა, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იყო. ნდობის და

პასუხისმგებლობის გრძნობას თავიდანვე აღვივებდნენ ჩვენშიც, ახალგაზრდებში და მომზადებელთა სახით  
 წინა ოთახში გრძელ, განივად დადგმულ მაგიდასთან სახით  
 თანამშრომლებისკენ იჯდა ვახტანგ ბერიძე, ხოლო მის წინ თავთავის მაგიდებთან  
 ისხდნენ რუსულან ყენია, ნიკო ჩუბინაშვილი (ბატონი გიორგის ვაჟი), ვახტანგ  
 დოლიძე, ანელი ვოლსკაია, გაიანე ალბეგაშვილი, გიორგი მასხარაშვილი, კუკური  
 დვალი და უფრო ახალგაზრდებიც, ხისო კინწურაშვილი, ნოდარ ჯანბერიძე.

ბატონ გიორგის ცალკე ოთახი ჰქონდა კაბინეტია, ვიწრო, გრძელი, ერთი  
 ფანჯრით, ასკეტის სამყოფელს რომ მოგაგონებდათ. სხდომები უმეტესად ბერიძის  
 ოთახში იმართებოდა. უფროსების და ახალგაზრდების ერთად ყოფნაში დიდი  
 აზრი იყო ჩადებული. თუ ამას ისიც დაემატება, რომ უფროსები ერთმანეთთან  
 მეგობრობდნენ ოჯახებით, ჩვენ კი, ახალგაზრდები ვმეგობრობდით ერთმანეთთანაც  
 და ჩვენი მასწავლებლების უკვე თანდათან წამოზრდილ შეიღებთანაც, ნათელი  
 გახდება, რომ ინსტიტუტში არა მარტო ჩვენს განათლებაზე, არამედ ჩვენს  
 სულიერებაზეც ზრუნავდნენ.

პიროვნულ სიახლოვეს ჩვენს მასწავლებლებთან ხელს უწყობდა ერთდღიანი  
 გასვლები კვირაში ერთხელ ინსტიტუტის ძველი, დანჯდრეული ავტობუსით, ადრე  
 გაზაფხულიდან რომ იწყებოდა, შემდგომ ზაფხულის ექსპრესიიები (ეს უკვე  
 საკმაო ხნით), მივლინებები მოსკოვსა და ლენინგრადში. თანდათან ჩვენც დავიწყეთ  
 სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა თბილისში, მაშინდელი საბჭოთა  
 კავშირის ქალაქებში და ბოლოს დაიწყო ჩვენი მჭიდრო ურთიერთობები უცხოელ  
 კოლეგებთან, მათი ჩამოსვლა საქართველოში, ქართული ძეგლების გაცნობა და  
 ჩვენი მივლინებები უცხოეთშიც. ყოველივე ამის დაგვირგვინება იყო ქართული  
 ხელოვნებისადმი მიძღვნილი 6 საერთაშორისო სიმპოზიუმი (გასული საუკუნის  
 70-80-იან წლებში რომ შედგა) ფაქტიურად ერთი კაცის, ვახტანგ ბერიძის მიერ  
 ორგანიზებული და ბრწყინვალედ ჩატარებული.

მაგრამ მე მინდა დავუბრუნდე ქალბატონი თინას და ჩემი ურთიერთობის  
 ისტორიას. ზემოთ უკვე შევნიშნე, რომ ქალბატონ თინას ერჩივნა ახალგაზრდები  
 სამუშაოდ მასთან სახლში მივსულიყავთ. ალბათ სწორიც იყო. ინსტიტუტში ხშირად  
 იყო სხდომები, სემინარები, მოხსენებების კითხვა. ჩვენს უფროსებთან მოდიოდნენ  
 სახელოვანი მეცნიერები და ხელოვანები, ისინი ბჭობდნენ და ერთად წყვეტდნენ  
 ქართული ხელოვნებისა თუ კულტურისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს. მე  
 მასხველს ინსტიტუტში ხშირად მოსული პავლე ინგოროვა, აკაკი შანიძე, ილია  
 აბულაძე, გრიგოლ ჩხიოვაძე, გოგი ლომთათიძე, ლონგო სუმბაძე, სერგო ქობულაძე,  
 უჩა ჯაფარიძე და ბევრი სხვა დირსეული პიროვნება, ზოგი მათგანი ინსტიტუტის  
 სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო. დრო ხშირად 6-ს გადაცდებოდა და ინსტიტუტში  
 საქმიანი სტუმრობა და საუბრები არ წყდებოდა.

როცა სამუშაო გვერდია, რა თქმა უნდა, ქალბატონი თინა ცალ-ცალკე  
 გვიბარებდა ახალგაზრდებს სახლში, მაგრამ იყო დღეები, მას შეეძლო დაერეცა  
 და ეთქვა – ხომ არ გინდა ამ სადამოს ჩემთან მოხვიდე, სოლიკო ჩამოსულიო –  
 უბრალოდ ეპატიუებოდა მასთან ახლო მყოფ ახალგაზრდებს. სოლიკო ვირსალაძე  
 მაშინ დიდების ზენიტში იყო. იგი მირითადად რუსეთში მუშაობდა, აფორმებდა  
 საბალეტო სპექტაკლებს მოსკოვის დიდ თეატრში და ლენინგრადის კიროვის  
 სახელობის (დღეს პეტერბურგის მარინის) თეატრებში. დროდადრო როცა კი  
 საშუალება ჰქონდა, ჩამოდიოდა თბილისში, აფორმებდა საბალეტო სპექტაკლებს,  
 და ვთქვი კიდეც, სუხიშვილების ცეკვის ანსამბლის წარმატებებში დიდი წვლილი  
 ბატონი სოლიკოს მიერ შექმნილ ქართულ ეროვნულ კოსტიუმებს მიუძღვდა.

ის სადამოები, როცა და-ძმა ვირსალაძეები იკრიბებოდნენ ხოლმე ქალბატონ

თინასთან, დაუგიწყარია ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის, ვინც იქ კოფილგარე ამ დროს. ბატონი სოლიკო, მაღალი, ელეგანტური მანერებით, თხემით ტერფამდე არისტოკრატი, ულამაზესი ქალბატონი დოლოტა (მანანა ხიდაშელის დედა) და ბედნიერი დიასახლისი (და-ძმის ერთად ყოფნის გამო) ქალბატონი თინა ერთმანეთან მოსაუბრენი საინტერესო, ხშირად ჩვენთვის უცნობ ოემებზეც, ერთმანეთის ნახვით ხალისიანები, საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ჩვენზე. ვხედავდი, რომ გამორჩეულ, არისტოკრატულ პიროვნებებთან გვქონდა ურთიერთობა. ქალბატონი თინაც გრძნობდა შინაგანად ამას და ამიტომაც გვეპატიუებოდა ჩვენ, მის მოყვარულ ახალგაზრდებს, რომ რადაც მადალს, განსაკუთრებულს ვზიარებოდით.

ძალიან მიყვარდა ქალბატონი თინას ბინა. ჩვენ ახლო ვცხოვრობდით. ყაზბეგის ქუჩიდან, საღაც მე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ, ბარნოვის ქუჩის გავლით 10-ოდე წუთში უკვე ქალბატონ თინასთან ვიყავი. ძველი თბილისური სახლი, საღაც, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ ქალბატონი თინას მეუღლის მშობლები ცხოვრობდნენ, ქალბატონი თინა ოჯახითურთ მეორე სართულზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა; ვველაზე დიდი ოთახი, კორიდორიდან მარცხნივ, ქალბატონი თინასი იყო. ამ ოთახის წინ, მარცხნივ გასასვლელი იყო დამაზ, ფართო აუგურულ თუკის აივანზე. მარჯვნივ კი დიდი ფანჯარა იყო. ასე რომ ქალბატონი თინას ოთახში შუქი მუდამ უხვად იღვრებოდა, ფანჯრიდან მთაწმინდის ხედი ჩანდა, წლის სხვადასხვა დროს განსხვავებულად ლამაზი.

ოთახის ცენტრში ქალბატონი თინას ლოგინი იდგა, თავით კედლისკენ, მომდევნო ოთახს რომ ესაზღვრებოდა. ამ კედელზე ჩამოფარებული იყო დიდი, ულამაზესი ქირმანშალი. ლოგინს გვერდით, ფანჯრის მხარეს მიღებული ჰქონდა განიერი, გრძელი მაგიდა, თითქმის ლოგინის სიგრძე, რომელიც დახუნდლული იყო ქალბატონი თინას სამუშაოთი – თაბახის ფურცლებით, საქადალდეებით, წიგნებით, ჩანახატებითა და სქემებით. აქვე იდო პარიოროსი “ყაზბეგის” (ან “გუროვგრის”) ცარიელი და სავსე კოლოფები, ასანთი, საფერფლე – ქალბატონი თინას ყოფის აუცილებელი ატრიბუტები. ოთახის არაორდინალურობას ხაზს უსვამდა ძველი ავეჯი, კედელზე ბატონი სოლიკოს ესკიზები და თვით ქალბატონი თინას ერთო-ორი ჩანახატი. აქვე იყო თაროები უამრავი წიგნით, ტანხაცმდის ძველი კარადა, ასევე ძველებური კამოდი, რომელზეც ერთ-ერთ პირველ მისვლაზე სხვა ნივთებს შორის შევამჩნიე ქალის ულამაზესი პატარა ქანდაკება ქალბატონმა თინამ დაიჭირა ჩემი მზერა და მკითხა – «Что, нравится? Танагр. Солико». ასე რამდენიმე სიტყვით გამაგებინა, რომ ეს არის ერთ-ერთი იმ პატარა ქანდაკებებიდან ტანაგრის სახელით რომ არის ცნობილი და რომ იგი ბატონმა სოლიკომ საჩუქრად მიართვა მას ერთ-ერთი გასტროლიდან დაბრუნების შემდეგ. ოთახის შვევნება იყო ქალბატონი თინას სიურმის მეგობრის (ეს მეგობრობა მათ ბოლომდე შერჩათ) ქეთუგან მაღალა შვილის მიერ ახალგაზრდობაში შესრულებული ქალბატონი თინას პორტრეტი. მეორე ასევე ახალგაზრდობაში ქალბატონი ქეთოს მიერ შესრულებული მისი პორტრეტი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ოთახის ინტერიერს აგვირგვინებდა დიდი, ძველი საბჭოური ტელევიზორი, რომელიც ქალბატონი თინას ლოგინის პირისპირ იდგა. რას უყურებდა ქალბატონი თინა ტელევიზორით? – ფეხბურთს! მას სიგირემდე უკარდა ფეხბურთი. ჩვენი «დინამოს» ქომაგი იყო, მაგრამ აზარტული «ფანატი» იყო ასევე, საერთოდ კარგი ფეხბურთის, მასსოვს ერთხელ შეუთანხმებლად მივედი (ასეც ხდებოდა ხოლმე) და ჩემი სამუშაოს დამთავრებული ნაწილი მივუტანე, აღმოჩნდა, რომ ქალბატონი თინა ტელევიზორით თბილისის „დინამოს“ მატჩს უყურებს! აღმფოთდა, როცა დამინახა, „თუ შენ არ გაინტერესებს თბილისის „დინამოს“ თამაშები ქმრისთვის მაინც

გეპითხა “დინამოს” თამაშების ცხრილით – ეს უკვე ირონიულად დაამატა. იცოდა, რომ რეზი (ჩემი მეუღლე) ფეხბურთის თაგადაკლული გულშემატკივარი იყო და ქალბატონ თინას მის (რეზის) მიმართ პიროვნულ სიმპათიას ესეც უძლიერებდა. მერე მოლბა, დარჩიო – დამრთო ნება, მატჩი მაინც მალე თავდებაო. გათავდა თამაში და დავიწყეთ მუშაობა.

ქალბატონი თინა თავისი ბუნებით “დამურა” იყო, დამით მუშაობა უყვარდა, მუშაობაში ჩშირად თავზეც დაათენდებოდა, ამიტომ სამსახურში გამოცხადების ისეც პუმანური რეზიმი, ქალბატონი თინას მიმართ განსაკუთრებით ლოიალური იყო. ინსტიტუტში შემორჩა რამდენიმე ისტორია, ანგადოტის დარი, ქალბატონი თინას სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით. ორ მათგანს მოვიგონებ. ერთხელ დღის 3-4 საათი იქნებოდა, ქალბატონი თინა მოვიდა ინსტიტუტში, ვერავინ ნახა თავის ოთახში, მხოლოდ ერთ კოლეგას (ხოდარ ჯანბერიძეს) წააწყდა ბერიძის ოთახში და ირონიულად პკითხა – Что, уже все разбежкались (ყოველდღიურ საუბარში ქალბატონი თინა, როგორც ძველი თაობის ინტელიგენტი, ხშირად მიმართავდა რესულს, თუმცა ბრწყინვალე მოქართულე იყო). აღმოჩნდა, რომ შაბათი ყოფილა, დასვენების დღე!

სხვა ამბავი უფრო ადრინდელია, მეორე მსოფლიო ომის დროის. იგი ბატონმა ვახტანგმა გვიამბო ერთ-ერთი შეკრების დროს. უამრავ სხვა დირსებასთან ერთად, ბატონ ვახტანგს გარკვეული, „დადებითი“ პედანტიზმი ახასიათებდა და ამ თვისების წყალობით მის მდიდარ პირად არქივში, სამეცნიერო შრომებთან, წერილებთან ერთად შემორჩა ბევრი საინტერესო, კურიოზის ან ანეგდოტების დონემდე მისული დოკუმენტი, აი, ერთ-ერთ 1 აპრილს, ინსტიტუტის დაარსების დღეს, რომელიც ტრადიციულად აღინიშნებოდა ხოლმე ჩვენთან, ისევე როგორც ბატონი გიორგის დაბადების დღე (21 ნოემბერი), ბატონმა ვახტანგმა ჩვეულებისამებრ დაიდო წინ საქადალდე და დაიწყო სხვადასხვა დოკუმენტების კითხვა და მათი კომენტარი, ჯერ მიღვა ბატონი გიორგის ერთ-ერთ ბრძანებაზე (საინსტიტუტო, ოფიციალური ბრძანება), ომის დროინდელზე. შავით თეორზე ეწერა, რომ ბატონი გიორგი, ინსტიტუტის დირექტორი საყვედურს უცხადებს განყოფილების გამგეს თინათინ ვირსალაძეს სამსახურში 10 წელით დაგვიანებით გამოცხადების გამო. რამდენიმე წამი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მერე ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მუზეუმის კორიდორშიც ისმოდა. ვიცინოდით ყველა – თავად ქალბატონი თინა, ბატონი გიორგი და ბატონი ვახტანგი, რომელიც განსაკუთრებით ქმაყოფილი დარჩა აუდიტორიის რეაქციით და იუმორის გრძნობით. რა თქმა უნდა, ამ ბრძანებას (საყვედურს) ქალბატონი თინას ბიოგრაფიისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, მაგრამ, მე მგონი არც ქალბატონი თინა “გამოსწორებულა” დიდად ამის შემდეგ.

ინსტიტუტში არსებული წესის თანახმად, ახალგაზრდას სადისერტაციო თემას უფროსები (ანუ ხელმძღვანელი) ურჩევდნენ. ამ შერჩევისას გათვალისწინებული იყო საერთო საინსტიტუტო კვლევის მიმართულება და მომავალი დისერტაციის ინტერესი და შესაძლებლობანიც, მე სადისერტაციოდ შემირჩიეს სორის (რაჭაშია) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მანამდე ნანახიც არ მქონდა. მკითხველს თავს არ შევაწყენ ამ მოხატულობის დახასიათებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი განეკუთვნება ე.წ. პალეოლოგოსთა ხელოვნების არეალს (XIV-XV საუკუნეების), ანუ არის ბიზანტიური წრის ძეგლი, რომელიც იმჟამად ჩემს საქმაოდ გაუნათლებელ გონებასა და სულს არაფერს ეუბნებოდა, უცხო იყო ჩემთვის. მე ვარძია, ყინკვისი, ატენი და მათი მისადაგი ძეგლები მომწონდა. მართლაც რომ მძიმეა ცოდნის დეფიციტი! როცა ქალბატონმა თინამ მე მითხრა, რომ სორზე უნდა ვიმუშაო და დამისაბუთა რატომ, მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე.

მაგრამ სახლში რომ მივედი ავტირდი, რატომ ვარ ასეთი უბრავებული რომ უნდა ვიმუშაო მოხატულობაზე, რომელიც არ მომწონს-მეთქი.

დავიწყე მუშაობა სორის მოხატულობაზე ქალბატონი თინას მეგზურობით, თანდათან გავიგე პალეოლითოსთა ხელოვნების ხიბლი, ჩავეფალი ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებში. ასევე თანდათან გამოიკვეთა ჩემთვის მონუმენტური ფერწერისა და ქვექნის პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული ურთიერთქმედების მეტად საინტერესო სურათი. გამოიკვეთა აგრეთვე როგორი საინტერესო და რამდენად ქართული შეიძლება იყოს ბიზანტიური სულის (მანერის) ფერწერა, ქართულ ნიადაგზე შესრულებული, ქართველი მხატვრის მიერ, ან, პირიქით, როგორ აირეკლა ბიზანტიური, კონსტანტინოპოლიდან საეციალურად მოწვეული მხატვრის პროგრამაში ქართველი დამკვეთის ნება, და ბოლოს, იმაშიც დავრწმუნდი, რომ გარკვეულ ეპოქებში ბიზანტიასთან სიახლოვე არამც თუ არაფერს აკლებს ქართულ მხატვრობას, არამედ ამდიდრებს მას და ქვექნისთვის მძიმე მომენტებში პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს ხოლმე. საბოლოოდ მე ისე გამიტაცა ამ ეპოქამ, მისმა ძეგლებმა, რომ იგი აპსოლუტურად “ჩემი” გახდა და აგრ უკვე რამდენიმე ათეული წელია მის წიაღში ვტრიალებ.

მაგრამ ყოველივე ამას წინ უძღვოდა ჩემი პირველი ექსპედიციები სორში. ქალბატონი თინასგან დამომდგვრილი წავედი სამუშაოდ, მაგრამ ეკლესიაში შესვლისთანავე თითქოს ჩემი თავიდან გაქრა ყველა მისი შეგონება, ჯერ ერთი, როცა შევხედე თითქმის შუაზე გადახლებილ (გაბზარულ) საგურთხეველს (ალბათ მიწისძვრის შედეგად), ვითიქრე, რომ მისი მხატვრობა პალეოლოგოსთა ხანაზე ბევრად გვიანდები იყო; ხოლო ამ ხანის ძეგლებზე მუშაობა ჩემთვის უკვე ზედმეტ დაძალებას ნიშნავდა(!) (მე კი ძლივს “დავთანხმდი” პალეოლოგოსთა ხანას). თანაც დონე ამ მხატვრობის არცოუ გამორჩეული იყო, მაგრამ მერე, როცა ჩრდილოეთ კედელზე დავინახე “შობის” ულამაზესი კომპოზიცია, ამხედრებული სამი მოგვით, გაჭერებულ ცხენებს ფონის სიღრმეში რომ მიაგელვებდნენ, როცა იქვე, ჩრდილოეთ კედელზე დავინახე ვინძე ჭარელის ძე ქველის მუხლებზე დავარდნილი ფიგურის გამოსახულება, თანმხლები მავედრებელი წარწერით მრავალძალის (!) წმინდა გიორგის მიმართ (ორივე ეკლესია სორისაც და მრავალძალისაც წმინდა გიორგის სახელზეა ნაკურთხი და ორივე ერთ ხეობაში მდებარეობს), უკვე დავინტერესდი. დავრწმუნდი, რომ ეს “ნამდვილი” პალეოლოგოსური ძეგლი იყო, თანაც მაღალი მხატვრული დონის. მომხიბლა ფაქტმა, რომ აღგილობრივ მოსახლეობას მრავალძალის წმინდა გიორგი უფრო ძლიერად მიაჩნდა, თანდათან კრწმუნდებოდი, რომ ამ მხატვლობაში ჩემთვის ბევრი საინტერესო რამ იყო დაუნჯებული. საბოლოოდ “დაგმარცხდი”, როცა დავინახე სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში გამოსახული ქტიოროთა პორტრეტები – კედლიდან მიმზერდნენ აღნაგი, ვაჟაცური იერის, დირსების გრძნობის მატარებელი ქართველი დიოგებულები, უთუოდ, მოხატულობის დამკვეთი, რაჭის ერისთავები. მათი სამოსელი, ქულები ძალიან ჰგავდა სამცხის ათაბაგების ჩაცმულობას ზარზმის, საფარისა და ქულეს იმავდროულ მოხატულობებში.

სორში რამდენიმე ზაფხული ვიყავი ზედიზედ. აღვწერე მოხატულობა, გადავიღე ფოტოები, გავაპეთე სქემები. ჩემგან მხატვარი, სამწუხაროდ ვერ გამოვიდოდა, მაგრამ ქალბატონი თინას დაუინებული მოთხოვნით გავბედე და შევუდექი სქემების გადმოღებას. ის სქემები მხოლოდ ჩემთვის ვარგოდა, მაგრამ მუშაობის პროცესში მათ დიდი დახმარება გამიწიეს. სწორი იყო ქალბატონი თინა, როცა მისსინდა, რომ სქემების ხატვისას თვალი უკეთ ხედავს, ისეთ დეტალებს არჩევ, რომდებიც სიტყვიერი აღწერისას შეიძლება ვერც კი შეამჩნიოთ.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ქალბატონი თინას ნებითვე ჩემი მონდომებული მუშაობა სორში “წყალში ჩამექარა” (სინამდვილეში პირიქით გამოვიდა). ერთ საღამოს, ქალბატონ თინასთან მორიგი ვიზიტით მივედი, სორის მასალით, იგი ჩვეულებრივ პოზაში დამხვდა, ლოგინზე ფეხმორთხმულად მჯდარი (ასე იჯდა ხოლმე), გვერდით თავისი საყვარელი რიანი ყავის ფინჯანი ედგა. მან პაპიროსს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ცოტაოდენი ყოვნის შემდეგ მითხრა – მე მგონი, არ ვიყავით სწორი, არჩევანი სორშე რომ შევაჩერეთ. მე ძალიან შევწუხდი, დავუწეულ დარწმუნება, რომ სიამოვნებით ვმუშაობ, რომ სორის მხატვრობა უკვე შემიყვარდა . . . მაგრამ ქალბატონი თინას საუბრიდან გაირკვა, რომ საქმე ჩემი სორის მოხატულობისადმი ემოციურ დამოკიდებულებაში არ ყოფილა, მან მშვიდად, დაყვავებით ამისსნა, რომ მხატვრობის ძეგლის შესწავლისას აუცილებელია მისი დათარიღება – არგუმენტირებული და შეძლებისდაგვარად მყარიო. სორში ქიბიტორები კი არიან გამოსახული, მაგრამ ვერ ხერხდება მათი იდენტიფიცირება, არც წყაროებში არსებობს რაიმე ცნობა, პირდაპირი ან ირიბი, ამ ეკლესიის მოხატვის შესახებ. დათარიღება ასეთ შემთხვევებში შედარებითი სტილისტურ-იკონოგრაფიული ანალიზით ხდება. საკანდიდატო დისერტაციის მიზანია დისერტანტმა წარმოაჩინოს კვლევის უნარი და ამისთვის ნუ ავარჩევთ ყველაზე როულ გზასო – დასძინა ქალბატონმა თინამ. დამარწმუნა, როგორ არ დამარწმუნებდა, როცა მის ყოველ სიტყვას, ყოველ წინადაღებას ვისრუტავდი როგორც ღრუბელი. როცა ეს მონოლოგი დაასრულა, ქალბატონმა თინამ დააყოლა – ძეგლიც უკვე შეგირჩიო და დამისახელა ნაბახტევის მოხატულობა (ქართლში), რომლის შესახებ რამდენიმე ფრაზა მქონდა წაკითხული შალვა ამირანაშვილთან – ქიბიტორებიც არიან, წარწერებიც ახლავთ და, რაც მთავარია, მოხატულობა უკვე დათარიღებულია, მიიღოდა სამუშაოს ქალბატონი თინა. შალვა ამირანაშვილს მართლაც პქონდა დათარიღებული ეს მოხატულობა XIV საუკუნის დასასრულით და ეს თარიღი დამკიდრებული იყო სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში.

ქალბატონი თინას მიერ გამხნევებულმა და სამუშაოს გააღვილების პერსპექტივით «შესახელებულმა», გავიხარე და მეორე დღესვე შევუდექი საქმეს. ასე იქცა ნაბახტევის მხატვრობა ჩემს საკანდიდატო დისერტაციად, ვმუშაობდი გულმოღინედ და რაც უფრო მეტად შევდიოდით სიღრმეებში (ქალბატონი თინა და მე), მით უფრო საინტერესო ხდებოდა მუშაობის პროცესი და სულ უფრო და უფრო მიზიდაგდა ეს ძეგლი. სხვათა შორის ნაბახტევის მიმართ განსაკუთრებული განწყობა-დამოკიდებულება გამოყოლილი მაქს დღემდე. შესაძლოა იმიტომაც, რომ ფაქტიურად ეს იყო ჩემი პირველი დიდი ნაშრომი. მაგრამ იყო სხვა ფაქტორიც – ძალიან მდიდარი და საინტერესო გამოდგა ამ ძეგლთან დაკავშირებული ისტორიული მასალა, რამაც ძალიან გამიტაცა. ქალბატონმა თინამაც მირჩია, რომ საგანგებო ყურადღება მიმექცია ისტორიული პორტრეტებისათვის. ძეგლის კვლევისას ისტორიული ფონი მისთვის ყოველთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ქალბატონი თინა ჯერ ახლადგახსნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში გადავიდა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. მოგვიანებით კი მან ასპირანტურის კურსი ხელოვნების ისტორიის სპეციალობით მაშინდელ ლენინგრადში (პეტერბურგში) დიმიტრი აინალოვთან გაიარა და საბოლოოდ ხელოვნებათმცოდნედ ჩამოყალიბდა. მაგრამ ინტერესი ისტორიისადმი, ისტორიული ფაქტებისადმი, მას ბოლომდე გაყვა. ნაბახტევის გარშემოც ძალიან საინტერესო და უხვი მასალა გამოჩნდა. უმთავრესი ისაა, რომ შესაძლებელი გახდა მოხატულობის თარიღის დაზუსტება (1412-1431 წლები). 1412 წელი უნდა მივიჩნიოთ ტერმინუს ანტე ქუემ-ად, ვინაიდან

ფრესკაზე სამეფო სამოსელში გამოსახული ალექსანდრე მეფე (ქუცნა ამირეჯიბის, დონატოს შვილიშვილი) სამეფო ტახტზე 1412 წელს ავიდა, ხოლო 1431 წელი ტერმინუს პოსტ ქუცნა, ანუ ამ მოხატულობის შესრულების ზედა ზღვარია, ვინაიდან ამ წელს ალექსანდრე დიდ აღაპს უკვეთავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში თავისი პაპის, ქუცნა ამირეჯიბის სულის მოსახსენებლად.

მუშაობის პროცესში ჩემთვის დიდ კითხვის ნიშნად იქცა ქუცნა ამირეჯიბის ცნობილი სიგელი, თედო უორდანიას მიერ «ქრონიკების» II ტომში გამოცემული, სადაც ულუმბოს მონასტრის დაარსების შესახებ საუბრის დროს ნათქვამია, რომ აქ ეკლესიის კედელზე გამოსახული არიან მონასტრის დამარსებელი ქუცნა ამირეჯიბი და მისი მეუღლე რუსა. ვერავითარ სხვა ცნობას ულუმბოს მონასტრისა და მისი მოხატულობის შესახებ, მაშინ მე ვერ მივაკვლიე. დამაეჭვა ისტორიულ ლიტერატურაში არსებულმა მოსაზრებამ ულუმბოსა და ნაბახტევის ეკლესიის იდენტურობის შესახებ. ასეთი დასახელებაც შემხვედრია – ულუმბო-ნაბახტევის ძეგლი – ამავე დროს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ რუსაზე ნათლად ჩანს, რომ ულუმბოც და ნაბახტევიც, მართალია, ორივე ალის ხეობაშია, მაგრამ სხვადასხვა ძეგლებია და მანძილი მათ შორის საკმაოა, 18-20 კმ.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონ თინასთან წინასწარი მოთათბირების შემდეგ, ჩემი თაობის კოლეგებთან ერთად, დავჯექით ინსტიტუტის ავტობუსში და გავემგზავრეთ ექსპედიციაში ულუმბოს საძებნელად! გზაში თან წაგიდეთ ჯავახიშვილისეული რუკა და ამონაწერი ვახუშტი ბატონიშვილის «გეოგრაფიიდან». ყველანი ცოტათი აჟიტირებულნი ვიყავით, რაღაც ავანტიურული იყო თითქოს ამ მოგზაურობაში. უფროსების გარეშე, მარტონი მივდიოდით ერთ-ერთი ასურელი მამის, მიქელის მიერ დაარსებული სამონასტრო ანსამბლის მოსაძიებლად(!). ვახუშტისავე მონათხერობის თანახმად, დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ ტრასაზე, ხაშურამდე მიუსვლელად, დაბა გომთან გადავუხვიუთ მარჯვნივ და ავუყვევით მდინარე ალის ხეობას. უკან მოვიტოვეთ სოფლები ალი, ნაბახტევი და ვახუშტის რუკას მინდობილებმა მალე მარცხნივ შევუხვიეთ. მივდიოდით დაუსახლებელ ტექში. მალე სამანქანო გზაც გაქრა და ფეხით განვაგრძეთ სიარული. ადამიანის ჭაჭანება არ იყო, გზაში ერთი მწევმსი შეგვხვდა, რომლის ნაგაზმა კინადამ დაგვგლიჯა; რომ არა ნუგზარ ანდოულაძე და მისი იშვიათი კონტაქტურობა, საქმე ცუდად წაგვივიდოდა. ნუგზარმა რამდენიმე წამში მოახერხა სიტუაციის განმუხტვა და ძალლი მოსისხლე მტრიდან ჩვენს მოკრუტუნე მეგობრად აქცია. მწყემსმა გაიშვირა ხელი – აი, აქეთ რაღაც ნანგრევები არისო და დაგვშორდა, სულ მალე მივადექით ეკლესიას, რომლის ფასადზე შემორჩენილი წარწერა ადასტურებდა, რომ იგი ნამდვილად ულუმბოს დვოთისმშობლის ეკლესიაა, მაგრამ, როგორც წარწერა გვეუბნება, 1871 წელს იგი თითქმის ხელახლა «აღაშენა» მღვდელმა ალექსი კევლევმა (კევლიშვილმა), მხოლოდ კედლების ქვედა რიგების წყობა არის ძველი, თავდაპირველი. ამიტომ 1871 წლის შემდეგ ქუცნასა და მისი ოჯახის წევრებს ულუმბოში ვედარავინ ნახავდა, თუმცა თედო უორდანიასთან, ქუცნას სიგელში დაცული ცნობა, რომ ულუმბოში ტაძრის კედელზე გამოსახული იყვნენ ქუცნა ამირეჯიბი და მისი მეუღლე, არავითარ უჭვს არ იწვევს, ვინაიდან ცნობილია, რომ ულუმბოს მონასტერი მთავარი სალოცავი იყო ამირეჯიბთა საგვარეულოსი.

ყველანი ბედნიერები ვიყავით, არავის მოსვლია აზრად, ვისი პირადი ინტერესი იყო ჩაღებული ამ კოლექტიურ «მიგნებაში». სხვათა შორის, ეს ტრადიცია თანალმობის, მიღწეულის გამო საერთო სიხარულის, ჩვენი მასწავლებლების მიერ იყო იმთავითვე ჩვენში დანერგილი.

მე ძალიან გამიტაცა ალექსანდრე დიდის ეპოქაში, ამირეჯიბების ოჯახის წვლილმა ქვეყნის ხელახალ აღმშენებლობაში თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ. ალექსანდრე დიდის ზეობის ხანა, ბოლო გამოპრწყინება კროიანი, ძლიერი საქართველოსი, მიმზიდველი და საამაყო იყო ჩემთვის – ქართველისათვის. ისტორიული მასალა ამ ეპოქის შესახებ უხვადაა შემორჩენილი და ამიტომ ქალბატონი თინა და მე სადამოობით ვსაუბრობდით ხოლმე იმდროინდელი საქართველოს ბედის(!), ალექსანდრეს პიროვნების და თქვენ წარმოიდგინეთ დველ საქართველოში ბავშვების აღზრდის პრინციპების შესახებ. ერთ-ერთ სიგელში ალექსანდრე მოიხსენიებს მის «ხულგურთხეულ ბებიას რუსას» (ქუცნა ამირეჯიბის მეუღლეს) და დასხენს, რომ თუ რაიმე არის მასში (ალექსანდრეში) კარგი, სწორედ რუსას, მის აღმზრდელ ბებიას უმადლის. საინტერესო ფაქტია, რომ როცა ალექსანდრემ გადაწყვიტა ეკლესია-მონასტრების აღდგენა (თემურ ლენგის შემდეგ), მას «არა ჰქონდა ღონე აღშენებისა» და ამიტომ დააწესა საგანგებო გადასახადი – კომლზე ექვსი შაური. გადასახადი მან მაღალ სასულიერო და საერო პირთა თანხმობით შემოიღო(!). ეს იყო 1425 წელი, ხოლო 1440 წელს როცა დასახული გეგმა შესრულებულად ჩათვალა, ალექსანდრე მეფემ სხვა სიგელით გააუქმა ეს გადასახადი. ქალბატონმა თინამ და მე იმ სადამოს საუბრისას ამაყად დავასკვენით, რომ ბევრ ახლანდელ დემოკრატიულ სახელმწიფოს შეშურდებოდა ალბათ ასეთი ბრძენი, სამართლიანი მმართველი.

საბოლოოდ ჩვენი მუშაობის სტილი ასე ჩამოყალიბდა – ნაწილ-ნაწილ მიმქონდა დისერტაციის დამთავრებული თავები, მე ვუკითხავდი ქალბატონ თინას, იგი მისმენდა, ხშირად მაჩერებდა, მაძლევდა კითხვას. ძალიან უკარდა ახალი ვარიანტების წამოჭრა. ა მივ მისმენდა და დაყოლებული ასალი სინჯეო. უკვე ვთქვი, რომ ქალბატონი თინას სიტყვა ჩემთვის კანონი იყო, თანაც მეც გამიტაცა ამ „მეცნიერულმა აზარტმა“. რა თქმა უნდა, უსიტყვოდ მომქონდა სახლში გამზადებული ნაწილი ჩემი ტექსტის, და ახალ ვარიანტზე ვიწყებდი მუშაობას, ყოფილა შემთხვევა, ისიც დაუწუნებია, როცა გასწორებული ვარიანტი მივიტანე და წაგვუითხე, მითხრა, რაღაც არც ეს მომწონს და ასე (...) ხომ არ გავაკეთოთო. მე უკვე ეს გადაკეთებული აღარ მიზიდავდა და როცა დავიწყეთ ახალ (მეოთხე!) ვარიანტზე საუბარი, მე ვუთხარი – ქალბატონო თინა, ეს ხომ ჩემი პირველი ვარიანტია, რატომ მაწვალეთ ამდენი-თქო? ამაზე სრულიად მშვიდად მიპასუხა – მე კი არ გაწვალე, შენ თვითონ დარწმუნდი, რომ შენი ვარიანტი გამოდგა სწორიო. ანთებულმა კომპლიმენტის მსგავსი ფრაზით, ისევ განხვარდე მუშაობა. ჩემი ჰქეუით საბოლოოდ დავამთავრე ნაშრომი და ერთ სალამოს ისევ შევუდექი ბელინსკის აღმართს ჩემი საქადალდევებით ხელში, მაგრამ გზაში უცებ ვიფიქრო, კიდევ რომ დამიტუნოს მეთქი? ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. შევედი თუ არა ოთახში, პირდაპირ დავიწყე ჩემი მონოლოგი – ქალბატონო თინა, რაც შემეძლო გავაკეთე, კაველა თქვენი მითითება გავითვალისწინე, მაგრამ იცოდეთ, რომ სიტყვა „ნაბახტევის“ უბრალოდ გაგონება აღარ შემიძლია და ერთ ასოსაც ვეღარ შევცვლი ჩემს ნაწერშითქო! ამაზე გულიანად გაიცინა, თბილად შემომხედა და მითხრა (ეს ფრაზა ტიკში ჩამებეჭდა) – და? ზოგი თავით და მიგულებული ჩალბატონის საბა-სულხანის ქუჩაზე და მიგულებული ჩალბატონის დამთავრინავდი. ასევე გავფრინდი მეორე დილით მბეჭდავთან, უმშვენიერეს ქალბატონ ლილი ღოღობერიდესთან საბა-სულხანის ქუჩაზე და მიგულებული ჩემი ნაშრომი.

ასე დამთავრდა ჩემი ეპოპეა, ნაბახტევზე მუშაობასთან დაკავშირებული. მაგრამ ერთი დაწალი კიდევ, ჩემთვის მოულოდნეული. დისერტაციის დაცვის წინ,

ჩვეული, ზამთარ-ზაფხულ გატკეპნილი გზით, ისევ ავედი ქალბატონ თინასთან, მომ მეჩვენებინა მისთვის ჩემი შესავალი სიტყვა, დისერტაციის დაცვისთვის, მომზადებული, აგრეთვე პასუხები თონენტების შენიშვნებზე. ავდექი, რომ დავემშვიდობო, ამ დროს ვხედავ ქალბატონ თინას, როგორ იღუნება, უჯრიდან იღებს რაღაცას და მიწვდის მე – ეს შენ საჩუქრად იმისათვის, რომ მასიამოვნეო. ეს იყო ძველი ვერცხლის ბეჭედი, მოსევადებული, გიშრის თვალით, მშვენიერი ნაკეთობა, ეხლაც დევს ეს ბეჭედი ჩემი “ძირიფასეულობის” უჟოში და დროდადრო სიყვარულით დავხედავ ხოლმე. დავხედავ და ვფიქრობ, რამდენი იქნებოდა ჩვენში ასეთი ხელმძღვანელები მაშინ, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს ან დღეს თუ არიან, მოწაფის, შეგირდის ნაშრომით კმაყოფილები მას რომ საჩუქარს გაუკეთებენ და ამით საკუთარი ძალების რწმენას განუმტკიცებენ, მიღწეულის სიხარულს გაუათეცებენ?

ვგრძნობ, რომ ქურნალის რედაქციაში შეიძლება საყვედური მითხრას ასეთი ვრცელი ნაწერისათვის, მაგრამ სტატიის წერის დაწყებისთანავე მოგონებები ნიაღვარივით წამოვიდა და ვფიქრობ რომ სათქმელს ვერავითარ მოცულობაში ვერ დავატვე.

მე მგონია ჩემს მონათხობში ჩანდა კიდეც, რომ ნიჭიერებასთან, გამორჩეულ გუნეტიკასთან ერთად, თინა ვირსალაძის ერთ-ერთი დამახსასიათებელი თვისება არაორდინაციურობა იყო. მას არაფერი ჰქონდა საერთო ჩვეულებრივი, საშუალო სტატისტიკური ინტელიგენტი ქალბატონის ტიპთან. იგი შორს იყო ყოფითობისაგან. თუმცა მშვენივრად სმარობდა ნემსსა და ძაფს, როცა სჭირდებოდა. მისი ოთახი ყოველთვის დალაგებული იყო (ქაოსური წესრიგი მხოლოდ მის საწერ მაგიდაზე იყო), მუქად შედებილი იატაკი ბრწყინვადა. მაგრამ იგი მოელი არსებით იყო ჩაფლული თავის საქმეში. თუმცა ეს საქმე მხოლოდ მეცნიერული კვლევის ჩარჩოებით არ შემოიფარგლებოდა. ასევე აქტიური იყო მისი საქმიანობა ძეგლთა დაცვის, მათი რესტავრაციის სფეროში. იგი იყო სხვადასხვა საბჭოს წევრი, ძეგლთა დაცვისა და აღდგენის პრობლემებს რომ კურირებდნენ. მასსოვს, როგორი გულისყრით უსმენდნენ მის რჩევასა და მოსაზრებებს რესტავრატორები აქ, თბილისში შეხვედრის დროს და მაშინაც, როცა ქალბატონი თინა მათთან ჩადიოდა ძეგლზე; რესტავრატორები ხარახოებზე მუშაობდნენ ხოლმე და ქალბატონი თინა, ისევე როგორც სხვა მისი კოლეგები, ცდილობდა ყოველთვის გამოეყენებინა ფრესკების ახლო ნახვის შანსი. ამ მიზეზით მოვხვდი მე ბევრ ძეგლზე ქალბატონ თინასთან ერთად – ალავერდში, მანგლისში, გელათში, ზემო კრისში, საფარაში, სხვაგანაც. გარდა ფრესკების ახლო ნახვის სიამოვნებისა, ძალიან საინტერესო იყო იმის ცქერაც, როგორ მუშაობდა უშუალოდ ძეგლზე ქალბატონი თინა – აკვირდებოდა, იწერდა, იხატავდა, ფიქრობდა, ბოლოს, დიდი გატაცებითა და მდელგარებით საუბრობდა კოლეგებთან, რესტავრატორებთან.

ქალბატონ თინასთან ერთად კვოფილგარ მივლინებითაც, თავიდან ძირითადად მოსკოვსა და ლენინგრადში, შემდეგ უცხოეთშიც. უფროსებს წესად ჰქონდათ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში თვითონ რომ მონაწილეობდნენ, ჩვენც ჩავერთეთ; მათ უნდოდათ, რომ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ჩვენ, ახალგაზრდები საჯარო გამოსვლებსაც მიგწვეოდით. ქალბატონი თინა მიღებული და ცნობილი იყო ბიზანტიოლოგ მეცნიერთა წრეში, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც: თითოეული მისი ნაშრომის გამოქვეყნება (არც თუ ბევრის) მნიშვნელოვანი იყო მეცნიერების ჩვენი დარგისათვის, და არა მარტო!

ისევ გუბრუნდები ჩვენს პირად დამოკიდებულებას. დავიცავი საკანდიტატო დისერტაცია. გავიდა წლები. ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო წრფელი და

მეგობრული გახდა. ქალბატონი თინას რჩევით ვიმუშავე რამდენიმე მნიშვნელოვანი მეცნიერებები მანამდე იგი თვითონ მუშაობდა, მაგრამ მე დამითმო. ასე იყო ხობის ვამე დადიანის ეკვდერის, წალენჯიხის, უბისის, დავით ნარინის ეკვდერის შემთხვევაში (თუმცა ეს უკანასკნელი მოგვიანებით ქალბატონი თინას მაგალითით უკვე მე გადაგულოცე ჩემს ახალგაზრდა კოლეგას ქეთი მიქელაძეს და მან მშვენიერი ნაშრომი გააკეთა). ბევრჯერ მიფიქრია, რატომ უნელდებოდა ქალბატონ თინას ინტერესი გარკვეული დროის შემდეგ ამა თუ იმ ძეგლის მიმართ?

ზემოთ ვწერდი, რომ იგი აზარტული, გატაცებების ადამიანი იყო მეცნიერებაში, მან ახალგაზრდა მკვლევარმა ბრწყინვალე ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის შედეგად დაამტკიცა, რატომ არ შეიძლება ხობის იოანე ნათლისმცემლის ციკლი იყოს XIII საუკუნის დასაწყისის და როგორ არც XIV საუკუნის დასასრულისთვის შეიძლება მისი მიკუთვნება, მხოლოდ XIII საუკუნის დასასრული, ან XIV საუკუნის დასაწყისი, ასეთია ქალბატონი თინას დასკვნა და ვერც შეედაგები, მაგრამ ეტყობა ამასობაში იგი სხვა პრობლემაზ გაიტაცა (შეიძლება ეს ყოფილიყო მოხატულობათა პროგრამები), იშხანის მოხატულობა, რომლის შესახებ მან ბრწყინვალე მოხსენება წაიკითხა ინსტიტუტში ან ატენი... (მე მაინც ვთვლი, რომ ეწ. “წვრილი”, იოლი თემები მას არ იზიდავდა). სამწუხაროა, რომ ქალბატონი თინა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერც ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა და ვერც იერუსალიმი ნახა, მაგრამ ჯვრის მონასტერსაც და შოთა რეუსთაველის პორტრეტს მიუძღვნა ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა. არადა რა მოხდებოდა, როცა ასეთი აუთოტაჟი იყო იერუსალიმში რეუსთაველის პორტრეტის, მისი შესრულების თარიღის ირგვლივ, ერთი ხელოვნებათმცოდნე ქალბატონი თინასდარი გაეშვათ ადგილზე ფრესკის გასაცნობად.

&

მოხდა ისე, რომ ერთ ზაფხულს ქვიშხეთში ერთ დროს ვისვენებდით – მე, რეზი, დედაჩემი და პატარა სანდრო და მეზობლად ქალბატონი თინა თავის დიდებულ დასთან, ლოლოტასთან და მის ქალიშვილთან მანანა ხიდაშელთან ერთად.

წლების განმავლობაში თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ქალბატონ თინას და დედაჩემს. იგი ერთიორჯერ ჩვენთანაც ყოფილა სახლში. მახარებდა რეზისა და ქალბატონი თინას ურთიერთობა – თაგვეკავებული, გარკვეული დისტანციით, მაგრამ უაღრესად კეთილგანწყობილი. მე ადრეც ვთქვი, რომ ქალბატონი თინა მას პატივს სცემდა როგორც ფეხბურთის დიდ მოყვარულს, მაგრამ წლების განმავლობაში დააფასა აგრეთვე როგორც მოქართულე და ჩვენი ქვეყნის წარსულის ბრწყინვალე მცოდნე და მოტრფიალე. როცა ქალბატონმა თინამ მოამზადა ალბომი ატენის შესახებ, ქართული ტექსტის რედაქტირება სტილის თვალსაზრისით (რეზის უბადლო სტილის გრძნობა ჰქონდა) რეზიმ გაუკეთა, ხოლო მუშაობის პროცესში ისინი ტელეფონითაც საუბრობდნენ და იმ მეცნიერთა შორის, ვინც ატენის ქტიტორების თინა ვირსალაძისეულ იდენტიფიკაციას იზიარებდა, ერთ-ერთი გულმხურვალე მომხრე რეზიც იყო.

ვგრძნობ, რომ მოგონებები საქმაოდ ვრცელი გამოვიდა, მაგრამ უკვე ვთქვი – მიჭირს დამთავრება. ასე მგონია ქალბატონ თინას ვესაუბრები, ბელინსკის ქუჩაზე ვარ, მის სახლში, იმ დროში ვბრუნდები, როცა ქალბატონი თინა, სხვა ჩვენი

მასწავლებლები, ახლობლებიც ცოცხლები იყვნენ და მაგონდება უამრავი იქედან, რასაც “ადამიანურ ურთიერთობათა პოზიცია” ჰქვია.

ამ მოგონებების წერა 2007 წლის იანვრიდან დაგიწყე, ვწერდი ნელა, უფრო მეტად – გვიქრობდი ქალბატონ თინაზე, ინსტიტუტის შესახებ. ახლა მაისის დასასრულია და მეც თითქმის დაკამთავრე წერა. ეს რამდენიმე დღეა ძალიან კარგ გუნებაზე ვარ (ჩემს ბევრ ახლობელს შეიძლება გაუკირდეს). წინ მიღევს ინსტიტუტის მიერ ახლახანს გამოცემული ქალბატონი თინას რჩეული ნაშრომების ერთობმეული. საოცარია, რა სიფაქიზით, როგორი არტისტული სიმსუბუქით მიპყავს თანდათან ქალბატონ თინას მკითხველი ხელოვნების ისტორიის სიღრმეებში. მისი სამეცნიერო ნაშრომები მხატვრული ნაწარმოების დარად იკითხება. ვკითხულობ მის გამოკვლევას ზემო კრიხის მოხატულობის შესახებ. იგი საუბრობს ორი ცნობილი მეცნიერის – სარგის კაკაბაძისა და გიორგი ბოჭორიძის მოსაზრების შესახებ ზემო კრიხის მხატვრობის თარიღთან დაკავშირებით. პირველი მათგანი ამ მოხატულობას XIII საუკუნით ათარიღებს, მეორე – XI საუკუნით (მოხატულობის დათარიღებისას ავტორები შემორჩენილ წარწერებს ემყარებიან). ქალბატონი თინა არ ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას წარმოდგენილი თარიღების მიმართ და ამ წარწერათა ანალიზზე გადადის. იგი აფიქსირებს, რომ ზემო კრიხის მოხატულობაში ორი ხასიათის წარწერებია, ერთი – ასომთავრული, კლასიკური, ულამაზესი ასოები, საოცარი ოსტატობით შესრულებული, მეორე – ნუსხანუცური, ნაკლები ოსტატობის, დაწვრილმანებული, ნაკლებად პროფესიული. მკითხველი დაფიქრებასაც ვერ ასწრებს კითხვაზე – რატო? ერთი მხრივ, ბრწყინვალე მხატვრობა, მისი სადაცი ულამაზესი ასომთავრულით შესრულებული წარწერები, და მეორე მხრივ, აქვე სრულად სხვა დონის, უნიათო წარწერები. ქალბატონი თინა თვალნათლივ გიჩვენებს სხვაობას ამ ორ შრიფტს შორის და იქვე, თითქოს გამარჯვებული სახით “გიმხელს” საიდუმლოს – ეს იმიტომ, რომ ასომთავრული წარწერები მხატვრობის ძირითად ფენას განეკუთვნება, ხოლო ნუსხანუცური მეორე, უფრო გვიანდელ ფენისათვის! „...ორი ისტორიკოსი მოხატულობის დათარიღებისას, მხოლოდ და მხოლოდ წარწერების საფუძველზე მიაკუთხებს მას სხვადასხვა დროს. სარგის კაკაბაძემ სრულიად მართებულად დაათარიღა ხუცურით შესრულებული წარწერები XIII საუკუნით... და არ მიაქცია ყურადღება ასომთავრულ წარწერებს. ბოჭორიძემ, პირიქით, ზუსტად დაათარიღა სწორედ ასომთავრული წარწერები და მოხატულობა XI საუკუნეს მიაკუთვნა...“ (Тинатин Вирсаладзе, Избранные труды. Грузинская средневековая монументальная живопись. თბილისი, 2007, გვ. 37, ესაა ჩემი პირველი მითითება ქალბატონ თინას ამ წიგნზე, როგორ მიხარია მისი არსებობა).

ქალბატონი თინა დელიკატურად უხსნის მკითხველს (მისი დამახასიათებელი მანერა), რატომ არ შეიძლება ხუცურ წარწერაში მოხსენებული მხატვარი ამ შესანიშნავი მოხატულობის ავტორი იყოს და რომ “იგი მხოლოდ შექვეთებელია მისი” და იქვე აგრძელებს, რომ ეს მხატვარი, გვარად ჩუბინიძე მონძომებული რესტავრატორი იყო, მაგრამ არ იყო ფერწერის ოსტატი (გამოდის, რომ ნიჭიერებაც აკლდა), მაგრამ და ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასიაო მისი ფაქიზი დამოკიდებულება შემორჩენილი ძველი ფერწერის მიმართ.

ქალბატონი თინა გამოთქამს ვარაუდს, რომ ჩუბინიძეს – XIII საუკუნის მხატვარს, შესაძლოა აკლდა განათლება და მან ამიტომ არ მოინდომა (ვერ შეძლო?) აღედგინა წარწერათა ძევლი ასომთავრული და მათ მისთვის ნაცნობი ხუცურით იმეორებდა. თუმცა, ხაზს უსგამს ქალბატონი თინა, ჩუბინიძე არ შეხებია ძველ, დაუზიანებულ ფრაგმენტებს და ამიტომაც იყო, რომ მათ მთელი თავისი ფერადოვანი და გრაფიკული ბრწყინვალებით მოაღწიეს მანამ, ის საშინელი მიწისძვრა არ

მოხდებოდა ზემო იმურეთსა და რაჭაში 1991 წელს, რომელმაც, სხვა დატრიალებულ უბედურებებთან ერთად, ფაქტიურად იმსხვერპლა ზემო კრიხის მხატვრობა.

ქალბატონი თინა ადარებს ზემო კრიხში ასოთა წერის მანერას, მათ მოხდენილ, მდორე ნახატს, ლიგატურის სირთულეს ატენის, მანგლისის წარწერებისას, ადგენს მათ სიახლოვეს და ამით იმზადებს საფუძველს კრიხის დათარიღებისათვის; ძეგლისა, რომლის შექმნის შესახებ არავითარი ისტორიული ცნობა არ გაგვაჩნია და ოც ბრწყინვალე საერო პორტრეტების გვერდით შემორჩენილი წარწერების ფრაგმენტები გვეუბნება რაიმეს. მაგრამ ამ ფრაგმენტების ანალიზი მიეხმარა ქალბატონ თინას განემზეოცებინა მისი მოსახრება ძირითადი ფენის და აგრეთვე უფრო გვიანდელი ნაწილობრივი რესტავრაციის თარიღების შესახებ.

ძალიან მიყვარს ამ ნაშრომის ის პასაჟები, ზემო კრიხის პროგრამაში მთავარანგელოზთა თემას რომ ეხება. დასაწყისში ავტორი თითქოს სხვათა შორის ამბობს, რომ ბეჭის თაღში მთავარანგელოზების გამოტანით მხატვარი ეკლესიის პატრიონების თემას უსვამსო ხაზს (ზემო კრიხის ეკლესია მთავარანგელოზების სახლობისაა). იქვე მოპყავს პარალელები იფრარის, წვირმის ეკლესიათა მოხატულობებიდან, ასევე მთავარანგელოზებისადმი რომაა მიძღვნილი. აქაც მთავარანგელოზთა თემაა წინა პლანზე წარმოდგენილი.

ზემო კრიხში “ხარების” სცენა და მისი მთავარი მოქმედი პირი, გაბრიელ მთავარანგელოზი, ყველაზე გამოსახულება ადგილას – სატრიუმფო თაღის შუბლზეა გამოტანილი, მაგრამ როგორც ქალბატონი თინა გვიხსნის, ეს ბიზანტიური ტრადიციის გამოძახილი კი არ არის (საქართველოში “ხარება” როგორც წესი, სადღესასწაულო სცენების რიგშია ჩართული). არამედ კონკრეტული ამოცანის – მთავარანგელოზთა თემის გამოკვეთის იდეას ემსახურება. ამიტომაც ეთანხმება ქალბატონი თინა ოტო დემეუსს, რომლის თანახმადაც, ყოველი მოხატულობის სქემა მთლიანობაში მისდევს გარევულ ტრადიციებს, მაგრამ თითვეულ კერძო შემთხვევაში ტაძრის მომსატველი ყოველი მხატვრის წინაშე ახალი ამოცანა წამოიჭრება. ასეთი ახალი (ალბათ, მთავარი) ამოცანა ზემო კრიხის მხატვრისათვის იყო მთავარანგელოზთა თემის მნიშვნელოვანების წარმოჩინება (ეს უსათვეოდ შედიოდა რაჭის დიდი ფეოდალების, დონატორთა დაკვეთაში), მით უმეტეს, რომ მთავარანგელოზები საქართველოს მთიანეთში გამორჩეულად პატივმიგებული წმინდანები არიან.

ასევე ერთი სულის მოთქმით იკითხება ამ კრებულში წარმოდგენილი ქალბატონი თინას სხვა ნაშრომები. ისინი თავის დროზე რუსულად იყო დაწერილი. ამიტომ კრებულის მომზადებისას გადაწყვდა დედანის ენის შენარჩუნება. დიდად სასურველია, რა თქმა უნდა, რომ ეს წიგნი ქართულად ითარგმნოს, ვინაიდან რუსული ენა, სხვადასხვა მიზეზთა გამო ნაკლებ პოპულარული ხედება წვენს ახალგაზრდობაში. უფრო მეტიც, ფინანსების მოძიების შემთხვევაში, წიგნი აუცილებლად უნდა გადაითარგმნოს რომელიმე ეკროპულ ენაზე: თინა ვირსალაძის ეს ნაშრომები საჭიროა და სასარგებლო არა მარტო მათთვის, ვინც შეუ საუკუნეთა ქართულ ფერწერას სწავლობს; ეს კრებული ბიზანტიური და ახლო აღმოსავლეთის კედლის მხატვრობის ბევრ მნიშვნელოვან და საინტერესო პრობლემას ახლებურად წარმოგვიდგენს.

ერთ დეტალს გავიხსენებ კიდევ ზემო კრიხთან დაკავშირებით. ნაშრომი ფაქტიურად უკვე დასრულებული პქნონდა, როცა გამოქვეყნების წინ მან გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ასულიყო კრიხში და შეემოწმებინა ადგილზე თავისი დასკვნების სიზუსტე. მეც გავყევი! ქარგად მახსოვს შემთხვეობის ის დღე. ქალბატონი თინა ზის ეკლესიაში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, და დაჟინებით ათვალიერებს საგურთხევლის მოხატულობას. ამ დროს სარკმლიდან შემოსული კაშკაშა მზის

სხივი დაეცა სატრიუმფო თაღის პილიასტრას და გაანათა იგი. “ხედავშეს და გავინახება ქალბატონი თინა, ხელგაშლილი პილიასტრისკენ. მე ახალი ვერაფერი დავინახე. ახლო რომ მივედით კედელთან, ქალბატონმა თინამ მიჩვენა წმ. ეკატერინეს გამოსახულების ქვემოთ, ფერადოვანი ორნამენტის წიაღიძან როგორ გამოსჭვივის (“პრი ხორიშო ისვეშენი”, – დაწერს შემდეგ „ზვენ კრებულში” ქალბატონი თინა) რუს ფონზე შესრულებული მინიატურული ფარშევანგების გრაფიკული ნახატი. როგორც ჩანს, ქალბატონი თინა ასეთ მზიან დღეს ზემო კრისტი პირველად მოხვდა. დავბრუნდით თბილისში, ქალბატონი თინა ჩაუჯდა „ფარშევანგების თემას” და ერთი პატარა, მაგრამ დიდად საგულისხმო ნაკვეთი დაქმატა ბრწყინვალე ნაშრომს ზემო კრისტის მხატვრობის შესახებ.

ქალბატონი თინას დამსახურებათა შორის უნდა აღინიშნოს მისი დიდი თანადგომა, როცა სერგო ქობულაძე თანამოაზრებთან ერთად, ცდილობდა ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის შექმნას. იგი სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ ასეთი დაწესებულებების გარეშე შეუძლებელია ძეგლების სრული გამოკვლევა, წლების განმავლობაში ქალბატონი თინა ამ ლაბორატორიის კონსულტანტი იყო. მნიშვნელოვანი, თუ გადამწყვეტი არა, როლი ითამაშა ქალბატონი თინას აზრმა, რომ გაგარინისეული მხატვრობა თბილისის სიონის ტაძარში ჩვენი კულტურის ისტორიაა და მისი ხელის ხლება ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა.

თინა ვირსალაძის სამეცნიერო ნაღვაწი მტკიცე ორიენტირად იქცა ქართული ფერწერის ისტორიის დარგში, ხოლო მისი პიროვნული ხიბლი, ჩვენი ურთიერთობების სითბო, სამუდამოდ დარჩა ჩემს, მისი ერთ-ერთი მოყვარული მოწაფის გულში.

თბილისი  
2007 იანვარი-მაისი

ტექსტი კომპიუტერზე ააწყვეს ცენტრის თანამშრომლებმა:  
ვალიდი სიმსივემ და ნანა დარიბაშვილმა.

### Inga Lordkipanidze Recollections of Near Past (Tinatin Virsaladze)

The author shares her memories of her teacher and academic supervisor, Tinatin Virsaladze, the atmosphere of the Virsaladze family and George Chubinashvili Institute of History of Georgian Art, famous Georgian scholars and public figures of 1950-1980s.

## თინა, როგორიც მასსოვს

ოჯახი, რომელსაც თინათინ ვირსალაძე ეკუთნოდა, რომელსაც ვაკეუთგნი მეც და გოგი ხოშტარიაც, ოჯახთა იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მაგალითზე შეიძლება დაიწეროს XX საუკუნის ქართული ინტელიგენციის ისტორია. ვირსალაძეების ოჯახს უშუალოდ შეეხო გასაბჭოების უმძიმესი წლები, ემიგრაციის მცდელობა, 1937 წლების რეპრესიები და ბოლოს, აფხაზეთის ტრაგედია.

თინას მამა, ბაგრატ ვირსალაძე სოფელ სიმონეთში დაიბადა. მისი მამა, სიმონი, სოფლის ეკლესიის მნათე იყო. მას სამი შვილი ჰყავდა - ივლიანე, სპირიდონი და ბაგრატი. ივლიანე სოფელში დარჩა. მის შთამომავლობას, სამწუხაროდ, არ ვიცნობ. სპირიდონი და ბაგრატი თბილისში ჩამოვიდნენ. ჯერ სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ განაცრებეს სწავლა. სპირიდონ ვირსალაძე ცნობილი ექიმი გახდა, მის სახელს ატარებს დღეს პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი. ცნობილი ექიმი იყო მისი შვილი კოტეც, პიანისტ ელისო ვირსალაძის მამა. სპირიდონის უფროსი შვილი, დაჭითი, გერმანიაში სწავლობდა. ფაშისტური რეჟიმით შეძრწუნებული, 1935 წელს სამშობლოში დაბრუნდა, შემდეგ კი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. დავითი შესანიშნავი ფილოლოგი იყო. გერმანულ ენაზე თარგმნიდა ქართული პოეზიის ნიმუშებს. ვიცი, რომ ნათარგმნი პქონდა ნბარათაშვილის „მერანი“.

ბაგრატ ვირსალაძე ცნობილი ექონომისტი იყო. საქართველოს რესპუბლიკაში ის კონტროლის პალატას ედგა სათავეში. არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. როგორც დიდება იგონებდა, ბაგრატი ფედერალისტებს თანაუგრძნობდა. მას ერთი დიდი გატაცება პქონდა, ეს იყო თეატრი. საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს ხშირად დადიოდა თეატრში, აღტაცებული იყო სარა ბერნარის ხელოვნებით, იყო კოტე მარჯანიშვილის, ვერიკოსა და უშანგი ჩხეიძის დიდი თაყვანისმცემელი. თავის მემუარებში, ძირითადად თეატრალურ შთაბეჭდილებებზე წერდა. 1937 წელს, მისი დაპატიმრების დროს, ეს მემუარები სახლიდან წაიღეს.

თინას დედის, ელენე მუსხელიშვილის მამა, ეფრემი, ცნობილი გენერალი იყო. განსაკუთრებით გაითქვა სახელი მან 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომში. ვიცი, რომ წერდა ლექსებს. ისინი სპეციალურ უურნალში იბეჭდებოდა, მათზე შემდეგ მუსიკა იწერებოდა და ამ სიმღერებს ჯარისკაცები მდეროდნენ.

ელენე მუსხელიშვილს დედა ადრე გარდაეცვალა. მამას მეორე ოჯახი ჰყავდა. დიდება თავის დეიდასთან იზრდებოდა ქუთაისში. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ. დიდებამ წმინდა ნინოს პანსიონში დაიწყო სწავლა, რომელიც 16 წლისამ, ოქროს მედლით დაამთავრა. მაშინვე უნდოდა სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წასვლა. მაგრამ დედა წინ აღუდგა. ელენემ სამსახური დაიწყო, შემდეგ ოქროს მედალი გაყიდა და ამ ფულით შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. საფრანგეთში მოგზაურობის დროს, პარიზში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, და, როგორც თვითონ ამბობდა, შეიძინა თაყვანისმცემელი, რომელიც უკან აჩრდილიყით დაჰყებოდა.

ელენე მუსხელიშვილი მრავალმხრივ განათლებული და უნიჭიერესი ადამიანი

იყო. სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს, შესანიშნავად ხარავდა და კარგად მღეროდა. ის აქტიურად თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. წერდა საბავშვო მოთხოვობებს და ფსევდონიმით „ელენე“, ურნალ „ჯეჯილში“ იძექდებოდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ელენე და ბაგრატი შეუღლდნენ. 1907 წელს მათ შეეძინათ პირველი შვილი თინათინი, 1909 წელს ვაჟი სიმონი (სოლიკო), ხოლო 1911 წელს - ქალიშვილი ელენე (ლომლომტა). შვილებში უკეთე სუსტი და ნებიერი თინა იყო.

გირსალაძეები ძალიან მეგობრობდნენ ქეთო და პავლე ინგოროვებთან, შალვა ალექსი-მესხიშვილისა და ივანე ზურაბიშვილის ოჯახებთან. თინას განსაკუთრებით ივანეს ვაჟი, სალომე ზურაბიშვილის მამა, ლევანი უყვარდა. სალომე მეუბნებოდა, რომ საფრანგეთში ცხოვრების დროს, ლევანი ზურაბიშვილიც ხშირად იგონებდა თავის ბავშვობასა და ვირსალაძეების ოჯახს. 1918 წლის ბრესტის ზავის დადების შემდეგ, როდესაც ბათუმის შესაძლო დაკარგვის საკითხი დადგა, ელენეს უმცროსი ძმა, სოსო მუსხელიშვილი, ფრონტის ხაზზე მოხალისედ წავიდა და ოცდაცხრა წლისა დაიღუპა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ვირსალაძეების ოჯახმა ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა. აიყარნენ და ბათუმში გაემგზავრნენ. უკანასკნელ წუთში დიდების უთქამს - ბაგრატი, მე ბავშვებს სამშობლოს ვერ დაუუკარგავო და თბილისში დაბრუნებულან. მათ ბინაში, ცხაკაიას ქუჩაზე, რუსის ჯარი იდგა. ისინი ყოფილი პეტრე დიდის, შემდეგ ძერუინსკის (ახლა პინგოროვას) ქუჩის 14-ში შესახლდნენ. მეორე სართულზე ირაკლი გამრეკელი ცხოვრობდა, ხოლო მესამეზე, მათ გვერდით, პავლე ინგოროვასა და შალვა ალექსი-მესხიშვილის ოჯახები. გივი და ლადო მესხიშვილების გვერდით გაიარა მათმა ბავშვობამ. სოლიკო იგონებდა, რომ მიუხედავად გაჭირვებული წლებისა, სახლში მათ ყოველთვის პქონდათ კარგი წიგნები, საინტერესო უურნალები, ქაღალდი და სადებავები. ბავშვებმა სცენის მოზრდილი მაკეტი გააკეთეს, სადაც სპექტაკლებს დგამდნენ. ითვლებოდა, რომ ხატვის ყველაზე დიდი ნიჭი თინას პქონდა, სოლიკო კი უკვე მაშინ შესანიშნავად აკეთებდა სცენისათვის აუცილებელ რეკვიზიტს, განსაბუთორებულად ლამაზად აცემევდა თოჯინებს. აქტიურად მონაწილეობდა ლომლომტაც, ამასთან ერთად, ის პოეზიითაც იყო გატაცებული.

თინა და ლომლომტა მე-8 შრომის სკოლაში მიაბარეს. ქართულ ენასა და ლიტერატურას მათ სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე ასწავლიდა, რომელსაც უოველთვის განსაბუთორებული პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ, თინამ უნივერსიტეტში, პუმანიტარულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. პარალელურად სამსხატვრო აკადემიაში სწავლობდა, რომელიც, რატომდაც, მეხუთე კურსზე მიატოვა.

როგორც თინა და სოლიკო იგონებდნენ, ეს ერთ-ერთი უბედისიერესი წლები იყო მათ ცხოვრებაში. ბევრი მეგობარი პყავდათ - პეტრე ოცხელი, თამარ აბაკელია, ლენკო მუსხელიშვილი, თამარ ციციშვილი და სხვები. ხშირად იკრიბებოდნენ, ბევრს ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ.

1935 წელს თინა ცოლად გაყვა ცნობილი მეცენატის, აკაკი ხოშტარიას ძმის შვილს, მეთოდე ხოშტარიას, რომელსაც შინაურები ცაცას, ან ცაცას ეძახდნენ. განათლებით ის საგზაო ინჟინერი იყო. ცაცა მშობლებთან და დასთან, ვარდიკოსთან (ბარბარე) ერთად ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. მისი უფროსი და ნინო, ირანში იყო, ცოლად გაჰყვა ირაკლი ციციშვილს, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და ინგლისში

გარდაიცვალა. ცაკას უფროსი ძმა - კაკო, გერმანიაში სწავლობდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, უნივერსიტეტში ასწავლიდა გერმანულ ენას. მას, გერმანულ ენაზე ლექსად პქონდა ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ ნახევარზე მეტი. თარგმანმა გრიგოლ წერეთლისა და შალვა ნუცუბიძის დიდი მოწონება დაიმსახურა. კაკოს დაპატიმრებისას, თარგმანი სახლიდან წაიღეს.

მალე თინა და ცაკა ლენინგრადში გაემგზავრნენ. თინა ცნობილი ბიზანტიოლოგის, პ.აინალოვის ასპირანტი გახდა. იმდროინდელ ლენინგრადში ბევრი ქართველი სწავლობდა. ლენინგრადში იყვნენ სოლიკო და ჩემი მშობლებიც - ლენენ ვირსალაძე და შალვა ხიდაშვილი. ლენინგრადში დავიბადე მეც. ცაკა ჩემი ნათლია უნდა ყოფილიყო. მის ნაჩუქარ თეთრ საწოლში მოელი ბავშვობა მეძინა. დედამ ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრაზე დაიწყო მუშაობა.

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ თინა მეტების მუზეუმში მიიწვიეს სამუშაოდ, სადაც ძალიან დაუმეგობრდა დიტო (დიმიტრი) შევარდნაძესა და ქეთო მადალაშვილს.

დადგა 1937 წელი და ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. ჩვენს დიდ ოჯახს, ჯერ დედახემი გამოაკლდა. 1937 წლის გაზაფხულზე, 26 წლის ლორლოოტა დააპატიმრეს, ცოტა ხნის შემდეგ 68 წლის ბაგრატ ვირსალაძე წაიყვანეს. აქ მინდა გავიხსენო ერთი უმძიმესი ეპიზოდი. ლორლოოტამ არაფერი იცოდა მამის დაპატიმრების შესახებ. ერთხელ ციხის საკის ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა. ეზოში პატიმარი მამაკაცები ჰყავდათ გამოყვანილი. მათ შორის ლორლოოტამ თავისი მამა დაინახა, ასანთის კოლოფზე თავისი სახელი დაწერა და ფანჯრიდან გადაუგდო...

მალე ხოშტარიების ოჯახსაც მოადგნენ. ჯერ კაკო წაიყვანეს, მერე კი ცაპა. როგორც ვიცი, ცაკა შვილზე თცნებობდა. ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, არაფერი იცოდა, რომ მამა უნდა გამხდარიყო. ეს მხოლოდ მისი დაპატიმრების შემდეგ გაირკვა.

თინას ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ფეხმძიმე თინა სამსახურიდანაც დაითხოვეს, ყველას ჩამოშორდა და სახლში ჩაიკეტა. მე და დიდები საცხოვრებლად მასთან გადავედით. თინას ერთადერთი საზრუნავი ჯერ მე ვიყავი, ხოლო შვილის დაბადების შემდეგ - გოგი. მაგრამ იმ უმძიმეს წლებშიც არსებობდა შვების ერთი აღგილი - “შესხების ოჯახი”. თინას დედის აღმზრდელი დეიდა - ბები ვერა - იქვე ახლოს, ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. იქვე სახლობდნენ დიდების დეიდაშვილები - მესხები. თითქმის ყოველ სადამოს, იქ მრავალრიცხოვანი ნათესავები იკრიბებოდნენ, მესხები, აბულაძეები, თუმანიშვილები. იქმნებოდა რაღაც მშვიდი და სიყვარულით სავსე გარემო.

ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შემდეგ, თინამ, ბატონ გიორგი ჩუბინაშვილის დახმარებით, ამ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. თინა მაინც კარჩაეტილად ცხოვრობდა. მის ცხოვრებაში სამი აქტიური წერტილი იყო დარჩენილი, დედის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჩვენი სახლი, ინსტიტუტი, რომელიც მეორე ოჯახად მიაჩნდა და ქეთო მაღალაშვილი, რომელთანაც განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა.

თინა ძალიან ბევრს მუშაობდა. წერდა და ნაწერებს გაუთავებლად ათეთორებდა. უჭირდა წერტილის დასმა. ვერაფრით ამთავრებდა საკანდიდატო დისერტაციას. ბატონ გიორგი ჩუბინაშვილს ერთხელ უთქვამს: თინა, მოვალ თქვენთან, სადარბაზოში კიბეზე დავჯდები, არ წავალ, სანამ ნაშრომს არ გამატანთო. სადოქტორო დისერტაციის დაცვა მაინც ვერ მოახერხა.

ყოველ ზაფხულს თინა ძეგლებზე დადიოდა და გატაცებით მუშაობდნენ, მათთან ერთად სანახატებს აკეთებდა. თითქმის ყოველთვის თან ჰყავდა გოგი. მათთან ერთად სვანეთში სოლიკომაც იმოგზაურა. ერთხელ მე, დედა და მამა ატენში ჩავედით. მას სოვეს, ტაძარში შევედი და გაოცებული გუერებდი გუმბათთან დაკიდებულ თინას.

მიუხედავად კარჩაკეტილი ცხოვრებისა, თინას ყველაფერი აინტერესებდა, ყველაფრის საქმის ყურში იყო. უყურებდა ტელევიზორს და პოლიტიკაშიც იყო ჩართული. განსაკუთრებით ფეხსურთით იყო გატაცებული, თბილისის „დინამოს“ გულმხეურვალედ თანაუგრძნობდა და, როგორც ამბობდნენ, ფეხსურთში პროფესიონალივით ერკვეოდა. მე და თინა ყოველთვის მივფრინავდით მოსკოვში, სოლიკოს პრემიერებზე.

თინა დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა თავის მოწაფებს, ბევრს მუშაობდა მათთან და მათი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

არ შემიძლია განსაკუთრებით არ აღნიშნო ის საოცარი ურთიერთობა, რომელიც თინას, სოლიკოს და ლომილოტას ერთმანეთთან აკავშირებდა. იშვიათად მინახავს ასეთი და-ძმობა, ერთმანეთისადმი ასეთი სიყვარული, პატივისცემა და საოუთი დამოკიდებულება. როდესაც ერთად ვიყავით, და ეს საქმაოდ ხშირად ხდებოდა, საოცარი განწყობილება იქმნებოდა. სოლიკო ახალი სპექტაკლის ჩანაფიქრზე საუბრობდა, თინა და ლომილოტა თავიანთ ნაწერებს ერთმანეთს უკითხავდნენ, საუბარი იყო ქართულ ძეგლებზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. მე და გოგიც იქ ვტრიალებდით, ბევრი რამ მაშინ არც გვესმოდა, მაგრამ, ალბათ რაღაც მაინც რჩებოდა ჩვენში.

თინას ოთხი შვილიშვილი დარჩა. ისინი წარმატებულნი არიან თავის საქმიანობაში. დღეს მათ საქუთარი ოჯახები და შვილები ჰყავთ. მინდა ყველანი ბედნიერები იყვნენ, ახსოვდეთ და უყვარდეთ თავისი დიდება, რომელიც მართლა განსაკუთრებული ადამიანი იყო.

... როდესაც თინაზე ვფიქრობ, თვალშინ წარმომიდგება მისი ოთახი, საწოლი, რომელზეც თინა ფეხმორთხმული ზის, საწოლთან მოდგმული მაგიდა, რომელიც საგსეა ქადალდებით, გაშლილი პასიანსი, ანთებული პაპიროსი, სითბო, სიყვარული და სიხარული თინას თვალებში, რომელიც ჩემი დანახვით არის გამოწვეული.

## **Manana Khidasheli Tina, as I Remember Her**

Tinatin Virsaladze's niece speaks about her life, family and personal qualities.

## როგორი დარჩა ქალბატონი თინა ვირსალაძე ჩემს მეხსიერებაში

დიდი მოკრძალებით მინდა შემოგთავაზოთ მცირედი მოგონება ჩემს საყვარელ მასწავლებელსა და უფროს მეგობარზე, ქალბატონ თინათინ ვირსალაძეზე.

ქალბატონი თინა იყო უდიდესი მეცნიერი. მისი თითოეული ნაშრომი ნებისმიერი რანგის მკლევარისთვის, დაწყებული სტუდენტით და დამთავრებული ეპროფესიული მასწავლის მეცნიერით, მუდმივი შემეცნების წყარო. მან განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ძირითადი ეტაპები, დაუკავშირდა ის როგორც ბიზანტიურ, ასევე მთლიანად აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებას და რაც მთავარია, მას დირსეული ადგილი მიუჩინა.

ძალზე სასიხარულოა, რომ დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ გამოვიდა ქნ თინას რჩეული ნაშრომების კრებული, სადაც თავმოყრილია მისი ბრწყინვალე კალევების დიდი ნაწილი (Тинатин Вирсаладзе, «Грузинская средневековая монументальная живопись», Тбилиси 2007 г.) ამავე დროს, არ შემიძლია დიდი გულისტკივილი არ გამოვხატო იმის გამო, რომ, ალბათ, ვერასოდეს ვიხილავთ ქალბატონი თინას მთავარ ნაშრომს, რომელზეც ის მთელი ცხოვრება მუშაობდა – ეს არის ატენის სიონის მოხატულობა. ეს კვლევა ფაქტობრივად (როგორც ძალიან ხშირად ზეპირ საუბარში ამბობდა ქნი თინა) წარმოადგენდა ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორიას. როგორც ამბობენ, ეს ნაშრომი, რომელიც წვრილად დაწერილი თაბახის ფურცლების მრავალი დასტისგან შედგებოდა და ყოველთვის იდო მის სამუშაო მაგიდაზე, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადატანილ იქნა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში და სამოქალაქო ომის დროს ინსტიტუტთან ერთად დაიწვა. არ ვიცი, ქალბატონ თინასთან ვიზიტების დროს ეს ხელნაწერი ყოველთვის თვალწინ რომ მქონდა იმის გამო, თუ იმის გამო, რომ ის ხშირად მესაუბრებოდა ამ ბრწყინვალე მოხატულობაზე და მის მნიშვნელობაზე არა მხოლოდ ქართული ხელოვნებისათვის, ან იმიტომ, რომ მთელი ინსტიტუტი სთხოვდა დაესვა წერტილი და გამოეცა ყველასთვის საჭირო უმნიშვნელოვანების კვლევა, მაგრამ სრულიად გულწრფელად მინდა გითხრათ – ჩემთვის ქალბატონი თინა მეორედ გარდაიცვალა, როდესაც გავიგე, რომ მისი ცხოვრების უმთავრესი ნაშრომი დაიწვა. ერთადერთი, რის გამოც იმედის ნაპერწკალი ციმციმებს, არის ცნობილი გამონათქამი: “ხელნაწერები არ იწვის”. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

ქალბატონ თინას მე ვიცნობდი ბევრად ადრე, ვიდრე ინსტიტუტის ასპირანტი გავხდებოდი. მამიდაჩემი, ბაბო (ბარბარე) ვაჩნაძე, დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა მისი ფოტოების გამგე იყო და ხშირად დავყავდი ექსპედიციებში, სადაც სრულიად ახალგაზრდა ვეზიარე ქართულ ხელოვნებას ისეთ გამოჩენილ პიროვნებებთან ურთიერთობისას, როგორებიც იყვნენ ბატონები გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ლევან რჩეულიშვილი, ქალბატონები თინა ვირსალაძე, რენე შმერლინგი და მრავალი სხვა. ამიტომაც ქნი თინა ჩემთვის იყო “დეიდა თინა” – ასე ვეძახდი ბავშვობიდან და ასევე გაგრძელდა ბოლომდე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში სტაურად ამიუგანეს, რის შემდეგაც ჩავაბარე ასპირანტურაში. რადგან ჩემი კვლევის თემად ავირჩიყ გვიანი შუა საუკუნეების (XVI ს.) კახეთის მონუმენტური ფერწერა, ხელმძღვანელად დამინიშნეს ქნი თინა. იმ დროიდან იწყება ჩემთვის ძალზე საინტერესო ეტაპი – ურთიერთობა ამ ბრწყინვალე მეცნიერსა და

## საოცარ ადამიანთან.

ქ-ნი თინა სახლიდან იშვიათად გადიოდა – მისი სახლი ჭეშმარიტად მისი ციხე-სიმაგრე იყო. ამიტომ, როგორც ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებსაც მასთან კონსულტაცია სჭირდებოდათ, ასევე ახლობლები მას ხშირად სტუმრობდნენ.

მეც თავიდან მასთან, როგორც ხელმძღვანელთან მივდიოდი, მაგრამ შემდეგ თანდათანობით ჩვენმა ურთიერთობამ სხვა დატვირთვა მიიღო – ჩვენ დავმეგობრდით.

როგორც ჩანს, ნიჭიერება, რომელიც ახასიათებდა ქ-ნ თინას, გენეტიკური ფაქტორით იყო განპირობებული. მისი და, ქ-ნი ელენე იყო ბრწყინვალე მკვლევარი-ფოლკლორისტი, ხოლო მმა, სოლიკო ვირსალაძე, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და საყოველთაოდ ცნობილი ოქატრალური მხატვარი.

ბ-ნი სოლიკო იმ პერიოდში მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი მხატვარი იყო. ამიტომ ის თეატრთან ერთად მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და უამრავ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნებსა და კულტურის გამოქვიდვის მოგვაწეობაზე, რადგან იმ პერიოდში, 1960-1970-იან წლებში ჩვენ არ ავქონდა საშუალება გვემოგზაურა რკინის ფარდის მიღმა.

ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა ქ-ნი თინას ვაჟი გოგი (გიორგი) ხოშტარია, რომელიც თავადაც ძალზე განათლებული, ნიჭიერი და მჯერმეტყველია. გოგიმ წლების განმავლობაში აზიარა ხელოვნებას ახალგაზრდობის ბევრი თაობა.

ბ-ნ სოლიკოს ძალიან უყვარდა თავისი ახლობლებისთვის საჩუქრების ჩამოტანა უცხოეთიდან, ქ-ნი თინა კი მისი ნებიერი იყო. მასხოვს მისთვის ჩამოტანილი ულამაზესი სამკაულები, ბეწვის მოსასხამი და დახვეწილი ფუფუნების სხვა საგნები. და თუმცა ქ-ნი თინა საყვედურობდა, რატომ შეწუხდი და რატომ დახარჯე ამდენი ფულიო, სინამდვილეში ძალიან უხაროდა და ყოველთვის მშვენივრად მოირგებდა ხოლმე ყველა ნივთს (ხშირად დაურეკავს ჩემთვის, მოდი, ნახე სოლიკომ რა ჩამომიტანო!)

ქ-ნ თინას ძალიან საინტერესო და დამახასიათებელი გარეგნობა პქონდა – დიდი ლამაზი თვალები ხშირი წამწამებით და გადაბმული წარბებით, ხშირი, აფუქბული თმები – და იყო საოცრად გამხდარი, რაც ყოველთვის ელეგანტურ იერს ანიჭებდა. ჩვენ, ახალგაზრდები, ფაიუმის პორტრეტს ვეძახდით.

მისი პირადი ცხოვრება, რომელიც მისივე მონაყოლიდან ვიცი, ძალიან რომანტიულად და ბედნიერად დაიწყო.

ქ-ნი თინა და მისი მეუღლე, ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი მეთოდე ხოშტარია, სიყვარულით დაქორწინდნენ. ცხოვრობდნენ ყოფილი ბელინსკის აღმართის ბოლოში, სულ მაღლა. როცა გვიან ბრუნდებოდნენ ხოლმე სახლში, საკმარისი იყო ქ-ნ თინას ეთქვა, დავიდალეო, მეუღლე აიტაცებდა ხოლმე ხელში და ამ გრძელ აღმართზე სახლამდე ასე ატარებდა. ქ-ნი თინა გამომიტყდა, ხანდახან ვეშმაკობდი, ისე მომწონდა, ხელით რომ ავყავდიო.

სამწუხაროდ, მათი ბედნიერება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა – 1938 წ. იანვარში 27 წლის მეთოდე ხოშტარია დააპატიმრეს და როგორც წლების შემდეგ გაირკვა, მაისში დახვრიტეს. თუმცა, ოფიციალური ორგანოები 11 წლის (!) განმავლობაში ატყუებდნენ ოჯახს თითქოს ის ცოცხალი იყო.

ქ-ნ თინას ეს საშინელი ტრაგედია გადაგებანინა მისი ერთადერთი ვაჟის, გოგის დაბადებამ, თუმცა ბედი აქაც ულმობელი აღმოჩნდა – მეუღლის დაპატიმრების მოქენებში თვალი ქ-მა თინამაც არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო და იმ ავტედითი 11 წლის განმავლობაში, სანამ მეუღლე ცოცხალი და გადასახლებაში მყოფი ეგონა,

კველა გზით ცდილობდა შეეტყობინებინა მისთვის, რომ ვაჟი ყავდათ!

ამავე პერიოდში კიდევ ორი დიდი უბედურება დაატყდა თავს – დააპატიმრეს და დახვრიტეს მისი მამა, ხოლო და, ელენე, გადაასახლეს.

მიუხედავად კველაფრისა, ქ-ნი თინა არ გატყდა, გაიარა დირსეული ცხოვრება და დიდ მეცნიერებაში საპატიო ადგილი დაიმკიდრა.

მას ძალზე თავისებური დღის რეჟიმი ჰქონდა – ღამე მუშაობდა, დღე კი 4-5 საათამდე ეძინა. ამიტომ ჩვენ ყოველთვის სადამოსკენ მივდიოდით მასთან. სამაგიეროდ, შეგვეძლო გვიან დამემდე დარჩენა.

ქ-ნ თინას უამრავი ინტერესი ჰქონდა ხელოვნების, მეცნიერებისა თუ კულტურის დარგში, თუმცა ნამდვილი პობი ჰქონდა სამი – ეს იყო სიგარეტი (უფრო ზუსტად პაპიროსი), ყავა და ფეხბურთი!!!

ყავა იმ დროს დეფიციტი იყო და მე ჩემს თავზე ავიდე მისი ყავით მომარაგება, რასაც პირნათლად ვასრულებდი. პაპიროსის მოტანა გოგის ევალებოდა, თუმცა ახალგაზრდობაში, თავისი რომანტიკული ბუნებიდან გამომდინარე, იგი პერმანენტულად გატაცებული იყო (სხვათა შორის, როგორც ნამდვილ ესთეტის, ამაშიც დახვეწილი კემოვნება ჰქონდა) და ვიდას ახსოვდა პაპიროსები?! ამიტომ, დედამისი ყოველთვის აიდულებდა მოსაწევის დიდი მარაგი გაეკეთებინა.

რაც შეეხება ფეხბურთს, ის ნამდვილი “ფანი” იყო და ვერავინ გადაურჩებოდა მის რისხვას, ვინც გაბედავდა მატჩის დროს დარეკვას ან მითუმეტეს მისვლას.

განსაკუთრებით სასიამოვნო მოგონებები დამრჩა იმ შვიდ თუ რვა ზაფხულზე, რომელიც ქ-მა თინამ, ისევე როგორც ჩვენი ინსტიტუტის არაერომა წევრმა და ჩემმა ოჯახმა ბორჯომში გავატარეთ.

იმ დროს ჩემი მეუღლე, ირაკლი გურგენიძე, ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა და კველანირად ხელს უწყობდა ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, რათა დაესვენათ ამ შესანიშნავ კუთხეში.

ალბათ, კველას ახსოვს ბორჯომის ცენტრში მშვენიერი ძველი სასტუმრო დიდი მომრგვალებული აივნებითა და უგემრიელესი ნამცხვრების საცხობით.

ქ-ნი თინა მთელი წლის განმავლობაში ელოდა ზაფხულის ორ თვეს – ივლისსა და აგვისტოს, რომ დაესვენა თავის ახლობლებთან (შვილთან, შვილიშვილებთან) ერთად. რამდენიმეჯერ ბ-ნი სოლიკოც იყო ჩამოსული. ქ-ნ თინას განსაკუთრებით უყვარდა ერთი ნომერი, რომელიც ყოველთვის დაჯავშნული იყო მისთვის და კველას, ვინც ბორჯომში აპირებდა წასვლას, ეუბნებოდა – “მე ჩემს ნომერში ვიქნები და აუცილებლად მინახულეთ”-ო.

ჩვენ პლატოზე, ტყეში, უდამაზეს ადგილას გვქონდა აგარაკი, რომელიც ჩემს მეუღლეს თანამდებობით ეკუთვნოდა. ქ-ნი თინას გარდა, ჩვენი ინსტიტუტის წევრები – ბ-ნი ვახტანგ ბერიძე მეუღლით, ნატურია (ნატო) ფალაგანდიშვილი, კიტი მაჩაბელი ოჯახით, ლეილა ხუსკივაძე და თემურ საყვარელიძე, ნუნუ ასათიანი და ლერი მექმარიაშვილი, ინა გომელაური და კიდევ ბევრი სხვა, ვინც ხეობაში ისვენებოდა ამ პერიოდში, აუცილებლად გვსტუმრობდნენ ხოლო. ჩვენი სახლის კარები კველასთვის დია იყო და ბევრი დღემდე იგონებს იმ დაუვიწევ სადამოებს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი წვეულება. იმ დროს ინსტიტუტში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ჩვენი იტალიელი მეგობარი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ლუიჯი მაგაროტო, ხოლო ზემოთჩამოთვლილი პიროვნებები ბორჯომსა და ლიკანში ისვენებდნენ.

ინსტიტუტიდან დამირეკეს ჩვენმა თანამშრომლებმა ნუგზარ ანდლულაძემ და ნუკრი ალხაზაშვილმა და მკითხეს, შეიძლებოდა თუ არა ბორჯომში ჩამოეყვანათ და ჩემთან სტუმრად მოეყვანათ ლუიჯი. მე, რა თქმა უნდა, თანხმობა მივეცი.

ჩემი მეუღლის ძალისხმევით გაიშალა მშვენიერი სუფრა. ჩვენს პირად სტუმრების მიერ ერთად შეიკრიბა არანაკლებ 30 კაცისა. ჩემი მეუღლე იმ დღეს აუცილებელ საქმეზე იყო ასული ალპიურ ზონაში და გამაფრთხილა, რომ დააგვიანდებოდა. ყველანი შევიკრიბეთ და დათქმულ დროს თბილისიდან სტუმრებიც ჩამოვიდნენ. ქალები ძალზე გავიპრანგეთ, თუმცა ყველაზე ელეგანტური ქნი თინა იყო – მას ეცვა ბნი სოლიკოს მიერ იტალიიდან ჩამოტანილი კაბა თავისი მოსასხამით, ყველზე კი ვერცხლის რამდენიმე ლამაზი ძეწვი ეკეთა.

საერთო მისალმებისა და ხვევნა-კოცნის შემდეგ, ქვიფი “გახურდა”. თამადა, როგორც ყოველთვის, იყო ბატონი ვახტანგ ბერიძე, ცნობილი თავისი მჭერმეტყველებითა და ენამახვილობით. ჩვენი მამაკაცები არაჩვეულებრივად მღეროდნენ.

ამ დროს გაიღო კარები და შემოვიდა ირაკლი ალპიური ყაყაჩოების თაიგულით ხელში – ეს იყო საოცარი სილამაზის ყვავილები, უშველებელი, ნარინჯისფერი, ამდაგვარი არავის გვენახა. მისალმების შემდეგ მან გამოაცხადა, რომ ეს ყვავილები ჩამოუტანა ყველაზე ელეგანტურ ქალს ჩვენს სუფრაზე. მე, რა თქმა უნდა, ძალზე ნასიამოვნებმა, თვალები დავხარე და ველოდები, როდის მომართმევს ჩემი მეუღლე ამ თაიგულს. მაგრამ ირაკლიმ საოცარი რამ გააკეთა – ყველას ჩაგვიარა და თაიგული ქნ თინას მიართვა! ეს იყო დაუკიწყარი წუთი – ასეთი ნასიამოვნები ქნი თინა იშვიათად უნახავს ვინმექს. მან გადაკოცნა ირაკლი, და ერთი ყაყაჩო მოსასხამზე მიიმაგრა, მეორე კი თმებზე. ჩვენ იქვე მოვნათლეთ და შევარქვით კარმენი.


ჩვენი არაჩვეულებრივი განწყობა კიდევ უფრო გამბაფრდა და ყველას მეხსიერებაში ეს დღე დაუკიწყარი დარჩა . . .

### Marina Vachnadze Recollecting Tinatin Virsaladze

One of the disciples of Tinatin Virsaladze tells about her meetings with the scholar, showing her personality.

ქეთევან მაღალაშვილი,  
თინათინ ვირსალაძის პორტრეტი





გიორგი ჩუბინაშვილი და  
თინათინ ვირსალაძე



თინათინ ვირსალაძე, ნინო ლვინიაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, 1960 წელი



სხედან: მალაქია დგალი, რუ-  
სუდან მეფისაშვილი, თინათინ  
ვირსალაძე  
დგანან: რუსუდან ყენია,  
ნოდარ ჯანბერიძე, ნატალია  
ფალავანდიშვილი



სხედან: მარცხნივ – ვახტანგ ცინცაძე, მარჯვნივ – თინათინ ვირსალაძე



სხედან: რუსულან მეფისაშვილი, თინათინ ვირ-  
სალაძე დგას: ლევან რჩეულიშვილი



დგანან: რუსუდან ყენია, თინათინ ვირსალაძე, ვახტანგ ცინ-  
ცაძე, 1960 წელი



სხედან: ვახტანგ ბერიძე, თინათინ ვირსალაძე, გიორგი ჩუბინაშვილი  
დგანან: რონე შმერლინგი, რუსუდან მეფისაშვილი,  
ლევან რჩეულიშვილი, ვახტანგ ცინცაძე, პარმენ ზაქარაია



მეთოდე ხოშტარია



ლიოლოოტა ვირსალაძე



ତିନାଟିନ ଗୀର୍ସାଲାଦ୍ଯ ଓ ଗୋପି ବୋଲ୍ଡାରୀଙ୍



თინათინ ვირსალაძე, ქეთევან მაღალაშვილი და სოლიკო ვირსალაძე



Յաեթանց ծյուրօնու մարզո – նոյն ծյուրծենո՞վ շվալու դա  
տոնատօն զորսալածյ

## თინათინ ვირსალაძე

შერგილ დადიანის დროინდელი XIII საუკუნის  
პედლის მხატვრობა ხობში<sup>1\*</sup>

შიგნით ხობის ტაძარი სამეცნიეროს ეკლესიებისთვის საკმაოდ წვეულებრივ მოვლენას წარმოგვიდგენს. მისი მხატვრობა არაერთგზის გადაუწერიათ, თანაც, როგორც ჩანს, ნაწილ-ნაწილად და სხვადასხვა დროსაც. ამიტომაც, თუმცა მოხატულობის უძებესი ოდენობა გვიანა ხანისაა, შემოგვრჩა ძველი ფენებიც, მართალია მომცრო, მაგრამ იკონოგრაფიული თუ მხატვრული ჩანაფიქრის მხრივ მთლიან ნაწილებად წარმოდგენილი.

ტაძრის ცენტრალური ნაწილის, გ.ი. საკუროთხევლის, შეა ნავისა და გვერდითი უბეების მოხატულობა, როგორც ჩანს XVII საუკუნეს ეპუთვნის. მთელს ტაძარში გაბატონებულია კიდევ პირქუში და მშრალი კოლორიტი, რომელშიც მკვეთრი ყავისფერი, მჭახე ლურჯი, მღვრიე მწვანე და ყველებულია მოჭარბებული.

XVII საუკუნის ეს მოხატულობაც არაერთგვაროვანია და რამდენიმე ნაწილისგან შედგება; ერთი მათგანი ლევან II დადიანის (ცოლ-შვილითურთ) და ნიკოლოზ კათალიკოსის პორტრეტებით თარიღდება.

ამის გარდა, ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში ისეთ მონაკვეთებსაც ვიპოვთ, რომელიც არაუდრეს XIX საუკუნეებად გადაწყვილია.

უფრო ადრეულ მხატვრობას ვნახულობთ გაძრის დასავლეთ ნაწილში. ის მჭაბებ, ძალიან მკვეთრი ვერებით და მშრალი, მყაფიო ნახატითაა გამორჩეული.

მასზე ძველ მხარების, რომელიც ვამეყ დადიანის XIV საუკუნის წარწერით თარიღდება, სამხრეთ გავრცელში ვნახავთ.

დასასრულ, მხატვრობის უძველეს ნაწილს წარმოადგენს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი უბის მოხატულობა. ტაძრის დანარჩენი მოხატულობისგან მას ნახატის სინატრიფე და კოლორიტის კეთილშობილება განასხვავებს; აქვე შემორჩენილი შერგილ, ნათელად და ცოტნებით დადგინდების გამოსახულებებიც.

ამგვარად, ხობის ტაძრის მოხატულობა, სხვადასხვა დროის, განსხვავებული სკოლებისა და ნიჭიერების ოსტატების მიერ არის შექმნილი და მდიდარ მასალას გვთავაზობს შუა საუკუნეების ქართული ფერწერის სტილთა და მანერათა შესასწავლად.

ამ მრავალფეროვანი მოხატულობის ცალკეული ნაწილების შესწავლა ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება, ამიტომაც ჩვენ დასაშვებად ჩავთვალეთ, პირველ ყოვლისა, მისი უძველესი ნაწილი გამოგვეყო და წინამდებარე მოხსენებაც მისთვის მიგვეძვნა.

1 მნელად თუ იძოვით “პალეოლიტურსთა ხანის” ქართული მხარეგრობისადმი მიძღვნილ ნაშრომს, რომელშიც თინათინ ვირსალაძის (1907-1985) ამ ნარკვევის (მოხსენებად იქნა წაკითხული 1946 წელს ქართული ხელიოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამცნიერო სესიაზე) თეზისები არ იყოს დამიწმებული. ახლა მისი სრულად დაბეჭდვა გადავწყვიტეთ, თუმცა ქალბატონი თინა მას, ალბათ, ბევრს მიუმატებდა და, იქნებ, მოაკლებდა კიდევ. ჩვენს მკითხველს, უთუოდ, არ დასჭირდება იმის შესხენება, რომ ზოგი რამ მას აქვთ დაზუსტდა (მაგ., ნაბახტევი – XV საუკუნით დათარიდ-და) და უმთავრესი ამ ნაშრომში დღეს – საკითხის თვით დაკრნება და მისი გადაჭრის გზა.

\* \* \*

სამხრეთ-დასავლეთი სივრცე, ამჟამად ტაძრის ცენტრალური ნაწილისკენ თაღვანით გახსნილი, თავდაპირველად განცალკევებული კაპელა ყოფილა<sup>2</sup>.

დაბალი კამარა პატარა კონსოლებზე გადაყვანილი საბრჯენი თაღითაა შემტკიცებული. სამხრეთი კედელი ორი ნახევართაღითაა გაყოფილი; დასავლეთ კედელში კარია (ახლა ამოქოლილი), მის ასწვრივ კი – მომცრო სარკმელი.

მოხატულობა კამარაზე, ნაწილობრივ დასავლეთ და სამხრეთ კედლებზეა შემორჩენილი; მისი დაცულობა არაერთგაროვანია.

კამარის ქიმს ორნამენტის განიერი ზოლი გასდევს, მას კი სამხრეთ თაღზე გადავლებული და კამარის მხრებს აყოლებული ზოლები კვეთს. ორნამენტის ეს ზოლები კამარაზე განთავსებულ თთხსა და დასავლეთ კედლის ლაუნების – მეხუთე – სცენას აჩარჩოებს.

სამხრეთ კედელზე, ნახევართაღში ქტიტორთა ოჯახური პორტრეტია; ისინი კონსოლზე მოქცეულ, მკერდზეით ღმრთისმშობელს წარუდგებიან. ტიმპანსა და კარის თაღის შიდა პირზე, წელზეით სამი წმიდა დედის გამოსახულებანი მოჩანს.

ამრიგად, კამარა და ლაუნები სცენებს ეთმობა, კედლები კი მოედი ტანით წარმოდგენილი მოხატვილი გამოსახულებებითაა შევსებული.

ამგვარი განთავსება დაბალკამარიანი სადგომისათვის სავსებით ჩვეულებრივი რამაა.

“წინამორბედის ციკლი”, ისევე როგორც ვნებათა ციკლიც, სავსებით შეეფერება კაპელას დანიშნულებას – იგი აქ გამოსახულ პირთა საოჯახო განსასვენებელი იყო.

ეს პირი არ ყოფილან მთელი მოხატულობის დამკეთნი, რადგან მაშინ გაუგებარი იქნებოდა მათი ამ ადგილზე მოთავსება.

საქტიტორო პორტრეტი წარმოგვიდგენს მამაკაცს, ქალს, ბიჭსა და გოგონას.

ჯერ კიდევ 1927 წელს, როდესაც მოხატულობა პროფ. შ.ამირანაშვილმა გადაიღო გამოსახულებათა დაცულობა ბევრად უკეთესი იყო. ამჟამად მთელი ქვედა ნაწილი ჩამოცვენილია, რის გამოც მთლიანად დაიკარგა ბიჭის გამოსახულება (მისი ქუდიდა შემოგვრჩა).

გამოსახულებებს ახლავს ასომთავრული წარწერები: “ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი”, “დედოფალთ დედოფალი ნათელა”, “ძე მათი ცოტნე”; უარესად განირჩევა – “ასული მათი თამარ”.

კედრებად მდგომი ქტიტორები მდიდრული სამოსით წარმოგვიდგებიან. შერგილის სამოსი საგმაოდ გრძელია, წელში გამოყენილი, ლამაზი მუქ-ალუბლისფერი, ოქროს არშიით, სამხრებითა და სამკლავეებით გაწყობილი; თავსაბურავი იმავე ფერისაა, წვეტწამახული, სამქუთხა გადმონაკეცით; ფეხსამოსად მას მაღალი ჩექმები აცვია.

ამგვარივე ყოფილა ცოტნეს ტანისამოსიც.

ნათელას ქვედა მუქ-შინდისფერ სამოსზე მეორეც აქვს გადაცმული – მუქი მწვანე, ყოშებიანი, მხრებსა და გულისპირზე ყვავილებითა და ოქროს წნულით უხვად დაქარგული, ბეწვის ქობიანი; თავზე მას წითელივე მანდილი ხურავს, თვლებით გაწყობილი რგოლით შემაგრებული.

<sup>2</sup> იხ. ლ.რჩეულიშვილის რეკონსტრუქცია (ახლა: იხ. ლ.რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკევები, თბ., 1994 წ.).

გოგონას ფიგურა ცუდად განირჩევა.

ამავე ფერებს კეთილგან ციკლთა სცენებზეც, სადაც ალუბლისფერ-წითლისა და მუქი მწვანის გარდა ერთმანეთს კიდევ ბაცი სოსანი, გარდისფერი, მოცისფრო ნაცრისფერი, ბაცი მწვანე და მოქროსფროებიც ეხამება.

“წინამორბედის ციკლი” ოთხ სცენად შემოგვრჩა, რადგან მეტეთ თითქმის არ განირჩევა.

ის კამარის სამხრეთი ფერდის აღმოსავლეთ ნახევარზე იწყება ზაქარიას მიმართ ხარებით, რასაც ასომთავრული წარწერა ახლავს: “ხარება ზაქარიას” (ნახ.1).

მომდევნო სცენა, „შ. იოანეს შობის გამოსახულებაა” [შობა ისე ნათლის მცემლისა], მოპირდაპირედ ჩრდილოეთ ფერდზე მოთავსებული (ნახ.2).

ციკლის მესამე სცენა – “ზაქარია წერს წ. იოანეს სახელს” [“სახელის წერა იონების”] დასავლეთი კედლის ლიუნებზეა მოთავსებული (ნახ.3).

ამ ორ სცენას შორის ე.ი. კამარის ჩრდილოეთი ფერდის დასავლეთ მონაკვეთზე მოთავსებული სცენა ახლა აღარ განირჩევა, პროფ. შ.ამირანაშვილი კი მას “ჰეროდეს ნადიმად” განსაზღვრავს.

ციკლი კვლავ კამარის სამხრეთ ფერდზე სრულდება “თავისკვეთის” სცენით (ნახ.4).

ამგვარად, ციკლი მეტად მოკლე რედაქციითაა წარმოდგენილი. შესაძლოა, დაკლებული სცენები აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ, აწ დანგრეულ კედლებზეც ყოფილიყო განთავსებული.

\* \* \*

სამეცნიერო ლიტერატურაში ხობის მოხატულობას, წევულებრივ, ცოტნებადიანის გამოსახულებიდან გამომდინარე ათარიღებდნენ ხოლმე, რომელსაც XIII საუკუნის პირველ ნახევარზე მცხოვრებ პიროვნებასთან აიგვებდნენ, და რაკი ფრესკაზე ცოტნება ბავშვია, მოხატულობასაც XIII საუკუნის პირველ მეოთხედს აქუთვნებდნენ (თ.უორდანია, ე.თაყაიშვილი, შ.ამირანაშვილი).

მაგრამ მოხატულობის უშუალდ გაცნობისას ჩვენ ეჭვი აღგვეძრა ამგვარი დათარიღების სისწორეში, ვინაიდან მოხატულობის სტილი უფრო მოგვიანო ძეგლთა წრის მსგავსი მოგვეჩვენა, არაუადრეს XIII საუკუნის ბოლოსა ან XIV საუკუნის დასაწყისისა.

მოგვიანებით ჩვენს ეჭვს, ერთი მხრივ, ისტორიული რიგის მონაცემები შეემატა, მეორე მხრივ კი, ტაძრის არქიტექტურის კვლევის შედეგებიც – მისი აგება მიაკუთვნეს ხანას არაუადრეს XIII საუკუნისა.

მოხატულობაზე ჩვენი შთაბეჭდილებისა და აღნიშნული დამატებითი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ მისი სტილი როგორც XIII საუკუნის დამდეგის, ასევე XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის ქართული ძეგლების (უპირატესად კედლის მხატვრობის) მთელი რიგისათვის შეგვედარებინა.

ძეგლთა პირველ ჯგუფში შევივანეთ ის ძეგლები, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად თარიღდება თამარ მეფისა და გიორგი-ლაშას გამოსახულებებით – ყინცვისი, ბეთანია, ბერთუბანი, – და მონათესავე ტიმოთეს უბანი.

მეორე ჯგუფშია: [გარეჯის] “უდაბნოს” ხარების ეკლესია, დემეტრე თავდადებულის გამოსახულებით 1270-1280 წლებით დათარიღებული; ქობერის მხატვრობა, საქტიტორო გამოსახულებებით XIII საუკუნის 90-იანი წლებისა და გელათის სამხრეთი ეგვიპტის აღმოსავლეთი სადგომის მხატვრობა, რომელიც

პროფ. შ.ამირანაშვილმა საგანგებო კვლევის შედეგად ასევე XIII საუკუნის გასულს მიაკუთვნა; XIV საუკუნის მოხატულობა ლიხნები, ნაბახტევი, წალენჯიხა, ხობის ვამეუ დადიანის ეგვტერი და აღნიშნული ძეგლების წრესთან ახლო მდგრმი უბისის მხატვრობა.

ეს ძეგლები თავისი ეპოქისათვის ტიპიურია და, რამდენადაც ვიციო, განუხილველი ძეგლები მათგან განსხვავებულს არაფერს წარმიადგენს.

მათი განხილვისას ჩვენ ვეცადეთ გაგვეთვალისწინებინა და წარმოგვეჩინა ყოველი ძეგლის ინდივიდუალური თავისებურებები, რომელიც არა მარტო მათი შემქმნელის ინდივიდუალიბით არის განკირობებული, არამედ იმითაც, რომ შეუძლია საუკუნეების ყოველი ძეგლი ამა თუ იმ მხატვრული ტრადიციის ნაყოფიც არის.

ამგვარ ინდივიდუალურსა თუ ჯგუფურ ნიშნებთან ერთად სავსებით გამოკვეთილად ჩნდება ამა თუ იმ ეპოქისათვის საერთო, ტიპიური ნიშნებიც და სწორედ მათი ერთობლიობა განსაზღვრავს, რაოდენ გნებავთ ინდივიდუალური, ძეგლის შექმნის დროს.

ვინაიდან შერგილისეული მოხატულიბის “წინამორბედის ციკლი” სცენტრში თვალსაჩინოა არქიტექტურული ლანდშაფტის წილი, ჩვენც არქიტექტურის ფორმებისა და მათი გამოსახვის მახრივით დავიწყებთ.

XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლებში არქიტექტურის ფორმები შედარებით მარტივია და ვერც განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას დაიკვეხის.

ძირითადად ესაა ნაგებობები, რომელთაც ზემოთკენ წაგრძელებული კოლოფების სახე აქვს; ისინი ან პატია ფრონტონის მქონე ორქანობა სახურავით ანდა გამოშვერილ ლავგარდანიანი ბანითაა დასრულებული.

კედლის გასაწყობადაც ის ან პატარა სარკმლების რიგებით ნაწევრდება ან თრიალების ზოლით “სართულებად” იყოფა – ესაა და ეს; შენობის საძირკვლად, ჩვეულებრივების წყობაა გადმოცემული (ბერთუბანი), ითავისება და ანას დაბრუნება”; ბერთანია, “შ. აარონ წინასწარმეტყველი”). ზოგჯერ ნაგებობას პირობითად სალხინებელი ენაცვლება (ბერთანია, “ჯვრის აღმართვა”; ყინცვისი, “მარიამის შობა”). ზოგჯერაც შენობათა შორის კედლია გადაჭიმული, ჩვეულებრივ, მოდაბლო და გლუვი (ბერთანია, “უფლის სერობა”; ტიმოთესუბანი, “სულიოშიდის მოფენა”), ხანაც თაღნარით და სარკმლებით გაწყობილი (ყინცვისი, “უფლის სერობა”).

ძირითადად ამით ამოიწურება XIII საუკუნის დასაწყისის მოხატულობებში გადმოცემული არქიტექტურის ფორმები.

ამაზე მეტად მაინცდამინც მრავალფეროვანი ისინი არც იმავე დროის მინიატურებში არის. წიგნის მხატვრობაში ვნახავთ კიდევ ბიზანტიური ტაძრების მსგავს გუმბათიან შენობებს (ამგვარივე შენიბა კედლის მხატვრობაში რამდენადმე ადრე, დავით გარეჯის “უდაბნოს” მონასტრის “უფლის სერობაში” გვხვდება).

აქვე შევნიშნავთ, რომ არქიტექტურის ფორმის გამოსახვის, მათი კომბინირების მეტი თუ ნაკლები მრავალფეროვნების მხრივ, თვალს მონუმენტური და წიგნის მხატვრობის გარკვეულ ძეგლთა ერთგვარი ნათესაობაც ხვდება.

ასე, მაგ., ხელნაწერ A-109-ზი გამოსახული ნაგებობები ხასიათით ბეთანიისა და ტიმოთესუბნისას მოგვაგონებს (A-109, “სულიოშიდის მოფენა”) (ნახ.5). წინააღმდეგ ამისა, ხელნაწერ A-706 (ზატიკი) –ის და კიდევ უფრო ჯრუჭის მეორე ოთხთავის მინიატურებში შენობათა და კედლების კომბინირებისა და მათი თაღნარებით, სარკმლებითა და ორნამენტის ზოლებით გაწყობის მეტ მრავალფეროვნებას ვხედავთ. ამ ხელნაწერთა მინიატურებს უახლოვდება ყინცვისის ფრესკების არქიტექტურული ფონები. ყინცვისში, “უფლის სერობის” დიდ კომპოზიციაში გამოსახული შენობები ფანტასტიური მოყვანილობის ფანჯრებით; თეთრით ლურჯზე

დატანილი ორნამენტის ზოლები; თაღნარითა და მასში ჩაწერილი სარკმლებით დანაწევრებული კედლები; შპილი მასზე შემოხვეული ველუმითურთ იმდენად უახლოვდება ჯრუჭის მეორე თოხთავის ტიპის დასურათებას, რომ მთლიანად კომპოზიციაც გადაღებული მინიატურის შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ.6).

შეუხედავად ამ ინდივიდუალური სხვაობებისა, XIII საუკუნის დასაწყისის ფერწერაში არქიტექტურის ფორმები, მთლიანობაში, ერთგვაროვანია. შევნიშნავთ ასევე, რომ უფრო ძლრეულ მხატვრობასთან მიმართებაშიც ეს ფორმები ახალს არაფერს გვთავაზობს.

არქიტექტურული ფორმების გამოსახვის მანერა საგსებით პირობითია. სამგანზომილებიან სივრცესთან მიმართებაში შენობები ირეალურია, პერსპექტივის გადმოცემის თვალსაზრისითაც და მათი ფიგურებთან შეფარდების მხრივაც (ნახ.5-6). ამგვარ ამოცანებს ბიზანტიური ხელოვნება არც როდის წყვეტდა, თუმცა ანტიკური ტრადიციის ნიადაგზე ადმოცენებული, ის არასოდესაა მთლიანად მოკლებული მოცულობრივი გამოსახვის გარკვეულ ელემენტებს, ცალკეულ სწორ გამოსახულებებს კი ბიზანტიური (სახელდობრ ქართულიც) ხელოვნების გარკვეულ ნაკადში განსაკუთრებით ხშირადაც ვხედავთ.

ასე, ბეთანიასა და ტიმოთესუბანში შენობები აბსოლუტურად ბრტყელია. ბერთუბანში მცდელობა, შენობები თითქოსდა სხვადასხვა სიბრტყეზე განთავსდეს, პერსპექტიულ შემცირებათა სრულ არევ-დარევას გვაძლევს (მაგ., „შესხვერპლის უარისყოფა“).

ყინცვისში კი, „უფლის სერობის“ კომპოზიციაში კედლის წინ გამოსახული ორი შენობის ერთმანეთისკენ სიღრმეში მიმავალი გადახურვების პერსპექტიული შემცირება სწორადა გადამოცემული. ამასთანავე, აქვე სრული შეუსაბამობაა წინა შენობების პერსპექტიული შემცირების ხაზებსა და შენობების სართულებად დამანაწევრებელ ზოლებსა თუ სარკმლების რიგებს შორის. ეს კი, სარკმლის ლიობებისა და საკუთრივ მაგიდის აბსოლუტური სიბრტყითობისას, მთელ გამოსახულებას ფიგურებს მიღმა გადაჭიმულ რაღაც ბრტყელ კრეტსაბმელად აქცევს.

ამდაგვარ ხერხებს ვხედავთ ჯრუჭის მინიატურებშიც – №9 მინიატურაზე, სადაც ორი შენობაა გამოსახული, ერთი კედლის გამოღმა, მეორე კი გაღმა. უკანას მასები, ასე თუ ისე, სწორად შედის სიღრმეში, წინა კი გაუგებარი და სავსებით ბრტყელი რამ ნაშენია. ასევე პირობითი და არასწორია ხაზების ურთიერთმიმართება მინიატურებზეც. ამდენად, ამ მინიატურებზეც, ისევე როგორც ცოტათი მოვიანო, მაგრამ სტილით მათთან ახლომდგომ ყინცვისის მოხატულობაში, ცალკეული სწორი გამოსახულებები ყველა დანარჩენის პერსპექტივის გადმოცემის სრულ პირობითობასაა შეხამებული.

მოცულობის აქა-იქ სწორად გადმოცემა სივრცის ათვისების პირველი მცდელება კი არაა, არამედ მარტოღენ გარკვეულ ტრადიციას მიყოლა, გვიმოწმებს X-XI საუკუნეების ვატიკანის მენოლოგიუმის ზოგიერთი მინიატურაც. აქ ისეთ არქიტექტურის ფორმებს ვნახავთ, რომელნიც არა მხოლოდ ძალზე უახლოვდება ჯრუჭის ოთხთავისას, არამედ ცალკეული წვრილმანები პერსპექტივის სისწორის მხრივ ჩინებულია, იქნებ, ჯრუჭისაზე უფრო სწორიც.

ასე, მინიატურაზე, სადაც შენობათა წინ წმ. მეომარია წარმოდგენილი, გვერდითი ნაგებობების მასები სიღრმეში შედის, ამასთან კი, სარკმლების და ორნამენტის ზოლების შემცირებაც სავსებით სწორადა თვით ნაგებობათა პერსპექტიულ შემცირებას შეფარდებული. ამ დროს, შენობის არქიტრავის მზიდი ორი ცენტრალური სვეტის ბაზისები მინიატურის კიდემდე ჩამოდის, თავად შე-

ნობა კი შესამჩნევად უფრო მაღლა იწყება, ასე რომ, გამოსახულება აქაც საჭირო მიზანითა ამ შემთხვევაში ერთის თქმადა გვძალვიძეს – ყინვისის ფრესკაცა და ჯრუჭის ოთხთავის მინიატურაც ბიზანტიური ხელოვნების იმ ნაკადს მიუყვება, რომელმაც განსაკუთრებული განვითარება მომდევნო ეპოქის მხატვრობაში ჰქოვა.

გარეჯის “უდაბნოს” მონასტრის ხარების ეკლესიაში, რომელიც დამუტრე II-ის (1271-1289 წწ.) პორტრეტის მოშველიებით XIII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ჩვენ იმდაგვარივე, ფრონტონიან პატარა კოლოფებს მიმსგავსებულ, შენობებსა ანდა სალისნებდებს ვერდავთ, როგორიც მრავლადაა ყინვისსა და ბერანიაში. ზოგიერთი შენობა ქართულ არქიტექტურას ასახავს (მსგავსი მოვლენა გვაქვს ხელნაწერ A-26-შიც).

სხვადასხვა მხატვრული ტრადიციის მოდევნება სცენების საერთო კომპოზიციურ აგებასა თუ არქიტექტურისა და ადამიანის ფიგურის თანაფარდობასაც შეეტყო.

თუკი ბერთებნის მოხატულობის “დმრთისმშობლის ციკლის” სცენებს ცალცალკე განვითარებული არქიტექტურისა და ფიგურების თანაფარდობა შემთხვევით მოგვეჩენება. ასე, “ოთავიმესა და ანას შინ დაბრუნების” სცენაში ორ, შორიშორ მავალ ფიგურას ყოველი მათგანის წინ თითო პაწია ბუჩქიდა შეესიტყვება, კუთხეში აღმართული შენობები კი მათდამი სავსებით ინდევერენტულია, ერთადერთ მაკავშირებლად კი ფიგურების თავზე ცარიელი ზედა პირის შემავსებელი წარწერა გვევლინება. არქიტექტურისა და ფიგურების ნამდვილი თანაფარდობა მაშინდა ირკვევა, თუ ფრისს მთლიანობაში ვათვალიერებთ – მაშინ, ფიგურებზე მაღალი შენობები იმ მახვილად მოგვევლინება, რომელიც ფრიზს სცენებად ჰყოფს, მათ ერთმანეთისგან გამიჯნავს.

ბერთიანისა და ტიმოთესუბანში არქიტექტურულ ლანდშაფტს სულ უმნიშვნელო წილი აქვს. მცირერიცხოვანი სცენები, სადაც ის გამოუყენებიათ, ამას გარდა, ძალზე მოუხერხებლად, სარკმლების შილდა პირებზეა განთავსებული. ამ სცენებში კოლოფისებრი შენობა ფიგურის უკან დგას, მათი ურთიერთკავშირი იმითდა გამოიხატება, რომ შენობის ფრონტონის მიმართულება ფიგურების მოძრაობას ემთხვევა (ტიმოთესუბანი, “პილატეს სამსჯავრო”), ან კიდევ კედლებით შეერთებული შენობები კუთხეებში მორჩენილ სიცარიელეს ავსებს (ბერთიანი, “უფლის სერობა”; ტიმოთესუბანი, “სულიწმიდის მოფენა”; იგივე, ის. ხელნაწერი A-109).

ყინვისში “დმრთისმშობლის ციკლის” სცენებში შენობები დიდრონი კია, მაგრამ ისინიც არ წარმოგვიდგენებ მთიან “დეკორაციას” და, ისევე როგორც სხვა მოხატულობებში მეორეხარისხოვანი აქსესუარებიდაა. “უფლის სერობაში” არქიტექტურულ ფონს მეტი სივრცე ეთმობა, მაგრამ სრული პირობითობისა და სიბრტყითობის გამო ის, როგორც ითქვა, ფიგურებს უკან დაკიდებული კრეტსაბმელისებრი რამ თუა. კიდევბზე მოქცეული შენობები და კედლის თაღნარი გარკვეულწილად პასუხობს ფიგურების განლაგებას, მაგრამ არქიტექტურისა და ფიგურების კომპოზიციური კავშირი, სრულ სტატიურობაზეა დამყარებული და, ამიტომაც, მაინც შემთხვევითი, მიახლოებით იმავე რიგისაა, რაც ზევით გარჩეულ შემთხვევებში. ფონი არც აქ არის კომპოზიციის ორგანული ნაწილი, თუმცა სხვა თანადროულ მოხატულობებს თუ შევადარებთ, უფრო განვითარებული სახით წარმოგვიდგება.

სრულებით სხვა ხასიათისაა არქიტექტურული ფონები შერგილ დადანის განსასვენებლის ფრესკებზე (ნახ. 1-4). თავისთავად აქ მოხმარებული ფორმებიც განსხვავებულია იმ მარტივი ფორმებისგან, რაც XIII საუკუნის დასაწყისის მხატვრობაში ვნახეთ. არქიტექტურული ფონი აქ წარმოადგენს მაღალ კედლებს, აქეთით მომცრო ნაგებობებითურთ; მხოლოდ პირველ სცენაში კედლეს მრგვალი

ზღუდით მოვლებული ტრაპეზი ცვლის. კედელი ყველგან გლუვია, არცომ შეასრულა ნიერი ლავგარდანით და ან მარტო დენ ერთი, საქმაოდ მოზრდილი სარქმლით, ან მხოლოდ ვაზის რქასავით დაგრეხილი ორნამენტის ხვეულით არის გაწყობილი (ნახ. 5-6). ასე რომ, თუ XIII საუკუნის დამდეგის მოხატულობებში კედელი თაღნარით ან სარქმელთა მწერითად გაწყობილი, ხობში – ერთი მოზრდილი ლაქით (“წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა”, “თავისკვეთა”).

სცენაში “ზაქარია თავისი ძის სახელს წერს” ჩვენ ვხედავთ არქაული იერის პაჭია სარქმდებს, მაგრამ ისინი მარცხნივ ერთ მოზრდილ ლაქადაა შეჯუფული, რომელსაც მარჯვნივ ორნამენტის იგივე ხვია პასუხობს. ე. მხატვრული შთაბეჭდილებით ისინი სხვაა, ვიდრე აღრეულ მოხატულობებში. კედლის მოზრდილი ნაგებობებითა ანდა ორნამენტული ხვიებით ამგარსავე გაწყობას ვხედავთ XIV საუკუნის მოხატულობებში (ნახ. 7) – ზარზმაში ასე არაერთი სცენის კედლია დამუშავებული, ლიხნებში – “ზიარების”, უბისში – “უფლის სერობის”. ასევეა გაწყობილი კედელი 1300 წლის მოქაის ოთხთავის მინიატურებშიც.

თვით შენობების ფორმა როგორც და ფანტასტიკურია. მათ როგორც ბაზისებზე დაბჯენილი, სვეტისთავიანი სვეტებით შედგენილი პორტიკები ამჟობს. თავად პორტიკების ფორმაც მრავალგვარია, მათ მსგავსს კი მრავლად ვნახავთ XIV საუკუნის მხატვრობაში. დამახასიათებელია შენობათა გადახურვაც – ხან მოცოლებული კოლოფა კამარებით, ხან კი შვერილი ფარდულებით.

ამგვარად, ხობის მოხატულობის არქიტექტურის ფორმები მთლიანად იმეორებს იმ ფორმებს, რასაც XIV საუკუნის მხატვრობაში ვხვდებით. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელში ამნაირი ფორმები ხობისაზე უფრო მრავალფროვანი და მდიდარია.

დამახასიათებელია გამოსახვის მანერაც. პერსპექტიული შემცირების ხაზები გარკვეული თანმიმდევრობითაა მოცემული, არქიტექტურის ცალკეული წვრილმანების გამოხატვისასაც ჩინებულადა ურთიერთს შეთანხმებული, რაც ბადებს შეგრძებას გარკვეული მოცულობისა, რომელიც, თუმცა, სიღრმეში არ შედის, თითქოსდა ცალპლანიანი დეკორაცია არისო.

აქვე ვხედავთ XIV საუკუნის ხელოვნებისთვის ტიპიურ ხერხსაც – ერთ სიბრტყეში მდგომი ნაგებობები სხვადასხვა პორიზონტიდანაა გამოსახული. როგორც უკვე აღუნიშვნავს დიმ. აინალოვს, ეს წმინდა დეკორატიული ხერხია და ბიზანტიურ ხელოვნებაში სხვადასხვა მოყვანილობის ორი ნაგებობის დეკორატიული გაწონასწორებისთვის გამოიყენება.

ხობში, სცენებში “ზარება ზაქარიას” და “ზაქარია წერს წმ. იოანეს სახელს”, სადაც შენობები ერთნაირი მოყვანილობისაა, თრივე ხედვის ერთი წერტილიდან არის გამოსახული, ხოლო სცენებში “წმ. იოანეს შობა”, “თავისკვეთა” და “პეროდეს ნადიმი” სხვადასხვა მოყვანილობის ორ ნაგებობათაგან ერთი დადაბლებული, მეორე კი შემაღლებული ხედვის წერტილიდანაა ნაჩვენები. ეს კი მოწმობს, რომ XIV საუკუნის მხატვრობაშიც სივრცისა და მოცულობის გამოსახვა, ზოგადად, კვლავაც სავსებით პირობითია.

ამავე დროს, შეცვლილია არქიტექტურული ფონისა და ფიგურების თანაფარდობა.

ხობის სცენებში ფონს სცენის მეტი ნაწილი უჭირავს, ცალკეულ ფიგურებს შთანთქავს კიდეც და, ამავე დროს, აღნაგობით მათთან რიტმულად არის დაკავშირებული.

სცენაში “ზარება ზაქარიას” შენობათა საფეხუროვანი თაღები ზევით ორი ურთიერთგადამკვეთი დიაგონალის მიყოლებით აღის და ამავე დიაგონალების

შესატყვისადაა განლაგებული შარავანდებიცა და ორთავ მოქმედი პირის სთვით მოქმედების ფიგურებიც. შეუძინებელი სალხინებები აერთიანებს და იქვემდებარებს მთელ კომპოზიციას, თან კი, ანგელოზის ფიგურის მოძრაობის შესაბამისად, კომპოზიცია რამდენადმე მარჯვნივაა დაძრული.

სცენაში “წმ. იოანეს შობა” მარცხნივ სარცელზე მწოდიარე წმ. ელისაბედის ფიგურა მარცხენა შენობის ხაზთა მიმართულებასაა შეთანადებული. მარჯვენა შენობა ხაზთა შებრუნებულ მიმართულებას იძლევა, რასაც ეთანხმება კიდევე კარის შემობრუნება. ამრიგად, ამ სცენაში თითქოსდა ორი მოძრაობა, ორი მიმართულებაა მოცემული, რაც პერსპექტიული სიღრმის მოჩვენებით შთაბეჭდილებას წარმოქმნის.

სცენამ “თავისკვეთა” ასევე შეიძლება სივრცითი ამოცანების გადაწყვეტა მოგვაჩვენოს. მეომარი, რომელსაც წმ. იოანესკენ ფართო ნაბიჯი გადაუდგამს, ზურგიდანაა ნაჩვენები, ე.ი. მან თითქოს სცენის სიღრმეში შეაბიჯა. ამ დროს კი, წმ. იოანეს ფიგურა უფრო ქვემოთ (ე.ი. მაყურებლისკენ უფრო ახლოს) არის განლაგებული, ვიდრე მეომრისა. თანაც ნიადაგი საერთოდ არ გამოუსახავთ, ასე რომ, ფიგურა კედლის წინ “ჰკიდია”, ეს კი მოწმობს, რომ სივრციბრიობის ამოცანების გადაწყვეტა მხატვრის ინტერესთა რკალში არ შემოდიოდა.

ამასთანავე, ჩვენ ვხედავ ფიგურებისა და შენობების წმინდა პირობით, დეკორატიულ ურთიერთეკვშირსაც. მარცხენა ნაგებობა, რომლის წინ მეომარი დგას, კედლებს გამოღმაა, მარჯვენა კი – მის წინ წმ. იოანე დგას – მის მიღმა.

XIV საუკუნის მოხატულობებში არქიტექტურული ფონები კიდევ უფრო რთულია და ხანდახან კომპოზიციაში მთავრობს კიდეც.

ზარზმაში, სცენაში “მარიამის შობა” კედლების მომრგვალებულ ხაზებს ეპასუხება ქალწულთა ფიგურების განლაგება, მომაღლოთა (მოსახურავაფრიალებული) და მოდაბლოთა (უმოსახურავონი) რიტმული მონაცემებით.

უბისაში, სცენაში “ხარის სასწაული”, ორი ერთნაირად დაყენებული ფიგურაა გამოსახული – ერთი პირი, მეორე კი ზურგით. ისინი გაცილებით უკუთად ერთმანეთს შეწყობილი, ვიდრე ხობში, “თავისკვეთის” სცენაში. ფიგურების ფონად გამოყენებული ეკდელი მთის უკან უხვევს, რაც დეკორატიული თვალსაზრისითაც არის გამართლებული. ამასთან კი, კედლის გამოსახულება პირობითადაა გადაწყვეტილი, შიდა კოშკიც გარეთაზე დაბალი იმიტომ კი არ არის, რომ პერსპექტიულადაა შემცირებული, არამედ მხოლოდენ მთის დამრეცი კალთის ხაზის პასუხად.

ამ სცენების ხობთან შედარებისას დავინახავთ, რომ სივრცის გამოსახვა აქაც ასევე პირობითია, მაგრამ დეკორატიული თვალსაზრისით – უფრო სრულყოფილი.

XIII საუკუნის დასაწყისის მოხატულობებში ადამიანის ფიგურის გამოსახულებებში, ამა თუ იმ მანერათა თუ იკონოგრაფიული ტიპების მთელი ნაირფეროვნებისას, მაინც შეგვიძლია ამ ეპოქისთვის საერთო ზოგირთი ნიშანიც დავინახოთ (ნახ. 8).

XI საუკუნის მკაცრ ფიგურებთან შედარებით, ამ ხანაში ფიგურა ერთგვარად ნატიფი, მოხდენილი ხდება, თან კი კვლავაც მონუმენტური და რეპრეზენტაციულია. უფრო ხშირად ფიგურების პროპორციები საკმაოდ მწყობრია (უფრო მეტად ყინცვისსა და ტიმოთესუბანში, ნაკლებად – ბერთუბანში).

სტატიკურად გადმოცემული ფიგურების მოძრაობა თავშეკავებული და პარმონიულია, დინამიკაში წარმოდგენილი ფიგურები არასოდესაა არაბუნებრივი, რაღაც მათი მოძრაობა არასოდესაა გამძაფრებული. ხშირად ისინი საეციფი-

კური, მოკოპწიავე დენადობით გამორჩეული განშლითაა გადმოცემული. ფიცურა-ურებულის თა დენადი კონტურების კიდურების მომრგვალებულობას გადმოსცემს: მომრგვალებულია არცთუ მკვეთრად დამრეცი მხრები, ფუმფულაა იდაყვოან მტევნის გენ თანაბრად შევიწროვებული ხელი; ამნაირადვეა გამოსახული ვეხიც, კუნთების გამოკვეთის გარეშე. თავი მრგვალია ხოლმე, პროპორციული, მოხდენილ კისრიანი.

ტანისამოსის ნაკეცები ზოგადად მშვიდია, საკმაოდ დანაწილ-დანაწევრებულიც.

ფიგურებისა და სამოსის შესრულების მანერაშიც განსხვავებული მხატვრული ტრადიციები იჩენს თავს.

ბეთანიასა და ტიმოთესუბანში მანერა უფრო გრაფიკულია. გამონათება-ჩანრდილვები ფორმის გამოსავლენად მეტად უმნიშვნელოა. სამოსის ოვით ნაკეცები ზოგჯერ ორნამენტულ-სტილიზებული ხასიათისაა (სტილიზებულია ისინი ბერთუბანშიც).

ყინცვისში სამოსის ნაკეცთა გადმოცემა უფრო ბუნებრივი გვესახება, თუმცა იქაც აქა-იქ სტილიზებულად გადმოცემულ ნაკეცებს ვხედავთ. წერის მანერა აქ, ბეთანიასთან შედარებით, ნაკლებად გრაფიკული ჩანს, ვინაიდან ფორმის გამოსავლენად აქ უფრო მეტადაა ქმედით სხვადასხვა ინგენსივობის ფერი.

მაგრამ უფრო მოგვიანო მხატვრობასთან მიმართებით, XIII საუკუნის მოხატულობების მანერათა სხვაობა ნაკლებ არსებითი ჩანს, რადგან მოლიანობაში, ყველა მათგანში ფორმის უპირატესი გადმომცემი გრაფიკული ხაზია. ამიტომაც, XIII საუკუნის დასაწყისის მოხატულობათა ფიგურები კვლავაც ისევე ბრტყელი და არამოცულობრივია, როგორც მათ სამოსთა ხაზებიც.

აი, მაგალითად: 1. ყინცვისი – ქრისტეს მონუმენტური რეპრეზენტაციური ფიგურა, მშვიდი, დარბაისლური მოძრაობითა და მშვიდივე, ბუნებრივად გაწყობილი ნაკეცებით გადმოცემული (ამ დროს ფიგურების მოძრაობა საერთოდ თავშეკავებულია); 2. ყინცვისი – ანგელოზის ფიგურა, სიმშვიდისა და ლირიკული მოხდენილობის ძალით დახვეწილი; მის პოზას განსაკუთრებულ გამომსახველობას მოძრაობათა სირბილე, კიდურების დენადი მომრგვალებულობა, ხელ-ფეხის ხაზთა ერთგვარი კლანილობა სძენს. მისი სამოსი ძალზე რთული, მედინი ნაკეცებითაა გაწყობილი, რომელიც ხაზთა რიტულ “თამაშ” წარმოქმნის – XII საუკუნის ფიგურებისთვის ტიპიურია მუცელზე სპირალური ხაზიცა და კვართის დაკბილული გულისებრი მიღლაკებით შედგენილი კიდეც; 3. ბერთუბანი – ფიგურების პროპორციები ცოტათი ნაკლებად შემაღლებულია, ისეთივე კია დენადი მშვიდი მოძრაობები და კიდურების რბილი მომრგვალება (თუმც შესრულება უფრო ტლანქია). დამახასიათებელია, რაოდენ დენადად განიშლება იოაკიმეს ფიგურა (სცენიდან “ხარება იოაკიმეს”), როგორი დენადი და რბილია მისი ხაზები, მოლიანობაში კი, ფიგურა აბსოლუტურად სიბრტყითია. ტიპიურია სამოსის ორნამენტული ნაკეცებიც; 4. ტიმოთესუბანი – ანგელოზების მოძრაობა ასეთივე დენადია, ტანისამოსის გაწყობა – ასევე თავშეკავებული; 5. ტიმოთესუბანი – მეომრის ფიგურა პროპორციებით ტანწყობილია, მომრგვალო კიდურების დენადი კონტურები კუნთებს გამოჰყოფს; მშვიდია მოსასხამის ნაკეცები, რომელიც კიდეზე გულისებრ დაკბილულ ხაზს წარმოქმნის; 6. ტიმოთესუბანი – ანგელოზი ასწრაფებული, თუმც არცთუ მძაფრი მოძრაობით გადმოცემული და ბუნებრივად შემსუბუქებული; ასევე დამრგვალებულია ხელები, თემოები, მუხლები; ტიპიურია “კუზიან” ნასკად გაფრიალებული ჰიმატონის ბოლო და კვართის დაკბილული კალთა, ასევე – ზეაფრთხიალებული ფრთაც; 7. გარეჯის “უდაბნო”, ხარების ეკლესია – ტიპიურია ანგელოზის ხელზე გადმოფენილი მოსასხამების ბოლოების დაკბილული ხაზები;

გულისებრი კბილანები აქ გაცილებით ორნამენტულად და სტილიზებულად შესრულებული, ვიდრე, მაგალითებრ, ყინცვისში, რაც ადრე შემუშავებული ფორმის ერთგვარ “გაყინვას” მოასწავებს.

თუ ამ ფიგურებს ხობისას შევადარებთ, დავინახავთ მათ სავსებით სხვა სტილისტურ გადაწყვეტას. აი, მეორეს ფიგურა: მეტისმეტად შემაღლებული პროპორციები, არაპროპორციულად პატარა თავი, ტანის ზედა ნაწილი – მოკლა, გრძელი ქვედა კიდურები; ხელ-ფეხი მაჯასთან და კოჭთან მეტისმეტად ხმელია, მკლავი და წვივები კი განიერია, მკვეთრად ხაზგასმული კუნთებით.

ამგვარი პროპორციები, ისევე როგორც კიდურების ასე გამოსახვა ტიპიურია XIV საუკუნის მხატვრობისთვის. ჩვენ მათ უველგან ვნახავთ, სადაც კი ხელ-ფეხ გაშიშვლებული ფიგურები გვაქვს: მეორები და მწყემსები – ზარზმაში, მსახური – ლიხნეში, წმ. გიორგის თავისკვეთა”. თუ უკანასკნელს ხობის მეორების ფიგურას შევადარებთ, სტილის იმავე ნიშნებს დავინახავთ, ოდონდ უფრო გამოკვეთილი სახით; განსაკუთრებით დამახასიათებელია ფიგურის უკან უზარმაზარ დანამატად გამობერილი მოსასხამის ბოლოს უამრავი დაკეცილი ნაოჭით გაწყობა – ხობში ტანისამოსის ასეთ ბოლოს ჯერ კიდევ ვერ ვნახავთ.

დამახასიათებელია ხობის “ხარების” ანგელოზის ასწრაფებული ფიგურაც – მოძრაობისას აფრიალებული ჰიმატიონის ბოლოს მოყვანილობა (ის წაწევებულია, შიგნით უამრავი დატეხილი ნაკეცით) ტიპიურია XIV საუკუნის მხატვრობისთვის. ასეთივე ასწრაფებული მოძრაობა ტიპიურია უბისის “მარიამის ხარების” ანგელოზისთვისაც. ჰიმატიონის ბოლოს წაწევებას ზარზმისა და ლიხნებს მოხატულობებშიც ვნახავთ (ანგელოზები სცენისა “ღმრთისმშობლის ამაღლება” და “ქედი აღთქმის სამება”). ძალზე დამახასიათებელია ამგვარი ბოლოები მინიატურისთვისაც.

ტიპიურია ხობის მხატვრობაში წმ. ელისაბედის თავის მოყვანილობაც, მისი მაფორიუმის კვადრატული ნაკეცები (შდრ.: ანა – ზარზმა, მენელსაცხებლე დედანი – ლიხნე).

ან კიდევ – ჭურჭლით ხელში მშეიდად მდგომი ქალწული. მისი პატარა თავისა და აფაშფაშებული ვარცხნილობის, მაღალი კისრის, დამრეცი მხრების ხაზები, იდაყვებოთან სრული, მტევნისკენ კი მკვეთრად შევიწროვებული ხელების კონტურები უკვე გვიჩვენებს ლამისაა განაზებად ქცეულ სინატიფეს, სრულად თუნდაც უბისის “ხარების” მარიამის ანდა ზარზმის “ღმრთისმსობლის შობის” ანას ფიგურებში რომაა გამოვლენილი.

განსაკუთრებით მაიც ზურგიდან ნაჩვენები, ასწრაფებული, უკან თავისი რუნებული, საგრილებლიანი ქალწულია დამახასიათებელი. მისი ანალოგიურია ქალწული ზარზმის “ღმრთისმშობლის შობისა”, ამგვარადვე თავისებულად გაშლილი და მსწრაფლ მოძრავი.

ხობის ქალწულთა ხელები ჯერაც არაა ისე ხმელი, როგორიც ისინი ზარზმისა და წალენჯიხის მოხატულობებში გახდება. მაგრამ მეორე ქალწულის სამოსის ნაკეცები – მკვეთრი, ტეხვადი და კუთხოვანი – XIV საუკუნის ხელოვნებისთვისაა ტიპიური. არანაკლებ ტიპიურია ზაქარიასა და სამი მამაკაცის თავები – მათი უხვად ბდუჯა-ბდუჯა ჩამოფენილი თმა-წვერი, ღონიერი, ხაზამობერილი კისრები.

ამგვარად, არქიტექტურული ფონების მსგავსად, ადამიანის გამოსახვაც ხობში ძლიერ განსხვავებულია XIII საუკუნის დასაწყისის მხატვრობისგან და XIV საუკუნის გამოსახულებებს უახლოვდება.

ამასთან, როგორც აღინიშნა, ხობის ფიგურების ნახატს არ ეთქმის მიმდინარეების გვარი მოუსვენრობა და დატეხილობა, რაც ეგზომ ტიპიურია XIV საუკუნის მხატვრობისთვის, ე.ი. სტილის ნიშნები მათ არ აქვთ უკანასკნელებივით ნათლად გამოხატული.

წერის მანერაც ხობში ასევე განსხვავდება აღრეული მოხატულობის გრაფიკული მანერისგან და უფრო “უერწერული” ხდება, იმ აზრით, რომ გაცილებით მეტია ფორმის გამოვლენისას თანდათანობითი გამონათება-ჩახრდილვის წილი.

ამგვარი ხერხი სხვულის ცალკეული ნაწილების, ცალკეული ნაკეცების შედარებით მეტი მოცულობითობისა და რელიეფურობის შეგრძენებას ბადებს, თუმცა ფორმის გამოსახვის სრული პირობითობის წყალობით ფიგურა ნამდვილად მოცულობითი მაინც არ ხდება. წერის ასეთი ხერხიც ტიპიურია XIV საუკუნის მხატვრობისთვის, რომელშიც იგი ხანდახან უკიდურესად პირობითიც ხდება.

აღრეული ძეგლების სხვადასხვა ტრადიციებისადმი კუთვნილება მათ კოლორიტშიც იჩენს თავს. მოხატულობათა ერთი რიგი (ბეთანია, ტიმოთესუბანი) მცირეოდენი, არცთუ მკვეთრი ფერების შეხამბით იგება. სხვანი (მაგ., ყინცვისი) რამდენადმე მეტი რაოდენობის, სუფთა და მუდერი ფერებითაა აგებული. მაგრამ იმის გამო, რომ, როგორც აღინიშნა, ყინცვისის მოხატვრობის შედარებითი ფერადობისას, ფორმის გამოვლენის უმთავრესი ფაქტორი კვლავაც ნახატია, ფერი XIII საუკუნის დასაწყისის ყველა მოხატულობაში მაინც ლოკალურია. ფართოდ ჩასხმის წესით დადებული, ის შუქ-ჩრდილით ნაკლებად ან თითქმის არ ნაწევრდება.

პირიქით, XIV საუკუნის მხატვრობაში, ხობის ფრესკებივით, ფერი გამონათებებისა და ჩრდილების თანდათანობითი მატებით ვიბრირებს, მით უფრო, რომ ზოგჯერ ისინი დამატებითი ფერითაცაა მოცემული.

დამახასაითებელია XIV საუკუნის მოხატულობებისთვის ე.წ. “რეფტის” ფონები, ე.ი. ისეთნი, სადაც ლურჯის დასატანად ჯერ შავი სარჩული იდება, რის გამოც იგი უფრო ცვრიანი და ღრმა ხდება, თანაც თვით ლურჯი მუქი აზურიტის საღებავით (ე.ი. “ბერლინის ლაჟვარდის” ელფერისაა) სრულდება.

XIII საუკუნის დასაწყისისა და უფრო ადრეულ მოხატულობებში ფონი უპირატესად მუქი არაა, ლურჯ-ნაცრისფერი ან ცისფერია, “რეფტი” უმეტესად ნაცრისფერია და არა მუქი, მთავარი კი ისაა, რომ ის, ჩვეულებრივ, სამოსზე გამოყენებული ნაცრისფერ-ლურჯის ან ცისფრის ელფერისაა. ამგვარი ფონი ფერთა მთელ გამას აერთიანებს, ე.ი. თავისი წილი სცენის კომპოზიციურ აგებულებაშიც შეაქვს.

პირიქით, XIV საუკუნის მოხატულობებში ღრმა, მუქი ლურჯი ფონია გამოყენებული. ისინი სრულებით სხვა მხატვრულ ზემოქმედებას იძლევა, გამოსახულებებს მკვეთრად გამოყოფს. უკანასკნელი ამ ხანაში როგო “დეკორაციებად” წარმოგვიდგება, რომელთა შემადგენელი მთანი და არქიტექტურული ლანდშაფტები თითქოსდა მუქი ხავერდისგანაა ამოჭრილი, ის კი კიდევ მეტად გამოკვეთს მოხატულობის საერთო მოლივლივე სადაფისებრ კოლორიტს.

ხობის მოხატულობაშიც მუქი, “რეფტზე” დადებული ფონები გამოკვეთს მოვარდისფრო-ნაცრისფერ არქიტექტურულ ფონებს რბილი სოსანი ჩრდილებით და სამოსელთა მოლივლივე გამას, რომელთაგან მხოლოდ ალუბლისფერ-წითელი და ზეთისხილისფერ-მწვანეა თავისი ფერით ამონათებული, მაშინ როდესაც ცისფერ შესამოსელზე ნაზი ვარდისფერი ათინათებია, მოოქროსფროზე – სოსანი ჩრდილებია, ზაქარიას წინ მდგომი სამი მამაკაცის წითელ მოსასხამთაგან ერთი მუქი წითლითაა ფერწერულად დამუშავებული, მეორე – ყავისფრით, მესამე კი – მოცისფრო ათინათებით.

XIV საუკუნის მხატვრობაში, მაგალითად, ლიხნეში კოლორიტის ამგენერალიზი განსაკუთრებულ ვირტუულობასა და დახვეწილობას აღწევს.

სახეები ხობში ბაცი ოქრის ფუძეზეა ნაწერი, ოქრით დამუშავება მსუბუქი და გამჭვირვალეა, თითქმის შეუმჩნეველი. სახის მონახაზს მსუბუქი, არცთუ ხასხასა ჩრდილები მისდევს – მწვანე თხელ ერთიან ხაზად, ყავისფერი კი კონტურს ალაგ შტრიხებად გამოეყოფა; ზემოდან არცთუ ხასხასა, გაუბედავი, წვრილი მონასმა-მონათებებია; დმრთსმშობელს ყირმიზიც აქვს გამოსახული.

მწვანე ჩრდილების, ყავისფერი დაშტრიხებისა და მონასმა-მონათებების გამოყენება ხობის სახეების წერის მანერას XIV საუკუნის მხატვრობას – ლიხნეს, ნაბახტევს, წალენჯიხას, ხობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეგვიპტეს – აახლოვებს, მაგრამ იქ ოქრით დამუშავება ცვრიანი მონასმებით ხდება, მწვანე ჩრდილები ხასხასა და ცვრიანია. ხობში იგივე ხერხი უფრო გაუბედავად არის მოტანილი. ტექნიკის მხრივ – ოქრით დამუშავების არქონა, მწვანე ჩრდილების სიმკრთალე, მონასმა-მონათებების ნაკლები სიმკეთრე – ხობის სახეები ყველაზე უფრო გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთი ეგვიპტისას უახლოვდება.

ამავე მანერითაა შესრულებული ხობის საქტიტორო გამოსახულებებიც. ფიგურათა ერთგვარი მოხდენილობა, ძლიერ შეზნებილი წელის, მომრგვალებული მხრების, იდავყების, ხელის ძლიერ დავიწროვებული მტვრისა და მოხდენილი, გადრეკილი თითების ხაზგასმულად კლაკნილი ხაზები განასხვავებს მათ წინარე ხანის ქტიტორთა გამოსახულებებისგან, რომელთა ხაზები უფრო მკაცრია და კვლავ XIV საუკუნის ქტიტორებს აახლოვებს მათ.

სახეები გლუვ, მოწითალო საფუძველზეა ნაწერი (სახეთაგან მხოლოდ შერგილისა შემოგვრჩა) და ისეთივე გაუბედავი მონასმა-მონათებებითაა გაწყობილი, როგორც წმ. ოიანეს “ცხორების” სცენებში გვაქვს.

ორიოდ სიტყვით – ორნამენტის ხასიათის შესახებ; ორნამენტის ზოლები, როგორც აღინიშნა, კამარის თხემსა და საბჯენ თაღებს მიუყვება და ძალზე სპეციფიკურია: ერთი მათგანი ლენტის გადაწვნით მიღებული წრეების მწკრივია, თან წრეები თითქოს სიღრმეში, რელიეფითაა ხაჩვენები; მეორე – ვიწრო ბაფთის გამომეტრიული წნევლია, თანაც ბაფთა ხან ბრტყლად ძევს, ხან კი ძგიდისებრ ამართულია, ე.ი. კვლავ რელიეფის წარმოჩნითაა მოცემული.

ასეთ ორნამენტს XIII საუკუნის დასაწყისის მხატვრობაში ვერსად ვნახავთ, მაშინდელი ორნამენტი, რაგინდ იყოს მრავალფეროვანი და ფაშფაშა, მუდამ სიბრტყითა. ხობის მსგავს რელიეფურ თრნამენტს მხოლოდ XIV საუკუნეში, წალენჯიხასა და მარტვილში თუ შევხვდებით.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლები, გინდაც სხვადასხვა მხატვრული ტრადიციის მიმდევარი, ამავე დროს, რიგი ტიპიური ნიშნებითაც არის აღბეჭდილი, რომელიც მათ უფრო გვიანი მხატვრობისგანაც განასხვავებს. ყინცვისის ფრესკებიც ანდა ჯრუჭის თოხთავის მინიატურებიც, ყველაზე მეტად მიახლოვებული იმას, რაც შემდგომ XIV საუკუნის ხელოვნებამ განავითარა და, ამ კუთხით, მოწინავე ძეგლებად განსახილველი, სტილისტურად მოლიანად თავისი დროის საზღვრებში ექცევა. ამ დროს, თუმცა XIV საუკუნის ბიზანტიურიცა და საკუთრივ ქართული მხატვრობაც, ვითარცა მხატვრული აზროვნების გარკვეული ნაირსახეობა, არაფრით განსხვავდება უფრო ადრეული მხატვრობისგან და ისევე პირობითი რჩება. გამოსახვის ხასიათი სტილის უფრო ვიწრო აზრით, XIV საუკუნეში მკვეთრად განსხვავდება ყველაფრისგან, რაც XII საუკუნისა ან XIII-ის დამდეგის ხელოვნებას შეუქმნია.

XIII საუკუნის მეორე ნახევრის, მისი მიწურულით დათარიღებული ძეგლები

ბის განხილვისას ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთი მათგანი ერთიანად წინარეჭ მნა მანუსკრიპტების სტილს ავლენს, იქნებ, ოდნავ უსიცოცხლოდ. ასეთია ჩვენს მიერ გარჩეული გარეჯის “უდაბნოს” ხარების ეკლესიის ფრესკები, ასევე ქობერის მოხატულობის ფრაგმენტები, სადაც შემორჩენილი ცალკეული ფიგურები და თავები, მანერის მხრივ, მთლიანად აღრეული ძეგლების წრეს უერთდება. მათთან ერთად კი, XIII-XIV საუკუნეთა ზედ გასაყარზე ჩვენ ახალი სტილის მხატვრობასაც ვხვდებით, გალათის მთავარი ტაძრის სამხრეთი უგვტერის ფრესკებითა და 1300 წლის მოქვის ოთხთავის მინიატიურებით წარმოდგენილს.


XII საუკუნის დასაწყისში ერთიანი სტილი განაპირო რაიონების ძეგლებშიცაა გამოვლენილი (მაგ., ბერთუბანი) და ქვეყნის შუაგულის ბრწყინვალე მოხატულობებში, როგორიცაა ყინცვისი ან ბეთანია. XIII საუკუნის ბოლოს-კენ განაპირო მხარეების ისეთი ძეგლები, როგორიცაა “უდაბნოსა” და ქობერის მხატვრობანი, უკვე მაარქაიზებლად გვესახება.

შერგილ დადიანისეული მხატვრობა ხობში XIII საუკუნის დასაწყისის მხატვრობისგან სავსებით განსხვავებული სტილის ნიშნებს გვიჩვენებს, რომელნიც სრულად მხოლოდ XIV საუკუნის ხელოვნებაში განვითარდა. ვინაიდან ხობის მოხატულობაში ეს ნიშნები ნაკლებგანვითარებული სახით გვაქვს, იმგვარადვე, როგორც გელათის ტაძრის სამხრეთ გავტერში, ჩვენ შესაძლებელი გვგონია მოხატულობის შექმნის დრო XIV საუკუნის სულ დასაწყისით, კიდევ უფრო მართებულად კი, XIII-ის სულ მიწურულით განისაზღვროს.

## Tinatin Virsaladze (1907-1985)

### 13th C. Murals in Khobi Church

Published is a paper of 1946 on the murals in south-west bay of Khobi church dated by the portraits of Shergil Dadiani and his family (his wife, Natela, his son, Tsotne and his daughter, Tamar). Based on the analysis of the stylistic aspects of murals, such as landscape and architectural backgrounds, figure proportions, colour gamut, character of design, etc. and their comparative analysis with the murals of King Tamar's epoch (Betania, Kintsvisi, Bertubani, Timotesubani), as well as with the paintings of the Paleologan period (Likhne, Ubisi, Martvili, Zarzma), Khobi murals are dated to the late 13th c.



୬୯b. 1









୬୯b. 2




60b. 3




୬୩b. 4



გახ. 5



68b. 6



გან. 7



კიბოთეულანი



კიბოთეულანი



ხარების ეჭვ  
უდაბნოზე



ყინცისი

ნახ. 8

